როუე
მარტინ
დიუ
გარი

ეპილოგი

ფრანგულიდან თარგმნა ალნუ ქადეიშვილმა

თბილისი „მერანი" 1991

84.4Фр—44
Д 55

როჟე მარტენ დიუ გარი თავისი რომანის „ტიბოს ოჯახის“ ეპილოგში აღწერს მთავარი გმირის, ანტუან ტიბოს ცხოვრების ბოლო დღეებს. ანტუანი ისევე, როგორც მისი ძმა ჟაკი, ომის მსხვერპლია. გაზით მოწამლული, საბოლოოდ განწირული ანტუანის ავგონიის ავტორი ღრმა ფსიქოლოგიური რეალიზმით გადმოგვცემს.

მომაკვდავი ანტუანი კიცხავს ომს, კიცხავს საზოგადოებას, რომელსაც ასე კარგად ეგუებოდა ომამდე.

ტიბოს ოჯახის ისტორია მაინც არ არის პესიმისტური. ცოცხალი რჩება ჟაკის ერთგული მეგობარი ჟენი დე ფონტანენი, ცოცხალი რჩება ჟაკისა და ჟენის შვილი ჟან-პოლი. „მთელი მომავალი, მთელი ჩემი მომავალი, მთელი ქვეყნის მომავალი მასშია“, — წერს ანტუანი თავის დღიურში. მომავლის ეს რწმენა ოპტიმისტურ აზრს აძლევს ნაწარმოებს.

რედაქტორი იზოლდა ლეჟავა

4703000000—216
Д————————126—91
М 609(08)—91

© გამომცემლობა „მერანი“

ეპილოგი

I

— პიერ, ტელეფონის ხმა არ გესმის?

კლინიკის კანცელარიის შიკრიკი, პიერი, მუდამ სარგებლობდა შემთხვევით და როცა ექიმები და ავადმყოფები პროცედურებით იყვნენ დაკავებულნი, ქვემო სართულში ჩასვლას თავს არიდებდა, ტერასის მოაჯირს გადაეყუდებოდა და ჟასმინის დამათრობელი სურნელებით ტკბებოდა.

პიერმა სასწრაფოდ გადააგდო სიგარეტი და ტელეფონს მიაშურა.

— ალლო!

— ალლო! გრასის სატელეგრაფო გირეკავთ. დეპეშა მიიღეთ!

— ერთი წუთით! — თქვა შიკრიკმა და ბლოკნოტი და ფანქარი მოიმარჯვა. — გისმენთ!

ტელეფონისტის კარნახი მოისმა:

— „პარიზი. 3 მაისი 1918—7 ს. 15—ალპ — მარიტიმი — გრასი — მუსკიე — გაზით მოწამლულთა კლინიკა — ექიმ ტიბოს“. ჩაიწერეთ?

— ტი-ბოს! — გაიმეორა შიკრიკმა.

— განვაგრძობ: „მამიდა ვეზ...ვ... (ვლადიმირ)... ე...ზ... მამიდა ვეზი გარდაიცვალა — დაკრძალვა თავშესაფრიდან, კვირას 10 საათზე — გკოცნი — “ ხელმოწერა: „ჟიზ“. სულ ესაა. ვიმეორებ...

შიკრიკი ჰოლიდან გავიდა და გასასვლელისკენ გაემართა. კანცელარიის კარებთან თეთრწინსაფრიანი მოხუცი სანიტარი გამოჩნდა, რომელსაც ხელში სინი ეჭირა.

— მაღლა ადიხარ, ლუდოვიკ? მაშინ ეს დეპეშა 53-ე პალატაში შეიტანე.

53-ე პალატა ცარიელი დახვდა. ლოგინი გაესწორებიათ, ოთახი დაელაგებიათ. ლუდოვიკი ღია ფანჯარას მიუახლოვდა და ბაღში გადაიხედა: სამხედრო ექიმ ტიბოს ვერსად მოჰკრა თვალი.

რამდენიმე გამოჯანსაღებული ავადმყოფი მზის გულზე წინ და უკან დასეირნობდა მასლაათით; სხვები შეზლონგებზე წამოწოლილიყვნენ ჩრდილში და გაზეთებს კითხულობდნენ; ყველას ცისფერი პიჟამა ეცვა, ფეხი ფლოსტებში გაეყოთ, ზოგს ჯარისკაცის ქუდი ეხურა, ზოგსაც — ოფიცრის.

სანიტარმა წამლის ბოთლი სინიდან აიღო და 57-ე პალატაში შეევიდა. ორი კვირის წინ „57-ე" ჩაწვა და მას შემდეგ ვეღარ დგებოდა ლოგინიდან. ბალიშებს მიყრდნობილი, სანახევროდ წამომჯდარიყო, ჩამომხმარი, წვერგაუპარსავი სახე ოფლით დაცვაროდა და მძიმედ სუნთქავდა. მისი ხრიალი დერეფანში ისმოდა. ლუდოვიკმა ორი კოვზი წამალი ჩაუსხა ჭიქაში, თავი დაუჭირა და მარჯვედ დაალევინა მიქსტურა; მერე საფურთხებელი პირსაბანში დაცალა, ავადმყოფს რამდენიმე გამამხნევებელი სიტყვა უთხრა და ექიმი ტიბოს საძებნელად გაემართა. სანამ ქვევით ჩავიდოდა, სინდისის მოსაწმენდად 49-ე პალატაშიც შეიხედა. დაწნულ შეზლონგზე წამოწოლილ პოლკოვნიკს საფურთხებელი გვერდით ედო და სამ ოფიცერს ბრიჯს ეთამაშებოდა. ექიმი ტიბო არც იქ იყო.

— ინჰალაციაზე იქნება! — უთხრა ექიმმა ბარდომ, როცა ლუდოვიკს კიბეზე შემოხვდა. — მომეცით მე გადავცემ.

რამდენიმე ავადმყოფი ინჰალატორის წინ იჯდა და თავზე პირსახოცები წამოეხურა. პატარა, თბილი, თითქმის ბნელი ოთახი, სადაც სამარისებური სიჩუმე იდგა, პიტნისა და ევკალიპტის სუნით გაჟღენთილ ორთქლში გახვეულიყო.

— ტიბო, დეპეშაა! — დაუძახა ბარდომ.

ანტუანმა გაჭარხლებული, გაოფლიანებული სახე პირსახოციდან გამოჰყო, თვალები ამოიწმინდა, დეპეშა გამოართვა და წაიკითხა.

— სერიოზული ხომ არაფერია?

ანტუანმა თავი გადააქნია. ყრუ, გაგუდული ხმით ძლივს წაილაპარაკა:

— მოხუცი ნათესავი... გარდაცვლილა!

დეპეშა პიჟამის ჯიბეში ჩაიდო და პირსახოცი ხელახლა წაიფარა თავზე. ბარდომ მხარზე დაადო ხელი:

— შენი ქიმიური ანალიზი მზადა მაქვს. როცა მოათავებ, ჩემთან შემოდი!

* * *

ექიმი ბარდო ანტუანის თაობას ეკუთვნოდა. დიდი ხანია ერთმანეთს იცნობდნენ, პარიზის სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვის დღიდან. ბარდო იძულებული გამხდარა სწავლა შეეწყვიტა და ორი წლით მთებში წასულიყო სამკურნალოდ. მართალია, გამოჯანსაღდა, მაგრამ მაინც უფრთხილდებოდა თავს, პარიზის ზამთარს არ ენდობოდა, დიპლომი მონპელიეში დაუცავს და სპეციალობით ფილტვების დაავადება აურჩევია. ომის გამოცხადების დღიდან ლანდის სანატორიუმის დირექტორად მუშაობდა. 1916 წელს მისმა მასწავლებელმა, მონპელიეს სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორმა სეგრიმ, გაზით მოწამლულთა კლინიკაში მიიწვია. ამ კლინიკის სამხრეთში მოწყობა სეგრესთვის დაევალებიათ და ორივემ კიდეც დააარსეს იგი მუსკიეში, გრასთან ახლოს; იქ იმჟამად სამოცი თუ სამოცდაათი ჯარისკაცი და თხუთმეტიოდე ოფიცერი მკურნალობდა.

ანტუანიც ამ კლინიკაში მოხვდა ზამთრის დამდეგს. 1917 წლის ნოემბერში ფრონტზე საინსპექციო მივლინების დროს იპრიტით მოწამლულა შამპანში. მრავალ ჰოსპიტალში უმკურნალია, მაგრამ უშედეგოდ. მუსკიეს კლინიკის ოფიცერთა პავილიონში ანტუანი ერთადერთი გაზით მოწამლული სამხედრო ექიმი იყო. ბარდო და ანტუანი ახალგაზრდობისდროინდელმა საერთო მოგონებებმა, ბუნებრივია, დააახლოვა, თუმცა ამ ორ ექიმს განსხვავებული ტემპერამენტი ჰქონდა: ბარდო მეოცნებე, შრომისმოყვარე, სუსტი ნებისყოფის, უფხო კაცი იყო; მაგრამ ანტუანისა არ იყოს, გატაცებით უყვარდა მედიცინა და პროფესიული სინდისის გრძნობით გამოირჩეოდა. ბარდო და ანტუანი დარწმუნდნენ, რომ ბევრი რამ აკავშირებდათ ერთმანეთთან და დამეგობრდნენ. პროფესორმა სეგრიმ ჰოსპიტლის ძირითადი სამუშაო ბარდოს მიანდო. ბარდო კარგი თვალით არ უყურებდა თავის ასისტენტს, ექიმ მაზეს, კოლონიალური არმიის ყოფილ ექიმს, რომელიც მუსკიეს კლინიკაში მძიმედ დაჭრილი მოეყვანათ, ამიტომ თავის მოსაზრებებსა თუ ეჭვებს დიდი ხალისით ანდობდა ანტუანს, რჩევასაც ეკითხებოდა და თავის მუშაობასაც აცნობდა თერაპიის სრულიად ახალ დარგში, სადაც იმდენი რამ იყო ჯერჯერობით ბუნდოვანი. რა თქმა უნდა, ზედმეტი იყო იმაზე ლაპარაკი, რომ ანტუანი მუშაობაში დახმარებოდა ბარდოს; ისეთი მძიმე ავადმყოფი იყო, ისე ხშირად აწუხებდა რეციდივები, იმდენი საზრუნავი ჰქონდა თავის მოსავლელად, მუშაობის

ხალისი სულ წართმეოდა; მიუხედავად ამისა, სხვა დაავადებები მაინც აინტერესებდა და, როგორც კი ოდნავ შემსუბუქებას იგრძნობდა, დაფიქრების უნარი დაუბრუნდებოდა, დაისვენებდა, მაშინვე ბარდოს კონსულტაციებს ესწრებოდა, ცდებს ატარებდა, ზოგჯერ პროფესორ სეგრის კაბინეტში გამართულ სხდომებშიც იღებდა მონაწილეობას ბარდოსა და მაზესთან ერთად. რაკი ამ კლინიკაში იგი არა მარტო ავადმყოფი, არამედ ზოგჯერ ექიმიც იყო, საავადმყოფოს სპეციფიკური ატმოსფერო ისე მძიმედ არ მოქმედებდა მასზე: ის, რაც თხუთმეტი წლის მანძილზე, მშვიდობიანობისა და ომის დროს, მისი არსებობის ძირითად და ერთადერთ აზრს შეადგენდა, ჯერ კიდევ არ დაკარგვოდა მთლიანად.

* * *

ანტუანმა ინჰალაცია მოათავა, რომ არ გაციებულიყო, კისერზე შარფი შემოიხვია და ექიმ ბარდოს კაბინეტისკენ გასწია. ბარდო ყოველ დილით პირადად ხელმძღვანელობდა გაზით მოწამლულთათვის დანიშნულ სასუნთქი ორგანოების ვარჯიშს სპეციალურ დარბაზში. ვარჯიში ნახევარ საათს გრძელდებოდა.

ბარდო ავადმყოფებს შორის ჩამდგარიყო და მომღიმარი სახით ყურადღებით დირიჟორობდა ხიხინის ამ კაკაფონიას; იგი მთელი თავით მაღალი იყო პაციენტებზე, მხრების სიგანეც სიმაღლის შესაფერისი ჰქონდა, ხოლო ნაადრევი სიმელოტე მაღალ შუბლს უჩენდა. ოდესღაც ტუბერკულოზით დაავადებული, ახლა გოლიათს წააგავდა. მკვრივი, თითქმის კვადრატული სხეული მკვეთრად გამოისახებოდა თეთრი ხალათის ქვეშ.

— ძალიან კმაყოფილი ვარ, — უთხრა მან ანტუანს და გასახდელ ოთახში შეიყვანა, — მეშინოდა... არა, რეაქცია ცილაზე უარყოფითია, ეს კი კარგი ნიშანია.

სახელოს გადანაკეციდან ქაღალდი ამოიღო. ანტუანმა ჩამოართვა და თვალი გადაავლო.

— გადავწერ და ამ საღამოს დაგიბრუნებ (მოწამვლის პირველივე დღიდან ანტუანს სპეციალური წიგნაკი, ერთგვარი დღიური შეეძინა, სადაც დაწვრილებით იწერდა თავისი ავადმყოფობის ისტორიას).

— ინჰალაციაზე დიდხანს რჩები, — წაიბუზღუნა ბარდომ, — არ იღლები?

— არა, არა, — მიუგო ანტუანმა. — ინჰალაციაზე ვამყარებ მთელ იმედებს. — იგი ჩამქრალი, სუნთქვაშეკრული ხმით, მაგრამ გარკვევით ლაპარაკობდა, — დილით, გამოღვიძებისას, ყია სქელი გამონაყოფითაა დაფარული და სრული აფონია მაქვს. ორთქლი კარგად მისუფთავებს ხორხს და ხმაც მეწმინდება.

ბარდო მაინც არ იშლიდა თავისას:

— დამიჯერე, გადაჭარბებული არაფერი ვარგა... როგორი უსიამოვნოც არ უნდა იყოს აფონია, სხვასთან შედარებით იგი ნაკლები უბედურებაა. ხანგრძლივმა ინჰალაციამ შესაძლოა მეტისმეტად მკვეთრად შეწყვიტოს ხველა.

კილოზე ეტყობოდა, ბურგუნდელი უნდა ყოფილიყო წარმოშობით. გამოხედვაც რბილი, დინჯი ჰქონდა.

ბარდო და ანტუანი დასხდნენ. ბარდო მუდამ ცდილობდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა ავადმყოფებს, რომ ექიმს არსად ეჩქარებოდა, რომ საკმაო დრო ჰქონდა მოესმინა მათთვის, რომ არაფერი ისე არ აინტერესებდა, როგორც სხვისი გასაჭირი.

— გირჩევ, ამ დღეებში ნახველის ამოსაღებ საშუალებას მიმართო! — უთხრა ანტუანს, როცა წინადღის მდგომარეობა გამოჰკითხა. — ტერპინი სინჯე! ან დროზერა... რომელიც გინდა... თანაც ბორანჯოს ნაყენით... ჰო, ჰო, შინაური წამალია... ოფლი მაგრად უნდა იდინო ძილის წინ, ოღონდ არ გაცივდე, უებარი საშუალებაა!

ბარდო ისე მკვეთრად გამოთქვამდა ზოგიერთ ხმოვანსა და დიფთონგს, სიტყვის ბოლო მარცვლებსაც ისე აგრძელებდა, უნებურად ვიოლონჩელის დაბალ სიმებზე ქამანჩის გადასმა მოგაგონდებოდათ.

გაუთავებლად უყვარდა რჩევის მიცემა; ერთგვარი რელიგიური რწმენა ჰქონდა თავისი წამლების მოქმედებისა და მარცხი არასოდეს უტეხდა გულს. ასევე უყვარდა სხვისი, განსაკუთრებით კი ანტუანის დარწმუნება; მითუმეტეს, რომ ანტუანის უპირატესობას ყოველგვარი შურის გარეშე აღიარებდა.

— ამას გარდა, — განაგრძო მან და პაციენტისთვის თვალი არ მოუშორებია, — ღამ-ღამობით გამონაყოფის შესამცირებლად, იქნებ გვესინჯა და რამდენიმე დღის განმავლობაში გოგირდოვანი დარიშხანით ჩაგვეტარებია მკურნალობა? თქვენ რას იტყოდით? — დაუმა-

ტა მან, როცა ოთახში ექიმი მაზე შემოვიდა.

მაზემ არაფერი უპასუხა. ოთახის სიღრმეში კარადა იდგა, მასთან მივიდა, კარი გამოაღო, ნაკერებში დამსკდარი, რეცხვისგან გახუნებული, სამაგიეროდ ორდენებით მორთული ხაკისფერი კიტელი გაიხადა და თეთრი ხალათი გადაიცვა. ოთახში ოფლის სუნი დატრიალდა.

— აფონია თუ გაძლიერდა, ისევ სტრიქნინს დავუბრუნდებით, — თქვა ბარდომ, — ამ ზამთარს კარგი შედეგი მივიღე, შაპუის მკურნალობის დროს.

მაზე შემობრუნდა და დამცინავად წაილაპარაკა:

— თუკი სხვა სანუგეშო მაგალითის შემოთავაზება არ შეგიძლია...

მას ოთხკუთხა თავი ჰქონდა, დაბალ შუბლს ღრმა ნაკრილობევი შუაზე ჰყოფდა; ჭაღარა, ხშირი თმა ბუძგურად ჰქონდა აკრილი; ოდნავი აღელვებისას თვალებში სისხლი აწვებოდა; შავი, ვიწრო ულვაში მკვეთრად გამოიხატებოდა კოლონიალური მებრძოლის ამ მზედაკრულ სახეზე.

ანტუანი ისე იყურებოდა, თითქოს ახსნა-განმარტებას ითხოვსო.

— საბედნიეროდ, ტიბოს შემთხვევა არაფრით წააგავს შაპუისას! — უმალ შეეკამათა ბარდო. იგი არც მალავდა, რომ მაზეს ცინიკური ფრაზით განაწყენებული დარჩა. — შაპუი ცუდადაა, — უთხრა ანტუანს, — ღამე მოუსვენრად გაატარა. ორჯერ გამაღვიძეს. გულის ინტოქსიკაცია სწრაფად ვითარდება. საერთო ექსტრასისტოლიკური არითმია აქვს. ახლა სწორედ პროფესორს ველოდები, მინდა „57"-ე გასინჯოს.

მაზე ხალათის ღილებს იკრავდა და ისე უახლოვდებოდა მათ. იპრიტით მოწამლულთა გულის სისხლძარღვების დარღვევაზე ჩამოაგდეს საუბარი. ბარდო ირწმუნებოდა, ეს დაავადება ავადმყოფის ასაკის მიხედვით იცვლებაო. (არტილერიის პოლკოვნიკი შაპუი 55 წლისა იყო და ამ კლინიკაში უკვე რვა თვე მკურნალობდა).

— ...მხედველობაში მისაღებია ძველი დაავადებაც! — დაუმატა ანტუანმა.

მას რამდენჯერმე გაესინჯა შაპუი და იმ დასკვნამდე მისულა, რომ პოლკოვნიკს მოწამვლამდეც აწუხებდა მიტრალური სარქველების უკმარისობა, რაც არც სეგრეს, არც ბარდოსა და არც მაზეს არ შეუმჩნევიათ. ცოტაღა დააკლდა, კინაღამ თქვა ამის შესახებ

(ანტუანი წინანდელზე უფრო მეტად განიცდიდა კმაყოფილებას და კიდეც ამაყობდა, როცა შეცდომაში ჩაიჭერდა ვინმეს და აიძულებდა, თუნდაც იგი მისი მეგობარი ყოფილიყო, ეს შეცდომა ეღიარებინა; ეს თითქოს ერთგვარი რევანში იყო, ავადმყოფობამ ხელი რომ დარია და უსუსური გახადა), მაგრამ იმდენად უჭირდა ლაპარაკი, გადაწყვიტა არაფერი ეთქვა.

— დღევანდელი გაზეთები თუ გადაათვალიერეთ? — ჰკითხა მაზემ.

ანტუანმა თავი გადააქნია.

— „ბოშების“ * შეტევა, მგონი მართლაც შეუჩერებიათ ფლანდრიაში, — თქვა ბარდომ.

— ჰო, ეტყობა, ასე უნდა იყოს! — დაუმოწმა მაზემ. — იპრი მაგრად იდგა. ინგლისელებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, იზერის ხაზს ვამაგრებთო.

— ძვირად დაუჯდებათ! — შენიშნა ანტუანმა.

მაზემ მხრები აიჩეჩა, რაც ორგვარ პასუხს ნიშნავდა: „ძალიან ძვირად!“ ან „რა მნიშვნელობა აქვს!“ კარადასთან მივიდა და კიტელის ჯიბეში ხელი ჩაჰყო. მერე ისევ ანტუანს მიუახლოვდა.

— აი, შვეიცარიის გაზეთი, გუარანმა მომიტანა... თვითონვე ნახავთ: ცენტრების * კომუნიკეს მიხედვით, მარტო აპრილის თვეში ინგლისელებმა ორასი ათასზე მეტი ჯარისკაცი დაკარგეს და ისიც მხოლოდ იზერში!

— ეს ციფრი მოკავშირე ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის ყურამდე რომ მივიდეს... — წამოიწყო ბარდომ.

ანტუანმა თავი გადააქნია, ხოლო მაზემ ხმამაღლა გადიხარხარა. კარებთან იყო მისული, მობრუნდა და თქვა:

— კი მაგრამ, განა საზოგადოებრივი აზრის ყურამდე ოდესმე მისულა რომელიმე ზუსტი ცნობა? რას იზამ, ომია!

მაზეს მუდამ ისეთი სახე ჰქონდა, იტყოდით ყველას ბრიყვებად თვლისო.

— იცი, რაზე ვფიქრობდი ამ დილას? — წამოიწყო ბარდომ, როცა მაზე ოთახიდან გავიდა, — არც ერთი მთავრობა დღეს თავისი ერის ნაციონალურ იმედს არ წარმოადგენს. არც ერთმა, არც იმ მხარეს, არც აქეთ, არ იცის, რას ფიქრობს ხალხი: მმართველთა ხმამ მათი ხელქვეითების ხმა საბოლოოდ ჩაახშო. აიღე, თუნდაც საფრანგეთი! ნუთუ გგონია, რომ ოცი ფრანგი ჯარისკაციდან, ერთი

მაინც იქნება ისეთი, ელზას-ლოთარინგიის დაბრუნების გულისთვის დათანხმდეს ომის ერთი საათით გაგრძელებას?

— ორმოცდაათ ჯარისკაცშიც ვერ შეხვდები ასეთ ერთ მებრძოლს!

— მიუხედავად ამისა, მთელი ქვეყანა დარწმუნებულია, კლემანსო და პუანკარე საფრანგეთის საერთო აზრის მატარებლები არიანო... ომმა ოფიციალური მოტყუების უპრეცედენტო ატმოსფერო შექმნა! ის მაინც გამაგებინა, ოდესმე ხალხის ჭეშმარიტ ხმას თუ გავიგონებთ, ანდა ევროპის პრესა ოდესმე თუ მოახერხებს...

პროფესორის შემოსვლამ სიტყვა გააწყვეტინა.

სეგრიმ სამხედრო სალამით უპასუხა ექიმების მისალმებას. მერე ბარდოს ხელი ჩამოართვა. დანაოჭებული ღაბაბით, კეხიანი ცხვირით, ოქროს სათვალეებით, ბუმბულივით მსუბუქი თეთრი ქოჩრით, დალეული ტანით ბატონი ტიერის * კარიკატურას მოგაგონებდათ. მუდამ სუფთად იყო ჩაცმული, მუდამ წვერგაპარსული; მოკლე, წყვეტილი ფრაზებით ლაპარაკობდა და ყველას, თანაშრომლებსაც კი, თავაზიანად ექცეოდა, მაგრამ მაინც შორს ეჭირა თავი, კარჩაკეტილად ცხოვრობდა, კაბინეტიდან თითქმის არ გამოდიოდა, ხშირად იქვე სადილობდა. მთელი დღე მუშაობდა, გაზით მოწამლულთა მკურნალობის შესახებ სტატიებს წერდა სამედიცინო ჟურნალებისათვის; თვითონ იშვიათად სინჯავდა ავადმყოფებს — ისიც მხოლოდ კლინიკაში მათი შემოსვლისას ან უეცარი გართულების შემთხვევაში — და ბარდოსა და მაზეს კლინიკური დაკვირვების საფუძველზე ადგენდა დასკვნებს.

ბარდომ დააპირა „57“-ეს მდგომარეობა მოეხსენებია, მაგრამ პროფესორმა მაშინვე შეაწყვეტინა, კარისკენ გაემართა და უთხრა:

— ავიდეთ!

* * *

ანტუანმა თვალი გააყოლა. „რა კარგი ტიპია ეს ბარდო! — გაიფიქრა მან. — ბედი ჩემი, აქ რომ დამხვდა...“

დილით მუდამ პალატაში შედიოდა, პროცედურებს ამთავრებდა და სადილობამდე ისვენებდა. დილის პროცედურები ისე ქანცავდა, სავარძელში ჩაჯდომისთანავე ჩაეძინებოდა და გონგის ხმაზე თუ გაეღვიძებოდა.

დერეფანში გავიდა და სეგრისა და ბარდოს უკან გაჰყვა. „მიუხედავად ამისა, განაგრძო ფიქრი, თუ აქ სიკვდილი მიწერია, ვერავითარი ბარდოს მეგობრობა ვერ მიშველის...“

ქოშინი რომ არ ატეხოდა, ნელი ნაბიჯებით მიდიოდა. საკმარისი იყო, მეორე სართულზე ასვლისას სიფრთხილე არ გამოეჩინა, მაშინვე ჩხვლეტას იგრძნობდა ფერდში. მართალია, ეს ჩხვლეტა მტკივნეული არ იყო, მაგრამ რამდენიმე საათს არ უქრებოდა.

ეოზეფს ისევ დავიწყებია შტორების ჩამოშვება. ბუზები თაროზე დალაგებულ წამლის ბოთლებს დახვეოდა. კედელზე ბუზების საკლავი ეკიდა, მაგრამ ანტუანი ისე დაიღალა, ბუზებზე ნადირობის თავი არ ჰქონდა. ფანჯრიდან ლამაზი ხედი მოჩანდა, მაგრამ შტორები ისე ჩამოუშვა, არც კი გადაუხედია, სავარძელში ჩაჯდა და წამით თვალები დახუჭა. შემდეგ ჯიბიდან დეპეშა ამოიღო და უგულისყუროდ გადაიკითხა...

საცოდავმა ბებრუცუნამ თავისი ცხოვრება განვლო. ჰოდა, რაღა დარჩენოდა, თუ არა სამუდამო გაქრობა?! თუმცა არც ისეთი მოხუცი იყო ... „გაიგე, ანტუან, — თავის კანტურით ეუბნებოდა მუდამ, — უკვე სამოც წელს გადავაბიჯე და არ მინდა ვინმეს მძიმე ტვირთად დავაწვე“. ამას განსაკუთრებით იმის შემდეგ იმეორებდა, რაც სიცოცხლის ბოლო წლების დასრულება „მოხუცთა თავშესაფარში“ აიკვიატა. ეს მოხდა ბატონი ტიბოს სიკვდილიდან რამდენიმე დღის შემდეგ. 1913 წლის დეკემბერში თუ... 14 წლის იანვარში... ახლა ...18 წლის მაისია; მაშასადამე, უკვე ოთხი წელი გასულა! ნეტა, სამოცდაათ წელს მიაღწია? თუ ნაკლებისა იყო? გაიხსენა ჭაღის შუქით განათებული მისი ვიწრო, ყვითელი შუბლი, ჭაღარა კულულები; სპილოს ძვლისფერი, მოცახცახე ხელებით მუდამ სუფრას ასწორებდა, თვალები კი დამფრთხალ ლამას • მიუგავდა... ყველაფერი აშინებდა: განჯინაში აფხაკუნებული თაგვი, შორს, სადღაც მეხის გავარდნა, მარსელში აღმოჩენილი შავი ჭირი, სიცილიაში მომხდარი მიწისძვრა; კარის მიჯახუნებაზე, ზარის ხმაზე მუდამ კრთებოდა. „ღმერთო, გვიშველე!“ — იტყოდა და პაწაწინა ხელებს შავი აბრეშუმის მოსასხამის ქვეშ, „კაპორს“ რომ უწოდებდა, მაგრად უჭერდა ერთმანეთს. როგორი სიცილი იცოდა!.. ხშირად იცინოდა, უბრალო რამეზე ბავშვივით, გულუბრყვილოდ კისკისებდა და მისი სიცილი მარგალიტების ჩუჩუნს წააგავდა... ახალგაზრდობაში, ალბათ, ძალიან ლამაზი იქნებოდა. თვალწინ დაუდგა:

პანსიონის ეზოში სერსოს * თამაშობს, კისერზე შავი ხავერდის ბაფთა უკეთია, ნაწნავებზე ბადე შემოუხვევია!.. როგორი ახალგაზრდობა ჰქონდა, ნეტავ? ამაზე არასოდეს დაუძრავს სიტყვა, თუმცა არც არავის უკითხავს. ან მისი სახელი თუ იცოდა ვინმემ? არც სახელით, არც გვარით არავინ მოიხსენიებდა, „მადმუაზელ!“ — მორჩა და გათავდა. სწორედ ისე, როგორც იტყვიან „კონსიერჟი“ ან „ლიფტიორი“... მთელი ოცი წელი ერთგვარი რელიგიური ძრწოლით, მორჩილად იტანდა ბატონი ტიბოს ტირანიას; ეს შეუმჩნეველი, ჩუმი, დაუღალავი ქალი, ოცი წლის მანძილზე მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ოჯახში, მაგრამ მისი პუნქტუალობის, გულთბილობის მადლიერი მაინც არავინ ჰყავდა. თავისი ერთგულების, საკუთარი თავის, ინტერესების მივიწყების, მოკრძალების, თავშეკავებული, შიშნეული სიყვარულის სამაგიეროდ არასოდეს არაფერს იღებდა.

„ეიზი, ალბათ, სასოწარკვეთილია!“ — გაიფიქრა ანტუანმა. ნამდვილად არც იცოდა, ასე იყო თუ არა, მაგრამ უნდოდა კი რომ ასე ყოფილიყო. ხანგრძლივი უსამართლობის გამოსასყიდად ეიზის ღრმა მწუხარება სჭირდებოდა ახლა.

„უნდა მივწერო“, — მოუთმენლად გაიფიქრა მან (მობილიზაციის შემდეგ აუცილებელ შემთხვევაში თუ წერდა წერილებს, ხოლო რაც ავად გახდა, იშვიათად აგზავნიდა, მერე სულაც შეწყვიტა: დროგამოშვებით ღია ბარათს უგზავნიდა ეიზს, ფილიპს, შტუდლერს, ეუსლენს). „ვრცელი დეპეშით ვუთანაგრძნობ! — გადაწყვიტა მან, — ამით რამდენიმე დღეს მოვიგებ, სანამ წერილს მივწერდე... დაკრძალვის დღეს რატომ მატყობინებს? ნუთუ ფიქრობს, რომ ჩავალ?...“

ომის დაწყების შემდეგ ანტუანი ერთხელაც არ ყოფილა პარიზში. რა უნდოდა? ვისი ნახვაც ესიამოვნებოდა, მობილიზებული იყო. შესულიყო სახლში, ენახა ცარიელი ბინა, გაუქმებული ლაბორატორია? რა საჭირო იყო? შვებულებასაც მუდამ სხვებს უთმობდა ფრონტზე ყოფნისას. იქ საქმეში მაინც იყო გართული და აღარაფერზე ფიქრობდა. აბევილში ერთადერთხელ ისარგებლა შვებულებით, სომთან შეტევის დაწყების წინ; უნდოდა დიეპში მარტოდმარტო გაეტარებია ზამთრის უკანასკნელი თვე, მაგრამ მარილით გაჟღენთილ, ქარიან და წვიმიან ქალაქში უსაქმურობა იმდენად მობეზრდა, თანაც იმდენი დაჭრილი ინგლისელი მოიყვანეს, ორი

დღის შემდეგ მატარებელში ჩაჯდა და ნაწილში დაბრუნდა; მობილიზაციის შემდეგ ჟიზი (არც ფილიპი, არც ჟენი, არც არავინ) არ ენახა. პირველად რომ დაიჭრა და სენ-დიზიეში მკურნალობდა, ჟიზმა დააპირა მის სანახავად ჩასვლა, მაგრამ ანტუანმა აუკრძალა; წარსული ცხოვრებისა თუ ზურგის ამბების შესატყობად ის მოკლე, გულთბილი ბარათებიც აკმაყოფილებდა, ორ-სამ თვეში ერთხელ რომ იღებდა ჟიზისაგან. წერილებიდან შეიტყო ჟენის ფეხმძიმობის ამბავი; ჟაკის სიკვდილის დამადასტურებელი ცნობაც. 1915 წლის ზამთარში ჟენისთან მიწერ-მოწერა ჰქონდა. ჟენი სწერდა, ჟენევაში ვაპირებ წასვლასო. მის გამგზავრებას ორი მიზანი ჰქონდა: უნდოდა ჟენევაში მომშობიარებულიყო მარტოკა, ნათესავებისგან შორს, და თან დაწვრილებით გაეგო ჟაკის დაღუპვის ამბავი. მისი სიკვდილი საკმაო იდუმალებით იყო მოცული. რევოლუციურ წრეებში, ვისთანაც ჟენის ურთიერთობა არ გაეწყვიტა, ხმა გავრცელდა: ჟაკი „სახიფათო დავალების შესრულებისას“ დაიკარგა აგვისტოს პირველ რიცხვებშიო. ანტუანს რიუმელი გაახსენდა და ჟენის ურჩია მასთან მისულიყო: დიპლომატი პარიზში იყო მობილიზებული და თავისივე პოსტზე დატოვეს კე დ'ორსზე. მისი წყალობით ჟენიმ ადვილად მიიღო საშვი. შვეიცარიაში ვანჰედე ინახულა. ალბინოსი ჟაკის ძებნაში დაეხმარა, ბაზელში გაჰყვა და წიგნის გამყიდველი პლატნერი გააცნო, რომელმაც ზუსტი ცნობები მიაწოდა ჟაკის უკანასკნელი დღეების შესახებ: მანიფესტის შედგენა, მეინესტრელისა და ჟაკის პაემანი თვითმფრინავთან, 10 აგვისტოს ღილით ელზასის ფრონტისკენ გაფრენა. პლატნერმა მეტი არაფერი იცოდა. მაგრამ როცა ჟენიმ ეს ამბავი ანტუანს შეატყობინა, მან რიუმელს დაავალა ჟაკის ასავალ-დასავალის მიგნება. ამაოდ ეძებეს მისი გვამი გერმანიის ბანაკებში მოხვედრილი ტყვეების სიაში. ბოლოს რიუმელმა პარიზის სამხედრო სამინისტროს არქივში, როგორც იქნა, მიაგნო ქვეითთა დივიზიის შტაბის 10 აგვისტოთი დათარიღებულ პასპორტს. ელზასში საფრანგეთის არმიის უკანდახევის დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ცეცხლმოდებული თვითმფრინავი საფრანგეთის ხაზზე ჩამოვარდნილა. ნახშირადქცეული გვამების გამოცნობა შეუძლებელი გამხდარა; ოღონდ დამსხვრეული მანქანის მიხედვით შესძლეს დაედგინათ, რომ ეს იყო შვეიცარიის ფირმის სამოქალაქო თვითმფრინავი; ამას გარდა, ისიც იყო აღნიშნული, რომ დამწვარი ქაღალდების გროვაში იპოვეს და გაარჩიეს აშკარა ანტიმილიტარისტული პროკლამაციების ნაგლეჯები. ეჭვი აღარ

ეპარებოდათ: ეს ჟაკისა და მფრინავის გვამები უნდა ყოფილიყო...

რა უაზროდ დაასრულა თავისი ცხოვრება! ანტუანი ვერ იქნა და ვერ შეგუებოდა ძმის ასეთ უაზრო სიკვდილს! ახლაც კი, ოთხი წლის შემდეგ, ეს ამბავი მწუხარებაზე მეტად, გაღიზიანებას იწვევდა მასში.

ანტუანი სავარძლიდან წამოდგა, კედლიდან ბუზის საკლავი ჩამოხსნა და გაანჩხლებით დახოცა თორმეტიოდე ბუზი; დანარჩენს პირსახოცით უპირებდა გარეთ გადენას, მაგრამ ხველა აუტყდა, ორად მოიკაკვა და სავარძლის საზურგეს ჩასჭიდა ხელი. ცოტა ხნის შემდეგ, როგორც იქნა წელში გასწორდა, დოლბანდი სკიპიდრით დაასველა და მკერდზე დაიფინა. წამიერი შვება იგრძნო, საწოლიდან ორი ბალიში აიღო, სავარძელში ჩაჯდა და ბალიშები ზურგს უკან შემოიწყო; ხველა რომ არ ასტეხოდა, ფრთხილად შეუდგა სასუნთქ ვარჯიშს — ცერითა და საჩვენებელი თითით ხორხს იზელდა გარედან, ღრმად სუნთქავდა და ცდილობდა გარკვევით წარმოეთქვა ბგერები: ა... ი... ო... უ...

მერე ოთახს მოავლო თვალი: ვიწრო, ბანალური ოთახი იყო. ამ დილით ზღვიდან მონაბერი სიო ფარდებს არხევდა და მოვარდისფრო-აგურისფერ ჩრდილებს ისროდა კედლებზე; კედლები მოტიტვლებული იყო ფრიზამდე, სადაც შოკოლადისფერი ხვართქლა ტალღისებურად ეხვეოდა. სარკის ზემოთ, ილუსტრირებული ჟურნალიდან ამოჭრილი სურათი ეკიდა: მეზღვაურის საყელოებიან ამერიკელ ექვს „გერლს"*, ექვსი მოღუნული ფეხი ბალეტის მსახიობებივით აეშვირათ; ეს გახლდათ 53-ე პალატის ყოფილი ბინადრის უკანასკნელი კვალი; სიკვდილის წინ ხელოვნების ნიმუშებით მოერთო ოთახი. ანტუანს ყველაფერი მოესპო, მაგრამ ამ ექვსი გახელებული „გერლ"-ისთვის ვერაფერი მოეხერხებინა, რადგან ძალიან მაღლა ეკიდა და მის ჩამოსახსნელად ენერგიის დახარჯვა არ ღირდა. ამ ოპერაციის ჩატარება რამდენჯერმე მიანდო მსახურს, მაგრამ ტანდაბალ ჟოზეფს ავიწყდებოდა წინოთახიდან ტაბურეტის შემოტანა. ბოლოს ანტუანმა გადაწყვიტა, აღარ ეფიქრა ამ სურათზე. ნაძვის ხის ვიწრო მაგიდაზე ქაშანურის დიდი საფურთხველი იდო; წამლის ბოთლებსა და კოლოფებს შორის გაზეთების, ჟურნალების, სამხედრო რუქებისა და გრამაფონის ფირფიტების გროვა ეყარა. ასე რომ, რვეულისთვისაც, სადაც ყოველდღიური საექიმო დაკვირვებები შეჰქონდა საღამოობით, მაგიდის კიდეზე

ძლივს ახერხებდა ადგილის გამოძებნას. მინის თაროზე, პირსაბნის ზემოთ, წამლის მილაკები ეწყო. მაგიდასა და თეთრ კარადას შორის (სადაც მისი საცვლები და პირადი ნივთები ელაგა) გვერდულად დაედგათ ოფიცრის ცარიელი სკივრი; მას ჯერ კიდევ შერჩენოდა წარწერა: „ექიმი ტ ი ბ ო, II ბატალიონის სამხედრო ექიმი“. ამჟამად სკივრი გაუქმებული გრამაფონის დასადგმელად გამოეყენებიათ.

თითქმის ხუთი თვე იყო ანტუანი ჩაკეტილი ამ ვარდისფერ საკანში, თვალს ადევნებდა თავისი სენის მიმდინარეობას და ამაოდ უცდიდა გაუმჯობესების რაიმე განსაკუთრებულ ნიშანს. თითქმის ხუთი თვე... იტანჯებოდა აქ, წუთებს ითვლიდა, ჭამდა, სვამდა, ახველებდა, იწყებდა და ვერ ამთავრებდა წიგნის კითხვას, ოცნებობდა წარსულზე, მომავალზე; იღებდა მნახველებს, ხუმრობდა, სუნთქვის შეკვრამდე კამათობდა ომსა და მშვიდობაზე... მას სძაგდა ეს საწოლი, ეს სავარძელი, საფურთხებელი, ციებცხელების, სულის ხუთვის, უძილობის ეს უტყვი მოწმენი. საბედნიეროდ, ჯერჯერობით ჯანმრთელობა შესაძლებლობას აძლევდა საკმაოდ ხშირად ჩასულიყო ქვევით, გაქცეოდა ამ ოთახს. ასეთ დღეებში წიგნს აიღებდა, ოღონდ წასაკითხად კი არა, უბრალოდ, მარტოობა რომ არ ეგრძნო, და კიპარისების ხეივანს ან ზეთისხილის ხეების ჩრდილს აფარებდა თავს; ზოგჯერ უფრო შორსაც მიდიოდა, ბოსტანში და მდინარესთან ჩამოჯდებოდა, რომლის რაკრაკი თითქოს იქაურობას აგრილებდა. ზოგჯერ, როცა ძალა შესწევდა და ლოგინზე არ იყო მიჯაჭვული, ბარდოსა და მაზესთან ერთად ლაბორატორიაში ჩაიკეტებოდა. იქ შინაურულად გრძნობდა თავს. ბარდო ხალათს აძლევდა და პროცედურებს აცნობდა. ანტუანი იქიდან ცოცხალ-მკვდარი გამოდიოდა, სამაგიეროდ ეს დღეები საუკეთესო იყო მისთვის.

ოღონდაც შესძლოს და გამოჯანსაღების მოლოდინში გატარებული ამ კვირეებით, ამ თვეებით, ამ ნაძალადევი შესვენებით სარგებლობა მოუტანოს თავის მომავალ მუშაობას! შეეცადა პირადად მასაც წამოეწყო რაიმე სამუშაო, მაგრამ მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა და იძულებული იყო წამოწყებულ საქმისთვის მაშინვე მიენებებია თავი. განსაკუთრებით ერთი ჩანაფიქრი არ აძლევდა მოსვენებას: უნდოდა ერთ დიდ ნაშრომად მოეყარა თავი

ომის წინ დაგროვილი დაკვირვებებისთვის: საქმე ეხებოდა ბავშვებში სასუნთქი ორგანოების დაავადებას და მის კავშირს ბავშვის გონებრივი და ყურადღების უნარის განვითარებასთან. მისი ჩანაწერები მდიდარ მასალას იძლეოდა და შესაძლებლობა ჰქონდა პატარა ტანის წიგნი თუ არა, ვრცელი სტატია მაინც გამოსულიყო ჟურნალისთვის. ამ სამუშაოს შესრულება ეჩქარებოდა, ცდილობდა გარკვეული ვადაც დაედო საკუთარ თავისთვის, რადგან თემა „უკვე მომწიფებულიყო" და ეშინოდა, სხვა ვინმე პედიატრს არ დაესწრო. თუმცა ჯანმრთელობასაც რომ არ შეეშალა ხელი, ამ სამუშაოს მაინც ვერ გაართმევდა თავს, რადგან ანკეტური ჩანაწერები და შედეგები ხელთ არ ჰქონდა, პარიზში დაეტოვებია. ვერც ვერავინ გამოუგზავნიდა: მისი მდივანი, ახალგაზრდა რუა, მთელ ოცეულთან ერთად, არასთან შეტევის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულიყო ომის დაწყების მეორე თვეშივე... ჟუსლენი უკვე მეორე წელია, რაც სამხედრო ტყვეების ბანაკში იყო გამომწყვდეული, სილეზიაში. ხოლო ხალიფი ვერდენთან დაჭრილა 1916 წელს, შემდეგ გამოჯანსაღებულა, მაგრამ სმენა დაკარგოდა, რენდგენოლოგიაში დასპეციალებულიყო და აღმოსავლეთის არმიის * სანიტარულ სამსახურში გაემწესებიათ.

გონგის ხმა გაისმა: სადილობის დროს იუწყებოდა. ანტუანი სავარძლიდან წამოდგა. პირსაბანთან ნათურა აანთო და ყელში ჩაიხედა. სანამ სუფრასთან დაჯდებოდა, ყელში მალამოს ისვამდა მუდამ, ყლაპვისას ნაკლები ტკივილი რომ ეგრძნო. ეს ტკივილი ზოგჯერ ისეთი ძლიერი იყო, იძულებული ხდებოდა ბარდოსა და მისი გალვანო-კაუტორისთვის მიემართა.

მეორე ზარამდე სავარძელი ფანჯარას მიუახლოვდა და ფარდა გადასწია. ტერასებად დამუშავებული დაქანებული ფერდობის ზევით მთის თხემი მოჩანდა; მარჯვნივ, ნაცნობი ბორცვები გადაჭიმულიყო, მზის მოციმციმე სხივში ტალღისებური ხაზით რომ უერთდებოდა მუქი ლურჯი ზღვის ჰორიზონტს. ფანჯრის ქვემოდ, ყვავილების სურნელება იდგა და საუბარი მოისმოდა ბაღიდან. ანტუანმა ფანჯარაში გადაიხედა, ერთხანს ავადმყოფებს ათვალიერებდა, კვიპაროსთა ორ მწკრივს შორის გადაჭიმულ განიერ ხეივანში რომ დასეირნობდნენ წინ და უკან. ყველას იცნობდა: აგერ გუარანი და მისი მეგობარი ვუაზნე (მხოლოდ ამ ორს არ ჰქონდა დაზიანებული სახმო სიმები და დილიდან საღამომდე შეუსვენებლივ

ყბედობდნენ); დარო — მუდამ იღლიაში ამოჩრილი წიგნით რომ დადიოდა; ეკმანი, ზედმეტ სახელად „კენგურუ“ რომ შეარქვეს; მაიორ რემონს, ჩვეულებისამებრ, ახლაც ახალგაზრდა ოფიცრები შემოეკრიბა გარს, რუქა გადაუშლია და ახალთ-ახალ ცნობებს კომენტარს უკეთებდა. მართალია, ანტუანი მათ მოძრაობას ხედავდა მხოლოდ, მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მათთან საუბარმა დაღალაო.

გონგის ხმა მეორედ გაისმა და მთელი ბაღი ისე გამოცოცხლდა, ასე იტყოდით, ჭიანჭველების ბუდე აფუსფუსდაო.

ანტუანმა ამოიოხრა და ფანჯარას მოშორდა. „ოჰ, რა გლოვასავით გაისმის ეს ზარი!“ — გაიფიქრა ანტუანმა, — ნუთუ არ შეიძლებოდა აქაც ისევე დაერეკათ ზარი, როგორც სხვაგან?!“

არ შიოდა. თან ძალაც არ ჰყოფნიდა ჩასულიყო ქვევით, ორი სართული გაეევლო, ეგრძნო საჭმლის სუნი, აეტანა მსახურთა ფაცა-ფუცი, გაეძლო იმ ფამილარობისათვის, საერთო სუფრასთან რომ სუფევს ხოლმე მუდამ, თავაზიანი ღიმილით მოესმინა კამათი იმის შესახებ, თუ რა გეგმები ჰქონდა გერმანიას, როდის დამთავრდებოდა ომი, მოესმინა ოფიციალური ცნობის ნართაულების განმარტებები... მერე ამას მოჰყვებოდა ხუმრობა, ფრონტული მოგონებები, ანეკდოტები, და რაც ყველაზე საშინელი იყო, ინტიმური აღსარებები: როგორი ლორწო ჰქონდათ, ღამით რამდენჯერ ამოიღეს ნახველი... ანტუანმა პიჟამა გაიხადა და ძველი ტილოს თეთრი კიტელი გადაიცვა, რომელსაც სირმიანი სამხრეები ეკეთა. ჯიბეში ჟიზის დეპეშა მოხვდა ხელთ, ამოიღო და უცებ შეჩერდა: „იქნებ წავსულიყავი?“

მისდაუნებურად გაეღიმა. იცოდა, დარწმუნებული იყო, არასგზით არ წავიდოდა, მაგრამ მაინც ოცნებას მისცა თავი და ამ ფიქრმა წამით კიდეც გაართო. თავისთავად ეს ჩანაფიქრი მაინცდამაინც განუხორციელებელი როდი მოეჩვენა. სიფრთხილეს თუ გამოიჩენდა, მკურნალობას არ შეწყვეტდა, ინჰალატორსა და წამლებს თან წაიღებდა, გაუარესების შიში აღარ ექნებოდა. „დაკრძალვა კვირას, 10 საათზე...“ მაშასადამე, ხვალ, შაბათს შეუძლია ნაშუადღევის ჩქარ მატარებელში ჩაჯდეს და კვირა დილით პარიზში იქნება... რასაკვირველია, სეგრი უარს არ ეტყვის წასვლაზე: აკი დოსიც გაუშვა, თუმცა არც ისეთი სახარბიელო მდგომარეობა ჰქონ-

და!.. ერთი მხრივ, ეს შემთხვევა მაცდუნებელი და, თავისი მოულოდნელობით, შიმზიდველიც კი იყო.

უცებ წარმოიდგინა, როგორ შევიდოდა ვაგონ-რესტორანში, კოხტად ჩაცმული სუფრას მარტო მიუჯდებოდა (როგორც ამას ომის წინ ლაღი და ჯანსაღი ანტუანი აკეთებდა).

პარიზში შეეძლო თავის მოხუც მასწავლებელთან, პროფესორ ფილიპთან მისულიყო გასასინჯად... და რაც მთავარია, ჩანაწერებით, კართოთეკებით, წიგნებით, ტესტებით სავსე ჩემოდანი წამოეღო. ჰოდა, სამუშაოც ხელთ ექნებოდა, გამოჯანსაღებისთვის საჭირო, გაუთავებელ თვეებს რაღაც საქმეზე მაინც გამოიყენებდა.

პარიზი! სამი-ოთხი დღის თავისუფლება! სამი-ოთხი დღე მაინც აიცდენდა ამ საერთო სუფრას! ბოლოს და ბოლოს, რატომაც არ უნდა წავიდეს?!

II

გასაღების ჩხაკუნმა სიჩუმე დაარღვია, კონსიერჟმა კარი გააღო. ანტუანმა თვალი მოჰკრა ლურჯი მაუდის სახელოსა და პერგამენტივით გადაყვითლებულ ხელს, თითზე ნიშნობის ბეჭედი რომ ეკეთა.

— პირდაპირ მიბრძანდით! — წაიჩურჩულა ვიღაცამ, — დერეფნის ბოლოს, ეზოში.

ვესტიბიული ფილებით მოპირკეთებულ, სარკესავით პრიალა დერეფანში გადიოდა. ეს ცარიელი დერეფანი „თავშესაფრის“ წყნარ სავანემდე გრძელდებოდა. მარცხნივ, შავხილაბანდიანი ორი მოხუცი ქალი კიბის ბოლო საფეხურზე ჩამომჯდარიყო, ერთმანეთს მიკვროდნენ და დაბალ ხმაზე მუსაიფობდნენ. იტყოდით, მხატვრის წინ სხედან პოზირებისთვისო.

ცარიელი ეზო მზის სხივებში გახვეულიყო. სიღრმეში ეგვდერი იდგა. ცალი კარი გამოეღოთ და მზით განათებულ კედელზე შავი სამკუთხედი ალანდულიყო. ორღანოს ხმა მოისმოდა. წირვა დაწყებულიყო. ანტუანი მიუახლოვდა. ჩაბნელებულ ეგვდერში ძლივს გაარჩია სანთლების დაკბილული მწკრივი. შიგ შესასვლელად ორი საფეხურის ჩასვლა მოუხდა. გასასვლელი სამგლოვიარო ბიუროს მსახურებს ჩაეხერგათ. ანტუანი მათ შორის გაძვრა. ეგვდერის კა-

ტარა ნავი ხალხით იყო გაჭედილი. აკლდამის სიგრილე იგრძნობოდა. ანტუანმა აიაზმის სასხურებელს ძლივს ჩამოადო ხელი და ფეხის წვერებზე აიწია. საკურთხევლის წინ კუბო იდგა, ზედ შავი სუდარა ეფარა, კუთხეებში ოთხი კელაპტარი ენთო. კუბოს უკან, სათვალეებიანი, ჭაღარა ჯუჯა გულზხელდაკრეფილი იდგა მუხლმოდრეკილი ახალგაზრდა ქალის გვერდით; ქალიშვილს მოწყალების დის ტანსაცმელი ეცვა, ხოლო სახეს ლურჯი პირბადე უფარავდა; თავი რომ მოაბრუნა, ანტუანმა ჟიზის პროფილი იცნო ... „არც ნათესავები, არც მეგობრები... არავინ, იმ ბრიყვი შალის გარდა... არც ქალბატონი დე ფონტანენი, არც დანიელი... მით უკეთესი! ჟიზს ვთხოვ, პარიზში ჩემი ყოფნა არავის შეატყობინოს, ამით თავიდან ავიცდენ მეზონ-ლაფიტში ჩასვლას“ — გაიფიქრა მან. ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი სკამების რიგს, სადაც ხილაბანდიანი მოხუცები და ფართო კორნეტებიანი მონაზვნები ისხდნენ: ხელახლა დარწმუნდა, რომ არცერთი ნაცნობი არ მოსულიყო“. პარაკლისის დამთავრებამდე ვერასგზით ვერ გავძლებ... ძალა არ მეყოფა, თანაც აქ თითქმის ცივა...“ ის იყო გასვლა დააპირა, სკამები აკრაჭუნდა: ხალხი სკამებიდან წამოდგა და მუხლი მოიყარა. მღვდელმა ხელები მაღლა აღაპყრო და მლოცველებისკენ შემობრუნდა. ანტუანმა აბატი ვეკარის წარმოსადეგი ტანი და მოტიტვლებული შუბლი იცნო.

ანტუანმა კიბის საფეხურები აიარა, ეზოში გავიდა და მზის სხივებით მოფენილ გრილ სკამზე ჩამოჯდა. ბეჭებს შორის, ერთ წერტილში გრძნობდა ტკივილს. მიუხედავად ამისა, რკინიგზით ხანგრძლივ მგზავრობას ძალიან არ დაექანცა; რამდენიმე საათი იწვა კიდეც. სამაგიეროდ, ლიონის სადგურიდან პუან დიუ ჟურამდე ძველი ტაქსით ოღრო-ჩოღრო ქვაფენილზე ნჯღრევამ საშინლად მოტეხა.

— „ბავშვის კუბოს არ ჰგავს?! — გაიფიქრა მან, — რა პატარაა!“ გაიხსენა მადმუაზელის ცუნცული უნივერსიტეტის ქუჩის ბინაში, მისი დალეული სხეული; სკამის კიდეზე იცოდა ჩამოჯდომა, მარკეტრის * სეკრეტერის წინ. „ჩემი საგვარეულო ავეჯია!“ — ხუმრობით იტყოდა ხოლმე წარსულის ამ ერთადერთ სამახსოვრო ნივთზე, ბატონ ტიბოს სახლში რომ გადმოეტანა პირველსავე წელიწადს. ავეჯს საიდუმლო უჯრა ჰქონდა, სადაც მადმუაზელი ფულს ინახავდა: ბატონი ტიბო ყოველთვიურად აძლევდა განსა-

ზღვრულ თანხას ოჯახის ხარჯისთვის; აქვე ალაგებდა თავის რელიქვიებს თუ დანაზოგს; აქვე ინახავდა კენკრასა და ანგარიშებს, საწერ ქაღალდსა და ვანილის კოლოფს, ბატონი ტიბოს მიერ გადაგდებული ფანქრის ნატეხს, პროსპექტებსა და რეცეპტებს, ნემსებს, ღილებს, თავვის საწამლავს, მთელი სახლის გასაღებებს... და ლოცვანს, ფოტოსურათებსა და კიტრის მალამოს, ხელების დასარბილებლად რომ ხმარობდა; როცა სეკრეტერს გამოაღებდა, ზამბახისა და ვანილის სუნში არეული მალამოს მსუყე სუნი წინოთახშიც იგრძნობოდა. ბავშვები; ანტუანი და ჟაკი, დიდი ხნის განმავლობაში ჯადოქრული საგანძურივით შეჰყურებდნენ ამ სეკრეტერს. მოგვიანებით ჟაკმა და ჟიზმა მადმუაზელ დე ვეზის საწერ მაგიდას „საწვრილმანე“ დაარქვეს, რადგან იგი სოფლის ბაზარს წააგავდა, რა გინდოდა იქ რომ არ გეშოვა...

ნაბიჯების ხმა მოესმა, თავი ასწია. შავებში ჩაცმულმა მამაკაცებმა კარის მეორე საგდულიც გამოაღეს, გვირგვინები ეზოში გამოიტანეს და პირდაპირ მიწაზე დააწყვეს. ანტუანი წამოდგა.

პარაკლისი დამთავრდა. წინსაფრიანი ორი მონაზონი მწვანილით დახორგებულ უზარმაზარ, გორგოლაჭიან კალათს მოათრევდა; თავდახრილებმა სწრაფი ნაბიჯებით გაიარეს და მინაშენში შევიდნენ, ეზოს სიღრმეში. მეორე სართულზე ფარდები გადაიწია და ხეიბარი მოხუცი ქალები ღამის პერანგის ამარა მოადგნენ ფანჯარას. პანსიონის დანარჩენი მცხოვრებლები, ვისაც ჯერ კიდევ შეეძლო სიარული, სამრეკლოდან გამოვიდნენ და ბარბაცით ჩადგნენ კარიბჭის ორივე მხარეს. ორღანი დუმდა. სიბნელიდან უცნაურად ამოტივტივდა ვერცხლის ჯვარი და თეთრი სტიქარი. კუბო ორ კაცს მოჰქონდა. უკან მგალობლები მოსდევდნენ, მერე მოხუცი მღვდელი მოდიოდა, ხოლო ბოლოს — აბატი ვეკარი.

ჟიზიც ამოჰყვა საფეხურებს და სინათლეზე გამოჩნდა. ბატონი შალი უკან მოსდევდა. პროცესია შეჩერდა, სამგლოვიარო ბიუროს მსახურნი წინ წამოვიდნენ და კუბოს სახურავზე გვირგვინები დაუწყვეს. ჟიზი ცრემლიანი თვალებით მიჩერებოდა კუბოს. მის შეურვებულ სახეს მოწიფული ქალის გამომეტყველება დასდებოდა. ანტუანს გაუკვირდა: როცა ჟიზს გაიხსენებდა, მუდამ თხუთმეტი წლის გოგონა ედგა თვალწინ. „ვერ მხედავს... რას წარმოიდგენს, აქ თუ ვარ!“ — გაიფიქრა მან და უხერხულება იგრძნო, ჟიზი ვერაფერს გრძნობს, მე კი ჩუმ-ჩუმად ვათვალიერებო. ანტუანს

ჟიზის შავგვრემანი გარეგნობაც გადავიწყებოდა: „ეტყობა, თეთრი შუბლსაკრავის გამო მოუჩანს კანი ასე მუქად“.

ბატონ შალს ძველისძველი ქუდი ეჭირა შავხელთათმანიან ხელში; კისერი წინ გაეშვირა და პატარა, ფრინველისებურ თავს აქეთ-იქით ატრიალებდა. უეცრად ანტუანი შეამჩნია და ხელი ისე აიფარა ტუჩებზე, თითქოს კივილი უნდა ჩაიხშოსო. ჟიზმა მოიხედა და ანტუანს შეაჩერდა. ორი წამი ისე უყურებდა, იტყოდით, ერთბაშად ვერც იცნოო, მერე მისკენ გაეშურა და აქვითინდა. ანტუანმა უხერხულად მოხვია მკლავები. როცა სამგლოვიარო პროცესია ხელახლა დაიძრა, ჟიზს ხელი მოაშორა.

— ერთად წავიდეთ! — წასჩურჩულა ჟიზმა, — მარტო ნუ დამტოვებ.

თავის ადგილას დაბრუნდა, ანტუანი უკან გაჰყვა. ბატონი შალი შეშინებული შეჰყურებდა ორივეს. ანტუანმა ხელი ჩამოართვა.

— ოო, ეს თქვენა ხართ? — ისე წაიბუტბუტა მოხუცმა, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო.

— სასაფლაო შორსაა? — ჰკითხა ანტუანმა ჟიზს.

— ჩვენი აკლდამა ლევალუაშია... ეტლები გვყავს. — ხმადაბლა უპასუხა ჟიზმა.

პროცესიამ ნელა გაიარა ეზო.

ქუჩაში კატაფალკა იცდიდა, შიგ ორი ცხენი ება. იმ უბნის მცხოვრებლები და პატარა ბიჭები ტროტუარის კიდეზე ჩამწკრივებულიყვნენ. სამადგილიანი კარეტა ისე მაღლა დაემაგრებიათ ძველ დროგზე, იტყოდით, სპილოს ზურგზე ტახტრევანი დაუდგამთო. ზედ რამდენიმე საფეხურის მეშვეობით აძვრნენ. ეს სამი ადგილი ჟიზისთვის, ბატონი შალისა და დაკრძალვის ცერემონმაისტერისთვის შემოენახათ, მაგრამ ამ უკანასკნელმა ანტუანს დაუთმო თავისი ადგილი, თვითონ კოფოზე აფოფხდა, მეეტლის გვერდით. ეკიპაჟი დაიძრა და ყანყალით წავიდა ქვაფენილზე. უკან სამგლოვიარო კარეტა მოსდევდა, სადაც ორი მღვდელი იჯდა.

ანტუანს ძალიან გაუჭირდა ამ სიმაღლეზე ასვლა; დაჯდა თუ არა, ფილტვებში ტკივილი იგრძნო, საშინელი ხველა აუტყდა, ცხვირსახოცი ტუჩებთან მიიტანა, თავი დახარა და ერთხანს არც განძრეულა.

ჟიზი ანტუანსა და ბატონი შალის შორის იჯდა. იცდიდა, სანამ ხველა გაუვლიდა ანტუანს, მერე მკლავზე დაადო ხელი:

— რა კარგია რომ ჩამოხვედი... თითქმის არ გელოდი!

— ო, ისეთ დროში ვცხოვრობთ, ყველაფერს უნდა მოველოდეთ! — ბრძნულად წარმოთქვა შალმა. წინ გადაიხარა და სათვალეებს ზევიდან დააკვირდა ანტუანს. ბოლოს თავი გადააქნია: — მაპატიეთ, ძლივს გიცანით წელან. ისე შეცვლილხართ... ასე არაა, მადმუაზელ ჟიზ?

ანტუანს არ ესიამოვნა, მაგრამ თავი შეიკავა და თავაზიანად უპასუხა:

— ეჰ, რა თქმა უნდა... საკმაოდ გავხდი... იპრიტი!

ჟიზი ისე შეაშინა მისმა სამარისებურმა ხმამ, მთელი ტანით შემოტრიალდა. იქ, ეზოში მასაც ეუცნაურა, ასე რამ შეცვალაო, მაგრამ მაშინ ვერ მოასწრო კარგად შეეთვალიერებინა. თუმცა რა გასაკვირი იყო, ხუთ წელიწადში, რა თქმა უნდა შეიცვლებოდა; თანაც სამხედრო ფორმა ეცვა; ერთბაშად გაიფიქრა, ვინ იცის, იქნებ უფრო სერიოზულადაა ავად, ვიდრე მე მგონიაო. მან იცოდა, რომ ანტუანი იპრიტით მოიწამლა, იცოდა, რომ სამხრეთში მკურნალობდა, მაგრამ აკი იწერებოდა, უკეთა ვარო?!

— იპრიტი? — განათლებული კაცის იერითა და კმაყოფილებით გაიმეორა ბატონმა შალმა, — შესანიშნავია. გაზი იპრიდან. მას „მდოგვსაც“ უწოდებენ... მოდერნიზმის აღმოჩენა გახლავთ... — ანტუანს ცნობისმოყვარეობით გადახედა — ეტყობა, ამ გაზმა მაგრად დ ა გ რ ი ა თ ხ ე ლ ი... სამაგიეროდ, სამხედრო ჯვარი მიგიღიათ... თანაც ორი პალმით * ... ეს დიდი პატივია!

ჟიზმა ანტუანის კიტელი შეათვალიერა. წერილებში სიტყვა არ დასცდენია ამ ჯილდოზე.

— ექიმები? — გაბედა და ჰკითხა, — ექიმები რას ამბობენ? დიდხანს მოგიხდება კლინიკაში დარჩენა?

— საქმე ისაა, რომ გაუმჯობესებას პირი არ უჩანს, — გამოუტყდა ანტუანი. ცდილობდა გაეღიმა. უნდოდა რაღაც ეთქვა კიდევ, ღრმად ამოისუნთქა და გაჩუმდა: ცხენები ჩორთით მიდიოდნენ ქვაფენილზე და რაყვამ სუნთქვა შეუკრა.

— გამოგონების მაღაზიაში ყოველნაირ ნივთს ვყიდით, რა თქმა უნდა, გაზის საწინააღმდეგო ნიღბებიც გვაქვს! — ერთი ამოსუნთქვით წამოისროლა ბატონმა შალმა და მაამებლად ჩაიქირქილა.

— როგორ მიდის ვაჭრობის საქმე, ბატონო შალ? — თავაზიანად ჰკითხა ეიზმა, — კმაყოფილი ხართ?

— არა უშავს, არა უშავს... როგორც ამ დროს შეეფერება, მადმუაზელ ეიზ! პირობებს უნდა შეეგუო მუდამ. ჩვენი გამომგონებლები ფრონტზე გაგზავნეს, ხომ გესმით? ფრონტზე კი, დალახვროს ეშმაკმა, ვერაფერ სასარგებლოს ვეღარ აკეთებენ... მართალია, დროდადრო ზოგ მათგანს საინტერესო აზრიც ებადება. მაგალითად, ჩვენი „მოკავშირეთა ნარდი", ამ დღეებში რომ გამოვიდა... პორტატულია... სურათები სამხედრო ოპერაციიდანაა: მარნა, ეპარჟი, დუამონი... ფრონტელებთან დიდი წარმატება ხვდა... რას იზამთ, პირობებს უნდა შეეგუო, მადმუაზელ ეიზ...

„შენ კი, ჩემო კარგო, შენ ნამდვილად არ გამოცვლილხარ!" გაიფიქრა ანტუანმა.

კატაფალკა პუან-დიუ-ეურიდან ლევალუამდე ბულვარების შემოვლით მიდიოდა. ნათელი და მხიარული კვირა დღე იყო. მზე აცხუნებდა. ფორტებთან ჯარისკაცები სეირნობდნენ. ღიაფერის კაბებში გამოწყობილ პარიზელებს დოფინის ჭიშკრის ჩავლით, ბულონის ტყისკენ მიჰყავდათ ბავშვები და ძაღლები; ყვავილებით დატვირთული ურიკები ტროტუარების გასწვრივ ჩაემწკრივებიათ. წინათაც ასე იყო...

— მადმუაზელი... რისგან... მოკვდა? — ჰკითხა ანტუანმა ეიზს; ეტლის ყანყალი ხმას უწყვეტდა.

ეიზმა სწრაფად მოიხედა.

— რისგან? საცოდავი მამიდა... რომ იტყვიან, სული დალია. კუჭი, თირკმლები, გული აღარ უვარგოდა. მთელი კვირეების განმავლობაში კუჭის მოქმედება არ ჰქონდა. წინა ღამეს გულის ცემა შეუწყდა. — ერთხანს შეჩერდა, — ვერ წარმოიდგენ, როგორ შეეცვალა ხასიათი იმის შემდეგ, რაც „თავშესაფარში" გადავიდა საცხოვრებლად... საკუთარი თავის მეტი არავინ აინტერესებდა... მთავარი იყო მისი რეჟიმი, მისი ჯანმრთელობა, შემნახველი სალაროს წიგნაკი! აწვალებდა მომვლელებს, მონაზვნებს. ჰო! ჰო! ყველას უჩიოდა: ეჩვენებოდა, რომ ყველა მას სდევნიდა. იქამდე მივიდა, მეზობელ ქალს ქურდობა დასწამა: მთელი დავიდარაბა ატყდა... დღეები ისე გადიოდა, წყალსაც არ სვამდა, დაიჩემა, მომვლელებს ჩემი მოწამვლა უნდათო!..

ეიზი გაჩუმდა, არც არავინ იღებდა ხმას, მაგრამ ანტუანის დუ-

მილი ცუდად ენიშნა, ეგონა, მსაყვედურობსო, რადგან ბოლო ხანებში ჟიზს სინდისი ქენჯნიდა: გამუდმებით ეკითხებოდა თავს, შეასრულე თუ არა მთელი ის მოვალეობა, რაც მამიდაჩემის მიმართ მქონდაო ... „მე ხომ მან გამზარდა, მე კი დრო ვიხელთე და მივატოვე, „თავშესაფარში“ თითქმის არ ვნახულობდი...“ — ფიქრობდა ჟიზი.

— მეზონში, — ხმა ისე აიმაღლა, თითქოს თავს იმართლებსო,— იმდენი დრო მიაქვს ჰოსპიტლის საქმეებს... ალბათ, გამიგებ, ძალიან მიჭირდა იქიდან წამოსვლა. განსაკუთრებით, ბოლო თვეებში: დიდი ხანია მამიდა არ მენახა, და აი, გასულ თვეში, როგორც კი მომწერა წინამძღვარმა, მაშინვე მივატოვე ყველაფერი და წამოვედი. არასოდეს დამავიწყდება... საცოდავი მამიდა... ოთახის კუთხეში ჩემოდანზე იჯდა პერანგისა და ქვედა კაბის ამარა, იქვე მისი კაბები ეკიდა... დაბნეული სახე ჰქონდა, თეთრი ქუდი კულულებზე ჩამოფხატოდა, ცალ ფეხზე წინდა ეცვა, ცალი — ტიტველი ჰქონდა. ისე იყო გამხდარი, ჩონჩხი გეგონებოდა. შუბლი გამობურცვოდა, ლოყები ჩავარდნოდა, კისერი გაწვრილებოდა... მაგრამ საოცარია, მის ტიტველ ფეხს კვლავაც ახალგაზრდული, თითქმის ბავშვის სინორჩე შერჩენოდა... არაფერი არ უკითხავს, არც ჩემი ამბავი, არც სხვისი. მაშინვე მეზობლებზე, მონაზონებზე, მოჰყვა ჩივილს. მერე თავისი სეკრეტერი გახსნა. ხომ გახსოვს? უნდოდა ის უჯრა ეჩვენებია, სადაც დანაზოგს ინახავდა: „ხარჯები უნდა გადავიხადოო“ და უცებ დაკრძალვაზე ჩამომიგდო სიტყვა: „მეტს ვეღარ მნახავ. მალე მოვკვდები!“ მერე მითხრა, შენ ნუ გეშინია, წინამძღვარს ვეტყვი და საახალწლო საჩუქრებს გამოგიგზავნისო. გახუმრება ვცადე: „მამიდა, შენ უკვე ათი წელია გვიმტკიცებ, მალე მოვკვდებიო“. გამიჯავრდა: „გაიგე, სიკვდილი მინდა! დ ა ვ ი ღ ა ლ ე ც ხ ო ვ რ ე ბ ი თ!“ მერე ფეხზე დაიხედა: „ნახე რა პაწაწინა ფეხი მაქვს. შენ კი მუდამ ბიჭის ტორები გქონდა!“ წასასვლელად რომ წამოვდექი, მინდოდა მეკოცნა, ხელი მკრა: „ნუ მკოცნი, ცუდი სუნი მდის, ს ი ბ ე რ ი ს ს უ ნ ი...“ და აი, მაშინ შენ გახსენა. უკვე კარებთან ვიყავი, მიხმო: „იცი, ექვსი კბილი დამძვრა. აი, ასე ბოლოკივით ვიგლეჯ!„ გადაიკისკისა, ხომ გახსოვს როგორი სიცილი იცოდა? „ექვსი კბილი... ეს ამბავი ანტუანს უამბე... თუ ჩემი ნახვა სურს, იჩქაროს!“

ანტუანი აღელვებით უგდებდა ყურს. ბოლო ხანებში ავადმყო-

ფობაზე, სიკვდილზე საუბარს ცნობისწადილით უსმენდა. ამას გარდა, ეიზის ლაპარაკი საშუალებას აძლევდა თავი დაეზოგა და თვითონ ხმა არ ამოეღო.

— მაშინ უკანასკნელად ნახე?

— არა. ორი კვირის შემდეგ ხელახლა ჩამოვედი. მომწერეს, ეზიარაო. ოთახში ბნელოდა. მამიდა დღის შუქს ვერ იტანდა... მომვლელმა მართამ საწოლთან მიმიყვანა. მამიდა ბუმბულის საბანში მოკრუნჩხული იწვა. ისე დაპატარავებულიყო... მართა შეეცადა გარინდებიდან გამოეყვანა: „აგერ, თქვენი საყვარელი ეიზი მოვიდა!". ბუმბულის საბანი შეირხა. არ ვიცი, მიხვდა თუ არა, მიცნო თუ არა. უცებ გარკვევით თქვა: „რა დიდხანს გასტანა!" ერთი წუთის შემდეგ დაუმატა: „ომზე რა ისმის?" დავიწყე მოყოლა, მაგრამ ეტყობა, ვერაფერს მიხვდა. რამდენჯერმე შემაწყვეტინა: „ახალი რაა?" როცა შუბლზე კოცნა დავუპირე, ხელი მკრა: „არ მინდა, თმას ამიწეწ". საცოდავი მამიდა... „არ მინდა, თმას ამიწეწ!" — აი, ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ბატონმა შალმა ცხვირსახოცით ამოიწმინდა თვალები. შემდეგ გულდასმით დაკეცა და უკმაყოფილოდ წაილაპარაკა:

— ჰოდა, ეს არ უნდა გექნათ... თმა არ უნდა აგეწეწათ!

ეიზმა სწრაფად დახარა თავი: მისდაუნებურად, ბავშვურმა, ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. ანტუანმა თვალი შეასწრო ამ ღიმილს და უცებ ეიზი ძალიან ახლობელ ადამიანად იგულა ხელახლა: კვლავაც „ზანგის გოგო" უნდოდა დაეძახნა, წინანდებურად გამოეჯავრებინა.

კარეტა შამპერეს ჭიშკარს მიუახლოვდა და უცილებელი ფორმალობის შესასრულებლად შეჩერდა. მოედანზე ბრეზენტგადაფარებული, შენიღბული საზენიტო ქვემეხები, ზარბაზნები და პროჟექტორები იდგა; იქვე ახლოს ყარაულები მიდი-მოდიოდნენ.

როცა კარეტა ისევ დაიძრა და ლევალუას ხმაურიან ქუჩაზე არახრახდა, ბატონმა შალმა ამოიოხრა:

— ოჰ, ჩვენი კეთილი მადმუაზელი მაინც ბედნიერი იყო „მოხუცთა თავშესაფარში!" ჩემ თავსაც ასეთ საყუდელს ვუსურვებდი, ბატონო ანტუან: მამრთა თავშესაფარს, ოღონდ კეთილმოწყობილს, რასაკვირველია.... სიმშვიდე იქნება... არავითარი საზრუნავი აღარ შექნება... — სათვალეები მოიხსნა, გაწმინდა. უსათვალეებოდ თბილი, აღტყინებული გამოხედვა ჰქონდა, — მამათქვენის დანიშნულ

რენტას ოჯახს დავუტოვებდი, — განაგრძო მან, — მე კი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავშესაფარში ვიქნებოდი... დილით ლოგინში ვინებივრებდი, ჩემს საქმეებზე ვიფიქრებდი... ერთი თავშესაფარი დავათვალიერე ლანიში. მაგრამ ამჟამად იმ მხარეს ცხოვრება სახიფათოა... ამ „ბოშების" გადამკიდე, განა შეიძლება მშვიდად იყო?! თანაც მათი ბომბსაფარი რას ჰგავს?!. არა, ეს არაა ნამდვილი ბომბსაფარი. ახლა კი ისეთი დროა, ნამდვილი ბომბსაფარია საჭირო!.

იგი ისე წუწუნებდა, ახლა ისეთი დროაო, და შავხელთათმანიანი ხელით ისე იფარავდა სახეს, იტყოდით ავისმაუწყებლისგან იცავსო თავს. შვედური ხელთათმანები დიდი ჰქონდა და გაცვეთილი ბოლოები ლოკოკინის კუდებივით საძაგლად იგრიხებოდა.

ანტუანი და ჟიზი ხმას არ იღებდნენ. აღარც ეღიმებოდათ.

— ახლა ვერაფრის იმედით იქნები, ვერსად მშვიდად ვერ იქნები, — ისევ აწუწუნდა ბატონი შალი, — ღამით, განგაშის დროს... როცა საიმედო ბომბსაფარი გაქვს... მაშინ კიდევ ჰო, მშვიდად იქნები... ჩემი სახლის პირდაპირ, ცხრამეტ ნომერში კარგი, ნამდვილი ბომბსაფარია...

ანტუანს ხველა აუტყდა და ბატონი შალი წამით გაჩუმდა, ბოლოს დასძინა:

— იცით, ბატონო ანტუან, ახლა ისეთი დროა, აჯობებს, ღამით ბომბსაფარში დარჩეთ!

გრძელი გალავნის გასწვრივ ცხენებმა ნაბიჯი შეანელეს.

— აქ უნდა იყოს! — თქვა ჟიზმა.

— აქედან სად წახვალ? — ჰკითხა ანტუანმა და რყევისგან გამოწვეული ტკივილი რომ შეენელებია, ზურგით მაგრად მიეყრდნო „კარეტის" საზურგეს.

— რა თქმა უნდა, შენთან, უნივერსიტეტის ქუჩაზე... ორი დღეა იქ მძინავს.... კარეტა სახლამდე მიგვიყვანს, ფული უკვე გადახდილია.

— ჯობს ტაქსი დავიქირაოთ, — ღიმილით ურჩია ანტუანმა. იმის შემდეგ, რაც ამ ტახტრევანში ჩაჯდა, ისე გაწვალდა, იქედან გადმოსვლისაც ისე ეშინოდა, მტკიცედ გადაეწყვიტა, შინ დასაბრუნებლად ტრანსპორტის სხვა საშუალება გამოენახა.

ჟიზმა გაკვირვებით შეხედა, მაგრამ არაფერი უკითხავს. კარეტა სასაფლაოს ეზოში შევიდა.

— ყველა დავაკარი, შეგიძლია ათი წუთი გაუძლო?

— თუ გინდა ოცსაც გავუძლებ.

უნივერსიტეტის ქუჩაზე ანტუანი თავის კაბინეტში საწერი მაგიდის წინ უნაგირივით გადაჯდომოდა სკამს. ზურგზე რვა კოტოში ეკრა.

— მოიცა, არ გაცივდე! — უთხრა ეიზმა, სავარძლიდან თავისი წამოსასხამი აიღო და მხრებზე მოახურა.

„რა კეთილი და გულისხმიერია! — გაიფიქრა ანტუანმა და აფორიაქდა, რადგან იგრძნო, წინანდელი სიყვარული ჯერაც არ განელებოდა. — ბოლო ხანებში რატომ გავურბოდი? წერილებს რატომ არ ვწერდი?“ უცებ თავისი პალატა მოაგონდა მუსკიეში, სადაც ექვსი „გეოლ“ ფეხაშვერილი იდგა სარკის ზემოთ, მოაგონდა საერთო სუფრა, ეოზეფის მზრუნველი, მაგრამ უხეში ხელი. „კარგი იქნებოდა აქ რომ შემეძლოს დარჩენა, ეიზი მომივლიდა!“

— კარს ღიად ვტოვებ, — უთხრა ეიზმა, — თუ დაგჭირდე, დამიძახე! წავალ, „სალაფავს“ მოვამზადებ.

— არა, ოღონდ „სალაფავი“ არ მოამზადო! — უკმეხად თქვა ანტუანმა —არა! არა! ამ ოთხ წელიწადში ყელში ამომივიდა ეს „სალაფავი“.

ეიზს გაეღიმა, ოთახიდან გავიდა და ანტუანი მარტო დატოვა.

მარტოდმარტო დატოვა თავის ძველ ოცნებასთან: საკუთარ კერასაც დაუბრუნდა და ქალის სითბომაც დაისადგურა მის სასთუმალთან! ასევე მარტოდ მარტო დარჩა ს უ ნ თ ა ნ აც: როგორც კი წინოთახში შედგა ფეხი და კეპი იმავე საკიდარზე ჩამოსდო, სადაც ოდესღაც ქუდს ჰკიდებდა, ამ სუნმა მაშინვე გააბრუა. ფართოდ დაბერა ნესტოები და დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობით ყნოსავდა საკუთარი სახლის სუნს; ეგონა, გადავიწყებული ჰქონდა, მაგრამ მაშინვე იცნო; ოდნავ საგრძნობი, ბუნდოვანი, თითქმის გაურკვეველი სუნი კედლებიდან, ხალიჩებიდან, ფარდებიდან, სავარძლებიდან და წიგნებიდან თითქოს ერთბაშად მოდიოდა და შალის, მასტიკის, თამბაქოს, ტყავის, წამლების სხვადასხვანაირ, ერთმანეთში არეულ ამ სუნს მთელი სართული გაეჟღინთა...

სასაფლაოდან ლიონის სადგურზე შეიარა, ჩემოდანი წამოიღო და ეს გზა დაუსრულებლად მოეჩვენა. აუტანელ ტკივილს გრძნობ-

და ფერდში, სულის ხუთვაც გაუხშირდა; ტაქსიდან ისეთი ქანცმილეული გადმოვიდა, საშინლად გაკიცხა თავი, რატომ ჩამოვედიო. კიდევ კარგი, წამლები თან წამოიღო და ნემსის გაკეთების შემდეგ სულის ხუთვამ გაუარა. მერე მისივე მეთვალყურეობით ჟიზმა რვა კოტოში დააკრა; შედეგიც მალე იგრძნო: ბრონქები ჩაეწმინდა, სუნთქვაც აღარ უჭირდა.

გამხდარი მკლავები სკამის საზურგეზე გადააჯვარედინა, სხეული დაძაბა, თავი წინ წახარა და ნაცნობ ნივთებს ალერსიანად მოავლო თვალი. არ ეგონა თუ ასე ააღელვებდა თავისი ბინის, პატარა საწერი მაგიდის ნახვა. აქ არაფერი შეცვლილა. ჟიზმა ხელის ერთი მოსმით მოხადა შალითა ავეჯს, სავარძლები თავ-თავიანთ ადგილას დაალაგა, დარაბები გახსნა, ფარდები ნახევრად ჩამოსწია. არაფერი შეცვლილა და მაინც ყველაფერმა გააოცა: ოთახი, სადაც წინათ უყვარდა ყოფნა კიდეც იცნო და თანაც უცხოდ მოეჩვენა. სწორედ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ბავშვობის მოგონება ერთბაშად ჰალუცინაციის სიზუსტით რომ ამოტივტივდება ხოლმე სრული დავიწყების შემდეგ. ახლო მეგობარივით შესცქეროდა მშვენიერ, თამბაქოსფერ ხალიჩას, ტყავის სავარძლებს, დივანს, ბალიშებს, ბუხარს, საათს, ბრას, წიგნის თაროებს. „ნუთუ მართლა სერიოზულ მნიშვნელობას ვაწერდი ამ ბინის კეთილმოწყობას?! — გაიფიქრა მან. ოთხი წლის მანძილზე ერთხელაც არ მოგონებია თაროზე დალაგებული წიგნები, თუმცა თითოეულის სახელწოდება ისე ზუსტად ახსოვდა, თითქოს წინადღით გადაეთვალიერებიოს. თითოეული ნივთი, ავეჯი — მრგვალი მაგიდა, კუს ბაკნის საჭრელი დანა, დრაკონიანი ბრინჯაოს საფერფლე, პაპიროსების ყუთი — თავისი ცხოვრების სხვადასხვა მომენტს აგონებდა; იცოდა, სად და როდის იყიდა. ახსოვდა თითოეული მადლიერი პაციენტი; შეეძლო ახლაც ზუსტად აეწერა მათი ავადმყოფობის ყოველი ფაზა; ახსოვდა ანას ყოველი მოძრაობა, ხალიფის ესა თუ ის მოსაზრება, მამამისის ხსოვნაც არ გამქრალა მისი მეხსიერებიდან: ეს კაბინეტი ხომ ოდესღაც ბატონი ტიბოს ტუალეტის ოთახი იყო! საკმარისია თვალი დახუჭოს და მაშინვე მოაგონდება წითელი ხის უზარმაზარი პირსაბანი, სარკიანი კარადა, წითელი სპილენძის ფეხის აბაზანა, კუთხეში მიგდებული კაწაპი... ეს ოთახი ისეთივე რომ დარჩენილიყო, როგორიც ბავშვობაში ენახა, ალბათ, ნაკლებად გააოცებდა, ვიდრე ახლა, მის მიერ გადაკეთებულს რომ უყურებდა.

„უცნაურია, — გაიფიქრა ანტუანმა, — ახლახან, სადარბაზოში რომ შემოვედი, ასე მეგონა ჩემს ბინაში კი არ შევდიოდი, არამედ მამაჩემის ბინაში!“

თვალები გაახილა და დივანთან, დაბალ მაგიდაზე ტელეფონის აპარატს მოჰკრა თვალი. უცებ ის ახალგაზრდა კაცი წარმოუდგა თვალწინ, ამ ტელეფონით რომ საუბრობდა: ჯანსაღი, საკუთარი ჯან-ღონით გაამაყებული, ბრძანების მოყვარული, მუდამ აფუსფუსებული, მუდამ ბედნიერი იმით, რომ ქვეყანაზე არსებობს და მოქმედებს. იმ ახალგაზრდა კაცსა და მას, ომის ოთხი წელი, აღშფოთება და დაფიქრება აშორებდა ერთმანეთისგან; მათ შორის ჩადგა ტანჯვაში გატარებული თვეები, ჯანმრთელობის მოულოდნელი დაკარგვა, ნაადრევი სიბერე, წამდაუწუმ რომ აგონებდა თავს. ერთბაშად მოეშვა და სკამის საზურგეს მიაყრდნო თავი. აწმყომ სრულიად წაშალა წარსული, მამა, ქაკი, მადმუაზელი — ყველანი გაქრნენ. ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის მიღმაღა ხედავდა თავისი ოჯახის წინანდებურ ცხოვრებას. რას არ მისცემდა, ოღონდაც ძველი დრო დაბრუნებოდა! ახლანდელ სევდას შეერია ნაღველი იმაზე, რაც აღარ იყო. მარტო დარჩენისა იმდენად შეეშინდა, კინაღამ ქიზი მოიხმო. მაგრამ მაინც ეყო ძალა და თავი შეიკავა, სინამდვილეს თვალი გაუსწორა. მთელი ეს ახლანდელი გუნება-განწყობილება შერყეული ჯანმრთელობის ბრალია. მთავარია, გამოჯანსაღდეს. ერთბაშად გადაწყვეტილება მიიღო: სასწრაფოდ სერიოზულად უნდა მოელაპარაკოს თავის მასწავლებელს, პროფესორ ფილიპს, ერთად უნდა გამოძებნონ უფრო ეფექტური და სწრაფი მკურნალობის საშუალება. მუსკიეში ჩატარებულმა მეთოდებმა საბოლოოდ დაასუსტა. უცნაურია, ასე ძალიან რატომ გახდა? ფილიპი დაეხმარება, ჯანმრთელობას აღუდგენს... ფილიპი... ქიზი... ფიქრები ერთმანეთში აერია. ქიზი მუსკიეში უნდა წაიყვანოს... უნდა გამოჯანსაღდეს... უცებ ჩათვლიმა.

* * *

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოეღვიძა. ქიზი სავარძლის სახელურზე იჯდა და უყურებდა. წარბები შეეკმუხნა, დაფიქრებულიყო, შეწუხებული ჩანდა. ანტუანმა მის სახეზე ადვილად ამოიკითხა, რაზეც ფიქრობდა, რადგან ქიზს არასოდეს ეხერხებოდა რაიმეს დამალვა.

— დავმახინჯდი, ხომ?

— არა, ოღონდ გამხდარხარ.

— შემოდგომის შემდეგ ათი კილო დავიკელი წონაში.

— ახლა უკეთ ხარ?

— გაცილებით.

— ოდნავ ხმა გაქვს... მოგუდული.

(ჟიზი კარგად ამჩნევდა მთელ იმ ცვლილებას, რაც ანტუანის გარეგნობას ეტყობოდა, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ ეს სუსტი, ჩახლეჩილი ხმა აოცებდა).

— ახლა რა უშავს! ზოგჯერ, განსაკუთრებით დილით, სულ მეკარგება.

ორივე გაჩუმდა. მერე ჟიზი სავარძლიდან წამოხტა.

— მოვხსნა?

— მოხსენი, თუ გინდა.

ჟიზმა სკამი ახლოს მისწია, ანტუანის გვერდით ჩამოჯდა, რომ არ გაციებულიყო წამოსასხამის ქვეშ შეუყო ხელი და ფრთხილად შეუდგა კოტოშების მოხსნას. სათითაოდ იწყობდა მუხლებზე, შემდეგ წინსაფრის კიდეებს ხელი ჩაავლო და კოტოშები გასარეცხად წაიღო.

ანტუანი წამოდგა; გაცილებით უკეთ სუნთქავდა, სარკეში გაძვალტყავებული, ოისფერი წრეებით დაფარული ზურგი შეათვალიერა და ჩაცმას შეუდგა.

სასადილო ოთახში რომ შევიდა, ჟიზი უკვე სუფრას ალიდა. ანტუანმა თვალი შეავლო სასადილო ოთახს, კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ ოციოდე სკამს, მარმარილოს თაროიან ბუფეტს, ოდესღაც ლეონის პოსტს რომ წარმოადგენდა.

— იცი, — თქვა მან, — როგორც კი ომი დამთავრდება, ამ სახლს გავყიდი.

ჟიზს გაოცებისგან თეფში ხელში შერჩა, შემობრუნდა და ანტუანს მიაჩერდა.

— სახლს გაყიდი?

— არც ავეჯიდან დავიტოვებ არაფერს. არაფერს. პატარა ბინას დავიქირავებ, უბრალოს და მოხერხებულს... მე...

გაღიმა. თვითონაც არ იცოდა, რას გააკეთებდა, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული იყო: წინააღმდეგ იმისა, რაც დღეს დი-

ლამდე სწამდა, ძველებურ ცხოვრებას აღარასოდეს დაუბრუნდებოდა.

— ესკალოპი, ვერმიშელი კარაქით, ხენდრო... კმაყოფილი ხარ? — წაიბუტბუტა ჟიზმა. ვერ მიმხვდარიყო, რამ შეაძულა ეს ბინა, აკი თვითონვე მოაწყო ასე გემოვნებით! ჟიზს მუდამ აკლდა წარმოდგენის უნარი და მომავლის გეგმებიც არასოდეს აინტერესებდა.

— ასე რატომ გაისარჯე, ჩემო პატარა ფერია? — უთხრა ანტუანმა და გაშლილ სუფრას გადახედა.

— ათი წუთიც და ყველაფერი მზად მექნება. ოღონდ ესაა, ხელსახოცები ვერსად ვიპოვე.

— მე თვითონ მოვძებნი.

თეთრეულის საკუჭნაოში დასაკეცი საწოლი იდგა, გაშლილი და აულაგებელი. საწოლზე, ლეიბის ჩაღრმავებულ ადგილას კრიალოსანი ეგდო. სკამებზე ტანსაცმელი ეყარა. „ბოლო ოთახში რატომ არ ათევს ღამეს?“ — გაიფიქრა ანტუანმა.

ჯერ ერთი განჯინა გამოაღო, მერე მეორე, შემდეგ მესამე: სამივე განჯინა ახალთ-ახალი თეთრეულით იყო სავსე: ზეწრები, ბალიშისპირები, საბანაო ხალათები, ჩვრები, ექიმის წინსაფრები, ჯერაც გაუხსნელი და წითელი ზონარით შეკრული თეთრეულის პაკეტები. მხრები აიჩეჩა: „რა სისულელეა... მხოლოდ აუცილებელი უნდა დავიტოვო. დანარჩენი ჩამოფასებული საქონლის მაღაზიაში უნდა გაიგზავნოს!“ მერე ხელსახოცების პაკეტიდან ორი ცალი გამოაძრო.

„დალახვროს ეშმაკმა! მივხვდი! აქ იმიტომ იძინებს, ჟაკის ოთახში არ უნდა ღამის გათევა!“

ნელი ნაბიჯებით გაუყვა დერეფანს, უგულისყუროდ ეხებოდა ზეთის საღებავის შეღებილ კედლებს, კარებს აღებდა და ისეთი ცნობისმოყვარეობით იხედებოდა ოთახებში, იტყოდით სხვის ბინას ათვალიერებსო.

წინოთახში დაბრუნდა და მისაღები კაბინეტის ორსაგდულიანი კარის წინ შეჩერდა. შეყოყმანდა. ბოლოს მაინც გამოსწია სახელური.

დარაბები დახურული დახვდა. შალითებში გახვეული ავეჯი წიგნის კარადებთან მიედგათ. ამიტომ ოთახიც უფრო ვრცელი ჩანდა. მზე დარაბების ჭრილებიდან ძლივს აღწევდა და ამ ბუნდოვან

შუქზე კაბინეტი უზარმაზარ პროვინციალურ სასტუმრო ოთახს წააგავდა, სადაც სტუმრების ჩამოსვლის დღეს შედიან ხოლმე.

1914 წლის ივლისის უკანასკნელი დღეები გაახსენდა; შტუდლერის მიერ მოტანილი გაზეთები, კამათი, შიში... მოაგონდა ჟაკის ვიზიტიც: „მგონი მაშინ ჟენისთან ერთად მოვიდა! სწორედ მობილიზაციის დღეს...“

კარის დირეს მიეყრდნო, წინ გადახრილიყო და ნელ-ნელა იყნოსავდა იქაურ სუნს: იგივე ს უ ნ ი ა, ოღონდ უფრო მდგრადი, უფრო მაგარი, ვიდრე სხვა ოთახებში და თანაც სულ სხვანაირი, კეთილსურნელოვანი... შუა ოთახში უზარმაზარი საწერი მაგიდა იდგა, ზედ ზეწარი გადაეფარებინათ და საბავშვო კატაფალკას წააგავდა.

— ნეტა ზედ რა დაახვავეს?

როგორც იქნა, გადაწყვიტა ოთახში შესვლა. ზეწარი ასწია. საწერი მაგიდა გაზეთებითა და ბროშურებით იყო მოფენილი. ომის დაწყების პირველი დღიდან კონსიერჟს ამოჰქონდა ბროშურების, კატალოგების, გაზეთების, ჟურნალებისა და ლაბორატორიებიდან გამოგზავნილი პროსპექტების მთელი შეკვრა.

— მაინც რა სუნი დგას? — გაიმეორა მან. რაღაც სხვანაირი, მძიმე, ოდნავ ბალზამისებური სურნელი ერეოდა ნაცნობ სუნში.

ანტუანმა მექანიკურად გახია ერთი ბანდეროლი, სადაც სამედიცინო ჟურნალი იდო და გადაფურცლა. ერთბაშად რაშელი მოაგონდა. რატომ რაშელი? და არა ანა? რატომ მაინცა და მაინც ის, ვინც ამ სახლში არასოდეს შემოსულა და ვისზედაც რამდენიმე თვეა ერთხელაც არ უფიქრია? ნეტა რა მოუვიდა? სადაა? ალბათ, სადმე ტროპიკებში, თავის ირშთან ერთად, შორს ევროპიდან, შორს ომიდან!“ რამდენიმე ბროშურა ბუხრის თავზე ჩამოსდო, მუსკიეში უნდოდა წაეღო. „ამ ჟურნალებში ახლა მხოლოდ ხანშიშესული ექიმები იბეჭდებიან, ვისაც მობილიზაცია არ შეხებია... მათ ბედმა გაუღიმა. სარგებლობენ შემთხვევით და ჩაწოლილ საქონელს ბეჭდავენ!“. სარჩევს გადაავლო თვალი. ზოგჯერ ფრონტის ჰოსპიტლიდან გამოგზავნილი სტატიებიც ხვდებოდა: რომელიღაც ახალგაზრდა ექიმს, ეტყობა, თავისუფალი დრო მოუხელთებია და საინტერესო შემთხვევას აღწერდა. უმეტესად დასტაქრების სტატიებია... „ზოგი ჭირი მარგებელია: ომის წყალობით ქირურგია წინ წავიდა...“ ანტუანი გაზეთების ამ ზვინში იქექებოდა, ალალბედზე ამო-

აძრობდა ხოლმე რომელიმე ბროშურას და ბუხრის თავზე გადასდებდა. „ბავშვთა სასუნთქი ორგანოების დაავადებაზე სტატიის დამთავრება რომ შემეძლოს, სებიონი აუცილებლად დამიბეჭდავდა თავის ჟურნალში!..“

მისი ყურადღება ჭრელ-ჭრელ მარკიანმა ბანდეროლმა მიიპყრო; ანტუანმა სხვა პაკეტებიდან განსხვავებული ეს ბანდეროლი ხელში აიღო და რატომღაც დაყნოსა: ის უცნაური სუნი ხელახლა ეცა. დაინტერესდა. ნესტოები დაებერა. მერე გამომგზავნელის სახელი წაიკითხა კონვერტზე: „მადმუაზელ ბონე. კონაკრის ჰოსპიტალი. საფრანგეთის გვინეა“. მარკას 1915 წლის შტამპი ეკრა. სამი წლის წინანდელი. გაოცებული ანტუანი ხელში ატრიალებდა პაკეტს. წამალია? სუნამო? ზონარი გაწყვიტა და ლურსმნებით დაჭედილ სწორკუთხა ფორმის მოწითალო ხის ყუთს ქაღალდები შემოაცილა. „ჰმ... ამის გასხნა არც ისე ადვილია...“ მიმოიხედა, იარაღს ეძებდა. ხელი კინაღამ აიღო გადაწყვეტილებიდან, მაგრამ უცებ გაახსენდა, ჯიბეში ჯაყვა ედო. დანის პირი ჭრიალით შეცურდა ყუთის კიდეებში; ოდნავი დაწოლა და სახურავი აიხადა. მძაფრი სუნი მოხვდა სახეში, აღმოსავლური ნელსაცხებლის, ზიმირის, საკმეველის ნაცნობი სუნი, ოღონდ ჯერჯერობით მაინც ვერ გაეხსენებია, რა იყოს ეს. ფრთხილად, ფრჩხილის ბოლოთი გადააცილა ნახერხის ფენა: პატარა, მოყვითალო ბურთულები გამოჩნდა, პრიალა და მტვრიანი. და აი, უცებ გამოცოცხლდა წარსული: ეს ყვითელი ბურთულები... მუშკის სურნელოვანი ქარვის ყელსაბამი! რაშელის ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი!

ხელში აიღო, ფრთხილად გაწმინდა. თვალებში სითბო ჩაეღვარა. რაშელი... მისი თეთრი კისერი, კეფა... ჰავრი, „რომანიით“ გამგზავრება დილაადრიან... კი მაგრამ, ეს ყელსაბამი რას ნიშნავს? კონაკრელი მადმუაზელ ბონე ვინღაა? 1915 წლის მარტი... რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

დერეფანში ნაბიჯის ხმა მოესმა. ყელსაბამი სასწრაფოდ ჩაიდო ჯიბეში. ეიზი ეძებდა. სადილად უხმობდა. კარებში იდგა და ჰაერს ყნოსავდა.

— რა უცნაური სუნია!

ანტუანმა ზეწარი ხელახლა გადააფარა ბროშურებისა და წამლების გროვას.

— მთელი ფარმაცევტული პროდუქცია აქ დაუხვავებიათ...

— არ მოდიხარ? სადილი მზადაა.

ანტუანი გაჰყვა. ხელი ჯიბეში ჩაიყო და იგრძნო: ცივი ბურთულები თანდათან თბებოდა მის ხელის გულზე. რაშელის თეთრყირმიზა სხეული თვალწინ წარმოუდგა.

IV

გრძელ მაგიდას გვერდი-გვერდ მიუსხდნენ. ჟიზმა პირდაპირ უთხრა: — ახლა სერიოზულად მელაპარაკე შენს ჯანმრთელობაზე!

ანტუანი აიმრიზა. იგი მუდამ ხალისით ლაპარაკობდა საკუთარ თავზე, ავადმყოფობაზე, მკურნალობაზე, მაგრამ მაინც ესიამოვნებოდა როცა თხოვდნენ, და ჟიზის პირველ შეკითხვას აუჩქარებლად გასცა პასუხი. მაშინვე შეამჩნია, ჟიზის შეკითხვები საქმიანი რომ იყო: თურმე ამ პატარა ჟიზს, მუდამ რომ ბავშვად თვლიდა, სამი წლის მანძილზე ჰოსპიტალში მუშაობით სათანადო ცოდნა შეუძენია. ასე რომ, მედიცინაზე მასთან საუბარი შესაძლებელი ყოფილა! ამან კიდევ უფრო ახლობელი გახადა ჟიზი... როცა ანტუანმა დაინახა, ჟიზი ყურადღებით მისმენსო, დაწვრილებით აუწერა თავისი სნეულების მიმდინარეობა, ყველა ის ფაზა, რაც უკანასკნელ თვეებში გამოიარა. ჟიზს რომ არაფრად ჩაეგდო მისი დაავადება ან გამამხნევებელი სიტყვები არ დაეზოგა, ანტუანს, ალბათ, უფრო გაულრმავდებოდა შიში. მაგრამ ჯიზი ისეთი დაძაბული სახით უსმენდა, ისეთი შეწუხებული, ისეთი გამომცდელი თვალებით უყურებდა, გადაწყვიტა აღარ აეფორიაქებინა და ბოლოს ასე უთხრა:

— ბოლოს და ბოლოს, სულერთია, ამ სენს მაინც დავუძვრები ხელიდან! (გულის სიღრმეში ასეც ფიქრობდა). ადრე თუ გვიან ასეც მოხდება, — დაუმატა ღიმილით, — დაძვრენით კი დავიძვრენ თავს... მაგრამ საბოლოოდ გამოვკეთდები კი ოდესმე? აბა, შენ თვითონ წარმოიდგინე! ხეიბარი რომ დავრჩე, დაავადებული ყელითა და დაზიანებული სახმო სიმებით, განა ძველებურად შევძლებ მუშაობას? გაიგე, ჩემთვის არ კმარა, რომ ცოცხალი დავრჩები. არა, მე საპყარივით ვერ ვიცხოვრებ. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ წინანდებურად ჯანსაღი ვიქნები! ეს კი საეჭვოა...

ჟიზმა ჭამა შეწყვიტა, უნდოდა არაფერი გამოპარვოდა, ყველა-

ფერს მიმხვდარიყო. მრგვალი, გაოცებული, პირველყოფილი ადამიანის გულუბრყვილო და ერთგული თვალებით მიშტერებოდა. ეს გულისამაჩუყებელი ყურადღება, ამდენი ხნის მანძილზე რომ აკლდა მისგან ანტუანს, ახლა განსაკუთრებით სიამოვნებდა. დაიმედებულმა ხმადაბლა ჩაიცინა:

— ეს კი ნამდვილად საეჭვოა... თუმცა შეუძლებელი არაფერია. სიჯიუტეს თუ გამოიჩენ, შეუძლებელი არაფერია. აქამდე ყველაფერს ვაღწევდი, რაც კი გულით მეწადა. ჰოდა, ამჯერადაც რატომ არ უნდა მივაღწიო?.. რაკი მინდა გამოვჯანსაღდე, კიდეც გამოვჯანსაღდები.

უკანასკნელ სიტყვებზე ხმას აუმაღლა, დაახველა და იძულებული გახდა ლაპარაკი შეეწყვიტა. შეტევა ძალიან ძლიერი გამოდგა და რამდენიმე წუთსაც გაგრძელდა. ჟიზს თავი დაეხარა და მალულად უკვირდებოდა. თანაც თავს იმშვიდებდა: „რასაც მოინდომებს, კიდეც გააკეთებს. იმკურნალებს. გამოჯანმრთელდება!“ თავი ასწია: ანტუანს ხველა შეწყვეტოდა, მაგრამ ანიშნა, ერთხანს ვერ ვილაპარაკებო.

— წყალი დალიე! — ურჩია ჟიზმა და ჭიქაში წყალი დაუსხა. მერე თავი ვერ შეიკავა და შეკითხვა, ამდენი ხანია პირზე რომ ადგა, უცებ დაუსვა: — ჩვენთან რამდენ ხანს დარჩები?

ანტუანმა არ უპასუხა;. ამ თემაზე ლაპარაკს ერიდებოდა. სინამდვილეში, ოთხი დღით გამოუშვეს. მაგრამ გადაწყვიტა, ვადა შეემოკლებინა. ოთხი დაუსრულებელი დღით პარიზში დარჩენა არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებდა. მით უმეტეს, მკურნალობაშიც შეეშლებოდა ხელი და წარამარა იგრძნობდა დაღლილობას.

— რამდენი დღით? — გაუმეორა ჟიზმა — ერთი კვირა? ექვსი დღე? ხუთი?

ანტუანმა თავი გააქნია, ღრმად ამოისუნთქა და ღიმილით უთხრა:

— ხვალ მივდივარ.

— ხვალ? — ჟიზი ისე შეწუხდა, ხმა აუკანკალდა — მაშ, მეზონ-ლაფიტში არ წამომყვები?

— შეუძლებელია, ჩემო პატარა ჟიზ... ამჯერად შეუძლებელია... სხვა დროს... იქნებ, ზაფხულში...

— კი მაგრამ, მე ხომ კარგად არც მინახიხარ! თანაც ამდენი ხნის შემდეგ... ხვალ? ისიც კი არ შემიძლია, სანამ შენ აქა ხარ, პარიზში დავრჩე! ამ საღამოს მეზონ-ლაფიტში უნდა ჩავიდე. ხვალ

დილით მორიგეობა მიწევს, მელოდებიან. წარმოგიდგენია?!. სამი დღეა აქა ვარ, ჩემი წამოსვლის წინადღით კი ექვსი ახალი დაჭრილი მოიყვანეს.

— სამაგიეროდ მთელი დღე ერთად ვიქნებით! — უთხრა ანტუანმა.

— არა, ესეც შეუძლებელია! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა ქიზმა, — ახლავე უნდა გავიქცე „თავშესაფარში". მამიდას ბარგს, ავეჯს რაღაც უნდა მოვუხერხო, ოთახები უნდა დავცალო...

თვალებზე ცრემლი მოადგა. ასე სასოწარკვეთილი ანტუანს მრავალჯერ უნახავს იგი ბავშვობაში და ახლა ისევ გაუელვა თავში: „რა კარგი იქნებოდა, მუდამ გვერდით მყოლოდა, მისი მზრუნველობა, მისი სიყვარული მეგრძნო!"

აღარ იცოდა, რა ეთქვა. თვითონაც შეწუხდა, ასეთი ხანმოკლე რომ გამოდგა მათი შეხვედრა.

— იქნებ მოვახერხო ვადის გაგრძელება, — გაბედა და ეშმაკობას მიმართა, — ნამდვილად ვერაფერს გეტყვი... ყოველ შემთხვევაში ვეცდები...

ქიზს სიხარულით აუციმციმდა და კიდევ უფრო ლამაზი გაუხდა ცრემლით დანამული თვალები (ამანაც წარსული მოაგონა ანტუანს).

— ნამდვილად უნდა ეცადო! — წამოიძახა ქიზმა და ტაში შემოკრა, — რამდენიმე დღე მეზონში დარჩები ჩვენთან!

„ჯერაც ბავშვია! — გაიფიქრა ანტუანმა — ეს ბავშვური ხასიათი და ქალური მოწიფულობა დიდებულ კონტრასტს ქმნის!"

საუბარი რომ სხვა თემაზე გადაეტანა, ანტუანმა სერიოზულად ჰკითხა:

— ერთი ამიხსენი, როგორ მოხდა, რომ არავინ გამოგყვა პარიზში? მეზონ-ლაფიტი არც ისე შორსაა აქედან. დაკრძალვაზე მარტო როგორ გამოგიშვეს?

ქიზმა ხელები გაასავსავა:

— შენ წარმოდგენა არა გაქვს, რამდენი საქმეა იქ! არასგზით არ შეიძლებოდა... ჩემი ჩამოსვლის გამო, კიდევ უფრო გაუორმაგდათ სამუშაო!

უყურებდა ანტუანი ქიზის აღშფოთებულ სახეს და უნებურად გაეცინა. მის დასარწმუნებლად, ქიზი ვრცლად ჰყვებოდა ამბებს

ჰოსპიტალში მუშაობაზე, მეზონში ცხოვრების პირობებზე და ასე შემდეგ...

(1914 წლის შუა სექტემბრიდან, მარნის ოპერაციის * შემდეგ, ქალბატონ დე ფონტანენს მოსვენებას არ აძლევდა ერთი აზრი: უნდოდა რაიმე სასარგებლო გაეკეთებინა. და აი, გადაწყვიტა მეზონ-ლაფიტში ჰოსპიტალი მოეწყო. იქ, მამისგან მემკვიდრეობით მიღებული მამული ჰქონდა სენ-ჟერმენის ტყის პირას; მისმა მდგმურებმა, ინგლისელებმა, ომის გამოცხადებისთანავე დატოვეს საფრანგეთი; ძველი საგვარეულო აგარაკი დაცარიელდა. მაგრამ ჯერ ერთი, სახლი დიდი არ იყო, თანაც სადგურიდან შორს იდგა. მაშინ, ქალბატონმა დე ფონტანენმა თხოვნით მიმართა ანტუანს, ბატონი ტიბოს აგარაკი, რომელიც გაცილებით ვრცელიც იყო და „მშობლიურ მხარესთანაც" ახლოს, დაგვითმეთო. ანტუანი, რა თქმა უნდა, დათანხმდა. მაშინვე მიწერა ჟიზს პარიზში, ორივე მოახლესთან ერთად ქალბატონი დე ფონტანენისთვის ხელი შეეწყო აგარაკის გადაკეთებაში. თავის მხრივ, ქალბატონმა დე ფონტანენმა დაითანხმა თავისი დისწული ნიკოლი, დასტაქარ ეკეს მეუღლე, რომ ისიც მასთან ითანამშრომლებდა, მით უმეტეს, რომ ნიკოლს მოწყალების დის დიპლომი მიეღო. სასწრაფოდ შეადგინეს მმართველი კომიტეტი, რომელსაც სამხედრო დაჭრილთათვის დამხმარე საზოგადოება უწევდა კონტროლს. წლინახევრის შემდეგ სახელდახელოდ აღჭურვილი ტიბოს აგარაკი უკვე სანიტარული სამსახურის „ჰოსპიტალი № 7"-ის სახელწოდებით ირიცხებოდა და მზად იყო გამოჯანსაღებულთა პირველი ჯგუფი მიეღო. ამის შემდეგ ჰოსპიტალი № 7, რომლის სათავეში ქალბატონი დე ფონტანენი და ნიკოლი იდგნენ, ერთი დღეც არ ყოფილა ცარიელი).

ყოველივე ეს ანტუანმა წერილობით იცოდა. იგი ბედნიერი იყო, მამამისის მამული სასარგებლო საქმეში რომ გამოიყენესl განსაკუთრებით კი ის უხაროდა, ფონტანენების ოჯახმა ასე გულთბილად რომ შეითვისა ჟიზი; მისი პარიზში უსაქმოდ ყოფნა მუდამ აწუხებდა ანტუანს. მიუხედავად ამისა, დიდი ინტერესით მაინც არ ეკიდებოდა არც ჰოსპიტალ № 7-ის საქმიანობას, არც ფონტანენების აგარაკს, ბატონი ტიბოს ყოფილი მზარეულის, ჯანმაგარი კლოტილდას ხელმძღვანელობით უცნაურ ფალანსტერად რომ გადაექცეოთ; ამ აგარაკზე ცხოვრობდნენ ნიკოლი და ჟიზი, ფეხის ამპუტირების შემდეგ დანიელიც იქ ჩასულიყო და შვეიცარიიდან და-

ბრუნებული ქენიც იქვე დასახლებულიყო ბავშვთან ერთად. ამიტომ ანტუანი ყურადღებით უსმენდა ქიზს: ამ პატარა ოჯახის ცხოვრებამ, რაზედაც ანტუანი ხშირად არც ფიქრობდა, ერთბაშად რეალური სახე მიიღო მისთვის.

— ჩვენს შორის ყველაზე მეტად ქენია დასაქმებული! — აუხსნა წაუბრით გატაცებულმა ქიზმა, — იმის გარდა, რომ ჟან-პოლი ჰყავს მოსავლელი, თეთრეულის განყოფილებასაც განაგებს; წარმოგიდგენია ეს რას ნიშნავს? რეცხვა, უთაობა, დაკერება, ყოველდღიური ანგარიშწარმოება, ჰოსპიტლის თვრამეტ, ორმოც, ზოგჯერ ორმოცდახუთ ავადმყოფზე თეთრეულის განაწილება. საღამოს ქანცგაწყვეტილი ბრუნდება. დღის მეორე ნახევარს ჰოსპიტალში ატარებს, სამაგიეროდ, დილით აგარაკზე რჩება ბავშვთან... რაც შეეხება ქალბატონ დე ფონტანენს, იგი ავადმყოფებს არ შორდება, ბინაც იმ ოთახში დაიდო, საჯინიბოს თავზე რომ გვქონდა, ხომ გახსოვს?

ანტუანს უცნაურად ეჩვენა, რომ ქიზი (უმანკო მადმუაზელის ძმისწული) ასე ბუნებრივად ლაპარაკობდა ქენისა და მის დედობაზე. „მართალია, იმ ამბის შემდეგ უკვე სამი წელი გავიდა, — გაიფიქრა მან, — მაგრამ... იმას, რაც წინათ სასკანდალო საქციელად ჩაითვლებოდა, ახლა, ამ საერთო არეულობაში, არაფრად აგდებენ!“

— ნუთუ ისე აპირებდი პარიზში ჩამოსვლას, ჩვენი ბიჭუნა არ უნდა გენახა?..—საყვედურით ამოიოხრა ქიზმა,—ქენის საშინლად ეწყინებოდა.

— შენც აიღე და ნურავის ეტყვი, სულელო...

— არა. — უცნაურად დადინჯებული ტონით თქვა ქიზმა და თავი ჩაღუნა, — ქენის მე ვერასოდეს ვერაფერს დავუმალავ!

ანტუანმა გაოცებით შეხედა და გაჩუმდა.

— როგორ ფიქრობ, ვადას გაგიგრძელებენ? — ჰკითხა ქიზმა.

— ვეცდები.

— როგორ?

ანტუანი იძულებული იყო ხელახლა ეცრუა:

— რიუმელს ვთხოვ იმ სამხედრო დაწესებულებას დაურეკოს, ვისაც ეს საქმე ეხება.

— რიუმელი... — დაფიქრებით გაიმეორა ქიზმა.

— დღეს მაინც ვაპირებდი მასთან შევლას. იმის შემდეგ... აღარც

მინახავს. მინდა მადლობა გადავუხადო, ასე რომ გაისარჯა ჩვენი გულისთვის.

მთელი დღის განმავლობაში პირველად შეეხენ ქაკის სიკვდილის ამბავს. ეიზს ერთბაშად შეეცვალა გამომეტყველება და შავგვრემანი სახე წითელი ლაქებით დაეფარა.

(1914 წლის შემოდგომაზე ეიზს დიდხანს არ უნდოდა ერწმუნა ქაკის დაღუპვის ამბავი. მისი გამუდმებული დუმილი, ყენეველი მეგობრების ცნობა ქაკის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ, ყენისა და ანტუანის მტკიცება, სარწმუნო წყაროს არ წარმოადგენდა მისთვის და ჯიუტად ფიქრობდა: „...ომით ისარგებლა და ისევ გადაიმალა, ერთ მშვენიერ დღეს ისევე დაგვიბრუნდება, როგორც მაშინ!..“ და იგი გამუდმებით ელოდა ამ დაბრუნებას, თუმცა ცხრა დღიან ლოცვას მაინც არ აკლებდა! სწორედ იმ ხანებში დაუახლოვდა ყენის. პირველად ანგარებაც კი ედო საფუძვლად ამ დაახლოებას: „როცა ქაკი დაბრუნდება, ნახავს როგორ ვმეგობრობთ: მათ ცხოვრებაში მესამე პირად მიგულებენ. იქნებ, მადლობაც მითხრას, მისი აქ არყოფნისას ყურადღება რომ არ მოვაკელი ყენის...“ როცა რიუმელის საშუალებით ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავის ჩამოვარდნის ამბავი გაიგეს, როცა საკუთარი თვალით წაიკითხა ოფიციალური ცნობის ასლი, მხოლოდ მაშინ გახდა იძულებული, სინამდვილედ ჩაეთვალა მომხდარი უბედურება. მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში რაღაც ბუნდოვანი ინტუიცია მაინც არწმუნებდა, ზუსტი სიმართლე არ უნდა იყოსო. და ახლაც, ზოგჯერ გაიფიქრებდა: „ვინ იცის, იქნებ...“)

ანტუანის თვალებს რომ არ წაწყდომოდა, თავი დაეხარა. ერთხანს დუმდა, ცრემლებს ძლივს იკავებდა, თითქოს გულში რაღაც ჩაწყდაო. რომ არ აღრიალებულიყო, სწრაფად წამოდგა და საკუჭნაოს მიაშურა.

„როგორ დაქალებულა! — თვალი გააყოლა ანტუანმა და ინანა, მისდაუნებურად ფიქრები რომ აუშალა ეიზს — თეძოების, მკერდის, სხეულის მიხედვით, ათი წლით მეტს მისცემ, ოცდაათ წელს გადაცილებულსა ჰგავს!“

ჯიბიდან ყელსაბამი ამოიღო. ალუბლის კურკის ოდენა მორუხო-ტყვიისფერი მუშკის პატარა მარცვლებს ენაცვლებოდა ძველებური ქარვის ბურთულები, ფორმითა და ფერით მირაბელს რომ წააგავდნენ: ნახევრად მქრქალი, ნახევრად გამჭვირვალე, გადამწი-

ფებულ, მუქ-ყვითელ მირაბელს. ანტუანი მექანიკურად ატრიალებდა ყელსაბამს ხელში, ქარვა თბებოდა და ანტუანს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ყელსაბამი ეს-ესაა რაშელს კისრიდან ჩამოხსნაო...

ჟიზი შემოვიდა, ხელში ხენდროთი სავსე სინი ეჭირა და სახეზე კვლავაც ისეთი ნაღველი ეხატა, ანტუანს გული შეეკუმშა. როცა სინი მაგიდაზე დადგა, ვერცხლის სამაჯურიან შავგვრემან მაჯაზე ანტუანმა ალერსით გადაუსვა ხელი. ჟიზი შეკრთა; წამწამები აახამხამა... მზერა აარიდა, დაჯდა და თვალებზე ისევ მოადგა ორი ობოლი ცრემლი. მწუხარების დამალვა აღარც უცდია, უმწეო ბავშვივით გაუღიმა და ერთხანს ხმა ვერ ამოიღო.

— რა სულელი ვარ! — ამოიოხრა ბოლოს და ხენდროზე შაქრის ფხვნილის დაყრას შეუდგა. მერე საშაქრე მაგიდაზე დადგა და ნერვული მოძრაობით წელში გასწორდა — იცი, ანტუან, ყველაზე მეტად რა მტანჯავს? მის სახელს აღარავინ ახსენებს... ვიცი, ვგრძნობ, რომ ჟენი გამუდმებით ფიქრობს მასზე, ბიჭიც მხოლოდ იმიტომ უყვარს ასე ძალიან, რომ იგი ჟაკის შვილია... ჟაკი მუდამ ჩვენს შორისაა: ჟენისადმი სიყვარული ჟაკის ხსოვნამ ჩამინერგა. ასე რომ არ იყოს, განა ჟენი ასე ტკბილად მომექცეოდა, დასავით მომეპყრობოდა? მიუხედავად ამისა, ჩემთან არასოდეს, არასოდეს მას არ ახსენებს! თითქოს არის რაღაც ისეთი საიდუმლო, ორივეს რომ გვბოჭავს, თან სამუდამოდ რომ გვაკავშირებს, მაგრამ არასოდეს, ერთხელაც არ გადაგვიკრავს მასზე სიტყვა. მე კი, ანტუან, სწორედ ეს დუმილი მზარავს... ახლავე აგიხსნი, — სულმოუთქმელად განაგრძო მან, — ჟენი ამაყი, მიუკარებელია. იგი... ოო, ახლა მე უკვე კარგად ვიცნობ!.. იმდენად მიყვარს, სიცოცხლესაც არ დავიშურებდი, ასევე ბიჭისთვისაც! ოღონდ მაინც ვიტანჯები. ვიტანჯები მისი გულჩათხრობილობისა, მისი... არ ვიცი, როგორ გითხრა... იცი, ჩემი აზრით, მას ერთი ფიქრი მოსვენებას არ აძლევს: დარწმუნებულია, რომ მის გარდა ჟაკს არავინ იცნობდა. ჟენის ჰგონია, მხოლოდ მან გაუგო ჟაკს! ამ აზრს გაშმაგებით ჩაბღაუჭებია; მხოლოდ მას ესმოდა ჟაკის! ამიტომაც არ სურს მის შესახებ ვინმეს ელაპარაკოს. მითუმეტეს მე!.. მიუხედავად ამისა, მიუხედავად ამისა...

მსხვილი ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა ლოყებზე, სახე თითქოს ერთბაშად დაუბერდა, მაგრამ დარდი კი აღარ ეხატა, არამედ ვნე-

ბა, სიბრაზე, რაღაც ისეთი ველური გამომეტყველება, რაც ანტუანს ვერაფრით აეხსნა. დაფიქრდა. გაოცებული დარჩა: ვერასოდეს წარმოიდგენდა, ჟენი და ჟიზი ასე თუ დაახლოვდებოდნენ.

— არ ვიცი, იცოდა თუ არა... ჟაკისადმი ჩემი გრძნობები, — ხმადაბლა აღელვებით განაგრძო ჟიზმა, — ისე მინდა მასთან გულწრფელი ლაპარაკი! დასამალი რა მაქვს მასთან?.. მირჩევნია ყველაფერი იცოდეს! მინდა ისიც იცოდეს, რომ წინათ მეჯავრებოდა, ჰო... ძალიან მეჯავრებოდა!.. ახლა პირიქით, იმის შემდეგ, რაც ჟაკი აღარაა, მთელი ჩემი სიყვარული (ჟიზს თვალები აუელვარდა) ჟენიზე და მათ შვილზე გადავიტანე!..

ანტუანი თითქმის არ უგდებდა ყურს, შესცქეროდა მის ათრთოლებულ, შავგვრემან ქუთუთოებს, გრძელ წამწამებს, რომელთა გამუდმებული ხამხამის გამო გუგების ციალი შუქურის მოციმციმე სხივივით ხან ქრებოდა, ხან მკვეთრად ინთებოდა. ანტუანი იდაყვებით დაყრდნობოდა მაგიდას, ლოყა ხელის გულზე ჩამოედო და სიამოვნებით ისუნთქავდა თითებიდან მოდენილ მუშკის სურნელს.

— მთელ ჩემს ოჯახს ახლა ისინი წარმოადგენენ! — წამოიწყო ჟიზმა.

ეტყობოდა, ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა. — ჟენი დამპირდა, მუდამ ჩემთან გიგულებო...

„რომ შევთავაზო, დამთანხმდებოდა ჩემთან ეცხოვრა?“ — გაიფიქრა ანტუანმა.

— ჰო, დამპირდა. და აი, სწორედ ეს მიმსუბუქებს სიცოცხლეს. გესმის? ჟენისა და ჩვენი ბიჭის გარდა ჩემთვის აღარავინ არსებობს ამქვეყნად!

„არა, არ დამთანხმდება!“ — გადაწყვიტა ანტუანმა. მიუხედავად ჟიზის განცხადებისა, იგი გააოცა იმ შეუსაბამო, მრავლისმეტყველმა კილომ, რაც მის აკანკალებულ ხმაში იგრძნო ... “ალბათ, რამდენი გაურკვევლობაა ამ ორი ქალის სიახლოვეში, რამდენ გრძნობას იტევს ამ ო რ ი ქ ვ რ ი ვ ი ს გული! — გაიფიქრა მან. ეჭვი არ მეპარება, რომ უყვართ ერთმანეთი. მაგრამ რა თქმა უნდა, კიდეც ეჭვიანობენ... თანაც, ცოტაოდენი სიძულვილიც ურევია. ყოველივე ეს კი იმ მძაფრ ნარევს ქმნის, სიყვარულს რომ საშინლად ჰგავს!“

ჟიზი ისევ ლაპარაკობდა. ეს მის მონოლოგს, ჩივილს წააგავდა.

ამით, ეტყობოდა, შვებას გრძნობდა და ამიტომაც ვერ ჩერდებოდა:

— რა უცნაური ადამიანია ჟენი!.. კეთილშობილი, ენერგიული... შესანიშნავი! მაგრამ როგორი მკაცრია ყველას მიმართ! დანიელს სასტიკად, უსამართლოდ ექცევა... მეც... კარგად ვგრძნობ, რომ... ო, ამის უფლება ნამდვილად აქვს! მასთან შედარებით ვე აბა, რას წარმოვადგენ?! ოღონდ, მუდამ როდია მართალი! დაბრმავებულია, მხოლოდ საკუთარი თავისა სჯერა, ვერ წარმოუდგენია, სხვებიც ისევე ფიქრობდნენ, როგორც თვითონ... მე ხომ შეუძლებელს არ ვითხოვ? თუკი არ სურს, რომ ჟან-პოლი მამამისის რელიგიით იზრდებოდეს, კი ბატონო, მე რა შემიძლია, ჟენის გადარწმუნებას როგორ გაგბედავ!.. მაგრამ პასტორს მაინც მოანათლინოს! — ჟიზს მკაცრად აენთო თვალები, და ისევე, როგორც ოდესღაც მადმუაზელმა იცოდა, ჯიუტად გააქნია თავი და ბაგეები მოკუმა. — შენ როგორ ფიქრობ, მართალი არა ვარ? — წამოიძახა მან და ანტუანისკენ მიაბრუნა სახე. — რაკი ასე სურს, აღზარდოს პროტესტანტად, ოღონდ, ჟაკის შვილს ლეკვივით ნუ ზრდის!

ანტუანმა ორჭოფულად გააქნია თავი.

— შენ ხომ არ იცი, რა ბიჭია! — განაგრძო ჟიზმა, — ისეთი ბობოქარი ბუნება აქვს, რელიგია აუცილებლად სჭირდება!.. — მერე ამოიოხრა და შეცვლილი ხმითა და გულისტკივილით დაუმატა: — პირწავარდნილი ჟაკია! ჟაკს რომ რწმენა არ დაეკარგა, ეს უბედურებაც არ მოხდებოდა!.. — გამომეტყველება ისევ შეეცვალა, დაურბილდა და აღფრთოვანებული ღიმილით გაებადრა სახე, — რომ იცოდე, როგორ ჰგავს ჟაკს! მასავით მუქი წითური ფერი დაჰკრავს. ჟაკის თვალები, ჟაკის ხელები აქვს! სამი წლისაა და ისეთი თავნება ბიჭია! ზოგჯერ საშინლად ჯიუტია, ზოგჯერ ლაციცა! — ჟიზის ხმას სიბრაზის ნატამალი აღარ შერჩენოდა. მერე გულიანად გაიცინა: — იცი, რას მეძახის? „მამიდა ჟი!“

— ამბობენ, თავნებაააო?

— როგორიც ჟაკი იყო. ხომ გახსოვს, რა ფხუკიანი, გულჩათხრობილი იყო?.. ბიჭიც გულში იხვევს ბოღმას... ჰოდა, მაშინ ბაღის ბოლოს გაიქცევა, მარტოკა დგას და რაღაცაზე ფიქრობს, ფიქრობს.

— ჭკვიანია?

— ძალიან. ყველაფერს ხვდება, ყველაფერი ესმის. ან რა

მგრძნობიარეა! ტკბილი სიტყვით რა გინდა არ გააკეთებინო! ოღონდ საკმარისია წინააღმდეგობა გაუწიო, რაიმე აუკრძალო, მაშინვე კოპებს შეიკრავს, მუშტებს მოკუმავს და თავისთავს აღარა ჰგავს! ნამდვილი ქაქია! — ჟიზი წამით გაჩუმდა, დაფიქრდა. — დანიელმა სურათი გადაუღო, კარგი გამოვიდა, ქენიმ, მგონი შენც გამოგიგზავნა.

— არა. ბავშვის სურათი ერთხელაც არ გამოუგზავნია.

ჟიზმა გაკვირვებით ახედა, თითქოს რაღაც უნდა ეკითხა, რაღაც უნდა ეთქვა, მერე გადაიფიქრაო.

— ჩანთაში მაქვს მისი სურათი... გინდა გაჩვენო?

— ჰო.

ჟიზი ხელჩანთის მოსატანად გაიქცა და ორი ფოტოსურათი ამოიღო.

ერთ სურათზე, — გასული წლის ფოტო-სურათი უნდა ყოფილიყო, — ჟან პოლი დედასთან იყო: ქენი ოდნავ გასუქებული ჩანდა, სახე წინანდებურზე მეტად დამრგვალებოდა, ნაკვთები მშვიდი, მკაცრიც კი გახდომოდა. „ქალბატონ დე ფონტანენს დაემსგავსებაᲗ“ — გაიფიქრა ანტუანმა. ქენის შავი კაბა ეცვა; პარმაღის საფეხურზე იჯდა და შვილი გულში ჩაეკრა.

მეორე სურათზე, — მოგვიანებით უნდა ყოფილიყო გადაღებული, — ჟან-პოლი მარტო იდგა: ზოლებიანი მაისურა მჭიდროდ შემოკვროდა პატარა, უჩვეულოდ კუნთმაგარ სხეულზე; დაძაბული, გაბრაზებული სახით, თავდახრილი იდგა.

ანტუანი დიდხანს დაჰყურებდა ხან ერთ სურათს, ხან მეორეს. ჟან-პოლი განსაკუთრებით მეორე სურათით აგონებდა ქაქს: თავის იგივე ფორმა, იგივე გამჭოლავი, ქვეშ-ქვეშა გამოხედვა, იგივე პირი, ქვედა ყბა — ტიბოთა ძლიერი ყბა!

— ხომ ხედავ, — აუხსნა ჟიზმა, რომელიც ანტუანის უკან იდგა, — ქვიშაში თამაშობდა. აი მისი ბარი; რაკი თამაშის დროს ხელი შეუშალეს, გაბრაზდა, ბარი გადააგდო და კედელთან დადგა...

ანტუანმა თავი ასწია და გაიღიმა.

— ასე ძალიან გიყვარს ბავშვი?

ჟიზმა არაფერი უპასუხა, ოღონდ გაიღიმა და ამ გულწრფელ, აღტაცებულ, სიყვარულით გამთბარ ღიმილზე უფრო მეტყველი რა უნდა ყოფილიყო?!

და ერთბაშად ჟიზი შეცბა. თუმცა ანტუანს არაფერი შეუმჩნევია. მუდამ ასე მოსდიოდა, როცა ის სულელური საქციელი მო-

აგონდებოდა, რაც მან ერთხელ ჩაიდინა... (ეს მოხდა ორი წლის წინ, არა, უფრო ადრე: ჟან-პოლი სულ პაწაწინა იყო, ჯერ კიდევ ძუძუს წოვდა... ჟიზს ძალიან უყვარდა მისი ხელში დაჭერა, უნანავებდა, ჩაძინებულს გულში იკრავდა. და როგორც კი თვალს მოკრავდა, ჟენი ძუძუს აძლევსო, სასოწარკვეთისა და შურისგან ცოფდებოდა. ზაფხულის ერთ საღამოს ჟენიმ მას დაუტოვა ბავშვი; სულის შემხუთველი სიცხე იდგა; ჟიზი გიჟურ ოცნებას აჰყვა, ჩვილ ბავშვთან ერთად ოთახში ჩაიკეტა და ძუძუ პირში ჩაუდო. ოო, რა ხარბად დააცხრა თავისი პაწაწინა ტუჩებით: წოვდა, კბენდა, ჯგლიმავდა... რამდენიმე დღე ჟიზი ტკივილისაგან იტანჯებოდა, დალურჯებული მკერდი აწუხებდა და... სირცხვილიც... ნუთუ ეს ცოდვად ჩაეთვლებოდა? ოდნავი სიმშვიდე მხოლოდ იმის შემდეგ იგრძნო, როცა აღსარებაზე ნართაულად ახსენა თავისი საქციელი და დიდი ხნის მონანიებით გამოისყიდა დანაშაული. ასეთი რამ აღარასოდეს გაუმეორებია...)

— მუდამ ასე იყურება? ხშირად ურჩობს? — ჰკითხა ანტუანმა.

— აუ, ძალიან ხშირად! ოღონდ დანიელი მაინც უმკლავდება. ყველაზე მეტად დანიელს უჯერებს. ალბათ, იმიტომ, რომ მამაკაცია. ჰო. დედამისი გაგიჟებით უყვარს; მეც ვუყვარვარ, მაგრამ ჩვენ ქალები ვართ. როგორ აგიხსნა? ქვეშეცნობილად უკვე გრძნობს მამაკაცურ უპირატესობას. გეცინება? გარწმუნებ, ასეა! ათასნაირ წვრილმან საქციელში ამჟღავნებს ამას.

— მე კი მგონია, თქვენს ავტორიტეტს მისთვის იმიტომ არა აქვს დიდი დამაჯერებლობა, რომ მუდამ მასთან ხართ. ბიძამისს იშვიათად ხედავს და...

— იშვიათად? კი მაგრამ, ბავშვი ხომ მეტწილად ბიძამისთანაა? ჩვენ ჰოსპიტალში ვმუშაობთ. დანიელი, პირიქით, თითქმის მთელი დღე მასთან ზის.

— დანიელი?

ჟიზმა ხელი მოაცილა ანტუანის მხარს, გვერდზე გადგა და დაჯდა.

— ჰო. რატომ გიკვირს?

— ვერ წარმომიდგენია დანიელი ძ ი ძ ი ს როლში!

ჟიზი ვერ მიუხვდა ნათქვამს. მან დანიელ დე ფონტანენი ფეხის ამპუტაციის შემდეგ გაიცნო.

— პირიქით. ბიჭს გვერდიდან არ იცილებს. მეზონში ხომ მუდამ ისე გრძელდება დღეები!..

— კი მაგრამ, რაკი დანიელი სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად აღიარეს, მუშაობას ხომ დაიწყებს?

— ჰოსპიტალში?

— არა, ხატვას!

— ხატვას? არასოდეს მინახავს, რომ იგი ხატავდეს...

— პარიზში ხშირად ჩადის?

— არასოდეს. ხან აგარაკზეა, ხან ბაღში.

— ნუთუ ასე უჭირს სიარული?

— ოჰ, ამიტომ კი არა! პირველ შეხედვაზე ვერც კი შეამჩნევ თუ კოჭლობს, მით უმეტეს ახლა, როცა ახალი პროთეზი აქვს... უბრალოდ, შინიდან გასვლა ეზარება. გაზეთებს კითხულობს. ჟანპოლს თვალყურს ადევნებს, ათამაშებს, ახლო-მახლო ასეირნებს. ხანდახან კლოტილდას მუხუდოს ან სამურაბე კენკრის გადარჩევაში ეხმარება... ზოგჯერ ფარცხით ქვიშას ასწორებს ტერასის წინ. ოღონდ იშვიათად... ჩემი აზრით, ასეთი ბუნების ადამიანია; მშვიდი, გულგრილი, ოდნავ მოშვებული, იტყვი, თვალხილულს სძინავსო...

— დანიელი?

— ჰო, დანიელი.

— არასოდეს ასეთი არ ყოფილა... ეტყობა, ძალიან გაუბედურებულია...

— რას ამბობ? მოწყენილობასაც ვერ შეამჩნევ. ყოველ შემთხვევაში, არასოდეს არ წუწუნებს. ზოგჯერ, მართალია, პირქუშია, ოღონდ ჩემს მიმართ არა, სხვებთან... მაგრამ ისიც იმიტომ, რომ არ იციან, როგორ მიუდგნენ. ეს ნიკოლი მაინც რას გადაეკიდა, მოთმინებიდან გამოჰყავს. ასეც არ შეიძლება. ჟენიც ვერ იქცევა სწორად: მისი დუმილი და გაყინული სახე საშინლად აღიზიანებს დანიელს. ჟენი კეთილია, ძალიან კეთილი, მაგრამ ამის გამომჟღავნების უნარი არ აქვს; ერთხელაც არ მოქცევია თბილად, სასიამოვნო სიტყვა არ უთქვამს...

ანტუანი აღარ შეკამათებია. გაჩუმდა. ოღონდ ისეთი გაოგნებული სახე ჰქონდა, ჟიზს გაეცინა:

— მგონია, დანიელის ბუნებას კარგად არ იცნობ. იგი, ალბათ, მუდამ განებივრებული... და საშინლად ზარმაცი იყო.

სადილი დიდი ხნის წინ მოეთავებიათ. ჟიზმა საათს დახედა და სწრაფად წამოდგა:

— სუფრას ავალაგებ და წავალ.

ანტუანის წინ იდგა და ალერსიანად შეჰყურებდა. ამ ცარიელ ბინაში ავადმყოფი ანტუანის მარტო დატოვება ემძიმებოდა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ გაებედა. სათნო, მოკრძალებული ღიმილი ჯერ თვალებში აუკიაფდა, მერე ბაგეებზე:

— დღის ბოლოს რომ მოგაკითხო? აქ მარტო დარჩენას განა არ გირჩევნია ჩვენთან ერთად გაატარო საღამო მეზონში?

ანტუანმა თავი დაუქნია.

— ყოველ შემთხვევაში, ამ საღამოს მაინც არ მოხერხდება. რიუმელი მყავს სანახავი. ხვალ კი ფილიპთან უნდა მივიდე. აქაც ბევრი საქმე მაქვს, ჩანაწერები მინდა მოვძებნო...

დაფიქრდა. მუსკიეში პარასკევ საღამოს შეეძლო დაბრუნებულიყო. მაშასადამე, ხელს არაფერი უშლიდა, ორი დღე მეზონ-ლაფიტში გაეტარებინა.

— კი მაგრამ, იქ სად უნდა ვიცხოვრო?

სანამ უპასუხებდა, ჟიზი ერთბაშად დაიხარა და ლაღად აკოცა.

— სად? რა თქმა უნდა აგარაკზე! იქ ორი თავისუფალი ოთახია.

ანტუანს ჟან-პოლის სურათი ისევ ხელში ეჭირა და დროდადრო თვალი მისკენ გაურბოდა.

— კეთილი. შევეცდები ვადა გავაგრძელებინო... და ხვალ, დღის ბოლოს... — მერე ჟან-პოლის სურათი თითებში მოიქცია და ჰკითხა: — ამ სურათს მაძლევ?

V

კვირა დღე იყო, მაგრამ რიუმელი მაინც თავის კაბინეტში მუშაობდა კე დ'ორსზე. ჟიზის წასვლისთანავე ანტუანმა დაურეკა მას. დიპლომატმა ბოდიში მოუხადა, ახლა დრო არა მაქვსო და საღამოს მიიპატიჟა სადილად.

რვა საათზე ანტუანი სამინისტროს შენობასთან მივიდა. რიუმელი მქრქალი ნათურით განათებული ვესტიბიულის კიბესთან ელოდებოდა. სამხედრო წესების მკაცრად დაცვის გამო მთელ შე-

ნობაში ბინდ-ბუნდი ჩამოწოლილიყო და უცნაურ, გასაიდუმლებულ იერს აძლევდა; თანამშრომლები და დაგვიანებული მნახველები უჩუმრად გამოდიოდნენ კაბინეტებიდან.

— „მაქსიმთან“ * უნდა წაგიყვანოთ. იქნებ ცოტა ხნით მაინც გადაივიწყოთ ლაზარეთის გარემო! — თავაზიანი ღიმილით შესთავაზა რიუმელმა და ალმიან მანქანასთან მიიყვანა, ეზოში რომ იდგა.

— ვწუხვარ, რომ კომპანიონად ვერ გამოგადგებით! — გამოუტყდა ანტუანი, — საღამოობით მხოლოდ რძესა ვსვამ.

— დიდებული რძე აქვთ, ჩაციებული! — არწმუნებდა რიუმელი, რადგან „მაქსიმთან“ სადილობა არ უნდოდა შეეცვალა.

თანხმობის ნიშნად ანტუანმა თავი დაუქნია. მთელი დღე წიგნებისა და კართოთეკების გადარჩევას მოანდომა და საშინელ დაღლილობას გრძნობდა. თანაც რესტორანში საუბარი წინასწარ აშინებდა. ამიტომ რიუმელი მაშინვე გააფრთხილა, ლაპარაკი მიჭირს და სახმო სიმებს უნდა გავუფრთხილდეო.

— ბედმა გაუღიმა ჩემნაირ ყბედს! — წამოიძახა დიპლომატმა. იგი განზრახ ლაპარაკობდა ხუმრობით, უნდოდა ამით მაინც დაეფარა ის მძიმე შთაბეჭდილება, რაც მეგობრის ჩამომხმარმა სახემ და ყრუ, ჩახლეჩილმა ხმამ მოახდინა მასზე.

ანტუანის სიგამხდრემ და ავადმყოფურმა იერმა კიდევ უფრო მეტად გააოცა, როცა რესტორნის გაჩახჩახებულ დარბაზში მოხვდნენ. მიუხედავად ამისა, მისი ჯანმრთელობის დაწვრილებით გამოკითხვისგან თავი შეიკავა, რამდენიმე შეკითხვით დაკმაყოფილდა და საუბარი მაშინვე სხვა თემაზე გადაიტანა.

— წვნიანი არ გვინდა. ხამანწკები აჯობებს. მართალია სეზონი მთავრდება, ხამანწკები მაინც კარგია... ხშირად ვსადილობ აქ.

— ამ რესტორანში მეც ხშირად დავდიოდი, — წაიბუტბუტა ანტუანმა. ნელა მოავლო თვალი დარბაზს და შეკვეთის მოლოდინში იქვე მდგარ მოხუც მეტრ დ'ოტელს დააკვირდა: — მიცანით, ჟან?

— ოო, როგორ არა, ბატონო! — უპასუხა მან და ჩვეული ღიმილით მიესალმა.

„ტყუის! — გაიფიქრა ანტუანმა — წინათ „ბატონ ექიმს“ მეძახდა!“

— სამსახურთანაც ახლოა, — განაგრძო რიუმელმა, — განსაკუთრებით განგაშის დროსაა მოსახერხებელი: საკმარისია ქუჩა გადა-

კვეთო და საზღვაო სამინისტროს საიმედო თავშესაფარში აღმოჩნდები!

სანამ რიუმელი სადილს უკვეთდა, ანტუანი მას ათვალიერებდა. რიუმელიც შეცვლილიყო. ლომისებური გარეგნობა დაჯირკვებოდა; თვალებთან უამრავი წვრილ-წვრილი ნაოჭი გაჩენოდა და ქერა კაცის საკმაოდ მობერებულ კანს მოსდებოდა. მართალია, ღია ცისფერ თვალებს წინანდებური სიმკვირცხლე არ დაკარგვოდა, მაგრამ ქვედა ქუთუთოები ლურჯად დაგუდებოდა და ყვრიმალები მოწითალო ლაქებით დაფარვოდა.

— დესერტს შემდეგ შეგიკვეთავთ! — მოღლილი ხმით დაამთავრა შეკვეთა რიუმელმა და მენიუ მეტრ დ'ოტელს დაუბრუნა. მერე თავი უკან გადააგდო, სახეზე ორივე ხელი აიფარა, გახურებული საფეთქლები თითებით მოისრისა და ღრმად ამოიოხრა: — რაც ომი გამოცხადდა, ერთი დღე არ დამისვენია. ძალა აღარა მაქვს, ჩემო კარგო!

ადვილი დასაჯერებელი იყო. მრავალი წლის გადაღლა აშკარად იგრძნობოდა მის ნერვულ აღტყინებაში. 1914 წელს ანტუანმა სულ სხვანაირი რიუმელი დატოვა: თავდაჯერებული, თავშეკავებული, ოდნავ გოროზი, მუდამ სიამოვნებით, მოჩვენებითი სიდინჯით რომ საუბრობდა ყოველ თემაზე. ახლა კი, ოთხი წლის დამქანცველი მუშაობის შედეგად სულ გამოცვლილიყო: იცინოდა მკვეთრი, ნერვული სიცილით, წამდაუწუმ ახამხამებდა თვალებს, ხელებს იქნევდა, საუბრის თემას ხშირად ცვლიდა და ეს ავადმყოფური გამოცოცხლება ერთბაშად პირქუში გაოგნებით ეცვლებოდა. და მაინც, ცდილობდა წინანდებური სიმხნევე შეენარჩუნებია: დაღლილობის უნებურ გამომჟღავნებას, წუთიერ მოშვებულობას მაშინვე ხანმოკლე აღგზნება მოსდევდა. თავს უკან გადასწევდა, თავზე ხელს გადაისვამდა, სახე ღიმილით ებადრებოდა, თითქოს კვლავ დაიბრუნა წინანდელი სიცოცხლისუნარიანობაო.

ანტუანმა მადლობის გადახდა დააპირა, ჟაკის ძებნასა და ჟენევაში გასამგზავრებლად ჟენისთვის გაწეული დახმარების გამო, მაგრამ რიუმელმა სიტყვა გააწყვეტინა.

— კარგი ერთი, მეგობარო!.. ამაზე ლაპარაკი არც ღირს... — და ერთბაშად აიწყვიტა: — რა მომხიბლავი ქალია, ნამდვილად მომხიბლავია!

„შეუძლებელია მაღალი წრის კაცი ზოგჯერ ბრიყვი არ იყოს!“ — გაიფიქრა ანტუანმა.

რიუმელმა სიტყვა კი გააწყვეტინა, მაგრამ ახლა თვითონვე ისე დაწვრილებით ჰყვებოდა, რა ნაბიჯები გადაედგა ჟაკის საძებნელად, თითქოს ანტუანს არ ეხებოდა ეს ამბავი. ყველაფერი გასაოცარი სიზუსტით ახსოვდა: უყოყმანოდ ასახელებდა შუაკაცებს, თარიღებს.

— სამწუხარო დასასრული ჰქონდა! — ამოიოხრა მან. — რძეს რატომ არა სვამთ? დალიეთ, სანამ ცივია! — მან თვალი გააპარა ანტუანისკენ, მერე ღვინო მოსვა, კატასავით აფხორილი ულვაშები მოიწმინდა და ხელახლა ამოიოხრა: — დიახ, სამწუხარო დასასრული ჰქონდა!.. მერწმუნეთ, ბევრს ვფიქრობდი თქვენზე... მაგრამ მხედველობაში თუ მივიღებთ საქმის ვითარებას... თქვენს აზრებს... სახელს... ზოგჯერ ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს მისი სიკვდილი ბედნიერი დასასრული ხომ არ იყო, ყოველ შემთხვევაში თქვენი ოჯახისთვის-მეთქი?!.

ანტუანმა შუბლი შეიკრა და არაფერი უპასუხა. რიუმელის სიტყვებმა გული ატკინა. მიუხედავად ამისა, ვერ უარყოფდა, რომ ამ ფიქრმა მასაც რამდენჯერმე გაუელვა თავში, როცა ჟაკის უკანასკნელი დღეების შესახებ სიმართლე გაიგო. ჰო, წინათ თვითონაც ასე ფიქრობდა, მაგრამ დღეს აზრი შეეცვალა, მეტიც: უკვირდა, როგორ შემეძლო ასე მეფიქრაო და მწვავე სირცხვილიც იგრძნო. ომის ბოლო წლებმა, ლაზარეთში ხანგრძლივმა უძილო ღამეებმა, საშინელი არევ-დარევა შეიტანა მის წინანდელ მოსაზრებებში.

პირად საქმეებზე რიუმელთან ლაპარაკის სურვილი არ ჰქონდა. მით უმეტეს აქ, რესტორანში. ამ დარბაზში ხშირად სადილობდა ანასთან ერთად და შემოსვლისთანავე იგრძნო უხერხულება. ანტუანს გულუბრყვილოდ უკვირდა, ამ მდიდრულ რესტორანში ახლაც, ომის ორმოცდამეოთხე თვესაც ხალხმრავლობა რომ შეამჩნია, ყველა მაგიდა დაკავებული რომ იყო. მართალია, ქალების სიმცირე იგრძნობოდა, თანაც ძველებური მოხდენილობაც აკლდათ: ბევრი მათგანი გარეგნობით მოწყალების დას უფრო ჰგავდა. მამაკაცთა უმრავლესობა სამხედრო პირები იყვნენ: სხვადასხვა ფერის ბაფთებით გაწყობილ მუნდირებში გამოწკეპილნი, პრიალა სამხრეებით, აშკარად იბღინძებოდნენ. ათიოდე ფრონტელი ოფიცერი, შვებულებით იმყოფებოდა პარიზში; უმეტესი ნაწილი კი პარიზის გარნიზონიდან

და გენერალური შტაბიდან მოსულიყო. ავიატორთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი ისე ხმაურობდა და იგიჟიანებდა თავს, იფიქრებდით, ჯერ სმა არ დაუწყიათ და უკვე დამთვრალანო. მიუხედავად ამისა, თითოეულ მათგანს სევდა ჩაბუდებოდა თვალებში. იტალიური, ბელგიური, რუმინული და იაპონური მუნდირების ჭრელ კოლექციას მოეყარა თავი. რამდენიმე საზღვაო ოფიცერიც იჯდა დარბაზში. ყველაზე მეტად მაინც ინგლისელების სიჩარბე იგრძნობოდა. გათაქებული, გადახსნილი საყელოებით, ხაკისფერ ფრენჩებში ჩაცმულნი სასადილოდ და შამპანურის დასალევად ამ რესტორანში დადიოდნენ.

— არ დაგავიწყდეთ, როგორც კი გამოჯანსაღდებით, მაშინვე შემატყობინეთ! — თავაზიანად უთხრა რიუმელმა ანტუანს, — ფრონტზე თქვენი დაბრუნება არაფერი საჭიროა. საკმაოდ მოუხადეთ ხარკი ამ ომს!

ანტუანს უნდოდა ეთქვა 1917 წლის ზამთრიდან, პირველი ჭრილობის მოშუშების შემდეგ ზურგის ლაზარეთში ვარ გამწესებულიო, მაგრამ რიუმელმა ლაპარაკი არ აცალა:

— პირადად მე, თითქმის დარწმუნებული ვარ, ომის ბოლომდე სამინისტროში დავრჩები. კლემანსოს დანიშვნისთანავე კინაღამ ლონდონში გამგზავნეს; პრეზიდენტი პუანკარე რომ არა, — ჩვენ ხომ მუდამ კარგი ურთიერთობა გვქონდა! — ალბათ, წასვლა მომიხდებოდა. განსაკუთრებით კი ბატონი ბარტელოს მფარველობას უნდა ვუმადლოდე: მე ხომ ყოველ მის ახირებას ვიცნობ და ამიტომაც მუდამ ვჭირდები. თუმცა იქ ყოფნა ახლა ძალიან საინტერესოცაა. სამაგიეროდ, ისე ვეღარ ვიქნებოდი საქმის კურსში, როგორც აქა ვარ! ეს კი ძალიან სასიამოვნო გრძნობაა!

— მეც ასე მგონია... ყოველ შემთხვევაში, რჩეულთა იმ პატარა ჯგუფს ეკუთვნით, ვისაც ზოგი რამ მაინც გაეგება მთელი იმ ამბავისა, რაც ირგვლივ ხდება... და ვინ იცის, იქნებ მომავლის გამოცნობაც შეუძლია!..

— აუ, არა.—შეაწყვეტინა რიუმელმა,—გაგებისა რა მოგახსენო! მომავლის გამოცნობას რაც შეეხება, ეს მითუმეტეს შეუძლებელია!.. ადვილი მოსალოდნელია, მედლის მეორე მხარე იცოდე და მაინც ვერაფერი გაუგო საქმეს. მადლობა თქვი, მოგვიანებით თუ მიხვდები, რა მოხდა!.. არ იფიქროთ, თითქოს ამჟამად არსებობდეს ისეთი სახელმწიფო მოღვაწე, თუნდაც ისეთი მთლიანი და დესპო-

ტური ბუნების პიროვნებაც იყოს, როგორიც კლემანსოა, საქმის ვითარებაზე უშუალოდ შეეძლოს გავლენის მოხდენა. შექმნილი ვითარება ბუქსირით მიათრევს მას. ომის დროს სახელმწიფო მართვა ფერდშენგრეული ხომალდის მართვას ნიშნავს: ისღა დარჩენია, ყოველ საათში ახალი ხრიკები გამოიგონოს სახიფათო ნახვრეტების ამოსაჩურთავად; ჩვენც კატასტროფისთვის განწირულ ხომალდზე ვცხოვრობთ; ძლივს ასწრებ გემის ჟურნალში ჩანაწერის შეტანას, რუქაში ჩახედვას, გაურკვეველი კურსის აღებას... ბატონი კლემანსოც ისევე იქცევა, როგორც სხვები: შექმნილ მდგომარეობას ემორჩილება და საშუალება თუ მიეცემა, კიდეც იყენებს. ჩემი თანამდებობა შესაძლებლობას მაძლევს საკმაოდ ახლოს დავუკვირდე მას. უცნაური ტიპია!.. — რიუმელი დაფიქრდა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს სიტყვებს ეძებდა — იცით რა, ბატონი კლემანსო თანდაყოლილი სკეპსისის პარადოქსალურ ნარევს წარმოადგენს... წინასწარ მოფიქრებული პესიმიზმისა... და მტკიცე ოპტიმიზმისას; მაგრამ უნდა ვაღიაროთ, დოზირება დიდებულია! — რიუმელმა ეშმაკურად ისე გაიღიმა, ქუთუთოების კუთხეები აეწია, იტყოდით საკუთარი იმპროვიზაციით თვითონვე ერთობა და ამ მოხერხებული ფორმულებით ტკბებაო. სინამდვილეში, რიუმელი რამდენიმე თვის მანძილზე, როგორც კი ახალ თანამესაუბრეს ჩაიგდებდა ხელში, სწორედ ამ შტამპით სარგებლობდა. — ამას გარდა, ამ დიად სკეპტიკოსს ბრმა რწმენა ამოძრავებს: რკინისებური სიმტკიცით სჯერა, რომ ბატონი კლემანსოს სამშობლო შეუძლებელია დამარცხდეს. ეს კი, ჩემო კარგო, შეუდარებელი ძალაა! ახლაც, როდესაც — ეს საიდუმლოება უნდა ვაღიაროთ—უკიდურეს ოპტიმისტებს რწმენა შეერყათ, ამ ჩვენს ბებერ პატრიოტს გადაწყვეტილ საქმედ მიაჩნია გამარჯვება! დიახ, გადაწყვეტილ საქმედ, თითქოს უზენაესის ნებასურვილით, შეუძლებელია საფრანგეთის საქმემ მთელი ბრწყინვალებით არ გაიმარჯვოს!

გვერდით მაგიდასთან ინგლისელმა ოფიცერმა სიგარა გააბოლა და ანტუანს ხველა აუტყდა, პირზე ხელსახოცი მიიდო და მაინც ცდილობდა შეკამათებოდა რიუმელს. ისედაც ჩახლეჩილი ხმა ძლივს ისმოდა. ამიტომ რამდენიმე სიტყვის გარჩევა შეიძლებოდა:

— ...ამერიკის დახმარება... ვილსონი...

რიუმელმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს მისი ნათქვამი მთლიანად გაეგონოს და კიდეც დაინტერესდაო.

— იჰ, — წამოიძახა მან და მეოცნებესავით ისვამდა ხელს ლოყაზე, — იცით რას გეტყვით? ჩვენთვის პრეზიდენტი ვილსონი... საფრანგეთშიც და ინგლისშიც იძულებული ვართ ისე ვაჩვენოთ თავი, თითქოს მოწიწებით ვუსმენთ ამერიკელი პროფესორის ფანტაზიებს; მაგრამ მისი ნამდვილი ფასი კარგად ვიცით. ეს არის შეზღუდული გონების კაცი. არავითარი ცნება რომ არ გააჩნია შეფარდობითობაზე. რა სახელმწიფო მოღვაწეა!.. იგი იმ არარეალურ სამყაროში ცხოვრობს, მისმა მისტიკურმა წარმოსახვამ რომ შექმნა... ღმერთმა დაგვიფაროს, იქამდე მივიდეთ, რომ ამ პურიტანელის ვულგარულმა მორალიზმმა მოგვიშალოს ჩვენი ძველი ევროპული საქმეების ფაქიზი ხრახნები!..

ანტუანს ძალიან უნდოდა შედავებოდა, მაგრამ ხმა ამის საშუალებას არ აძლევდა. მისი აზრით, თანამედროვე პასუხისმგებელ პირთა შორის, მხოლოდ ვილსონს შეეძლო დაენახა ყველაფერი, რაც ომის მიღმა ხდებოდა; მხოლოდ მას შეეძლო წარმოედგინა, როგორი იქნებოდა მსოფლიოს მომავალი. პროტესტის ნიშნად მან ხელის აქნევაღა მოახერხა.

რიუმელს გაეცინა:

— ნუთუ არ ხუმრობთ, მეგობარო? ნუთუ ვილსონის ბოდვისა მართლა გჯერათ? მისი აზრები მხოლოდ ატლანტიკის მეორე მხარემ, ამ გულუბრყვილო, ნახევრად ველურმა ქვეყანამ შეიძლება გაიზიაროს. ჩვენთან კი, ამ უძველეს, ბრძენ ევროპაში... კარგით ერთი! ჩვენს ნიადაგზე ამ უტოპიების გადმონერგვა საშინელი დომხალის შომზადებას ნიშნავს! ყველაზე დიდი ზიანის მოტანა მხოლოდ ამ მსხვილი ასოებით დაწერილ მაღალფარდოვან სიტყვებს შეუძლია: „უფლება“, „სამართლიანობა“, „თავისუფლება“ და მისთანანი. საფრანგეთში, სადაც ნაპოლეონ III-ე ცხოვრობდა, დროა შევიგნოთ, რა უბედურება მოჰყვება ხოლმე „დიდსულოვან“ პოლიტიკას! *

მკლავი წინ გასწია, მსუქანი და ჭორფლიანი ხელი სუფრაზე დადო, იდუმალი გამომეტყველებით გადაიხარა ანტუანისკენ და თქვა:

— სხვათა შორის, საქმეში ჩახედული ხალხი ირწმუნება, ვილსონი არც ისეთი გულუბრყვილოა, როგორც თავს აჩვენებს და თავისი „მესაჟეების“ * თვითონვე არა სჯერაო. „გამარჯვების გარეშე მოპოვებული მშვიდობიანობის“ ამ ქომაგს, ეტყობა, უბრალოდ, მიწიერი პატივმოყვარეობა ამოძრავებს: შექმნილი მდგომარეობით

ისარგებლოს, ძველი კონტინენტი ამერიკის მეურვეობას მიუგდოს და ხელი შეუშალოს მოკავშირეებს, გამოიყენონ გამარჯვებულთა უფლებები და მეორე დღესვე უპირატესი ადგილი დაიკავონ საერთაშორისო საქმეებში. ეს კი, სხვათა შორის, მის ღრმა გულუბრყვილობაზე მიუთითებს! რადგან, მართლაც მეტისმეტად გულუბრყვილო უნდა იყო თუ იფიქრებ, საფრანგეთი და ინგლისი მრავალი წლის გამანადგურებელ ბრძოლაში წელს ისე მოიწყვეტდა, იქედან სერიოზულ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ სარგებლობას არ მიიღებდა!

„კი მაგრამ, — ფიქრობდა ანტუანი, — განა ამ ომიდან ყველაზე დიდი მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი სარგებლობის მიღება ნამდვილი მშვიდობის, ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება არ იქნებოდა ევროპის ხალხისთვის?“ ხმა მაინც ვერ ამოიღო. სიცხემ, ხმაურმა, საშმლის სუნმა და თამბაქოს ბოლმა თანდათან დაასუსტა, სულმთლად გაოგნა. „აქ რა მინდა? — გაიფიქრა და საკუთარ თავზე გაბრაზდა, — კარგად გავატარებ ამ ღამეს!“

რიუმელი ვერაფერს ამჩნევდა. იტყოდით, ვილსონის ლანძღვით რაღაც განსაკუთრებულ კმაყოფილებას გრძნობსო. ბოლო თვეებში, კე დ'ორსის კულუარებში ვილსონი დაცინვის საგანი გამხდარიყო და ბატონი დიპლომატებიც გაშმაგებით ილესდნენ კბილებს. რიუმელი ყოველ ფრაზას შურისმაძიებელ ხითხითს აყოლებდა და სკამზე ისე წრიალებდა, იფიქრებდით გავარვარებულ ნაკვერჩხალზე ზისო.

— საბედნიეროდ, პრეზიდენტი პუანკარე და ბატონი კლემანსო, ვითარცა ნამდვილი რეალისტები, ნამდვილი ლათინელები*, მიუხვდნენ პრეზიდენტი ვილსონის ქიმერიის ამაოებასაც და ფარული განდიდების მანიასაც... ეს კი შესაძლებელია გამოიყენონ... სარგებლობის მიღების მიზნით!.. ამჟამად მთავარია, რაც შეიძლება მეტი ნავთობი, იარაღი, თვითმფრინავი და ჯარისკაცი გამოვტყუოთ ამერიკას. ამის გულისთვის თავი უნდა შევიკავოთ ამ ყოვლისშემძლე მომმარაგებელთან შეკამათებისაგან. პირიქით, თუ საჭიროება მოითხოვს, მის ფანტაზიებს კიდეც უნდა ავყვეთ; სწორედ ისე, დამყოლ გიჟს რომ ექცევიან ხოლმე! დამიჯერეთ, ამ ტაქტიკის შედეგი უკვე იგრძნობა... — რიუმელი ანტუანისკენ გადაიხარა და ყურში წასჩურჩულა: — იცით თუ არა, რომ სწორედ იმ ორი ათასი ტონა ბენზინის წყალობით, რაც მან რამდენიმე კვირის განმავლობაში მოგვაწოდა, და სამასი ათასი ჯარისკაცის დახმარებით, რასაც

ყოველთვიურად გვიგზავნის, გაძელით წელს პიკარდიაში ინგლისელთა განადგურების შემდეგ?!. მაშასადამე, საჭიროა ასევე განვაგრძოთ! მონოკლიანი ლოენგრინის * ქიმერიული მანიები უნდა წავაქეზოთ!.. და როცა საფრანგეთის მიწაზე სოლიდური ამერიკული არმია მოიყრის თავს, აი მაშინ ცოტათი მოვითქვამთ სულს და მშვიდადაც შეგვეძლება თვალი ვადევნოთ, როგორ შეუდგება ნარის გლეჯას ჩვენთვის!

ანტუანი დაფიქრებული უყურებდა რიუმელს; იგი მადიანად შეექცეოდა „ოდნავ შემწვარ, სისხლიან ბიფშტექს“ (სწორედ ასე შეუკვეთა მეტრ დ'ოტელს). ანტუანმა ხელი ასწია, თითქოს სიტყვას ითხოვსო:

— მაშასადამე, თქვენი აზრით, ომი... რამდენიმე წელს კიდევ გასტანს? რიუმელმა ხელსახოცი სუფრაზე მიაგდო და სკამის საზურგეს მიეყრდნო.

— რამდენიმე წელს? არა. არა მგონია. პირიქით, ჩემი აზრით, ყოველგვარი ბედნიერი მოულოდნელობაა დასაშვები... — ერთხანს გაჩუმდა და ფრჩხილები შეითვალიერა. — ყური მიგდეთ, ტიბო! — მეზობელ მაგიდასთან რომ არ გაეგონათ, ხმას დაუწია. — მაგონდება: ეს იყო 1915 წლის თებერვალში. ერთ საღამოს ბატონმა დეშანელმა * გამომიცხადა, ამ ომის ვადისა და პერიპეტიების გამოცნობა შეუძლებელია, პირადად მე ვთვლი, რომ ჩვენში ხელახლა დაიწყო რევოლუციისა და იმპერიის ომები. შესაძლებელია მოხდეს შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა, მაგრამ ს ა ბ ო ლ ო ო მ შ ვ ი დ ო ბ ა ჯერ კიდევ შორსაა. მაშინ მე ვიფიქრე, უბრალოდ, მოსწრებული ნათქვამია-მეთქი. ახლა კი... ახლა მზადა ვარ ეს ნათქვამი წინასწარმეტყველურ ხილვად მივიჩნიო. — რიუმელი ისევ გაჩუმდა, სამარილეს გაეთამაშა და დაუმატა: — ამის იმდენად მჯერა, რომ ხვალ მოკავშირეთა სრული წარმატების შემდეგ, ცენტრალურმა სახელმწიფოებმა იარაღის დაყრა რომ შემოგვთავაზონ, მე ბატონ დეშანელივით ვიტყვი: შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა გვაქვს, მაგრამ ს ა ბ ო ლ ო ო მ შ ვ ი დ ო ბ ა ჯერ კიდევ შორსაა-მეთქი!

მან ამოიოხრა და დაზეპირებულივით, ანტუანს ასე ძალიან რომ აღიზიანებდა, მაღალფარდოვან ტირადას მოჰყვა ომის სხვადასხვა ეტაპზე, ბელგიაში შეჭრის მომენტიდან. მერდინში გატარებული, ზუსტ საქმემდე დაყვანილი ამბები საოცარი ლოგიკურობით მოსდევდა ერთმანეთს. გეგონებოდათ, ჭადრაკის პარტიას არჩევსო. ომი,

რომლის ყოველდღიური მონაწილე ანტუანიც იყო, წარსულ ამ-ბად, თანაც ისტორიულ ასპექტში წარმოუდგინა. დიპლომატის მკერმეტყველური სიტყვის წყალობით, მარნამ, სომმა, ვერდენმა — წინათ რომ ეს სახელები ანტუანს კონკრეტულ, პირადულ და ტრა-გიკულ მოგონებას აღუძრავდა, ერთბაშად დაკარგეს რეალური მნიშვნელობა და რაღაც ტექნიკური ანგარიშის ზუსტ ეტაპად, მო-მავალი თაობისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს ცალკეულ პარაგრაფებად იქცა.

— და აი, 1918 წლამდე მოვედით, — დაასკვნა რიუმელმა, — შეერთებული შტატების ჩაბმა ომში ბლოკადის რგოლის შეკვრას, გერმანელი ხალხის დემორალიზებას ნიშნავს. ლოგიკურად, ეს მა-თი გარდუვალი დამარცხებაა. ამ ახალი ფაქტის წინაშე ორი გამო-სავალიღა დარჩათ: სანამ დროა უხეირო ზავზე მოელაპარაკონ ან სასოწარკვეთილებმა ხელახლა დაიწყონ შეტევა, რათა ამერიკის მასიური არმიის მოსვლამდე გამარჯვებას მიაღწიონ. მათ არჩიეს შე-ტევა. ამის შედეგი გახლდათ მარტის გამანადგურებელი დარტყმა პიკარდიაში. კიდევ ერთხელ ოტაღა დააკლდათ, კინაღამ დაგვა-მარცხეს! ბუნებრივია, ისინი მზად არიან ეს ექსპერიმენტი გაიმე-ორონ. აი, ასეთია მდგომარეობა. მოახერხებენ ამ დარტყმას? შესაძ-ლებელია. არავითარი საბაბი არა გვაქვს ვთქვათ, რომ ამ ზაფხუ-ლამდე იძულებული არ გავხდებით ზავი ვითხოვოთ. მაგრამ თუ ვე-რაფერს გახდებიან, მათი საქმე წასულია. ომს წააგებენ; სულერთია, პასიურად დაველოდებით ამერიკელთა დახმარებას თუ — როგორც ჩანს, გენერალი ფოშის * გეგმა ასეთი უნდა იყოს — მთელ ფრონტ-ზე ბრძოლაში ჩავაბამთ უკანასკნელ რეზერვს და ჯერ კიდევ მანამ მივაღწევთ სერიოზულ წარმატებას, სანამ ამერიკელები თამაშში ჩაერთვებიან. ამიტომაც ვამბობ: ნამდვილი მშვიდობა, ს ა ბ ო-ლ ო ო მ შ ვ ი დ ო ბ ა, ალბათ, ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ შ ე ს ვ ე-ნ ე ბ ა, როგორც ჩანს, საკმაოდ ახლოსაა-მეთქი!

ანტუანს ისეთი ხველა აუტყდა, რიუმელი იძულებული გახდა, გაჩუმებულიყო და თავისი შეშფოთებაც ვეღარ დამალა.

— მაპატიეთ, ჩემო კარგო. ჩემი უბედობით დაგღალეთ... წავი-დეთ!

მეტრ დ'ოტელი-მოიხმო, შარვლის ჯიბიდან, ამერიკელი ჯარის-კაცივით, დაშმუშვნილი ასიგნაციების მთელი ბღუჯა ამოიღო და ანგარიში გაუსწორა.

• • •

რუაიალის ქუჩა ჩაბნელებული იყო. მანქანა რესტორნის წინ ელოდა, ფარები არ ანათებდა.

რიუმელმა ცას ახედა:

— ცა ისეთი მოწმენდილია, შესაძლოა ღამით თავს დ ა გ ვ ე ს ხ ა ნ... სამინისტროში დავბრუნდები, გავიგებ, ახალი ხომ არაფერია. მაგრამ ჯერ თქვენ მიგიყვანთ შინ.

სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა, საღამოს გაზეთები იყიდა. ანტუანს უკვე მოეკალათებინა მანქანაში.

— ყალბი პროპაგანდა... — წაიჩურჩულა ანტუანმა.

რიუმელმა მაშინვე არ უპასუხა. ჯერ გულდასმით დახურა ნემინული ტიხარი, მძღოლისგან რომ ჰყოფდა მათ ადგილს.

— რა თქმა უნდა, ყალბი პროპაგანდაა, — თითქმის გამომწვევად მიუგო ბოლოს და ანტუანს გადახედა, — როგორ არ გესმით, რომ დამამშვიდებელი ცნობების რეგულარულად მიწოდება ისევე აუცილებელია ქვეყნისთვის, როგორც პროდუქტებით თუ საბრძოლო მასალით მომარაგება?

— მართალია, თქვენ ხომ სულის გადარჩენა გაკისრიათ?! — ირონიულად მიახალა ანტუანმა.

რიუმელმა შინაურულად მოუთათუნა ხელი მუხლზე.

— კარგი, კარგი, ტიბო! ნუ ხუმრობთ. დაფიქრდით. ომის დროს რა შეუძლია გააკეთოს სახელმწიფომ? საქმის ვითარება თვითონ წარმართოს? თქვენც კარგად იცით, რომ ეს მას არ ძალუძს. საზოგადოებრივი აზრი წარმართოს? კი ბატონო, ეს შეუძლია: მხოლოდ ეს შეუძლია... ჰოდა, ჩვენც ამას ვაკეთებთ. ჩვენი მთავარი სამუშაო, — როგორა ვთქვა, — ფაქტების შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ი მიწოდებაა... საჭიროა ერს განუწყვეტლივ ვუმტკიცებდეთ საბოლოო გამარჯვების რწმენას... საჭიროა ყოველდღიურად ვმფარველობდეთ იმ ნდობას, მას რომ საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ, გამოუცხადებია სამხედრო თუ სამოქალაქო ხელმძღვანელებისადმი.

— და ამისათვის ყოველი საშუალება გამოდგება, ხომ?

— რა თქმა უნდა.

— ორგანიზებული ტყუილი!..

— აბა, გულწრფელად მითხარით: განა თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ, ხმამაღლა გამოვაცხადოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ

შტუტგარტსა და კარლსრუეზე ჩვენი საჰაერო დაბომბვის შედეგად სამოქალაქო მოსახლეობას შორის „უდანაშაულო მსხვერპლთა“ რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მთელი იმ ჭურვის შედეგად მომხდარი უბედურება, რაც „ბერტას“ * შეუძლია დაატეხოს პარიზს?.. ანდა, განა უნდა გვეთქვა, რომ „ბოშების“ წყალქვეშა კამპანია, ჩვენ რომ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ გაუგონარ ბოროტმოქმედებად ვაღიარეთ, წარმოადგენდა ცენტრალური სახელმწიფოებისათვის აუცილებელ ოპერაციას, ერთადერთ შესაძლებლობას 1916 წლის მარცხის შემდეგ, ჩვენი წინააღმდეგობის მოსადრეკად?.. ანდა უნდა გვეყვირა, რომ „ლუზიტანიის“ * ჩაძირვა, სავსებით გამართლებული რეპრესიული აქტი იყო? რომ იგი საკმაოდ უწყინარ პასუხს წარმოადგენდა იმ დაუნდობელ ბლოკადაზე, რომელმაც გერმანიასა და ავსტრიაში ათი თუ ოცი ათასჯერ მეტი ქალი და ბავშვი მოკლა, ვიდრე „ლუზიტანიის“ ბორტზე იმყოფებოდა?.. არა, არა, სიმართლის თქმა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია კარგი! მტერი მუდამ მტყუანი უნდა იყოს, ხოლო მოკავშირეების საქმე ერთადერთ სამართლიან საქმედ უნდა ითვლებოდეს! ეს აუცილებელია...

— ტყუილის თქმა?

— დიახ. თუნდაც იმიტომ, რომ მათ, ვინც მოწინავე პოზიციაზე იბრძვის, დავუმალოთ, რაც ზურგში ხდება! ხოლო მათ, ვინც ზურგშია, დავუმალოთ ის საშინელებები, რაც ფრონტზე ხდება!.. ამას გარდა, აუცილებელია ერთსაც და მეორესაც დავუმალოთ ის, რაც კანცელარიის კულისებში ხდება, რაც მტერთან, ნეიტრალურ ქვეყნებში ხდება! დიახ, დიახ, ჩემო კარგო! ამიტომ, ჩვენი ძირითადი ამოცანაა — მე ვლაპარაკობ სამოქალაქო ხელმძღვანელთა ამოცანაზე — არა მარტო მოტყუება, როგორც თქვენ ამბობთ, არამედ კ ა რ გ ა დ მოტყუება! ეს კი, მერწმუნეთ, ყოველთვის როდია ადვილი! აქ საჭიროა დიდი გამოცდილება და გონებამახვილობა და ნამდვილი, დაუსრულებელი გამომგონებლობის უნარი. საჭიროა ერთგვარი გენიალურობა... მე შემიძლია დავამტკიცო, რომ მომავალი ამას დამსახურებად ჩაგვითვლის! ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ტ ყ უ ი ლ ი ს სფეროში ნამდვილი სასწაულები მოვახდინეთ საფრანგეთში ამ ოთხი წლის მანძილზე!

მანქანამ ნელა გაიარა მკრთალად განათებული სენ-ჟერმენის

ბულვარი, უნივერსიტეტის ქუჩა და ანტუანის სახლთან შეჩერდა. მამაკაცები მანქანიდან გადმოვიდნენ.

— აი, კიდევ რას გეტყვით: — განაგრძო რიუმელმა, — მაგონდება, 1917 წლის აპრილში ნიველის * შეტევა მთელი ერთი კვირის მანძილზე... — ნერვიულობისაგან უცებ ხმა აუკანაკლდა, ანტუანს მკლავში წაავლო ხელი და მძღოლის მოშორებით, განზე გაიყვანა, — თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავდა ეს ჩვენთვის, ვინც ზუსტად ვიცოდით ყოველივე... ვინც ამ უამრავი შეცდომების მოწმე ვიყავით... და ვისაც შეგვეძლო, ყოველ საღამოს გვეწარმოებია დაღუპულთა აღრიცხვა. ოცდაოთხი ათასი მოკლული, ოთხმოცათასზე მეტი დაჭრილი ოთხ-ხუთ დღეში!.. ახლა, გამეჩხერებულ ნაწილებში ამტყდარ ამბოხებას არ იკითხავთ?.. სიმართლეზე ან სამართლიანობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო! რადაც უნდა დაგვჯდომოდა, დაუნდობლად უნდა ჩაგვეხშო ჯარისკაცთა აჯანყება, სანამ იგი მთელ არმიას მოედებოდა! სიცოცხლისა თუ სიკვდილის საკითხი იდგა მთელი ქვეყნის წინაშე... რადაც უნდა დაგვჯდომოდა, მხარში უნდა ამოვდგომოდით სარდლობას, დაგვემალა მათი შეცდომები, გავფრთხილებოდით მათ პრესტიჟს... კიდევ უარესი: საჭირო იყო შეგნებულად გაგვეგრძელებია მცდარი მოქმედება, აღგვედგინა შეტევა და ბრძოლის ქარცეცხლში გადაგვესროლა ახალ-ახალი დივიზიები, ხელახლა გაგვეწირა ოცი თუ ოცდახუთი ათასი ჯარისკაცი შმენ-დედამზე, ლაფოს წინ...

— კი მაგრამ, რატომ?

— იმიტომ, რომ თუნდაც უმცირეს წარმატებისათვის მიგვეღწია, რაზედაც ჩვენს მ ხ ს ნ ე ლ ტ ყ უ ი ლ ს დავაფუძნებდით! იმიტომ, რომ აგვეღდგინა ნდობა, თანდათან რომ ხელიდან გვეცლებოდა... ბოლოს კრაონში ბედმა გაგვიღიმა. ჩვენ შევძელით ეს ამბავი ბრწყინვალე გამარჯვებად გაგვესაღებინა. და კიდეც გადავრჩით!... ხოლო ათი დღის შემდეგ მთავრობამ ძველი სარდლობა გადააყენა და გენერალი პეტენი * დანიშნა...

ანტუანი ფეხზე ძლივს იდგა და კედელს მიყრდნობოდა. რიუმელმა ხელმკლავი გაუკეთა და სახლის კარამდე მიაცილა.

— დიახ, — განაგრძო მან, — გადავრჩით! მაგრამ გეფიცებით, უმალ ერთი წლის სიცოცხლეს დავთმობდი, ვიდრე დავთანხმდებოდი, მეორედ გადამეტანა ის ოთხი თუ ხუთი კვირა! — რიუმელი გულწრფელად ლაპარაკობდა — აბა, წავედი! ძალიან მიხარია, რომ გნახეთ! — მერე კიბის ზღურბლთან მისულ ანტუანს მიაძახა: —

თავს გაუფრთხილდით, მეგობარო! ყველა ექიმი ერთნაირია: როცა საკუთარ ჯანმრთელობაზე მიდგება საქმე, ყველაზე კეთილსინდისიერებიც კი საშინელი დაუდევრები ხდებიან!..

• • •

ჟიზს ოთახი მოემზადებინა ანტუანისათვის. დარაბები დაეხურა, ფარდები ჩამოეშვა, ავეჯზე შალითა გადაეძრო, ლოგინი გაეშალა, ჭიქა და წყლის სურა სასთუმალთან დაედგა. ჟიზის ამ ყურადღებამ ისე ააფორიაქა ანტუანი, მისდაუნებურად გაიფიქრა: „არ მეგონა, ასე თუ დავიღლებოდი“. სასწრაფოდ უნდა გაეკეთებინა ჟანგბადის ნემსი. ასეც მოიქცა. მერე სავარძელში ჩაჯდა. თავი საზურგეს მიადო და ათიოდე წუთი წელგამართული, გაუნძრევლად იჯდა.

რიუმელზე ისეთი მძაფრი, მოულოდნელი გაბოროტებით ფიქრობდა — ალბათ, უმართებულოდაც, — რომ თვითონვე გაუკვირდა: „ისინი ვინც ო მ ო ბ ე ნ... ისინი, ვინც არ ო მ ო ბ ე ნ... ჩვენსა და მათ შორის შეუძლებლია ოდესმე მოხდეს მორიგება!“

სუნთქვა გაუადვილდა, წამოდგა, თერმომეტრი აიღო, სიცხე გაისინჯა... 38,1°... რა გასაკვირია, ასეთი მძიმე დღის შემდეგ...

სანამ ლოგინში ჩაწვებოდა, ინჰალაციის ჩატარებაც მოასწრო. „არა, — გააფთრებულმა გაიფიქრა და თავი ბალიშში ჩარგო, დღე დადგება; და მათ, ვინც ა ქ ა ა, გადამალვა, გაქრობა მოუხდებათ. კანონის ძალით, ხვალინდელი საფრანგეთი, მთელი ევროპა ყოფილ მებრძოლებს უნდა ეკუთვნოდეს. არსად, ვინც ი ქ იყო, არავინ არასგზით არ დათანხმდება ითანამშრომლოს იმათთან, ვინც ა ქ დარჩა!“

სიბნელე მძიმედ აწვა გულზე, მაგრამ სინათლის ანთება არ უნდოდა. წინათ აქ ბატონი ტიბოს საწოლი ოთახი იყო, სადაც მოხუცი ისე დიდხანს ებრძოდა სიკვდილს, ისე დიდხანს წვალობდა. ანტუანს დაწვრილებით ახსოვდა ყოველივე, უკანასკნელი აბაზანა, ჟაკი, ნემსის გაკეთება, აგონიის წუთები. ფართოდ გახელილი თვალებით სიბნელეში თითქოს ხედავდა მამამისის საძინებელ ოთახს, წითელი ხის განიერ საწოლს, ხალიჩაგადაკრულ სამლოცველო სკამს და წამლებით დახვავებულ კომოდს.

VI

ჟანგბადის ნემსს უმადლოდა ღამემ რომ მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა თითქმის არ უძინია. როგორც იქნა, გარიჟრაჟზე ცოტა ხნით ჩათვლიმა, მაგრამ კოშმარებმა ისე გააწვალა, ოფლში გაღვრილს გაეღვიძა და იძულებული გახდა საცვლები გამოეცვალა. მერე ისევ ჩაწვა ლოგინში და დარწმუნებულმა, აღარ დამეძინებაო, უცნაური სიზმარი დაწვრილებით გაიხსენა.

„ჰო... სამი სხვადასხვანაირი ეპიზოდი იყო... სამი სცენა, თუმცა სამივე ერთნაირ გარემოში მოხდა: ჩემი ბინის ვესტიბიულში...

ჯერ ლეონთან ერთად ვიყავი. საშინლად მეშინოდა, რადგან ყოველ წუთს მამაჩემის მოსვლა იყო მოსალოდნელი. შემზარავი ვითარება შეიქნა. მე ვითომ ვისარგებლე მამაჩემის არყოფნით, მთელი ქონება დავისაკუთრე და სახლი თავდაყირა დავაყენე. მამა საცაა უნდა დაბრუნდეს, თავს წამომადგეს. საშინელება იყო! ვესტიბიულში ბოლთასა ვცემდი, არ ვიცოდი როგორ ამეცდინა კატასტროფა. გაქცევაც არ შემეძლო. რატომ? იმიტომ, რომ ჟიზი უნდა მოსულიყო. ლეონიც ჩემსავით თავზარდაცემული, დაძაბული, შემოსასვლელ კართან ყურმიდებული იდგა. ახლაც თვალწინ მიდგას შიშისგან გადმოკარკლული მისი თვალები. უცებ თავი მოაბრუნა და მითხრა: „იქნებ ქალბატონი გამეფრთხილებინა?“

„ეს იყო პირველი სცენა. შემდეგ მამა აღმოჩნდა ჩემს წინ; შუა ვესტიბიულში იდგა, სერთუკი ეცვა, ქუდზე შავი კრეპი ეკეთა (როგორც ბატონ შალს) დ ა კ რ ძ ა ლ ვ ი ს გამო. ვისი დაკრძალვა იყო? მის გვერდით ახალი ჩემოდანი იდგა იატაკზე (სწორედ ის, გუშინწინ მე რომ ჩამოვიტანე). ლეონი აღარ ჩანდა. მამა დინჯად, საქმიანად იქექებოდა ჯიბეში. შემამჩნია და მითხრა: „ო, ეს შენა ხარ?.. მადმუაზელი განა აქ არ არის?“ მერე ისევ მეუბნება: „ჩემო კარგო, ფრიად თ ვ ა ლ წ ა რ მ ტ ა ც ი ქვეყნები მოვინახულე!“ (ისეთივე ყალბი, დათაფლული და საზეიმო ტონით ლაპარაკობდა, როგორც ჩვეულებრივ საუბრობდა ხოლმე ასეთ შემთხვევაში). პირი გამიშრა, კრინტი ვერ დავძარი, იმ პატარა ბიჭივით ვიდექი, სასჯელის მოლოდინში კანკალს რომ აუტანია. ამავე დროს გაოგნებული ვფიქრობდი: „კიბეზე ამოსვლისას, როგორ ვერ შეამჩნია, ყველაფერი რომ შეცვლილია აქ? ვიტრაჟი რომ მოხსნილია, ახალი ხალიჩა რომ აგია?“ მერე ისევ გავიფიქრე ძრწოლით:

„როგორ მოვახერხო, რომ ჩ ვ ე ნ ს საძინებელ ოთახში არ შევიდეს, საწოლი არ დაინახოს?!“ მერე აღარ მახსოვს, მგონი ყველაფერი გაქრა...“

„ყოველ შემთხვევაში, — ეს უკვე მესამე სცენა იყო — მამა ხელახლა დავინახე. იმავე ადგილას იდგა, ოღონდ საშინაო ფლოსტები და ქურთუკი ეცვა. ჩვეულებისამებრ, უკმაყოფილო სახე ჰქონდა. კუთხეებში გადაკეცილ საყელოდან ნიკაპი და წვერი მაღლა აიშვირა. და აი, მაშინ მისთვის ჩვეული გამყინავი სიცილით მეუბნება: „ერთი მითხარი, ჩემო კარგო... სად ჯანდაბაში წაიღე ჩემი პენსნე?“. მახსოვს ის პენსნე, კუს ბაკნის პენსნე, საწერ მაგიდაზე ვიპოვე და მამაჩემის ტანსაცმელთან და პირად ნივთებთან ერთად ღარიბთა თავშესაფარს გადავეცი... უცებ საშინლად განრისხდა და ჩემსკენ ყვირილით წამოვიდა: „ჩემი აქციები სადღაა? რა უყავი ჩემი აქციები?“ — „რა აქციები, მამა?“ — ვბუტბუტებდი მე. ოფლის მსხვილი წვეთებით დამეცვარა სახე, შუბლს ხელით ვიწმენდდი და თან მახსოვს, ყურები დაცქვეტილი მქონდა: ყოველ წუთს ველოდი, საცაა ლიფტის კარი გაიღება და ჟიზი შემოვა-მეთქი (მოწყალების დის ფორმაში, რადგან კლინიკიდან უნდა დაბრუნებულიყო) სწორედ მაშინ გამომეღვიძა და მართლაც ოფლში ვიყავი გაღვრილი“.

ანტუანს ეღიმებოდა, როცა იმ შიშს იგონებდა, თუმცა მაინც შეძრწუნებული იყო „ალბათ, სიცხე მაქვს!“ — გაიფიქრა მან. ასეც იყო: 37,8 — ტემპერატურა ოდნავ დაბალია, ვიდრე წინა საღამოს, მაგრამ ასევე ოდნავ მაღალი, ვიდრე ამ დილით უნდა მქონდეს“.

* *

ორი საათის შემდეგ, ჩაცმისა და პროცედურების ჩატარების დროს, ანტუანმა ხელახლა გაიხსენა სიზმარი. „უცნაურია, — ფიქრობდა იგი, — ძალიან ხანმოკლე სიზმარი ვნახე, სულ სამი სწრაფი სურათი: ლეონთან ერთად ლოდინი. ორივე შეშინებული ვიყავით; შემდეგ მამაჩემის შემოჭრა, ჩემოდნით ხელში; ბოლოს პენსნესა და აქციების ამბავი... ჰო, მაგრამ რამდენი რამ იყო ამ სამი სურათის ი რ გ ვ ლ ი ვ! მეტად თავისებური, სავსე წარსული, სადაც სიზმარმა ფესვი მოიკიდა!“

ჯერ კიდევ დასუსტებული, პირსაბნის წინ დიდხანს ვერ დადგა და აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა.

„წარსული, სადაც სიზმრები ერთგვარად ჩაძირულია, ალბათ, უკვე ნაცნობი და შესწავლილი მოვლენაა... ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ... მაგრამ წუხანდელ სიზმარში ეს შემთხვევა განსაკუთრებული სიცხადისაა... ამის თავი არა მაქვს, თორემ ეს სიზმარი უნდა ჩამეწერა. ვიცი, ორი დღის შემდეგ ყველაფერი დამავიწყდება“.

საათს დახედა. დრო ჯერ კიდევ ჰქონდა. უბის წიგნაკი ამოიღო, სადაც ყოველ საღამოს თავის სნეულებაზე წარმოებულ დაკვირვებას იწერდა. წიგნაკიდან რამდენიმე სუფთა ფურცელი ამოხია.

მერე აბაზანის ხალათში გაეხვია და ლოგინში ხელახლა ჩაწვა (ეიზს არც ეს დავიწყებოდა და ხალათი აბაზანის ოთახში საკიდარზე ჩამოეკიდა. „ყველაფერზე იზრუნა, ჩემმა ეიზმა“ — ღიმილით გაიფიქრა მან).

მთელი ორმოცდახუთი წუთი გაფაციცებით წერდა. უცებ ზარის ხმა მოესმა.

ფილიპს პნევმატიური ბარათი გამოეგზავნა. პ ა ტ რ ო ნ ი გულთბილად უხდიდა ბოდიშს, ზეგ საღამოს შემიძლია მხოლოდ თქვენთან შეხვედრაო: ორი დღით პარიზიდან მიდიოდა კომისიასთან ერთად, ჩრდილოეთში რამდენიმე ჰოსპიტლის შესამოწმებლად.

ანტუანს გული დაწყდა, მერე თავის დასამშვიდებლად გაიფიქრა, კიდევ კარგი, ბედი მქონია, რაკი ჩემს გამგზავრებამდე დაბრუნდებაო. ოთხშაბათ საღამოს მასთან ისადილებდა, ხოლო ხუთშაბათს გრასში წავიდოდა.

ფურცლები ლოგინზე მიმოფანტულიყო. ხუთივე ფურცელი უცნაური, იეროგლიფური ხელნაწერით იყო დაფარული, სადაც თითოეული სიტყვა ცალკე ეწერა: ანტუანი ბავშვობიდან შეჩვეოდა ასე წერას, ჯერ კიდევ ბერძნული გრამატიკის გაკვეთილებზე. მან ფურცლები აკრიფა და გადაიკითხა. პირველ ორ გვერდზე სიზმრის ანალიზი იყო მოცემული, მთელი თავისი დამახასიათებელი დეტალებით, რაც კი დამახსოვრებოდა. სამი დანარჩენი გვერდი საკმაოდ ბუნდოვან კომენტარებს მოიცავდა „ეს გასაგებიცაა! — ჩაიბუზღუნა სინანულით. წინათ ეხერხებოდა კონსპექტის კარგად შედგენა. რამდენიმე სტრიქონით შეეძლო მთელი მსჯელობის ძირითადი აზრის ნათლად გადმოცემა — საჭიროა ვივარჯიშო, თუკი გადაწყვე-

ტილი მექნება ჟურნალებისთვის სტატიების წერა!"
ეი, რა ჩაეწერა ანტუანს:

ყოველი სიზმარი ორი განსხვავებული მომენტით ხასიათდება: 1. თვით სიზმარი, ეპიზოდი (ის, ვინც სიზმარს ხედავს, მუდამ მისი მონაწილეა). მოქმედება, ძირითადად მოკლე, ფრაგმენტული, აფუსფუსებულ აქტიორთა მიერ გათამაშებულ სცენას ჰგავს.

2. ამ ხანმოკლე, დრამატიული მომენტის ირგვლივ მოცემულია გარკვეული სიტუაცია. იგი განაგებს ამ მომენტს და სარწმუნოსა ხდის. სიტუაცია გარეთ რჩება, მოქმედების მიღმა. მაგრამ მძინარე ზუსტად აღიქვამს მას. თვით სიზმრის შინაარსის მიხედვით, მძინარე დიდი ხანია იმყოფება ამ სიტუაციაში, შედარებით იმასთან, თუ რას წარმოადგენს ჩვენი წარსული თითოეული ჩვენთაგანისთვის ღვიძილის მდგომარეობაში.

წუხანდელი სიზმრის მაგალითზე, მოქმედების შემცველი სამი ეპიზოდის ირგვლივ მე ვამჩნევ გარემოებათა მთელ კონას; ისინი ჩემი სიზმრის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენენ, სამაგიეროდ ფარულად არსებობენ მასში. კარგად თუ ჩავუკვირდებით, ეს გარემოებები ორი სახისაა და ორ განსხვავებულ ზონას ქმნიან: არსებობს უშუალო გარემოებები, რომლებშიც სიზმარია გახვეული. ამას გარდა, არსებობს მეორე ზონაც, დროის მიხედვით უფრო დაშორებული რომაა: გაცილებით ადრინდელი გარემოებები, წარმოსახვით წარსულს რომ ქმნიან; უიმისოდ შეუძლებელი იქნებოდა სიზმარი. ეს წარსული მე, მძინარე რომ აღვიქვამ გამუდმებით, არავითარ როლს არ თამაშობს სიზმრის მსვლელობის დროს: იგი მხოლოდ წინ უსწრებს სიზმარს, ზუსტად ისევე, როგორც პიესის პერსონაჟთა წარსული უსწრებს წინ მოქმედებას, რასაც შემთხვევით უყრის თავს სცენაზე.

უნდა დავაზუსტოთ. პირველი ზონის გარემოებაში მე ვგულისხმობ, მაგალითად, იმ ფაქტს, რომ ვიცოდი რომელი საათი იყო. თუმცა თვით სიზმარში დროის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა. ვიცოდი, რომ თორმეტს რამდენიმე წუთი აკლდა და ეიზს, როგორც ყოველთვის, ახლაც სადილად ველოდი. ვიცოდი, რომ სწორედ ამ დილით საშუალება არ მქონდა გამეფრთხილებია,

მისი აქ არ ყოფნისას მ ა მ ა ჩ ე მ ი ს ა გ ა ნ დეპეშა მივიღე: მატყობინებდა, დაკრძალვის გამო ვბრუნდებიო (აქ ერთი მომენტია გაურკვეველი: ვისი დაკრძალვა იყო? ეს არ გახლდათ მადმუაზელის დასაფლავება, მაგრამ ვიღაც ახლობელს ვასაფლავებდით, რადგან ყველანი მგლოვიარედ ვიყავით). ვ ი ც ო დ ი, რომ მამა იმიტომ იქექებოდა ჯიბეში, ხურდა ფულს ეძებდა, უნდოდა მანქანის ფული გადაეხადა, რადგან ვ ი ც ო დ ი, ტაქსმა, სადაც მამაჩემის ბარგი ეწყო, ახლახან მოიყვანა იგი ჩვენ სახლთან (ჩემი აზრით, ისიც შემიძლია ვთქვა, რომ მე დ ა ვ ი ნ ა ხ ე ქუჩაში შეჩერებული ტაქსი, ამავე დროს მამასაც მოვკარი თვალი ვესტიბიულში) და ასე შემდეგ...

მეორე ზონის გარემოებები. აქ მე ვგულისხმობ საკმაოდ შორეულ მთელ რიგ ამბებს, რომელთა არსებობის შესახებ ა ნ ტ უ ა ნ მ ა იცოდა. ზუსტად ვერ ვიტყვი, ვფიქრობდი თუ არა ამაზე სიზმარში; ოღონდ მათი ხსოვნა ჩ ე მ შ ი ი ს ე ვ ე ა რ ს ე ბ ო ბ დ ა, როგორც არსებობენ ჩვენი რეალური ცხოვრების მოგონებები: ასე, მაგალითად, ვ ი ც ო დ ი (უფრო ზუსტად, ჩემთვის ნაცნობი იყო), რომ მამა დიდი ხნის წინ წავიდა საფრანგეთიდან, რომელიღაც საქველმოქმედო დაწესებულების სანახავად გაგზავნეს ქვეყნის დასალიერში (უცხოეთის საქველმოქმედო დაწესებულების გასაცნობად თუ რაღაც ამის მსგავსი). მოგზაურობა ისეთი ხანგრძლივი გამოდგა, გვეგონა არასოდეს დაბრუნდებოდა. მე ისიც ვ ი ც ო დ ი, როგორ შევხვდით მის გამგზავრებას: მიგვაჩნდა, რომ ბედმა გაგვიღიმა მოულოდნელად. ვ ი ც ო დ ი, როგორც კი მამის მეურვეობას დავაღწიე თავი, ცოლად შევირთე ჟიზი. ჩვენ დავისაკუთრეთ ბინა, ჩვენს გემოზე მოვაწყეთ, გავყიდეთ ავეჯი, მამის პირადი ნივთები უპატრონოთა თავშესაფარს გადავეცით, მოვარღვიეთ ტიხრები, გვინდოდა სახლი სულ შეგვეცვალა (და აი, რა არის უცნაური: ეს ცვლილებები სიზმარში სულ არ იყო ისეთი, როგორიც სინამდვილეში მოვახდინე. მაგალითად, სიზმარში ვესტიბიული მართლაც ღია ოხრისფრად იყო შეღებილი, სამაგიეროდ იქ წითელი ხალიჩა ეფინა და არა თამბაქოსფერი; კონსოლის ნაცვლად მამის წინოთახიდან გადმოტანილი ძველებური მუხის საათი იდგა). ჯერ სადა ხართ?! დაუსრულებლივ შემიძლია ჩამოვთვალო ის, რაც მე ვ ი ც ო დ ი. მაგალითად, ზუსტად ვ ი ც ო დ ი, რომ ჩემი და ჟიზის საძინებელი ოთახი (სადაც, სხვათა შორის სიზმრის არცერთი

სცენა არ წარმოებდა), მამაჩემის ყოფილი საძინებელი იყო და ანას ოთახს წააგავდა ვაგრამის ქუჩაზე. კიდევ მეტი: ვ ი ც ო დ ი, რომ ამ დილით ლეონმა სახლის დალაგება ვერ მოასწრო და ჩვენი გა-ნიერი საწოლი ისევ აშლილი იყო. ამიტომ თავზარდაცემული ვფიქ-რობდი, საცაა მამა საძინებელი ოთახის კარს შეაღებს-მეთქი... ამას გარდა, ვ ი ც ო დ ი ათასი სხვა წვრილმანი ამბავი ჩვენი ცხოვრებისა და ახლობლების შესახებ. კერძოდ, — ჩემი აზრით, ეს ძალიან საინტერესოა, რადგან ჩემი ძმა სიზმარში სულ არ მონაწი-ლეობდა — მე ვ ი ც ო დ ი, რომ ჟაკი საშინლად ეშვიანობდა ჟიზი რომ ცოლად შევირთე, მერე შვეიცარიაში გადავიდა საცხოვრებ-ლად და იგი...

* * *

ჩანაწერები აქ წყდებოდა. ანტუანს აღარავითარი სურვილი არ ჰქონდა გაეგრძელებია წერა. მან აიღო ფანქარი და ფურცლის ველზე მიაწერა: „გავეცნოთ რას ამბობენ ისინი, ვინც სიზმრის სა-კითხებზე მუშაობენ!“

* * *

ფურცლები დაკეცა, ადგა და ინჰალაციისთვის წყალი დადგა გასათბობად. რამდენიმე წუთის შემდეგ პირსახოცით თავმოხვეული, სახე გაოფლიანებული, თვალდახუჭული ღრმად ისუნთქავდა კეთილ-მოქმედ ორთქლს და თან სიზმარი გონებიდან არ შორდებოდა. უცებ თავში გაუელვა, თვით სიზმრის შინაარსი შელანძღულ სინ-დისზე, პასუხისმგებლობის ერთგვარ გრძნობაზე, იქნებ დანაშაულ-ზეც კი მიუთითებდა, რასაც ღვიძილის დროს მისი ამაყი ბუნება ახერხებდა სადღაც დაემალა. „მართლაც ყოველივე იმით, რაც მამის სიკვდილის შემდეგ მოხდა, საამაყო არაფერი მაქვს, — გაიფიქრა მან (იგი გულისხმობდა არა მარტო მდიდრულად მორთულ ბინას, არამედ ანასთან კავშირსაც, მაღალ საზოგადოებაში წრიალს, ყვე-ლაფერს, რაც ლაღი ცხოვრებისკენ უბიძგებდა) — იმაზე აღარას ვამბობ, მამისგან მიღებული მემკვიდრეობის მეტი წილი რომ სულ ღაიკარგა...“ (სახლის გადაკეთებისთვის საჭირო ხარჯებმა თითქმის ნახევარი ქონება შთანთქა, ხოლო დანარჩენი თანხა, ბატონი ტიბოს მიერ გონივრულად დაბანდებული, არაფრად ჩაადო და აწ გაუფა-სურებულ რუსულ აქციებად აქცია). „კმარა ამაო სინანული!“ —

ისევ გაიფიქრა მან. ასე ახშობდა მუდამ სინდისის ხმას. მიუხედავად ამისა, — სიზმარიც ამის აშკარა საბუთი გახლდათ, — გულის სიღრმეში მაინც შერჩენოდა ბურჟუაზიული მოსაზრება „საგვარეულო ქონებაზე", მემკვიდრეებისათვის გადასაცემ დანაზოგ ფულზე; და თუმცა ვალდებული სულაც არ იყო ანგარიში ჩაებარებინა ვინმესთვის, მაინც შერცხვა, ერთი წელიც არ გასულიყო მრავალი თაობის მიერ ბრძნულად დაგროვილი ქონება ერთბაშად რომ გაფლანგა.

წამით თავი გამოჰყო პირსახოციდან, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა, ჩაწითლებული თვალები ამოიწმინდა და სველი, გაცხელებული პირსახოცი ხელახლა გადაიფარა თავზე.

1914 წლის ზამთრის გახსენებამ, ამ დილით კიდევ უფრო გაუღრმავა ის გაღიზიანება, წინადღით ჟიზის გამგზავრების შემდეგ თავისი ლამაზი მიტოვებული ლაბორატორიის შემოვლით რომ განიცადა. შემოიარა ოთახი, მაღალფარდოვანი სახელით რომ მონათლა ოდესღაც — „არქივი", სადაც კართოთეკები ინახებოდა და ახალთახალი, დანომრილი, მაგრამ ცარიელი საქაღალდეები ელაგა; იგი შევიდა კარგად მოწყობილ „გადასახვევ ოთახში", ერთხელაც რომ არ გამოუყენებია გადასახვევად, და აქ, პირველ სართულზე, მისი სადად მოწყობილი, ძველი ბინა მოაგონდა, ახალგაზრდა ექიმის სასარგებლო, შემოქმედებითი ცხოვრება მოაგონდა და მიხვდა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ მცდარ გზას დაადგა.

გაციებული ინჰალატორიდან სუსტი ორთქლიღა გამოდიოდა. ანტუანმა სველი პირსახოცები მოიშორა, სახე მოიწმინდა და საძინებელ ოთახში დაბრუნდა.

— აა... ეეე... აა... ოოო... — სარკის წინ ხმას ავარჯიშებდა. ისევ ჩახლეჩილი ჰქონდა, თუმცა ტემბრი სუფთა გაუხდა და სუნთქვაც გაუადვილდა. „ოცი წუთი სასუნთქი ვარჯიში... მერე ათი წუთს დავისვენებ, ჩავიცვამ, ჩემოდანს ავიღებ და, რაკი დღეს ფილიპს ვერ შევხვდები, პირველივე მატარებლით მეზონში წავალ".

* * *

სადგურისკენ მიმავალი ტაქსიდან ანტუანი ათვალიერებდა ტიულრის ყვავილნარს, მაისის მზის სხივებში გახვეულ თეთრ ქანდაკებებს, კორდზე რომ აღმართულიყო, მოვარდისფერო ბურუსით

გაფერმკრთალებული ტრიუმფალური თაღის კონტურებს კარუსელის მოედანზე. ერთბაშად გაზაფხულის ერთი დილა მოაგონდა: ლუვრის ეზოში ანას პაემანი რომ დაუნიშნა.

— ბულონის ტყეში წამიყვანეთ! — უთხრა ანტუანმა მძღოლს. უეცარი გადაწყვეტილება მიიღო, — ოღონდ სპონტინის ქუჩით წადით.

როცა ტაქსი ბატენკურების სახლს გაუსწორდა, მძღოლს სთხოვა, ნელა წასულიყო და ფანჯრიდან გადაიხედა. დარაბები დახურული იყო, ჭიშკარს გასაღები ედო. კონსიერჟის კარზე აბრა შეამჩნია:

ი ყ ი დ ე ბ ა ლ ა მ ა ზ ი ს ა ხ ლ ი

დიდი ეზო. გარაჟი. ბაღი.

(სართო ფართობი: 625 კვმ)

სიტყვის „ი ყ ი დ ე ბ ა“ ზემოდ, ვიღაცას ფანქრით მიეწერა: „ა ნ ქ ი რ ა ვ დ ე ბ ა“.

ტაქსი ნელა მიჰყვებოდა ბაღის ღობეს: ანტუანი არაფერს გრძნობდა. სრულიად არაფერს: არც აღელვებას, არც სევდას. მერე გაიფიქრა, ნეტა რა მინდოდა აქეთ რომ წამოვედიო!

— უკან დაბრუნდით... სენ-ლაზარის სადგურისკენ! — მიაძახა მძღოლს. — „ჰო, — თითქოს დილანდელ ფიქრს აგრძელებსო, — თავს ვიტყუებდი, როცა ვირწმუნებოდი, რაც შეიძლება მდიდრულად უნდა მოვაწყო ჩემი პროფესიული ცხოვრება-მეთქი... მთელმა ამ მატერიალურმა კეთილდღეობამ არამც თუ ხელი შეუწყო ჩემს მუშაობას, პირიქით, გაყინა! ეს ლამაზი მექანიზმი ცარიელი მუშაობდა. ყველაფერი მზად იყო რაღაც დიადი განზრახვის შესასრულებლად. სინამდვილეში არაფერს ვაკეთებდი“. გაიხსენა, როგორ შეხვდა მისი ძმა მამის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას, გაიხსენა ჟაკის ზიზღი ამ ფულებისადმი. ანტუანმა მაშინ სისულელედ ჩათვალა ჟაკის საქციელი. „თურმე არ ტყუოდა. რამდენად უკეთ გავუგებდით ახლა ერთმანეთს!.. ფული საწამლავია. განსაკუთრებით, მემკვიდრეობით მიღებული ფული. ფული, საკუთარი შრომით რომ არ გიშოვნია... ომი რომ არა, დავიღუპებოდი, ვერასოდეს განვიწმინდებოდი ამ მომწამვლელი სენისგან. იქამდეც კი მივედი, მეგონა, ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება-მეთქი. უფლებამოსილად ვრაცხდი თავს, მესარგებლა მდიდარი კაცის ბუნებრივი პრივილეგიებით: ნაკლებად მემუშავა და ჩემს მაგივრად სხვები მე-

მუშავებინა. ჩ ე მ ს ლაბორატორიებში ჟუსლენისა და შტუდლერის პირველივე აღმოჩენებს ისე მივითვისებდი, ალბათ, სინდისის ქენჯნასაც არ ვიგრძნობდი!.. წამგლეჯი... აი, რა გავხდებოდი! ფულის წყალობით მბრძანებლობას სიამოვნებით გავუსინჯე გემო... ფულის წყალობით მიღებული პატივისცემა შევიფერე... უკვე მზად ვიყავი მეფიქრა, ფული ყოველგვარ უპირატესობას მომანიჭებს-მეთქი... საძაგლობაა! ან ეს ყალბი, ორაზროვანი ურთიერთობა, ფული რომ მდიდარ ადამიანსა და სხვა დანარჩენს ხალხს შორის ამყარებს?! აი, სად იმარხება ფულით გამოწვეული ბოროტება! უკვე აღარაფრის და არავისი არ მწამდა. ჩემს საუკეთესო მეგობრებზე ასე ვფიქრობდი: „ნეტა, რატომ მიყვება ამ ამბავს? ჩემი ჩეკის გულისთვის?“ საძაგლობაა! საძაგლობა!..“

ამ ნალექში ხელის ფათურით ისეთი სიმწარე იგრძნო, სადგურის ღრიანცელი შვებასავით მოევლინა. ხალხში გაერია, სულის ხუთვაც გადაავიწყდა, ბედნიერი იყო, შესაძლებლობა რომ ეძლეოდა საკუთარ თავს გაქცეოდა და რაღაც სხვა ამბით გართულიყო.

— ბილეთი მეო... არა, მ ე ს ა მ ე კლასის, სამხედრო, მეზონლაფიტამდე... მატარებელი რომელ საათზე ჩამოდგება?

მესამე კლასის ვაგონით იშვიათად უმგზვრია. დღეს კი ცხოველ კმაყოფილებას გრძნობდა.

VII

კლოტილდამ კარზე მიაკაკუნა. საუზმე მოეტანა სინით; ერთხანს შეიცადა, შემდეგ ისევ დააკაკუნა. არავითარი პასუხი. შეწუხდა, ალბათ, ანტუანი უსაუზმოდ წავიდაო და კარი შეაღო.

ოთახში ბნელოდა. ანტუანი ლოგინში იწვა. კაკუნი ესმოდა, მაგრამ დილით, ინჰალაციამდე ხმა ისე უწყდებოდა, ცდილობდა არ ელაპარაკა. კლოტილდასაც სწორედ ეს ანიშნა ხელის მოძრაობით.

თუმცა საცოდავი ქალის დასამშვიდებლად, ანტუანი იღიმებოდა, იგი მაინც თავზარდაცემულივით იდგა ზღურბლზე, გაოცებისა და გაოგნებისგან წარბები აეზიდა: ხედავდა, ანტუანს ხმის ამოღება არ შეეძლო; კი მაგრამ, აკი წინაღამით ჩამოსვლისთანავე შევიდა მასთან სამზარეულოში და კიდეც ესაუბრა?! ამიტომ ფიქრობდა, ალბათ, დამბლა დაეცა და მეტყველების უნარი წაართვაო.

ანტუანი მიუხვდა, ისევ გაუღიმა, ანიშნა, ახლოს მოდიო, სასთუმ-ლის მაგიდიდან წიგნაკი და ფანქარი აიღო და დაწერა: „ღამით შესანიშნავად ვიყავი. დილით მუდამ ასე ვარ, ლაპარაკი არ შემიძ-ლია“.

კლოტილდამ ნელა გადაიკითხა ნაწერი, ერთხანს გახევებული დააცქერდა ანტუანს, შემდეგ პირდაპირ მიახალა:

— არა უშავს! ოღონდ ვინ იფიქრებდა, ბატონი ანტუანი ასეთ დღეში ჩავარდებოდა... რა ლაზათიანად მოგშოლეს იმ ოხ-რ ე ბ მ ა! ფარდები გადასწია. დილის მზე ოთახში გადმოღვარა. ცა ლურჯი იყო; ხის აივნიდან ჩამოშვებული უსურვაზით გარშე-მორტყმული ფანჯრიდან იქვე ჩარგული ფიჭვები მოჩანდა, ხოლო უფრო შორს, ამწვანებული ხის კენწეროები და სენ-ჟერმენის ტყე ქარის ქროლვაზე ნელა ირხეოდა.

— ჭამა თუ შეგიძლიათ მაინც? — ჰკითხა კლოტილდამ და სა-წოლთან მივიდა. თბილი რძე ფინჯანში ჩაუსხა და სანამ ანტუანი პურის ნატეხებს ჭყრიდა შიგ, უკან დაიხია, ხელები წინსაფრის ჯიბეებში ჩაიწყო და ანტუანს მიაჩერდა. იგი ისე გაჭირვებით ყლა-პავდა რძეს, ქალმა თავი ვერ შეიკავა და გაიმეორა:

— ამას ვინ იფიქრებდა? არა, ნამდვილად არავინ იფიქრებდა! ვიცოდით, ბატონი ანტუანი გაზით რომ მოიწამლა, მაგრამ ამბობდ-ნენ, გაზით მოწამვლა უკეთესია, ვიდრე ჭრილობაო... გამოდის, ასე არ ყოფილა! თუმცა ავადმყოფობისა მე არაფერი გამეგება. როცა ბატონი ანტუანი მე და ადრიენს გვწერდა, მადმუაზელ ჟიზს წაჰყე-ვითო ქალბატონ დე ფონტანენთან, ჩემმა დამ მაშინვე თქვა, მე დაჭ-რილებს მოვუვლიო. მე კი განვაცხადე, რაც გინდათ ის დამავალეთ, სამზარეულოს, ოჯახს, ყველაფერს მოვუვლი, სამუშაოსთვის არა-სოდეს ამირიდებია თავი, ოღონდ დაჭრილების მოვლა ჩემი საქმე არაა-მეთქი. ამიტომაც, ქალბატონებმა ადრიენი ჰოსპიტალში წაიყ-ვანეს, მე კი აგარაკზე დავრჩი. არ იფიქროთ, ვწუწუნებდე, თუმცა იმდენი საქმეა, თავის მოსაფხანად არა მცალია. ბატონ ანტუანს კარგად მოეხსენება: ერთმა ქალმა წესრიგში რომ მოიყვანოს აქა-ურობა, დღეში ოცდახუთი საათის მუშაობა დასჭირდება. მაგრამ ჭრილობებში ხელის ფათურს, მაინც ეს მირჩევნია.

ანტუანი უსმენდა და იღიმებოდა („რაკი ჟიზთან არაფერი გა-მომდის, კარგი იქნებოდა ეს ერთგული ქალი მომივლიდეს... მაგრამ სამწუხაროდ, მესასთუმლეობა მისი მოწოდება არ გახლავთ!“).

მან სერიოზული სახე მიიღო, ტუჩები მოკუმა და თავი რამდენჯერმე დაუქნია, ანიშნებდა, მესმის რა მძიმე მოვალეობა გაწევსო.

— ოჰ, — სინანულით წამოიწყო ქალმა, — კარგად თუ ჩავუკვირდებით, არც ისე მძიმე საქმეა. ორივე ქალი ლაზარეთშია დღენიადაგ. სადილზე თუ ვნახულობ ორივეს. საუზმეზე მხოლოდ ბატონი დანიელი და ქალბატონი ჟენია თავისი ბალღით.

ქალი წინათ ასეთი ფამილარობით არ ლაპარაკობდა. ომის წლებს თითქოს წაეშალა ყოველგვარი მანძილი. თავისი უცერემონიო ყბედობით ანტუანი გააბრუა. ოჯახის არც ერთი წევრი არ დარჩენია, რომ არ ეხსენებია: „მადმუაზელ ჟიზი ყველას თავაზიანად გვექცევა. ქალბატონი დე ფონტანენი სულაც არ ყოფილა მედიდური, ოღონდ მაინც უხერხულობას გრძნობ, არ იცი როგორ მიუდგე. ქალბატონი ნიკოლი ცოტა დაბნეული ქალია, მაგრამ ისე მოგიმსახურებს!.. ქალბატონ ჟენის ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, სამაგიეროდ მაგარი მუშაობა იცის, თანაც ისეთი ჭკვიანია...“ „ბალღი“ გამუდმებით ეკერა პირზე, აღტაცებითა და სიყვარულით ახსენებდა: „აი ნახავთ, როგორი გაიზრდება ეს ბალღი! ცხონებული ბატონივით ეცოდინება მბრძანებლობა! („მართალია, იგი მამაჩემის ნამდვილი შვილიშვილია!“ — გაიფიქრა ანტუანმა). ნება რომ მისცენ, ახლაც თავის ჭკუაზე ატარებს ყველას... ბატონი ანტუანი ვერც კი წარმოიდგენს, რა ბიჭია!.. ნამდვილი ვერცხლის წყალია, ყველაფერი აინტერესებს, ყველაფერში ცხვირსა ჰყოფს! არაფერს დაგიდევთ, არავის უჯერებს... ჩვენი ბედი კიდევ, ბატონი დანიელი უვლის: მე იმდენი სამუშაო მაქვს, მისთვის სად მცალია. ერთი წუთით ვერ მოაცილებ თვალს... ბატონ დანიელს კიდეც ართობს მასთან ყოფნა: მთელი დღე მარტოკაა, რეზინის ღეჭვის მეტს არაფერს აკეთებს... ჰოდა, ბალღი რომ არ იყოს. მოწყენილობა მოკლავდა... — კლოტილდამ თავი გადააქნია და მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა: — რომ მომკლან, მაინც ვიტყვი, ახლა ისეთი დროა, ბევრი ინატრებდა, ნეტა მეც დავკოჭლებულიყავიო!...“

ანტუანმა წიგნაკი აიღო და დაწერა: „ლეონი?“

— ოჰ, საცოდავი ლეონი! — ქალმა არ იცოდა ანტუანის მსახურის ამბავი (ფრონტზე მისვლის მეორე დღესვე, თოთხმეტი საათის ბრძოლის შემდეგ ტყვედ ჩავარდნილიყო შარლლერუასთან; ანტუანს ბანაკის ნომერი გაეგო და კლოტილდასთვის დაევალებინა, ყოველ თვეს გაეგზავნა პროდუქტების ამანათი. ლეონი სამ თვეში

ერთხელ რეგულარულად უგზავნიდა ღია ბარათს, მადლობას უთვლიდა, მაგრამ სხვას არაფერს ატყობინებდა) — ბატონმა ანტუანმა იცის თუ არა, ფლეიტა რომ გვთხოვა? მადმუაზელ ჟიზმა პარიზში უყიდა და გადაუგზავნა.

ანტუანს მოეთავებინა რძის სმა.

— ახლა წავალ, ქალბატონ ჟენის უნდა მოვეხმარო! — თქვა კლოტილდამ და ჭურჭელი სინზე დაალაგა, — დღეს სამშაბათია, სარეცხი აქვს, გასარეცხს რა გამოლევს: ბალღი ისე ითხუპნება...

უკვე კართან იყო მისული, როცა მობრუნდა და ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ანტუანს. მის ბრტყელ სახეს ფიქრები მოძალებოდა.

— ბატონო ანტუან, რამდენი რამის მომსწრე ვართ ამ ოთხ წელიწადში! რამდენი რამ ვნახეთ!.. ახლა რომ ცხონებული ბატონი დაბრუნდეს... ერთი რომ დაანახვა, რაები მოხდა იმის შემდეგ, რაც ის აქ აღარაა!

* * *

მარტოდ დარჩენილმა ანტუანმა ნელა ჩაიცვა: არსად ეჩქარებოდა. განზრახული ჰქონდა, პროცედურები საგულდაგულოდ ჩაეტარებინა. „ცხონებული ბატონი რომ დაბრუნდეს!..“ — კლოტილდას სიტყვებმა სიზმარი მოაგონა: „რა დიდი გავლენა აქვს აქამდე მამაჩემს თითოეულ ჩვენთაგანზე!“ — გაიფიქრა მან.

* * *

თერთმეტს გადაცილებული იყო, როცა ფანჯარა გააღო. სასუნთქი ვარჯიშის დროს ფანჯრები ჩაეკეტა, არ უნდოდა ვინმეს გაეგონა.

ბაღიდან მამაკაცის ხმა მოესმა: „ჟან-პოლ, მანდედან ჩამოდი! ჩემთან მოდი!“ შორეული, ექოსავით ქალის მშვიდი, ტკბილი ხმაც მოისმა: „ჟან-პოლ! ახლავე შეასრულე, რაც ძია დანმა გითხრა!“

ანტუანი აივანზე გავიდა. უსურვაზის ტოტები ფარდებივით ჩამოშვებულიყო, არ გადასწია, ისე გაიხედა გარედ. ქვემოთ, პატარა ჭალას ტყიდან თხრილი ჰყოფდა. ორი ჭადრის ჩრდილში (ოდესღაც იქ ქალბატონ დე ფონტანენს უყვარდა დასვენება) დანიელი დაწ-

ნულ შეზლონგზე წამოწოლილიყო და წიგნი მუხლზე ედო. რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ცისფერ ჯემპრში ჩაცმულ ბიჭუნას გადმობრუნებული ვედრო კედელთან მიედგა და ტერასის მოაჯირზე ასვლას ლამობდა. ჭალის მეორე მხარეს, მებაღის ყოფილი სახლის ფართოდ გაღებული კარი მზის სხივებში გახვეულიყო; სახელოდაკაპიწებული ენი ვარცლზე დახრილიყო და სარეცხს საპნავდა.

— ჟან-პოლ, აქ მოდი! — გაიმეორა დანიელმა.

მზის თვალისმომჭრელი სხივების ზოლში წამით გაიელვა ბავშვის წითურმა, აწეწილმა ქოჩორმა. როგორც იქნა, გადაწყვიტა და ძია დანთან მივიდა. ეტყობა, არ უნდოდა ეფიქრათ, დაუჯერა და ამიტომ დაბრუნდაო, დინჯად დაჯდა მიწაზე, ნიჩაბი აიღო და ვედროში ქვიშის ჩაყრას შეუდგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ანტუანი კიბეზე ჩავიდა; ჟან-პოლი იმავე ადგილას დახვდა.

— მიდი, ძია ანტუანს მიესალმე! — უთხრა დანიელმა.

მოაჯირის ძირას ჩაცუცქული ბიჭი გამალებით მუშაობდა ნიჩბით და ისეთი სახე მიეღო, თითქოს ნათქვამი ვერ გაეგონოს. უცნობი მამაკაცის მიახლოება რომ იგრძნო, ნიჩაბი გადააგდო და თავი დაბლა დახარა. ანტუანმა ხელი სტაცა, აიყვანა, ზევით ასწია. ბიჭუნამ ჯერ ფეხები ააფართხალა, მაგრამ როცა მიხვდა, მეთამაშებიანო, ხმამაღლა გადაიკისკისა. ანტუანმა აკოცა და ყურში წასჩურჩულა:

— როგორ ფიქრობ, ძია ანტუანი ავია?

— ჰო! — დაიყვირა ბავშვმა.

ანტუანს სული შეეხუთა. ბავშვი მიწაზე ჩამოსვა და დანიელთან მივიდა. როგორც კი დაჯდა, ჟან-პოლმა მასთან მიირბინა, მუხლებზე აუცოცდა, მკერდზე მიეკრა და თავი მოიმძინარა.

დანიელი არ განძრეულა. ტანზე ძველი მუქი შარვალი და ტენისის ზოლებიანი, ძველი ფლანელის ქურთუკი ეცვა. უჰალსტუხოდ იყო. ხის ფეხზე შავი ფეხსაცმელი ჩამოეცვა. მეორე ფეხი უწინდოდ გაეყო საშინაო ფლოსტში. საოცრად მოშვებული ჩანდა. წინანდებურად სწორი, კეთილშობილური ნაკვთები ჰქონდა, მაგრამ მთელი სახე მძიმე ნიღაბს მიუგავდა. გრძელი თმითა და ყორნისფერი წვერით იმ პროვინციელ ტრაგიკოსს წააგავდა, შინ რომ და-

უდევრად აცვია, ხოლო საღამოს, რამპის შუქზე, რომაელი იმპერატორის როლში დიდ ეფექტს ახდენს.

მართალია, ანტუანი დილიდანვე ბრონქებისა და ხორხის მოვლაში იყო გართული, მაგრამ მაინც შეამჩნია, — თუმცა ამისთვის მნიშვნელობა არ მიუცია, — რომ დანიელმა მხოლოდ ხელი ჩამოართვა, არც კი ჰკითხა, თავს როგორ გრძნობო (ეს კია, წინაღამით ერთმანეთს გამოჰკითხეს თავიანთი ჯანმრთელობის ამბები და კიდეც გაუზიარეს საკუთარი დარდი). ანტუანმა თავაზიანობა გამოიჩინა, დაიხარა და დანიელის გვერდით, პირდაპირ ქვიშაზე დადებულ წიგნს ცნობისწადილით დახედა.

— ესა? „ლე ტურ დიუ მონდ“ *... ძველი ჟურნალია — უთხრა დანიელმა — ... 1877 წლის გამოცემა. მერე წიგნი ხელში აიღო და უგულისყუროდ გადაშალა — გრავიურებითაა სავსე... იქ, მაღლა, მთელი კომპლექტი გვაქვს.

ანტუანი დაბნეული სახით ეფერებოდა ბავშვის თმას. ბიჭუნამ თავი მიეყრდნო ბიძამისის მკერდზე, თვალები ფართოდ დაეჭყიტა და იტყოდით, ღრმა ფიქრებს გაუტაცნიაო.

— რაა ახალი? გაზეთები უკვე წაიკითხეთ?

— არა, — უთხრა დანიელმა.

— ამბობენ, მოკავშირეთა საბჭოს გადაუწყვეტია, ფოშის რწმუნება იტალიის ფრონტზეც გაავრცელოს ამ დღეებში.

— ჰოო?

— ეტყობა, ოფიციალურადაა გამოცხადებული.

თითქოს ერთბაშად მიხვდა, აქ ყოფნა მოსაწყენიაო, ბიჭუნა მიწაზე ჩახტა.

— სად მიდიხარ? — ერთხმად ჰკითხეს ძია დანმა და ძია ანტუანმა.

— დედიკოსთან.

ჯერ ცალ ფეხზე შეხტა ორჯერ, მერე — მეორეზე და სახლისკენ მხიარულად მოკურცხლა.

ანტუანმა და დანიელმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

დანიელმა საღეჭი რეზინის მთელი პაკეტი ამოიღო ჯიბიდან და ერთი ცალი ანტუანს მიაწოდა.

— არა, გმადლობთ.

— თავის შექცევა შეიძლება, — განმარტა დანიელმა, — სიგარეტს აღარ ვეწევი.

პაკეტიდან ერთი ტაბლეტი ამოიღო, მთლიანად ჩაიდო პირში და ღეჭვას მოჰყვა.

ანტუანი ღიმილით შეჰყურებდა.

— ერთი შემთხვევა გამახსენეთ... ფრონტზე... ვილერ-ბრეტონში ლაზარეთი მოვაწყვეთ ფერმაში, სადაც მანამდე ამერიკული სანიტარული რაზმი იდგა. ჩვენმა სანიტრებმა მთელი დღე მოანდომეს ფერმის დასუფთავებას: ჩაქუჩით ფხეკდნენ საღეჭ რეზინებს, იმ ბინძურ ხალხს რომ მიეკრა ყველგან: პლინთუსებზე, კარებზე, მაგიდის ქვეშ, მერხების ქვეშ... ამ საძაგლობამ ცემენტივით იცის თურმე გამაგრება... კიდევ რამდენიმე წელს თუ გაგრძელდა ანგლო-საქსონური ოპერაცია, არტუასა და პიკარდიაში მთელი შენობები დაკარგავენ პირვანდელ სახეს და საღეჭი რეზინების უფორმო გროვად იქცევიან... — ხველამ სიტყვა გააწყვეტინა — ... ზუსტად ასე მოხდა წყნარ ოკეანეში... ზოგი კლდე... გ უ ა ნ ო ს* მთად იქცა.

დანიელს გაეღიმა. ჟაკის არ იყოს, ანტუანიც ვერ უყურებდა გულგრილად მის ღიმილს და ახლა სიხარულით გაიფიქრა, დანიელის ღიმილს წინანდებური მომხიბვლელობა შერჩენიაო. მიუხედავად სახის ნაკვთების მოდუნებისა, ზედა ბაგის კილოს ახლაც მარცხნივ სწევდა ნელა, ეშმაკურად, ხოლო ნახევრად მოჭუტულ თვალებში დამცინავი ნაპერწკალი უკიაფებდა.

ანტუანი ისევ ახველებდა. იმედგაწყვეტილმა მოუთმენლად ჩაიქნია ხელი.

— ხომ ხედავთ... რა ბებერივით... ვახველებ! — ძლივს ამოიღო ხმა. მერე ცოტახანს შეისვენა — როგორც კლოტილდა ამბობს, ლაზათიანად მოგვშალეს იმ ო ხ რ ე ბ მ ა! თანაც, ჩვენ თურმე მაინც პრივილეგიურები ვყოფილვართ!

ერთხანს ორივე დუმდა. ამჯერად დანიელმა დაარღვია სიჩუმე:

— თქვენ მკითხეთ, გაზეთები თუ წავიკითხე? არა... იშვიათად ვკითხულობ. ისედაც ბევრს ვფიქრობ მთელ ამ ამბებზე! სხვა რამეზე ფიქრი არც შემიძლია... რა საჭიროა ცნობების წაკითხვა, ისედაც იცი, რას ნიშნავს სიტყვები: „ფრონტზე გამოცოცხლებაა“... ანდა: „მოხერხებული შეტევა ამა და ამ ადგილას...“ არა! — მან თავი მიაყრდნო შეზლონგის საზურგეს, თვალები დახუჭა და დაბალ ხმაზე განაგრძო: — ე ს შ ე ტ ე ვ ა შენ თვითონ უნდა გამოსცადო და თანაც ქვეით ჯარში უნდა იყო, თუ გინდა გაიგო... სა-

ნამ კავალერიაში ვიყავი, ჯერ კიდევ არ ვიცოდი რა იყო ომი. თუმცა სამჯერ მაინც მივიღე მონაწილეობა... კავალერიის შეტევაზე იმდენი რამაა მოსაყოლი, მაგრამ ეხ კიდევ არაფერია ქვეითთა შეტევასთან შედარებით, როცა ზუსტად დანიშნულ დროზე ხიშტით აწყობ „თავდასხმას“.

შეკრთა, თვალები გაახილა, ერთ წერტილს მიაშტერდა და გაშმაგებით მოჰყვა რეზინის ღეჭვას.

— კაცმა რომ თქვას, რამდენი ვართ ზურგში ისეთი, რომელმაც იცის რა არის ომი? რამდენი დაბრუნდა? ან იტყვის კი რამეს? რა საჭიროა? არც შეუძლიათ, არც უნდათ რაიმის თქმა. იციან, ვერავინ გაუგებს.

დანიელი გაჩუმდა. არცერთი არ იღებდა ხმას, არც უყურებდნენ ერთმანეთს. მერე ისევ ანტუანმა წამოიწყო ლაპარაკი სვენებსვენებით:

— არის წუთები, როცა თავს ვირწმუნებ, ეს ომი უკანასკნელია-მეთქი; ასეთი ომის შემდეგ შეუძლებელია იფიქრო, რომ კიდევ იქნება ახალი ომები! ... ზოგჯერ კიდევაც მჯერა ამისი... მაგრამ დროდადრო ეჭვი მეპარება... აღარაფერი ვიცი...

დანიელი ჩუმად იჯდა, გამალებით ღეჭავდა რეზინას და თვალგაშტერებული იყურებოდა. რაზე ფიქრობდა?

ანტუანიც გაჩუმდა. ზედიზედ რამდენიმე ფრაზის წარმოთქმა ძალიან უჭირდა. სამაგიეროდ ასჯერ, ათასჯერ ფიქრობდა ერთსა და იმავეზე: „როცა ყოველივეს გულგრილად აწონ-დაწონი, რაც კი ხელს უშლის ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებას, შიში გიპყრობს... რამდენი საუკუნე გაივლის, სანამ მორალური ევოლუცია, — თუკი საერთოდ არსებობს მორალური ევოლუცია, — კაცობრიობას გაათავისუფლებდეს თავისი ინსტინქტური შეუწყნარებლობისგან, იმ თანდაყოლილი მოწიწებისგან, რაც უხეში ძალის მიმართ აქვს, იმ ფანატიკური კმაყოფილებისაგან, რასაც ადამიანი-პირუტყვი განიცდის, როცა ძალადობით აღწევს გამარჯვებას, როცა ძალით მოახვევს თავს თავის გრძნობებს, ცხოვრების მანერას რომელიმე მასზე უსუსურს, ვისაც სულ სხვანაირი გრძნობები ამოძრავებს, ვინც სულ სხვანაირად ცხოვრობს, ვიდრე თვითონ... ამას გარდა, არსებობს პოლიტიკა, მთავრობა... ყველა ხელმძღვანელისთვის, ვინც ომს აღვივებს, მთავრობისთვის, ვინც გადაწყვეტს ომი გარდაუვალიაო და კიდეც აიძულებს სხვას იომოს; ყველა

ამათთვის დამარცხების შემთხვევაში ომი მაცდუნებელი, ადვილი გამოსავალი იქნება მუდამ... ნუთუ შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ სახელმწიფოები აღარასოდეს მიმართავენ ომს?.. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ შეუძლებელი გახდეს ეს მათთვის: საჭირო იქნება, პაციფიზმმა ისე ღრმად გაიდგას ფესვები საზოგადოებრივ აზრში, ისე ფართოდ გავრცელდეს იგი, რომ გადაულახავ დაბრკოლებად იქცეს სახელმწიფოთა საბრძოლო პოლიტიკისათვის. ასეთი იმედი, ქიმერიულია! ამას გარდა, განა პაციფიზმის გამარჯვება მშვიდობის მყარი გარანტია იქნება? კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ჩვენს ქვეყნებში ძალაუფლებას პაციფისტური პარტია ჩაიგდებს ხელში, ვინ იქნება იმის თავდები, ერთ მშვენიერ დღეს არ აჰყვება იგი ცდუნებას და ომს მხოლოდ სიამოვნების გულისთვის არ დაიწყებს? პაციფისტურ იდეოლოგიას ძალით არ მოახვევს თავს სხვა ქვეყნებს?“

— ჟან-პოლ! — მოისმა კლოტილდას მხიარული ძახილი ტერასიდან. მას სინით მოჰქონდა ფაფით სავსე ჯამი, კომპოტი, ფინჯანი რძე და საუზმე მაგიდაზე დადგა ბაღში.

— ჟან-პოლ! — დაუძახა დანიელმაც.

ბიჭუნა თავქუდმოგლეჯილი მორბოდა მზიან მინდორზე. რეცხვისგან გამოხუნებული ცისფერი ჯემპრი მისი თვალების ფერისა იყო. პატარა ჟაკთან მსგავსებამ ისევ გააოცა ანტუანი. ამასობაში ჯანმაგარმა კლოტილდამ ბიჭი ხელში აიტაცა და სკამზე დასვა. „იგივე შუბლი, — ფიქრობდა ანტუანი — იგივე წითური თმა... იგივე მქრქალი სახისფერი, ჭორფლიც ისევე რომ ამჩნევია შეჭმუხვნილ ცხვირთან?!..“ გაუღიმა, მაგრამ ბიჭმა გადაწყვიტა, ძია ანტუანი დამცინისო, თავი მიაბრუნა, შუბლი შეიკრა და გაბრაზებით გამოხედა ქვეშ-ქვეშად. თვალებიც ჟაკს მიუგავდა, თუმცა იმდენად ცვალებადი ჰქონდა, გამომეტყველების გარკვევა ძნელი ხდებოდა: ხან მომცინარი და ეშმაკური, ხან შემცბარი, ხან როგორც იმ წუთში, ველური, სასტიკი, ფოლადივით ცივი. მაგრამ ამ ცვალებად გამომეტყველების მიუხედავად, გამოხედვა საოცრად ბასრი, დაკვირვებული ჰქონდა.

ამჯერად ჟენიმ გამოიარა მზიანი მინდორი. სახელოები აკაპიწებული ჰქონდა, რეცხვისგან თითები ოდნავ დაბერვოდა, სველი წინსაფარი ეკეთა. ალერსიანი, მკრთალი ღიმილი შეაგება ანტუანს.

— ღამემ ხომ მშვიდად ჩაიარა?... არა, ხელები სველი მაქვს... როგორ გეძინათ?

— ჩვეულებრივზე უკეთ, გმადლობთ.

როცა ამ მკერდსავსე, ახალგაზრდა დედას უყურებდა, ასეთი უბრალოებით რომ ასრულებდა ოჯახის საქმეებს, ანტუანი იხსენებდა გულჩათხრობით, თავშეკავებულ, სადა ინგლისურ კოსტიუმში გამოწყობილ გოგონას, ჟაკმა მასთან, უნივერსიტეტის ქუჩაზე რომ მიიყვანა მობილიზაციის დღეს.

— დანიელ, აბა, შენ იცი, ფაფას თუ შეაჭმევ! — მიუბრუნდა ჟენი ძმას — მე სარეცხი მაქვს გასაფენი.

შვილთან მივიდა, ხელსახოცი კისერზე შემოაკრა და ჩიტივით გაწვრილებულ კისერზე აკოცა.

— ჟან-პოლი ჭკვიანად მოიქცევა, ძია დანი ასაუზმებს. მე ახლავე დავბრუნდები, — დასძინა წასვლის წინ.

— კალგი დედიკო! (ამ სიტყვას დამარცვლით ამბობდა: „დე-დი-კო“, ზუსტად ისევე, როგორც ჟენი და დანიელი).

დანიელი შეზლონგიდან წამოდგა და გვერდით მიუჯდა ბიჭუნას. ეტყობოდა, შეწყვეტილი საუბარი გონებაში უტრიალებდა, რადგან ჟენის წასვლისთანავე წამოიწყო:

— და არის კიდევ ერთი რამ, რაზედაც ლაპარაკი არ შეიძლება, რასაც აქ, ზურგში ვერავინ წარმოიდგენს: ერთგვარი სასწაული, რაც მუდამ, როგორც კი ცეცხლის ხაზს მიაღწევდი, თვალში გეცემოდა. პირველ ყოვლისა, გათავისუფლების შეგრძნება, რაც იმიტომ გეუფლება, რომ აბსოლუტურად ხარ დამოკიდებული შემთხვევითობაზე, აკრძალული გაქვს ყოველგვარი არჩევანი, მოკლებული ხარ ყოველგვარ პირადულ სურვილს. ამას გარდა, — დასძინა მან და აღელვებისაგან ხმა აუთრთოლდა, — იქ, საერთო საფრთხის წინაშე... ამხანაგობა, ძ მ ო ბ ა იგრძნობოდა ერთმანეთის მიმართ... საკმარისი იყო, „რეზერვში“ გადასულიყავი, თუნდაც ოთხი კილომეტრით წაწეულიყავი ფრონტის ზურგისკენ, მაშინვე ჩვეულებრივ ადამიანად იქცეოდი...

ანტუანმა თავი დაუქნია. ომიდან მას მხოლოდ ტალახისა და სისხლის მოგონებაღა შერჩენოდა. მაგრამ ხვდებოდა, რისი თქმაც სურდა დანიელს. მისთვისაც ნაცნობი იყო ეს „სასწაული“, ცეცხლის ხაზზე მყოფი ჯარის ეს მისტიური ერთსულოვნება, პიროვნების ეს განწმენდა, კოლექტიური და ძმური სულის ეს უეცარი

ფორმირება, რასაც ერთნაირი ბედისწერით განიცდის ყველა.

ანტუანის წინაშე დამორცხვებული ჟან-პოლი უსიტყვოდ ყლაპავდა ფაფას; დანიელი ლაპარაკობდა და თან ისე მოხერხებულად ჩრიდა ფაფიან კოვზს ფართოდ დაღებულ პირში, ჩანდა, ძიძის როლს უკვე შეჩვეოდა. ანტუანი გაოცებით ადევნებდა თვალს. „აი, ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი.. — ფიქრობდა იგი, — დანიელი ხეიბარი, მოშვებული, პირგაუპარსავი, ბავშვის გადია!.. ხოლო ეს ბიჭუნა ჟენისა და ჟაკის შვილი!.. რას იზამ, ასეა!.. ძალიან არც მიკვირს, სინამდვილე იმდენად აშკარაა... და ამ სინამდვილეს იმდენი ძალა აქვს ჩვენზე!.. როგორც კი ფაქტი მოხდება, მერე ვერც კი წარმოიდგენ, როგორ შეიძლებოდა არ მომხდარიყო იგი... ან სხვაგვარად, როგორ უნდა მომხდარიყო...“ წამით ამ ბუნდოვანმა ფიქრებმა გაიტაცა. „გუარანი აქ რომ იყოს, ნებისყოფის თავისუფლებაზე მსჯელობა ვერ ამცდებოდა!“

— აბა, რას შვები? აქეთ მოიხედე! — გაუჯავრდა ბავშვს ძია დანი.

როცა ფაფას შავი ქლიავის კომპოტი მოჰყვა, დანიელს გაუჭირდა ბიჭის დაყოლიება. თვალი ტერასის მიღმა გაურბოდა, სადაც დედამისი მიდი-მოდიოდა, საქათმის ღობეზე სარეცხს ჰფენდა. ამიტომ დანიელს უხდებოდა კოვზით ხელში ლოდინი, სანამ ჟან-პოლი იკადრებდა და პირს დაიღებდა. და მაინც არ კარგავდა მოთმინებას.

ჟენიმ საქმე მოათავა და სწრაფად გამოეშურა მათკენ, უნდოდა ძმას მიშველებოდა. ანტუანი უყურებდა მზიან მინდორზე მომავალ ჟენის: წინსაფარი მოეხსნა და ახლა აკაპიწებულ სახელოებს ისწორებდა. ჟენიმ შესთავაზა ძმას, ჟან-პოლს მე მივხედავო, მაგრამ უარი მიიღო.

— მაცალე! თითქმის მოვათავე.

— რძე? — მხიარულად ჰკითხა ჟენიმ, — აბა, ცოცხლად! რას იტყვის ძია ანტუანი, ჟან-პოლმა რძე თუ არ დალია?

ჟან-პოლი იდაყვით აპირებდა ფინჯნის გაწევას, შეჩერდა და ჯიუტად, გამომწვევად შეხედა ანტუანს. ეტყობა, რაღაც მუქარას ელოდებოდა. როცა ანტუანმა შეთქმულივით გაუღიმა და მალულად თვალიც ჩაუკრა, ბიჭუნა შეცბა; მერე სახე გაებადრა და ისე, რომ ანტუანისთვის თვალი არ მოუშორებია, თითქოს მოწმედ იხმობს, ნახეთ რა დამჯერი ვარო, ერთი ამოსუნთქვით შესვა რძე.

— ახლა ჟან-პოლი წავა და დაიძინებს, რომ დედიკომ მშვიდად ისაუზმოს ძია ანტუანთან და ძია დანიელთან ერთად! — თქვა ქენიმ, კისრიდან ხელსახოცი მოხსნა და მაღალი სკამიდან ჩამოსვლაში მიეშველა.

• • •

მამაკაცები მარტოდ დარჩნენ.

დანიელმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ჭადრის ხის ტანიდან პატარა ქერქი მოაძრო, უგულისყუროდ შეათვალიერა და თითებში დაფშვნა. მერე ჯიბიდან საღეჭი რეზინა ამოიღო, პირში ჩაიდო და მოხერხებულად მოიკალათა შეზლონგზე.

ანტუანი დუმდა. იგი ფიქრობდა დანიელზე, ომზე, შეტევებზე; ფიქრობდა მოწინავე ხაზზე ფრონტელებთა მისტიურ დამმობილებაზე. მუსკიეში ახალგაზრდა ლიუბენმა, მის ყოფილ თანამშრომელს, მანუელ რუას რომ აგონებდა რაღაცით, ერთ დღეს ნაღვლიანი თვალებით გადახედა ყველას და ათრთოლებული ხმით განაცხადა: „რაც გინდათ თქვით, მაგრამ ომსაც აქვს თავისებური ს ი ლ ა მ ა ზ ე“. დალახვროს ეშმაკმა! ოცი წლის ჭაბუკი პირდაპირ სორბონის უნივერსიტეტის სკამიდან მოხვდა ყაზარმაში, ფეხბურთის მოედნიდან — სანგარში; ფრონტზე ისე მოვიდა, სამოქალაქო ცხოვრებას ჯერაც არ „გასცნობოდა“, არაფერი გაეკეთებია. იგი პატარა ბიჭივით გაებრუებია ამ სახიფათო სპორტს. „ომის ს ი ლ ა მ ა ზ ე!“ — ფიქრობდა ანტუანი: „განა ღირს მასზე ლაპარაკი იმ საშინელებების შემდეგ, რაც მე ვნახე?“

ერთბაშად ერთი ამბავი მოაგონდა. 1914 წლის სექტემბერში, ხანგრძლივი ბრძოლის დროს, რასაც ანტუანი „პროვენის შეტევას“ უწოდებდა, სხვები კი მარნის ბრძოლით იხსენიებდნენ, ერთ ღამეს, საშინელი დაბომბვის დროს საექიმო პუნქტის სხვა ადგილას გადატანა მოუხდა. დაჭრილები ზურგში გადაიყვანეს, თვითონ სანიტრებთან ერთად ხოხვით გავიდა სანგრიდან, სროლის ადგილს დაშორდა და სახურავახდილ პატარა სახლს მიაშურა. მისი სქელი კედლები და თაღიანი სარდაფი საიმედო თავშესაფრად გამოდგებოდა. მაგრამ ამ დროს მტრის ზარბაზნებმა დამიზნების ხაზი გააგრძელეს. უუმბარები სულ ახლოს სკდებოდა. ანტუანმა სანიტრებს უბრძანა სარდაფში ჩასულიყვნენ და ტრაპი ჩაკეტა. სახლის პირ-

ველ სართულზე ოციოდე წუთი მარტოდ იდგა შესასვლელ კართან და სროლის შეწყვეტას უცდიდა. ოცდაათი-ორმოციოდე მეტრის დაშორებით საშინელი აფეთქება გაისმა. კირის მტვრის ღრუბელში გახვეული ანტუანი იძულებული გახდა ოთახის სიღრმისკენ დაეხია; და მოულოდნელად თავის ბიჭებს წააწყდა. ისინი ჩუმად იდგნენ სიბნელეში. იქ როგორ მოხვდნენ? როცა დაინახეს, სამხედრო ექიმმა მათთან ერთად „გატრუნვა" არ მოისურვა, ტრაპი გაეხსნათ, სათითაოდ ამოსულიყვნენ კიბეზე და უხმოდ ჩამწკრივებულიყვნენ მეთაურის უკან. „საკმაოდ საძაგელი მომენტი კი იყო... — გაიფიქრა ანტუანმა, — მაგრამ ამ სოლიდარობის, ერთგულების გამოვლინებამ წუთიერი სიხარული მომგვარა და არც არასოდეს დამავიწყდება... იმ ღამეს რომელიმე ლიუბენს ჩემთვის რომ ეთქვა, ომს თავისი სილამაზე აქვსო, იქნებ მეც მეპასუხნა, მართალი ხარ-მეთქი!"

და მაინც, მაშინვე მოეგო გონს: „არა, არ ვეტყოდი!"

დანიელმა გაოცებით შეხედა: მისდაუნებურად ანტუანმა ხმამაღლა თქვა ეს უკანასკნელი ფრაზა.

გაეღიმა.

— მინდოდა მეთქვა... — წამოიწყო მან.

დამნაშავესავით იღიმებოდა; მერე იფიქრა, არ ღირს ამაზე ლაპარაკიო და გაჩუმდა.

პირველი სართულიდან ჟან-პოლის ტირილი მოისმა, დაძინების წინ ჭირვეულობდა.

VIII

ქენიმ ბავშვი საწოლში ჩააწვინა და სანამ ჩაიძინებდა, ტანსაცმელი გამოიცვალა; ყოველ დილით, საუზმის შემდეგ ლაზარეთში მიდიოდა თეთრეულის დასარიგებლად. ფანჯრიდან საუბარში გართული ანტუანი და დანიელი დალანდა, ჭადრის ხის ქვეშ. ანტუანის ჩახლჩილი ხმა არ ისმოდა; დანიელის მონოტონური ლაპარაკიდან რამდენიმე, ხმამაღლა ნათქვამ ფრაზას მოჰკრა ყური, თუმცა სიტყვები მაინც ვერ გაარჩია.

გულისტკივილით აგონდებოდა ეს ორი ახალგაზრდა კაცი, ჯანმრთელნი, უდარდელები, პატივმოყვარე გეგმებით დაიმედებულნი. ომმა კი როგორ შეცვალა ორივე!.. ეჰ, კიდევ კარგი აქ არიან,

გადარჩენ! ორივე ცოცხალია! ორივე გამოჯანსაღდება: ანტუანს ხმა დაუბრუნდება, დანიელი ხეიბრობას შეეჩვევა: ისევ დაუბრუნდებიან წინანდელ ცხოვრებას! ჟაკი კი... ხომ შეიძლებოდა, მაისის ამ მზიან დილით ისიც ცოცხალი ყოფილიყო სადმე!.. ჟენი ყველაფერს მიატოვებდა, ოღონდ მასთან ერთად ყოფილიყო... ერთად გაზრდიდნენ შვილს... მაგრამ არა, სამუდამოდ დამთავრდა ყოველივე!

დანიელის ხმა აღარ ისმოდა. ჟენი ფანჯარასთან მივიდა. ანტუანი სახლისკენ მოდიოდა. წინადღით ჟენი ბევრს ეცადა დაემარტოხელებია იგი. ჟან-პოლისკენ გააპარა თვალი, დარწმუნდა ძინავსო, კაბა შეიკრა, ოთახი სწრაფად მიალაგა და კარი გააღო.

* * *

ანტუანს კიბის მოაჯირისთვის ჩაევლო ხელი და ნელა ამოდიოდა კიბეზე. თავი რომ ასწია, ჟენი შეამჩნია. ჟენიმ გაუღიმა, თითი ბაგეზე მიიდო და შეეგება.

— გინდათ, მძინარეს დახედოთ?

ანტუანი საშინლად ქოშინებდა და უსიტყვოდ გაჰყვა ფეხის წვერებზე.

ცისფერყვავილებიანი ტილოთი გამოკრული ოთახი ვრცელი იყო; უფრო გრძელი, ვიდრე განიერი. ოთახის სიღრმეში ორი ერთნაირი საწოლი იდგა, შუაში — ბავშვის პატარა საწოლი. „ეტყობა, ფონტანენების ყოფილი საძინებელი ოთახია!" — გაიფიქრა ანტუანმა, რადგან შემოსვლისთანავე გაუკვირდა ორი საწოლი რატომ დგასო. ორივე საწოლზე ლოგინი დაგებული იყო. სასთუმალთან თითო პატარა ტუალეტის მაგიდა იდგა, პატარ-პატარა ნივთებით. საწოლებს შორის ჟაკის სურათი ეკიდა — ნატურალური ზომის პორტრეტი, ზეთის საღებავით, თანამედროვე მანერით შესრულებული. ანტუანმა პირველად ნახა ეს სურათი.

ჟან-პოლს ეძინა. გორგალივით დახვეულიყო და ცალი მხარი ღრმად ჩაერგო ლოგინში, თმააწეწილს, სველი ბაგეები გაპობოდა; ცალი ხელი საბანზე ედო, მაგრამ მუშტი ისე მაგრად მოეკუმა, იტყოდით, დასარტყმელად მომზადებულაო.

ანტუანმა თვალით სურათზე ანიშნა.

— შვეიცარიიდან წამოვიღე, — ჩასჩურჩულა ჟენიმ, ჯერ სუ-

რათს შეხედა, მერე ბავშვს: — როგორ ჰგვანან ერთმანეთს!

— მით უმეტეს, ჟაკი რომ ამ ასაკში გენახათ!..

„მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, — გაიფიქრა ანტუანმა, — რომ ჟან-პოლი ხასიათითაც დაემსგავსოს მას. ვინ იცის, რამდენი ისეთი თვისება იმალება ამ ბიჭუნაში, რაც ჟაკისთვის უცხო იყო!“ მერე ფიქრი ხმამაღლა განაგრძო:

— მართლა რა საოცარია! რა უამრავმა წინაპრებმა, ახლო და შორეულმა, პირდაპირმა და არაპირდაპირმა ნათესავებმა მიიღეს მონაწილეობა ამ ბავშვის არსებობაში. ვისი გავლენა აღმოჩნდება უფრო ძლიერი? ღმერთმა უწყის... ყოველი დაბადება ახალი სასწაულია: თითოეული არსება მისი წინაპრის თვისებათა ერთობლიობას წარმოადგენს, ოღონდ სრულიად ახალს.

ბავშვმა მკლავი სახეზე მიიდო, ოღონდ მუშტი არ გაუხსნია, არც გაღვიძებია, თითქოს მათ მზერას იშორებს თავიდანო. ანტუანსა და ჟენის გაეღიმათ.

„ჰო, უცნაურია! — გაიფიქრა ანტუანმა, როცა საწოლს მოშორდნენ, უცნაურია, რომ ყველა იმ განსხვავებულ არსებათა შესაძლებლობიდან, რასაც ჟაკი თავისთავში ატარებდა, მხოლოდ ამან, მხოლოდ ამ შემადგენლობამ — ჟან-პოლმა და არა სხვა ვინმემ, იპოვა თავისი ფორმა, ხორცი შეისხა ცხოვრებაში...“

— ასე გაცხარებით რას გელაპარაკებოდათ საბრალო დანიელი? — ხმადაბლა ჰკითხა ჟენიმ.

— ომზე. წავალთ, წამოვალთ და ისევ ამ აკვიატებულ თემას ვუბრუნდებით!

ჟენიმ კოპები შეკრა.

— ამ თემაზე არასოდეს ვლაპარაკობ მასთან.

— რატომ?

— ზოგჯერ ისეთ აზრებს გამოთქვამს, მის მაგივრად მე მრცხვენია. ნაციონალური გაზეთებიდან ამოკრეფილ ამბებს იმეორებს... ჟაკთან ამას ვერ გაბედავდა!

„საინტერესოა, თვითონ რომელ გაზეთს კითხულობს? — გაიფიქრა ანტუანმა — „ლუმანიტეს“ ხომ არა, ჟაკის ხსოვნის საპატივცემულოდ?“

ჟენი მიუახლოვდა.

— იმ საღამოს, როცა მობილიზაცია გამოცხადდა (ახლაც ,ჯარგად მახსოვს: პარლამენტის შენობასთან ვიდექით, სადარაჯოს ,ჯი-

ხურის წინ), ჟაკმა ხელი მომკიდა და მითხრა: „იცით, ჟენი, ამიერიდან ხალხი ორ ჯგუფად დაიყოფა: იმის მიხედვით, ომს დათანხმდებიან თუ უკუაგდებენ!“

ერთხანს გაჩუმდა: ჟაკის სიტყვები ყურებში ჩაესმა. შემდეგ ოხვრა შეიკავა, შემობრუნდა, წითელი ხის სეკრეტერთან დაჯდა და ანტუანსაც ანიშნა, დამჯდარიყო.

მაგრამ ანტუანი იდგა და ჟაკის პორტრეტს თვალს არ აცილებდა. ჟაკი ნახევრად შემობრუნებული იჯდა, ამაყად აეწია თავი, მუშტი თეძოზე შემოედო და მიუხედავად ამ გამომწვევი პოზისა, მაინც ბუნებრივი იყო: მართლაც ასე უყვარდა ჯდომა. მუქი-წითური თმა შუბლზე ჩამოშლოდა („ბიჭუნა რომ გაიზრდება, მასაც გაუმუქდება თმა“ — თავში გაუელვა ანტუანს). ჩაფიქრებული გამოხედვა, მსხვილი ტუჩები, კუთხეში ირონიული ნაოჭით, მაგრად მოკუმული უბები — მოუსვენარ, მძვინვარე გამომეტყველებას აძლევდა ჟაკის სახეს. სურათის ფონი დაუმთავრებელი დარჩენოდა მხატვარს.

— 1914 წლის ივნისშია დახატული, — განუმარტა ჟენიმ, — ერთი ინგლისელის, პატერსონის ნამუშევარია; ამბობენ, ახლა ბოლშევიკების მხარეს იბრძვისო... პორტრეტი ვანჰედეს შეენახა და ჟენევაში ყოფნისას გადმომცა. ხომ იცით, ვინც არის ვანჰედე? ჟაკის მეგობარია, ალბინოსი. თუ არ ვცდები მის შესახებ კიდეც მოგწერეთ.

მოგონებები მოგონებებს მოჰყვებოდა და ჟენევაში გატარებული დღეები ჟენიმ თანდათანობით აღიდგინა. (აშკარად ეტყობოდა, ბედნიერი იყო ანტუანს რომ უყვებოდა ამბებს, რასაც სხვებს უმალავდა). ვანჰედეს იგი სასტუმრო „გლობუსში“ წაუყვანია, ჟაკის ოთახი დაუთვალიერებია („უფანჯრო მანსარდა პირდაპირ კიბეზე გადიოდა“). მერე კაფე „ლანდოტში“ და „ლოკალში“ გაჰყოლია, „სალაყბოს“ ზოგი გადარჩენილი წევრიც გაუცვნია... სწორედ მათ შორის შეხვედრია ჟორესის ყოფილ თანამშრომელს „ლუმანიტე“-დან, სტეფანის (ჯერ კიდევ პარიზში გააცნო იგი თურმე ჟაკმა). სტეფანის მოუხერხებია შვეიცარიაში გადასვლა, სადაც გაზეთს „ლერ გრანდ გერ“ • ბეჭდავდა. იგი სოციალ-დემოკრატების ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი ყოფილა...

— ვანჰედემ ბაზელშიც წამიყვანა! — დაუმატა ჟენიმ. მას იმ წუთში მეოცნებე თვალები ჰქონდა.

მერე სეკრეტერის უჯრა გასაღებით გახსნა და ფრთხილად, ძვირფას რელიქვიასავით, ფანქრით დაწერილი ფურცლების შეკვრა ამოიღო. ერთხანს ხელში ეჭირა და მხოლოდ შემდეგ გადასცა ანტუანს.

ანტუანმა ცნობისმოყვარეობით აიღო ხელნაწერი, გადაფურცლა. ჟაკის ნაწერები...

„და აი, დღეს თქვენ, დატენილი თოფებით ხელში, ერთმანეთის პირისპირ დგახართ და მზად ხართ უაზროდ დახოცოთ ერთმანეთი!"

ანტუანი ერთბაშად მიხვდა, სწორედ ის გვერდი ეჭირა ხელში, სიკვდილის წინადღეს რომ დაეწერა ჟაკს. ფურცლები დაჭმუჭვნილი იყო, სავსე შესწორებებით, ტიპოგრაფიის საღებავით მოთხუპნული. ჟაკის ხელნაწერი ნამდვილად ეცნო, ოღონდ ძნელად გასარკვევი, სიჩქარისა და აღელვებისაგან შეცვლილი იყო: ადგილ-ადგილ მტკიცე, გაკრული ხელით, ადგილ-ადგილ ბავშვური, აკანკალებული ხელით ნაწერი.

„განა საფრანგეთის მთავრობას, განა გერმანიის მთავრობას უფლება აქვთ ოჯახს, სამუშაოს მოგწყვიტონ და თქვენი სიცოცხლე თვითონ განაგონ, ანგარიში არ გაუწიონ თქვენს პირად ინტერესებს, თქვენს სურვილს, თქვენს რწმენას, ყველაზე ადამიანურ, ყველაზე კანონიერ ინსტინქტებს? ვინ მისცა მათ ასეთი ჯოჯოხეთური უფლება, რომ თვითონ განაგონ თქვენი სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი? თქვენმა შეუგნებლობამ! თქვენმა უმოქმედობამ..."

ანტუანმა ჟენის ახედა. თითქოს ეკითხებოდა, ეს რა არისო?

— „მანიფესტის" შავი პირია, — აღელვებით წაიჩურჩულა ჟენიმ, — პლატნერმა გადმომცა ბაზელში. პლატნერი გამომცემელია და სწორედ მას უკისრია პროკლამაციის დაბეჭდვა... ხელნაწერი შემოენახათ, მათ მე...

— ვინ მ ა თ?

— პლატნერმა და ერთმა ახალგაზრდა გერმანელმა, კაპელმა. ისიც იცნობდა ჟაკს... ექიმია... მშობიარობის დროს დიდი დახმარება გამიწია... მათ მე მაჩვენეს პაწაწინა ოთახი, სადაც ჟაკი ცხოვრობდა, სადაც ეს დაწერა... წამიყვანეს პლატოზე, საიდანაც აფრინდა აეროპლანი...

ჟენი ჰყვებოდა და მის თვალწინ თანდათან გაცოცხლდა ჯარისკაცებით, უცხოელებით, ჯაშუშებით სავსე სასაზღვრო ქალაქი... თვალწინ წარმოუდგა რეინის სანაპირო, ცდილობდა ანტუანისთვის

ზუსტად აღეწერა ხიდი, სამხედრო წესით რომ დარაჯობდნენ, ქალბატონი შტუმპფის ძველი სახლი, სადაც ჟაკი ოთახს ქირაობდა, პატარა სარკმელი, საიდანაც ქვანახშირით დახორგილი დამბა მოჩანდა... უამბობდა ვანჰედესთან, პლატნერთან და კაპელთან ერთად პლატოზე წასვლის ამბავს ანდრეევის დანჯღრეული ურიკით: სწორედ იმ ურიკით მისულა ჟაკი დანიშნულ ადგილას მეინესტრელთან შესახვედრად... ყურში ახლაც ესმოდა პლატნერის ბოხი ხმა... იგი მშვიდად იძლეოდა განმარტებებს: „აი, აქ ავბობღდით ბექობზე... ბნელოდა... გათენების მოლოდინში აი, აქ დავწექით... აი აქ, ამ ქედის ნაპრალში გამოჩნდა თვითმფრინავი... აი, აქ დაეშვა.. ტიბო ავიდა...“

— რას აკეთებდა, რაზე ფიქრობდა პლატოზე ლოდინის დროს? — ამოიოხრა ჟენიმ. — მითხრეს, ჟაკი ჩვენგან მოშორებით დაწვა მიწაზეო; ვინ იცის, იქნებ იგრძნო მოახლოებული სიკვდილი?.. რაზე ფიქრობდა იმ უკანასკნელ წუთებში? ამას ხომ ვერასოდეს გავიგებ!

ანტუანი პორტრეტს მისჩერებოდა. ახალგაზრდა ქალის ნაამბობს უგდებდა ყურს და ისიც პლატოზე წამოწოლილ ჟაკზე, საბედისწერო თვითმფრინავზე, ამ უაზრო თავგანწირვაზე ფიქრობდა! რა ამაო იყო ეს და კიდევ სხვა მრავალი გმირული საქციელი... თითქმის ყოველგვარი გმირობა!.. ფრონტზე ნანახი გმირობის რამდენი ასეთი ამაო და ბრწყინვალე შემთხვევა გაიხსენა! „თითქმის მუდამ, ამ უგუნურ გმირობას მცდარი გადაწყვეტილება უდევს საფუძვლად: ილუზიური რწმენა იმ რაღაც ღირებულებისა, რომლის შესახებ გულგრილად არავინ დაფიქრებულა, იმსახურებდა თუ არა იგი ამ უზენაეს თავგანწირვას?!.. „პირადად მას ენერგიულობისა და ნებისყოფის კულტი თითქმის ფეტიშიზმამდე ჰქონდა აყვანილი, მაგრამ მისი ბუნება მაინც ვერასგზით შეგუებოდა გმირულ საქციელს. ოთხი წლის ომმა ეს ზიზღი კიდევ უფრო გაუღრმავა. იგი სულაც არ ამცირებდა თავის ძმის საქციელის მნიშვნელობას. ჟაკი იმიტომ მოკვდა, რომ თავის მოსაზრებებს იცავდა; იგი თავგანწირვამდე თანმიმდევრული იყო საკუთარი თავის მიმართ. ასეთი დასასრული მოწიწებასღა იმსახურებდა. მაგრამ როცა ანტუანი ჟაკის „იდეებს“ ჩაუფიქრდებოდა, გადაულახავ წინააღმდეგობებს აწყდებოდა მუდამ: როგორ შეეძლო მის ძმას, მთელი თავისი ძალითა და შეგნებით ასე ძალიან რომ ეჯავრებოდა ძალ-

მომრეობა (განა ეს ღრმა სიძულვილი არ დაამტკიცა მან, როცა ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის, ძმობისა და ომის მავნებლობის ქადაგებისას საკუთარი სიცოცხლე გარისკა?!) — როგორ შეეძლო მრავალი წლის მანძილზე სოციალური რევოლუციისთვის ებრძოლა, ესე იგი, მხარი დაეჭირა ყველაზე ცუდი ძალმომრეობისათვის, თეორეტიკოსთა წინასწარ ნავარაუდევი, ულმობელი, თეორიული ძალმომრეობისათვის? „ჟაკი არც ისეთი გულუბრყვილო იყო, — გაიფიქრა ანტუანმა, — შეუძლებელია ერწმუნა, რომ ტოტალური რევოლუცია სისხლიანი უსამართლობის გარეშე, უამრავი მსხვერპლისა და სასაკლაოს გარეშე მომხდარიყო!"

ანტუანმა თვალი მოაცილა ჟაკის საიდუმლოებით მოცულ სახეს და ენინს გადახედა. ქალი ისევ ჰყვებოდა ჟაკის ამბებს. სულიერ მღელვარებას სულ მთლად გადაესხვაფერებია.

„ყოველ შემთხვევაში, — თავში გაუელვა ანტუანს, — პირადად მე, არაფერი ისეთი არ გამიკეთებია, რაც უფლებას მომცემდა გამეკიცხა ადამიანები, რწმენის გულისთვის არავითარ რისკს რომ არ ეპუებოდნენ... ასე მამაცურად რომ ერკინებოდნენ შეუძლებელს!..."

— ყველაზე მეტად ის მტანჯავს, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო ენინმ, — მან არ იცოდა ბავშვი რომ მეყოლებოდა.

ენინ ლაპარაკობდა და თან ფურცლებს აგროვებდა. შემდეგ უჯრაში შეინახა და გაჩუმდა. ცოტა ხნის მერე, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, წაიჩურჩულა (ანტუანი უსაზღვროდ მადლიერი იყო, ასე უბრალოდ რომ გაენდო ენინ) — იცით, მე ბედნიერი ვარ, ჩემი პატარა ბიჭი რომ ბაზელში დაიბადა; იქ, სადაც მამამისი უკანასკნელად ცხოვრობდა; იქ, სადაც, ალბათ, სიცოცხლის ყველაზე დაძაბული წუთები გაატარა...

როცა ჟაკს იგონებდა, თვალთა ლურჯი გუგები უფრო უმუქდებოდა, საფეთქლებზე წითელი ლაქები უჩნდებოდა, ფერმკრთალი ლოყები ოდნავ აუფაკლდებოდა და სახეზე, წამით, რაღაც თავისებური მგზნებარე და თითქოს დაუმაყოფილებელი გამომეტყველება ეხატებოდა, რაც მაშინვე უქრებოდა.

„სიყვარულმა სამუდამო დაღი დაასვა!" — გაიფიქრა ანტუანმა. ამ აღმოჩენამ კიდეც გააღიზიანა და კიდეც გააკვირვა. „უაზრო სიყვარული!" — ეს ფიქრი მაინც ვერ მოეშორებინა — სიყვარული ერთმანეთისთვის აშკარად შეუფერებელ ორ ადამიანს შორის მხო-

ლოდ გაუგებრობის შედეგი შეიძლება იყოს... ეს გაუგებრობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, ალბათ, თუმცა ჟაკის მოგონებისთანავე, ჟაკის ხსენებისთანავე დღემდე მაინც გრძელდება.

(ანტუანი მუდამ იმ აზრისა იყო, რომ ყოველ ღრმა სიყვარულს გაუგებრობა, დიდსულოვანი ილუზია, მცდარი გადაწყვეტილება უდევს აუცილებლად საფუძვლად. ერთმანეთის მიმართ ყალბ წარმოდგენას იქმნიან, ურომლისოდაც ბრმა სიყვარული შეუძლებელი იქნებოდა).

— მძიმე მოვალეობა დამეკისრა, — განაგრძობდა ჟენი, — ჟანპოლი ისეთი ადამიანი უნდა გამოვიყვანო, როგორიც ჟაკს ენდომებოდა. ზოგჯერ კიდეც მაშინებს ეს მოვალეობა... — თავი ასწია, თვალებში ამაყმა შუქმა გაუელვა, თითქოს ფიქრობდა: „მიუხედავად ამისა, მე ჩემს თავს ვენდობი!“ ამის ნაცვლად ხმამაღლა ესღა თქვა: — მაგრამ მე ამ ბიჭუნას ვენდობი!

ანტუანი აღტაცებაში მოიყვანა მომავლისადმი მისმა მტკიცე, მამაცმა რწმენამ. წერილების მიხედვით, სულ სხვაგვარი წარმოედგინა ჟენი, უფრო მერყეევი ბუნებისა, უფრო უსუსური, თავის მიზნის მისაღწევად ნაკლებად მომზადებული. ახლა კი სიამოვნება მიანიჭა იმ აზრმა, რომ ჟენის თავი დაეღწია სასოწარკვეთილებისათვის. იგი არ ეკუთვნოდა იმ მრავალრიცხოვან ქალთა ჯგუფს, უბედურების წინაშე უმწეოდ რომ ხრიან ქედს, რათა საკუთარსა და ხალხის თვალში თავიანთი დამსხვრეული სიყვარული აამაღლონ. არა, თავის გადასარჩენად ჟენიმ გამოსავალი იპოვა; ენერგიულად მოიკრიბა ძალა და თავისი ცხოვრება თვითონვე წარმართა. ანტუანმა აგრძნობინა, რა დიდ პატივს სცემდა ასეთი საქციელისათვის.

— ამით თქვენი ძლიერი ნებისყოფა დაამტკიცეთ!

ჟენი ხმას არ იღებდა, ყურს უგდებდა. მერე ძალიან ბუნებრივად უთხრა:

— ეს ჩემი დამსახურება არაა... ჩემი აზრით, ყველაზე უფრო იმან შემიწყო ხელი, რომ მე და ჟაკს ერთად არ გვიცხოვრია. მის სიკვდილს ოდნავაც არ შეუცვლია ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ჩვეები... დიახ, ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში სწორედ ამან მიშველა... მერე კი პატარა გაჩნდა. მის დაბადებამდე კარგა ხნით ადრე, ის აზრიც მეხმარებოდა, რომ იგი ჩასახული იყო. ჩემს ცხოვრებას ხელახლა გაუჩნდა მიზანი: აღმეზარდა ბავშვი, ჟაკმა რომ დამიტოვა.

გაჩუმდა.

— მძიმე ამოცანაა, — განაგრძო მაშინვე, — საჭიროა, ძალიან ფაქიზად უხელმძღვანელო ამ პატარას! ზოგჯერ ბიჭი კიდეც მაშინებს, — ჟენიმ გამომცდელი, თითქმის ეჭვის თვალით გადახედა ანტუანს, — რა თქმა უნდა, დანიელი მის შესახებ გეტყოდათ რამეს?

— ჟან-პოლის შესახებ? არა, არაფერი ისეთი არ უთქვამს.

მაშინვე მიხვდა, და-ძმას სხვადასხვა აზრი შეექმნათ ბავშვის ხასიათზე და ამის გამო უთანხმოებაც ჰქონდათ.

— დანიელს მიაჩნია, რომ ჟან-პოლს დიდ სიამოვნებას ანიჭებს ურჩობა. ეს არაა მართალი. თანაც უსამართლობაა. ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო რთული ამბავია... ბევრჯერ მიფიქრია ამაზე. მართალია, ბავშვი როგორღაც, ინსტინქტურად ამბობს არაო, მაგრამ ეს სულაც არ არის ბოროტი სურვილი: ეს უფრო წინააღმდეგობის გაწევის მოთხოვნილებაა. მე მინდა ვთქვა: მას თითქოს სურს დაუმტკიცოს საკუთარ თავს, რომ არსებობს... და ამ შინაგანი გადაულახავი ძალის გამოვლინება იმდენად დაუფარავია, ვერც კი გაუბრაზდები... მისი ეს ინსტინქტი ისეთივეა, როგორც მაგალითად, თავდაცვის ინსტინქტი!.. უმეტეს წილად, მის დასჯას ვერც კი ვბედავ.

ანტუანი ინტერესით უგდებდა ყურს და გასამხნევებლად თავს უქნევდა. — გესმით ხომ ჩემი? — მშვიდად, ნდობით გაუღიმა ჟენიმ, — თქვენ მიჩვეული ხართ ბავშვებს და, ალბათ, ასეთი რამ არც გიკვირთ... მე კი მისი ჯიუტი ხასიათის გამო ხშირად ვიბნევი. დიახ, როცა არ მიჯერებს, ხშირად რაღაც გაოგნებით, უხერხული გაოცებით ვუყურებ... მეტსაც გეტყვით: ამ დროს თითქმის ისეთივე აღტაცებით შევყურებ, როგორც მაშინ, როცა მის ზრდას, მის განვითარებას, მის მიხვედრილობას ვამჩნევ... თუ მარტოა ბაღში და დაეცემა, ტირის; სამაგიეროდ ჩვენი თანდასწრებით იშვიათად ატირდება... ანდა: საკმარისია კამფეტი შევთავაზო, მაშინვე უარს მეტყვის, მაგრამ მერე ჩუმად შეიპარება ოთახში და მთელ კოლოფს მოიპარავს; არ იფიქროთ, თითქოს მსუნაგობით მოსდიოდეს, არა, კოლოფს არც კი გახსნის, სავარძლის ქვეშ შეინახავს ან ქვიშის გროვაში ჩამარხავს. რატომ? ვფიქრობ, სურს თავისი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა გამოამჟღავნოს... თუ გავუჯავრდი, დუმს; პატარა კუნთები აღშფოთებისგან დაეძაგრება; თვალის ფერიც კი შეეცვლება და ისე მკაცრად მომაშტერდება, გაწყრომას ვეღარ ვბედავ.

მოუდრეკელი შემოხედვა აქვს... თანაც კამკამა, თავისებური. ეს გამოხედვა შთამბეჭდავია... უეჭველია, პატარა ჟაკსაც ასეთი გამოხედვა ექნებოდა!..

ანტუანმა გაუღიმა:

— ალბათ, თქვენც, ჟენი!

ჟენიმ ხელით ანიშნა, არაო და ლაპარაკი განაგრძო:

— ისიც უნდა გითხრათ, რომ მართალია, ჟან-პოლი ვერავითარ ძალადობას ვერ ეგუება, სამაგიეროდ, მოფერებით ადვილად დაიყოლიებ... როცა გაბუტულია, საკმარისია ხელში აიყვანო, უმალ ავიწყდება ყველაფერი! თავს ჩემს კისერში ჩამალავს, მკოცნის, იცინის: თითქოს რაღაც ძალიან მაგარს ინახავდა გულში, ახლა დარბილდა და სულ გადნაო... თითქოს თავისი ეშმაკისეულიდან ერთბაშად გათავისუფლდაო!

— ყველაზე მეტად, ალბათ, ჟიზი ჰყავდა დაბრიყვებული!

— აქ უკვე სულ სხვაგვარადაა საქმე! — უხალისოდ წამოიწყო უცებ ჟენიმ, — „მამიდა ჟი“ მისი გატაცება გახლავთ: როცა ჟიზი ბავშვთანაა, მისთვის სხვა აღარაფერი არსებობს.

— და ჟიზს კიდევაც უსრულებს ყველაფერს?

— ნაკლებად, ვიდრე მე ან დანიელს. ჟან-პოლი ერთ საათსაც ვერ ძლებს უიმისოდ, მაგრამ ჟიზი დამორჩილებული ჰყავს, ყოველ კაპრიზს ასრულებინებს! თანაც ისეთ სამსახურს მოითხოვს მისგან, რასაც სხვებს, — იმდენად ამაყია, — არავითარ შემთხვევაში არ მოსთხოვს. მაგალითად, შარვლის შეკვრას ან ისეთი ნივთის ჩამოღებას, თვითონ რომ ვერ მისწვდება. თანაც, თუკი იქვე არ ვეგულები, მადლობასაც არ ეუბნება. უნდა ნახოთ, რა სახით აძლევს ხოლმე ბრძანებას! თითქოს... — ჟენი ერთხანს გაჩუმდა, მერე დაუმატა: — იქნებ, ლამაზი არაა, რასაც ჟიზის მისამართით ვამბობ, მაგრამ მგონია, მართალი ვარ: ჟან-პოლი თითქოს გრძნობს, რომ ჟიზი დაბადებით მონაა!

ამ სიტყვებმა ანტუანი ისე გააოცა, დაკვირვებით დააცქერდა ჟენის, მაგრამ მან თვალი აარიდა. ამ დროს ზარის ხმაც გაისმა. ორივე წამოდგა: საუზმეზე უხმობდნენ.

კართან მივიდნენ. ჟენის კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, კარის სახელურს ხელი მოჰკიდა, მერე გაუშვა.

— ისეთი მადლობელი ვარ თქვენი, — წაიჩურჩულა მან, —

შვეიცარიიდან დაბრუნების შემდეგ, ჟაკის შესახებ ვერავის ვერ ველაპარაკე...

— განა ჟიზთან არ შეგეძლოთ? — გაბედა და პირდაპირ ჰკითხა ანტუანმა, რომელსაც ჟიზის აღსარება და საყვედურები გაახსენდა.

ჟენი თავდახრილი იდგა, კარის საგდულს მიყრდნობოდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ანტუანის შეკითხვა არ გაეგონოს.

— ჟიზთან? — ამოღერღა ბოლოს, იტყოდით გვიან მოჰკრა ყური მის სიტყვებსო.

— მხოლოდ ჟიზი გაგიგებდათ. მას ჟაკი უყვარდა და ძალიან დარდობს... ისიც დარდობს!

ჟენის ზევით არ აუხედია, ისე გააქნია თავი. ეტყობოდა, ახსნა-განმარტებას თავს არიდებდა. მერე პირდაპირ თვალებში ჩააშტერდა ანტუანს და მკვახედ მიახალა:

— ჟიზიც? მას თავისი კრიალოსანიც ეყოფა! კრიალოსანი შველის, რომ არაფერზე იფიქროს! — კვლავ დაღუნა თავი. გაჩუმდა. მერე დაუმატა: — ზოგჯერ მშურს კიდეც მისი! — მისი ტონი და ჩახშობილი სიცილი სულ არ ესადაგებოდა მისივე ნათქვამს. ერთბაშად თითქოს ინანა, რაც ახლახან თქვა: — იცით, ანტუან, ჟიზი ჩემი ნამდვილი მეგობარია! — წაიბუტბუტა მან. ხმა დაურბილდა, გულწრფელად ლაპარაკობდა: — როცა მომავალზე ვფიქრობ, ჟიზს ჩვენს ცხოვრებაში დიდ ადგილს ვუთმობ. იმის იმედი, რომ იგი ჩვენთან დარჩება, დიდი შვება იქნებოდა ჩემთვის...

ანტუანი ელოდა სიტყვას „მაგრამ“, რაც ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ მართლაც გაისმა ჟენის ნათქვამში:

— მაგრამ ჟიზი ისეთია, როგორიც არის! ხომ მართალია? ყველას თავისი ბუნება აქვს.. ჟიზი უამრავი ღირსებითაა დაჯილდოებული, ოღონდ ნაკლიც აქვს... — ჟენი შეყოყმანდა. — მაგალითად, ყოველთვის როდია გულწრფელი!

— ჟიზი? თავისი ალალ-მართალი თვალებით?

ანტუანმა შეკამათება დააპირა. მაგრამ, როცა დაფიქრდა, მიხვდა, რასაც გულისხმობდა ჟენი. სიყალბეს ვერავინ დასწამებდა ჟიზს, ოღონდ გულში ხომ მართლა ინახავდა საიდუმლო ფიქრებს? იგი ერიდებოდა ხმამაღლა გამოეთქვა საკუთარი სიმპათიები და ანტიპათიები; ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეეძლო გულკეთილობა, თავაზიანობა გამოეჩინა იმათ მიმართაც კი, ვინც მაინცა

და მაინც გულზე არ ეხატებოდა. რა იყო ეს, მოკრძალება? მორცხვობა? გულჩათხრობილობა? ან უმალ, იმ შავკანიანთა ინსტინქტური გაორება, რომელთა ცოტაოდენი სისხლი მის ძარღვებშიც ჩქეფდა? დიდი ხნის მპნძილზე დამონებული რასის ბუნებრივი თავდაცვის ინსტინქტი?

ამიტომ ანტუანი თითქმის მაშინვე დაეთანხმა:

— დიახ, დიახ, მესმის.

— ამიტომაა, რომ მიუხედავად ჩემი მისდამი სიყვარულისა, მიუხედავად ჩვენი ყოველდღიური ახლო ურთიერთობისა, ერთი სიტყვით, მიუხედავად ყველაფრისა, არის ისეთი საკითხები, რის შესახებ მასთან ვერ ვილაპარაკებ... — ჟენი წელში გასწორდა, — რა ვქნა, არ შემიძლია!

და თითქოს აგრძნობინა, ჩვენი საუბარი ამით დავამთავროთო, კარი ფართოდ გააღო და ჩაილაპარაკა:

— წავიდეთ, ვისაუზმოთ!

IX

სუფრა ეზოში გაეშალათ, სამზარეულოს კართანას ქვეშ.

სწრაფად ისაუზმეს. ჟენის სულ არ ჰქონდა მადა. საუზმის წინ ანტუანს ინჰალაციის ჩატარება ვერ მოესწრო და საშმელს ძლივს ყლაპავდა. ასე რომ, მხოლოდ დანიელმა დასდო პატივი კლოტილდას მიერ მომზადებულ მუხუდოს გარნირიან ხბოს ხორცს. იგი ჩუმად, უგულისყუროდ და უხალისოდ ილუკმებოდა. სიჩუმე საუზმის ბოლოს დაირღვა მხოლოდ, როცა ანტუანმა რიუმელი და „ზურგში მყოფი მობილიზებულები“ ახსენა; დანიელი გაშმაგებით დაესხა თავს „საქმოსნებს“ („მხოლოდ მათ მოახერხეს შექმნილი ვითარების გამოყენება ადამიანის საკეთილდღეოდ...“) და მაგალითისთვის, თავისი ყოფილი პატრონის, „ამ გენიალური ყაჩაღის, ლუდვიგსონის“ განდიდება ახსენა ირონიულად. ომის გამოცხადებისთანავე ლუდვიგსონი ლონდონში გადასახლებულა და, როგორც ამტკიცებდნენ, სიტის * ბანკირებისა და ზოგ-ზოგი ინგლისელი პოლიტიკური „მოღვაწეების“ საეჭვო დახმარებით დაუარსებია „საწვავის სააქციონერო საზოგადოება“ — ცნობილი „სსს“ და თავისი ქონებაც არაერთგზის გაუზრდია.

„ჰო, რამდენიმე წლის შემდეგ საოცრად დაემსგავსება დედამისს“ — ფიქრობდა ანტუანი და ენის აკვირდებოდა; უკვირდა, ამ ოთხ წელიწადში როგორ გამოცვლილა. მშობიარობისა და ბავშვის კვების შემდეგ თეძოები, მკერდი დასრულებოდა, მაგრამ ეს სიმსუქნე სულაც არ აუშნოვებდა: პირიქით, პროტესტანტული თავდაჭერილობა, ამაყი მიხვრა-მოხვრა, სახის ოდნავ ცივი ნაკვთები შეერბილებინა. წინანდებური გამომეტყველება თვალებსღა შერჩენოდა: ისევ ისეთი მარტოობის, უტყვი სითამამის, დარდიანი გამოხედვა იგრძნობოდა, სწორედ ისეთი, ჯერ კიდევ პატარა გოგონას თვალებში გაოცებით რომ ამოიკითხა ანტუანმა, დანიელისა და ჟაკის გაპარვის დღეს. „მიუხედავად ამისა, — ფიქრობდა ანტუანი, — ახლა უფრო ლაღად უჭირავს თავი. მიკვირს რითი მოხიბლა ჟაკი... იმ ხანებში ხომ სულ უკარება იყო! რა უსიამოვნო გრძნობას იწვევდა მისი ამაყნარევი მორცხვობა! გამაყინავი გულჩათხრობილობა! ახლა, ყოველ შემთხვევაში, აღარ გრჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს უმცირესი გრძნობის გამოსამჟღავნებლად არაადამიანური ძალდატანება უხდებაო... ამ დილით ნამდვილად გულახდილად მელაპარაკა... მართლაც დიდებული იყო ამ დილას... თუმცა დედამისის მოხდენილობა, თავაზიანობა არასოდეს ექნება... არა, მის კეთილშობილურ გარეგნობაში მუდამ იგრძნობ რაღაც ისეთს... თითქოს გეუბნებაო: „თავის გამოჩენას არ ვცდილობ. არც იმის დარდი მაქვს მოგეწონებით თუ არა. მე კმაყოფილი ვარ ჩემი თავით...“ შესაძლებელია, ბევრიც მოიხიბლოს... ოღონდ ჩემი გემოვნების ქალი არაა. მართალია, გარეგნობით შეიცვალა, მაგრამ ამით კიდეც მოიგო“.

* * *

შეთანხმდნენ, ნასაუზმევს ანტუანი ჰოსპიტალში მიაცილებდა ენის და ქალბატონ დე ფონტანენს ინახულებდა.

ამასობაში დანიელი შეზლონგზე წამოწოლილიყო და ყავას სვამდა, ენი ჟან-პოლის გასაღვიძებლად გაეშურა, ხოლო ანტუანი თავის ოთახში ავიდა და, დღისით რომ არ გადაქანცულიყო, სასწრაფოდ გაიკეთა ინჰალაცია.

ენი, ჩვეულებრივ, ველოსიპედით მიდიოდა ჰოსპიტალში. უკან

დასაბრუნებლად ახლაც წაიღო თან და ანტუანთან ერთად პარკის გავლით ფეხით გაუდგა გზას.

— დანიელი ძალიან გამოცვლილი მეჩვენება, — წამოიწყო ანტუანმა, როცა ბაღი გადასერეს და შარაგზაზე გავიდნენ, — ნუთუ მართლა არ მუშაობს?

— არაფერს აკეთებს!

ენის პასუხში საყვედური ისმოდა. დილითაც და საუზმეზეც შეამჩნია ანტუანმა, რომ და-ძმას შორის უთანხმოება იყო. ამან ძალიან გააკვირვა: ახსოვდა, როგორი სიყვარულით ეკცეოდა წინათ დანიელი ენის, და გაიფიქრა, დის მიმართაც ხომ არ ამჟღავნებს თავის დაუდევრობასო.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. ცაცხვების ნორჩი ფოთლები მოყვითალო ლაქებით დაცხრილულ ლანდებს ისროდა მიწაზე. ამ ბებერი ხეების ქვეშ ისეთი მძიმე და ტენიანი იყო ჰაერი, წვიმის წინ რომ იცის, თუმცა ცა მოწმენდილი ჩანდა.

— გრძნობთ? — იკითხა ანტუანმა და თავი ასწია. ღობის მიღმა აყვავებული იასამნის სურნელი იფრქვეოდა.

— რომ მოინდომებდეს, ჰოსპიტალში მისი მუშაობა გამოგვადგებოდა, — თქვა ენინ და იასამნისთვის ყურადღება არ მიუქცევია. — დედამ რამდენჯერმე სთხოვა. მუდამ ერთსა და იმავე პასუხს იძლევა: „ჩემი ხის ფეხით ამიერიდან არაფერში ვარ გამოსადეგი“. ეს მხოლოდ საბაბია, — ენინ მარცხენა ხელში გადაინაცვლა ველოსიპედის საჯე და ანტუანს გვერდით ამოუდგა, — სინამდვილეში, მას არასოდეს ჰქონია უნარი ვინმეს მოხმარებოდა, რაიმე გაეკეთებია სხვისთვის. ახლა მითუმეტეს!

„უსამართლოდ მსჯელობს! — გაიფიქრა ანტუანმა, — მადლობელი უნდა იყოს, მის ბავშვზე რომ ზრუნავს“.

ენი გაჩუმდა. მერე მკვახედ განაცხადა:

— არასოდეს არავითარი სოციალური გრძნობა არ ჰქონია.

ეს სიტყვა მოულოდნელად გაისმა... „ყველაფერს ეაკის საქციელით ზომავს!“ — გაღიზიანებით გაიფიქრა ანტუანმა — ძმასაც ეაკის თვალსაზრისით უდგება!“

— იცით, — ნაღვლიანად თქვა მან, — როცა ხეიბარი ხარ, ყველაში სიბრალულს იწვევ...

მაგრამ, რაკი ენის მხოლოდ დანიელი ჰყავდა მხედველობაში, უხეშად მიახალა:

— ხომ შეიძლებოდა მოეკლათ? რაღას წუწუნებს? მადლობა თქვას, ცოცხალი რომ დარჩა!

უცებ იგრძნო, სასტიკად გამოუვიდა ნათქვამი, მაგრამ მაინც არ დაიხია უკან და განაგრძო:

— ფეხი? ვერც კი შეატყობ თუ კოჭლობს... განა ძნელია ანგარიშწარმოებაში დაეხმაროს დედას ჰოსპიტალში? საქმე ისაა, რომ არავითარი სურვილი არ აქვს, რაიმეში გამოადგეს კოლექტივს...

„ისევ და ისევ ჟაკის გამოთქმას იმეორებს!“ — გაიფიქრა ანტუანმა. — ხატვაში რაღა უშლის ხელს?.. არა, იცით, აქ სულ სხვა რამაა. ჯანმრთელობა არაფერ შუაშია, ყველაფერი მისი ხასიათიდან მომდინარეობს! — საკუთარი სიტყვებით აღგზნებულმა ნაბიჯს აუჩქარა, მერე მაშინვე შეანელა, რადგან შეამჩნია, ანტუანს სუნთქვა შეეკრა. — დანიელს მუდამ ლაღი ცხოვრება ჰქონდა... არავითარი დაბრკოლება არ ეღობებოდა! ახლა კი, პატივმოყვარეობაა ასე სულელურად რომ სტანჯავს! ბაღის კარებს იქით ნაბიჯს არ ადგამს, პარიზში არ მიდის. რატომ? იმიტომ, რომ ხალხში გამოჩენისა რცხვენია. წინანდელ „წარმატებაზე“ ხელის აღება ვერასგზით ვერ გადაუწყვეტია! ვერ წარმოუდგენია, ვერ იცხოვროს ისე, როგორც წინათ ცხოვრობდა! ლამაზი ყმაწვილის უდარდელობით! აღვირახსნილი ცხოვრებით! ამორალური ცხოვრებით, ომამდე რომ ეწეოდა!

— რა სასტიკი ხართ, ჟენი!

ჟენიმ შეხედა ანტუანის მომღიმარ სახეს, შეიცადა, სანამ ღიმილი გაუქრებოდა და მტკიცე ხმით განაგრძო:

— მე ჩემი შვილის ბედი მაშინებს!

— ჟან-პოლის ბედი?

— დიახ. ჟაკის წყალობით ბევრ რამეს მივხვდი... ამ გარემოში უკვე სული მეხუთება... იგი უცხო გახდა ჩემთვის! ვერ შევრიგებივარ აზრს, რომ ჟან-პოლს ამ ატმოსფეროში მოუხდება გაზრდა.

ანტუანმა გაოცება ვერ დამალა, თითქოს ვერც გაუგო, რისი თქმა სურდა.

— ამას იმიტომ გეუბნებით, რომ გენდობით! — დაუმატა ჟენიმ, — იმიტომ, რომ სულ მალე თქვენი რჩევა დამჭირდება... ძე ძალიან მიყვარს დედა. მის სიმამაცეს, კეთილშობილურ ცხოვრებას აღტაცებაში მოვყევარ. და არც არასოდეს დამავიწყდება, რაც ჩემთვის გააკეთა... მაგრამ რა ვქნა? ერთი საერთო აზრიც კი არ

გაგვაჩნია... რასაკვირველია, მეც აღარა ვარ ისეთი, როგორიც 1914 წელს ვიყავი, მაგრამ დედაც ძალიან შეიცვალა. აგერ უკვე ოთხი წელია, რაც სათავეში ჩაუდგა ჰოსპიტალს; ოთხი წელია, რაც იქ ფუსფუსებს, საქმეებს აგვარებს, გადაწყვეტილებებს იღებს, განკარგულებებს იძლევა, მოითხოვს პატივისცემით მოეპყრან, დაემორჩილონ. მოსწონს ძალაუფლება რომ აიღო ხელში... გარწმუნებთ, იგი... ერთი სიტყვით, სულ სხვანაირი გახდა!

ანტუანმა ორჭოფულად გადააქნია თავი.

— წინათ დედა ისეთი ლმობიერი იყო!—განაგრძო ჟენიმ,—მართალია მორწმუნე გახლდათ, მაგრამ თავის შეხედულებებს არავის ახვევდა თავს. ახლა?.. ნეტა მოგასმენინათ, რას უქადაგებს ავადმყოფებს!.. და რასაკვირველია, ყველაზე თვინიერნი სამკურნალოდაც უფრო მეტ ხანს რჩებიან...

— რა სასტიკი ხართ! — გაუმეორა ანტუანმა — და თანაც, ალბათ, უსამართლოც!

— შესაძლებელია... დიახ... ეტყობა, შევცდი, ეს რომ გიამბეთ. არ ვიცი, როგორ აგიხსნათ, უფრო გასაგები რომ იყოს... აი, მაგალითად, დედა ამბობს: „ჩვენ ფრონტელები!“ ან „ბოშები“.

— ჩვენც ასე ვამბობთ!

— არა. ასე არა... დედამ გამართლება გამოუძებნა იმ ბოროტმოქმედებას, ამ ოთხი წლის განმავლობაში პატრიოტიზმის ნიღბით რომ ხდებოდა. დედამ იგი აღიარა! დედა დარწმუნებულია, მოკავშირეთა საქმიანობა ერთადერთი სამართლიანი, ერთადერთი წმინდა საქმეაო! და რომ ომი მანამ უნდა გაგრძელდეს, სანამ გერმანია არ განადგურდება! ვინც მას არ ეთანხმება, ცუდი ფრანგია... ხოლო ვინც მთელი ამ უბედურების ჭეშმარიტ მიზეზს ეძებს და პასუხისმგებლობას კაპიტალიზმს მიაწერს, მისთვის...

ანტუანი გაოცებული უგდებდა ყურს. ქალბატონი დე ფონტანენის ხასიათში მომხდარ ცვლილებებზე უფრო იგი იმან დააინტერესა, რაც ამ აღსარებით აღმოაჩინა ჟენის განწყობილებაში, თვალთახედვაში, ამ ახალ სითამამეში (რაც ჟაკის გარდაცვალებით მიღებულმა გავლენამ შემატა) და კინაღამ უთხრა: „ბიჭის ბედი მეც მაშინებს!“, რადგან ძრწოლვით ფიქრობდა, ჟენის ხასიათში მომხდარი ევოლუცია (მისი აზრით, საკმაოდ ხელოვნური, საკმაოდ ზედაპირული რომ უნდა ყოფილიყო) ჟან-პოლს სახიფათო ატმოს-

ფეროს ხომ არ შეუქმნისო: ყოველ შემთხვევაში, პატარა არსების განვითარებისათვის ეს ატმოსფერო უფრო საშიში ხომ არ იქნებოდა, ვიდრე ძია დანის უსაქმურობა ან დიდედის ბეცი შოვინიზმიო?!..

ენი და ანტუანი გასხივოსნებულ ჭალაში გავიდნენ, საიდანაც ბატონი ტიბოს ვილა მოჩანდა. ანტუანი დაბნეული სახით ათვალიერებდა ნაცნობ ადგილებს და ასე ეგონა, დიდი ხნის წინ, შორეულ წარსულში უნახავსო იქაურობა. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო: ფართო ხეივანი, უზარმაზარი კოშკი ხეივნის სიღრმეში, მომცრო მოედანი სახლის წინ მრგვალი აუზით, სადაც კვირაობით შადრევნის წყალი ზეცას სწვდებოდა; ყვავილნარი, ბზის ბუჩქების ღობე, თეთრი მოჯირებით გარშემორტყმული სავარჯიშო მოედანი და უფრო შორს, მამისეული ბაღის ბებერი ხეების ტოტებქვეშ — ჭიშკარი, სადაც პატარა ქიზი მის ჩამოსვლას ელოდა ხოლმე, ომი თითქოს არც შეხებია აქაურობას...

სანამ მოედანს გადასერავდნენ, ენი შეჩერდა.

— სამი წელია დედა ყოველდღიურ კონტაქტშია ომის საშინელებებთან... და იცით, ამ აღმაშფოთებელი ხელობის გამო ისე დაუჩლუნგდა გრძნობები, მის გულს თითქოს აღარაფერი ეკარება...

— აღმაშფოთებელი ხელობით?

— დიახ, — პირქუშად წაილაპარაკა ენიმ. — ხელობა იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდებს მოუარონ, ფეხზე დააყენონ და მერე ხელახლა გააგზავნონ სასაკლაოზე! ეს მე მაგონებს პიკადორთა ფერდებგამოღადრულ ცხენებს, მუცელს რომ ამოუკერავენ ხოლმე და ისევ არენაზე უშვებენ! — ენიმ თავი დახარა და უცებ, თითქოს გონს მოვიდაო, შემცბარმა მიმართა ანტუანს:

— ალბათ, როგორ შეურაცხგყოფთ ჩემი საქციელი!

— არა.

ანტუანი თვითონვე გააკვირვა ამ „არამ", რადგან მისთვის გაცილებით უცხო იყო ქალბატონი დე ფონტანენის პატრიოტიზმი, ვიდრე ენის გაკიცხვა და აღშფოთება. ეკი გაახსენდა და ერთხელ კიდევ გაიფიქრა: „რა კარგად გავუგებდი მას ახლა!"

პარკს მიაღწიეს.

ენიმ ამოიოხრა: ანტუანთან განშორება ენანებოდა. მერე ალერსიანი ღიმილი შეაგება და უთხრა:

— გმადლობთ... რომ იცოდეთ, რა კარგია ასე, შემთხვევით, გულახდილად რომ დაელაპარაკები ვინმეს.

X

აგარაკის მოჩუქურთმებული გისოსიანი კარი (მის პრეტენციოზულ მონოგრამას — „ო. ტ.", ვარაყი აქამდე შერჩენოდა) ღია დახვდათ. ოდესღაც ბატონი ტიბოს განკარგულებით ყოველ დილით ფარცხით ასწორებდნენ ხეივანში ქვიშნარს, ახლა სანიტარული მანქანების ბორბლებს ღრმა ღარები დაეტოვებიათ ამ ხეივანში, ხოლო ქვიშნარის კვალი არსად ჩანდა. ტოტებშორის მზით გასხივოსნებული სახლის ფასადი მოჩანდა; ღია ფანჯრებზე წითელზოლიანი ახალი ფარდები დროშასავით ფრიალებდა.

— აგერ, ჩემი სამფლობელო — თეთრეულის საწყობი! — თქვა ჟენიმ, როცა ეტლების ყოფილ სადგომთან მივიდნენ. — აქ დაგშორდებით... ვერანდა გაიარეთ და მარჯვნივ, კანტორაში შედით. დედა იქ დაგხვდებათ.

ანტუანი შეჩერდა, სული მოითქვა. თითოეული ბუჩქი, ხეივნის თითოეული კუთხე ხელახლა ახლობელი გახდა მისთვის. დროდადრო პიანინოს ხმა აღწევდა მის სმენას, რამაც შორეული მოგონება გაუცოცხლა: ზურგზე გადაგდებული ნაწნავიანი ჟიზი მაღალ სკამზე ჩამოსკუპულა და მოხუცი მადმუაზელის მეთვალყურეობით, მეტრმზომის რიტმის მიხედვით უხეიროდ უკრავდა გამებს. ხშირი ფოთლების მიღმა ისეთი გამოცოცხლება შეამჩნია, ეგონა ბაზრობაზე მოვხვდიო: აგარაკის წინ ჯარისკაცების ქუდებით, ნაცრისფერი ფლანელის პიჟამებში ჩაცმული ახალგაზრდები ტერასის საფეხურებზე ჩამომსხდარიყვნენ და მზის გულზე საუბრობდნენ. სხვები ბაღში დადგმულ მაგიდებს შემოსხდომოდნენ და კარტს თამაშობდნენ ან გაზეთებს კითხულობდნენ.

ორი ჯარისკაცი ლურჯი შარვლების ამარა უპიჯაკოდ იდგა კორდზე და ბალახს კრეჭდა. ორივეს ჯერ კიდევ შერჩენოდა სახვევები. ანტუანმა იცნო საკრეჭი მანქანის ნერვებისამშლელი კრაჭუნი. მოშორებით, წიფლის ქვეშ ექვსიოდე გამოჯანსაღებული ჯარისკაცი ძველებური თამაშით — დისკოს ტყორცნით ერთობოდნენ და ბრინჯაოს გომბეშოზე მირტყმული დისკოების წკარუნიც ხშირად მოისმოდა.

უცნობი სამხედრო ექიმის დანახვაზე, კიბის საფეხურებზე ჩამომსხდარი ჯარისკაცები წამოხტნენ და სამხედრო სალამი მისცეს. ანტუანი კიბეს აუყვა. ვერანდა შეემინათ და სათბურივით ჩაკეტილ, ზამთრის თბილ ბაღად ექციათ. აქ ის ავადმყოფები იწვნენ, ჯერჯერობით ოთახიდან გასვლის უფლება რომ არ ჰქონდათ. მარცხნივ როიალი იდგა, სწორედ ის ღიაფერის კაკლის ინსტრუმენტი, პატარა ჟიზი რომ ვარჯიშობდა ზედ. როიალთან ვიღაც ჯარისკაცი იჯდა და ცალი თითით „ლა მადლონის“ * მოტივს აჯახირებდა.

როიალის ხმა უმალ შეწყდა, ჯარისკაცებმა სამხედრო სალამი მისცეს ექიმს. ანტუანი სასტუმრო ოთახში შევიდა; ცარიელ ოთახში სიჩუმე სუფევდა. იგი სასტუმროს ჰოლს წააგავდა: ოთხი სათამაშო მაგიდის ირგვლივ სავარძლები და სკამები შემოეწყოთ.

ბატონი ტიბოს სამუშაო კაბინეტის კარი დახურული დახვდა. ჭიკარტებით მიკრულ მუყაოზე წარწერა შენიშნა: „კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ა“. შევიდა. ჯერ ვერავინ დაინახა. ოთახში იგივე ავეჯი იდგა: მუხის დიდ მაგიდას, სავარძელს, წიგნის კარადებს საზეიმო იერით დაეკავებიათ მათთვის განკუთვნილი ადგილები. მაგრამ ოთახი შირმებით ორად გაეყოთ. კარის გაღების ხმაზე საბეჭდი მანქანა ჩაჩუმდა. ახალგაზრდა მდივანმა თავი გამოჰყო შირმიდან და როგორც კი ახალმოსული დაინახა, მხიარული შეძახილი აღმოხდა:

— ბატონო ექიმო!

შეცბუნებულ ანტუანს გაეღიმა. მან უცებ ვერც კი იცნო ყმაწვილი; მერე მოიფიქრა, ვერნეის ქუჩაზე მცხოვრები ორი ობოლი ბიჭიდან, უმცროსი ძმა უნდა იყოსო, ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინ, ჩირქოვანი მუწუკი რომ გაუპრა მკლავზე (ომის გამოცხადების დღეს, პარიზიდან წასვლის წინ კლოტილდას და ადრიენს დაავალა ბიჭებზე იზრუნეთო. ბუნდოვნად ახსოვდა, ქალბატონმა დე ფონტანენმა წერილით შეატყობინა, ლულუ ჩემთან, ჰოსპიტალში მუშაობსო).

— როგორ გაზრდილხარ! — უთხრა ანტუანმა. — რამდენი წლ··· სა ხარ ეხლა?

— 1920 წელს მიწევს გაწვევა, ბატონო ექიმო.

— აქ რას აკეთებ?

— ჯერ წერილების დამტარებლად ვმუშაობდი, ახლა მიწერ-მოწერას ვაწარმოებ.

— ძმა სადღაა?

— შამპანში... ალბათ, გაიგებდით, დაჭრილი იყო ხელში. 1917 წლის აპრილში ფიმთან დაიჭრა. იცით ეს ადგილი?.. თექვსმეტში გაიწვივს... ორი თითი მოჰკვეთეს.. კიდევ კარგი, მარცხენა ხელზე...

— ისევ ფრონტზე დაბრუნდა?

— ოო, ხომ იცით, როგორ ეხერხება თავის დაძვრენა! მეტეოროლოგიურ სამსახურში მოეწყო. ახლა აღარაფერია საშიში. — ლულუმ სიბრალულითა და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ანტუანი. ბოლოს ხმადაბლა უთხრა: — თქვენ... გაზით... ხომ?

— ჰო. — მიუგო ანტუანმა და დაქანცული ჩაეშვა დაბალ საკარძელში, რომლის ბროწეულისფერი ხავერდი ოქროსფერი ლურსმნებით იყო დამაგრებული და რომელმაც ბავშვობა მოაგონა.

— რა საძაგლობაა ეს გაზი! — დინჯად განაცხადა ლულუმ, — ჩემი აზრით, ეს უკვე უსინდისობაა.. და უკანონობა!

— ქალბატონი დე ფონტანენი სადაა? — შეაწყვეტინა ანტუანმა.

— ზემოთ ავიდა... ახლავე შევატყობინებ... დაჭრილების ახალ ჯგუფს ველოდებით: იძულებული ვართ საწოლები ყველგან დავდგათ.

ანტუანი მარტო დარჩა. პირისპირ დარჩა მამამისთან. ბატონი ტიბოს მბრძანებლური სული ჯერ კიდევ ტრიალებდა ამ ოთახში. მისი ხელი ყოველ ნივთს ეტყობოდა, თითოეულისთვის თავისი დანიშნულება და განკუთვნილი ადგილი რომ მიეცა: ვერცხლის ხუფიან სამელნეს, მაგიდის ლამპას, ბიუვარს, კალმების საწმენდს, კედელზე ჩამოკიდებულ ბარომეტრს. მისი პიროვნება ისეთი გამძლე გამოდგა, ავეჯის გადაადგილებას თუ შირმის დადგმას ვერაფერი დაეკლო: ჯიუტად გაედგა ფესვები ამ ადგილებში, ნახევარი საუკუნის მანძილზე თავისი დამთრგუნველი ბატონობით რომ ავსებდა. როგორც კი მუხის კარს შეხედა, მაშინვე მამა მოაგონდა: თავისებურად, განუმეორებლად იცოდა კარის გაღება, ფრთხილად, თავშეკავებით და თან გაშმაგებით. საკმარისი გახდა გათეელილი ხალიჩისათვის მოეკრა თვალი, მაშინვე კალთააფარებულ ქურთუკში ჩაცმული მამა წარმოიდგინა: აგერ, დაძარღვული მკლავები უკან დაუწყვია და თვალმოჭუტული მძიმედ მიაბიჯებს წიგნის კარადიდან ბუხრამდე, მერე უკან ბრუნდება. საკმარისი გახდა თვალი შეევლო ბონას „ქრისტეს“ * ასლისა და მის ქვეშ დადგმულ, ტყავზე ინიციალებამოტვიფრული, ამჯერად ცარიელი სავარძლისათვის,

მაშინვე ცოცხლად წარმოიდგინა ბატონი ტიბო: იგი მძიმედ დაეშვა საყვარელ სავარძელში, მხრები მოიმრგვალა, წვერი რომელიღაც საპასუხისმგებლო სტუმრისკენ აიშვირა და სანამ ლაპარაკს წამოიწყებდა, პენსნე მოიხსნა და ჟილეტის ჯიბეში ისეთი ზუსტი, დაკვირვებული მოძრაობით ჩაიდო, პირჯვრისწერა მოგაგონდებოდათ.

ანტუანს კარის ჭრიალი შემოესმა და სავარძლიდან წამოდგა. ქალბატონი დე ფონტანენი ოთახში შემოვიდა.

თავისი სანიტრებივით, მასაც ხალათი ეცვა; ოღონდ გაჭაღარავებულ თმაზე ხილაბანდი არ წაეკრა. საოცრად ფერმკრთალი და გამხდარი სახე ჰქონდა. „როგორც გულით დაავადებულებს! — მისდაუნებურად გაიფიქრა ანტუანმა. — დიდხანს ვერ იცოცხლებს!“

ქალბატონმა დე ფონტანენმა ორივე ხელი გაუწოდა ანტუანს, დასვა და გრძელი მაგიდის მეორე მხარეს თვითონაც ჩაჯდა ვენზილებიან სავარძელში. ჩანდა, აქ იყო „ჰუგენოტის“ მუდმივი ადგილი („ცხონებული ბატონი რომ დაბრუნდეს...“).

ქალმა მაშინვე გამოჰკითხა ჯანმრთელობის მდგომარეობა. მისი მოსვლის მოლოდინში, ანტუანს დაესვენა, ამიტომაც ღიმილით უპასუხა:

— ეტყობა, იქ დარჩენა არ მეწერა! კიდევ კარგი, მაგარი ორგანიზმი მაქვს.

თავის მხრივ ჰოსპიტლის, მისი ახალი ცხოვრების ამბები გამოჰკითხა. ქალი უმალ გამოცოცხლდა:

— ეს ჩემი დამსახურება არაა... შესანიშნავი პერსონალი მყავს. ყველაფერს ნიკოლი განაგებს. როგორც იცით, საყვარელმა გოგონამ დიპლომები მიიღო. დიდ დახმარებას მიწევს. დიახ, შესანიშნავი პერსონალი მყავს! და თანაც ახალგაზრდა ქალებისა და ქალიშვილებისაგან შედგება. ისინი მეზონში ცხოვრობენ; ასე რომ, ჩემი ოთახები მხოლოდ ავადმყოფებისთვისაა განკუთვნილი. ჩემი მოწყალების დები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობენ, სწორედ ამის წყალობით იოლად გამაქვს თავი, რადგან სუბსიდია, რასაც ჩვენ ვიღებთ, ძალიან მცირეა. სამაგიეროდ, ძალიან მიწყობენ ხელს! პირველივე დღიდან მეხმარებოდნენ! ჩვენმა მხარემ, მეზონლაფიტმა ისეთი გულუხვობა გამოიჩინა! წარმოგიდგენიათ? ყველაფერი, რაც აქ არის: საწოლები, თასები, ჭურჭელი, თეთრეული — ყველაფერი მეზობლებმა მომიტანეს. ახლა დაჭრილების

ახალ ჯგუფს მოველით... ნიკოლი და ჟიზელი თეთრეულის შესაგროვებლად წავიდნენ. ეჭვი არ მეპარება, რაც მჭირდება, ყველაფერს მოიტანენ.

თვალაპყრობილი, გამარჯვებული ღიმილითა და მადლიერებით სახეგაბადრული თითქოს ყოვლისშემძლეს უხდის მადლობას, რომ ეს ქვეყანა, განსაკუთრებით კი მეზონ-ლაფიტი ასეთი თავგამოდებული და გულისხმიერი ხალხით რომ დაესახლებინა.

ქალბატონმა დე ფონტანენმა დაწვრილებით აღწერა ის ცვლილებები, რაც ტიბოს აგარაკში შეეტანა და მომავლის გეგმებიც გააცნო. იგი ისე მსჯელობდა, იტყოდით, ერთხელაც არ უფიქრია, ომსა და ჰოსპიტალში მუშაობას ოდესმე თუ მოეღებოდა ბოლო.

— წამოდით, დაგათვალიერებინებთ! — ლაღად უთხრა ანტუანს.

და მართლაც, აგარაკი სულ მთლად გარდაექმნათ. საბილიარდო ოთახი საპროცედურეროდ გადაეკეთებინათ; სასადილო — ექიმის მისაღებ ოთახად, საბანაოში გადასახვევი მოეწყოთ. ყოფილი სათბური უზარმაზარ, თბილ ოთახად გადაექციათ, სადაც თორმეტი საწოლი ორ მწკრივად იდგა.

— ზემოთ ავიდეთ!

ოთახები მომცრო პალატებად იყო დაყოფილი. პირველ სართულზე თხუთმეტი ავადმყოფი მოეთავსებიათ, მეორეზე — ათი, ხოლო ყველაზე ზევით ექვსი დამატებითი საწოლი დაედგათ სასწრაფო დახმარებისთვის.

ანტუანს გულით უნდოდა თავის ოთახში შეეხედა, მაგრამ ჩაკეტილი დახვდა. სადეზინფექციო სადგურიდან სანიტრებს ელოდნენ: ოთახში პარატიფით დაავადებული ჯარისკაცი იწვა თურმე, და დილით სენ-ჟერმენის ლაზარეთში გადაეყვანათ.

როგორც ეს დაწესებულების ხელმძღვანელს შეეფერება, ოთახიდან ოთახში გასვლისას, ქალბატონი დე ფონტანენი უფლებამოსილივით აღებდა კარებს, დაკვირვებული თვალით ამოწმებდა იქაურობას, პირსაბნების სისუფთავეს, რადიატორთა ტემპერატურას, მაგიდაზე დალაგებული წიგნებისა და ჟურნალების სათაურებსაც კი. დროდადრო მკლავს ზევით სწევდა და მაჯაზე გაკეთებულ საათზე იხედებოდა. აშკარად ჩანდა, რომ ეს მოძრაობა ჩვევად გადაქცეოდა.

ანტუანი უკან მიჰყვებოდა, სუნთქვა უძნელდებოდა და კლო-

ტილდას სიტყვები: „ცხონებული ბატონი რომ...“ თავიდან არ შორდებოდა.

მეორე სართულზე ქალბატონმა დე ფონტანენმა ჭრელი შპალერით გამოკრულ ოთახში შეიყვანა. წაბლის ხის კენწეროები ლაჰის ფანჯრებში შეეჭრილიყვნენ. ანტუანი მოგონებებმა ააფორიაქა და ზღურბლზე შეჩერდა:

— ჟაკის ოთახი!

ქალმა გაკვირვებით შეხედა; ერთბაშად თვალებზე ცრემლი მოადგა და აღელვება რომ დაეფარა, ფანჯარასთან მივიდა და დარაბები დახურა. შემდეგ, თითქოს ამ მოულოდნელმა მოგონებამ უფრო გულახდილი საუბრის სურვილი აღუძრაო, სწრაფად უთხრა:

— ახლა კი საჯინიბოს პავილიონში წაგიყვანთ, იქ ჩემი შტაბბინა მოვაწყვე, თანაც უკეთ ვისაუბრებთ.

კიბე უხმოდ ჩაიარეს. შუშაბანდზე გავლას თავი აარიდეს და ბაღში გამავალი კარით გავიდნენ. ხეების ჩრდილში ოთხი ჯარისკაცი თეთრად ღებავდა რკინის საწოლებს. ქალბატონი დე ფონტანენი მიუახლოვდა:

— ვიჩქაროთ, შვილებო... ხვალ ეს საწოლები მშრალი უნდა იყოს.. თქვენ კი, რობერ, აბა მანდედან ჩამოდით! (ჯარისკაცი სამზარეულოს კართანაზე ამძვრალიყო და კატაბარდის ღეროს ამაგრებდა) — გუშინწინ ჯერ კიდევ საწოლში იწექით, დღეს კი კიბეზე აბობღებულხართ!

წვერიანი მამაკაცი, ჩანდა, ტერიტორიალური არმიის ჯარისკაცი უნდა ყოფილიყო, ღიმილით დაემორჩილა. როცა ქალბატონ დე ფონტანენს მიუახლოვდა, ქალმა ქურთუკის ღილები გაუხსნა და სახვევი გაუსინჯა:

— რა თქმა უნდა! სახვევი მოშვებულია. ახლავე წადით და სანიტარს ეჩვენეთ! არა, წარმოგიდგენიათ? — მიუბრუნდა ანტუანს, თითქოს მოწმედ იხმობსო, — სამი კვირაც არაა, რაც ოპერაცია გაუკეთეს!

ყოფილ საჯინიბოსთან მისასვლელად გაზონს შემოუარეს, გზაზე ავადმყოფები ხვდებოდათ, ქალბატონ დე ფონტანენს სამოქალაქო წესით უხდიდნენ ქუდს და თავაზიანად ესალმებოდნენ.

— აი იქ, ზემოთაა ჩემი ბინა! — თქვა ქალმა და პავილიონის კარი გააღო.

ქვედა სართულზე დაზგები იდგა ახორებში. იატაკზე ბურბუშელა ეყარა.

— აქ ჩვენი „შემკეთებელი“ სახელოსნოა, როგორც მას ვუწოდებთ! — განუმარტა ქალმა, როცა ვიწრო ხის კიბით მეეტლის ყოფილი ბინისკენ ადიოდნენ,—ჰოსპიტლის გარეთ არავითარი წვრილმანი სამუშაოს დაკვეთა არ გვიხდება. ბიჭები თვითონ ასრულებენ ყველაფერს: სარჩილავ, სადურგლო, ელექტრო სამუშაოებს.

ქალბატონი დე ფონტანენი პირველ მანსარდაში შეუძღვა ანტუანს, სადაც კანტორა მოეწყო თავისთვის. ოთახში ორი დაწნული სავარძელი და საქაღალდეებითა და საბუღალტრო წიგნებით დატვირთული დიდი მაგიდა იდგა; ქვის იატაკზე გაცვეთილი ჭილობი ეფინა. ანტუანმა ზღურბლიდანვე იცნო თავისი ლამპა, მწვანე მუყაოს აბაჟურიანი დიდი ნავთის ლამპა; ოდესღაც, როცა ივნისის ცხელ ღამეს მთელ სახლს ღრმად ეძინა, ამ ლამპის შუქზე, მწერების ბზუილში, ვინ მოსთვლის, რამდენი საგანი მოუმზადებია გამოცდების წინ! კედლები ბათქაშით გაეთეთრებიათ, მაგიდის თავთან რამდენიმე სურათი ეკიდა კედელზე: ახალგაზრდა, ტანკენარ ჟერომს მოხდენილად ედო ხელი აბრეშუმის ქსოვილგადაკრულ სავარძელზე; ინგლისელი მეზღვაურის კოსტიუმში და მოკლე წინდებში გამოწყობილი დანიელი; თმაგაშლილ, პატარა ჟენის მოშინაურებული მტრედი დაესვა მუშტზე; აქვე იყო ჟენის მეორე სურათიც: ძაძებში ჩაცმულ ახალგაზრდა ქალს შვილი მუხლებზე ეჯდა.

ანტუანს ხველა აუტყდა და იძულებული გახდა, სანამ ქალბატონი დე ფონტანენი სავარძელს შესთავაზებდა, სასწრაფოდ დამჯდარიყო. როცა თავი ასწია, ქალის დაკვირვებულ მზერას წააწყდა; მიუხედავად ამისა, მისი ჯანმრთელობის თაობაზე არაფერი უკითხავს.

— თქვენი მოსვლით ვისარგებლებ და საკერავს მოვრჩები, — კაკლუცად გაუღიმა ქალმა, — ნემსის ხელში ასაღებად დრო არ მრჩება.

შავ ყდაში ჩასმული სახარება გვერდზე გასწია და სამუშაო კალათა წინ დაიდო, მერე ხელახლა დაიხედა მაჯის საათზე და დაჯდა.

— დანიელი თუ გელაპარაკათ? ფეხი ხომ არ გაგასინჯათ? — ჰკითხა მან და ოხვრა შეიკავა (დანიელმა ერთხელაც არ აჩვენა დედამისს ფეხის ტაკვი) — არა. მაგრამ გამიზიარა, რაც აწუხებდა...

ვურჩიე ზოგი ვარჯიში ჩაეტარებინა. მოთმინებას თუ გამოიჩენს, ზოგჯერ საოცარ შედეგებს აღწევენ... თუმცა თვითონვე თქვა, ახალი პროთეზებით აღარ მიძნელდებაო სიარული.

ქალბატონ დე ფონტანენს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყურს არ უგდებსო: ხელები მუხლებზე დაეწყო, თავი ფანჯრისკენ მიებრუნებია და ჩაფიქრებული მისჩერებოდა ამწვანებულ ბაღს.

— გაიგეთ, რაც აქ მოხდა იმ ღამეს, როცა დანიელი დაჭრეს?

— აქ?.. არა...

— ღმერთმა წყალობა გამოიღო და გამაფრთხილა! — იდუმალი ხმით წამოიწყო ქალბატონმა დე ფონტანენმა:—იმ დროს, როცა დანიელი დაიჭრა, ს უ ლ მ ა გამაფრთხილა! — აღელვებულმა ქალმა მაღლა აიღო ხელი და გაჩუმდა. მერე საზეიმოდ, თანაც ხელოვნური უბრალოებით, თითქოს საღვთო წერილის ერთ-ერთ თავს ხმამაღლა კითხულობსო, თუ უზენაეს მოვალეობას იხდის და მომხდარ სასწაულს ხალხის წინაშე ადასტურებსო, განაცხადა:

— ეს მოხდა ხუთშაბათ დღეს. გათენებული არ იყო რომ გამეღვიძა. ჩემს ახლოს ღმერთის ყოფნა ვიგრძენი და ლოცვა მომინდა. ერთბაშად საშინელი სისუსტე დამეუფლა...იმის შემდეგ, რაც ჰოსპიტალს სათავეში ჩავუდექი, პირველად გავხდი ცუდად, არც მერე არ მიავადმყოფია... ფანჯარას გავაღებ და მომვლელ ქალს ვიხმობ-მეთქი ვიფიქრე... მაგრამ ფეხზე დგომა ვერ მოვახერხე. საბედნიეროდ, ღამის მორიგეს შეუმჩნევია, ჩვეულებრივ დროს რომ არ მივედი და ჩემთან მოირბინა. უღონოდ ვეგდე ლოგინზე. როგორც კი წამოდგომას დავაპირებდი, თავბრუ მეხვეოდა და ხელახლა ვეცემოდი საწოლზე. ისე დავსუსტდი, თითქოს სისხლისგან დავიცალე. დანიელზე ფიქრი თავიდან არ მშორდებოდა. ვლოცულობდი, მაგრამ მთელი დილის მანძილზე, მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა. ჟენმ რამდენჯერმე მომიყვანა ექიმი. ეთერის წვეთები მომცეს. ლაპარაკი თითქმის არ შემეძლო. და აი, თორმეტის ნახევარზე, პირველი საუზმის ზარი ჯერაც არ დაერეკათ, უცებ, ჩემდაუნებურად დავიკივლე და გრძნობა დავკარგე. როცა გონს მოვედი, თავს უკეთ ვგრძნობდი. იმდენად უკეთ გავხდი, დღის ბოლოს ლოგინიდან წამოდგომაც შევძელი, კანცელარიაში წამოვედი და ანგარიშებსა და კორესპონდენციებს ხელი მოვაწერე. ეს იყო და ეს! — ქალი თანაბარი, თავშეკავებული ტონით ჰყვებოდა. სანამ თხრობას განაგრძობდა, ცოტა ხნით შეისვენა. —

და აი, ჩემო მეგობარო, სწორედ იმ ხუთშაბათ დღეს, გათენებისას, დანიელის პოლკს შეტევაზე გადასვლის ბრძანება მიუღია. ჩემი საყვარელი შვილი მთელი დილა გმირულად იბრძოდა თურმე; არც ერთხელ არ დაჭრილა, მაგრამ თორმეტის ნახევარზე ყუმბარის ნამსხვრევი მოხვედრია თეძოში. ცოტა მოგვიანებით, ასე თორმეტი საათისთვის... საველე ლაზარეთში წაუყვანიათ, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ ფეხიც მოუკვეთიათ. იგი გადარჩა! — ქალმა რამდენჯერმე გადააქნია თავი და ანტუანს მიაჩერდა. — მთელი ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მერე გავიგე, ათი დღის შემდეგ.

ანტუანი ხმას არ იღებდა. ან რა უნდა ეთქვა? ამ ნაამბობმა პატარა ჟენის მენინგიტით დაავადება და პასტორი გრეგორის „სასწაულებრივი“ ჩარევა მოაგონა. ექიმი ფილიპის ერთი ნათქვამიც გაიხსენა, ზოგჯერ ღიმილით რომ ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „სწორედ ისეთი რამ შეემთხვევა ადამიანს, რასაც იმსახურებს!“

ქალბატონი დე ფონტანენი დუმდა. მერე სამუშაო აიღო ხელში და სანამ კერვას შეუდგებოდა, საწერი მაგიდიდან სათვალე ამოიღო, გაიკეთა და ჟენისა და ჟან-პოლის სურათს ახედა.

— თქვენ მე აქამდე არ მითხარით, როგორ მოგეწონათ ჩვენი ბიჭუნა?

— დიდებულია!

— თქვენც ასე ფიქრობთ, არა? — გამარჯვებული ტონით წამოიძახა ქალმა. — კვირაობით დანიელს ჩვენთან მოჰყავს. ყოველი შეხვედრისას პირდაპირ გაოცებული ვრჩები, დღითი დღე როგორ იზრდება, ვაჟკაცდება. დანიელი ჩივის, ძნელი ბავშვია. ურჩიაო. მაგრამ რა გასაკვირია, თუკი ბავშვი ხასიათის სიმტკიცეს ამჟღავნებს? ამას გარდა, ბიჭი ენერგიული უნდა იყოს, ნებისყოფა უნდა ჰქონდეს.. როგორც ვხედავ, თქვენც ჩემი აზრისა ხართ! — ეშმაკურად დაუმატა მან. — ძალიან მტკივა გული, იშვიათად რომ ვხედავ. თუმცა მე ჩემს ავადმყოფებს უფრო ვჭირდები, ვიდრე ბიჭუნას... — და როგორც ერთი წამით გზასაცდენილი ნაკადი ძველ კალაპოტს უბრუნდება, ქალბატონმა დე ფონტანენმაც ხელახლა წამოიწყო ჰოსპიტალზე ლაპარაკი.

ანტუანი თავს უქნევდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, ეშინოდა ხველა არ ასტეხოდა. ქალბატონი დე ფონტანენი მოხუც ქალს ჰგავდა სათვალეებში: „გულით დაავადებულის სახისფერი აქვს“ — ისევ გაიფიქრა მან.

ქალი სავარძლის საზურგეს არ ეყრდნობოდა, მაგრამ მაინც წელგამართული, დედოფლური პოზით, ამასთანავე შინაურულად იჯდა, ნელა კერავდა და იმ საქმიანობასა და საზრუნავზე თუ პასუხისმგებლობაზე ჰყვებოდა, რაც მას წილად ხვდა.

„ზოგი ჭირი მარგებელიაო!“ — გაიფიქრა ანტუანმა. — ასეთ ქალებს, ისიც ამ ასაკში, ომმა მოულოდნელი ბედნიერება მოუტანა: შემთხვევა მიეცათ სახალხო საქმეს ერთგულად, ენერგიულად ემსახურონ; კმაყოფილება იგრძნონ იმით, რომ სათავეში დგანან და მადლიერებას იმსახურებენ...“

და თითქოს ფიქრს მიუხვდაო, ქალბატონმა დე ფონტანენმა წამოიწყო: — ოო, არ იფიქროთ, ვწუწუნებდე! ზოგჯერ მართლაც ძნელია ჩემი მოვალეობა, მაგრამ იგი აუცილებელი გახდა ჩემთვის. ვერც კი წარმომიდგენია, როგორ დავუბრუნდე წინანდელ ცხოვრებას! პირდაპირ მოთხოვნილებად მექცა სასარგებლო გავხდე ხალხისთვის. — გაეღიმა: — იცით რა? კლინიკა უნდა გახსნათ თქვენი ავადმყოფებისთვის, რა თქმა უნდა, ახლა კი არა, მოგვიანებით. ხელმძღვანელობას მე ვიკისრებ... — მაშინვე დასძინა: — ნიკოლთან და ჟიზელთან ერთად. იქნებ ჟენიც მოვიშველიოთ... ვფიქრობ, ადვილად მოსაგვარებელი საქმეა... რატომაც არა?

— მართლაც და, რატომაც არა? — თავაზიანად გაიმეორა ანტუანმა.

— ამით ჟენისაც გაუჩნდება საქმე. — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ განაგრძო ქალბატონმა დე ფონტანენმა, უცებ ამოიოხრა და თვითონაც არ უფიქრია, რატომ გაუჩნდა ასეთი ასოციაცია, დაუმატა: — საცოდავი ჟაკი... არასოდეს დამავიწყდება ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა...

ისევ გაჩუმდა. მოაგონდა, ვენიდან დაბრუნება მობილიზაციის მეორე დღეს, ოღონდ ეს უსიამოვნო ფიქრი მაშინვე მოიშორა. ხელი შუბლთან მიიტანა და ჭაღარა თმის კულული გადაიწია. გადაწყვეტილი ჰქონდა ანტუანს მოლაპარაკებოდა იმ საკითხზე, გულზე რომ მძიმედ აწვა.

— ნდობა უნდა გვქონდეს უზენაესის სიბრძნისა! — წამოიწყო მან (ისეთი თავაზიანი, დამრიგებლური ტონით, აშკარად გაგრძნობინებდათ: „ოღოხდ ლაპარაკი არ შემაწყვეტინოთ!“) — ღმერთის ნება-სურვილი უნდა ვაღიაროთ, თქვენი იმის სიკვდილიც ღმერთის სურვილით მოხდა.—ერთხანს დაფიქრდა და ბოლოს განაჩენიც წარ-

მოთქვა: — ასეთ სიყვარულს საშინელი ტანჯვა ეწერა, როგორც ერთისთვის, ასევე მეორესთვის... მაპატიეთ, ამას რომ გეუბნებით.

— მეც ზუსტად ასე ვფიქრობ! — მკვირცხლად უპასუხა ანტუანმა, — ჟაკი რომ გადარჩენილიყო, მათი ერთად ცხოვრება ჯოჯოხეთი იქნებოდა.

ქალბატონმა დე ფონტანენმა კმაყოფილი გამოხედვა შეაგება, მოწონების ნიშნად თავი დაუქნია და კერვას შეუდგა.

— გამოგიტყდებით, — წამოიწყო მან, — ამ ამბავმა საშინლად მატკინა გული... იმ დღეს, როცა გავიგე ჩემი ჟენი ბავშვს ელოდა...

ანტუანი ხშირად დაფიქრებულა ამ საკითხზე, თვით ქალბატონ დე ფონტანენზე, და როცა ქალმა შეხედა, თვალები ნელა დახარა, თითქოს ანიშნებდა, კარგად მესმისო თქვენი.

— ოო, იმიტომ კი არა.. — სწრაფად განაგრძო ქალმა, ალბათ, შეეშინდა ნათქვამი ცუდად არ გამიგოსო... — რომ ბავშვი ქორწინების გარეშე გაჩნდებოდა... არა... მარტო ეს არ გახლდათ მიზეზი. განსაკუთრებით ის აზრი მთრგუნავდა, რომ ეს შემზარავი ამბავი კვალს დატოვებდა ჩვენს ცხოვრებაში, მუდამ გვემახსოვრებოდა... თქვენთან გულახდილად ლაპარაკი შემიძლია, ხომ ასეა? ხშირად მიფიქრია... ჟენიმ სამუდამოდ გაიმწარა ცხოვრება,... ეს ნამდვილად სამაგიეროს მიგებაა-მეთქი! ფ ი ა ტ! * მაგრამ, მეგობარო, თურმე ვცდებოდი. რწმენა მაკლდა. შეუღწევადია ღმერთის განზრახვა! საიდუმლოებით მოცულია მისი გზები, უსაზღვროა მისი სიკეთე... რასაც გამოცდად, სასჯელად მივიჩნევდი, პირიქით, ღვთის კურთხევა ყოფილა... პატიების ნიშანი... სიხარულის წყარო... და მართლაც, რატომ უნდა დაესაჯა ისინი ღმერთს? განა მან ჩვენზე უკეთ არ იცოდა, ამ გატაცებაში ბოროტება რომ არ ერია? ანდა, თვით ცოდვის ჩადენისას ამ ორი ბავშვის გული სუფთა და უმანკო რომ იყო?

„რა უცნაურია, — ფიქრობდა ანტუანი, — ამ ქალის სიტყვებს თითქოს ძალიან უნდა გავეღიზიანებიე, მაგრამ არა: მასში არის რაღაც ისეთი, რაც მოწიწებას იწვევს. მოწიწებაზე მეტს, სიმპათიასაც კი იწვევს... იქნებ იმიტომ, რომ კეთილია? ბოლოს და ბოლოს, სიკეთე ისეთი იშვიათი რამაა: ნამდვილი, ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი სიკეთე!...“

— მშვენიერი ხვედრი ხვდა ჟენის! — მტკიცე, მგალობელი ხმით განაგრძობდა ქალბატონი დე ფონტანენი და კერვა არ შეუწყვე-

ტია. — მის გულში ისეთი საუნჯეა, მთელ ცხოვრებას რომ გაუკეთილშობილებს: უდიდესი საბოძვრის გაღების, შესანიშნავი წუთების მოგონება! და რასაც — ეს ხომ იშვიათი შემთხვევაა! — დამამცირებელი დღეები არ მოჰყოლია...

„არის ხალხი, — გაიფიქრა ანტუანმა, — ერთხელ და სამუდამოდ დამამშვიდებელ კონცეპციას რომ შეიქმნიან ხოლმე თავისთვის... ესაა ამოსავალი წერტილი... მერე უკვე მათი ცხოვრება წყნარ ამინდში მდინარეზე ნავით გასეირნებას წააგავს: დინებას მიენდობიან და ნაპირსაც აღწევენ“.

— უკეთილშობილესი მოვალეობა ხვდა წილად — აღზარდოს ბავშვი, რომელიც...

— ჟენი ძალიან შეცვლილა, სულ სხვანაირია... — შეაწყვეტინა ანტუანმა, — ძალიან დადინჯებულა... არა, კი არ დადინჯებულა... ერთი სიტყვით ძალიან...

ქალბატონმა დე ფონტანენმა საკერავი მუხლებზე დაიდო და სათვალეები მოიხსნა.

— ერთი რამ მინდა გაგანდოთ, მეგობარო: მე მგონია, ჟენი ბ ე დ ნ ი ე რ ი ა. დიახ... ასეთი ბედნიერი არასოდეს ყოფილა... ბედნიერია იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია მისი ბუნების ადამიანისთვის... რადგან ჟენი სულაც არაა გაჩენილი ბედნიერებისათვის. ჯერ კიდევ ბავშვი, ძალიან უბედური იყო. ვერავინ ვერაფერს გავხდით, მის ბუნებაში ტანჯვა ჩაბუდებულიყო. კიდევ უარესი: არა მარტო ტანჯვა, საკუთარი თავისადმი სიძულვილიც: ვერ იქნა და ვერც თავისი თავი შეიყვარა, ვერც მასში მყოფი ღვთის ქმნილება. ვაი რომ, რელიგიური სული მუდამ უცხო იყო მისთვის! მისი სული გაუქმებულ ტაძარს წარმოადგენდა მუდამ. ჰოდა, ნახეთ ყოველდღიურად როგორ ქმნის ღმერთი სასწაულს ჩვენშიც და ჩვენს ირგვლივაც! ყოველგვარ ტანჯვას თავისი ანაზღაურება აქვს; ყოველგვარი უწესრიგობა საყოველთაო ჰარმონიას უწყობს ხელს... ამჟამად მას პატიება ეღირსა. დღეს — ინტუიცია არასოდეს მღალატობს. დღეს ქვრივისა და დედის როლში მყოფმა ჩემმა საცოდავმა შვილმა ადამიანური ბედნიერება, სულიერი სიმშვიდე და კმაყოფილება იპოვა!.. ახლა ვგრძნობ, რომ იგი...

— დეიდა! — ბაღიდან მოისმა ხმა.

ქალბატონი დე ფონტანენი სავარძლიდან წამოდგა.

— ნიკოლი დაბრუნებულა.

— ბატონი მერი მოვიდა, დეიდა. თქვენი ნახვა უნდა.

ქალბატონი დე ფონტანენი კარებთან მივიდა და ანტუანმა მისი მხიარული შეძახილი გაიგონა კიბის ზედა საფეხურიდან:

— ცოტა ხნით ამოდი, გენაცვალე. ერთი ძველი ნაცნობი უნდა გაჩვენო!..

* * *

კარის გაღებისთანავე ნიკოლი ადგილზე გაშეშდა; ანტუანს ისე უყურებდა, იტყოდით, ვერ იცნოო.

ანტუანს გული შეეკუმშა და წაიბუტბუტა:

— საშინელი სანახავი ვარ, ხომ?

ნიკოლი გაწითლდა და უხერხულობა რომ დაეფარა, ხმამაღლა გადაიკისკისა — სულაც არა... უბრალოდ, თქვენს აქ ნახვას არ მოველოდი.

აქამდე არ ენახათ ერთმანეთი: წინადღით ნიკოლი აგარაკზე არ მისულა სადილად, მძიმე ავადმყოფს უვლიდა და სანიტრის ანაბარა ვერ მიატოვებდა. სამაგიეროდ, თვითონ უფრო გაახალგაზრდავებულიყო. უძილო ღამეებს არავითარი კვალი არ დაეტოვებინა რძისფერი სახის ნაკვთებზე და მის ლურჯ თვალებსაც წინანდებური შეუდარებელი სიკამკამე შერჩენოდათ.

ანტუანმა ქმრის ამბავი ჰკითხა; ფრონტზე ორჯერ შეხვედრია ეკეს.

— ამჟამად მისი სანიტარული მანქანა შამპანშია, — უთხრა ნიკოლმა და ანთებული თვალები მოავლო იქაურობას; მის გამოხედვაში მოზარდის გულუბრყვილობა და გრძნობამორეული ქალის კეკლუცობა ერთმანეთს ენაცვლებოდა. — ბევრს მუშაობს, მაგრამ სტატიების წერას მაინც ასწრებს ჟურნალებისთვის... გასულ კვირას ერთი სტატია გამომიზავნა, მანქანაზე გადამიბეჭდეო... გაროს * გამოყენებაზე, თუ რაღაც ამგვარი იყო...

(ერთი მხრივ, ეს ასეც იყო. გასული ზამთრის ერთ საღამოს ნიკოლს თავისებური აზრი გაუჩნდა დანიელზე. იმ ღამით უკვე გვიანი იყო, როცა ჟენი და ჟიზი დასაძინებლად წავიდნენ. ნიკოლს რაღაც საქმე ჰქონდა დასამთავრებელი, შეყოვნდა და დანიელთან მარტოდ დარჩა ბუხრის წინ. უცებ დანიელმა უთხრა: „მოიცა, ნიკო, არ გაინძრე!“ და ჟურნალის ყდაზე უმალ შეუდგა მისი პრო-

ფილის ხატვას. ნიკოლს კიდეც გაეხარდა დანიელის ეს მოულოდნელი ახირება. რამდენიმე წუთის შემდეგ, რაღაც გაურკვეველმა გრძნობამ გააფრთხილა თითქოს, თავი მიაბრუნა: დანიელს ხატვა შეეწყვიტა და ისეთი თვალებით უყურებდა, იტყოდით შეეშმა უპირებსო; საძაგელი გამოხედვა ჰქონდა, ვნებიანი, კუშტი, შმაგი, დარცხვენილიც და მგონი, სიძულვილით აღსავსეც... დანიელმა თავი დახარა, ჟურნალი გაბრაზებით დაეშმუშნა და ცეცხლში ისროლა. მერე უხმოდ წამოდგა და ოთახიდან გავიდა... „აი, თურმე რაშია საქმე! — გაიფიქრა თავზარდაცემულმა ნიკოლმა, — ისევ ვუყვარვარ!“ კარგად ახსოვდა: დიდი ხნის წინ, როცა დეიდასთან ცხოვრობდა პარიზში, დანიელი, ჯერ კიდევ ჭაბუკი, გახელებული უსაფრდებოდა ყოველ კუთხეში. ამ სულელურმა და უიმედო სიყვარულმა, ნიკოლს რომ დიდი ხნის მივიწყებული ეგონა, ხელახლა გაახსენა თავი აგარაკზე ერთ ჭერქვეშ ცხოვრების გამო... და იმ დღიდან, ნიკოლს თითქოს თვალი აეხილა; დანიელის საქციელი სწორედ ამ სიყვარულით აიხსნებოდა: მისი გულჩათხრობილობაც, მოუსვენრობაც, ბუტიაობაც, მეზონში დარჩენის აკვიატებაც და კარჩაკეტილი, უსაქმურად, უბიწოდ ცხოვრებაც, რაც მის ჩვევებსა და ტემპერამენტს სულ არ შეეფერებოდა).

— გინდათ, ჩემი აზრი მოგახსენოთ? — განაგრძო ნიკოლმა; მას ვერ წარმოედგინა, მისი ასეთი ჩაციება რაიმე ეჭვს თუ აღუძრავდა ანტუანს. — მართალი ხართ, დანიელი ცოდოა. მაგრამ მარტო იმიტომ კი არ იტანჯება, რომ ხეიბარია. არა... იცით რა? ბევრ რამეს ქალები ინსტინქტურად ვგრძნობთ.... მარტო ეს არ ტანჯავს მას. რაღაც პირადული არ აძლევს მოსვენებას... იქნებ უბედური სიყვარულია ამის მიზეზი?... რაღაც უიმედო ვნება?..

ერთბაშად შეეშინდა, თავი ხომ არ გავეცინო და გაწითლდა. თუმცა ანტუანი არ უყურებდა: თვალწინ ედგა ჭადრის ხის ჩრდილში წამოწოლილი დანიელი; ხელები თავქვეშ ამოედო, დაბნეული იყურებოდა და გაშმაგებით ღეჭდა რეზინას.

— შესაძლებელია ასეცაა! — გულუბრყვილოდ დაეთანხმა იგი.

რაკი დამშვიდდა, ანტუანმა ვერაფერი შემამჩნიაო, ნიკოლმა შვებით გაიცინა:

— მადლობა ღმერთს, მე და თქვენ კარგად გვახსოვს, როგორ ცხოვრებას ეწეოდა ომამდე პარიზში.

უცებ ჩაჩუმდა: დეიდამისის ნაბიჯების ხმა შემოესმა კიბეზე.

ქალბატონ დე ფონტანენს წერილების შეკვრა ეჭირა ხელში.

— მაპატიეთ, მაგრამ ისევ უნდა დაგტოვოთ, — თქვა მან და ფოსტიდან ახლად მიღებული წერილებისა და ბანდეროლების შეკვრაზე მიუთითა. — ყოველდღიურ ანგარიშებს გვთხოვენ და ვალდებული ვართ, ყოველ ცისმარა დღეს რამდენიმე ეგზემპლარად გავუგზავნოთ ხელმძღვანელობას. ამ მიწერ-მოწერაზე ორ საათს მაინც ვხარჯავ.

— ჩემი წასვლის დროა! — თქვა ანტუანმა და წამოდგა.

— კვლავაც უნდა მოხვიდეთ აქ. რამდენხანს დარჩებით?

— ხვალ მივდივარ.

— ხვალ? — იკითხა ნიკოლმა.

— პარასკევს მუსკიეში უნდა ვიყო.

სამივენი შენჯღრეულ კიბეს ჩაუყვნენ. ქალბატონმა დე ფონტანენმა საათს დახედა:

— ჭიშკრამდე მაინც მიგაცილებთ.

— მე კი წავალ, — თქვა ნიკოლმა, — საღამოს გნახავთ.

* * *

როცა ნიკოლი თვალს მიეფარა, ქალბატონ დე ფონტანენს ნაბიჯი არ შეუნელებია და აღელვებით ჰკითხა ანტუანს:

— ნიკოლი დანიელზე გელაპარაკათ, არა? საწყალი ბიჭი... დღედაღამ მასზე ვფიქრობ. ლოცვად ვდგები... მწარეა მისი ხვედრი!

— ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული მაინც ბრძანდებით, ქალბატონო, რომ ცოცხალი დარჩება! დღევანდელ ვითარებაში ასეთი რწმენა რაღაცას ნიშნავს!

მაგრამ ქალს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მისი ნათქვამის მიხვედრა არც სურსო. იგი სულ სხვაგვარად უყურებდა მომხდარ ფაქტს.

რამდენიმე ნაბიჯი უხმოდ გაიარეს.

— მთელი დღეები სულ მარტოა, — განაგრძო ქალმა. — მარტოდ მარტოა თავის ხეიბრობასთან, მარტოდმარტოა თავის დარდთან, რომელსაც არავის უზიარებს.. მეც კი არ მიზიარებს.

ანტუანი შუა ხეივანში შეჩერდა და ქალბატონ დე ფონტანენს აშკარა ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— მე ისე კარგად მესმის, რასაც ჩემი საყვარელი შვილი გა-

ნიცდის! — ნაღველშერეული რწმენით ლაპარაკობდა ქალბატონი დე ფონტანენი. — ასეთი ბობოქარი, დიდსულოვანი ბუნების ყმაწვილისათვის ძნელია... შეეგუოს ფიქრს, რომ ჯან-ღონით, გამბედაობით აღსავსე ახალგაზრდა მტრის ხელში ჩავარდნილ... განსაცდელში ჩავარდნილ სამშობლოს უყურებდეს და მისთვის ვერაფერი გააკეთოს!

— თქვენ გგონიათ, ესაა მიზეზი? — გაბედა ანტუანმა. დანიელის უგუნებობის ამ საბაბით ახსნა იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის, რომ თავისი ეჭვები ვეღარ დამალა.

ქალბატონი დე ფონტანენი წელში გასწორდა და ამაყმა, მრავალისმეტყველმა ღიმილმა სახე გაუნათა:

— დანიელი?! ეს ცხადზე უცხადესია, და ვაი რომ, ვერაფერს უშველი... რაკი თავისი ვალის მოხდა არ შეუძლია, უნუგეშო მდგომარეობაში სწორედ ამიტომაცაა.

და როცა მიხვდა, ანტუანი ვერ დავარწმუნეო, პირგამეხებულმა ჯიუტად დაუმატა:

— ჩემი ნათქვამი იმდენად შეეფერება სინამდვილეს, რომ თუკი დანიელი ჰოსპიტალში მუშაობაზე უარს ამბობს, ეს იმით კი არ აიხსნება, თითქოს, როგორც თვითონ ირწმუნება, აქ მოსასვლელი გზა ღლიდეს, არა: მის ტოლ ბიჭებს შორის, მისებრ დაჭრილ ჯარისკაცებს შორის ყოფნა უჭირს, რადგან ისინი სულ მალე ისევ შესძლებენ ბრძოლას!

ანტუანმა აღარაფერი უთხრა. ჭიშკრამდე ხმა არ ამოუღიათ.

— ღმერთმა იცის, კიდევ როდის შევხვდებით ერთმანეთს! — უთხრა ქალმა, აღელვებით შეხედა და შეჩერდა. ანტუანის გამოწვდილი ხელი ერთხანს ეჭირა. — კარგად ყოფნას გისურვებთ, მეგობარო!

XI

„ყველანი ისე ლაპარაკობენ დანიელზე, თითქოს რაღაც გამოცანა იყოს! — ფიქრობდა ანტუანი და მოედანზე მიდიოდა — და თითოეული თავისებურ განმარტებას მაძლევს... სინამდვილეში, ალბათ, არავითარი გამოცანა აქ არაა!“

მართალია, გრძნობდა, რომ ოდნავ გადაიღალა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა დღევანდელი დღით, და რაც მთავარია გაოცე-

ბული იყო, ისე არ დავქანცულვარ, როგორც მოველოდიო. ფონტანენების აგარაკისკენ ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას. მარტოდ დარჩენილი, შვებას გრძნობდა. მის წინ ცაცხვის ფართო ხეივანი გადაშლილიყო და ტყეს უერთდებოდა. ჰორიზონტზე ჩამავალი მზის სხივები ხის ტოტებიდან მოჩანდა და ცეცხლოვან ზოლებს ისროდა მიწაზე. დრო და დრო სამხრეთის დამტვერილი გზები აგონდებოდა და ილ დე ფრანსის გაზაფხულის სურნელებით გაჟღენთილ ამ მსუბუქ, მომჟავო ჰაერს ხარბად ისუნთქავდა.

ნაღვლიანი ფიქრები მაინც ვერ მოიშორა: მეზონში ჩასვლამ ბევრი მოგონება აუშალა. ტიბოს აგარაკმაც უამრავი აჩრდილი გაახსენა, უკან მოსდევდნენ, მათ მოსაშორებლად კი ძალა არ შეწევდა: მისი ახალგაზრდობა, ჯანმრთელობა... მამა... ჟაკი... ამ ერთ დღეში უსაზღვროდ ახლობელი გახდა ჟაკი. არასოდეს ასე აშკარად არ უგრძვნია, რომ ჟაკის სიკვდილით ნამდვილად შეუდარებელი ადამიანი გამოეცალა ხელიდან: მისი ერთადერთი ძ მ ა... არა, ჟაკის სიკვდილის შემდეგ ასე ზუსტად არასოდეს განუცდია ამ აუნაზღაურებელი დანაკარგის სიძლიერე. კიდევაც უსაყვედურა თავს, აქამდე რომ ვერ იგრძნო ეს სასოწარკვეთა, შეუნიღბავი სასოწარკვეთა. ეს როგორ მოხდა? შექმნილი ვითარება... ომი... ერთბაშად ცხადად წარმოიდგინა ის მომენტი, როცა რიუმელისგან წერილი მიიღო, — ამ წერილმა საბოლოოდ მოუსპო ყოველგვარი იმედი. მისი წერილი ერთ საღამოს გადასცეს, ვერდენის ლაზარეთის ეზოში, ეპარეში მისი დივიზიის გამგზავრების ერთი საათით ადრე. იგი ელოდა ამ ცნობას, მაგრამ იმ ღამეს გამგზავრებით გამოწვეულ აურზაურში მწუხარებისთვის დროც კი არ ჰქონდა. თუმცა არც შემდეგი ორი კვირის მანძილზე: გაუთავებელი გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე წვიმაში, ტალახში, ფუსფუსი ვევრის დანგრეულ სოფელში ლაზარეთის მოსაწყობად. წელში გამწყვეტ ამ ყოფაში პირად განცდებს ადგილი არ რჩებოდა. მოგვიანებით, როცა თავისუფალ დროს რიუმელის წერილი გადაიკითხა და პასუხიც მისწერა, მიხვდა, ჟაკის სიკვდილს უკვე ისე შერიგებოდა, დაფიქრებაც ვერ მოესწრო. სამაგიეროდ, ახლა შინაურულ ატმოსფეროში აღმოჩენილს, ამ დაგვიანებულმა მწუხარებამ მაგრად დარია ხელი: აუნაზღაურებელი დანაკლისი წარმოუდგენელი ტკივილებით უკუმშავდა გულს. აქ, ამ ხეივანში, ყოველი კუნჭული მათ ბავშვობას, გართობას, ერთად ცხოვრებას აგონებდა. თუმცა

ანტუანი გაცილებით უფროსი იყო ჟაკზე, ბიჭებს ერთად უყვარდათ თეთრი მესერიდან გადახტომა, მაისის თვეში ერთად კოტრიალებდნენ მაღალ, გაუთიბავ ბალახში; ცაცხვის ხავსმოდებული ხის ძირებში ჯოხის ბოლოებით ერთად ჩხრეკდნენ ბუდეებს, სადაც ბრტყელზურგიანი მწერები ფუთფუთებდნენ; ამ მწერებს ჯიგრისფერი ჯავშანი უცნაური შავი ზოლებით ჰქონდათ დაცხრილული და ბიჭებმა „ჯარისკაცები" შეარქვეს. აი, დღევანდელივით მზიან ნაშუადღევს მირბოდნენ ერთად ამ ღობეებისა და ბუჩქნარების გასწვრივ, წნორნარისა თუ იასამნის ტოტებს გლეჯდნენ გზაზე. ამავე გზით მიდიოდნენ ველოსიპედით, საჭეზე საბანაო კოსტიუმები და ჩოგნები ჰქონდათ მიბმული. აკაციებით დაჩრდილული პორტალის ნახვამ ერთბაშად მოაგონა ლიცეუმის ერთ-ერთი მასწავლებელი, არდადეგებზე რომ ჩამოსულიყო მეზონში და პატარა ანტუანი მასთან სამეცადინოდ რომ დადიოდა. ხშირად, სექტემბრის თვეში, მადმუაზელი და ჟაკი სწორედ ამ პორტალთან ხვდებოდნენ, რათა ჩაბნელებული პარკი მარტო არ გამოევლო. თვალწინ დაუდგა სამი წლის ჟაკი. მის დანახვაზე ხელიდან უსხლტებოდა მადმუაზელს, მისკენ მორბოდა, მკლავზე ჩამოეკიდებოდა და ენის მოჩლექით წვრილად უყვებოდა, რაც კი იმ დღეს გაეკეთებინა...

ანტუანი ჯერ კიდევ მოგონებებში იყო გართული, როცა სახლს მიუახლოვდა. ჭიშკარი რომ გააღო და ბაღში შესულმა ჟან-პოლი დალანდა, რომელიც ძია დანს ხელიდან დაუსხლტა და ანტუანისკენ გამოეშურა, ასე ეგონა ჟაკი მორბოდა, წითურთმიანი, ფეხმარდი ჟაკი. ბავშვს რომ მისი აღელვება არ შეემჩნია, ხელში აიტაცა, სწორედ ისე, როგორც ჟაკს აიყვანდა ხოლმე ხელში და აკოცა. მაგრამ ჟან-პოლი ხომ ვერავითარ ძალდატანებას ვერ იტანდა, თუნდაც ეს ალერსი ყოფილიყო?! ჰოდა, ისე აფართხალდა და ისე იქნევდა ფეხებს, სუნთქვაშეკრული და სიცილისგან დაოსებული ანტუანი იძულებული გახდა, ძირს დაეშვა.

დანიელს ხელები ჯიბეში ჩაეწყო და თვალს ადევნებდა.

— რა კუნთმაგარი ბიჭია! — თითქმის მამობრივი სიამაყით თქვა ანტუანმა. — როგორ ისვრის ტლინკებს, წყლიდან ახლად ამოგდებულ თევზივით ფართხალებს.

დანიელს გაეღიმა და ამ ღიმილშიც იგივე სიამაყე იგრძნობოდა,

ანტუანს რომ ეფინა სახეზე იმ წუთში. მერე ცისკენ გაიშვირა ხელი:

— რა მშვენიერი დღეა, არა?.. კიდევ ერთი ზაფხული დაგვიდგა...

ჟან-პოლთან ძიძგილაობით ღონემიხდილი ანტუანი ბალახზე ჩამოჯდა, ხეივნის პირას.

— შეგიძლიათ, ცოტა ხნით აქ დარჩეთ? — ჰკითხა დანიელმა. — დიდი ხანია ფეხზე ვდგავარ და მინდა წამოვწვე, ჩ ე მ ი ფეხი დავასვენო... გინდათ ბიჭი დაგიტოვოთ?

— სიამოვნებით დავიტოვებ!

დანიელი ბავშვს მიუბრუნდა:

— ცოტა ხნის მერე ძია ანტუანს წამოყვები. ხომ ჭკვიანად იქნები?

ჟან-პოლმა არაფერი უპასუხა და თავი დახარა. მერე თვალი გააპარა ანტუანისკენ, ხოლო მიმავალ დანიელს დაფიქრებული მზერა გააყოლა, ყოყმანობდა გაჰკიდებოდა თუ არა. ამ დროს მის ფეხებთან მაისის ხოჭო დაეცა, მთელი ყურადღება მისკენ გადაიტანა, ძია დანი დაავიწყდა, ხოჭოსთან ჩაცუცქდა და თვალთვალი დაუწყო მწერს, რომელსაც გადმობრუნება ვერასგზით ვერ მოეხერხებინა და საცეცებს ჰაერში აქნევდა.

„ყურადღებას თუ არ მივაქცევ, ადვილად მოვიჩვევ!" — გაიფიქრა ანტუანმა. ერთი თამაში მოაგონდა, ძალიან რომ ართობდა ხოლმე პატარა ჟაკს: ნაძვის ხის ქერქის ნამტვრევი აიღო, ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო და უსიტყვოდ შეუდგა ნავის გამოთლას.

ჟან-პოლი ქვეშ-ქვეშად ადევნებდა თვალს და ბოლოს, ნელ-ნელა კიდეც მიუახლოვდა:

— ეს ჯაყვა ვისია?

— ჩემი... ძია ანტუანი ჯარისკაცია და დანა სჭირდება: პურის დასაჭრელად, ხორცის დასაჭრელად...

ამ ახსნა-განმარტებამ ვერ დააკმაყოფილა ჟან-პოლი:

— ლას აკეთებ?

— შეხედე... განა ვერ ხვდები? პატარა ნავს ვთლი. პატარა ნავს ვთლი შენთვის. როცა დედიკო გაბანავებს, აბაზანაში ჩაუშვებ ამ ნავს, წყალზე ისე იცურავებს, არ ჩაიძირება.

დაფიქრებული ჟან-პოლი კოპშეკრული უსმენდა — ეტყობა, ანტუანის სუსტი, ჩახლეჩილი ხმა არ მოსწონდა. ვერც მისი ნათ-

ქვამი გაიგო. ვინ იცის, იქნებ არასოდეს არ ენახა ნავი?.. მან ხმამაღლა ამოიოხრა და ანტუანის ნათქვამიდან მხოლოდ ერთადერთ დეტალს შეუტია, რადგან იგი სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ამიტომაც გაუსწორა:

— ჯერ ელთი, მე დედიკო კი ალა, ძია დანი მაბანავებს!

ძია ანტუანის საქმიანობისადმი სრული გულგრილობა გამოამჟღავნა და ისევ ხოჭოს მიუბრუნდა.

ანტუანი აღარ ჩასციებია, ნავი მიაგდო და ჯაყვაც იქვე დადო. ერთი წუთის შემდეგ ჟან-პოლი დაბრუნდა. ანტუანი შეეცადა მასთან კავშირის დამყარებას:

— აბა, რა ისეთი მნიშვნელოვანი გააკეთე დღეს? ძია დანთან თუ ისეირნე ბაღში?

ბავშვი ერთხანს დაფიქრდა, თითქოს ღრმად უნდოდა დარწმუნებულიყო, იყო თუ არა ასე, და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ჭკვიანად იყავი?

ხელახლა დაუქნია თავი. მერე მაშინვე მიუახლოვდა ანტუანს და დინჯად უთხრა:

— დალწმუნებული ალა ვალ!

ანტუანს გაეღიმა:

— როგორ? ნამდვილად არ იცი, კარგად მოიქეცი თუ არა?

— კი. ჭკვიანად ვიკავი. — გაღიზიანებით დაიყვირა ჟან-პოლმა. მერე თითქოს სინდისმა შეაწუხაო, ცხვირი შეჭმუხნა და მარცვალ-მარცვალ გაიმეორა: — მაგლამ დალწმუნებული ალა ვალ!

ზურგს უკან დაუდგა ანტუანს, თითქოს წასვლას აპირებსო, მერე ერთბაშად დაიხარა და მიწაზე მიგდებულ დანას ხელის წავლება დაუპირა.

— არა! არ შეძლება! — გაუჯავრდა ანტუანი და დანას ხელი დააფარა. ჟან-პოლმა უკან დაიხია და გაშმაგებით შეხედა ანტუანს.

— დანით თამაში არ შეიძლება! ხელს გაიჭრი! — დაუმატა ანტუანმა. ჯაყვა დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. შეურაცხყოფილი ბიჭი ფეხს არ იცვლიდა და გამომწვევად იყურებოდა. შერიგების ნიშნად ანტუანმა ალერსით გაუწოდა ხელი. ჟან-პოლს ლურჯი თვალები აუელვარდა, გამოწვდილი ხელი ისე გამოსტაცა, თითქოს კოცნას უპირებსო და ზედ პატარა კბილები ჩაარჭო.

— ვაი! — დაიყვირა ანტუანმა. ბავშვის საქციელმა ისე გააოცა,

ისე დააბნია, გაბრაზებაც ვერ მოეხერხებინა. — ჟან-პოლი ბოროტი ბიჭია! — თქვა მან და ნაკბენ თითზე ხელი გადაისვა. — ჟან-პოლმა ძია ანტუანს ატკინა!

ბიჭუნამ გაოცებით შეხედა:

— ძალიან ატკინა? — იკითხა მან.

— ძალიან ატკინა.

— ძალიან ატკინა! — აშკარა კმაყოფილებით გაიმეორა ჟან-პოლმა, მერე ქუსლებზე შემოტრიალდა და ხტუნვა-ხტუნვით გავარდა.

ანტუანი გაოგნებული იჯდა: „შურისძიების მოთხოვნილება? არა... მაშ რაღაა? ასეთ საქციელს ათასგვარი ახსნა შეიძლება მისცე!..იქნებ, ჩემს წინააღმდეგობას რომ წააწყდა, იგრძნო, მოთოკვას მიპირებსო, თავისი უსუსურობა აუტანლად მიიჩნია და... იქნებ იმიტომ კი არ მიკბინა, რომ ტკივილი მოეყენებინა, არამედ ჩემი დასჯა უნდოდა? იქნებ სულაც ფიზიკურ მოთხოვნილებას აჰყვა, საკუთარი ნერვების მოდუნების გადაულახავ მოთხოვნილებას? ყოველ შემთხვევაში ასეთი რეაქციების გასაანალიზებლად, ჯერ საჭირო იქნება ამ მოთხოვნილების ძალა გაიზომოს! ეტყობა, ჯაყვის მოტაცების სურვილი იმდენად ძლიერი იყო, ამას მოზარდი ადამიანი ვერც კი მიხვდება!..“

ჟან-პოლისკენ თვალი გააპარა, უნდოდა დარწმუნებულიყო, შორს ხომ არ წასულა. ბავშვი ათიოდე მეტრის დაშორებით არხეინად იდგა და მთელი გულისყურით ცდილობდა ბორცვზე აბობღებულიყო.

„თქმა არ უნდა, ჟაკსაც ასეთი შურისმაძიებელი რეაქცია ექნებოდა! — გაიფიქრა ანტუანმა. — მაგრამ გაბედავდა კი კბენას?“

ამ აზრებში უკეთ გასარკვევად, მოგონებებს მისცა თავი. არ შეეძლო ძველი და ახალი, მამა და შვილი არ გაეგიავებია. შეუძლებელი იყო ჟან-პოლის გამოხედვაში არ ეცნო აღშფოთების, წყენის, გამოწვევის, სიამაყის და სიმარტოვის გრძნობათა ჩანასახი, რაც ჟაკის თვალებში მრავალჯერ ამოუკითხავს. ეს შედარება იმდენად გასაოცარი იყო, გადაწყვიტა კიდევ უფრო გაეღრმავებია და დარწმუნდა: ბავშვის ამბოხ ბუნებაში იმალებოდა ყველა ის კეთილშობილური თვისება — ის სიმორცხვე, ის სიწმინდე, ის გაუზიარებელი სიყვარული, რასაც ჟაკი თავშეკავებული გამოხდომებით ფარავდა სიცოცხლის ბოლომდე.

ანტუანს შეეშინდა, არ გავცივდეო და ის იყო წამოდგომა დაპირა, როცა მისი ყურადღება ბავშვის უცნაურმა აკრობატიულმა ილეთებმა მიიპყრო. ჟან-პოლი გაშმაგებით ცდილობდა ასულიყო ბორცვზე, რომლის სიმაღლე დაახლოებით ორი მეტრი იქნებოდა; მარცხნივ და მარჯვნით ბორცვი დამრეცი ფერდობით ეშვებოდა ქვევით, მასზე ასვლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა; მაგრამ ჟან-პოლი წინა მხრიდან, ციცაბო კალთიდან უტევდა ბორცვს. რამდენჯერმე ზედი-ზედ მთელი სისწრაფით გაექანა და კიდეც ახტა ბორცვის შუა კალთამდე, მაგრამ ფეხი დაუცურდა და ქვევით ჩაგორდა. ძალიან არ დაშავებულა, ფერდობი ნაძვის წიწვების რბილი ფენით იყო დაფარული. ბიჭუნას ერთადერთი საზრუნავი ჰქონდა: ბორცვის აღება! ირგვლივ სხვა არაფერი არსებობდა მისთვის. ყოველი ახალი ცდისას უფრო მაღლა მიბობღავდა, მაგრამ ასევე სწრაფად მიცურავდა ქვევით. ნატკენ ადგილზე ხელს დაისვამდა და ხელახლა უტევდა.

„ტიბოთა ენერგია აქვს — კმაყოფილებით გაიფიქრა ანტუანმა. — მამაჩემს მბრძანებლობის, გაბატონების სურვილი ამოძრავებდა... ჟაკს — ქედუხრელობა, ჯანყი... მე — სიჯიუტე... აქ კი? საინტერესოა, რა ფორმაში გამოვლინდება ის ძალა, ამ პატარაპ სისხლში რომ აქვს“?

ჟან-პოლმა ხელახლა შეუტია: ისე გაბედულად გაექანა ბორცვისკენ, თითქმის მწვერვალს მიაღწია, მაგრამ ქვიშა ერთბაშად ჩაიშალა ფეხქვეშ, ალბათ, წონასწორობასაც დაკარგავდა, ბალახის ღეროს წაავლო ხელი და რაღაც სასწაულით თავი შეიკავა, ხელები მოიშველია და ბორცვის წვერზე აბობღდა.

„ნიძლავს დავდებ, ახლა შემობრუნდება და ნახავს, ვუყურებდი თუ არა!..“ ანტუანი შეცდა. ბიჭი ზურგშექცევით იდგა და მისი დარდი არც ჰქონდა. ერთხანს მაგრად იდგა ბორცვზე, მერე რაკი გული მოიჯერა, დამრეცი ფერდობით დაეშვა მშვიდად, დაპყრობილი ბორცვისკენ არც მიუხედავს, ხეს მიეყრდნო, ცალი სანდალი გაიხადა, ქვიშა გადმოყარა და ხელახლა ჩაიცვა. იცოდა, ბალთის შეკვრას ვერ მოახერხებდა, ამიტომ ანტუანთან მივიდა და ფეხი უხმოდ გაუშვირა. ანტუანს გაეღიმა და მორჩილად შეუბნია სანდალი.

— ახლა შინ წავიდეთ, კარგი?

— ალა.

— რა თავისებურად იცის უარის თქმა! — გაიფიქრა ანტუანმა. ჟენი მართალია: ეტყობა, რაიმე თხოვნის შეუსრულებლობა, მისთვის სულაც არ არის უბრალო ახირება, არამედ უარის თქმაა, წინასწარ განზრახული უარია... არ სურს თავისი დამოუკიდებლობის თუნდაც უმცირესი ნაწილი დათმოს, სულერთია, რა საბაბითაც არ უნდა იყოს იგი.

ანტუანი წამოდგა.

— წამოდი, ჟან-პოლ! შენ ხომ დამჯერე ბიჭი ხარ! ძია დანი გველოდება. წავიდეთ!

— ალა.

— შენ მე გზას მაჩვენებ! — ანტუანმა ტაქტიკა შეცვალა (აღმზრდელის როლში უგერგილოდ აღიარა თავი) — რომელი ხეივნით უნდა წავიდეთ? ამით? თუ იმით? — ხელის მოკიდება სცადა, მაგრამ ჟან-პოლს ჯიუტად უკან დაეწყო ხელები.

— აკი ვთქვი: ალა!

— კეთილი! მარტოდ გინდა აქ დარჩე? კი ბატონო, დარჩი!

ანტუანი გულგრილი სახით გაემართა სახლისკენ, ჩამავალი მზის ვარდისფერ სხივებში რომ გახვეულიყო.

ოცდაათიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, როცა ჟან-პოლის ფეხის ხმა შემოესმა, სირბილით ცდილობდა დასწეოდა. ანტუანმა დააპირა ალერსიანად გამოლაპარაკებოდა, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარიყო, მაგრამ ბავშვი არ შეჩერებულა, წინ გაუსწრო და უკმეხად მიაძახა:

— სახლში ვბლუნდები! იმიტომ, ლომ ასე მინდა!

XII

ჟიზისა და ნიკოლის მხიარული მასლაათის წყალობით სადილი მუდამ გამოცოცხლებული იყო აგარაკზე. კმაყოფილნი იმით, რომ მთელი დღის სამუშაო მოთავებული ჰქონდათ, და იქნებ იმითაც, ქალბატონი დე ფონტანენის მზრუნველ, თუმცა ფხიზელ კონტროლს თავი რომ დააღწიეს, ახალგაზრდა ქალები გულს იჯერებდნენ იმდღევანდელი ამბების მოყოლით, დაჭრილთა ახალი ჯგუფით მაღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს და პანსიონის

მოსწავლეებივით იგონებდნენ მათი მორიგეობის დროს მომხდარ უმნიშვნელო შემთხვევებს.

საღამოს ანტუანი უკვე დაქანცული ჩანდა, თუმცა მათი სერიოზული კამათი მკურნალობის ზოგი მეთოდის შესახებ, სპეციალური ტერმინების უხვად გამოყენება და მკურნალი ექიმების უნარის შეფასება მაინც ართობდა. მისი ავტორიტეტიც რამდენჯერმე მოიშველიეს და ანტუანიც ღიმილით გამოთქვამდა თავის აზრს.

ჟენი უგულისყუროდ უსმენდა მათ საუბარს, მთელი ყურადღება ჟან-პოლზე გადაეტანა: ბიჭი მათთან ერთად სადილობდა. ჩვეულებისამებრ (მით უმეტეს, როცა ჟენი და ნიკოლი იქ იყვნენ) დანიელი დუმდა, თუმცა ანტუანს მაინც გამოელაპარაკა რამდენჯერმე.

ნიკოლს საღამოს გაზეთები მოეტანა. პარიზის დაბომბვის ამბავს იტყობინებოდნენ. მრავალი შენობა დაზიანებულა VI-ე და VII-ე ოლქებში. ხუთი კაცი კიდეც მოუკლავთ, მათ შორის სამი ქალი და ძუძუმწოვარა ბავშვი. ჩვილი ბავშვის დაღუპვის გამო მოკავშირეთა პრესა ერთსულოვან აღშფოთებას გამოთქვამდა ტევტონური ბარბაროსობის წინააღმდეგ.

ნიკოლს გულისწყრომა ვერ დაეოკებინა, შეუძლებელია ასეთი სისასტიკე აიტანოს ადამიანმაო.

— ოო, ეს „ბოშები“! — დაიყვირა მან. — რა ველურებივით ომობენ! ის არ იკმარეს, რომ ცეცხლმტყორცნი იარაღი და მახრჩობელა გაზი გამოიყენეს! წყალქვეშა ნავები გაუშვეს! ახლა უდანაშაულო მოქალაქეებს ხოცავენ! ეს უკვე მეტისმეტია! ეს უკვე საზიზღრობაა! ჩანს, ყოველგვარი მორალური შეგრძნება, ყოველგვარი ადამიანური გრძნობა დაკარგეს!

— ეტყობა, უდანაშაულო მოქალაქეების ხოცვა-ულეტა გაცილებით მეტ არაადამიანურობად, გაცილებით მეტ ამორალობად, გაცილებით მეტ საზიზღრობად მიგაჩნიათ, ვიდრე მოწინავე ხაზზე გაგზავნილი ახალგაზრდა ჯარისკაცების გაჟლეტა! — გესლიანად თქვა ანტუანმა.

ნიკოლმა და ჟიზმა გაოცებით შეხედეს.

დანიელმა მაგიდაზე დადო ჩანგალი. თავდახრილი იჯდა და ხმას არ იღებდა.

— აბა, ერთი დავუკვირდეთ, — განაგრძო ანტუანმა, — ომის კოდიფიცირება, მისი ლიმიტირება, მისი ორგანიზაცია (როგორც ახლა ამბობენ: „ჰუმანიზირება“), განცხადება იმისა, რომ „ეს ბარბა-

როსობაა! ეს ამორალობაა!“ იმას ნიშნავს: თუ არსებობს ომის წარმოების რაღაც სხვა საშუალება... სავსებით ცივილიზირებული საშუალება... სავსებით მორალური საშუალება!

გაჩუმდა, ჟენისკენ გააპარა თვალი, უნდოდა მისი გამოხედვა დაეჭირა, მაგრამ იგი ჟან-პოლისკენ დახრილიყო და რძეს ასმევდა.

— განა ომის საზარელი ბოროტმოქმედება ისაა, რომ ესა თუ ის საშუალება შეიძლება მეტ-ნაკლებად სასტიკი იყოს? — თქვა ანტუანმა, — და რომ მისი მსხვერპლი უფრო მეტად აქაა, ვიდრე იქ, ფრონტზე?

ჟენიმ ჟან-პოლს თავი მიანება და ისე მაგრად დადგა ჭიქა მაგიდაზე, კინაღამ გადააყირავა.

— საზარელი ბოროტმოქმედება სულ სხვა რამაა! — ჟენი ბაგემოკუმული ალაპარაკდა. — საზარელია ხალხის უმოქმედობა! მერე და რა მრავალრიცხოვანნი არიან! ისინი ხომ ძალას წარმოადგენენ! ყოველგვარი ომი მათ თანხმობაზე ან უარზეა დამოკიდებული! რაღას უცდიან? საკმარისია თქვან, არაო და ზავი, რასაც ახლა მოითხოვენ, მაშინვე სინამდვილედ იქცევა!

დანიელმა ნელა ასწია თავი და სწრაფად, იდუმალი გამოხედვა შეაგება დას.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ანტუანმა აუჩქარებლად დაამთავრა თავისი აზრი:

— არც ესაა საზარელი ბოროტმოქმედება და არც ის: თვით ომია საშინელება!

ერთხანს ვერავინ გაბედა ხმის ამოღება.

„ხალხი ზავს მოითხოვს, — ჟენის სიტყვები გაიხსენა ანტუანმა, — მართლა ასეა?... მშვიდობას მაშინ მოითხოვენ, როცა იგი უკვე დარღვეულია... მაგრამ, როცა ხელთ აქვთ, მათი მოუთმენლობა, მათი საბრძოლო ინსტინქტები ამ მშვიდობას მყიფესა ხდის... რა თქმა უნდა, ხელსაყრელია, თუკი ომის მთელ პასუხისმგებლობას მთავრობას, პოლიტიკას დააკისრებენ! მაგრამ, როცა პასუხისმგებლობაზე ვლაპარაკობთ, არც ადამიანის ბუნება უნდა დავივიწყდეს... ყოველგვარ პაციფიზმს აი, ეს პოსტულატი უდევს საფუძვლად: ადამიანის მორალური პროგრესის რწმენა. პირადად მე, ეს რწმენა ნამდვილად მაქვს, ან უმალ: სენტიმენტალური მოთხოვნილება მაქვს, ეს გრძნობა მქონდეს; არ შემიძლია ვიფიქრო, თითქოს ადამიანის შეგნებას არ ძალუძს სრულყოფილი გახდეს! მე უნ-

და მწამდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს კაცობრიობა წესრიგსა და ძმობას დაამყარებს მთელ მსოფლიოში... მაგრამ ამ რევოლუციის განსახორციელებლად საკმარისი არ იქნება მარტო სურვილი, არც ცალკეული ბრძენის მოწამეობა: საჭირო იქნება ევოლუციის მთელი საუკუნეები, იქნებ სულაც ათასი საუკუნე... (მეოცე საუკუნის ადამიანებისაგან რა დიადი საქმის იმედი უნდა გქონდეს?!). ჰოდა, რამდენიც არ უნდა ვირტყა მჯიღი მკერდზე, შორეულ მომავალშიც ვერ ვიპოვი ისეთ რამეს, რაც დამამშვიდებდა, რაც დამარწმუნებდა, რომ თანამედროვე სამყაროს მტაცებელთა შორის არ მომიხდებოდა ცხოვრება!..“

ანტუანმა ერთბაშად შეამჩნია, რომ ყველანი გაჩუმებულან. დაძაბული, დამუხტული ატმოსფერო იგრძნობოდა. ინანა, ამ მოულოდნელი ქარიშხლის მიზეზი რომ გახდა და საუბრის აღდგენა გადაწყვიტა.

— მართლა, თქვენი მეგობარი როგორაა? — მიუბრუნდა იგი დანიელს, — აი, ის უცნაური ტიპი... ხომ იცით, ვისზე გეკითხებით?... პასტორი რომ იყო...

— პასტორი გრეგორი?

ამ სახელის გაგონებაზე ეშმაკურად აუციმციმდა ყველას თვალები.

— დეიდა ტერეზა ისე წუხს... აღდგომის შემდეგ არკაშონის სანატორიუმშია... — ნაღვლიანად თქვა ნიკოლმა, თუმცა მისი ტონი სულაც არ შეეფერებოდა სახის მხიარულ გამომეტყველებას.

— ბოლო წერილების მიხედვით, ცუდად უნდა იყოს. მგონი ლოგინადაა ჩავარდნილი! — დაუმატა დანიელმა.

ჟენიმ აცნობა, ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე პასტორი ფრონტზე იყოო.

საუბარი ხელახლა შეწყდა.

— მოხალისედ წავიდა? — იკითხა ანტუანმა, სიჩუმე რომ დაერღვია.

— ყოველ შემთხვევაში, — დააზუსტა დანიელმა, — ყველაფერი მოიმოქმედა იმისთვის, რომ ფრონტზე წასულიყო. მაგრამ თავისი ასაკისა და ჯანმრთელობის გამო განზრახული ვერ შეისრულა, მაშინ ამერიკელთა სანიტარულ რაზმში ჩაეწერა. 1917 წლის ის აუტანელი ზამთარი ინგლისის ფრონტზე გაატარა... დაჭრილები გადაჰყავდა...

გაუთავებელი ბრონქიტი... სისხლიანი ნახველი... იძულებულნი გახდნენ ძალით გაეგზავნათ ევაკუაციაში, თუმცა უკვე გვიანი იყო.

— უკანასკნელად 1916 წელს ვნახეთ. შვებულებით ჩამოვიდა ჩვენთან, — თქვა ჟენიმ.

— ისეთი სანახავი იყო, ვერც კი იცნობდით! — დაურთო ნიკოლმა — ნამდვილი მოჩვენება... ტოლსტოისავით გრძელი წვერით, ზღაპრების ნამდვილ ჯადოქარს ჰგავდა!

— წამლების მიღებაზე ისევ უარზე იყო? ავადმყოფებს ისევ შელოცვით მკურნალობდა? — გაკილვით იკითხა ანტუანმა.

ნიკოლს სიცილი აუტყდა:

— დიახ... დიახ,.. რომ იცოდეთ, რა აბდა-უბდას გვიქადაგებდა! აქ ჩამოსვლამდე მთელი ორი წელიწადი პატარა სანიტარული მანქანით გადაპყავდა თურმე მომაკვდავები და მაინც იმეორებდა: „სიკვდილი არ არს!“

— ნიკოლ! — წამოიძახა ჟიზმა. მისთვის აუტანელი იყო, ანტუანის წინაშე ასე რომ დასცინოდნენ პასტორს.

— სხვათა შორის, „სიკვდილი“ ეს ის სიტყვაა, პასტორი რომ არასოდეს ახსენებდა, — განაგრძო ნიკოლმა, — იგი ასე ამბობდა: „მომაკვდინებელი ილუზია!“

— ბოლო წერილში, — ღიმილით ჩაურთო დანიელმა, — უცნაური ფრაზა მოსწერა დედას: „სულ მალე ჩემი არსებობა უ ხ ი ლ ა ვ ო ბ ი ს ვ ე ლ ზე გაგრძელდება!..“

ჟიზმა საყვედურით შეხედა ანტუანს.

— ნუ იცინი, ანტუან... მართალია, სასაცილო კაცია, მაგრამ ნამდვილი წმინდანია!

— მერე რა? შესაძლებელია, მართლაც წმინდანი იყოს, მაგრამ წარმომიდგენია, რა დღეში იქნებოდნენ ის უბედური ინგლისელი „ტომები“ * მის წმინდა თათებში რომ მოხვდებოდნენ! დარწმუნებული ვარ, სახიფათო სანიტარი იქნებოდა.

დესერტიც მოათავეს.

ჟენიმ სკამიდან ჩამოსვა ჟან-პოლი და წამოდგა. სხვებმაც მიბაძეს და სასტუმრო ოთახში გაპყვნენ. უკვე გვიანი იყო. ჟენიმ დასაძინებლად წაიყვანა ბავშვი.

ჟიზი ოთახის სიღრმეში, დაბალ სკამზე ჩამოჯდა და წინდების ქსოვას შეუდგა: ჰოსპიტლიდან გამოწერილ ავადმყოფებს თითო წყვილ წინდას თილისმასავით ატანდა ხოლმე მუდამ. დანიელმა რო-

ალზე დადებული ჟურნალის „ლე ტურ დიუ მონდ“ კომპლექტი აიღო და დივანზე მოიკალათა მრგვალ მაგიდასთან, სადაც ნავთის ერთადერთი ლამპა ენთო. „განგებ იქცევა ასე?—გაიფიქრა ანტუანმა, როცა დაინახა, დანიელი დამჯერე ბავშვის სიბეჯითით ფურცლავდა ჟურნალს—თუ მართლა აინტერესებს ეს ძველი გრავიურები?“

ნიკოლი ბუხრის წინ ჩაჩოქილიყო და ცეცხლს ანთებდა. ანტუანი მიუახლოვდა.

— რამდენი ხანია შეშით ანთებული ცეცხლი არ მინახავს!

— საღამოობით ისევ გრილა, — თქვა ნიკოლმა, — თანაც ბუხრის გუზგუზი კარგ გუნებაზე გაყენებს... — წამოდგა, — პირველად აქ, მეზონში შევხვდით ერთმანეთს. ისე კარგად მახსოვს! თქვენ?

— მეც.

მართლაც კარგად ახსოვდა, დიდი ხნის წინ, ზაფხულის ერთ საღამოს, ქაკს ხათრი რომ ვერ გაუტეხა და ბატონი ტიბოს აკრძალვის მიუხედავად, „ჰუგენოტებთან“ წაჰყვა ძმას. მოაგონდა, როგორი გაოცებული დარჩა, როცა იქ მასზე კარგა უფროსი დასტაქარი ფელიქს ეკე დახვდა; გაიხსენა ნიკოლი და ენი ვარდების ხეივანში; ქაკი-ეკოლ ნორმალში * ახლად ჩარიცხული სტუდენტი; თვითონ ახალგაზრდა ექიმი იყო იმ ხანებში, ქალბატონი დე ფონტანენი ცერემონიულად ეძახდა, ექიმოო. რა ახალგაზრდები იყვნენ ყველანი! მარადიულ ჭაბუკობასა და ცხოვრებაში ისე იყვნენ დარწმუნებულნი, არც კი იცოდნენ მომავალი რას უმზადებდა, ერთი წუთითაც ვერ წარმოედგინათ ის კატასტროფა, ევროპის პოლიტიკური მოღვაწეები რომ ამზადებდნენ და სულ მალე ხელის ერთი მოსმით რომ მოსპობდა მათ პატარ-პატარა პირად გეგმებს, ზოგს სიცოცხლესაც გამოასალმებდა, ზოგის ცხოვრებას თავდაყირა დააყენებდა, თითოეულის ბედში მწუხარებას, ძაძებს შეიტანდა და მთელ ქვეყანას ვინ იცის, რა დიდი ხნით ააფორიაქებდა!

— ეს იყო ჩემი ნიშნობის პირველი დღეები! — ჩაფიქრებით განაგრძო ნიკოლმა. მის გონებაში ღრმა სევდა დაბუდებულიყო. — ფელიქსმა თავისი მანქანით მომიყვანა... უკან დაბრუნებისას ღამით სატრუვილში მანქანა გაუფუჭდა...

დანიელმა ნელა ასწია თავი და მალულად გააპარა თვალი ნიკოლისაკენ; ანტუანს მაინც არ გამოეპარა ეს გამოხედვა. ყურს უგ-

დებდა? წარსულის ამ გახსენებამ ხომ არ ააღელვა? სინანული ხომ არ გამოიწვია? ან იქნებ, უბრალოდ, ამ ლაყბობამ თავი მოაბეზრა? ხელახლა შეუდგა ჟურნალის დათვალიერებას. მაგრამ მალე მთქნარება ვერ შეიკავა, ჟურნალი დაკეცა, წამოდგა და მშვიდად გამოემშვიდობა ყველას.

ჟიზმა საქსოვი გვერდზე გადასდო:

— უკვე მიდიხართ, დანიელ?

ოთახის სუსტ შუქზე ჟიზის თმა უფრო ფაფუკი, მისი სახე უფრო შავგვრემანი ჩანდა და თვალებიც უფრო მკვეთრად უელავდა. ბუხრის ალით განათებული, დაბალ სკამზე მოხრილი ეს სილუეტი, მისი წინაპრების შორეულ ქვეყანას, აფრიკას გაგახსენებდათ: კოცონთან იქაური ქალი ჩაცუცქულა!

ჟიზი წამოდგა:

— თქვენი ლამპა, მგონი, საკუჭნაოშია. წამოდით, აგინთებთ!

სასტუმრო ოთახიდან ერთად გავიდნენ. ანტუანმა მისდაუნებურად თვალი გააყოლა, მერე ნიკოლს გადახედა, ფეხზე რომ იდგა და მიმავალთ შეჰყურებდა. მარტო დარჩნენ. ნიკოლს უცნაურად გაეღიმა.

— დანიელმა ცოლად უნდა შეირთოს! — დაბალ ხმაზე წაილაპარაკა მან.

— რა თქვით?

— ჰო. დიდებული საქმე იქნებოდა. თქვენ რას იტყვით?

ანტუანისთვის ისეთი მოულოდნელი იყო ეს აზრი, ერთხანს წარბებაზიდული უძრავად იჯდა და ცეცხლს მიჩერებოდა.

ნიკოლს ხმამაღლა გაეცინა: გულიანი, მჟღერი, ღუღუნა სიცილი იცოდა.

— არ მეგონა, ასე თუ გაგაოცებდით!

სავარძელი ბუხრისკენ მიაჩოჩა, დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, მოდუნებული, ოდნავ გამომწვევი პოზა მიიღო და ანტუანს მიაჩერდა.

ანტუანი გვერდით მიუჯდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მათ შორის რაიმე ისეთია?..

— მე ეს არ მითქვამს, — სწრაფად მიუგო ნიკოლმა, — ყოველ შემთხვევაში, დანიელს, ალბათ, არასოდეს უფიქრია ასეთი რამ!

— არც ჟიზს! — წამოცდა ანტუანს.

— რასაკვირველია, არც ჟიზს. ოღონდ ერთი რამ ცხადია, ძალი-

ანაა დაინტერესებული დანიელით. ქალაქში რომ მიდის, ყოველ მის დავალებას ასრულებს: ყიდულობს გაზეთებს, საღეჭ რეზინას... ათასნაირ მზრუნველობას იჩენს და სხვათა შორის, დანიელიც სიამოვნებით აძლევს ამის ნებას... ალბათ, შენიშნავდით, ერთადერთი ადამიანი, ვის მიმართაც თავის ცუდ გუნება-განწყობილებას არ ამჟღავნებს, ჟიზია!

ანტუანი ხმას არ იღებდა. ჟიზის გათხოვების ვარაუდმა ჯერ უსიამოვნო გრძნობა დაუტოვა: წარსული აქამდე არ დავიწყებოდა, კარგად ახსოვდა, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ მაინც რა ადგილი ეჭირა ჟიზს მის ცხოვრებაში. როცა დაუფიქრდა, ვერავითარი ხელმოსაკიდი დაბრკოლება ვერ გამოუძებნა ამ ქორწინებას.

ნიკოლს ჩუმ-ჩუმად ეღიმებოდა და ლოყებზე პატარა ფოსოები დააჩნდა. ამ სიმხიარულეში ერთგვარი გადაჭარბება, ხელოვნურობაც შეიმჩნეოდა: „შემთხვევით, თავისი დეიდაშვილი ხომ არ უყვარს?“ — გაიფიქრა ანტუანმა.

— აბა, ექიმო, გამოტყდით, რომ არც ისეთი უაზრო წინადადება წამომიყენებია, — ჩაიცინა ნიკოლი, — ჟიზი მთელ თავის ცხოვრებას დანიელს გადააგებს; სწორედ ასეთი ქალის ერთგულება თუ გაუადვილებს ცხოვრებას... რაც შეეხება დანიელს, — ნიკოლმა ნელა გადააგდო თავი უკან, ქერა კულულები სავარძლის საზურგეს დაეფინა და სველი ტუჩების მიღმა თეთრი კბილების ზოლმა გაიელვა. მერე თვალები დახარა, მაგრამ ანტუანმა მოჭუტული თვალებიდანაც დალანდა მისი ცბიერი გამოხედვა, — რაც შეეხება დანიელს, იგი მამაკაცთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, ქალების თაყვანზე უარს რომ არ ამბობენ...

ოდნავ შესამჩნევი მოუთმენლობა დაეტყო: ყური მოკრა ძველი კიბის საფეხურების ჭრიალს:

— ერთი ჩემი პარატიფიანი ავადმყოფი მომაგონდა, წუხელ ღამე რომ ვუთიე, — სწრაფად, თვალთმაქცურად შეცვალა საუბრის თემა, — საგოიადან უნდა იყოს! უკვე ხანშიშესულია, 92 წლის გაწვევას ეკუთვნის... — ოთახში ჟენისა და ჟიზის შემოსვლისას ნიკოლმა უფრო აუჩქარა ლაპარაკს, — როცა ბოდავს, მის დიალექტს ვერაფერს გაუგებ *, ოღონდ ესაა, ყოველ წამს დედას უხმობს, ბავშვივით ამბობს, დედიკო, პირდაპირ გული მოგიკვდებათ!

— ასეთი შემთხვევა მეც მქონია, — ანტუანმა ისე მოხერხებულად აუბა მხარი ნიკოლს, საკუთარმა საზრიანობამ ერთგვარი სი-

ამაყეც კი აგრძნობინა, — მაგრამ თქვენ მაინც ცდებით: ეს უბრალოდ, წარსულიდან ამოტივტივებული მისდაუნებური ჩივილია, ჩვევაა. ბევრი მომაკვდავისგან გამიგონია ეს ძახილი. ყვირიან, დედიკოო, მაგრამ ჩემი აზრით, მათ შორის ძალიან ცოტაა ისეთი, იმ წუთში ნამდვილად რომ ფიქრობდეს დედაზე.

ჟენის ყავისფერი შალის ძაფის გორგალი ეჭირა ხელში.

— დღეს ვინ მომეხმარება?

— მე მეძინება, — ზანტი ღიმილით გამოუტყდა ნიკოლი და საათს შეხედა, — ათს უკლია ოცი წუთი...

— მე მოგეხმარები! — შესთავაზა ჟიზმა.

ჟენიმ თავი გადააქნია.

— არა, გენაცვალე. შენ დაღლილი ხარ. წადი, დაისვენე.

ნიკოლმა ჟენის აკოცა და ანტუანს მიუახლოვდა:

— მაპატიეთ, ჰოსპიტალში შვიდ საათზე მივდივარ, თანაც წუხელ მთელი ღამე თეთრად გავათენე.

ჟიზიც გამოემშვიდობა. გული ეკუმშებოდა, როცა მოაგონდებოდა, ანტუანი მეორე დღეს უნდა წასულიყო და გამგზავრებამდე მარტო დარჩენასა და იმ სიახლოვის აღდგენას, პარიზში რომ იგრძვნეს ერთმანეთისადმი, ვერ მოახერხებდნენ. თანაც შეეშინდა, ვაითუ ცრემლები ვერ შევიკავოო და უხმოდ გაუწოდა საკოცნელად შუბლი.

— მშვიდობით, ზანგის გოგო! — ნაზად წასჩურჩულა ანტუანმა.

ჟიზი მიხვდა, ანტუანს ესმოდა მისი გულისტკივილი და ისიც მწარედ განიცდიდა დაშორებას; ამის გაფიქრებაზე გულზე მოეშვა, ანტუანს თვალი აარიდა და ნიკოლთან ერთად ოთახიდან გავიდა.

„ჟენის რატომ არ გამოემშვიდობა?“ — გაიფიქრა ანტუანმა, მაგრამ ამ დროს ჟენიმ მარდად გაირბინა ოთახში, კარის ზღურბლთან დაეწია ჟიზს, მხარზე დაადო ხელი და სთხოვა:

— მგონი ბიჭს თბილად არ ახურავს. ფეხებზე რაიმე დააფარე, კარგი?

— ვარდისფერი საბანი რომ დავახურო?

— არა, თეთრი უფრო თბილია.

არც ახლა გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

* * *

ანტუანი შუა ოთახში იდგა.

— ჟენი, თქვენ არ მიდიხართ დასაძინებლად? ჩემი გულისთვის არ დარჩეთ.

— სულ არ მეძინება, — თქვა ჟენიმ და იმ სავარძელში ჩაჯდა, ნიკოლს რომ ეჭირა ცოტა ხნის წინ.

— მაშინ, ვიმუშაოთ! შეეცდები ჟიზის მაგივრობა გაგიწიოთ. აბა, ერთი მაგ შულო მომაწოდეთ!

— არავითარ შემთხვევაში.

— რატომ? განა ასე ძნელია?

მან ხელი დასტაცა ძაფს და დაბალ სკამზე ჩამოჯდა. ჟენი ღიმილით დაემორჩილა.

— აი ნახეთ, რა კარგად მიდის საქმე! — თქვა ანტუანმა, რამდენიმე არაზუსტი მოძრაობის შემდეგ.

ანტუანის უბრალოებამ, გულთბილობამ ჟენი კიდეც გააკვირვა და კიდეც აღაფრთოვანა. თანაც შერცხვა, ამდენი ხნის ნაცნობობის მიუხედავად, მისგან მუდამ შორს რომ ეჭირა თავი. ამჟამად ანტუანზე უფრო საიმედო საყრდენი განა ჰყავს ვინმე? სწორედ ამ დროს ანტუანს საშინელი ხველა აუტყდა და იძულებული გახდა მუშაობა შეეწყვიტა. „ოღონდაც განიკურნოს, — გაიფიქრა ჟენიმ, — ოღონდაც წინანდელი ჯანმრთელობა დაუბრუნდეს!“. ანტუანის კარგად ყოფნა მის შვილსაც სჭირდებოდა.

ანტუანმა ხველის შეწყვეტისთანავე განაახლა მუშაობა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ განუცხადა:

— იცით, ჟენი? ძალიან მიხარია, ასეთს რომ გხედავთ... მინდა ვთქვა: ასე კარგად... ასეთი მშვიდი რომ ხართ.

ჟენი გორგალს მისჩერებოდა და დაფიქრებით გაიმეორა:

— მშვიდი...

მიუხედავად ამისა, ანტუანი მართალი იყო. ჟენის ზოგჯერ თვითონაც უკვირდა, რა მშვიდად მიედინებოდა მისი მწუხარება. ანტუანის სიტყვებს ჩაუკვირდა და მისი იმჟამინდელი მდგომარეობა სამწლინახევრის წინანდელ ბორგვას, საშინელ სიცარიელეს შეადარა. მოაგონდა, ომის დასაწყისში, როცა ჟაკის ამბავი არ იცოდა, ხოლო საშინელი წინაგრძნობა მოსვენებას არ აძლევდა. ხან სასოწარკვეთას ეძლეოდა, ხან დაშოშმინდებოდა, მარტოობით იტან-

ჯებოდა, ვერავის იტანდა, გაურბოდა, დედას, სახლს, თითქოს რაღაც აუცილებელს ეძებს, ხელს იწვდის მის დასაჭერად, მაგრამ გამუდმებით უსხლტება ხელიდან; ზოგჯერ მთელი საღამოობით დაეხეტებოდა პარიზის ქუჩებში, მობილიზაციას ასე ძალიან რომ შეეცვალა, პილიგრამის დაუშრეტელი ენერგიით უბრუნდებოდა იმ ადგილებს, სადაც ჟაკს დაჰყავდა: დასავლეთის სადგურზე, სენ ვენსენ-დე პოლის სკვერზე, კრუასანის ქუჩაზე, ბირჟის ახლომდებარე კაფეში, სადაც ხშირად ელოდა ჟაკს, მონრუჟის ვიწრო ქუჩაბანდებში, შედიოდა დარბაზებში, სადაც თათბირებს აწყობდნენ და სადაც ერთხელ ჟაკმა ისედაც აღშფოთებული ხალხი ომის საწინააღმდეგოდ აამხედრა... ბოლოს, დაღლილი, ძალაწართმეული, ღამითღა ბრუნდებოდა შინ. ოხვრა-კვნესით დაეგდებოდა სწორედ იმ საწოლზე, სადაც ჟაკის მკლავებში იწვა ოდესღაც და რამდენიმე საათს მკვდარივით ეძინა. გამოეღვიძებოდა თუ არა, ახალი დღის დადგომასთან ერთად ხელახლა ეუფლებოდა სასოწარკვეთა... რასაკვირველია, იმ დღეებთან შედარებით ახლანდელი მისი ცხოვრება სასწაულებრივად „მშვიდი“ იყო! ამ სამ წელიწადში ყველაფერი შეიცვალა მის ირგვლივ, თვით მასშიც. ყველაფერი — ჟაკის იერსახეც კი გულში რომ აქამდე ინახავდა... საოცარია, თვით ღრმა სიყვარულიც რაოდენ უძლურია დროის მსვლელობის პირისპირ! როცა ჟაკზე ფიქრობდა, ვერ წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ახლა; ან როგორი იყო 1914 წლის ივლისში. არა: მის თვალწინ ცოცხლდებოდა არა წინანდებურად ფიცხი, ცვალებადი ჟაკი... არამედ გაქვავებული, უძრავი, ნახევრად შემობრუნებული რომ იჯდა მხატვრის სახელოსნოში, ცალი ხელი თეძოზე ედო, ფანჯრიდან შემოჭრილი სხივი შუბლს რომ უნათებდა: ისეთი ჟაკი, როგორსაც დღედაღამ ხედავდა პორტრეტზე.

ერთბაშად ერთმა საზარელმა ფიქრმა გაუელვა. წარმოიდგინა, ჟაკი მოულოდნელად ბრუნდებაო. და საოცარია, სიხარულის გარდა უხერხულობაც იგრძნო... თავის მოტყუება არ ღირდა: 1914 წლის ჟაკი უეცრად რომ დაბრუნდეს, სასწაული მოხდეს და ღღევანდელ ჟენის წინაშე გამოცხადდეს, იმ ადგილს, აქამდე წმინდად რომ უნახავდა გულში, ალბათ, ხელუხლებლად ვეღარ დაუბრუნებდა...

დაბნეული თვალები მიაპყრო ანტუანს, თუმცა მან ვერაფერი შეამჩნია, მთელი ყურადღება იმაზე გადაეტანა, მოკუმულ მუშ-

ტებზე ძაფის გორგალი რაც შეიძლება კარგად გაეჭიმა, მონუსხულივით უყურებდა ძაფის დახვევას და ხან მარჯვნივ იხედებოდა, ხან მარცხნივ. თანაც გრძნობდა, სასაცილო მდგომარეობაში იყო. მხრები ეწოდა, თავს უსაყვედურა, ასე დაუფიქრებლად რად შევთავაზე დახმარება. აწეული ხელებით დაბალ სკამზე დიდხანს ჯდომისგან სუნთქვა უჭირდა, ცეცხლთან ახლოს ყოფნაც მავნებელი იყო: საწოლ ოთახში ტანზე გახდისას აუცილებლად გაცივდებოდა...

ქენის უნდოდა კვლავაც ისევე ელაპარაკა საკუთარ თავზე, ქაკზე, ბავშვზე, როგორც იმ დილით ესაუბრებოდა. მისთვის უჩვეულო გულახდილობამ ისე კარგად იმოქმედა, რომ მთელი დღე ამაზე ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, ახლა ისევ შ ე ბ ო ჭ ი ლ ა დ იგრძნო თავი. სწორედ ეს იყო მთელი მისი ცხოვრების სულიერი დრამა: უნარი არ გააჩნდა კონტაქტი დაემყარებინა ხალხთან, სამუდამო განდეგილობა ეწერა! თვით ქაკთანაც ვერ შესძლო მთლიანად, თავშეუკავებლად გადაეშალა გული. აკი რამდენჯერმე კიდეც უსაყვედურა, „გამოუცნობი" ხარო! ეს მოგონებები გულს უკლავდა, ვერ მოეშორებინა! მერე რაღას იზამს? შვილთან როგორღა მოიქცევა? მისდაუნებურად მასაც ხომ არ ჩამოიცილებს ამ თავშეკავების, ამ მოჩვენებითი გულცივობის წყალობით?

კედლის საათის რეკვაზე ორივემ ერთდროულად ასწია თავი და უცებ მიხვდნენ, დიდხანს ვდუმდითო.

ქენის გაეღიმა:

— დანარჩენი შუალო ხვალისთვის გადავდოთ. აი, ესღა მოვათავოთ. უნდა წავიდე, — და მარდად შეუდგა დაწყებული გორგალის გადახვევას, — უნდა წავიდე, თორემ ქიზს ჩაეძინება და არ მინდა ძილი გავუფრთხო... ისე იქანცება, დასვენება ნამდვილად სჭირდება...

ანტუანს ორი ერთნაირი საწოლი გაახსენდა და იმასაც მიხვდა, ქენი და ქიზი რატომ არ გამოემშვიდობენ ერთმანეთს იმ საღამოს; ორივე ერთ ოთახში ქაკის სურათის ქვეშ იძინებდა, შუაში ბავშვის საწოლი ედგათ... ბატონი ტიბოს სახლში ქიზის უსიხარულო ბავშვობა რომ მოაგონდა, უეცრად სიხარული იგრძნო: „როგორც იქნა, საცოდავ გოგოს ოჯახი გაუჩნდა!" ნიკოლ ეკეს სიტყვებიც ჩაესმა ყურში. ნეტავი მართლა თუ გაჰყვება ცოლად დანიელს? ვინ იცის, იქნებ გაუთხოვრადაც ბედნიერი იყოს! იქნებ ქენისა და ქან-პოლის ახლოს ჰპოვოს სიხარული! სწორედ ამ ორ ადამიანში

ცოცხლობდა ჟაკი ჟიზისთვის! ამიერიდან მთელ სითბოსა და ერთგული ძაღლის სიყვარულს მათ გადააგებდა. ხოლო უფრო გვიან, თმაშეკერცხლილი მულატი ტკბილი მოხუცი, „მამიდა ჟი" გახდება ყველასთვის.

ძაფის გადახვევა მოათავეს, ჟენი წამოდგა, გორგალი კოლოფში ჩასდო, მუგუზალს ნაცარი წააყარა და ნავთის დიდი ლამპა მაგიდიდან აიღო.

— მომეცით, მე წავიღებ! — ცალყბად შესთავაზა ანტუანმა.

ისეთი ხრინწიანი, წყვეტილი სუნთქვა ჰქონდა, ჟენიმ გაიფიქრა, ზედმეტი შეწუხება არ ღირსო.

— გმადლობთ. უკვე მივეჩვიე. ყველაზე ბოლოს მე ავდივარ ყოველ საღამოს.

კარებთან შეჩერდა, ლამპა მაღლა ასწია, სასტუმრო ოთახს თვალი მოავლო, დარწმუნდა ყველაფერი რიგზეაო და ანტუანს მიუბრუნდა:

— ბავშვი უნდა მოვაშორო აქაურობას!—მტკიცედ თქვა მან.— როგორც კი ომი დამთავრდება, ჩემს ცხოვრებას სულ შევცვლი. სხვაგან გადავალ საცხოვრებლად.

— სხვაგან?

— აქაურობას მივატოვებ! — კვლავაც მტკიცე, დაფიქრებული ხმით გაიმეორა: — აქედან უნდა წავიდე.

— სად? — ჰკითხა ანტუანმა და უმალ ერთმა აზრმა გაჰკენწლა — შვეიცარიაში?

ჟენი ერთხანს დუმდა.

— არა, — თქვა ბოლოს, — იყო დრო, როცა ასეც ვფიქრობდი, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჟაკის უახლოესი მეგობრები შვეიცარიიდან რუსეთში წავიდნენ... მეც გადავწყვიტე, რუსეთში გადავალ-მეთქი... მაგრამ არა: სჯობს ჟან-პოლმა საფრანგეთში მიიღოს განათლება: საფრანგეთში დავრჩები, ოღონდ დედას მოვშორდები, დანიელს მოვშორდები. ჩემებურად ავაწყობ ცხოვრებას. იქნებ სადმე პროვინციაში დავსახლდე. პატარას ისე გავზრდი, როგორც ეს საჭიროა, როგორც მას ჟაკი აღზრდიდა.

— ჟენი, — მკვირცხლად უთხრა ანტუანმა, — იმედი მაქვს მანამდე მუშაობასაც შევძლებ და თავს მოვალედ ვთვლი...

უარის ნიშნად ჟენიმ თავი გადააქნია და სიტყვა შეაწყვეტინა.

— გმადლობთ. თქვენგან უყოყმანოდ მივიღებდი დახმარებას,

მაგრამ მინდა თვითონ, საკუთარი შრომით მოვიპოვო საარსებო საშუალება. მინდა, რომ ჟან-პოლის დედა დამოუკიდებელი ქალი იყოს, ქალი, საკუთარი შრომით რომ დაიმსახურებს დამოუკიდებელი აზროვნების უფლებას და ისე იმოქმედებს, როგორც თვითონ ჩათვლის საჭიროდ... მკიცხავთ, ხომ?

— არა!

ჟენიმ მადლიერი თვალებით შეხედა და რაკი ყველაფერი თქვა, რაც ანტუანს უნდა სცოდნოდა, კარი გააღო და გავიდა.

ჟენი ანტუანისთვის განკუთვნილ ოთახში შევიდა. ლამპა მაგიდაზე დასდო, შეამოწმა, ხომ არაფერი აკლიაო და ხელი გაუწოდა ანტუანს.

— მინდა ერთი რამ გაგანდოთ, ანტუან.

— გისმენთ... — გაამხნევა ანტუანმა.

— იცით რა... წინათ სულ სხვა აზრისა ვიყავი თქვენზე... ვიდრე ახლა...

— ასევე მეც, — ღიმილით გამოუტყდა ანტუანი.

ამ ღიმილმა თითქოს სიტყვა გააწყვეტინა, ანტუანის ხელი ისევ ეჭირა, დინჯად უყურებდა, მერე მაინც განაგრძო:

— სამაგიეროდ ახლა, როცა ბავშვის მომავალზე ვფიქრობ... ხომ გესმით?... მხნეობას მმატებს აზრი, რომ თქვენ გვერდით მეყოლებით, რომ ჟაკის შვილი უცხო არ იქნება თქვენთვის... რჩევა უნდა მომცეთ ხოლმე, ანტუან... მინდა, ჟან-პოლს ისეთივე თვისებები ჰქონდეს, როგორიც მამამისს ჰქონდა, ოღონდ... — ფრაზის დამთავრება ვერ გაბედა, მიუხედავად ამისა, ამაყად გაიმართა წელში (ანტუანმა იგრძნო მის თითებში აფართხალებული პატარა ხელი) და მსგავსად იმ მხედრისა, დაბრკოლების გადასალახავად ურჩ ცხენს წინ რომ მიაგდებს, ნერწყვი გადაყლაპა და დაამთავრა: — ოღონდ... კარგად მესმოდა რა ნაკლიცა ჰქონდა ჟაკს... — ისევ გაჩუმდა, თვალი აარიდა და თითქოს, სხვათა შორის ჩაურთოო, დაუმატა: — მაგრამ როცა ჩემთან იყო, ეს ნაკლოვანი მხარეები მავიწყდებოდა...

თვალები აახამხამა. გამოსამშვიდობებლად სიტყვები ვერ გამოძებნა. ბოლოს ესღა ჰკითხა:

— ნასაუზმევს აპირებთ წასვლას? მაშასადამე... — თავს ძალა დაატანა და გაიღიმა, — მაშასადამე, დილით კვლავ ვნახავთ ერთ-

მანეთს... — მერე ხელი გაითავისუფლა და ჩურჩულით დაუმატა: — ღამე მშვიდობისა!

ისე გავიდა, უკან აღარ მოუხედავს.

XIII

— ექიმი ტიბო! — მხიარულად მოახსენა მოხუცმა მსახურმა.

ანტუანის მოლოდინში ფილიპი წერილებს წერდა კაბინეტში. მარდად წამოდგა და ტუსტუსით, ფეხსაცმელების ფლატუნით შეეგება ზღურბლზე შეჩერებულ ანტუანს. სანამ ხელს ჩამოართმევდა, აციმციმებული თვალები მკვირცხლად შეავლო და დააკვირდა. თავის ოდნავ კანტურითა და მისთვის ჩვეული დამცინავი ღიმილით, მუდამ რომ ეხმარებოდა აღელვების დასაფარავად, მიაძახა:

— დიდებული სანახავი ხართ, ჩემო კარგო, ამ ცისფერ მუნდირში! აბა, როგორაა საქმე?

„როგორ დაბერებულა!“ — გაიფიქრა ანტუანმა.

ფილიპი მხრებში მოხრილიყო; მის მაღალ ტანს თითქოს ძლივს იმაგრებდა ფეხები. გაფანჩვლული წარბები და თხისებური წვერი სულმთლად გათეთრებოდა. სამაგიეროდ მოძრაობა, გამოხედვა, ღიმილი ისევ ძველებურად მკვირცხლი, ახალგაზრდული შერჩენოდა; ის კი არა, იტყოდით, მის სახეზე აღბეჭდილი ანცობა, სწორედ რომ შეუფერებელია მოხუცი კაცისთვისო. ტანზე გაცრეცილ-ფალდიანი ქურთუკი და შავი ლამპასებით გაწყობილი, სამხედრო ფორმის ძველი, წითელი შარვალი ეცვა; ეს უცნაური ტანსაცმელი საკმაოდ მიანიშნებდა მის ნახევრად სამოქალაქო — ნახევრად სამხედრო თანამდებობაზე. 1914 წლის ბოლოს ფილიპი არმიის სანიტარული სამსახურის გამაუმჯობესებელი კომისიის თავმჯდომარედ დაენიშნათ. იმ დღიდან მოყოლებული, თავს მოვალედ თვლიდა, სასტიკი ბრძოლა ეწარმოებია იმ მანკიერი სისტემის წინააღმდეგ, რისი მოთმენაც, მისი აზრით, აღმაშფოთებელი გახლდათ. სამედიცინო სამყაროში იგი ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაში ხელს ვერავინ შეუშლიდა. პირველივე დღეებიდან დაესხა თავს ოფიციალურად დადგენილ წესებს, ამხილა უამრავი დარღვევა, მოსვენებას არ აძლევდა ადმინისტრაციას; და სწორედ მის გაბედულ,

შეუპოვარ ბრძოლას უნდა უმადლოდნენ იმ მრავალ გონიერ, სამწუხაროდ, დაგვიანებულ რეფორმებს, უკანასკნელ სამ წელიწადში რომ ჩაატარეს სანიტარულ სამსახურში.

ფილიპს დონდლოდ ეჭირა ანტუანის ხელი, ანჯღრევდა და ლუღლუღებდა:

— აბა... დიახ... რამდენი ხანია... როგორაა საქმე? — ბოლოს საწერი მაგიდისკენ წაიყვანა, — იმდენი რამ მაქვს სალაპარაკო, აღარც კი ვიცი რითი დავიწყო...

პაციენტისათვის განკუთვნილ სავარძელში ჩასვა, თვითონ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვეულებისამებრ საწერ მაგიდასთან დამჯდარიყო, სკამი აიღო, ანტუანისკენ მისწია და როგორც უნაგირს, ისე გადაჯდა.

— აბა, ჩემო კარგო, ჯერ თქვენზე ვილაპარაკოთ: იმის შემდეგ რაც გაზით მოიწამლეთ, როგორა ხართ?

ანტუანი აღელდა. ექიმი ფილიპის სახეზე რამდენჯერ შეუნიშნავს ეს პროფესიული, დაკვირვებული, დინჯი გამომეტყველება, მაგრამ ამჯერად თვითონ იყო დაკვირვების ობიექტი.

— ძალიან შეეიცვალე, ხომ პ ა ტ რ ო ნ?

— ცოტა გამხდარხართ... მაგრამ გასაკვირი არაფერია!

ფილიპმა პენსნე მოიხსნა, გაწმინდა, ხელახლა გაიკეთა, ანტუანს შეხედა და ღიმილით უთხრა:

— აბა, მიამბეთ!

— ერთი სიტყვით, პ ა ტ რ ო ნ, მე იმ ჯგუფს ვეკუთვნი, ვისაც ჩვენში მოწიწებით უწოდებენ მ ძ ი მ ე დ მ ო წ ა მ ლ უ ლ თ! ეს კი არც ისეთი სასიამოვნოა!

ფილიპი მოუთმენლად აწრიალდა სკამზე.

— ტა... ტა... ტა... საჭიროა ამბის მოყოლა. თავიდან დავიწყოთ! პირველი ჭრილობა? რა დაგვრჩა მისგან?

— მისგან თითქმის არაფერი დარჩებოდა, გასულ ზაფხულს რომ დამთავრებულიყო ომი ჩემთვის, სანამ იპრიტს შევხვდებოდი პირისპირ... სხვათა შორის, არც ისე ბევრი მიყლაპია და არც ისეთ მდგომარეობაში უნდა ვყოფილიყავი, როგორშიაც ახლა ვარ, მაგრამ პირველი ჭრილობის შედეგად მარჯვენა ფილტვმა ელასტიურობა დაკარგა და ცხადია, გაზის მოქმედებაც ამიტომ გამწვავდა.

ფილიპმა კოპები შეკრა.

— დიახ, — დაფიქრებით განაგრძო ანტუანმა, — ილუზიები რა

საჭიროა? სერიოზულად ვარ დაავადებული. რა თქმა უნდა, ალბათ, გამოვკეთდები, მაგრამ ამისთვის დრო დაგვჭირდება და... — ხველა აუტყდა. რამდენიმე წუთით ლაპარაკი შეწყვიტა, — და სავსებით შესაძლებელია, სულაც ამოვარდნილი დავრჩე კალაპოტიდან.

— ჩენთან ხომ ისადილებთ? — უცებ იკითხა ფილიპმა.

— სიამოვნებით, პ ა ტ რ ო ნ, მაგრამ როგორც გწერდით, დიეტაზე ვარ...

— დენი გაფრთხილებულია: რძე მოგიმზადათ... ჰოდა, რაკი ერთად ვისადილებთ, დრო კიდევა გვაქვს. საჭიროა, ამბის მოყოლა თავიდან დავიწყოთ! რა მოხდა? მე მეგონა, იქ, სადაც თქვენ მუშაობდით, საშიში არაფერი იქნებოდა!

ანტუანმა გაღიზიანებით აიწურა მხრები.

— სულელურად ჩავვარდი! ეს მოხდა გასულ ნოემბერს. იმ ხანებში მშვიდად ვიყავი ეპერნეიში, სადაც დამავალეს, — ბედის დაცინვა თუ გინდათ, ესაა! — გაზით მოწამლულთა ჰოსპიტლის მოწყობა. ერთი რამ მიკვირდა: შმენ-დე-დამის მიდამოებში წარმოებული ოპერაციის დროს, — ჩვენ მაშინ ის-ის იყო მალმეზონი და პარნი დავიკავეთ, — გაზით მოწამლულთა შორის უმეტესად სანიტრები და საკაცის მზიდავები იყვნენ. უცნაური რამ ხდებოდა! გადავწყვიტე შემემოწმებია,იღებდნენ თუ არა გაზის საწინააღმდეგო ზომებს სანიტარულ პუნქტებში და მომსახურე პერსონალი ასრულებდა თუ არა ჩვენს მითითებებს. ზედმეტი გულმოდგინეობა გამოვიჩინე. კორპუსის მთავარ ექიმს შორიდან ვიცნობდი. ნებართვა მივიღე, ადგილზე შემემოწმებინა ყველაფერი. საინსპექციო მივლინებიდან დაბრუნებისას თვითონვე გავები მახეში... ბრიყვავით. „ბოშებმა“ გაზით თავდასხმა სწორედ მაშინ მოაწყვეს, როცა მოწინავე ხაზიდან ვბრუნდებოდი. ეს უკვე პირველი უიღბლობა გახლდათ. მეორე უიღბლობა ის იყო, რომ ნესტიანი, თბილი ამინდი იდგა, თუმცა ნოემბრის თვე იყო. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ნესტიანი ამინდი როგორ აძლიერებს იპრიტის მოქმედებას სიმეავის რეაქციის წყალობით.

— განაგრძეთ, — თქვა ფილიპმა. იდაყვები მუხლებზე დააყრდნო, ნიკაპი ხელისგულზე ჩამოადო და ყურადღებით დააკვირდა ანტუანს.

— რაკი მანქანა დივიზიის საკომანდო პუნქტში დავტოვე, დაბრუნება მეჩქარებოდა. ვიფიქრე, დანაყოფებით ჩახერგილ სასანგრო

გასასვლელს ავერიდები და მოკლე გზით წავალ-მეთქი. ბნელოდა. ოცი წუთი სანგრებში დავბორიალებდი, სადაც გაზს უკვე შეეღწია. ამ ამბების წვრილად მოყოლით თავს არ შეგაწყენთ...

— ნიღაბი არ გქონდათ?

— რა თქმა უნდა მქონდა, მაგრამ სხვისი ნიღაბი იყო. ეტყობა, წესიერად ვერ ჩამოვიცვი, ან იქნებ სულაც გვიან გავიკეთე... ერთი ფიქრიღა მიტრიალებდა: როგორმე ჩემი მანქანა მეპოვა... როგორც იქნა, საკომანდო პუნქტში მივედი, მანქანაში ჩავჯექი და მაშინვე წავედი. სჯობდა, შევჩერებულიყავი და დივიზიის ლაზარეთში ბიკარბონატი გამომევლო ყელში...

— დიახ, რა თქმა უნდა!

— მაგრამ ექვიც არ შემიტანია, მოწამლული ვარ-მეთქი. ერთი საათის შემდეგ ვიგრძენი მხოლოდ, რომ ყელში და იღლიაში რაღაც მწიწკნიდა... ეპგრნეიში შუაღამისას დავბრუნდი. მაშინვე კოლარგოლი წავისვი და დავწექი. მაინც არ მეგონა, თუ რაიმე სერიოზული იყო. მაგრამ ბრონქიალური ტოტი უფრო დაზიანებული აღმოჩნდა, ვიდრე მე ვფიქრობდი... ხედავთ, რა სულელურად მოხდა ყოველივე?!. იქ იმისთვის წავედი, რომ შემემოწმებია დაღგენილ მითითებებს თუ იცავენ-მეთქი, თვითონ კი თავიც არ შევიწუხე ამ წესების დაცვით!

— მერე?... — შეაწყვეტინა ფილიპმა. თითქოს ცდუნებას ვერ გაუძლო, უნდოდა დაემტკიცებინა, საქმის ვითარება ჩემთვის უცხო არააო და თვითონვე განაგრძო: — მეორე დილით თვალები, საყლაპავი მილი და ასე შემდეგ...

— არც ერთი და არც მეორე. დილით თითქმის არაფერი მიგრძვნია. ოდნავი ერითემა შევამჩნიე იღლიებში. კანზე გამონაყარი — საკმაოდ კეთილთვისებიანი ფორმისა. არავითარი ბუშტულები, სამაგიეროდ დღის შემდეგ ვერაგული, ღრმა დაზიანება გამომეღავნდა ბრონქებში. დანარჩენი თქვენთვისაც გასაგებია: ლარინგოტრაქეიტი ყოველდღიურად ძლიერდება... მწვავე ბრონქიტი, ნადებით — ერთი სიტყვით, დაავადების კლასიკური გართულებები. უკვე ექვსი თვეა ასე გრძელდება...

— მბგერავი იოგები?

— სავალალო მდგომარეობაშია. ხომ გესმით ჩემი ხმა? ამ საღამოს ჯერ კიდევ შემიძლია ლაპარაკი, რადგან, მთელი დღე ათასნაირ ზომებს ვიღებდი. ჩვეულებრივ კი, სრული აფონია მაქვს.

— მბგერავი იოგების ანთებითი დაზიანება?

— არა.

— ნერვიული დაძაბულობა?

— არც ესაა. აფონია გამოწვეულია პირის ღრუში მბგერავ იოგებზე სქელი ნადების გაჩენით.

— ალბათ, სწორედ ეს უშლის ხელს ვიბრაციას. სტრიქინინს თუ გაძლევდნენ?

— დღეში 6—7 მილიგრამს. თუმცა არავითარი გაუმჯობესება არ მოყოლია. სამაგიეროდ, საშინელი უძილობა დამჩემდა.

— რამდენი ხანია სამხრეთში ხართ?

— წლის დასაწყისიდან. ეპერნედან ჯერ მონმორიანის ჰოსპიტალში გამგზავნეს, შემდეგ მუსკიეს კლინიკაში, გრასთან ახლოს. ეს იყო დეკემბრის ბოლოს. ფილტვები, თითქოს შეხორცდა, მაგრამ მუსკიეში ფილტვების სკლეროზი დადგინდა. მალე აუტანელი ქოშინი დამეწყო. ტემპერატურა თითქმის უმიზეზოდ 39, 5 გრადუსამდე ადიოდა, მერე 37,5 ეცემოდა. თებერვალში მშრალი პლევრიტი დამემართა, სისხლიანი ნაფურთხებით.

— ტემპერატურა აღარ მერყეობს?

— როგორ არა!

— ამას რაღას მიაწერთ?

— ინფექციას.

— ფარულს?

— ან რაღაც ქრონიკულ ინფექციას, ვინ იცის?

თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. ანტუანის გამოხედვაში შეკითხვა იგრძნობოდა. ფილიპმა მხარზე დაადო ხელი.

— არა, არა, ტიბო! თუ გგონიათ, ის გაქვთ, ცდებით. რამდენადაც ვიცი, ასეთ შემთხვევაში ფილტვის ტუბერკულოზი არასოდეს აღინიშნება. ჩემზე უკეთ ეს თქვენ უნდა მოგეხსენებოდეთ. იპრიტით მოწამლულს მხოლოდ მაშინ ემართება ტუბერკულოზი, თუკი მას წ ი ნ ა თ, გაზით მოწამვლამდე ჰქონდა ამის სიმპტომები. თქვენ კი, იღბალზე, — დაუმატა მან და წამოდგა, — არავითარი პათოლოგიური ცვლილება არ გქონიათ სასუნთქ გზებში.

დამამშვიდებლად გაუღიმა. ანტუანი ხმას არ იღებდა, თვალს ადევნებდა მასწავლებელს, ბოლოს ალერსით შეხედა და თვითონაც გაიღიმა.

— დიახ, ვიცი. მართლაც რომ იღბალია!

— ასევე, — განაგრძო ფილიპმა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, — ფილტვების შეშუპება, რაც ასე ხშირია მახრჩობელა გაზით მოწამლულებში, მგონი იშვიათად გვხვდება იპრიტით მოწამლულ ავადმყოფებთან. ესეც იღბალია... ამას გარდა იპრიტით გამოწვეული ფილტვების დაზიანება უფრო იშვიათად გვხვდება და თუ არ ვცდები, ნაკლებ სერიოზულიცაა, ვიდრე სხვა ტოქსიკური გაზით გამოწვეული დაზიანება. ასე არაა? ამას წინათ საინტერესო სტატია წავიკითხე ამაზე.

— აშარის * სტატია? — იკითხა ანტუანმა და თავი დააქნია. — ჩვეულებრივ თვლიან, რომ მახრჩობელა გაზისგან განსხვავებით, იპრიტი ხშირად წვრილ ბრონქებს უფრო აზიანებს, ვიდრე ალვეოლებს და გაზისებურ მიმოცვლასაც ისე ღრმად არ არღვევს. მაგრამ პირადად ჩემი შემთხვევა და სხვებზე ჩემი დაკვირვება ცხადყოფს, რომ სულმთლად ასე არაა. სამწუხაროდ, საქმე ისაა, რომ იპრიტით მოწამლული ფილტვები ყოველგვარ მეორად დაავადებას იწვევენ, უმეტესად ძალიან მძაფრსაც, და ქრონიკულში გადაზრდისაკენ აქვს მიდრეკილება. იპრიტით მოწამლულებში მრავალ შემთხვევას დავაკვირდი, როცა შიდაალვეოლურმა და ამასთანავე პარიეტალურმა სკლეროზმა ფილტვების ბლოკადა გამოიწვია.

ორივე გაჩუმდა.

— გული როგორა გაქვთ? — იკითხა ფილიპმა.

— ჯერჯერობით არა უშავს. თუმცა რამდენხანს გასძლებს? სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ გული არ გვიღალატებს, თუკი მრავალი თვის მანძილზე იგი გადაქანცული და გაზით მოწამლული ორგანიზმის წინააღმდეგობის ცენტრს წარმოადგენს. დარწმუნებული არცა ვარ, მოწამვლა გულის კუნთისა და ნერვულ კვანძზეც გავრცელდა თუ არა. რამდენიმე კვირაა გულის სისხლძარღვთა მოშლილობა დავადგინე...

— დაადგინეთ? როგორ?

— გაშუქება აქამდე ვერ მოვახერხე, ხოლო როგორც მკურნალი ექიმები მეუბნებიან, აუსკუტაციამ ვერაფერი აჩვენა. მართალია, რასაც ამბობენ? გამოკვლევის მეორე საშუალებაც არსებობს: მაჯის ცემა და წნევა. როცა ტემპერატურა 38,5 ან 39-ზე ზევით არ ადის, ჯერ კიდევ გასულ კვირაში შევამჩნიე მაჯის უჩვეული აჩქარება, იგი მერყეობდა 120—135 შორის. არ გამიკვირდება, თუკი

აღმოჩნდება, რომ ამ ტაქიკარდიას რაღაც კავშირი აქვს ფილტვების შეშუპებასთან... თქვენ რას იტყვით?

ფილიპმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს.

— გულის მუშაობას კოტოშების ხშირი დაკვრით რატომ არ შეიმსუბუქებთ? ანდა, თუ საჭიროა, სისხლის გამოშვებას რატომ არ მიმართავთ?..

ანტუანს თითქოს არ ესმოდა მისი ნათქვამი. ყურადღებით აკვირდებოდა თავის მოხუც მასწავლებელს. ფილიპმა გაუღიმა და ჟილეტის ჯიბიდან ანტუანისთვის კარგად ნაცნობი, ორმაგხუფიანი ოქროს მასიური საათი ამოიღო. მერე წინ გადაიხარა (თითქოს, ისე, ძველი ჩვეულების გამო აკეთებს და არა ნამდვილი ცნობისმოყვარეობითო) და მაჯა გაუსინჯა.

ეს ერთი წუთი საუკუნედ მოეჩვენა. ფილიპი ხმას არ იღებდა, თვალი საათის ისარზე ჰქონდა მიპყრობილი. უცებ საშინელი გულისტკივილი იგრძნო: ფილიპის ჩაფიქრებულმა, იდუმალმა სახემ დიდი ხნის წინ მივიწყებული სურათი აღუდგინა მეხსიერებაში: ერთხელ, — ეს მოხდა, როცა ფილიპთან დაიწყო კლინიკაში მუშაობა, — კონსულიუმის შემდეგ ფილიპმა მეტად მძიმე, თავსამტვრევი დიაგნოზი დასვა, მერე ანტუანს ხელი მოჰკიდა მკლავზე, დარბაზიდან გაიყვანა და ხუმრობანარევი გულახდილობით უთხრა: „იცით, მეგობარო, ექიმი რომ კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვალდებულია პირველყოვლისა განმარტოვდეს და დაფიქრდეს. ჰოდა, ამისთვის შეუდარებელი საშუალება არსებობს: ქრონომეტრი, ექიმი ჟილეტის ჯიბეში მუდამ უნდა ატარებდეს ლამაზ, დაახლოებით ლამბაქის ოდენა, შთამაგონებელ ქრონომეტრს! აი, მხოლოდ მაშინაა იგი გადარჩენილი! დაზარალებულის აღელვებული ნათესავები თავსაც რომ დაესხნენ, პირველი დახმარების აღმოჩენა ქუჩაშიც რომ მოუხდეს, სადაც ხალხი კითხვას-კითხვაზე დააყრის, თუ სურს თავი დაანებონ და დაფიქრდეს, საკმარისია ეს ჯადოქრული საშუალება მოიშველიოს? ჯიბიდან დემონსტრატიულად ამოიღოს ეს ხახვის თავი და ავადმყოფს მაჯა გაუსინჯოს. მაშინვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება, ექიმი განმარტოებულად იგრძნობს თავს! და სანამ იგი ასე, ციფერბლატზე ცხვირმიდებული იდგება, მშვიდად შეუძლია აწონ-დაწონოს რა თქვას და რა არ თქვას, დიაგნოზი ისევე დასვას გულგრილად, ვითომ თავის კაბინეტში ხელებში თავჩარგული იყოს... დაუჯერეთ ჩემს გამოცდილებას, მე-

გობარო: ახლავე გაიქეცით და ერთი ლამაზი ქრონომეტრი იყიდეთ!

ფილიპს არ შეუმჩნევია ანტუანის შეშფოთება. მისი მაჯა ხელიდან გაუშვა და ნელ-ნელა გაიმართა წელში.

— მაჯა აშკარად აჩქარებულია, ოდნავ არათანაბარი. სამაგიეროდ სრული ავსებისაა...

— დიახ, ზოგჯერ, განსაკუთრებით საღამოობით, პირიქით — სუსტი, ოდნავ საგრძნობი, გაუგებთ რამეს?! ხოლო როცა ფილტვების მოვლენები ძლიერდება, ჩვეულებრივად შენელებული მაჯისცემა ისევ აჩქარებულია...

— თვალის წნევა თუ გაიზომეთ?

— იგი ასე ვთქვათ, არავითარ განსაკუთრებულ შენელებას არ იწვევს.

ხელახლა ჩამოვარდა სიჩუმე.

— ამჟამად ფილტვები მაქვს დაავადებული, — ნაძალადევი ღიმილით დაამთავრა ანტუანმა, — ერთ მშვენიერ დღეს კი გულით ავადმყოფიც გავხდები.

ფილიპმა ისე ასწია ხელი, ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— კარგით ერთი! მაღალი წნევა და ტაქიკარდია ორგანიზმის უბრალო თავდაცვითი მოვლენებია ხშირად და მეტი არაფერი! ეს ჩემგან არ გესწავლებათ. ტიბო! მაგალითად, ტვინის მიკრო ემბოლიის შემთხვევაში — ეს თქვენც ხომ იცით? — მხოლოდ მაღალი წნევისა და ტაქიკარდიით ებრძვის გული ფილტვების ალვეოლების დაცობას და წარმატებასაც ღებულობს. როჟემ უკვე დაამტკიცა ეს. მერე ბევრმა სხვამაც.

ანტუანმა არაფერი უპასუხა. ისეთი ხველა აუტყდა, ორად მოიკრუნჩხა.

— რითი გმკურნალობდნენ? — იკითხა ფილიპმა, მაგრამ ეტყობოდა, ამ შეკითხვას თვითონვე არ აძლევდა დიდ მნიშვნელობას.

როგორც კი ხველამ გაუარა, დაქანცულმა ანტუანმა მხრები აიჩეჩა.

— ყველაფრით. ყველაფერი ვცადეთ... გარდა, რა თქმა უნდა, ოპიუმის პრეპარატისა. გოგირდი... მერე დარიშხანი... ისევ გოგირდი... და... დარიშხანი. სუსტი, ჩახლეჩილი, წყვეტილი ხმა ჰქონდა. მერე გაჩუმდა. ამდენმა ლაპარაკმა გადაქანცა. მთელი ტანით უკან გადაწვა და თავი სავარძლის საზურგეს მიაყრდნო. ერთხანს ასე

იჯდა, უძრავად, თვალდახუჭული. როცა ზევით აიხედა, ფილიპის ალერსიან თვალებს წააწყდა. ამ კეთილმა გამოხედვამ უფრო მეტად ააფორიაქა, ვიდრე მასწავლებლის თვალებში შიში ამოეკითხა.

— არ მოელოდით ასეთ მდგომარეობაში თუ მნახავდით, არა?.. — წაილუღლუღა მან.

— პირიქით — სიცილით შეაწყვეტინა ფილიპმა, — თქვენი უკანასკნელი წერილის მიხედვით, არ მეგონა ასე ყოჩაღად თუ იქნებოდით! — და ერთბაშად დაუმატა: — ახლა კი მოვისმინოთ შიგ რა ხდება!

ანტუანი ძლივს წამოდგა, მუნდირი გაიხადა.

— ყველაფერი როგორც წესია, ისე ჩავატაროთ! — მხიარულად თქვა ფილიპმა. — აბა, ერთი აქ დაწექით!

დივანზე მიუთითა, სადაც თეთრი ზეწარი ეფინა და ჩვეულებრივ, ავადმყოფებს სინჯავდა ხოლმე. ანტუანი დაწვა. ფილიპმა ჩაიმუხლა და უსიტყვოდ შეუდგა გასინჯვას. მალე სწრაფად წამოდგა.

— ჰმ... — ისე აღმოხდა, თითქოს ანტუანის შეშფოთება ვერ შეემჩნიოს, — ეტყობა... გაფანტული მსტვინავი ხრიალია... შესაძლოა, ნაწილობრივი ინფილტრატიც იყოს... მარჯვენა ფილტვის ზემო ნაწილში ოდნავ იგრძნობა სისხლის ჩაქცევაც, — როგორც იქნა გაბედა და ანტუანს შეხედა, — ახალი არაფერი მითქვამს, არა?

— არა! — მიუგო ანტუანმა და ნელა წამოდგა.

— დალახვროს ღმერთმა! — წაილაპარაკა ფილიპმა, მერე მოდუნებული ნაბიჯებით მიუახლოვდა საწერ მაგიდას და დაჯდა. ჯიბიდან მექანიკურად ამოიღო მუდმივი კალამი, იტყოდით, რეცეპტის გამოწერას აპირებსო, — უდავოდ ფილტვების ემფიზემაა. თუ გინდათ გულწრფელად გითხრათ, გეტყვით: ლორწოვანი გარსის მგრძნობელობას დიდხანს შეინარჩუნებთ — მუდმივი კალამი ხელში შეათამაშა, წარბები ასწია და უგულისყუროდ გადაათვალიერა მაგიდაზე დაწყობილი ნივთები. — აი, ესაა სულ! — თქვა ბოლოს და მის წინ გადახსნილი ტელეფონის ცნობარი გაღიზიანებულმა დახურა.

ანტუანი მიუახლოვდა და მაგიდის კიდეს ხელისგულებით დაეყრდნო. ფილიპმა მუდმივი კალამი ჩახრახნა, ჯიბეში შეინახა, თავი ასწია და ხაზგასმით წარმოთქვა:

— გულის გამაწვრილებელი ამბავია, ჩემო კარგო სხვა ა რ ა-ფ ე რ ი!

ანტუანი წელში გაიმართა, ხმა არ ამოუღია, ბუხართან მივიდა და სარკის წინ მუნდირის საყელო შეიკრა.

კარზე ფრთხილად დააკაკუნეს ორჯერ.

— აგერ, სადილზე გვიხმობენ! — მხიარულად განაცხადა ფილიპმა.

მაგრამ ისევ უძრავად იჯდა მაგიდასთან. ანტუანი ხელახლა მიუახლოვდა, ხელახლა დაეყრდნო მაგიდას.

— რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, პ ა ტ რ ო ნ, მე ყველაფერი გავაკეთე! — დაღლილი ხმით წამოიწყო მან. — ყველაფერი! ჩემთვის ნაცნობი ყველა საშუალება ვცადე. კლინიკურ დაკვირვებას ისევე რეგულარულად ვაწარმოებ საკუთარ თავზე, როგორც ამას ჩემი პაციენტებისათვის გავაკეთებდი; პირველივე დღიდან ყოველდღიურ ჩანაწერებს ვაწარმოებ. უამრავი ანალიზი და რენტგენის სურათები მაქვს, ვუკვირდები საკუთარ თავს, რათა რაიმე გაუფრთხილებელი ნაბიჯი არ გადავდგა, მკურნალობის რომელიმე საშუალება არ გამომეპაროს.... — ამოისუნთქა, — მიუხედავად ამისა, არის დღეები, როცა სასოწარკვეთილებას ვერ ვუმკლავდები...

— ასე არ შეიძლება! მით უმეტეს, თუკი გაუმჯობესებას ამჩნევთ?

— საქმეც ისაა, რომ გაუმჯობესებაში დარწმუნებული არა ვარ! — თქვა ანტუანმა. ეს სიტყვები ინსტინქტურად, დაუფიქრებლად წამოსცდა, მისდაუნებურად თითქმის წამოიყვირა კიდეც. და უცებ აფორიაქდა, იტყოდით, ამ სიტყვებმა ისეთი საიდუმლოება გაამჟღავნეს, ხმამაღლა მის წარმოთქმას ვერასოდეს რომ ვერ ბედავდაო. ზედა ტუჩი ოფლით დაეცვარა.

ფილიპმა თუ შეამჩნია ეს აფორიაქება? თუ მიხვდა რა ტრაგედია იგრძნობოდა შიგ? იმიტომ ხომ არ ინარჩუნებდა მისი სახე ასეთ სიმშვიდეს, ნდობას, რომ ოსტატურად შეეძლო თავშეკავება? არა, ძნელი იყო ასეთი თვალთმაქცობა დაგეწამებინათ მისთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ მხრებს მხიარულად იჩეჩდა, რომ მისი ხმა ძარღვიანად და ირონიულად ისმოდა!

— გინდათ, ჩემი ფიქრები ძირფესვიანად ამოიკითხოთ, მეგობარო? ინებეთ: ჩემი აზრით, გაუმჯობესება ასე ნელა რომ მიმდინარეობს, ეს უკვე ბედნიერებაა! — წამით ანტუანის გაოცებამ

სიხარულიც კი მოჰგვარა. — ყური მიგდეთ: ჩემს ე ქ ვ ს ყოფილ ასისტენტთაგან, თითქმის საკუთარ შვილებად რომ ვთვლიდი, სამი მოკლულია, ორი სამუდამოდ ხეიბარი დარჩა. ეგოისტურად გამოგიტყდებით, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ ჩემს მეექვსე ასისტენტს ჯერჯერობით არავითარი საფრთხე არ ელის; მრავალი თვის განმავლობაში მას სამხრეთის სასიამოვნო მზის ქვეშ მოუხდება ცხოვრება, ფრონტიდან 1500 კილომეტრის დაშორებით! რაც გინდათ ის იფიქრეთ, სულაც არ მინდა მანამ განიკურნოთ, სანამ ეს კოშმარი გრძელდება! თქვენ რომ გასულ ნოემბერში გაზით არ მოწამლულიყავით, ვინ იცის, იქნებ დღეს ერთად სადილობის შესაძლებლობა არ გვქონოდა!... — მჩატედ წამოდგა სკამიდან. — აბა, ახლა კი წავიდეთ, ვისადილოთ!

„მართალს ამბობს, — გაიფიქრა ანტუანმა. ამ მოხუცი მეგობრის მხიარულ გუნება-განწყობილებას უკვე სათანადო გავლენა მოეხდინა, — რაც არ უნდა იყოს, ორგანიზმი მაგარი მაქვს...“

* * *

სასადილო ოთახში, მაგიდაზე წვენით სავსე თეფშს ოხშივარი ასდიოდა. (წლების მანძილზე ფილიპი წვენითა და ხილის კომპოტით იკვებებოდა).

ანტუანი სუფრასთან მიიპატიჟა; მისთვის განკუთვნილი ფინჯანი და სარძევე წინ ედგა.

— რძე არ გაუთბია დენის, მაგრამ თუ გინდათ...

— არა, მუდამ ცივ რძეს ვსვამ. კარგია.

— უშაქროდ?

ხველამ პასუხის საშუალება არ მისცა და ხელიდა გააქნია. ფილიპმა თვალი აარიდა, გადაწყვიტა ხველა არ შეემჩნია, აღარც მის ჯანმრთელობაზე ელაპარაკა და რაც შეიძლება სწრაფად შეეცვალა საუბრის თემა. კოვზს დაფიქრებით ურევდა თეფშში და ხველის შეწყვეტას ელოდებოდა. რაკი დუმილიც აუტანელი გახდა, ძალიან ბუნებრივი ტონით წამოიწყო:

— კიდევ ერთი დღე გავატარე სანიტარულ კომისიასთან ბრძოლაში. ძნელია წარმოიდგინოთ უფრო ველური ინსტრუქციები,

ვიდრე ჩვენი ტიფისსაწინააღმდეგო ვაქცინების შესახებ გაწერილი ბრძანებებია.

ანტუანს გაეღიმა და ყელის ჩასაწმენდად რძე მოსვა.

— მიუხედავად ამისა, ამ სამი წლის განმავლობაში თქვენ მაინც ბევრი რამ გააკეთეთ, პ ა ტ რ ო ნ!

— მერწმუნეთ, ძალიან გავწვალდი. — უნდოდა სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი, ვერ მოახერხა და განაგრძო: — ძალიან გავწვალდი! როცა 1915 წელს სანიტარული სამსახურის ორგანიზაციას სათავეში ჩავუდექი, ვერ წარმოიდგენთ, რა ქაოსი დამხვდა იქ.

„კარგად ვიცი, რაც იქნებოდა!" — გაიფიქრა ანტუანმა. მაგრამ ლაპარაკს ერიდებოდა და მრავალმნიშვნელად გაუღიმა.

— ეს იმ დროს მოხდა, — განაგრძო ფილიპმა, — როცა დაჭრილები ჯერ კიდევ ჩვეულებრივი მატარებლებით გადაჰყავდათ, ასეთივე მატარებლებით აგზავნიდნენ ჯარისკაცებსაც და აღჭურვილობასაც... ზოგჯერ სულაც საქონლის ვაგონებით!... საკუთარი თვალით მინახავს ეს უბედურები, მთელი 24 საათი რომ ელოდნენ გამგზავრებას: ისხდნენ გაყინულ ვაგონებში და იცდიდნენ, როდის შეგროვდებოდა ინსტრუქციით დადგენილი ნაწილი... მეტწილად ადგილობრივი მოსახლეობა აძლევდა საჭმელს... და ავად თუ კარგად, ჭრილობასაც უხვევდნენ იქაური მოხუცი აფთიაქარები ან გულკეთილი მანდილოსნები! როგორც კი საშველი დაადგებოდათ და გაემგზავრებოდნენ, მთელი ორი-სამი დღე და ღამე აჯაყჯაყებდნენ, სანამ თივის საწოლებიდან წამოაყენებდნენ... ამიტომაც თითოეულ შემადგენლობაში იცით რამდენი პროცენტი გვყავდა ტეტანუსით დაავადებული? მერე ისედაც გადატვირთულ ჰოსპიტლებში ანაწილებდნენ, სადაც ყველაფრის ნაკლებობას განიცდიდნენ: არც ანტისეპტიკური საშუალებები, არც ბანდები, რეზინის ხელთათმანებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო!

— მოწინავე ხაზიდან ოთხი-ხუთი კილომეტრის დაშორებით ქირურგიული ამბულატორიები შემხვედრია, — ძლივს ამოილუღლუღა ანტუანმა, — სადაც ინსტრუმენტებს... ძველ ქვაბებში ხარშავდნენ... შეშით ანთებულ ღუმელებზე...

— ბოლოს და ბოლოს ეს კიდევ შეიძლება რაღაცით ახსნა... მაგრამ უამრავი დაჭრილი მოჰყავდათ... — ფილიპს დამცინავი ხითხითი აღმოხდა, — მიწოდება მოთხოვნას აღემატებოდა!... ომი არაფრად დაგიდევს ხარჯებს!... ანგარიშს არ უწევს ოფიციალურ ვა-

რაუდებს. მაგრამ იცით, რა არ შეიძლება აპატიო, ჩემო კარგო?— დინჯად განაგრძო მან: — სამედიცინო პერსონალის მობილიზაცია პირდაპირ აღმაშფოთებლად მოხდა, არაორგანიზებულად. პირველივე დღიდან შესანიშნავი სათადარიგო პერსონალი ჰყავდათ არმიის განკარგულებაში. მერე რა გინდათ? როცა პირველად გამგზავნეს საინსპექციოდ, დავადგინე, რომ საყოველთაოდ აღიარებული ისეთი სპეციალისტები, როგორიცაა დეიტჩი, ალუენი, უბრალო სანიტრებად მუშაობდნენ ლაზარეთებში, ხოლო მათ ხელმძღვანელად 28—30 წლის სამხედრო ექიმები დაენიშნათ! დიდ ქირურგიულ ჰოსპიტლებს სათავეში ედგნენ უვიცი ხელმძღვანელები, თავის დღეში უბრალო მუწუკის გარდა არაფერი რომ არ გაუკვეთიათ, ახლა კი სწორედ ისინი წყვეტდნენ და აწარმოებდნენ ქირურგიულ ჩარევას: იყო თუ არ იყო საჭირო, განურჩევლად ყველას სჭრიდნენ კიდურებს... და ამას მხოლოდ იმისთვის ჩადიოდნენ, რომ სახელოზე ოთხი ნიშანი ჰქონდათ დაკერებული; მათი ხელქვეითების, მობილიზებულ სამოქალაქო ექიმების, უმეტეს წილად დასტაქრების აზრს ანგარიშს არ უწევდნენ!.. ვინ იცის, მე და ჩემმა კოლეგებმა რამდენი თვე მოვანდომეთ ელემენტარული რეფორმების მისაღწევად. იძულებული გავხდით ყველაფერი თავდაყირა დაგვეყენებია, სანამ ინსტრუქციებს გადავსინჯავდით, სანამ პროფესიულ ექიმებს დავაკისრებდით დაჭრილთა განაწილებას: მაგალითად, დიდის ვაი-ვაგლახით ვათქმევინეთ უარი ერთ უაზრო წესზე: ჯერ უფრო შორეული ჰოსპიტლები შეევსოთ, მერე ახლომდებარე; ანგარიშს არ უწევდნენ არც მძიმე ჭრილობას და არც გადაუდებელ საექიმო დახმარებას. თავში დაჭრილ მეომრებს მაშინვე ბორდოსა და პერპინიაში აგზავნიდნენ; რა თქმა უნდა, ეს უბედურები დანიშნულ ადგილას ვერ აღწევდნენ და გზაში კვდებოდნენ ან განგრენით ან ტეტანუსით! ტრეპანაცია რომ თორმეტიოდე საათში გაეკეთებინათ, ათი მეომრიდან ცხრა მაინც გადარჩებოდა!

უეცრად აღშფოთება დაუცხრა და ღიმილით განაგრძო:

— იცით, პირველად ვინ დამეხმარა მუშაობაში? გაგიკვირდებათ! ერთ-ერთი თქვენი პაციენტი ქალი, ჩემო კარგო! ჰო, ჰო, თქვენ მას იცნობთ; იმ გოგონას დედა, ჩვენ რომ თაბაშირში ჩავაწვინეთ და ბერკში გავგზავნეთ.

— ქალბატონი დე ბატენკური? — წაიბუტბუტა შემცბარმა ანტუანმა.

— დიახ. თუ გახსოვთ, 14 წელს თქვენ კიდეც მომწერეთ მის შესახებ!

მართლაც, ომის პირველ თვეებში, ანტუანმა ღია ბარათი მიიღო სიმონისაგან; იტყობინებოდა, მის მერი ინგლისში წავიდა და ავადმყოფი გოგონა მარტო დატოვა ბერკშიო. მას ფილიპისათვის უთხოვია, იუგეტისთვის ყურადღება მიექცია. ისიც წასულა ბერკში და გადაუწყვეტია, ბავშვს თითქმის ნორმალურად შეუძლია იცხოვროსო.

— იმ ხანებში ხშირად ვხვდებოდი ქალბატონ დე ბატენკურს. ეს ქალი მთელ პარიზს იცნობდა! ოცდაოთხ საათში მომიხერხა აუდენცია, მე რომ თვენახევარი ველოდი; მისი წყალობით პირადად ვინახულე მინისტრი, თავისუფლად ველაპარაკე, მთელი ჩემი საქმეები გავაცანი და... რაც გულში მქონდა, ყველაფერი გადმოვულაგე... თითქმის ორი საათი დავყავი მასთან, ჩემო კარგო. სამაგიეროდ, ამ შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა!

ანტუანი დუმდა. ყურადღებით ათვალიერებდა ცარიელ ფინჯანს. თუმცა იგი ასეთ დაინტერესებას არაფრით იმსახურებდა. მალე მიხვდა ამას და უხერხულობის დასაფარავად, ცოტაოდენი რძე ჩაასხა შიგ.

— თქვენი პატარა პროტეჟე კი ახლა უკვე მშვენიერი ქალიშვილია! — თქვა ფილიპმა, რომელსაც უკვირდა, იუგეტის ამბავს რად არ მეკითხებაო, — მხედველობიდან არ ვკარგავ... სამ-ოთხ თვეში ერთხელ კონსულტაციაზე მოდის...

„ნეტავი თუ იცის, ჩემი და ანას ურთიერთობის ამბავი?“ — გაიფიქრა ანტუანმა, მერე თავს ძალა დაატანა და ჰკითხა:

— ტურენში ცხოვრობს?

— არა, ვერსალშია მამინაცვალთან. პარიზთან ახლოს რომ იყოს, ბატენკური ვერსალში დასახლდა; მას შატენო მკურნალობს. რა უიღბლო კაცია, ეს საცოდავი ბატენკური!

„არა, ჩვენი ურთიერთობა რომ სცოდნოდა, უიღბლოაო არ იტყოდა“.

— გაიგეთ, როგორ დაიჭირა?

— რაღაც მახსოვს... ბუნდოვნად... მგონი, შვებულების დროს, არა?

— ფრონტზე ორი წელი დაჰყო და ერთი ნაკაწრიც არ მიუღია. მერე ღამით, სენ-ჟიუსტ-ან-შოსეში მიდიოდა შვებულებით. მატარებელი სათადარიგო ხაზზე გადაეყვანათ. სწორედ ამ დროს გერმანელთა თვითმფრინავებს სადგური დაებომბა! როცა ბატენკური იპოვეს, სახე სულ დაჩეჩქვილი ჰქონია, ცალი თვალი ამოვარდნილი... მეორეც დაზიანებული... შატენო გულისყურით მკურნალობს იცით, თითქმის დაბრმავდა...

ანტუანს გაახსენდა, რა კამკამა, პატიოსანი თვალებით უყურებდა სიმონი იმ საღამოს, როცა მობილიზაციამდე რამდენიმე დღით ადრე მივიდა მასთან, უნივერსიტეტის ქუჩაზე. სწორედ იმ დღეს გადაწყვიტა, საბოლოოდ დაშორებოდა ანას.

— ქალბატონი... — ისეთი მისუსტებული ხმით წამოიწყო ანტუანმა, ფილიპი იძულებული გახდა მისკენ გადახრილიყო, — ქალბატონი დე ბატენკური ხომ მასთან ცხოვრობს?

— არა, ის ხომ ამერიკაშია?

— ჰოო?

ამ ამბის გაგონებაზე შვება რატომ იგრძნო?

ფილიპი გაჩუმდა. უღიმოდა. დენიმ ალუბლის კომპოტით სავსე ჯამი დადო მაგიდაზე.

— ჰმ... ესეც დედაა! — თქვა ფილიპმა, კომპოტი გადაიღო და ოთახიდან გამავალ დენის თვალი გააყოლა. — რა უცნაური ადამიანია! — მერე გაჩუმდა, კოვზი პირთან მიიტანა: — ხომ მეთანხმებით?

„იცის თუ არ იცის“? — ხელახლა გაიფიქრა ანტუანმა და ორაზროვნად გაიღიმა (ფილიპთან ყოფნისას მუდამ ეკარგებოდა თავდაჯერებულობა და მისდაუნებურად, ისევ მოკრძალებული მოწაფე, დამწყები ექიმი იყო).

— ჰო, ამერიკაშია!.. გოგონამ უკანასკნელად ნახვისას მითხრა, დედა რა თქმა უნდა, ნიუ-იორკში დასახლდება, იქ ბევრი მეგობარი ჰყავსო, როგორც გავიგე, საფრანგეთის პროპაგანდის ერთ-ერთ კომიტეტს რაღაც დავალებით გაუგზავნია იქ... სხვათა შორის, მისი გამგზავრება შეერთებულ შტატებში, რომელიღაც ამერიკელი კაპიტნის გამოძახებას დაემთხვა... ეს კაპიტანი ერთხანს პარიზის საელჩოშიც მუშაობდა თურმე...

„არა, ნამდვილად არაფერი იცის!“ — ისევ გაიფიქრა ანტუანმა.

ფილიპმა ალუბლის კურკები თეფშზე გადმოაგდო, პირი მოიწმინდა და თქვა:

— ყოველ შემთხვევაში, ლებელი ასე ამბობს. იგი ქალბატონი დე ბატენკურის მამულში დაარსებულ ლაზარეთს უდგას სათავეში, ტურთან ახლოს. ამბობენ, დღესაც ხელგაშლილად ეხმარება ამ ჰოსპიტალსო... თუმცა ლებელის ნათქვამი ძნელად დასაჯერებელია: ირწმუნებიან, ლებელიც, მიუხედავად იმისა, საფეთქლებზე ჭაღარა შეერია, მისი... ინტიმური თანამშრომელიაო... თუ ეს ასეა, გასაკვირი აღარაა, ლებელმა ყველაფერი რომ მიატოვა და ომის პირველი ზამთრის განმავლობაში ტურენიდან ფეხი არ მოუცვლია... რძის ეს სურა ვეღარ გამოცალეთ?

— ორი ფინჯანი თუ დავლიე, ისიც ბევრია! — ღიმილით წაილულღლულა ანტუანმა. — რომ იცოდეთ, როგორ მეზიზღება რძე!

ფილიპი აღარ ჩასციებია, ხელსახოცი დაკეცა და წამოდგა.

— წამოდით, კაბინეტში დავბრუნდეთ! — შინაურულად მოჰკიდა ხელი და სამუშაო ოთახისკენ გაუძღვა, — წაიკითხეთ ზავის როგორი პირობები შესთავაზა ცენტრალურმა სახელმწიფოებმა რუმინეთს? * ყურადსაღებია, არა? აგერ, ნავთობითაც მომარაგდნენ! აუ, რა ბედი ეწიათ! ზავის ჩამოგდებას ვინღა აიძულებს?

— ამერიკული არმიის ჩარევა!

— ეჰ... გერმანელებმა თუ არ გაიმარჯვეს ამ ზაფხულს, — ეს კი საეჭვოა, თუმცა ამბობენ, ისევ აპირებენ პარიზზე თავდასხმასო, — მაშინ მომავალ წელს უთუოდ მოახერხებენ ამერიკულ მატერიალურ რესურსებსა და ჯარისკაცებს დაუპირისპირონ რუსული მატერიალური რესურსები და ჯარისკაცები... ფაქტიურად კიდევ ერთი ამოუწურავი რეზერვუარი... სანამდე შეიძლება მივიდეს დაახლოებით ერთნაირი ძალის ორი მოწინააღმდეგის ბრძოლა, თუკი არც ერთს არ სურს დათმობაზე წასვლა და თუკი ვერცერთი მხარე თავისი ძალის უპირატესობით ვერ დათრგუნავს მოწინააღმდეგეს? ისინი საბედისწეროდ არიან განწირულნი, უკანასკნელი ქანცის გაწყვეტამდე უნდა ებრძოლონ ერთმანეთს...

— მაშასადამე, ვილსონის გონივრულობის იმედი არა გაქვთ?

— ვილსონი ღრუბლებში დაცურავს... ამას გარდა, ამჯერად მე მიმაჩნია, რომ არც საფრანგეთსა და არც ინგლისს ზავი არ სურს. მე ვგულისხმობ მმართველ წრეებს. პარიზში, ისევე, როგორც ლონდონში, გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ისე ჯიუტად სწადიათ, დორბლებს ყრიან!

ზავის უბრალო წადილიც კი ღალატად ითვლება. ბრიანის მსგავსი ხალხი საიმედო არაა. ვილსონსაც იგივე ბედი ეწევა, თუკი უკვე არ იწვნია!

— ხომ შეიძლება ზავის ჩამოგდება აიძულონ? — რიუმელის სიტყვები გაახსენდა ანტუანს.

— არა მჯერა, გერმანიამ ოდესმე შესძლოს ძალით მოგვახვიოს თავს ზავი: არა. გიმეორებთ, არსებულ ძალთა მიახლოებითი თანაბრობისა მჯერა... ძალთა საყოველთაო დასუსტების გარდა, სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ...

ფილიპი საწერ მაგიდას მიუჯდა და ანტუანს თავაზიანად შესთავაზა, დივანზე წამოწექითო. ანტუანმა აღარ გაამეორებინა თხოვნა, რადგან ფეხზე ძლივს იდგა და დივანზე გაიშოტა.

— ომის დამთავრებამდე, ალბათ, ვიცოცხლებთ,.. მაგრამ ჩვენ ერთ რამეს მაინც ვერ მოვესწრებით, — მშვიდობას. მე ვგულისხმობ: ევროპის მშვიდობიან წონასწორობას.

ერთბაშად შეცბა და სწრაფად დაუმატა:

— მიუხედავად თქვენი ასაკისა, მე ვთქვი ჩ ვ ე ნ-მეთქი, რადგან ჩემი აზრით, ამ წონასწორობის აღსადგენად მრავალი თაობა იქნება, ალბათ, საჭირო!

ფილიპი გაჩუმდა. ანტუანისკენ გააპარა თვალი, წვერი აიჩეჩა, მხრები აიწურა და ნაღვლიანად განაგრძო:

— განა ახლანდელ პირობებში წონასწორობა შესაძლებელია?. დემოკრატიულმა იდეალმა ფრთები ჩამოყარა. სამბა მართალია: დემოკრატია ომისთვის არაა გაჩენილი: ომში ისევე დნება, როგორც სანთელი ცეცხლზე. რაც უფრო დიდხანს გასტანს ომი, ევროპას მით უფრო ნაკლები შანსი ექნება გახდეს დემოკრატიული. მომავალი ყველას ესახება ვინმე კლემანსოს ან ლოიდ-ჯორჯის * ტირანული მეფობის სახით. ხალხი ამის უფლებას კიდეც მისცემს: უკვე შეეგუენ საალყო მდგომარეობას. ნელ-ნელა ყველაფერზე იტყვიან უარს, თვით თავიანთ რესპუბლიკურ მისწრაფებაზეც კი. აბა, დაუკვირდით, რა ხდება ამჟამად საფრანგეთში: კონტროლი სურსათის განაწილებაზე, მოთხოვნილების შეზღუდვა, მთავრობის ჩარევა ცხოვრების ყოველ სფეროში, მრეწველობასა და ვაჭრობაში, კერძო საქმოსანთა გარიგებაში — გაიხსენეთ მორატორიუმი! — სულიერ ცხოვრებაში — გაიხსენეთ ცენზურა! ყოველივე ამას ჩვენ ისე ვი-

ღებთ. როგორც განსაკუთრებულ ღონისძიებებს. ვცდილობთ, თაკი დავირწმუნოთ, ასეთი ზომები ახლანდელმა ვითარებამ გამოიწვიაო, სინამდვილეში, ეს გახლავთ საყოველთაო დამონების მაცნე, რაკი უღელს კარგად მოგარგებენ, მის მოხსნას ვეღარც შესძლებ...

— შტუდლერს ხომ იცნობდით? „ხალიფს“... ჩემს თანამშრომელს?..

— ებრაელს, არა? ასირიული წევრი და ჰიპნოტიზიორის თვალები რომ ჰქონდა!

— დიახ... იგი დაჭრილი იყო და ახლა სალონიკის ფრონტზეა... დროდადრო მისთვის ჩვეულ წინასწარმეტყველებას არ მაკლებს... ჰოდა, შტუდლერი ირწმუნება, ომს აუცილებლად მოჰყვება რევოლუციაო... ჯერ დამარცხებულებში იფეთქებს, მერე გამარჯვებულებშიო... უეცარი რევოლუცია ან ნელი რევოლუცია, ამას მნიშვნელობა არა აქვს, სამაგიეროდ რევოლუცია ყველგან იფეთქებსო...

— დიახ... — ანგარიშმიუცემლად აღმოხდა ფილიპს.

— იგი თანამედროვე საზოგადოების კრახს იუწყება, კაპიტალიზმის დაცემას! მას ასევე მიაჩნია, რომ ომი ევროპის სრულ დაძაბუნებამდე გაგრძელდება. ოღონდ, როცა ყველაფერი მოისპობა, როცა ყოველივე მიწასთან იქნება გასწორებული, იგი ახალი სამყაროს დაბადებას წინასწარმეტყველებს. მისი აზრით, ჩვენი ცივილიზაციის ნანგრევებზე რაღაც ახალი აღიმართება, ერთგვარი საყოველთაო კონფედერაცია, პლანეტის დიდი კოლექტიური წყობის ორგანიზაცია წარმოიშობა სრულიად განახლებულ საფუძვლებზეო.

ფრაზის დასამთავრებლად ანტუანს მთელი ძალის დაძაბვა მოუხდა. მერე გაჩუმდა და ისეთი ხველა აუტყდა, ორად მოიკაკვა.

ფილიპი ცალი თვალით ისე უყურებდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა.

— ყველაფერი მოსალოდნელია, — თქვა მან და თვალები აუციმციმდა: მუდამ უყვარდა ფანტაზიის გაშლა. — რატომაც არა?... ადვილი შესაძლებელია, ...89 წლის მისტიკამ *, იმის შემდეგ, რაც ბიოლოგიური მონაცემების მიუხედავად გვაიძულა გვერწმუნა, ადამიანები ბუნებით თანასწორნი არიან და ამიტომ კანონის წინაშეც თავისუფალნი უნდა იყვნენო, ადვილი შესაძლებელია, ამ მისტიკამ, — მთელი საუკუნე მის იმედზე რომ ვცხოვრობდით, — დაჰკარგოს ძალა და ადგილი დაუთმოს სხვა რომელიმე მშვენიერ

უაზრობას... დადგება დრო და აზრებისა და მოქმედების ახალი, პირველადი იდეოლოგია, რაც კაცობრიობას საკვებს მისცემს, ერთხანს გაბრუვდება... სანამ ერთხელ კიდევ არ შეიცვლება ყოველივე...

ანტუანი ისევ ახველებდა და ფილიპიც გაჩუმდა.

— ეს შესაძლებელია, — ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო მან ხუმრობის კილოთი, — მაგრამ მთელი ეს ზმანებები სიამოვნებით დამითმია თქვენი მესიანელი * მეგობრისათვის... ისეთი მომავალი, მე რომ მესახება, სულ ახლოსაა და სულ სხვანაირია. მე მგონია, სახელმწიფო უარის თქმას არ აპირებს ომით მოპოვებულ აბსოლუტურ ძალაუფლებაზე. ამიტომაც მეშინია, ვაითუ, დემოკრატიული თავისუფლების ერა დიდი ხნით იყოს გაუქმებული! ეს კი, ჩემი თაობის ხალხს გვაბნევს. ჩვენ გვქონდა რკინისებური რწმენა, რომ ეს თავისუფლება საბოლოოდ იყო მოპოვებული; რომ მისი საკითხი ხელახლა აღარასოდეს განიხილებოდა. მაგრამ თურმე ყველაფერი და ყოველთვის შეიძლება განხილვის საგნად გახადო... ვინ იცის, იქნებ, ეს ოცნება იყო მხოლოდ? ოცნება, XIX-ე საუკუნის ბოლოს მტკიცე სინამდვილედ რომ ითვლებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაშინდელ თაობას ბედმა გაუღიმა და განსაკუთრებულად მშვიდ, განსაკუთრებულად ბედნიერ დროს ცხოვრობდა...

ფილიპი დუდღუნით, მკვახე ტონით ლაპარაკობდა, თანაც ისე, თითქოს მარტო ყოფილიყო ოთახში; იჯდა, იდაყვები სავარძლის სახელურებზე ჩამოედო, გრძელი, წითური ცხვირი ერთმანეთზე მიტყეპებულ ხელებზე დაეშვა და თვალს ადევნებდა საკუთარი თითების მოძრაობას: იგი მათ ხან შლიდა, ხან აჯვარედინებდა.

— გვეგონა, კაცობრიობა მომწიფებულია და ახალი ეპოქისაკენ მიაბიჯებდა, სადაც სიბრძნე, ზომიერება, მოთმინება წარმართავდა მსოფლიოს... სადაც გონება და აზროვნება უხელმძღვანელებდა ადამიანთა საზოგადოების ევოლუციას... ვინ იცის, იქნებ მომავალმა ისტორიკოსებმა გულუბრყვილო, უვიც ხალხად ჩაგვთვალონ, გულისამაჩუყებელ ილუზიას რომ ვქმნიდით ადამიანსა და ცივილიზაციის აღქმის უნარზე? იქნებ თვალებს ვხუჭავდით ადამიანის ზოგიერთ ძირითად თვისებაზე? იქნებ, მაგალითად, დანგრევის ინსტინქტი, დროდადრო მიწასთან გასწორების მოთხოვნილება, რაც კი წვალებით გვიშენებია, სწორედ ის ერთ-ერთი ძირითადი კანონია,

რაც ჩვენი ბუნების შემოქმედებით შესაძლებლობებს შემოფარგლავს? ერთ-ერთი იმ იდუმალებით მოცული და მაცდური კანონთაგანია, ბრძენმა რომ მუდამ უნდა იცოდეს და აღიაროს?... აი, რა შორსა ვართ თქვენი „ხალიფის“ წინასწარმეტყველებისგან!... — დამცინავად დაასკვნა ფილიპმა და რაკი ანტუანი ისევ ახველებდა, ჰკითხა: — იქნებ რაიმე დაგელიათ? წყალი... ან კოდეინი? არა?

უარის ნიშნად ანტუანმა ხელი გააქნია. სამიოდე წუთის შემდეგ (ამასობაში ფილიპი ხმას არ იღებდა და ოთახში ბოლთას სცემდა, უკეთ იგრძნო თავი, წელში გასწორდა, ლოყებზე ჩამოგორებული ცრემლები მოიწმინდა და შეეცადა გაეღიმა. სახე შეშუპებოდა, გაწითლებოდა, შუბლზე ოფლის წვეთები ესხა.

— უნდა წავიდე... პ ა ტ რ ო ნ! — წაიბუტბუტა მან, ყელი უხურდა, — მაპატიეთ, — ხელახლა გაუღიმა და ძლივს-ძლივობით წამოდგა, — გამოტყდით, რომ ცუდადაა ჩემი საქმე!

ფილიპმა ვითომ ვერ გაიგონა მისი სიტყვები.

— იმდენს ლაპარაკობენ, — თქვა მან, — იმდენს ქადაგებენ... აი, დავცინი თქვენს „ხალიფს“, მაგრამ მეც ზუსტად ისევე ვიქცევი... სისულელეა ყველაფერი! რაც ამ ოთხი წლის განმავლობაში ვნახეთ, ყველაფერი აბსურდია. და ისიც სისულელეა, რასაც ამ სისულელეების წყალობით ვწინასწარმეტყველებთ... კი ბატონო, გაკრიტიკება შეიძლება! შეიძლება ისიც გაკიცხო, რაც ახლა ხდება; აი, ეს არ არის აბსურდი. მაგრამ იწინასწარმეტყველო რა მოხდება?.. იცით, რას გეტყვით, ყმაწვილო? მუდამ ერთსა და იმავე პოზიციას ვუბრუნდებით: ერთადერთ სწორ, მე ვიტყოდი, მეცნიერულ პოზიციას... თუმცა გამოვიჩინოთ მეტი მოკრძალებულობა: ერთადერთ გონივრულ პოზიციას, იმ ერთადერთ პოზიციას რაც არ გვიღალატებს, — ეს გახლავთ შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს ძიება და არა ჭეშმარიტების ძიება... ძნელია მიხვდე, თუ რა არის ყალბი, მიუხედავად ამისა მაინც შეიძლება მიხვდე: და აი, მხოლოდ და მხოლოდ ამის გაკეთება შეგვიძლია!.. დანარჩენი: წმინდა წყლის მიეთ-მოეთობაა და მეტი არაფერი!

ფილიპმა, როგორც იქნა,შეამჩნია, რომ ანტუანი ფეხზე იდგა და უგულისყურობდ უსმენდა:

— კვლავ როდისღა განახავთ? როდის მიდიხართ?

— ხვალ, დილის რვა საათზე.

ფილიპი შეკრთა. ერთხანს ხმა არ ამოუღია, ძალას იკრებდა.

— ჰოო... ჰოო!..

აღმოხდა და წინოთახისკენ მიმავალ ანტუანს გაჰყვა, უყურებდა მის მოხრილ მხრებს, მუნდირის საყელოდან ამოჩრილ გამხდარ, გაწვრილებულ კისერს და შეეშინდა, თავს ვერ შეიკავებდა, შეეშინდა დუმილის, შეეშინდა საკუთარი ფიქრების. მაინც გადაწყვიტა, რაიმე ეთქვა:

— იმ კლინიკით კმაყოფილი თუ ხართ მაინც? კარგი ექიმები არიან? სწორედ ისეთი კლინიკაა, თქვენ რომ გჭირდებათ?

— ზამთრის პერიოდისთვის უკეთესს ვერ ინატრებთ! — მიუგო ანტუანმა, — სამაგიეროდ იქაური ზაფხულისა ნამდვილად მეშინია. იმდენად მეშინია, ალბათ, სხვაგან წავალ... კარგი იქნებოდა სადმე სოფელში... სუფთა ჰაერზე, ნესტიანი ადგილი არ უნდა იყოს. იქნებ ნაძვნარში. არკაშონი? არა, იქ ძალიან ცხელა. მაშ სად? პირინეების სამკურნალო წყლებზე? კოტრეში? თუ ლიუშონში...

წინოთახში შესულმა, ის იყო ხელი ასწია კეპის ჩამოსაღებად და თავი მიაბრუნა, უნდოდა ფილიპისთვის ეკითხა, პ ა ტ რ ო ნ, თქვენ რას მირჩევთო, რომ უეცრად მის სახეზე (ათი წლის მანძილზე ერთად მუშაობის წყალობით ისე კარგად რომ ჰქონდა შესწავლილი, უმცროსი ნიუანსის ამოკითხვაც კი შეეძლო) და სათვალეების მიღმა ახამხამებულ ნაცრისფერ თვალებში უნებური აღსარება დაიჭირა: ღრმა სიბრალული! თითქოს განაჩენი გამოუტანა! „რა საჭიროა? — ეუბნებოდა ეს სახე, ეს თვალები. — რა მნიშვნელობა აქვს ზაფხულს? სულერთი არაა, იქ იქნები თუ სხვაგან?... აღარაფერი გიშველის, დაღუპული ხარ!“

„ჯანდაბას! — გაიფიქრა თავზარდაცემულმა ანტუანმა. — მეც ვ ი ც ო დ ი... რომ დაღუპული ვარ!“

— ჰო, კოტრეში აჯობებს. — თავს ძალა დაატანა და სწრაფად ალუღლუღდა ფილიპი. — თუმცა იქნებ ტურენში აჯობებდა, ჩემო კარგო? ტურენი... ან არა და, ანჟუ...

ანტუანს თვალი მიეშტერებია იატაკისთვის: ზევით ახედვა ვერ გაებედა... რა ყალბი ხმა აქვს პ ა ტ რ ო ნ ს! როგორ ატკინა გული ამ ხმამ! კეპი აკანკალებული ხელით დაიხურა და თავაუღებლივ გაემართა კარისკენ. სურვილს ძლივს იკავებდა, რაც შეიძლებოდა

სწრაფად გამომშვიდობებოდა და თავის უბედურებასთან მარტო დარჩენილიყო.

— ტურენი... ან არა და, ანჟუ... — უაზროდ იმეორებდა ფილიპი, — გავიკითხავ... და მოგწერთ!

ანტუანს თავი არ აუწევია, კეპი თვალებზე ისე ჩამოიფხატა, ალეწილ სახეს თითქმის მთლიანად უფარავდა და მექანიკურად გაუწოდა ხელი ფილიპს. მოხუცმა ექიმმა ორივე ხელი წაავლო, რაღაც ბგერა აღმოხდა, მაგრამ ანტუანმა სწრაფად გამოგლიჯა ხელი, კარი გააღო და გარეთ გავარდა.

— ჰო... ანჟუ... რატომაც არა? — ლუღლუღებდა ფილიპი და კიბის მოაჯირს დაეყრდნო.

XIV

მთელი ქალაქი წყვდიადში გახვეულიყო. შენიღბული ფარნები სინათლის მოლურჯო წრეებს აქა-იქ თუ ისროდა ტროტუარზე. გამვლელები კანტიკუნტად მოჩანდნენ, ასევე მანქანებიც, ფრთხილად რომ მისრიალებდნენ ქუჩაზე საყვირების ჩაციებული წიწკინით.

ანტუანს წარმოდგენა არ ჰქონდა საით მიდიოდა, ბარბაცით გადასერა მალზერბის ბულვარი და ბუასი — დ'ანგლის ქუჩაზე გავიდა. გული აყროდა ყველაფერზე, კეფაზე საშინელი სიმძიმე აწვა, სუნთქვა უჭირდა, უცნაურ ხმაურსა და სიცარიელეს გრძნობდა თავში; მანძილი ვერ მოეზომა, სახლების წინ ისე ახლოს მიაბიჯებდა, იდაყვებით ეხებოდა. არაფერზე ფიქრობდა, აღარც იტანჯებოდა.

უცებ ელისეის მინდვრების ხეებქვეშ აღმოჩნდა. შორს, ხეებს შორის თანხმობის მოედანი მოჩანდა, გაზაფხულის ამ მშვენიერი ცის ღამისეულ შუქზე რომ ციმციმებდა; მანქანის ფარები უცებ ფოსფორთვალება ნადირივით აბრდღვიალდებოდა მოედანზე და ისევ ქრებოდა წყვდიადში. ანტუანმა სკამი შენიშნა, მიუახლოვდა, მაგრამ სანამ დაჯდებოდა, შეყოყმანდა, ხომ არ გავცივდებიო (და მაშინვე დაუმატა: „სულერთი არაა?!"). ფილიპის თვალებში გაელვებული განაჩენი ღრმად ჩარჩენოდა გონებაში, არა მარტო გონებაში, მთელ ტანში, მსგავსად რაღაც უზარმაზარ სხეულისა, პარაზიტისა, სიმსივნისა, რასაც სხვა დანარჩენი გრძნობა შთაენთქა, შემაზრზენად გაშლილიყო და მთელი არსება მოეცვა.

წელში ორად მოხრილი, სკამის მაგარ საზურგეს მიეყრდნო და მკლავები ისე გადააჯვარედინა, თითქოს უნდოდა დაეთრგუნა ის უცხო სხეული, მის სულსა და ხორცში რომ შეჭრილიყო და ახრჩობდა; გონებაში ნელ-ნელა აღიდგინა იმღამინდელი ამბავი: პ ა ტ რ ო ნ ი უნაგირივით გადამჯდარა სკამზე და ეუბნება: „საჭიროა, ამბის მოყოლა თავიდან დავიწყოთ!... თქვენი პირველი ჭრილობა? რა დაგვრჩა მისგან?“ საკუთარი ნაამბობიც სიტყვა-სიტყვით გაიხსენა და ნელ-ნელა საკუთარი სიტყვები, ხელახლა რომ ჩაესმა ყურში, სულ აღარ ჰგავდნენ იმ სიტყვებს, რაც ფილიპს უთხრა. რადგან ახლა ეს სენი სულ სხვა თვალით, ნამდვილი, ობიექტური სიცხადით წარმოუდგა. ახლა იგი შეუბრალებელი სინამდვილით აღწერდა ყოველ შეტევას, თანმიმდევრულს, იხსენებდა გამოკეთების პერიოდს, თანდათან უფრო ხანმოკლე რომ ხდებოდა და რასაც უფრო ძლიერი, უარესი შეტევები მოჰყვებოდა ხოლმე. ცხადად, აშკარად იგრძნო, რომ მისი მდგომარეობა თანდათან, განუწყვეტლივ უსაშველოდ უარესდებოდა. ხოლო როცა ფილიპის შეურვებული. გამომეტყველება გაიხსენა, თითქოს კიდევ უფრო ნათლად დაინახა, როგორი თანმიმდევრობით იზრდებოდა საბედისწერო დიაგნოზით გამოწვეული შიში მისი მოხუცი მეგობრის სახეზე... შუბლზე ოფლმა დაასხა, სუნთქვა გაუძნელდა, ტკივილი იგრძნო, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახე მოიწმინდა.

გაბმული გმინვა მოესმა შორიდან, ღამის სიმშვიდე დაარღვია, მაგრამ ანტუანმა მაინც არ მიაქცია ყურადღება.

ისიც მოაგონდა, გასინჯვის შემდეგ დივნიდან ძლივს რომ წამოდგა, წელში გაიმართა, ნაძალადევი მორჩილებით გადააქნია თავი და თქვა: „ხომ ხედავთ,პ ა ტ რ ო ნ, აღარავითარი იმედი არაა!“ ფილიპმა მაშინ არაფერი უპასუხა და თავი დახარა.

ანტუანი გახელებულივით წამოვარდა სკამიდან, ეს გულისმომკვლელი ნაღველი როგორმე უნდა გადაეყარა და ერთბაშად ფეხზე უძრავად მდგარს, ისეთმა კეთილმყოფელმა აზრმა გაუელვა, ისეთი შვება იგრძნო, თითქოს უფსკრულიდან გრილი სიო ეგრძნოს: „ჩვენ, ექიმებს მუდამ შეგვიძლია უკანასკნელ საშუალებას მივმართოთ, შეგვიძლია არ დაველოდოთ... არ ვიტანჯოთ!“

ფეხები მოკეცა. ხელახლა დაჯდა.

ხეებს შორის ქალების სილუეტი დალანდა. წელში მოხრილი

ორი ქალი გამოვარდა, და მაშინვე სირენების წივილიც მოისმა. მბუუტავი შუქი ერთბაშად ჩაქრა ვრცელ მოედანზე. „ესღა მაკლდა!“ — გაიფიქრა ანტუანმა და ყური მიუგდო. აფეთქების ხმამ მიწა შეაზანზარა.

მის უკან, აჩქარებული ნაბიჯებისა და შეშინებული ლაპარაკის ხმა ისმოდა ხეივანში; ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მირბოდა და ღამის სიბნელეში იკარგებოდა. გაბრიელის მოედანზე მანქანები ჩამქრალი ფარნებით მიქროდნენ. პოლიციის რაზმმა შეწყობილი ნაბიჯებით ჩაიარა. ანტუანი მხრებჩამოყრილი იჯდა და უაზროდ იყურებოდა, არაფრის დარდი, არაფრის ინტერესი არ აღელვებდა.

რამდენიმე წუთმა ასე გაიარა, მერე გონს მოვიდა. მანძილით ჩახშობილმა აფეთქების ხმამ და ზარბაზნის გასროლამ საბოლოოდ გამოიყვანა გაოგნებიდან.

„ვალერიანის მთიდან ისვრიან?“ — გაიფიქრა და რიუმელის რჩევა მოაგონდა: „საზღვაო სამინისტროს თავშესაფარი!“

შორიდან ისევ ისმოდა ზარბაზნების ღმუილი. ანტუანი წამოდგა, მოედნისკენ გაემართა და ტროტუარის კიდესთან შეჩერდა. პარიზს გამოცოცხლებული, დიდებული ცა გადმოხურვოდა. ჰორიზონტის ყოველი კუთხიდან ასროლილი სინათლის კონები ღამისეულ თაღზე დასრიალებდა, რძისფერი ზოლები ხან გრძელდებოდა, ხან ჯვარედინდებოდა, ცოცხალი თვალებივით უჭვრეტდა ვარსკვლავთა გუნდს; ეს სწორი, სწრაფმავალი ზოლები ზოგჯერ ყოყმანით შეყოვნდებოდნენ, საეჭვო წერტილს უთვალთვალებდნენ, შემდეგ ხელახლა მისრიალებდნენ და დაზვერვას ანახლებდნენ.

მოედანზე გადასვლა ვერ გაბედა. მიჯაჭვულივით იდგა ტროტუარზე, თავი აეწია და სანამ კისერთან ტკივილი არ იგრძნო, ცას შეჰყურებდა. „ნეტავი ერთი საწოლზე გამაშოტა ახლა.. თვალდახუჭული... საძილე წამალი... დამაძინა!“ — ფიქრობდა, მაგრამ დაღლილობას ისე გაეშეშებინა, ადგილიდან ვერ იძროდა. „არა, ჯობს უკან დავბრუნდე... იქნებ ტაქსი ვიშოვო!“ უზარმაზარი მოედანი ცარიელი, ჩაბნელებული ჩანდა; მისი გარჩევა წამით თუ შეიძლებოდა: პროჟექტორების შუქზე დროდადრო ლანდივით მოჩანდა ბალუსტრადები, ფერმიხდილი ქანდაკებები, ობელისკები, შადრევნები და პირქუში ელექტრობოძები; მოედანი წააგავდა სიზმარში ნანახ რაღაც ქალაქს, ჯადოთი გაქვავებულ ქალაქს, გამქრალი ცივი-

ლიზაციის ნანგრევს მრავალი წლის მანძილზე ქვიშაში ჩამარხულ მკვდარ ქალაქს.

ანტუანმა ძალა მოიკრიბა, გაშეშება როგორც იქნა დათრგუნა და მთვარეულივით გაუყვა ჩამკვდარი ქალაქის ქუჩას. გზის შესამოკლებლად პირდაპირ ობელისკისკენ გაემართა და ტუილრის კუთხით სანაპიროზე გავიდა. ატორტმანებული ცის ქვეშ მთვარის შუქით განათებული ამ სივრცის გავლა დაუსრულებული მოეჩვენა. ბელგიელმა ჯარისკაცებმა გვერდით ჩაურბინეს. მერე მოხუცმა წყვილმა გაუსწრო, მირბოდნენ, უგერგილოდ აშველებდნენ ხელს ერთმანეთს, წყლის ზედაპირზე გაგდებულ ნაფოტებივით მილასლასებდნენ სიბნელეში. „მეტროში ჩადით!“ — მიაძახა მოხუცმა კაცმა. პასუხის მიცემა მაშინღა მოიფიქრა, როცა 'მოხუცები აღარსად ჩანდნენ.

ათასი უხილავი ძრავივით გუგუნებდა ჰაერი და მისი ხმაური ლითონის ხანგრძლივ თრთოლვას ერეოდა. აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთიდან გაცხარებული სროლის ხმა მოისმოდა; აერსაწინააღმდეგო დაცვის წრე განუწყვეტლივ ანთხევდა ჭურვებს; ახალ-ახალი ბატარეა ყოველ წუთს ენაცვლებოდა ერთმანეთს და მათი სროლის ხმა სულ უფრო ახლოს იგრძნობოდა. პროექტორების განუწყვეტელი სრიალი ხელს უშლიდა ანტუანს, დაენახა აფეთქების ადგილი. გასროლასა და გასროლას შორის, უცებ ტყვიამფრქვევების კაკანი მოესმა. — „პონ რუაილისაკენ!“ — გაიფიქრა უნებურად.

სანაპიროს გაჰყვა, პარაპეტის გასწვრივ. არც მანქანები, არც შუქი. კაცის ჭაჭანებაც არ იყო. მარტოდ დარჩა ამ მოლივლივე, ფართო, მშვიდ მდინარესთან, სოფლის ჩვეულებრივ მდინარეს რომ წააგავდა მთვარიან ღამეს.

წამით შეჩერდა და გაიფიქრა: „მე ამას ველოდი, ძალიან კარგად ვიცოდი, რომ დაღუპული ვიყავი... „მერე გზა განაგრძო.

გუგუნი ისე სწრაფად იზრდებოდა, შეუძლებელი იყო გარკვევა რისი ხმა იყო. უეცრად ყრუ აფეთქებამ საერთო გრუხუნი დაფარა. ისევ და ისევ გაისმა. „ყუმბარებია! — გაიფიქრა ანტუანმა — ნაღმების ღობურა გაარღვიეს!“.. ლუვრის მხარეს, ძალიან შორს, ბენგალის შუშხუნებივით განათებულ ვარდისფერ ცაზე ფაბრიკების მილები მკაფიოდ გამოჩნდა. ანტუანი შემობრუნდა. ცეცხლის

ენები წითლად ბრდღვიალებდა აქა-იქ, ლევალუაზე, ან იქნებ პიუტოზე...“ ცოტ-ცოტა ყველგან მოედო ალი“, — ფიქრობდა და საკუთარი უბედურება გადაავიწყდა. ამ უხილავი, გაურკვეველი მუქარის წინაშე, ღვთის ბრმა რისხვასავით რომ აწვა თავზე, ნაძალადევმა შეგულიანებამ სისხლი აუმღვრია, ერთგვარმა გაბრუებამ ძალა შემატა. ნაბიჯს აუჩქარა, ხიდთან მივიდა, სენა გადასჭრა და ბაკის ჩაბნელებულ ქუჩას გაჰყვა. ნაგვის ყუთი ვერ შეამჩნია, წაიბორძიკა, წონასწორობა რომ არ დაეკარგა, მკვეთრი მოძრაობით გასწორდა და საშინელი ტკივილი იგრძნო ბრონქებში. მერე ტროტუარიდან ჩავიდა და პროექტორების შუქზე მიიკვლევდა გზას. უკან რაღაც გუგუნი გაისმა. ანტუანმა ძლივს მოასწრო ტროტუარზე ასვლა. უცნაურმა, ფარებშენიღბულმა ორმა, პრიალა ლითონის მანქანამ ქარაშოტივით ჩაუქროლა წივილით; ალმიანი მანქანა უკან მიჰყვებოდა.

— მეხანძრეები! — მოესმა ანტუანს.

ვიღაც გამვლელი სახლის კარებს ამოფარებოდა და ყოველ წუთს ისე იგრძელებდა კისერს, თითქოს წვიმის გადაღებას უცდისო.

ანტუანმა არაფერი უპასუხა და გზა განაგრძო. დაღლილობა ხელახლა შეიგრძნო, მძიმედ მიაბიჯებდა და საშინელ, აკვიატებულ ფიქრს ისევე მიათრევდა, ბურლაკი რომ ბარჟას მიათრევს. „მე ეს ვიცოდი... დიდი ხანია ვიცოდი!“ არაფერი მოულოდნელი მის სასოწარკვეთაში არ იყო: უბედურება ერთბაშად არ დასტყომია თავს, უბრალოდ, ამ მძიმე ტვირთმა წელში გატეხა. ულმობელმა აღიარებამ წინასწარ შემზადებული ადგილი მონახა. ფილიპის თვალებში ამოკითხულმა განაჩენმა ქვეცნობიერების წყვდიადში დიდი ხნის წინ ჩამარხულ, ნათელმოსილ აზრს ყადაღა მოხსნა, გაათავისუფლა.

უნივერსიტეტის ქუჩის კუთხეში, თავისი სახლიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, შიშმა აიტანა: მარტოობამ, იქ, მაღლა რომ ელოდა, პანიკური შიში გამოიწვია. შეჩერდა. უკან გაქცევა მოუნდა. მისდაუნებურად ცას ახედა, სადაც სინათლის ზოლები ისევ დასრიალებდა; ცდილობდა, თუნდაც ერთი ადამიანი გაეხსენებია, ვისთანაც თავს შეაფარებდა, ვის თვალებშიც თანაგრძნობას ამოიკითხავდა, „არავინაა!“ — წაიჩურჩულა მან.

რამდენიმე წუთს იდგა ასე, სახლის კედელს მიყრდნობოდა, ნაღმების წივილისგან, თვითმფრინავების გუგუნისა და ყუმბარების

ყრუ აფეთქებისგან თავი უსკდებოდა და მაინც ერთი ფიქრი აკვიატებოდა: ვერასგზით ვერ აეხსნა, როგორ მოხდა, რომ არც ერთი მეგობარი არ შემორჩა! ყველასთან მუდამ გულზიარი, თავაზიანი იყო, ავადმყოფებს უყვარდათ, ამხანაგები გულთბილად ექცეოდნენ, მასწავლებლები პატივს სცემდნენ, რამდენიმე ქალს მთელი გატაცებით უყვარდა; მიუხედავად ამისა, არც ერთი მეგობარი არ ჰყავდა! არც არასოდეს ჰყოლია!... ჟაკიც კი არ იყო მისი მეგობარი... „ჟაკი ისე მოკვდა, ვერ დავიმეგობრე!"

ერთბაშად რაშელი მოაგონდა. ოო, რა კარგი იქნებოდა, ამ საღამოს მის გვერდით ეპოვა თავშესაფარი, გაეგონა მისი ალერსიანი, თბილი ჩურჩული: „ჩემო ფისო... „ნეტა სადაა? რა მოუგიდა? მისი ყელსაბამი იქაა, მაღლა..." ისე ძალიან მოუნდა წარსულის ამ ნამსხვრევის ხელში დაჭერა, ქარვის ბურთულების დამარცვლა, ცოცხალი ხორცივით რომ თბებოდა! ნეტავი ერთხელ კიდევ იგრძნოს მათი სუნი, რაშელთან სიახლოვეს რომ აგონებდა!

ძლივძლივობით მოშორდა კედელს და ბარბაცით მიადგა სახლის კარებს.

XV

წერილები

მეზონი 16 მაისი, 1918

ყუმბარამ თეძო დამიმსხვრია და ცვედანიც გამხადა. პირად საუბარში ამის თქმა ვერ გავბედე. თქვენ ექიმი ხართ და იქნებ კიდეც მიხვდით? ჟაკი რომ ვახსენეთ და მე გითხარით, მისი ბედისა მშურს-მეთქი, უცნაურად შემომხედეთ.

ეს ბარათი დახიეთ, არ მინდა ამის შესახებ ვინმემ იცოდეს, არ მინდა ვინმეს ვებრალებოდე. სიკვდილს გადავურჩი, მთავრობა საშუალებას მაძლევს მატერიალურად არავისგან ვიყო დამოკიდებული, ბევრს კიდეც შურს ჩემი, ალბათ. მართალი არიან? სანამ დედაჩემი ცოცხალია, ვერაფერს გავხდები. მაგრამ თუკი ერთ მშვენიერ დღეს ამქვეყნიდან გავქრები, მხოლოდ თქვენ გეცოდინებათ მიზეზი.

მაგრად გართმევთ ხელს.

დ. ფ.

მეზონ-ლაფიტი, 23 მაისი.

ძვირფასო ანტუან,

საყვედურს არ გეუბნებით, მაგრამ ყველანი ვწუხვართ. აკი დაგვპირდით მოგწერთო! მთელი კვირა გავიდა და თქვენი ამბავი არ მოგვსვლია; ვინ იცის, ეს ხანგრძლივი მოგზაურობა უფრო დამქანცველი გამოდგა, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით?

მინდა იცოდეთ, რომ სიმხნევე შემმატა თქვენმა აქ ჩამოსვლამ. ასეთი ლაპარაკი არ მეხერხება, არც მისი გამომჟღავნება მიყვარს, მაგრამ ასე მგონია, თქვენი წასვლის შემდეგ უფრო მეტად ვგრძნობ-მეთქი მარტოობას.

თქვენი ჟენი.

მეზონი, შაბათი, 8 ივნისი

ძვირფასო ანტუან,

დღეები დღეებს მისდევს, სამი კვირაა, რაც მეზონიდან წახვედით და კვლავ არაფერი ისმის თქვენგან. მე უკვე სერიოზულად ვწუხვარ, თქვენი დუმილი სხვა ვერაფრით ამიხსნია, თუ არ თქვენი მდგომარეობის გაუარესებით. გემუდარებით, სიმართლე მომწერეთ.

ბიჭს რამდენიმე დღე მაღალი სიცხე ჰქონდა. ჯირყვლების ბრალია. ახლა უკეთაა, მაგრამ ჯერჯერობით ოთახიდან არ ვუშვებ, რაც ერთგვარად ართულებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. წარმოიდგინეთ, ყველას ასე გვგონია, ამ ერთ კვირაში, სანამ ლოგინში იწვა, თითქოს უფრო გაიზარდა, თუმცა ეს შეუძლებელია, ხომ? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ამ ხანმოკლე ავადმყოფობის დროს უფრო გონიერი გახდა. წამდაუწუმ იგონებს ათასგვარ სიუჟეტს, თავისებურად ხსნის თავისი წიგნების ილუსტრაციებს თუ სურათებს, დანიელი რომ უხატავს. ნუ დამცინით, თქვენს გარდა ვერავის ვუბედავ ამის თქმას: ჩემი აზრით, თავისი ასაკისათვის უჩვეულო დაკვირვებულობის უნარს ამჟღავნებს და დარწმუნებული ვარ, ძალიან ჭკვიანი ბიჭი იქნება.

სხვა ახალი აქ არაფერია. ჰოსპიტალმა ბრძანება მიიღო, ოდნავ გამოჯანსაღებულები ევაკუირებულნი იქნენ, ადგილები სჭირდებათ. იძულებული ვართ, გავწეროთ ეს ბეჩავები, რომლებსაც იმედი ჰქონდათ ათ-თხუთმეტ დღეს კიდევ დავისვენებთო. ყოველდღე

ახალ-ახალი ავადმყოფები ჩამოდიან, დედამ მეზობლად მცხოვრები ინგლისელებისაგან პატარა აგარაკი დაიქირავა, სულ ერთია იქ არავინ ცხოვრობდა, სამაგიეროდ შიგ ოცი, თუ მეტი არა, საწოლი მოთავსდება. ნიკოლმა ვრცელი წერილი მიიღო ქმრისგან, მისი სანიტარული დივიზია შამპანიდან ბელფორში გადაუყვანიათ. იწერება, შამპანში საშინელი დანაკარგი გვქონდაო. სანამ გაგრძელდება? სანამ გასტანს მთელი ეს კოშმარი? მეზონის მცხოვრებლები ყოველდღე დადიან პარიზში და ამბობენ, ბომბარდირებამ დემორალიზაცია გამოიწვია მოსახლეობაშიო.

ძვირფასო ანტუან, ნუ დამიმალავთ თქვენს ამბავს, თუნდაც ვერ იყოთ კარგად, სიმართლე მომწერეთ, ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ნუღარ დაგვტოვებთ დიდხანს.

თქვენი მეგობარი ჟენი.

გრასი, 11—6—18

ჯანმრთელობას არა უშავს. ჯერჯერობით განსაკუთრებული გაუარესება არ შეიმჩნევა. რამდენიმე დღეში მოგწერთ. თქვენი

ტ ი ბ ო

•

ლე მუსკიე, 18 ივნისი, 1918.

როგორც იქნა გადავწყვიტე, წერილი მომეწერა, ჩემო კარგო ჟენი. მართალი იყავით, როცა გეშინოდათ, ხანგრძლივი მგზავრობა დამქანცველი აღმოჩნდებოდა ჩემთვის! ჩამოსვლისთანავე ძალიან გამიმწვავდა მდგომარეობა, ტემპერატურა მერყეობდა და იძულებული გავხდი ჩავწოლილიყავი. მკურნალობის ახალი მეთოდისა და გულმოდგინე მოვლის წყალობით ავადმყოფობის შემდგომი გართულება თავიდან ავიცილეთ. ერთი კვირაა, რაც ლოგინიდან ავდექი და ნელ-ნელა ხელახლა ვუბრუნდები ცხოვრებას.

მაგრამ ჩემი დუმილის მიზეზი მარტო ავადმყოფობა როდი იყო! თქვენ მთხოვთ, სიმართლე გითხრათ. კეთილი. საშინელი ამბავი

გადამხდა თავს: გავიგე, მივხვდი, რომ განწირული ვარ. არაფერი მიშველის. ეს, ალბათ, რამდენიმე თვეს გაგრძელდება. რაც არ უნდა გააკეთონ, ჩემი განკურნება შეუძლებელია!

მხოლოდ ის გამიგებს, ვისაც ასეთი რამ განუცდია. ყოველი საყრდენი წერტილი მაშინვე იმსხვრევა, როგორც კი ასეთი ფაქტის წინაშე აღმოჩნდები!

მაპატიეთ, რომ არ დაგზოგეთ და პირდაპირ მოგახალეთ ჩემი ამბავი. როცა იცი მალე მოკვდები, ყველაფერს გულგრილად, უცხოდ ეკიდები. კიდევ მოგწერთ. დღეს მეტი არ შემიძლია.

თქვენი ანტუანი.

გთხოვთ, ეს ამბავი არავის შეატყობინოთ.

ლე მუსკიე 22 ივნისი, 18

არა, ჩემო კარგო ჟენი, თქვენ რომ გგონიათ (ან განგებ ამბობთ), თითქოს ჩემი შიში უსაფუძვლოა, ეს ასე არაა! ეტყობა, გამბედაობა არ მეყო, დაწვრილებით მეამბნა ყოველივე. შევეცდები დღეს უფრო ვრცლად მოგწეროთ. ფაქტის წინაშე ვდგავარ. ღრმა რწმენის წინაშე. იგი იმ დღეს დამატყდა თავს, თქვენგან წამოსული უკანასკნელად რომ ჩავედი პარიზში და ჩემს ძველ მასწავლებელს, ექიმ ფილიპს ვესაუბრე. პირველად ჩემს ცხოვრებაში, რაღაც გაორება ვიგრძენი საკუთარ თავში, — ამასაც ფილიპის იქ ყოფნას უნდა ვუმადლოდე: ჯერ ერთი, სრულიად ნათლად, ობიექტურად შევძელი გამეანალიზებინა ჩემი დაავადების სახე და მეორეც, — როგორც ექიმმა, დიაგნოზიც დავსვი. ელვისებური სისწრაფით აღმოვჩნდი სინამდვილის წინაშე!

მგზავრობისას დრო თავსაყრელად მქონდა ფიქრისთვის. ხელთა მქონდა ყოველდღიური ჩანაწერები, ავადმყოფობის პირველივე დღიდან რომ ვაწარმოებ. იგი საშუალებას მაძლევს დღითი დღე, შეტევიდან-შეტევამდე თვალი ვადევნო დაავადების გამუდმებულ და რეგულარულ გამწვავებას. ამას გარდა, თანა მქონდა დღიური. ამ ზამთარს რომ შემოვიღე, სადაც თითქმის ყველა კლინიკური დაკვირვება, სამედიცინო რეფერატია შეტანილი, რაც კი ფრანგულ

და ინგლისურ სპეციალურ ჟურნალებში გამოქვეყნებულა გაზით მოწამლულთა მკურნალობის შესახებ. ყოველივე ეს დიდი ხნის წინათაც იყო ჩემთვის ცნობილი, მაგრამ ახლა სულ სხვა, ახალი თვალთახედვით წარმომიდგა. ჰოდა, ყველაფერი ერთხელ კიდევ აღრმავებს ჩემს რწმენას. დაბრუნებისთანავე აქაურ მკურნალ ექიმებს დიდხანს ვეკამათე ჩემი დაავადების თაობაზე. მაგრამ ამჯერად არა როგორც ავადმყოფმა, მკურნალობის ყოველი საშუალებისა რომ სჯეროდა და მაშინვე ეთანხმებოდა ყველაფერს, რაც კი მის ნდობას აღრმავებს, არამედ როგორც გამოცდილმა, დაკვირვებულმა კოლეგამ, ლამაზი ტყუილებით რომ ვეღარ შეაცდენენ. სულ მალე ყველა გამოვიჭირე, მათი ორაზროვანი თავშეკავებულება, მრავლისმეტყველი დუმილი და სანახევრო აღიარება საკვებით გასაგები იყო ჩემთვის.

ასე რომ, ახლა ეს ჩემი რწმენა უდავო საფუძვლებს ეყრდნობა. რაკი შვიდი თვის მანძილზე ინტოქსიკაციის პროცესი, ორგანიზმის გამუდმებული დაშლა მიმდინარეობდა, აღარავითარი შანსი აღარა მაქვს — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — ა რ ა ვ ი თ ა რ ი, რომ ოდესმე გამოვკეთდები. ვერც სტაბილურ, ქრონიკულ—ე. ი. სამუდამო ხეიბრის მდგომარეობაში ვიცხოვრებ (არა: მე ვგევარ ციცაბო კალთაზე დაგორებულ ბურთულას, ყოველ წუთს უფრო მეტი სისწრაფით ჩაგორება რომ უწერია. როგორ მოხდა, ამდენ ხანს რომ მოვიტყუე თავი? ისიც ექიმმა! სასაცილოა პირდაპირ! სანამ გასტანს ეს მდგომარეობა, ამაზე ვერაფერს ვიტყვი, დამოკიდებულია როგორი სიძლიერის იქნება მომავალი შეტევები, რამდენ ხანს გაგრძელდება რემისიის პერიოდი. შემთხვევითი რეციდივების, მკურნალობის დროებითი ეფექტურობის მიხედვით. შემიძლია ვთქვა, რომ ორ თვეს — უკიდურეს შემთხვევაში, ერთ წელიწადს ვიცოცხლებ. ოღონდ ანგარიშსწორების ვადა საბედისწეროა და თანაც, ძალიან ახლო მომავალში აღსრულდება. ზოგჯერ ისიც ხდება, თქვენ რომ „სასწაულს“ უწოდებთ, მაგრამ ჩემს შემთხვევაში — არა. მეცნიერების თანამედროვე დონე არავითარ იმედს არ მაძლევს. მერწმუნეთ, ამას გწერთ არა როგორც ავადმყოფი, საქმეს რომ მუქ ფერებში ხატავს და თან მოსაუბრის ყოველ შეკამათებას იმედის თვალით უყურებს, არამედ კლინიკური მონაცემებით შეიარაღებული ექიმი, ს ა ს ი კ ვ დ ი ლ ო სენის პირისპირ რომ დგას. და თუ ამის შესახებ მშვიდად გწერთ, ეს... 23 ი ვ ნ ი ს ი. —

ვაგრძელებ წერილს, გუშინ ვერ დავამთავრე. ჯერჯერობით ვაჟკაცობა არ მყოფნის, ხანგრძლივ დაძაბულობას გავუძლო. აღარც კი მახსოვს, რა მინდოდა კიდევ მომეწერა. ჰო, ვამბობდი, მშვიდად-მეთქი... ბედისწერის მიმართ ამ შედარებით სიმშვიდეს (ვაი რომ, ძალიან მყიფეა ეს სიმშვიდე!) დიდი სულიერი ბრძოლის შედეგად მივაღწიე.

მთელი დღეების, უძილო ღამეების განმავლობაში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს უფსკრულის ფსკერზე ვეგდე. ჯოჯოხეთური წამება: ამაზე ისე ვერ მიფიქრია, ცივმა ჟურუანტელმა არ დამიაროს, მთელი სხეული არ ამიკანკალდეს, წარმოუდგენელი ამბავია. ადამიანის გონება როგორ უძლებს? ანდა, რა იდუმალი გზით გადადის სასოწარკვეთისა და აღშფოთების ამ პაროქსიზმიდან — შეგუების მდგომარეობამდე? ამის ახსნა არ შემიძლია. გამოდის, ფაქტის სინამდვილეს უსაზღვრო გავლენა ჰქონია რაციონალისტურად განწყობილ გონებაზე! გამოდის, ადამიანის ბუნებას შეგუების არაჩვეულებრივი უნარი ჰქონია, რაკი შეუძლია ამ აზრსაც კი შეეჩვიოს: იძულებული ხარ სიცოცხლეს გამოეთხოვო, თუმცა ჯერ ვერც მოგისწრია ცხოვრება ამქვეყნიდან ისე უნდა გაქრე, სინამდვილედ ვერ აქცევ მთელ იმ ვეებერთელა შესაძლებლობას, საკუთარ თავში რომ ატარებ. სხვათა შორის, ამ ევოლუციის ყოველი ეტაპის აღდგენა მაინც მიჭირს. იგი დიდხანს გრძელდებოდა. ღრმა სასოწარკვეთას დროდადრო გაოგნება ცვლიდა. ეს რომ არა, ასეთ უიმედობას ვერც ავიტანდი. მრავალი კვირის განმავლობაში ფიზიკური ტკივილები და აუტანელი მკურნალობა შვებად მევლინებოდა სხვა, ნამდვილ ტანჯვასთან შედარებით. მარწუხები ნელ-ნელა მოეშვა. ბედის დამორჩილებას არაფერი შეედრება, არც სტოიციზმი და არც გმირობა. ეს უმალ მგრძნობელობის ერთგვარი დაკარგვაა, რასაც სუსტი რეაქცია და გულგრილობა, ან უკეთ, გაოგნება მოჰყვება. არც ჩემს ნებისყოფას აქვს მნიშვნელობა. რამდენიმე დღეა მხოლოდ, რაც ნებისყოფის ვარჯიში დავიწყე, ვცდილობ რაც შეიძლება გავიგრძელო ეს აპათია, ვცდილობ ნელ-ნელა ჩაედგე კალაპოტში. ვცდილობ კაეშირი აღვადგინო ირგვლივ მყოფ სამყაროსთან. ლოგინიდან წამოვდექი, რომ აღარ დავინახო ჩემი საწოლი, ჩემი პალატა. თავს ძალას ვატან, საერთო სუფრასთან ვსადილობ. დღეს ამხანაგებს ვუყურებდი ერთხანს, ბრიჯს თამაშობდნენ. ხოლო საღამოს, აი წერილსა გწერთ და უნდა გამოგი-

ტყდეთ, არც მიჭირს; მეტსაც გეტყვით: რაღაც უცნაური და ჩემთვის ახალი კმაყოფილებითაც ვაკეთებ ამას. წერილის დასამთავრებლად გარეთ გამოვედი, კიპარისების ხეივანში ვზივარ, ჩრდილში. კვირა დღეა და სანიტრები კეგლს თამაშობენ. მეგონა, მათთან სიახლოვეს, მათ კამათს, სიცილს ვერ ავიტან-მეთქი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე დავრჩენილიყავი და კიდეც დავრჩი. როგორც ხედავთ, წონასწორობას ნელ-ნელა აღვიდგენ.

მიუხედავად ამისა, ამდენმა ძალდატანებამ დამქანცა. ხელახლა მოგწერთ. თუკი ჩემს გონებას კიდევ შეუძლია ინტერესი გამოიჩინოს ვინმეს მიმართ, მე მხოლოდ თქვენზე და თქვენს ბავშვზე ვფიქრობ.

ანტუანი

ლე მუსკიე, 28 ივნისი.

ამ დილით რამდენჯერმე გადავიკითხე თქვენი წერილი, ჩემო კარგო ჟენი. იგი არა მარტო უბრალო და მშვენიერია, სწორედ ისეთია, როგორსაც ვნატრობდი. სწორედ ასეთი ბარათი მინდოდა მომეღო თქვენგან. ვგრძნობდი კიდეც, ასეთ წერილს მომწერდით. მერე დაღამებას დაველოდე, მინდოდა სიჩუმე ჩამოწოლილიყო და აი, კიდეც გწერთ პასუხს: ახლა ყოველგვარი პროცედურები მოთავებულია, მორიგე სანიტარმა პალატები შემოიარა, და წინ უძილობა და აჩრდილები მელოდება... თქვენი წყალობით თავს ვგრძნობ... კინაღამ დავწერე, მხნედ-მეთქი. ოღონდ სიმხნევეში არაა საქმე, სიმხნევე არც მჭირდება; შეიძლება, უბრალოდ ვინმე ახლობლის ჩემთან ყოფნა მჭირდებოდეს, მარტოდ რომ არ ვიგრძნო თავი იმ გარდაუვალის პირისპირ, რამდენიმე თვეს რომ გაგრძელდება, ალბათ. და დაშიჯერებთ? სულაც არ მინდა ეს რამდენიმე თვე მალე გავიდეს. ვადის გადადებაზე უარს არ ვამბობ! თვითონვე მიკვირს. თქვენც ხომ იცით, შემიძლია ერთბაშად მოვუღო ბოლო ყოველივე ამას! მაგრამ ამ საშუალებას ბოლოსთვის ვინახავ. ჯერ არაა საჭირო! ვადის გადადებაზე უარს არ ვამბობ, კიდეც ვებღაუჭები მას. უცნაურია, არა? ეტყობა, ძნელია მოწყდე ცხოვრებას, როცა იგი ასე ძალიან გიყვარდა! მით უმეტეს, როცა გრძნობ, ხელიდან გეცლება.

ხეს რომ მეხი დაეცემა, მისი წვენი რამდენიმე გაზაფხულის მანძილზე მაინც განაგრძობს არსებობას და ფესვებიც დიდხანს, ნელ-ნელა კვდებიან.

მიუხედავად ამისა, თქვენს მშვენიერ წერილს ერთი რამ აკლია, ჟენი: ბიჭზე არაფერს მწერთ. მხოლოდ ერთხელ, წინა წერილში მატყობინებდით მის ამბავს. მაგრამ მაშინ ისეთი თავზარდაცემული ვიყავი, ისე მქონდა ჩაქნეული ხელი ყველაფერზე, მთელი დღე, იქნებ მეტხანსაც, კონვერტი არ გამიხსნია. ბოლოს, როგორც იქნა ხელში ავიღე, წავიკითხე და ჟან-პოლის ამბავიც გავიგე. მაშინ პირველად მომშორდა აკვიატებული ფიქრი, მოჯადოებული წრე გავარღვიე, საკუთარი ინტერესები მივივიწყე, ყურადღება სხვაზე გადავიტანე და გარე სამყარო ხელახლა შევიგრძენი. იმის შემდეგ ხშირად ვფიქრობ ბიჭზე. მეზონში ყოფნისას ვნახე იგი, ხელით შევეხე, მოვისმინე მისი სიცილი, ჩემს თითებს აქამდე შემორჩა მისი კუნთების თრთოლა; როცა მასზე ვფიქრობ, მაშინვე ნათლად მიდგება თვალწინ. მაშინვე იწმინდება ყოველი ფიქრი, მომავალზე ფიქრი. თვით სიკვდილმისჯილი, ვისაც სიკვდილი კარს მოდგომია, ისიც კი აწყობს გეგმებს, იმედოვნებს! ჩემს ფიქრებში ეს ბავშვი არსებობს, ცხოვრებაში ახლად იდგამს ფეხს, მთელი მომავალი წინ აქვს, ამიტომაც ჩემს წინაშეც იხსნება რაღაც სინათლე, თუნდაც აკრძალული! შესაძლებელია, ყოველივე ეს ავადმყოფის ოცნებებია! მით უარესი! გულისაჩუყებისა ახლა უფრო ნაკლებ მეშინია, ვიდრე ოდესმე. (ესეც უეჭველად, ავადმყოფის სისუსტეა!). მე ისე ცოტა ხანს მძინავს! ჯერჯერობით თავს ვიკავებ საძილე საშუალებებისგან. სულ მალე ხშირ-ხშირად მომიწევს მათი მოშველიება.

მეთოდურად გავნაგრძობ ცხოვრებასთან შეგუების ცდას. ნებისყოფის ვარჯიში თავისთავად უკვე კეთილმყოფელია. გაზეთების კითხვა ხელახლა დავიწყე. ორი. ფონ კიულმანის სიტყვა რაიხსტაგში. მან ზუსტად განაცხადა, სანამ ხალხი წინასწარ ჩათვლის, რომ მოწინააღმდეგის ყოველი წინადადება რაღაც მანევრია, დემორალიზაციის ცდაა, მშვიდობა არასოდეს დამყარდებაო. მოკავშირეთა პრესა კვლავაც ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს ხალხი. მაგრამ კიულმანის სიტყვა სულაც არაა „აგრესიული“: იგი უმალ შემრიგებლური და მრავლისმეტყველია.

(ამ სტრიქონებით თავი მოგაწონეთ. ომზე ფიქრი ჯერ კიდევ არ ჩამქრალა ჩემში, და მგონი სიკვდილამდეც გამყვება. მიუხედავად

ამისა, ჯერჯერობით იძულებული ვარ, თავს ძალა დავატანო!)

ვამთავრებ. ამ ლაყბობამ შვება მომიტანა, მალე კიდევ გაგესაუბრებით. ჭენი, წინათ სულ არ ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორი სითბო მომიტანა თქვენმა წერილმა. მივხვდი, თქვენს გარდა სხვა მ ე გ ო ბ ა რ ი მე არა მყავს ამქვეყნად.

ანტუანი.

ლე მუსკიე, 30 ივნისი

ჩემო კარგო ჭენი, უნდა გაგაოცოთ! იცით, წუხელ რას ვაკეთებდი? გამოანგარიშებებით, საბუთების გადასინჯვით, საქმიანი წერილების წერით ვიყავი გართული. ბოლო ხანს ეს იყო ჩემი საფიქრალი. ვერ ვითმენდი, მინდოდა სასწრაფოდ მომეგვარებინა ზოგიერთი მატერიალური საკითხი. მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ საქმეებს წესრიგში დავტოვებდი. სულ მალე ასეთ რამეს ვეღარ შევძლებ. ასე რომ, მომენტით უნდა ვისარგებლო, სანამ ჯერ კიდევ რაღაც ინტერესს იწვევს ჩემში მსგავსი საქმიანობა.

მაპატიეთ ამ წერილის ტონი. მინდა ჟან-პოლის მეურვე გათვითცნობიერებული იყოს ჩემი საქმეებით, რადგან ბუნებრივია, რაც კი გამაჩნია, ამ ბავშვის საკუთრებაში უნდა გადავიდეს.

თუმცა, ბევრი აღარაფერი მაქვს. მამაჩემის აქციებიდან თითქმის აღარაფერი შემრჩა. საკმაოდ დიდი თანხა დავხარჯე პარიზში სახლის გადაკეთების დროს. მერე გაუფრთხილებლობა გამოვიჩინე და დანარჩენი ფული რუსულ აქციებად დავაბანდე, რაც ჩემი აზრით, სამუდამოდ დაკარგულად უნდა ჩავთვალოთ: კიდევ კარგი, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე სახლი და მეზონ-ლაფიტის აგარაკი განადგურებას გადაურჩა.

რაც შეეხება უძრავ ქონებას, იგი ან უნდა გაიყიდოს ან გაქირავდეს. მიღებული თანხა შესაძლებლობას მოგცემთ, როგორმე თავი გაიტანოთ და ბიჭუნას ჯეროვანი განათლება მისცეთ. ფუფუნებაში ცხოვრება არ მოუწევს. მით უკეთესი. თუმცა არც გაჭირვებაში მოუხდება ყოფნა, ასე ძალიან რომ ფიტავს სულსა და გულს.

გირჩევთ, ომის დამთავრების შემდეგ მეზონის აგარაკი გაყიდოთ.

იქნებ ვინმე სქელჯიბიანი კაცი მოიხიბლოს — უკეთესი პატრონის ღირსი არცაა. როგორც დანიელმა მითხრა, დედათქვენის აგარაკი მრავალჯერ ყოფილა დაგირავებული. ასე მგონია, ქალბატონ დე ფონტანენსა და თქვენც, ეს აგარაკი გიყვართ. მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა ტიბოს აგარაკის გაყიდვით მიღებული თანხა თქვენი აგარაკის გამოსყიდვისთვის მოგეხმარებიათ? ამ გზით, თქვენი მშობლების მამული ჟან-პოლის საკუთრებაში გადავიდოდა. თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს ჩემი ჩანაფიქრი, ამაზე ნოტარიუსს მოველაპარაკები.

როგორც კი ჩემს შემოსავალს მიახლოებით ვიანგარიშებ, პატარა რენტას ჟიზს გამოვუყოფ; შვილის სრულწლოვანებამდე თქვენ მოგიხდებათ მთელი საქმეების წარმოება, ჩემო საბრალო მეგობარო. ჩემი ნოტარიუსი, ბატონი ბეინო ძალიან პატიოსანი ყმაწვილია, მართალია ცოტათი ფორმალისტია, სამაგიეროდ საიმედო კაცია და რაც მთავარია, კარგი მრჩეველიცაა.

აი, ეს მინდოდა მომეწერა თქვენთვის. ახლა შემიძლია შვებით ამოვისუნთქო. ამ თემაზე მეტს აღარ ვილაპარაკებ, სანამ უკანასკნელი მითითების დრო არ დადგება. მაქვს კიდევ მეორე ჩანაფიქრი, ამ ბოლო ხანს მოსვენებას რომ არ მაძლევს: ეს პირადად თქვენ გეხებათ! ძალიან დელიკატური საკითხია, მაგრამ იძულებული ვარ, მაინც გაგიზიაროთ. ოღონდ დღეს არა, გამბედაობა არ მყოფნის.

ამ დილით, მთელი ორი საათი, ზეთისხილის ხეების ჩრდილში ვიჯექი და გაზეთებს ვკითხულობდი. რას უნდა ნიშნავდეს გერმანელთა არმიის უმოქმედობა? ეტყობა, მონდიდიესა და უაზის შორის გაწეულმა წინააღმდეგობამ ხელ-ფეხი შეუკრა! ამას გარდა, ავსტრიელთა დამარცხებაც გულთან ახლოს მიიტანეს. თუკი ზაფხულის თვეებში ცენტრალური სახელმწიფოების მცდელობა ამერიკელების ჩამოსვლამდე გადამწყვეტ წარმატებას არ მოუტანთ, შესაძლებელია მდგომარეობა შეიცვალოს. მოვესწრები კი ამის ნახვას? ხომ იცით, ადამიანი მუდამ ფიქრობს, ვითარება, საიდანაც ისტორია იქმნება, საშინელი ზლაზვნით მიმდინარეობსო. მეც სწორედ ეს მტანჯავდა მთელი ამ ოთხი წლის მანძილზე. მით უმეტეს, რაღა უნდა თქვას იმ ადამიანმა, ვისაც დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია?!

მიუხედავად ამისა, მინდა გითხრათ, რომ ამჟამად უკეთა ვარ. იქნებ ახალი შრატის შედეგია? სულის ხუთვა ნაკლებ მტკივნეულად მიმდინარეობს, ციებ-ცხელებაც ისე ხშირად აღარ მიტევს. ასე-

თია ჩემი ფიზიკური მდგომარეობა. რაც შეეხება „მორალურს“, — ჩვენი სარდლობა ამ ჩვეულებრივი ტერმინით განსაზღვრავდა სასაკლაოზე გასაგზავნი ჯარისკაცების პასიურობას, — ისიც უკეთესად გამოიყურება. შესაძლებელია, ეს თქვენც იგრძნოთ ამ ჩემი ბარათიდან! ყოველ შემთხვევაში, ვრცელი წერილი იმას მოწმობს, რომ თქვენთან გასაუბრება დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ე რ თ ა დ ე რ თ სიამოვნებას! კმარა. პროცედურებზე წასვლის დროა. თქვენი მეგობარი.

ა.

ამ მკურნალობასაც ისეთივე კეთილსინდისიერებით ვემორჩილები, როგორც წინანდელს. სასაცილოა არა? მკურნალი ექიმი საოცრად შეიცვალა ჩემს მიმართ. ასე მაგალითად, იგი ამჩნევს უკეთ რომ ვარ, მაინც ვერ ბედავს ამის თქმას და მეც აღარ მესმის ჩვეულებრივი: „ხომ ხედავთ?...“ და სხვა და სხვა. სამაგიეროდ უფრო ხშირად მოდის ჩემს სანახავად, მოაქვს გაზეთები, ფირფიტები, ყოველნაირად ცდილობს გამოამჟღავნოს ჩემდამი კეთილი განწყობილება. აი, თქვენი შეკითხვის პასუხი. არსად ისე არ გამიადვილდებოდა ლოდინი და შეხვედრა სიკვდილთან, როგორც აქ!

ჰოსპიტალი 23, რუაიანი (ქვემო შარანტი)
29 ივნისი, 1918

ბატონო ექიმო,

გვინეიდან 1916 წლის შემოდგომაზე გამოვემგზავრე და პატივი მქონდა, ამა წლის მაისში გამოგზავნილი თქვენი წერილი მხოლოდ ახლა მიმეღო რუაიანში, სადაც მოწყალების დად ვმუშაობ ქირურგიულ განყოფილებაში. მაგონდება, მართლაც მე გამოვგზავნე ის ამანათი, წერილში რომ ახსენებთ. მაგრამ დაწერილებით ვერ გამიხსენებია ყველაფერი, რომ ყველა თქვენს შეკითხვას ვუპასუხო. მანდილოსანს, რომელმაც ამანათის გამოგზავნა დამავალა, პირადად არ ვიცნობდი. იგი ჩვენს ჰოსპიტალში მოიყვანეს ძალიან მძიმე მდგომარეობაში: ყვითელი ხურვება შეყროდა და მიუხედავად ექიმი ლან-

სელოს მცდელობისა, რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. თუ არ ვცდები, ეს იყო 1915 წლის გაზაფხულზე. ისიც მაგონდება, ავადმყოფობის გამო, პაკეტბოტიდან, გავლით რომ ჩამოდგა კონაკრში, სასწრაფოდ გადმოსვეს. ერთ ღამეს მე ვმორიგეობდი, ავადმყოფი ცოტა ხნით გონს მოვიდა, — მანამდე სულ ბოდავდა, — და ის ნივთი და თქვენი მისამართი გადმომცა. დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ წერილის მოწერა არ დაუვალებია. ეტყობა, გემზე სულ მარტო ყოფილა, რადგან იმ ორ-სამ დღეში, სანამ აგონია გრძელდებოდა, მის სანახავად არავინ მოსულა. თუ არ ვცდები, ევროპიელთა სასაფლაოზე, საერთო სამარეში უნდა იყოს დასაფლავებული. ჰოსპიტლის დირექტორს, ბატონ ფაბრის (თუკი ისევ იქაა) შეუძლია მოძებნოს ჟურნალში ჩანაწერი და იმ მანდილოსნის გვარი და გარდაცვალების ზუსტი თარიღი შეგატყობინოთ. ვწუხვარ, პირადად მე სხვა არაფერი რომ არ შემიძლია გაცნობოთ.

მიიღეთ ბატონო ექიმო, ჩემი უღრმესი პატივისცემა

ლუსი ბონე.

წერილი ხელახლა გავხსენი: მინდა კიდევ ერთი ამბავი გითხრათ. მგონი, სწორედ იმ მანდილოსანს დიდი, შავი ბულდოგი ჰყავდა და ირტს თუ ირშს ეძახდა: როგორც კი გონს მოვიდოდა, მაშინვე მას უხმობდა. ლაზარეთში ძაღლის გაჩერება შეუძლებელი იყო, რადგან ჯერ ერთი, ეს აკრძალულია, მეორეც — ძალიან ავი ძაღლი იყო. ერთმა ჩვენმა ამხანაგმა, მოწყალების დამ შინ წაიყვანა, მაგრამ ისე გააწვალა, ვერაფერი მოუხერხა და იძულებული გახდა მოეწამლა.

XVI

ანტუანის დღიური
ივლისი

ლე მუსკიე, 2 ივლისი,

1918

გათენებისას რამდენიმე წუთით ჩამთვლიმა და სიზმარში ჟაკი ვნახე. ახლა შეუძლებელია თანმიმდევრობით აღვადგინო ნანახი. ამ-ბავი უნივერსიტეტის ქუჩაზე, პირველ სართულზე ხდებოდა. მეხსი-ერებაში აღმიდგა ის დრო, ერთად რომ ვცხოვრობდით, ახლოს ვი-ყავით ერთმანეთთან. სხვა მოგონებებიდან: დღე, როცა ჟ. გამასწო-რებელი სახლიდან გამოვიდა, როცა ჩემს ბინაში გადმოვიყვანე. ეს მოხდა ჩემი სურვილით, მინდოდა მამაჩემის ზედამხედველობა ამე-შორებინა მისთვის. მიუხედავად ამისა, მტრული, საძაგელი გრძნობა, ეგოისტური სინანული ვერ მოვიშორე თავიდან. კარგად მახსოვს, რასაც იმ ხანებში ვფიქრობდი:“ კეთილი, იცხოვროს ჩემთან, ოღონდ იმ პირობით, რომ ჩემი ჩვეულებები არ დამარღვევინოს, მუშაობაში, წარმატებაში ხელი არ შემიშალოს!“ წ ა რ მ ა ტ ე ბ ა! მთელი ცხოვრების მანძილზე მინამღერივით ისმოდა ეს სიტყვა: წ ა რ მ ა-ტ ე ბ ა! ჩემი დევიზი, ერთადერთი მიზანი, თხუთმეტი წლის მცდე-ლობა... ახლა კი, ამ დილით, ამ საწოლზე ეს სიტყვა — წ ა რ მ ა ტ ე-ბ ა!? ბედის რა დაცინვაა!

* * *

ეს რვეული. გუშინ ჩემი თხოვნით ჩვენმა მნემ ეს რვეული გრა-სის წიგნის მაღაზიაში მიყიდა. ავადმყოფის ბავშვური საქციელია, ალბათ. ამასაც ვსინჯავ. ჟენისადმი მიწერილი წერილებით დავრწმუნ-დი, რაოდენ შვებას ვგრძნობ საკუთარი აზრების ქაღალდზე გადმო-ტანით. არასოდეს, თექვსმეტი წლის ასაკშიც კი, ფრედის, ჟერბრონი-სა და სხვათა მსგავსად, დღიური არ მქონია; ცოტა დამიგვიანდა!

თუმცა ეს დღიური კი არაა, თუ სურვილი მექნება, იმ აზრებს ჩავინიშნავ, მოსვენებას რომ არ მომცემს. რა თქმა უნდა, ჰიგიენური მოსაზრებით. უძილობით გატანჯული ავადმყოფის გონებაში ყოვე-ლი აზრი აკვიატებული ხდება. წერა შვების მომტანია. ამას გარდა,

თავშესაქცევიცაა, დროის მოკვლა ადვილია! (დროის მოკვლა-მეთქი, მე ვამბობ ამას? მე, რომელსაც ოდესღაც მიმაჩნდა, დრო ძალიან მოკლეა-მეთქი?! თვით ფრონტზეც კი, თვით ამ ზამთარშიც კლინიკაში ყოფნისას, მუდამ ისე დაძაბული ვიყავი, როგორც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე: უსაქმოდ ერთი საათი არ გამიტარებია, დროის გასვლას ყურადღებას არ ვაქცევდი, აწმყოზე წარმოდგენა არ მქონდა. იმის შემდეგ, რაც მივხვდი, რომ ჩემი დღეები დათვლილია, მხოლოდ ამის შემდეგ მეჩვენება დრო დაუსრულებლად!). და იმის შემდეგ, რაც მივხვდი, რომ ჩემი დღეები დათვლილია, მხოლოდ ამის შემდეგ მეჩვენება დრო დაუსრულებლად!)

ღამე თითქმის მშვიდად გავატარე. ამ დილით 37,7

საღამო.

სულისხუთვა გამიხშირდა. ტემპ. 38,8. ნეკნებშორისი ტკივილები. პლევრის მხრივ რაიმე საშიშროება ხომ არ მელის?

მოჩვენებები მოვიშოროთ, ქაღალდზე მივაკრათ.

მემკვიდრეობაზე ფიქრი მთელი დღე არ მასვენებდა. საჭიროა სიკვდილის ორგანიზირება (ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა — რა უდრეკი საზრუნავია! მაგრამ საქმე ეხება ბიჭს და არა მე!). ათჯერ ვიანგარიშე და გადავიანგარიშე: მეზონის აგარაკის გაყიდვა, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე სახლის გაქირავება, ლაბორატორიის მოწყობილობის გაყიდვა. იქნებ რომელიმე ქიმიური წარმოებისთვის მიგვექირავებინა სახლი? ამ საქმეს შტუდლერი იკისრებდა. ან თუ არა, აპარატურის დაშლასა და მყიდველის პოვნას მაინც მოახერხებდა.

შტუდლერი არ დაგვავიწყდეს. ომის დამთავრების შემდეგ უსახსროდ და უმუშევრად დარჩება.

შტუდლერსა და ჟუსლენს მითითებები უნდა მივცე დოკუმენტებისა და ტესტების თაობაზე (ფაკულტ-ის ბიბლიოთ.?)

8 ივლისი.

ლუკმა სისხლის ანალიზის შედეგი მაცნობა. უდავოდ ცუდია. ბარდო იძულებული გახდა ეღიარებინა: „დასაკვეხნი არაფერია!“ როცა სენ-დიზიეში პირველი ჭრილობის შემდეგ გამოვკეთდი, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, მაგარი აღნაგობა მაქვს-მეთქი! რო-

გორ ვამაყობდი ჩემი სისხლის თვისებით, სწრაფ შეხორცებას ხელს უწყობს-მეთქი! ეს ჟაკის სისხლიცაა. ტიბოთა სისხლი!

პლევრაზე გართულების თაობაზე სიტყვა გადავუკარი ბარდოს. „ესლა მაკლია, დაჩირქება დამეწყოს...“. ჩვენმა კეთილმა გოლიათმა მხრები აიჩეჩა, ყურადღებით გამსინჯა და მითხრა, საშიში არაფერიაო.

ტიბოთა სისხლი. ჟან-პოლის სისხლი. ჩემი მშვენიერი, წინანდელი სისხლი; ჩვენი სისხლი ახლა ამ ბიჭის ძარღვებში ჩქეფს.

ომის დროს ერთხელაც არ მიფიქრია სიკვდილზე. არც ერთხელ, წამითაც არ მიფიქრია გამეწირა საკუთარი ტყავი. ახლაც ასეა: მსხვერპლის გაღებაზე უარს ვამბობ. ილუზიების შექმნა აღარ შემიძლია, იძულებული ვარ ვაღიარო, გარდაუვალს უნდა დაველოდომეთქი; მაგრამ მორჩილებით დ ა თ ა ნ ხ მ ე ბ ა ან თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ნამდვილად არ შემიძლია!

ნაშუადღევი.

კარგად ვიცი, რაში უნდა გამომჟღავნდეს გონება, სიბრძნე, რაში უნდა გამომჟღავნდეს ღ ი რ ს ე ბ ა: შეგეძლოს ხელახლა აღიქვა სამყარო და მისი განუწყვეტელი ჩამოყალიბება! ოღონდ არა ჩემსა და ჩემი მოახლეებული სიკვდილის მიღმა. დავიმახსოვროთ: მე მხოლოდ სამყაროს უმნიშვნელო ნაწილაკი ვარ. განიორწყალებული ნაწილაკი. მით უარესი. რა არის ეს იმასთან შედარებით, რაც ჩემს შემდეგ გაგრძელდება?

უმნიშვნელოა, დიახაც! მაგრამ რა ბევრის მომასწავებელი იყო იგი ჩემთვის!

მაინც ვცადოთ!

პ ი რ ა დ უ ლ ს დ ა ბ რ მ ა ვ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ა რ მ ი ვ ც ე თ!

4 ივლისი.

ამ დილით სასიამოვნო წერილი მივიღე ჟენისგან. შესანიშნავ ამბებს იწერება შვილზე. თავი ვერ შევიკავე და გუარანს, თავის ორ ბიჭუნაზე შეშლილი რომაა, ჟენის წერილიდან ადგილები წავუკითხე. უნდა მივწერო ჟენის, სურათი გადაუღოს.

უნდა გავბედო და ი ს წ ე რ ი ლ ი ც გავუგზავნო ჟენის. ძნელია. ველოდები, მშვიდი ღამე როდის მექნება და...

ნამდვილად სასწაულია — სხვა სიტყვა ვერ მომიძებნია — ამ ბავშვის გაჩენა სწორედ იმ მომენტში, როცა ორივე შტო — მამისა და დედის მხრიდან, ფონტანენები და ტიბო—საცაა ისე გაქრება, არაფერი საგულისხმო არც ერთს არ შეუქმნია! რა თვისებები გამოჰყვა დედისგან? იმედი მაქვს, რაც კი კარგი რამ ჰქონდა! მაგრამ ერთი რამ უდავოა ჩემთვის: ბავშვი ჩვენი სისხლისაა. თავდაჯერებული, ნებისყოფიანი, ჭკვიანი, ჟაკის შვილი. ნამდვილი ტიბო!

მთელი დღე მასზე ვფიქრობდი. დანიშნულ დროს, მაცოცხლებელი წვენის ეს მოულოდნელი მოზღვავება ახალ ტოტს აღმოაცენებს ჩვენი ძირკვიდან... განა სისულელედ ჩაითვლება, თუკი წარმოიდგენ, რომ ეს არის ბედის განზრახვის ერთგვარი განხორციელება? ალბათ, საგვარეულო სიამაყეა! იქნებ სწორედ ეს ბავშვია წინასწარი დანიშნულების ობიექტი? რატომაც არა? იქნებ მთელი მოდგმის რაღაც ბუნდოვანი მისწრაფების დაბოლოებაა, რათა შეიქმნას ტიბოს საგვარეულოს სრულყოფილი ტიპი? იქნებ გენიაა, რომლის შექმნა ბუნებამ აუცილებლად უნდა მოახერხოს და რომლის პირველსახე მამაჩემი, ჩემი ძმა და მე ვიყავით? ეს მოუდრეკელი სიშმაგე, ეს სიძლიერე, ჩვენში რომ უკვე იყო, სანამ მის ბუნებაში გადავიდოდა, რატომ არ უნდა გადაიზარდოს ჭეშმარიტ შემოქმედებათ ძალაში?

შუაღამე.

უძილობა. „შესალოცი“ აჩრდილები.

უკვე თვენახევარი, შვიდი კვირაა ვიცი, რომ განწირული ვარ. ჩემს მიერ დაწერილი ეს სიტყვები: „ვიცი, რომ განწირული ვარ!“ სხვა დანარჩენ სიტყვებსა ჰგავს და ყველას ჰგონია, მათი მნიშვნელობა ესმით. მაგრამ ვერავინ, გარდა სიკვდილმისჯილისა მათ აზრს ვერ ჩასწვდება... ეს გახლავთ თავზარდამცემი გადატრიალება, ერთბაშად რომ ფიტავს ადამიანს.

მიუხედავად ამისა, ექიმი, რომელიც მუდმივ კონტაქტშია სიკვდილთან, უნდა... სიკვდილთანო? სხვის სიკვდილთან! რამდენჯერ შეეცადე გამომეძებნა შეგუების ამ ფიზიკური შეუძლებლობის მიზეზი (რაც, ეტყობა, ჩემი სიცოცხლისუნარიანობის თავისებური ხასიათითაა განპირობებული! ეს აზრი ამ საღამოს მომივიდა.).

ამ ადრინდელ სიცოცხლისუნარიანობას, — ამ აქტიურობას, ასე ძალიან რომ მინდოდა შემენარჩუნებია, — ამ მუდმივი შებრძოლე-

ბის უნარს, უმეტესწილად მივაწერ ჩემს მოთხოვნილებას—როგორმე შემოქმედებაში მქონოდა გაგრძელება: „მეცოცხლა ფიზიკურ ცხოვრებაზე მეტხანს“. უკვალოდ გაქრობისადმი ინსტინქტური შიში (რა თქმა უნდა, ეს ყველას ახასიათებს, ოღონდ სხვადასხვანაირად). ჩემში ეს არის მემკვიდრეობითი ნიშანი. ბევრი ვიფიქრე მამაჩემზე. მისი აკვიატებული სურვილი — თავისი სახელი მიეცა გამასწორებელი სახლებისათვის, კარგი ქცევით მიღებული ჯილდოებისთვის, კრუის დიდი მოედნისათვის. სურვილი (ეს კიდეც განახორციელა) თავისი გვარი დაენახა გამასწორებული სახლის აბრაზე („დ ა ა რ ს ე ბ უ ლ ი ა ო ს კ ა რ-ტ ი ბ ო ს მ ი ე რ“). სურვილი — თავისი სახელი (ერთადერთი რამ, რაც მის საბუთებში პირადად მას ეკუთვნოდა მხოლოდ) დაერქვათ მთელი მისი შთამომავლებისთვის და სხვ. და სხვ. ერთგვარი მანია — მისი მონოგრამა ჰქონოდა ყველაფერს: ბაღის ჭიშკარს, ჭურჭელს, წიგნის ყდას და სავარძელზე გადაკრულ ტყავსაც კი!.. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მესაკუთრის ინსტინქტი (ან, როგორც მე მაშინ ვფიქრობდი, პატივმოყვარეობის გამოვლინება). ეს იყო გასაოცარი მოთხოვნილება, ებრძოლოს გაქრობას, დასტოვოს თავისი კვალი (ეტყობა, იმქვეყნიური ცხოვრება არ აკმაყოფილებდა). ეს მოთხოვნილება მეც მივიღე მემკვიდრეობით. მეც მქონდა ფარული იმედი, ჩემი სახელი რაიმე ისეთ შემოქმედებასთან, აღმოჩენასთან დამეკავშირებინა, ჩემზე დიდხანს რომ იცოცხლებდა.

ა რ ა, ს ა კ უ თ ა რ მ ა მ ა ს ვ ე რ დ ა უ ს ხ ლ ტ ე ბ ი ხ ე ლ ი დ ა ნ!

შვიდი კვირაა, ორმოცდაათი დღე და ორმოცდაათი ღამეა, რაც რ წ მ ე ნ ა ს თ ა ნ პირისპირა ვარ! არც ერთი წუთით არც ყოყმანი, არც ეჭვი, არც ილუზია. მიუხედავად ამისა — აი, სწორედ ეს მინდოდა აღმენიშნა — ამ აკვიატებულ აზრში მაინც იგრძნობა ერთგვარი გადავადება: ხანმოკლე ინტერვალები, დავიწყებისა კი არა, არამედ აკვიატებული აზრის უკან დახევისა... ზოგჯერ, — უფრო და უფრო ხშირად, — რამდენიმე წუთით, ორი-სამი, არაუმეტეს ოცი წუთისა, ისე ვცხოვრობ, სიკვდილის ღრმა რწმენა პირველ პლანზე აღარაა წამოწეული, ერთგვარ ბურუსშია გახვეული. აი, მაშინ შემიძლია ვიმოქმედო, ყურადღებით წავიკითხო, ვწერო, ყური დავუგდო, ვიკამათო, ერთი სიტყვით, ჩემი მდგომარეობისათვის უცხო საკი-

თხებით დავინტერესდე, თითქოს და, რაღაც შებოჭილობისგან ვთავისუფლდები; მიუხედავად ამისა, ის აკვიატებული აზრი მაინც არსებობს, მე მას მეორე პლანზე, მოფარებულში ვგრძნობ (ეს შეგრძნება ძილშიც მაქვს).

6 ივლისი, დილა.

ხუთშაბათიდან უკეთა ვარ. ტკივილები თუ არ მაწუხებს, ყველაფერი ლამაზია, კარგია ირგვლივ. დილის გაზეთებში სტატია წავიკითხე იტალიელთა წარმატების შესახებ პიავის* დელტაზე და ასეთი სიამოვნება დიდი ხანია არ მიმიღია. კარგი ნიშანია.

გუშინ არაფერი დამიწერია. ბაღში რომ ჩავედი, მომაგონდა რვეული პალატაში დამრჩა. ასვლა დამეზარა და მთელი ნაშუადღევი თითქოს რაღაც მაკლდა. ეტყობა, ამ თავშექცევას უკვე მივეჩვიე.

დღეს კი დრო აღარა მაქვს. ბევრი შენიშვნაა ჩასაწერი შავ უბის წიგნაკში. ვატყობ, რაც დღიური შემოვიღე, ჩანაწერების გაკეთებას ნელ-ნელა მოვეშვი. შენიშვნებით ვკმაყოფილდები. თუმცა უბის წიგნაკი გაცილებით მნიშვნელოვანია, პირველი ადგილი სწორედ მას უნდა ეჭიროს. ყოველივე ორ ნაწილად უნდა გაიყოს: დ ღ ი უ რ ი — „აჩრდილებისათვის“ და უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი — ავადმყოფობის მსვლელობის, მეორადი რეაქციების, ინტოქსიკაციის პროცესის, ბარდოსა და მაზესთან კამათის ჩასანიშნავად და სხვ. ამ შენიშვნების მნიშვნელობას არ ვაჭარბებ, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ გაზით მოწამლულის მიერ წარმოებული ყოველდღიური ჩანაწერები, მით უფრო თუ იგი ექიმია, მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე კლინიკური დაკვირვების უდავოდ სასარგებლო ცნობარი იქნება. თუკი მას ბ ო ლ ო მ დ ე ვაწარმოებ, ბარდო მპირდება „ბიულეტენში“ გამოვაქვეყნებინებო.

გუშინ გაბერილი დელაე წავიდა. გამოწერეს, როგორც გამოჯანსაღებული. ჰგონია, საბოლოოდ განიკურნეო. ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს? გამოსამშვიდობებლად შემოვიდა, ეუხერხულებოდა, ისე ეჭირა თავი, თითქოს ეჩქარებოდა, აგვიანდებოდა. წასვლის წინ არ მითხრა, კვლავ შეეხვდებით ერთმანეთსო, ან მსგავსი რამ. ჟოზეფი პალატას მილაგებდა, ეტყობა ეს შეამჩნია, რადგან, როგორც კი დელაემ კარი მიიხურა, მაშინვე მითხრა: „ხომ ხედავთ, ბატონო ექიმო, რა ადვილია გამოკეთება!“

წელან კინალამ დავწერე: „თუკი ჯერ ცოცხალი ვარ, ამ უბის წიგნაკს უნდა ვუმადლოდე“. თვითმკვლელობის საკითხი უნდა გაირკვეს. ბოლოს და ბოლოს, დროა ვაღიაროთ, რომ უბის წიგნაკი საბაბია მხოლოდ. საკუთარი თავის წინაშე გათამაშებული კომედიაა! საოცარია. მზარავს იმის აღიარება, რომ არასოდეს მქონია თავის მოკვლის სურვილი. არასოდეს, თვით გამოუვალ მომენტებშიც! თუკი ასეთ ნაბიჯს გადავდგამდი, პარიზში უნდა გამეკეთებინა, იმ დილით, როცა ამპულები ვიყიდე... მატარებელში ასვლისას ამაზე ვფიქრობდი... მაგრამ სწორედ იმ დილით შევუდექი კომედიის გათამაშებას, უბის წიგნაკში ჩანაწერების გაკეთებას. თითქოს სანამ ამ ქვეყნიდან გავქრებოდი, რაღაც უკანასკნელი მოვალეობა უნდა მომეხადა. თითქოს კაპიტალური ნაშრომი მქონდა დასამთავრებელი. თითქოს ამ კლინიკურ ჩანაწერებს, მე რომ ასეთ მნიშვნელობას ვაწერ, მართლა შეეძლოს ცდუნების გადალახვა, თავიდან მოშორება. რა არის ეს? გაუბედაობა? არა, ნამდვილად არა! ცდუნება რომ მართლა ყოფილიყო, შიში ვერ შემაჩერებდა. არა, გამბედაობა კი არ მაკლდა, არამედ სურვილი. ჭეშმარიტება ისაა, რომ ცდუნება მუდამ წამიერი იყო და მუდამ ადვილად ვიშორებდი (ისე მეჭირა თავი, ვითომ სულიერ ძალას ვამჟღავნებდი და მიხაროდა, საბაბიც რომ მქონდა: ჩანაწერები უნდა ვაწარმოო).

მიუხედავად ამისა, თუკი სწრაფი სიკვდილი არ მიწერია, — ვაი რომ, ეს საეჭვოა, — ვიცი, ბუნებრივ სიკვდილს არ დავუცდი. მე ეს ვიცი. ახლა გულწრფელი ვარ და სავსებით საღადაც ვმსჯელობ. ხაცაა დარეკავს ჩემი საათი, ამაში დარწმუნებული გახლავართ. ოღონდ საჭიროა, დაველოდოთ. ამპულები აქვე მაქვს. საკმარისია ხელი გავიწოდო და... (სხვათა შორის, ეს აზრი კიდეც მამშვიდებს!).

საღამო.

საუზმის წინ გუარანმა შვეიცარული გაზეთი მოგვიტანა ვერანდაზე. ვილსონის უკანასკნელი სიტყვა მთლიანადაა დაბეჭდილი. ხმამაღლა წაგვიკითხა. ღელავდა. ჩვენც. ვილსონის ყოველი მოწოდება, სუფთა ჰაერის ნაკადია ევროპას რომ გადაუქროლებს ხოლმე! უნებურად გაგონდება ჩამონგრეული ძაღარო, სადაც ჟანგბადს უშვებენ ცოცხლად დამარხულები რომ არ დაიხრჩონ მშველელების მოსვლამდე.

7 ივლისი, დილის 5 საათი.

აკვიატებული აზრი. კედელი. კედელს ვეჯახები. წამოვდგები, ისევ ვვარდები, ისევ კედელი, ისევ ვეცემი და ყველაფერი ხელახლა იწყება. კედელი. მინდა, თუმცა არ მჯერა, წამით მაინც დავაჯერო თავი, იქნებ არაა-მეთქი მართალი, იქნებ არა ვარ-მეთქი განწირული. ეს მხოლოდ საბაბია იმისა, რომ ხელახლა წამოვიწყო ლოგიკური მსჯელობა, მაგრამ სამწუხაროდ, ისევ კედელს ვეჯახები.

ნაშუადღევი, ეზოში.

ვილსონის მოწოდება გადავიკითხე. წინა მოწოდებებზე გაცილებით ნათელია. აზუსტებს თავის მოსაზრებას მშვიდობაზე, ჩამოთვლის „საბოლოო“ მოწესრიგებისათვის აუცილებელ პირობებს. თავისი მასშტაბით ამაღელვებელი პროექტია: 1. ახალი ომების გამომწვევი პოლიტიკური სისტემების გაუქმება მთელ მსოფლიოში; 2. დაინტერესებული ქვეყნების ხალხებთან წინასწარ მოულაპარაკებლად საზღვრების რაიმე ცვლილების ან ტერიტორიათა მიკუთვნების აკრძალვა; 3. ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ა მ ა რ თ ლ ი ს კ ო დ ე ქ ს ი ს შ ე ს ა ხ ებ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა დ ა მ ი ს ი კ ა ნ ო ნ ებ ი ს დ ა ც ვ ის ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ა; 4. საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფუნქციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა, სადაც განურჩევლად იქნება წარმოდგენილი ცივილიზირებული სამყაროს ყ ვ ე ლ ა ეროვნება.

(ერთგვარი ბავშვური კმაყოფილებით შემაქვს ეს სიტყვები დღიურში. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს წინასწარ ვეთანხმები: მეც ვთანამშრომლობ).

აქ სხვა სალაპარაკო თემა არ აქვთ. სახეზე ყველას იმედი უკიაფებს. და რა ამაღელვებელია, სწორედ ასეთი გრძნობა რომ აქვთ ამჟამად ევროპისა და ამერიკის ყოველ ქალაქში! ამ მოწოდების გამოძახილი ისმის დასასვენებლად გაგზავნილ თითოეულ ნაწილში, სანგრების ყოველ თავშესაფარში! ამ ოთხი წლის მანძილზე ერთმანეთის ხოცვით ყველა დაიღალა! (მმართველთა ბრძანებით საუკუნეების განმავლობაში ხდება ასეთი ხოცვა-ჟლეტა!..). ყველა ელოდა, როდის მოუხმობდნენ საღი გონებისაკენ! შეისმენენ კი ამ მოწოდებას ხელმძღვანელები? ოღონდაც ამჯერად ყველგან გაღვივდებოდეს

და აღმოცენდებოდეს თესლი! მიზანი ისეთი ნათელი, გონივრულია, ისე შეესაბამება ადამიანის ბედს, მის ღრმა ინსტინქტებს! ამ განზრახვის შესრულებამ შეიძლება ათასნაირი პრობლემა წამოჭრას, ხანგრძლივი მცდელობა მოითხოვოს; მაგრამ ეჭვი ვის შეეპარება, რომ რადაც უნდა დაუჯდეთ, მომავალი სამყარო სწორედ ამ გზას უნდა დაადგეს? ოთხი წლის ომს სხვა არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, გარდა განადგურებისა და ნანგრევების ზვინისა. ყველაზე თავზეხელაღებული დამპყრობლები იძულებულნი უნდა იყვნენ აღიარონ, რომ ომი ადამიანისა და სახელმწიფოსათვის უკომპესაციო კატასტროფად იქცა. მაშასადამე? რაკი ომის უაზრობა ყოველ სფეროშია დასაბუთებული, რაკი პოლიტიკოსების შეთანხმებულმა მოსაზრებამ, ეკონომისტთა გამოანგარიშებამ, მასების ინსტინქტურმა აღშფოთებამ ეს აზრი წარმოშვა, რაღა შეუშლის ხელს სამუდამო მშვიდობის დამყარებას?

ნასაუზმევს სულის ხუთვა. ნემსი. ზეთისხილის ხეებქვეშ ვიწექი შეზლონგზე დასასვენებლად. იმდენად დაღლილი ვარ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ჟენისთვის წერილის დაწერა გამიჭირდება.

გუარანი, ბარდო და მაზე კამათობდნენ, მეც იქვე ვიყავი. ვილსონის ძირითადი მოსაზრება: საერთაშორისო არბიტრაჟის სისტემა. არავინ წააგებს, პირიქით, ყოველი სახელმწიფო მოგებულია. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ვერავის გაუთვალისწინებია: ამ უმაღლესი ტრიბუნალის საქმიანობა უდავოდ დაზოგავს ერის თავმოყვარეობას, მგრძნობიარობას, რამაც ამდენი ომი გამოიწვია. როგორი ეჭვნეულიც არ უნდა იყოს ხალხი, მთავრობა, თვით სუვერენიც კი, მათი სიამაყეა და პრესტიჟი ნაკლებად შეილახება, თუკი საერთაშორისო სასამართლოს მიერ სახელმწიფო საერთაშორისო ინტერესებისათვის გამოტანილ განაჩენს უფრო დაემორჩილებიან, ვიდრე მეზობლის მუქარისა ან მტრული კოალიციის გავლენით დათანხმდებოდნენ კაპიტულაციაზე. ეს ტრიბუნალი უნდა შეიქმნას (თქვა გუარანმა) საომარი მოქმედების დამთავრებისთანავე და ანგარიშსწორების დ ა წ ყ ე ბ ა მ დ ე. და მშვიდობის პირობები უნდა დადგინდეს არა მოწინააღმდეგეთა გაშმაგებული კამათით, არამედ ერების საერთაშორისო ორგანიზაციაში * მშვიდი მოლაპარაკებით; ერების ორგანიზა-

ცია მაღლიდან განსჯის, პასუხისმგებლობას გაანაწილებს და განაჩენსაც მიუკერძოებელს გახდის.

ერების ორგანიზაცია. ერთადერთი საშუალება. ნალდი საშუალება იმისა, რათა ამიერიდან შეუძლებელი გახადოს ყოველგვარი ომი: რადგან, როგორც კი ერთი სახელმწიფო თავს დაესხმის ან დაემუქრება მეორეს, ყველა სახელმწიფოები ავტომატურად გაერთიანდებიან აგრესორის წინააღმდეგ, გასაქანს არ მისცემენ მის საქმიანობას და აიძულებენ დაემორჩილოს არბიტრაჟს!

კიდევ უფრო შორს უნდა ვიყურებოდეთ! ერების ეს ორგანიზაცია საერთაშორისო პოლიტიკისა და ეკონომიკის მოთავე უნდა იყოს; უნდა მიაღწიოს საყოველთაო ორგანიზებულ თანამშრომლობას, რათა იგი ბოლოს და ბოლოს თავისი პლანეტის საფეხურზე იდგეს. ცივილიზაციის ახალ ეტაპზე, გადამწყვეტ ეტაპზე.

ამ საკითხებზე გუარანმა ბევრი სწორი შეხედულება გამოთქვა. მაგონდება, ხშირად უსამართლოდ ვექცეოდი გუარანს. პედაგოგიური სასწავლებლის ყოფილი სტუდენტის მანერები, ყოვლისმცოდნე კაცის მანერები, საშინლად მაღიზიანებდა. ასევე მისი ტონიც: თითქოს ისევ ანრი IV-ის ლიცეუმის ისტორიის მასწავლებლის კათედრაზე ყოფილიყოს... მაგრამ ერთი რამ უდავოა, მართლაც ბევრი რამ იცის. თვალყურს ადევნებს საქმის ვითარებას, დღეში რვა-ათ გაზეთს კითხულობს. ყოველ კვირაში იღებს შვეიცარულ ჟურნალ-გაზეთებს. ერთი სიტყვით, დინჯი გონების პატრონია! (ხასიათის სიდინჯე მუდამ მიზიდავდა!) ცდილობს ოდნავ უკან დახევით, როგორც ეს ისტორიკოსს შეეფერება, განსაჯოს თანამედროვე ამბები და სწორედ ეს მომწონს. ვუაზნეც აქვე იყო (ბარდომ თქვა: „მხოლოდ გუარანსა და ვუაზნეს არა აქვთ დაზიანებული სახმო სიმები... ჰოდა, კიდეც სარგებლობენ ამით!“).

დღეს არც ისე ცუდად ვგრძნობდი თავს. ჩემი აზრით, ნემსებზე უფრო ამას ვილსონს უნდა ვუმადლოდე!

ერთსაც დავუმატებ: „ერების ორგანიზაციის“ შექმნამ შესაძლებელია ამ ომის ნანგრევებზე სრულიად ახალი რამ წარმოქმნას: მსოფლიო სინდისი. და ამით კაცობრიობა გადამწყვეტ ნაბიჯს გადაკეთებს სამართლიანობისა და თავისუფლებისაკენ.

საღამოს 11 საათი.

გაზეთები გადავათვალიერე. ლაყბობა, შემაზრზენი ჭკუამოკლეობა. ჩანს, ამჟამად ვილსონია ერთადერთი პოლიტიკური მოღვაწე. რომელსაც ღრმად ჩაწვდომის უნარი აქვს. დემოკრატიული იდეალი, ამ სიტყვის კეთილშობილური გაგებით. მასთან შედარებით ჩვენი ფრანგი (ან ინგლისელი) დემაგოგები უბადრუკ ა ფ ე რ ი ს ტ ე ბ ს ჰგვანან. ყველანი მეტ-ნაკლებად იმ იმპერიალისტური ტრადიციების იარაღებად რჩებიან, რასაც ვითომდა უკიჟინებენ მოწინააღმდეგეს.

ვუაზნესა და გუარანს ამერიკასა და დემოკრატიაზე ვესაუბრე. ვუაზნეს რამდენიმე წელი უცხოვრია ნიუ-იორკში. შეერთებული შტატების სტაბილურობა, უშიშროება. გუარანი წინასწარმეტყველივით გატაცებით ქადაგებს, XXI საუკუნეში ევროპის სახელმწიფოებს ყვითელი რასა დაიმორჩილებს, ხოლო თეთრი რასის მომავალი მხოლოდ ამერიკული კონტინენტით იქნება შემოსაზღვრულიო...

ღამის 2 საათი.

უძილობა. წამით ჩამთვლიმა, შტუდლერი მესიზმრა. პარიზში, ლაბორატორიაში. ხალათში ჩაცმული ხალიფი, თავზე კეპით, მოკლედ შეკრეჭილი წვერით. გაცხარებით ვუხსნიდი რაღაცას, რას, არ მახსოვს. იქნებ ვილსონზე ველაპარაკებოდი, ან ერთა ლიგაზე... მოიხედა, დიდი, წყლიანი თვალები მომაპყრო... „რაში გენაღვლება? სულერთია, საცაა ფეხებს გასჭიმავ!“

ისევ ვილსონზე ვფიქრობ (ხალიფი ნუ მიწყენს!). ჩემი აზრით, ვილსონის დანიშნულება სწორედ ის როლია, რაც მან იკისრა. ამ ომის ბოლო ყველა ომების დასასრული რომ გახდეს, საჭიროა ზავი დაამყაროს ახალმა ადამიანმა, სხვა მხარიდან მოსულმა ადამიანმა, გულღრძოობას მოკლებულმა ადამიანმა, რომელსაც გადატანილი არ ექნება ომის ოთხი წლის კოშმარები, ევროპის ხელმძღვანელებივით გაშმაგებული არ იქნება მოწინააღმდეგის ხოცვა-ჟლეტით. ვილსონი, ზღვის იქითა მხარის კაცია. წარმომადგენელი იმ ქვეყნისა, რომელიც განახორციელებს მშვიდობიანსა და თავისუფალ კავშირს. მის უკან დგას მსოფლიო სფეროს მეოთხედი მოსახლეობა! თითოეული სა-

ლად მოაზროვნე ამერიკელი, ცხადია, ასე უნდა ფიქრობდეს: „თუკი ჩვენ შევძელით ჩვენს შტატებში დაგვემყარებინა და მთელი საუკუნის მანძილზე შეგვენარჩუნებინა მყარი და კონსტრუქციული სამყარო, რატომ არ შეიძლება ევროპის შეერთებული შტატებიც * შევქმნათ!? ვილსონი ვაშინგტონის ხაზს აგრძელებს. და სხვ. (ის ამას ხვდება. ნართაული თავის სიტყვაში!). ვაშინგტონს * კი ეჯავრებოდა ომი და მიუხედავად ამისა, მაინც იომა, რათა თავისი ქვეყნისთვის ომი აეშორებია. ალბათ, ფარული განზრახვა ჰქონდა (ასე თქვა გუარანმა), ამ გზით მსოფლიოს გაათავისუფლებდა; და თუკი მოახერხებდა და ამ პატარ-პატარა, მტრულად განწყობილ სახელმწიფოთაგან უზარმაზარ მშვიდობიან კონფედერაციას შექმნიდა, ეს იქნებოდა უცილობელი მაგალითი ძველი კონტინენტისთვის (რომელსაც ამის მისახვედრად ასი წელი დასჭირდებოდა!).

ვწერ და საათის ისრები შეუჩერებლივ სრიალებს ციფერბლატზე. ვილსონი მშველის, რომ ა ჩ რ დ ი ლ ე ბ ი ანლოს არ მოვუშვა.

ამაღელვებელი პრობლემები, თვით „ვადაგადადებულ მიცვალებულისთვისაც". პარიზიდან დაბრუნების შემდეგ პირველად გამოვიჩინე ინტერესი მომავლისადმი, ქვეყნის მერმისისადმი, ომის დამთავრების შემდეგ რომ გადაწყდება. ყოველივე წარყვნილი იქნება, თან ვინ იცის, რამდენი ხნით! — თუკი მშვიდობა არ გადაადნობს, არ გადააკეთებს, არ შეკრავს სისხლისგან დაცლილ ევროპას. დიახ; თუკი შეიარაღებული ძალები ძველებურად დარჩება ძირითად იარაღად სახელმწიფოებს შორის; თუკი თავიანთ საზღვრებს ამოფარებული ყოველი ეროვნება კვლავაც დარჩება თავისი საქციელის ერთადერთ მსაჯულად და მადის შეკავებაზე არ იზრუნებს; თუკი ევროპის სახელმწიფოთა ფედერაცია არ დაუშვებს ე კ ო ნ ო მ ი უ რ მშვიდობას, როგორც ეს ვილსონს სურს, კომერციული გაცვლა-გამოცვლის თავისუფლებით, საბაჟო ბარიერების მოხსნისა და სხვ... გზით; თუკი საერთაშორისო ანარქიის ერა წარსულს არ ჩაბარდება; თუკი ხალხი არ აიძულებს თავის მთავრობას ბოლოს და ბოლოს შემოიღოს სამართალზე დაფუძნებული, საყოველთაო წესრიგის რეჟიმი; აი, მაშინ ყველაფერი ხელახლა უნდა დაიწყოს და მაშასადამე, ხალხის მიერ დაღვრილი სისხლი ამაოდ ჩაივლის.

მაგრამ ყოველგვარი იმედის განხორციელება მაინც შეიძლება! (ისე ვწერ, თითქოს მეც ვიქნები „მონაწილე“!)

8 ივლისი.

ოცდაჩვიდმეტი წელი. უკანასკნელი წლისთავი!..

გონგის ხმას ველოდები. ვერანდის ქვეშ მრეცხავმა ქალმა და მისმა შვილმა გაიარეს, სარეცხის ფუთა მხარზე ედო. როცა იმ დღეს ეს ახალგაზრდა ქალი დავინახე, ძალიან ავღელდი: ოდნავ შეწეული წელით, თეძოების უხერხული მოძრაობით მივხვდი, ფეხმძიმედ იყო. თითქმის არ ემჩნეოდა, სამნახევარი — ოთხი თვისა თუ იქნებოდა. შიშის, სიბრალულის, შურის, სასოწარკვეთის მწვავე გრძნობა დამეუფლა მე, ადამიანს, რომელსაც მომავალი აღარ გააჩნია, აქვე, ახლოს მყოფი, თითქმის ხელშესახები მომავლის საიდუმლოება აღარა აქვს; სამაგიეროდ ამ ჩანასახს, ჯერ კიდევ შორს რომაა ცხოვრებისაგან, მთელი ეს გამოუცნობი ცხოვრება წინა აქვს! ჩემი სიკვდილი ხელს ვერ შეუშლის ამ ახალი სიცოცხლის გაჩენას...

ეზოში.

ვილსონი ისევ ყურადღების ცენტრშია. ბრიჯი მიავიწყდათ. არც კარტს ახლებენ ხელს ჩვენი ფელდფებელის „კლუბში“. მთელი ორი საათია ცხარე კამათი აქვთ.

გაზეთები აჭრელებულია კომენტარებით. ამ დილით ბარდომ განაცხდა, აღწანიშნავია, ცენზურა ხელს რომ არ უშლის ხალხს, მშვიდობის ამ მირაჟით აიფორიაქონო სული. „ჟურნალ დე ლოზან“-ში * კარგი სტატიაა. ციტირებულია ვილსონის მიერ 1917 წლის იანვარში წარმოთქმული სიტყვა: „მშვიდობა გამარჯვების გარეშე“ და „ეროვნული შეიარაღების თანმიმდევრული ლიმიტი ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო გ ა ნ ი ა რ ა ღ ე ბ ა მ დ ე“ (1917 წ. იანვარი. მაგონდება ნაცნობი ადგილები, ნანგრევები, 304-ე სიმაღლის უკან *. სასადილო თაღისებურ სარდაფში. პაენთან და საცოდავ ზეფერტთან კამათი განიარაღების შესახებ).

მაზე შემოვიდა და ამიტომ შევწყვიტე წერა. ანალიზი მომიტანა. ქლოროვანი ნაერთებისა და განსაკუთრებით კი — ფოსფატების შემცირება.

ავდარია. დახუთული ჰაერი. შადრევანთან ძლივს მივლასლასდი, მინდოდა ყური მიმეგდო წყლის რაკრაკისთვის. თანდათან მიძნელდება თანმიმდევრული კითხვა, აზრის გამოსატანად ყურადღების დაძაბვა მიხდება; საკუთარ აზრს კიდევ ვუგებ რაღაცას. ეს დღიური დიდი შეღავათია ჩემთვის, მაგრამ დიდხანს არც ეს გამიძლებს. ჯერ-ჯერობით ვსარგებლობ.

..17 წლის იანვარში ვილსონის სიტყვა. გ ა ნ ი ა რ ა ღ ე ბ ა. მთავარი მიზანი. საუბარი საუზმის დროს. რეიმონის გარდა, ყველა იწონებს. დღეს ისეთ ამბებს ჰყვებიან თავისუფლად, რის თქმასაც, მეტიც — რის გაფიქრებასაც კი ვერ გაბედავდნენ ორი წლის წინ; არმია — წურბელაა, ერის სისხლს რომ წოვს (გასაოცარი სახეა, ა დ უ ს უ მ პოპული*: ჭურვის მკეთებელი არც ერთი მუშა შრომისთვის გამოსაყენებელი აღარაა, პარაზიტად გადაიქცა და კოლექტივის ხარჯზე ცხოვრობს). ერს, ბიუჯეტის მესამედი შეიარაღებაზე რომ ეხარჯება, არსებობა აღარ შეუძლია. გამოსავალი ერთია: ან გაყოტრება ან ომი. დღევანდელი კატასტროფა ორმოცი წლის განძაველობაში სისტემატური შეიარაღების შედეგია. ყოველგვარი მშვიდობა ხანმოკლე იქნება საყოველთაო განიარაღების გარეშე. ამ ჭეშმარიტებას ასჯერ მაინც მოითხოვენ. ამაოდ. ყველამ იცის რატომაც: შეიარაღებული მშვიდობის დროს სახელმწიფოთა მთავრობებს სწამთ, რომ ძალას ყოველგვარ უფლებაზე აქვს უპირატესობა; ამიტომ, მზად არიან ყელში სწვდნენ ერთმანეთს, გამალებით აწარმოებენ შეიარაღებას, — ჰოდა, ასეთ ვითარებაში გულუბრყვილობა იქნებოდა იმის გაფიქრება, თითქოს ეს მთავრობები შეთანხმებაზე წავლენ ან უარს იტყვიან თავიანთ უაზრო ტაქტიკაზე. მ ა გ რ ა მ შესაძლებელია ხვალ, როცა მშვიდობის ზარი დაკრავს, ყველაფერი შეიცვალოს. რადგან ევროპის ყველა ქვეყანამ ხელახლა უნდა დაიწყოს ცხოვრება. ცარიელ ადგილას. ომით ჯანგატეხილებს იარაღის მარაგი გამოლეული ექნებათ და ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს ახალ ბაზაზე დაწყება მოუხდებათ. ახლოვდება არნახული დრო, უპრეცედენტო დრო! დრო, როდესაც საყოველთაო განიარაღება შესაძლებელი საქმე გახდება. ვილსონი მიხვდა ამას. მის მიერ ჩაფიქრებული და გადმოსროლილი იდეა — განიარაღების იდეა — შეუძლებელია აღფრთოვანებით არ

მიიღოს ყოველი ქვეყნის საზოგადოებრივმა აზრმა. ამ ოთხმა წელმა ყველგან მოამზადა ნიადაგი, ყველგან გააძლიერა ომის საწინააღმდეგო ინსტინქტი, აღძრა საერთაშორისო მორალის დამყარების ნახვის სურვილი, რაც ბოლოს და ბოლოს, არმიათა დუელს შეენაცვლება ხალხთა შორის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

ამჟამად საჭირო გახდება მშვიდობის მოყვარულ ხალხთა უმრავლესობამ ეს თავისი ძლიერი ორგანიზაცია, მშვიდობის დამცველი ორგანიზაცია დაუპირისპიროს ომის გაჩაღებით დანტერესებულ ხალხთა უმნიშვნელო უმცირესობას. ეს იქნება ერთგვარი მაღალავტორიტეტული ერთა ლიგა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო პოლიციაც ეყოლება და შესაძლოა, ერთხელ და სამუდამოდ აკრძალოს ძალის გამოყენება. დაე, მთავრობებმა სწორედ ამ საკითხზე მოაწყონ საერთო პლებისციტი *; შედეგი საეჭვო არაა!

ამ დილით, სუფრასთან მხოლოდ რეიმონი გამოთქვამდა აღშფოთებას ვილსონის წინააღმდეგ; მას „ფანატიკოს პურიტანელს“ უწოდებდა, „ევროპის სინამდვილისა“ არაფერი გაეგებაო. რიუმელიც ზუსტად ასე წერავდა „მაქსიმთან“. გუარანმა მაგრად შეუტია: „თუკი მშვიდობა ნამდვილი შერიგება არ იქნება, თუკი ჩვენ ერთსულოვნად არ გავიმსჭვალებით სამართლიანობაზე ზრუნვით, სოლიდარული ევროპის შექმნის იდეით, მაშინ ეს მშვიდობა, მილიონობით საწყალ ბიჭებს ძვირად რომ დაუჯდათ, სხვა არაფერი იქნება თუ არ მორიგი მოლაპარაკება, მშვიდობის პაროდია, რასაც პირველივე შემთხვევაში ხელის ერთი მოქნევით მოსპობს რევანშის სურვილით შეპყრობილი, დამარცხებული მხარე!“ — „ვიცით, რასაც წარმოადგენს და რამდენ ხანსაც გაგრძელდება ეს წმინდა კავშირები!“* — მიუგო რეიმონმა. კამათში მეც ჩავერიე და რეიმონმა საკმაოდ ენამოსწრებულად მიპასუხა (თუ დავუფიქრდებით, ძალიან ჭკვიანურად და ნაკლებ პარადოქსალურადაც, ვიდრე ეს პირველი შეხედვით მოგეჩვენება!): „თქვენ, ტიბო, მუდამ ზედმეტად რეალისტი იყავით და ამიტომაცაა ასე ადვილად რომ ექცევით უტოპიის გავლენის ქვეშ!“ (ამას კარგი ანალიზი დასჭირდება!)

წვიმის პირველი წვეთები. ნეტავი ქარიშხალს სიგრილე მაინც მოჰყვებოდეს ღამით!

საშინელი ღამე მქონდა. სულის ხუთვა. ორი საათიც არ მეძინა, ისიც ვინ იცის, რამდენჯერ გამომეღვიძა!

რაშელზე ვფიქრობდი. ამ შეხუთულ ღამეში აუტანელი იყო მისი ყელსაბამის სუნი. რაშელიც უაზრო სიკვდილით მიიცვალა ჰოსპიტლის საწოლზე. მარტოკა. თუმცა დასასრულის მოახლოებისას მუდამ მარტო ვართ.

უცებ აი, რა გავიფიქრე: ამ დილით, ისევე როგორც ყოველ დღე, სწორედ ამ წუთში, ათასობით უბედური ბიჭი დგას სადღაც სანგრებში და შეტევაზე გადასვლის ნიშანს ელის. ვცდილობდი ცინიკურად მენუგეშებია თავი ამით. ამაოდ. თუმცა ბრძოლის ველზე უნდა გავარდნენ, მათ შებრალებას მაინც ვერ ვახერხებ, უმალ მშურს მათი, რადგან ჯანსაღად არიან, რაღაც იმედით ცოცხლობენ!

კიპლინგის * გადაკითხვისას ასეთი სიტყვა შემხვდა: „ჭ ა ბ უ კ უ რ ი“. ეაკზე ვფიქრობ... ჭ ა ბ უ კ უ რ ი: ეს ეპითეტი ძალიან უხდებოდა მას! იგი მუდამ ჭაბუკი იყო (ლექსიკონში უნდა ვნახო, რითი გამოირჩევა ჭაბუკი. ეაკს ყველა თვისება ჰქონდა: მგზნებარება, უკიდურესობა, სისპეტაკე, გაბედულება და მოკრძალება, აბსტრაქციისადმი მიდრეკილება და ნახევარზომებისადმი სიძულვილი, და ის ხიბლი, რასაც სკეპტიციზმის უუნარობა იძლევა...)

ცოცხალი რომ ყოფილიყო, ნეტავი მოწიფულ ასაკშიც დარჩებოდა ხანშიშესულ ჭაბუკად?!

ამ საღამოს ჩანაწერები გადავიკითხე. რეიმონის ფრაზა: — უტოპია... არა. შესაძლებელია ზედმეტად გავურბოდი ილუზიებსა და გატაცებებს. მთელი სიცოცხლე ვიცავდი, არ ვიცი ვის გამონათქვამს: „გონების ყველაზე ცუდი არეულობა ისაა, როცა სწამთ ის, რაც სურთ არსებობდეს!“ არა, ნამდვილად, არა. როცა ვილსონი აცხადებს: „ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვსურს — საზოგადოება გაიწმინდოს და მასში ცხოვრება შეიძლებოდეს!“ — მას ჩემი სკეპტიციზმი წინააღმდეგობას უწევს. ადამიანის სრულყოფაზე სულაც არ გამაჩნია ის ილუზიები, იმედს რომ ბადებს, ადამიანის ხელით შექმნილი საზოგადოება ოდესმე „გაიწმინდებაო“. ოღონდ, როცა ვილსონი იქვე დასძენს: „და რომ ამ საზოგადოებამ მშვიდობისმოყვარული ყოველი ერის არსებობა უნდა უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ს“, ამაში ვეთანხმები. არავითარი ქიმერიული აქ არაა. აკი საზოგადოებამ მიაღწია

იმას, რომ ცალკეულ პიროვნებას უარი ეთქვა თვითნებურად ეწარმოებია სამართალი და მათი კამათი სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის მიენდოთ! მაშ, რატომ არ შეიძლება ხელი შევუშალოთ სახელმწიფოებს, ერთმანეთის წინააღმდეგ წააქეზონ ერები, როცა რაიმე უთანხმოება ატყდება ხოლმე? განა ომი ბუნების კანონია? შავი ჭირიც ბუნების კანონია. კაცობრიობის მთელი ისტორია მავნე ძალთა წინააღმდეგ გამარჯვების მომტანი ბრძოლაა. ევროპის მთავარმა ერებმა აკი შესძლეს თანდათანობით გამოეჭედათ ნაციონალური ერთიანობა!, მაშ, რატომ არ შეიძლება ეს მოძრაობა გაიზარდოს და საერთო ევროპულ ერთიანობის განხორციელებამდე მივიდეს? სოციალური ინსტინქტის ახალი ეტაპი, ახალი აღმავლობა. „პატრიოტული გრძნობა?“ — მკითხავდა, ალბათ, მაიორი (რეიმონი). ომისკენ გიბიძგებს არა პატრიოტული გრძნობა, ეს ბუნებრივი ინსტინქტი, არამედ ნაციონალისტური, შეძენილი და ხელოვნური გრძნობა. საკუთარი მიწის, ენის, ტრადიციების სიყვარული სულაც არ გულისხმობს მეზობლისადმი გაშმაგებულ მტრობას: ამის მაგალითი გახლავთ პიკარდია და პროვანსი, ბრეტონი და სავოია. გაერთიანებულ ევროპაში პატრიოტული ინსტინქტები მხოლოდ რეგიონალური ხასიათისა იქნება.

„ქიმერიული!“ ეტყობა, ამით ცდილობენ ვილსონის წინადადების ჩახშობას. ნერვები გეშლება, როცა გაზეთში კითხულობ, რომ თვით ამერიკული პროექტებისადმი კეთილგანწყობილი ხალხიც „დიდ მეოცნებეს“, „მომავლის წინასწარმეტყველს“ და მისთანანს უწოდებს ვილსონს. სულაც არა! პირიქით, პირადად მე, სწორედ მისი ს ა ღ ი გ ო ნ ე ბ ა მაკვირვებს. მისი აზრები უბრალო, ახალი და თანაც უძველესია: ისტორიაში უკვე მომხდარი მცდელობისა და ექსპერიმენტის დაგვირგვინებაა. ახლო მომავალში ევროპა უდიდეს გზაჯვარედინზე აღმოჩნდება: ან ფედერატიული რეორგანიზაცია, ან ხალხის სრულ განადგურებამდე, განუწყვეტელი ომების რეჟიმისაკენ შემობრუნება: თუკი ყველაფრის მიუხედავად, ევროპა უარს იტყვის ვილსონის მიერ შემოთავაზებულ გონიერ მშვიდობაზე, რომელიც ერთადერთ ნამდვილ, ერთადერთ მყარ, საბოლოო განიარაღების ზავს წარმოადგენს, — მალე დარწმუნდება (და ვინ იცის, რა ფასად დაუჯდება!), რომ კვლავ ჩიხში მოექცა და კვლავ ხოცვა-ჟლეტისთვისაა განწირული. საბედნიეროდ, ეს ნაკლებ სარწმუნოა.

მძიმე დღე მქონდა. ისევ სასოწარკვეთა. ისეთი გრძნობაა, თითქოს ღია ლიუკში ჩავვარდი... უკეთესი ბედის ღირსი ვიყავი. ღირსი ვიყავი (პატივმოყვარეობა?) იმ „მშვენიერი მომავლისა", რასაც ჩემი მასწავლებლები, ამხანაგები მპირდებოდნენ. და უცებ, სანგრის მოსახვევში, გაზის ნაკადი... ბედის მიერ დაგებული ხაფანგი, მახე!..

3 ს ა ა თ ი. — ისეთი სულის ხუთვა მაქვს, ძილი შეუძლებელია. სამი ბალიში შემოვიწყე ზურგსუკან და ცოტა სული მოვითქვი. სინათლე ავანთე, წვეთები მივიღე და აი, ვწერ:

არასოდეს არც დრო, არც განწყობა (რომანტიული) არა მქონია დღიურის დასაწერად. ვნანობ, რომ შემეძლოს და დღეს ხელთა მქონდეს მთელი ჩემი წარსული თხუთმეტი წლის ასაკიდან, ალბათ, უფრო ძლიერ ვიგრძნობდი, რომ ეს წარსული მართლა არსებობდა; ჩემს ცხოვრებას ექნებოდა ფასი, წონა, მონახაზი, ისტორიული სიმტკიცე: იგი აღარ იქნებოდა რაღაც გამდინარე, უფორმო, ვითარცა მივიწყებული წარმავალი სიზმარი) ზუსტად ასევე აღინიშნება, ფიქსირდება ავადმყოფობის მსვლელობა ტემპერატურის ფურცელზე).

ეს დღიური „აჩრდილების" განსადევნად შემოვიღე. ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა. საფუძვლად ედო ათასნაირი ბუნდოვანი მიზეზი: დროის გაყვანა, საკუთარი თავით დაინტერესება, და თან იმის სურვილი, რომ რაღაც მცირე ნაწილი მაინც გადამერჩინა ამ სიცოცხლისა, ამ ინდივიდუალობისა, მე რომ ასე ძალიან ვამაყობდი, მაგრამ სულ მალე რომ გაქრება! გადამერჩინა? ვისთვის? რისთვის? უაზრობაა, რადგან ვიცი, მის გადასაკითხად არც დრო და არც მოცალება არ მექნება. მაშ, ვისთვის? ბ ი ჭ ი ს თ ვ ი ს! ჰო, ამ წუთში, უძილობის ჟამს მომივიდა ეს აზრი თავში.

მშვენიერია ეს ბიჭუნა, ძლიერი, მაგარი იზრდება; მთელი მომავალი, ჩემი მომავალი, მთელი ქვეყნის მომავალი მასშია! იმის შემდეგ, რაც იგი ვნახე, გამუდმებით ვფიქრობ მასზე და ისლა მტანჯავს, რომ ჩემზე არასოდეს იფიქრებს, ვერ მნახავს, ვერაფერს გაიგებს ჩემს შესახებ. ვერც ვერაფერს ვუტოვებ. გარდა რამდენიმე ფოტოსურათისა, ცოტაოდენი ფულისა და სახელისა — „ძია ანტუან!". ვერაფერს. დროდადრო ეს ფიქრი აუტანელი ხდება. მოთმინება რომ მქონოდა და ამ თვეების მანძილზე ყოველდღე მეწარმოებია დღი-

ური... იქნებ ოდესმე, ჩემო პატარა ჟან-პოლ, მოისურვო და ჩემი კვალი მოძებნო, ჩემს ანაბეჭდს, ჩემს უკანასკნელ ნაკვალევს, სამუდამოდ წასული ადამიანის ნაბიჯების კვალს წააწყდე სადმე? მაშინ „ძია ანტუანი“ შენთვის ცოტათი უფრო მეტი რამ გახდება, ვიდრე უბრალო სახელი, ალბომში ჩაწებებული სურათი. კარგად ვიცი, ფოტო-სურათი სრულ მსგავსებას არ გადმოსცემს: არავითარი მსგავსება არ არსებობს იმ ადამიანს, როგორიც ვიყავი და სენით დაღრღნილ ამ ავადმყოფს შორის... მიუხედავად ამისა, მაინც იქნება რაღაც, არარაობას მაინც აჯობებს! ამ იმედსღა ვებღაუჭები.

დავიღალე. შემახურა. მორიგე სანიტარს შუქი შეუნიშნავს და შემოვიდა. კიდევ ერთი ბალიში ვთხოვე. წვეთები სულ არ მოქმედებს. ბარდოს უნდა ვუთხრა შემიცვალოს.

ფანჯრიდან მოლურჯო შუქი სიბნელეში. ისევ მთვარეა? თუ უკვე თენდება?.. (წამით ჩამთვლემდა, მაშინვე სინათლეს ვანთებდი, მინდოდა გამერკვია, რამდენ ხანს მეძინა, საათს დავხედავდი და სასოწარკვეთით ვაკვირდებოდი გულისგამაწყალებელ ციფერბლატს: 11 საათი, 10 წუთი... 1 საათი 20 წუთი!..)

11 ივლისი.

ყრუ ტკივილებით სავსე, ლოგინში გატარებული დღეების ნერვებისამშლელი, მწარე სიტკბოება...

საუზმე მოთავდა (რა გაუთავებელია ეს საუზმეები, სადილობა, ვახშამი პატარა სუფრასთან! რა მტანჯველია ეს ლოდინი, უკანასკნელ მადას რომ გიკარგავს!.. ყოველ ათ წუთში ჟოზეფს ლამბაქით შემოაქვს სადილის მცირე ულუფები... (თორმეტიდან 3 საათამდე მშვიდი საათებია, ამ დროს ისეთი დუმილია, ღამით რომ იცის ხოლმე, დროდადრო მეზობელ პალატებიდან მოსული ხველის ხმა თუ არღვევს ამ სიჩუმეს. ეს ხმები იმდენად ნაცნობია ჩემთვის, ყურის დაგდებაც არ მჭირდება. მაშინვე ვცნობ, რომელი ახველებს.

3 საათზე თერმომეტრი, ჟოზეფი, დერეფნის ხმაური, ძახილი ბაღში, სიცოცხლე...

ნაღვლიანი ორი დღე. გუშინ — რენტგენი. ბრონქიალური განგლიების ჰიპერტროფია... დიდი ხანია ასეც ვგრძნობდი.

კიულმანი, რაიხსტაგში თავშეკავებული სიტყვა რომ წარმოთქვა, იძულებული გამხდარა გადამდგარიყო. ცუდი ნიშანია გერმანული განწყობილებისათვის. სამაგიეროდ, ხმები — პიავის დეტალზე იტალიელთა შეტევის შესახებ, მართალი გამოდგა.

ხალამო.

მთელი დღე ვიწექი. თუმცა შიში არ გამიმართლდა, დღემ უკეთ ჩაირა, ვიდრე ვფიქრობდი. მოვიდნენ დარო, გუარანი. დილით ხანგრძლივი კონსილიუმი სეგრეს თანდასწრებით. მისი მოწვევა ბარდომ დაიჩემა. ვერაფერი საშიში ვერ დაადგინეს, სერიოზული გაუარესება არ შეიმჩნევაო. ყველანი იმედს მაძლევენ. და მეც ამაოდ ვირწმუნებ თავს, ეს ვარაუდები სინამდვილედ არ უნდა მივიღომეთქი, რადგან ვგრძნობ, მცირეოდენი გრძნობა, რაც მათ ნათქვამისადმი მიჩნდება, თანდათან მიპყრობს. ახლა უკვე აშკარაა, რომ ჩვენები წინ მიდიან: ვილერ-კონტრე, ლონპონი... IV არმია... (თუკი ჩემი ყოჩაღი ტერიეე ისევ იქაა, წარმომიდგენია, რა ჯაფა დაადგებოდა!). ისიც აშკარაა, რომ ავსტრიელთა განადგურება სრული განადგურებაა. აღმოსავლეთის ახალი ფრონტი*, იაპონიის ფრონტი, მაგრამ კარგად გათვითცნობიერებული გუარანი ირწმუნება, იმის შემდეგ, რაც პარიზის დაბომბვა დაიწყეს, მორალური მდგომარეობა საგრძნობლად შეირყაო; თვით მოწინავე ხაზზეც... თუმცა მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, მათი ცოლ-შვილიც თუ არის საფრთხეშიო. გუარანი უამრავ წერილს იღებს. მეტი აღარ შეუძლიათ. არც სურვილი აქვთ. ოღონდაც ომი დამთავრდეს, სულ ერთია, რა ფასად დაუჯდებათ!... ამერიკელების წყალობით, იქნებ კიდეც დამთავრდეს მალე. ამაში უპირატესობასაც ვხედავ: თუკი ჩვენი მთავრობები ომის დამთავრების შესაძლებლობას მისცემენ ამერიკას, ისინი იძულებულნი გახდებიან ზავის ჩამოგდების საშუალებაც ამერიკას მისცენ, — სწო-

რედ მათ, სწორედ ვილსონმა ჩამოაგდოს ზავი და არა ჩვენმა გენერლებმა.

თუ ხვალ უკეთ ვიქნები, ქენის წერილს მივწერ.

16 ივლისი.

ეს ბოლო დღეები ძალიან გავწვალდი. ძალაც გამომელია და არაფრის თავიც არა მაქვს. დღიური აქვეა, მაგრამ აღარავითარი სურვილი არ გამაჩნდა, თუნდაც ერთხელ გადამეშალა. ძლივს ვახერხებ ჯანმრთელობის მდგომარეობა ჩავწერო უბის წიგნაკში.

დილიდანვე უკეთ ვგრძნობ თავს. სულის ხუთვა ხანგამოშვებითი, ხანმოკლე მაქვს, არც ხველაა ისე უსაშველო, ასატანია. იქნებ დარიშხანით მკურნალობის შედეგია, კვირას რომ დამიწყეს? ერთხელ კიდევ მოხდა გადავადება?

საბრალო შემრი ჩემზე ცუდათაა. სეპტიცემიის მოვლენები. განგრენოზული ბრონქოპნევმონიის გაფანტული კერები. უიმედოა.

დიუპლეც ვერაა კარგ დღეში — ჩირქოვანი ფლებიტი მარჯვენა ფეხზე!.. ბერტის საქმეც წასულია, კოვენისაც.

ყოველივე, რაც კი კუნჭულებში თვლემს! (ყველა ის აქამდე უცნობი ჩანასახი, რაც მაგალითად, ომმა დამანახვა საკუთარ თავში... სიძულვილისა და ძალმომრეობის, წარმოიდგინეთ, სისასტიკის შესაძლებლობებიც კი... სუსტებისადმი სიძულვილიც... შიშიც და სხვ... დიახ, ომმა საკუთარ თავში აღმომაჩენია ადამიანის ყველაზე საძაგელი ინსტინქტები, სულმდაბლური გრძნობები. ამიერიდან უნარი მექნება მივხვდე, გავიგო ყოველი სისუსტე, ყოველი ბოროტმოქმედება, რაკი ისინი ჩანასახის სახით საკუთარ თავში შევამჩნიე).

პარასკევი, 17 ივლისი, საღამო

უდავოდ უკეთა ვარ. მაინც რამდენი ხნით?

ვისარგებლე შემთხვევით და, როგორც იქნა, დავწერე წერილი. ნაშუადღევს რამდენჯერმე დავიწყე, მერე დავხიე. ზუსტი ტონის პოვნა გამიძნელდა. ჯერ ვიფიქრე, ნიადაგს მოვამზადებ-მეთქი,

შორიდან მინდოდა დამეწყო. მერე გადავწყვიტე ერთადერთი წერილი მიმეწერა, ვრცელი და ამომწურავი. იმედი ნამდვილად მაქვს. თუკი ჟენი ისეთია, როგორიც მგონია, სჯობს პირდაპირ ვუთხრა საოქმელი. შევეცადე ისე წარმომედგინა ეს საქმე, როგორც წმინდა ფორმალური, ბავშვის მომავლისთვის აუცილებელი რამ.

საღამოს შემოვლა დამთავრებულია. წინ მთელი ღამეა. წერილის გადაკითხვას მოვასწრებ და კიდეც გადავწყვეტ, ღირს თუ არა მისი გაგზავნა.

გერმანელები შამპანში უტევენ. ჩანს, როშა ჩაება სამხედრო მოქმედებაში. ნუთუ ეს არის მათი ცნობილი გეგმის დასაწყისი: მიაღწიონ მარნს, მივიდნენ სენ-მიელამდე, ალყაში მოიმწყვდიონ ვერდენი და დასავლეთისკენ გამობრუნდნენ მარნისა და სენის მიმართულებით? მარნიდან ჩრდილოეთითა და სამხრეთით უკვე მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ. დორმანი საფრთხეშია (თვალწინ მიდგას ეს ქალაქი, ხიდი, ეკლესიის მოედანი, მის პირდაპირ ლაზარეთია...) ჯერ კიდევ შორსაა დასასრული? არავითარი იმედი არაა თვალი მოჰკრა მის პირველ ნიშანს. ავიღოთ, თუნდაც საუკეთესო ვარიანტი: 1919 წელი, ამერიკელთა ჯარის შემოსვლა, პირველი ცდების წელი; 1920, გამძაფრებული, გადამწყვეტი ბრძოლის წელი; 1921, ცენტრალური სახელმწიფოთა კაპიტულაციის, ვილსონის მშვიდობის, დემობილიზაციის წელი...

უკანასკნელად გადავიკითხე წერილი. ტონი დამაკმაყოფილებელია, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე; არგუმენტებიც ფრიად დამარწმუნებელია. ჟენი გამიგებს და დამეთანხმება.

18, დილა

ახლახან სეგრე დავინახე საცვლების ამარა. აღარავითარი მსგავსება ბატონ ტიერთან!

აღვწეროთ, რაც ამ დილით მოხდა.

ადრე ავდექი, მინდოდა მომესწრო და მნეს მანქანით გამეგზავნა წერილი. შტორები რომ ავწიე, № 2 პავილიონის ოდნავ შეღებულ ფანჯრიდან სეგრის მოვკარი თვალი; ბატონი პროფესორი სეგრი დილის ტუალეტით იყო გართული. წელს ზევით გაშიშვლებულიყო, ვიწრო ქვედა საცვალში იდგა (უკანალი ბებერ დრომადერს მიუგავდა!) თმა — სველი, სწორი, თავის ქალაზე მიწებებული... გამალებით იხეხავდა კბილებს. მე ისე შევეჩვიე სეგრის ნახვას ბატონი ტიერის ორეულის სახით, სწორედ ისეთი, ჩვენს წინაშე რომ გამოცხადდებოდა ხოლმე, — ბრწყინვალე, ცერემონიული, მუნდირში გამოწკეპილი, ქარს მიშვერილი ქოჩრით, წინწაგდებული ნიკაპით, ისეთი დაძაგრული ტანით, იტყოდით, არ თმობს, თუნდაც ერთი გოჯით უფრო დაბალი გამოჩნდესო, — რომ პირველად ვერც კი ვიცანი. დავინახე, როგორ გადმოაფურთხა წყალი, მერე სარკისკენ დაიხარა, თითები პირში ჩაიყო, პროთეზი გამოიღო, შეურვებული სახით დააცქერდა და ისე დაყნოსა, ცხოველებმა რომ იციან. მაშინვე უკან დავიხიე, ოთახის სიღრმისკენ, მეუხერხულა, თვითონ არ ვიცი, რამ ა მ ა ღ ე ლ ვ ა: ამ ბღენძის, ამ კუშტი კაცისადმი — როგორა ვთქვა? — ერთგვარი ძმური სიმპათია ვიგრძენი უცებ...

ასეთი რამ პირველად როდი მომდის. თუ სეგრის მიმართ არა, ყოველ შემთხვევაში, სხვების მიმართ. რამდენიმე თვეა უკვე აქ, ექიმებთან, სანიტრებთან, ავადმყოფებთან გამუდმებულ კონტაქტში ვარ, უშუალოდ ვარ დაახლოებული. იმდენად კარგად შევისწავლე მათი გარეგნობა, საქციელი, მიდრეკილება, თითოეულ მათგანს შორიდანვე ვცნობ შეუცდომლად: სავარძლიდან მოუჩანთ კეფა თუ ფანჯრიდან ხელს გამოყოფენ სიგარიდან ფერფლის გადმოსაბერტყად; ბაღიდანვე ვცნობ მათ ხმას. მაგრამ ჩემი დამოკიდებულება თითოეული მათგანისადმი ბანალური თავშეკავების საზღვარს არასოდეს გასცილებია. მაშინაც კი, როცა სხვებივით უდარდელი ვიყავი, საზოგადოებაში ვტრიალებდი, მუდამ ვგრძნობდი, ჩვენს შორის გადაულახავი ზღუდე რომ იყო, თავს უცხოდ ვგრძნობდი უცხოთა შორის. მაშ, როგორღა მოხდა, რომ როგორც კი ერთ-ერთი მათგანი მარტოდ მარტო დავინახე, განმარტოების ეს შეგრძნება ერთბაშად გაქრა და ადგილი დაუთმო ძმურ, თითქმის სიყვარულის

გრძნობას? რამდენჯერ მომხდარა, რომ (შემთხვევით, სარკის ანარეკლის წყალობით ან შეღებული კარიდან) მეზობელი პალატის ავადმყოფის რაიმე მოძრაობისთვის მომიკრავს თვალი. ეს ყოფილა სრულიად ჩვეულებრივი მოძრაობა, მაგრამ ისეთი, რასაც ადამიანი მხოლოდ მაშინ აკეთებს, როცა დარწმუნებულია, არავინ მიყურებსო (ჯიბიდან ამოღებულ ფოტო-სურათს დაჰყურებს, ანდა პირჯვარს იწერს ღამით; ან კიდევ იდუმალ ფიქრებს უღიმის მეოცნებე თვალებით), მაშინვე ახლობელ ადამიანად იქცეოდა ჩემთვის, მე მგავდა და იმ წუთში მასთან დამეგობრება გულით მეწადა!

მუხედავად ამისა, სრულიად არა მაქვს უნარი „დავუმეგობრდე გინმეს". არცა მყავს მეგობარი. არც არასოდეს ყოლია (სწორედ ეს მშურდა ჟაკისა: მისი მეგობრობა!)

წერა კვლავაც მსიამოვნებს. ეს დღეები გაცილებით უკეთ ვარ.

საღამოს.

ამ დილით ფრონტულ ცხოვრებას ვიგონებდი (როცა ზავი დამკვიდრდება, ფრონტული ამბები ნადირობის ამბებს შეცვლის). დარომ გვიამბო, ომის დასაწყისში ელზასში დაზვერვის ამბები. ერთხელ რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად ევაკუირებულ, დადუმებულ, მთვარის შუქით განათებულ სოფელში შესულა. სამი ქვეითი გერმანელი ჯარისკაცი მიწაზე იწვა თურმე, გვერდით შაშხანები მიეგდოთ და ხვრინავდნენ. „ჰოდა,—განაგრძო დარომ,—ახლოს რომ მივედი, ისინი უკვე „ბოშები" კი არ იყვნენ, არამედ ქანცგამოლეული ამხანაგები. წამით შევყოყმანდი. მერე გადავწყვიტე, გზა გამეგრძელებია, ვითომ არავინ დამინახავს. და რვა ჯარისკაციც, მე რომ უკან მომყვებოდა, ჩემსავით მოიქცა. ათი მეტრის მანძილზე ისე ჩავუარეთ მძინარეებს, თავიც არ მიგვიბრუნებია მათკენ. არც ერთ ჩვენგანს არასოდეს ნართაულადაც არ უხსენებია, რაც ჩვენ იმ ღამეს ერთსულოვანი შეთანხმებით ჩავიდინეთ.

20 ივლისი.

გუშინ „კომისიამ" კლინიკა „შეამოწმა". მთელი რეგიონის უფროსები მობრძანდნენ. სეგრე, ბარდო და მაზე დაღლილობისგან

წელში გაწყდნენ. ყაზარმის უსიამოვნო გრძნობა. ზურგში არაფერი შეუცვლია ომს.

დალახვროს ღმერთმა! — „დისციპლინაზე“, „არმიის ძალაზე“ ვერაფერს იტყვი! მაგონდება ბრენი და სხვა სამხედრო ექიმები. მათი ცოდნის დონე გაცილებით დაბალია, სათადარიგო ექიმებთან შედარებით. უმეტესად ამას უნდა უმადლოდნენ იმ ფაქტს, რომ დიდი ხნის მანძილზე იერარქიისადმი პატივისცემით მუშაობდნენ, შეეჩვიენ მორჩილებას; დიაგნოზის თავისუფლად დასმა და პასუხისმგებლობის გრძნობა სირმათა რაოდენობით განიზომება.

სამხედრო დისციპლინა. მაგონდება უკმეხი პაოლი, სანიტარული ლაზარეთის უნტერ-ოფიცერი კომპიენის სათადარიგო ნაწილში. სუტენერის სიფათით, ჩასისხლიანებული თვალებით. იქნებ, არც ისეთი ურიგო ბიჭი იყო? ვინ იცის? ყოველ საღამოს მდინარის პირას მიდიოდა და თავისი შაშვისათვის კანაფის თესლებს აგროვებდა... ომამდელი პერიოდის ზ ე ვ ა დ ი ა ნ თ ა ბილწი და გარეწარი ტიპი. (რატომ იყო ზევადიანი? ალბათ იმიტომ, რომ ამ ხელობაში ხედავდა ერთადერთ შესაძლებლობას შიშის ქვეშ ჰყოლოდა თავისი მოძმეები). სამხედრო ექიმმა დაავალა შემოწმებაზე მოსული ახალწვეულების აღრიცხვა. ჩემი კაბინეტიდან მესმოდა, როგორი მორიდებით აკაკუნებდნენ მის კარებზე ავადმყოფები. იგი კი მუდამ ღრიალით აძლევდა ერთსა და იმავე კითხვას: „აბა, ეშმაკმა წაგიღოს, ავადმყოფი ხარ თუ მამაძაღლი?“ ადვილად წარმომედგინა იმ ა ხ ა ლ ბ ე დ ა ს შეშინებული სახე. „თუ მამაძაღლი ხარ, მოუსვი!“ ა ხ ა ლ ბ ე დ ა შეპასუხებას ვეღარ ბედავდა და მაშინვე გაბრუნდებოდა უკან. სამხედრო ექიმს მიაჩნდა, პაოლი დიდებული მუშაკი იყო: „მას ვერავინ გააცურებს!“ „არმია ერის დიდი სკოლაა!“ — უყვარდა მამაჩემს თქმა. და კრუის კოლონიის აღსაზრდელებს რეკრუტებად ამწესებდა.

21, კვირა.

რა არ ვიღონეთ, მაგრამ მთელი კვირის ანალიზები პროგრესიულ დესულფატიზაციასა და დემინერილიზაციას აჩვენებს.

კომუნიკე. კარგი ცნობებია. წინ წაწევა ურკის სამხრეთით. წინ

წაწევა შატო-ტიერზე. მთელ ხაზზე — ენიდან მარნამდე წინ მიდიან. ამბობენ, ფოში დიდხანს ელოდა ხელსაყრელ მომენტს, რათა თავდაცვიდან შეტევაზე გადასულიყო. იქნებ უკვე დადგა ეს ხელსაყრელი მომენტი?

მაიორი მთელი დღე იმას ანდომებს, პატარა ალმები რუქაზე გადაადგილოს. ბოროტი ენები მალვისა * და სამხედრო ტრიბუნალის „ღალატს" ახსენებს. როგორც კი ცნობები უკეთესი გახდა, პოლიტიკამ ხელახლა დაიბრუნა თავისი უფლებები.

22, საღამო.

კერაზელს სიძე ესტუმრა გუშინ, ნიევრის დეპუტატი. ჩვენთან ერთად ისაუზმა. მე მგონია, რადიკალ-სოციალისტია. თუმცა სულ ერთია: ახლა პარტია ობივატელური განწყობილებითაა გაჟღენთილი და წყალს ნაყავს... უაზრო საუბარი. ოღონდ ერთი რამ მაინცაა საინტერესო: გასული წლის გაზაფხულზე ავსტრიამ სიქსტ დე ბურბონის * მეშვეობით ზავი შესთავაზა საფრანგეთის მთავრობას. გუარანი აღშფოთებულია საფრანგეთის უარით. ამბობენ, ყველაზე მეტად ბებერი რიბო * გაჯიუტებულა და პუანკარე ლოიდ-ჯორჯიც სწორედ მას დაურწმუნებიაო. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ყველაზე გავრცელებული ერთ-ერთი არგუმენტი, თითქოს, აი ეს უნდა ყოფილიყო: „რესპუბლიკას არ შეუძლია განიხილოს ზავის პირობები, რაც ბურბონთა სახლის ერთ-ერთმა წევრმა გადმოგვცა. ამით დიდად ისარგებლებდა მონარქიული პროპაგანდა. საფრთხეში ჩააყენებდა რესპუბლიკის მომავალს. მით უმეტეს ახლა, როცა ხელისუფლება სამხედრო გენერლების ხელშია!"

პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია!

23 ივლისი.

გუშინდელი დეპუტატი. შესანიშნავი ნიმუშია თანამედროვე მოუსვენარი სახელმწიფო მოღვაწისა! პარიზიდან ღამის ექსპრესით ჩამოვიდა, თორმეტი საათი რომ მოეგო. წამდაუწუმ შეშინებული დაჰყურებდა საათს. იტყოდით, გაბრუებულიაო: სურიდან წყალს რომ ისხამდა, ხელი უკანკალებდა. მსჯელობისას აზრი ებნეოდა.

ფუსფუსი ენერგიულ საქმიანობად მიაჩნია, ხოლო თავისი უთავბოლო საქმიანობა — მუშაობად. მჭერმეტყველებას გონიერ საბუთად თვლის. დამაჯერებელ ტონს — ავტორიტეტულობის, კომპეტენტურობის ნიშნად. საუბრის დროს ანეკდოტურ შემთხვევას ზოგად აზრად ასაღებს. პოლიტიკაში დიდსულოვნების უარყოფას ჭკვიანურ რეალიზმად იღებს. საკუთარ ჯანმრთელობას სულიერ სიმტკიცედ აღიარებს, მადის დაკმაყოფილებას — ცხოვრებისეულ ფილოსოფიად და სხვ.

ვინ იცის, იქნებ ჩემი დუმილი აღფრთოვანებულ თანხმობად ჩათვალა!?..

28 ივლისი, საღამო.

ფოსტა. ჟენის პასუხი.

ვნანობ, როგორც ვაპირებდი, პირველად დედამისს რომ არ მივმართე. ჟენი უარზეა. წერილი თავშეკავებული, მაგრამ მტკიცე ტონითაა დაწერილი. ამ საქციელის მთელ პასუხისმგებლობას ღირსეულად იღებს თავისთავზე. სავსებით თავისუფლად იკისრა იგი. ჟაკის შვილს შეუძლებელია სხვა მამა ჰყავდეს, თუნდაც ეს ფორმალურად კეთდებოდეს. ჟაკის ცოლი შეუძლებელია მეორედ გათხოვდეს. მას არც მისი შვილის გაკიცხვისა ეშინია, და სხვ.

ჩანს, ჩემმა პრაქტიკულმა მოსაზრებამ არაძცთუ შეარყია ჟენი, საჭიროდაც არ ჩათვალა; წვრილმანობაში ჩამომართვა. ამის შესახებ პირდაპირ არ წერს, მაგრამ რამდენიმე ისეთ გამოთქმას ხმარობს, როგორიცაა: „სოციალური წესიერების დაცვა", „ძველი ცრუშეხედულებანი" და სხვ. თანაც ამას იგი აშკარად აგდებული ტონით იწერება.

რა თქმა უნდა, მე უკან არ დავიხევ. სხვაგვარად უნდა მივუდგე. რაკი ამ „სოციალურ წესიერებას" არავითარი ფასი არა აქვს, მითუმეტეს, რატომ უნდა ავმხედრდეთ მის წინააღმდეგ? ეს იმას ნიშნავს, მივცეთ ის მნიშვნელობა, რაც მას არ გააჩნია! განსაკუთრებით აი, რა უნდა დავიჩემო: საქმე ეხება არა მას, ჟენის, არამედ ჟანპოლს. ვეთანხმები, უკანონოდ შობილთა მიმართ არსებული ცრურწმენა — უაზრობაა! მაგრამ მაინც ხომ არსებობს იგი? თუკი მოვახერხე და ამაში დავარწმუნე, უარს ვეღარ მეტყვის — მიიღოს ჩემი გვარი და ნებაც მომცეს ვიშვილო ბიჭი. განსაკუთრებული მდგომა-

რეობაა: ახლო მომავალში ჩემი გაქრობით ყველაფერი გამარტივდება.

ვეცდები დღესვე ვუპასუხო.

იმაშიც შევცდი, დაწვრილებით რომ არ აღვწერე, როგორ უნდა ჩატარდეს მთელი პროცედურა. ვინ იცის, რა უხერხული მდგომარეობები წარმოიდგინა! ეს საქმე უნდა გადაწყდეს. უნდა ეუთხრა: „თქვენ მხოლოდ ის მოგეთხოვებათ, ერთ საღამოს სწრაფ მატარებელში ჩაჯდეთ. მე გრასში დაგელოდებით. მერიაში ყოველივე მზად იქნება. ორი საათის შემდეგ ხელახლა ჩაჯდებით პარიზისკენ მიმავალ მატარებელში. სამაგიეროდ, ყველა სამოქალაქო საბუთი წესრიგში გექნებათ“.

24.

გუშინდელი წერილით კმაყოფილი ვარ. კარგად მოვიქეცი, დღეისთვის რომ არ გადავდე. მძიმე დღე მქონდა. ახალი პროცედურებით გადავიქანცე.

რა სისულელეა ამდენი დაფიქრება: იმისათვის, რომ ბავშვს თავიდან ავაცილოთ მოსალოდნელი სიძნელეები, საკმარისია უბრალო ფორმალურობა. შეუძლებელია, ქენი ვერ დავარწმუნო.

25 ივლისი.

გაზეთები. შატო-ტიერი დავიკავეთ. რა არის ეს? გერმანელების დამარცხება თუ სტრატეგიული უკანდახევა? შვეიცარული პრესა ირწმუნება, ფოშის შეტევა ჯერ არ დაწყებულაო. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, უკან დახევის საშუალება გერმანელებს არ მისცენ. ინგლისელთა უმოქმედობა ფრონტზე ამ ვარაუდს შესაძლებელსა ხდის.

სულის ხუთვა გამიხშირდა. შიში. ტემპერატურა მერყეობს. გულგატეხილობა.

შაბათი, 27.

საშინელი ღამე მქონდა. ფოსტამ ცუდი ამბავი მომიტანა: ქენი ჯიუტობს.

ნემსი. ორი საათით შესვენება.

ენის წერილი. არ სურს გამიგოს. ენი გაკერპებულია. მისი ქალური გონება რაღაც განდგომის მნიშვნელობას აძლევს ნოტარიუსის ჟურნალში უბრალო ჩანაწერს („რომ შემეძლოს ქაკს ვკითხო რჩევა, უეჭველად დამარიგებდა, არავითარ დათმობაზე არ წავსულიყავი ამ სულმდაბალი ცრურწმენის წინაშე... ასე მგონია, ვუღალატებ-მეთქი, თუ...“ და სხვ.)

ნერვები მეშლება, ტყუილუბრალოდ ამდენი დრო რომ იკარგება კამათში. რაც უფრო გვიან დათანხმდება, მით უფრო გამიძნელდება საჭირო ზომების მიღება (საბუთების შეგროვება, ნებართვა, რომ ქორწინება აქ მოხდეს, ოფიციალური გამოცხადება და სხვა...) და სხვა...)

დღეს ვერაფერს მივწერ, ძალიან სუსტად ვარ. გადავწყვიტე, საკითხს სენტიმენტალური პოზიციებიდან შევუტიო: პირველ ყოვლისა, რაოდენ მორალურ სიმშვიდეს ვიგრძნობდი, თუკი დავრწმუნდებოდი, რომ ცხოვრების ყოველგვარ სიძნელეს ავაცილებდი ბავშვს! ჩემი წუხილი გადაჭარბებულად უნდა წარმოვადგინო. ენის შეევედრო, უარს ნუ მეტყვის ამ უკანასკნელ სიხარულზე, და სხვ.

28.

წერილი დავწერე და გავაგზავნე. ძალიან გამიჭირდა წერა.

29 ივლისი.

გაზეთები. გერმანელები მთელ ფრონტზე შევავიწროვეთ, ენიდან — ველამდე. მტერი განდევნილია მარნიდან. ფრენი, ფერის ტყე, ვილნევი და რონშარი, რომინი და ვილ-ან-ტარდენუა გათავისუფლებულია.

ყველა ეს კუთხე ისე კარგად მახსოვს!

ბაღში.

აი, რა მაქვს თვალწინ: ირგვლივ ისეთივე ბაღები, როგორიც ჩვენია, დაგრაგნილი ფორთოხლის ხეებით, ლიმონის ხეებით, ნაცრის-

ფერი ზეთისხილით, ქერქჩამოცვენილი ევკალიპტებით, ფრთისებრ-ფოთლოვანი იალღუნებით, ფართო-ფოთლება, რევანდის ჯიშის მცენარეულობით, თიხის ქოთნებით, საიდანაც ვარდებისა და ნემსიწვეერას კასკადი მოედინება. ფერთა სიშმაგე: ცისარტყელას ყოველი ნიუანსი. კიპარისების ღობის მიღმა მზეზე აკაშკაშებული სახლები სხვადასხვაფრადაა შეღებილი: თეთრად, ვარდისფრად, იასამნისფრად, ნარინჯისფრად, კრამიტის სინგური მკვეთრად მოჩანს ცის სილურჯეზე. ხის ვერანდები ყავისფრად, მეწამულად, მუქ მწვანედ შეუღებიათ! მარჯვნივ, სულ ახლოს, ჟანგ-მიწისფერი სახლია, ღია ცისფერი დარაბებით. მეორე სახლი ქათქათა თეთრი ფერისაა, მოლისფერი ჟალუზებით და იისფერი ფართო კართანით!

რა კარგია, აქ საკუთარი სახლი გქონდეს, საკუთარი ბედნიერება აქვე მოაწყო, მთელი სიცოცხლე აქ გაატარო!..

კიპაროსების ბნელ ხეივანში მზის სხივი ისე ალაპლაპებს ტელეგრაფის ბოძებზე მიმაგრებულ ფაიფურის სფეროებს, თვალს ვერ გაუსწორებ.

30, ხალამო.

დღეს ქვევით ჩავედი. ორი დღის წინ აქ ჩამოსვლაც არ შემეძლო.

გაოგნებული ვარ, გამოლაყებული. ცხოვრებას, ხალხს ისე ვუყურებ, თითქოს იმის შემდეგ, რაც მერმისიდან ამომაგდეს, სამყარო უჩვეულო, გამოუცნობი გახდა ჩემთვის!

მგონი, შეტევა შეაჩერეს.

ამბობენ, რუსებმა (ლენინმა) მოკავშირეებს ომი გამოუცხადაო.

საღამო.

მაგონდება: მამის გარდაცვალების შემდეგ, მისი საქაღალდე ჩემს კაბინეტში წავიღე; სამი თვის მერე, ფილიპისთვის რაღაც უნდა მიმეწერა. ერთი ფურცლის მეორე მხარეს მამაჩემის მინაწერი შევამჩნიე: „ორშაბათი. ბატონო ჩემო, მხოლოდ ამ დილით მივიღე...“ ამ უეცარი შეხვედრით თითქოს ხელით შევეხე სიკვდილს! მამაჩემის წვრილი, საგულდაგულო ნაწერი. ჯერ კიდევ ცოცხალი სიტყვა, სამუდამოდ შეწყვეტილი მოძრაობა!

1 აგვისტო, 18.

ტარდენუასთან შეტევა გრძელდება. წარმატებით მაინც დაამთავრებენ? სამაგიეროდ, რა ფასად დაუჯდებათ! მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ რუასანსა და რეიმსთან. ბარდომ წერილი მიიღო სომიდან; სწერენ, საფრანგეთ-ინგლისის კიდევ ერთი შეტევა მზადდება ამიენის აღმოსავლეთითო. (ამიენი 14-ის აგვისტოში... ირგვლივ საშინელი არეულობა! კარგად ვისარგებლე ამით: როუს წყალობით ჰოსპიტლის აფთიაქიდან უამრავი მორფიუმი და კოკაინი ჩავიგდე ხელში ჩვენი საექიმო პუნქტის მოსამარაგებლად! მერედა, ორი კვირის შემდეგ როგორ გამომადგა ეს მარაგი მარნთან ბრძოლაში!)

პალატამ კენჭი უყარა 20 წლიანების გაწვევას. მაშასადამე, ჩვენს ლულუსაც გაიწვევენ! საწყალი ბიჭი, ბევრჯერ სინანულით მოაგონდება ფონტანენის ჰოსპიტალი!

2 აგვისტო.

აღარავითარი იმედი აღარ დამრჩა ჟენის სიკერპის მოსადრეკად. ამჯერად საბოლოო უ ა რ ი. მოკლე, თბილი, მაგრამ უდრეკი წერილი! მით უარესი! (წავიდა ის დრო, როცა უმნიშვნელო მარცხსაც ვერ ვეგუებოდი. ფარ-ხმალს ვყრი). თავის უარს უკვე პრინციპულ ხასიათს — და რაც საკმაოდ მოულოდნელია! — რევოლუციურ პრინციპს აძლევს... გაბედულად იწერება: „ჟან-პოლი ბუშია, დაე, ასევე ბუშად დარჩეს ბოლომდე! თუკი ეს უჩვეულო მდგომარეობა ჟაკის შვილს ბავშვობიდანვე აიძულებს საზოგადოების წინააღმდეგ ამხეღრდეს, მით უკეთესი: მამამისი უკეთეს ხვედრს არ ინატრებდა თავისი ვაჟისთვის!" (იქნებ ასეცაა... ჰოდა, ასე იყოს! დაე, სიკვდილის შემდეგაც იზეიმოს იმ ამბოხმა სულმა, ჟაკი რომ თავისთავში ატარებდა!).

3, ღამე.

ამ დროს მიყვარს წერა. გონება ახლა უფრო ნათელი მაქვს, ვიდრე დღისით. საკუთარ თავთანაც უფრო მარტო ვარ.

ჟენი. შინაარსს თუ არ ჩავთვლით, უნდა ვაღიარო, რომ მისი წერილები უჩვეულოდ თანმიმდევრულია და ერთ მთლიანს ქმნიან. არც ძალა აკლია, არც კეთილშობილება. მოწიწებას იწვევს.

ჟ ა ნ-პ ო ლ ს:

როცა გაიზრდები, დედაშენის წერილებით აღფრთოვანებული დარჩები, ჩემო ბიჭო, თუკი ოდესმე ძია ანტუანის ქაღალდებში ქექვას მოისურვებ. ვიცი, ჩვენს კამათში უყოყმანოდ გაამართლებ დედაშენს. ასე იყოს. მამაცობა, დიდსულოვნება მის მხარეზეა და არა ჩემსაზე. მე მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: უნდა გამიგო! ჩემს ჩაციებაში არ უნდა დაინახო ბურჟუაზიული ცრურწმენისადმი ოპორტუნისტული და რეტროგადული დათმობა. ვშიშობ, მომავალი თაობა, რომელსაც შენ ეკუთვნი, მრავალ საკითხში შეეჯახება საშინელ და დიდხანს გადაულახავ დაბრკოლებებს. ამასთან შედარებით არაფერს წარმოადგენს ის სიძნელეები, რასაც მე და მამაშენი ვაწყდებოდით ხოლმე! ეს აზრი, ჩემო ბიჭო, გულს მიკუმშავს. მე აქ აღარ ვიქნები, რომ ამ ბრძოლაში მხარში ამოგიდგე. რა დიდი სიხარული იქნებოდა ჩემთვის იმის გაფიქრება, რომ რაღაც მაინც გავაკეთე შენთვის! თუკი შენს მდგომარეობას ვუზრუნველვყოფდი საზოგადოებაში, თუკი კანონიერად მოგცემდი გვარს, მამაშენის გვარს, ამით თავიდან აგაშორებდი ერთ-ერთ იმ სიძნელეს, რაც გზაზე შეგხვდებოდა, ერთადერთ სიძნელეს, რისი აშორებაც მე შემეძლო; თუმცა ვინ იცის, იქნებ მართალია დედაშენი, იქნებ ამ სიძნელის შეფასებისას მე ვაჭარბებ!?

4 აგვისტო.

გაზეთები. სუასონი ხელახლა დავიკავეთ. მარტის ბოლომდე გერმანელების ხელში იყო. ჩვენი არმია ამჟამად ენზე და ველზეა, ფიმის წინ. (ფიმი... კვლავ ამეშალა მოგონებანი! აქ შევხვდი სანდერსის ძმას, მოწინავე ხაზზე მიდიოდა და აღარც დაბრუნებულა).

ბრძნული სიტყვა თქვა ძია ლენდლდოუნმა. მოუსმენენ კი? თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, — გუარანიც ამ აზრისაა, — ზამთრის დამდეგამდე შეეცდებიან მოლაპარაკებას! მაგრამ კლემანსო წაუყრუებს ამ მოწოდებას, სანამ თავის უკანასკნელ ხერხს არ გამოიყენებს: ამერიკელებს.

რუსეთი... ეტყობა, იქაც დიდი ამბები ხდება. მოკავშირეთა დესანტი არხანგელსკში, იაპონელთა დესანტი — ვლადივოსტოკში. მაგრამ ახლანდელ პირობებში, როცა იქიდან არავითარ ინფორმაციას არ უშვებენ, როგორ გინდა გაერკვე რუსულ ქაოსში!?

ს ა ლ ა ძ ო ს.

სეგრი მარსელიდან დაბრუნდა. გენერალურ შტაბში ამბობენ, 18 ივლისს დაწყებული მოკავშირეთა კონტრშეტევის პირველი ეტაპი მთავრდებაო: მიზანი მიღწეული იქნება: ფრონტი უაზიდან მაასამდე გასწორდება; აღარ არსებობს სოლი, მოულოდნელი დარტყმის საფრთხეს რომ ქმნიდა. მთელი ზამთარი ამ ახალ ხაზზე ხომ არ ვიდგებით?

ნ ა გ ვ ი ს ტ ო.

არ ვიცი, უნდა მიხაროდეს თუ არა, მაზეს ახალი, ტკივილდამაყუჩებელი წამლის შედეგები? მართალია, უძილობას არ შველის, სამაგიეროდ მაჯისცემა უფრო რეგულარულია, ნერვებსაც ამშვიდებს და მგრძნობელობაც ნაკლებად მწვავდება. გონებაც უფრო ნათელი, გახსნილი, გაორკეცებული ენერგიისაა. (ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია). ძილი გატეხილი მაქვს, მაგრამ წინა, ზოგიერთ ღამეს თუ შევადარებთ, ეს ღამეები სასიამოვნოდ გადის!

ამით ჩემი დღიური იგებს!

ჟოზეფი შვებულებაშია. მოხუცი ლუდოვიკი ცვლის. იმდენს უბედობს, თავი მისკდება. როცა ოთახის დასალაგებლად მოდის, გარეთ გავრბივარ. ამ დილით კანის მოწვა ჩამიტარეს, ამიტომ დამაგვიანდა

ადგომა, ჩამიჭირა. განსაკუთრებით აუტანელი იყო მისი ლაყბობა, რადგან ლაპარაკს წამდაუწუმ აწყვეტინებდა რაღაც ყეფისმაგვარი სლოკინი. თანაც აიხირა, პარკეტი უნდა გავაპრიალოო. ორ ჯაგრისზე შედგა, ქიგს თუ რაღაც ამგვარს ცეკვავდა და გაუთავებლად ტარტარებდა.

საკოიაში გატარებული ბავშვობა თავიდან ბოლომდე მიამბო. ერთსა და იმავეს იმეორებდა: „კარგი დრო იყო, ბატონო ექიმო!“ (მართალი ხარ, ლუდოვიკ, როგორც კი წარსულის რომელიმე მომენტი გონებაში ამოტივტივდება, თუნდაც უსიამოვნო, მეც შენსავით ვიმეორებ გულში: კარგი დრო იყო-მეთქი!).

კლოტილდასი არ იყოს, ისიც ხშირად ხმარობს ძარღვიან გამოთქმებს, ოღონდ სულ სხვა სტილში, ნაკლებად ყარგონულს. მაგალითად, მითხრა, მამაჩემი მ ო მ რ გ ე ბ ი იყოო, ე. ი. ხელოსანი, რომელსაც სამკერვალო სახელოსნოში თერძის მიერ გამოჭრილი ნაჭრების ერთმანეთთან მ ო რ გ ე ბ ა აკისრია. კარგი სიტყვაა! რამდენ ადამიანს... (ეაკ...) სჭირდება მიმართოს ასეთ მ ო მ რ გ ე ბ ს, რათა რაც კი შეიძინა, სისტემაში მოიყვანოს!

ერთ-ერთ წერილში ჟენი ეაკზე, მის „დოქტრინაზე“ ლაპარაკობს. მეტისმეტი შეუფერებელი სიტყვაა. ამ საკითხზე მასთან კამათის დაწყებისგან თავს ვიკავებ. მაგრამ მე მგონია, ბავშვის აღსაზრდელად საკმაოდ სახიფათოა, როცა ეაკის რამდენიმე შემთხვევით აზრს, მას რომ გაუზიარა და ჟენიმაც მეტ-ნაკლები სიზუსტით დაიმახსოვრა, „დოქტრინად“ მიიჩნევს!

თუკი, ჟან-პოლ, ოდესმე ამ სტრიქონებს წაიკითხავ, ნაჩქარევად ნუ გამოიტან დასკვნას, არ იფიქრო, თითქოს მამაშენის აზრები შეუსაბამოდ მიაჩნდეს ძია ანტუანს. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ეაკი, როგორც ყველა აღგზნებული ადამიანი, ზოგიერთ საკითხზე განსხვავებულ, ხანდახან ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებს გამოთქვამდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს თვითონაც ვეღარ უსადაგებდა მათ ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, საგნებზე ზუსტი, მტკიცე, უდრეკი შეხედულების გამოტანას, გარკვეული მოსაზრების გამომუშავებას ვერ ახერხებდა. თვით მისი პიროვნებაც შეუთავსებელი, გაორებული, ამავე დროს მბრძანებლური ელემენტებისგან შედგებოდა, — სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი სულიერი სიმდიდრე, — მაგრამ მათ შორის არჩევნის გაკეთება ძალიან უჭირდა, ერთი მთლიანი ჰარმონია ვერ დაემყარებია. აქედან გამომ-

დინარეობდა მისი მუდმივი მოუსვენრობა და ის ავადმყოფური აღტყინება, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ გაჰყვა.

სხვათა შორის, იქნებ მეტ-ნაკლებად ჩვენც მას ვგავართ. ჩვენ — მე ვგულისხმობ მათ, ვინც ვერ იქნა და ვერ მოახერხა რომელიმე წინასწარ დადგენილ, მზა სისტემას მიკედლებოდა; ვინც თავისი განვითარების გარკვეულ მომენტში ვერ შესძლო მიეღო ზუსტი მსოფლმხედველობა, რელიგიური რწმენა, ვინც ვერ აირჩია რომელიმე მყარი, ხელუხლებელი და უდავო პოზიცია. ასე რომ, ეს ხალხი სამუდამოდაა განწირული იმისთვის, რათა პერიოდულად გადასინჯოს საყრდენი წერტილი და თანმიმდევრული წონასწორობაც ხელახლა აღიდგინოს.

6 აგვისტო, საღამოს 7 საათი.

მოხუცი ლუდოვიკი. იმავე კოტიტა თითებს, № 49 ავადმყოფს თერმომეტრი რომ ჩაუდო და მერე ამოუღო, № 55-სა და 57-ს საფურთხებელი გაურეცხა, ახლა საშაქრეში ჰყოფს, ცაცხვის ჩაი უნდა დამიშაქროს. ვეუბნები: „გმადლობთ, ლუდოვიკ...".

დღეს არა მიშავდა. თუმცა მე ხომ უფლება აღარა მაქვს, წუნია ვიყო!

საღამოს ნემსი გამიკეთეს. მომეშვა.

ღამით.

ტკივილები არც ისე მაწუხებს. სამაგიეროდ უძილობა...

რასაც გუშინ ჟან-პოლისთვის ვწერდი, სულმთლად ზუსტად არ გამოხატავს ჩემს პიროვნებას. არ იფიქრო, თითქოს მთელი სიცოცხლე წონასწორობის ძებნაში გამეტარებინოს. არა. ალბათ, ჩემი ხელობის წყალობით, მუდამ თავდაჯერებულად ვგრძნობდი თავს. ჭმუნვამ ერთხელაც ვერ დამძლია.

საკუთარი თავის შესახებ:

საკმაოდ დიდი ხანია (ჯერ კიდევ მედიცინაში ფეხის შედგმის პირველივე წელს) არავითარ, არც ფილოსოფიურ, არც რელიგიურ დოგმებს არ ავყოლილვარ და საკმაოდ კარგადაც მოვახერხე ერთმა-

ნეთისთვის შემეგუებინა ყოველი ჩემი მიდრეკილება, საკუთარი თავისთვის შემექმნა ცხოვრების, აზრების მტკიცე ჩარჩო, ერთგვარი მორალი. მართალია, ამ ჩარჩოს გარკვეული საზღვარი ჰქონდა, მაგრამ ეს საზღვრები სულაც არ მტანჯავდა. ამაში რაღაც შვებასაც კი ვპოულობდი. ჩემს მიერ შექმნილ ამ ჩარჩოში ცხოვრება, კეთილდღეობის პირობადაც კი გახდა ჩემთვის, ჩემი მუშაობისათვის აუცილებელ პირობად. ამგვარად, ძალიან ადრე მოხერხებულად აღმოვჩნდი რამდენიმე პრინციპის ცენტრში, — ვწერ პ რ ი ნ ც ი პ ი-მეთქი, რადგან უკეთესი სიტყვა ვერ მიპოვნია; ტერმინი კი პრეტენციოზულია და ნაძალადევი — ეს პრინციპები ჩემი ბუნების და ჩემი, როგორც ექიმის, არსებობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. (ზოგადად რომ ვთქვათ: ენერგიული ადამიანის ელემენტარული ფილოსოფია, ენერგიის, ნებისყოფის ვარჯიშისა და სხვ. კულტზე რომ არის დაფუძნებული).

ყოველ შემთხვევაში, ეს ნამდვილად ასეა. ომამდელი პერიოდისათვის, ნამდვილია ომის პერიოდისათვისაც, ყოველ შემთხვევაში, პირველი ჭრილობის მიღებამდე. იმ ხანებში (სენ-დიზიეს ჰოსპიტალში ყოფნისას) შევუდექი ჩემი მოსაზრებებისა და საქციელის გადასინჯვას, რამაც აქამდე შემინარჩუნა გარკვეული წონასწორობა, მოსახერხებელი ჰარმონია და საშუალება მომცა წარმატებით ვამოვეყენებია ჩემი შესაძლებლობანი.

დავიღალე. მგონი, არა ღირს ასეთი ანალიზის გაგრძელება. აღმაფრენა მაკლია. ვიბნევი. რამდენადაც ღრმად ვიჭრები, მით უფრო სადავოდ მეჩვენება, რასაც საკუთარ თავზე ვწერ.

მაგალითად, მე ვფიქრობ ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან საქციელზე. ვრწმუნდები, რაც კი უშუალოდ, სტიქიურად ჩამიდენია, სწორედ ის ეწინააღმდეგებოდა ჩემს ცნობილ „პრინციპებს“, უკანასკნელ წუთებში მუდამ ისეთი გადაწყვეტილება მიმიღია, რასაც ჩემი „ეთიკა“ ვერ ამართლებდა. ამ გადაწყვეტილებებს რაღაც ისეთი შინაგანი ძალა მკარნახობდა უცებ, მთელ ჩემს ჩვევებზე, მოსაზრებებზე მტკიცე რომ იყო; ამის შედეგად, ჩვეულებრივ, ეპვი შემქონდა ამ „ეთიკასა“ და საკუთარ თავში. და აი, მაშინ ვფიქრობდი:

„ვარ კი სწორედ ისეთი ადამიანი, როგორიც ჩემი თავი მგონია?“ თუმცა ეს შიში სწრაფად მიქრებოდა და ხელსაც არ მიშლიდა წო-

ნასწორობა აღმედგინა ჩემს ჩვეულებრივ სიტუაციებში მოხვედრისას).

აქ კი, ამ საღამოს (მარტოობა, უკან დახევა) საკმაოდ ნათლად ვამჩნევ, რომ ამ ცხოვრებისეული კანონების წყალობით, ამ კანონების დამორჩილებით, ხელოვნურად, ჩეძდაუნებურად დამიმახინჯებია თავი და რაღაც ნიღაბი შემიქმნია ჩემთვის. ამ ნიღაბს ნელ-ნელა შეუცვლია ჩემი პირვანდელი ხასიათი. არსებობის მანძილზე (თანაც იმის დრო არ მქონდა, მეტი შორსმჭვრეტელობა გამომეჩინა) ადვილად ვეგუებოდი ამ გამომუშავებულ ხასიათს. მაგრამ ზოგჯერ, სერიოზულ მომენტებში, სტიქიურად მიღებული გადაწყვეტილება, ეტყობა, ჩემი ნამდვილი ხასიათის გამოვლინება იყო, რაც ერთბაშად ხდიდა ნიღაბს ჩემი ბუნების ნამდვილ სახეს.

(მოხარული ვარ, ამ საკითხებში რომ გავერკვიე).

სხვათა შორის, დასაშვებად მიმაჩნია, რომ ასეთი შემთხვევა ხშირია. ეტყობა, ადამიანის ნამდვილი ბუნების გამოსავლენად მის ჩვეულებრივ საქციელში კი არ უნდა დავუწყოთ ძებნა, არამედ იმ გაუთვალისწინებელ, ერთი შეხედვით გაუგებარ, ზოგჯერ შეუფერხებელ საქციელში, რაც თვით იმ ადამიანმაც არ იცის, როგორ ჩაიდინა. აი, სწორედ აქ იჩენს თავს   დ ე დ ა ნ ი !

მინდა ვიფიქრო, რომ ჟაკის საქმე სულ სხვაგვარად იყო. სწორედ მისი ღრმა ბუნება (დ ე დ ა ნ ი) განსაზღვრავდა უმეტეს წილად მის ცხოვრებისეულ საქციელს. ამიტომაც, ვინც მას იცნობდა, ფიქრობდა, გუნება-განწყობილება ხშირად ეცვლებაო, მოულოდნელი და ერთი შეხედვით არათანმიმდევრული რეაქციები აქვსო.

ფანჯრიდან სინათლის პირველი ანარეკლი შემოიჭრა. კიდევ ერთი ღამე, ერთი ღამით ნაკლები... ვეცდები როგორმე ჩავთვლიმო (ამჯერად ძალიან არც ვნანობ, რომ არ მეძინა).

8 აგვისტო, ბაღი.

ჩრდილში 28°. საშინელი სიცხეა, მაგრამ როგორღაც მსუბუქი, მაცოცხლებელი. შესანიშნავი ჰავაა. (გაუგებარია, კაცობრიობის ასეთი დიდი ნაწილი რატომ ეგუება პირქუშ ჩრდილოეთს!).

ახლახან სუფრასთან, ყურს ვუგდებდი მათ საუბარს მომავალზე. ყველას სჯერა — ან თავს აჩვენებენ,—რომ „გაზით მოწამლული“

სამუდამოდ არაა კალაპოტიდან ამოვარდნილი. ისიც სჯერათ, რომ ზუსტად ისევე შესძლებენ ცხოვრებას, როგორც მობილიზაციამდე ცხოვრობდნენ. თითქოს ქვეყანა მშვიდობას-ღა ელოდებოდა, რათა ძველებური, ყოველდღიური არსებობა აღიდგინოს. ვშიშობ, უხეშ იმედგაცრუებას უმზადებს მომავალი...

ყველაზე მეტად მათი ტონი მაკვირვებს, სამოქალაქო საქმიანობაზე როცა იწყებენ ლაპარაკს. არასოდეს ისე არ ახსენებენ ამ საქმიანობას, როგორც მათ მიერვე არჩეულ, საყვარელ, ახლობელ საქმეს, არამედ როგორც ბიჭებმა იციან ხოლმე ლაყბობა სკოლის გაკვეთილების შესახებ, ან კიდევ, როგორც კატორღელი ლაპარაკობს მძიმე სამუშაოზე. საცოდავები! იმაზე უფრო საშინელი არაფერია, ვიდრე მტკიცე მოწოდების გარეშე ცხოვრების დაწყება. (არაფერი — გარდა ყალბი მოწოდებით ცხოვრების დაწყებისა).

ჟ ა ნ-პ ო ლ ს:

ჩემო პატარა, უფრთხილდი „ყალბ მოწოდებას“! უმეტეს შემთხვევაში, ბედ-უკუღმართი ცხოვრების, მწარე სიბერის მიზეზი სწორედ ესაა.

ჭაბუკად წარმომიდგენიხარ. თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისა. უპირატესად, დიადი ბორგვის ასაკი. ასაკი, როცა შენი გონება პირველად იწყებს საკუთარი თავის შეცნობას, საკუთარ ძალაზე ილუზიების შექმნას. ასაკი, როდესაც, შესაძლებელია, შენი გული ხმამაღლა ალაპარაკდეს და აღმაფრენის დაოკება გაძნელდება. ასაკი, როცა ერთბაშად გადახსნილი ჰორიზონტით გაბრუებული, გაოგნებული შენი სული შეყოყმანდება მრავალი შესაძლებლობის გზაჯვარედინზე. ასაკი, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ მაინც ძლიერი ჰგონია თავი, უკვე მოთხოვნილება აქვს იპოვოს მყარი საფუძველი, საყრდენი წერტილი და მზადაა ხარბად დაეწაფოს ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ პირველივე პრინციპს, პირველივე მოძღვრებას... ფრთხილად! რადგან სწორედ ამ ასაკში — შენ თვითონ დარწმუნდები! — შენს წარმოსახვას მიდრეკილება ექნება დაამახინჯოს სინამდვილე: ნამდვილს ყალბით შეცვლის. შენ იტყვი: „ვიცი...“, „ვგრძნობ...“, „დარწმუნებული ვარ...“ ფრთხილად! ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი მესაჭეს წააგავს ჩვეულებრივ, გაშმაგებულ კომპასს რომ მინდობია. რადგან ღრმად სწამს, რომ მისი ყმაწვილური გემოვნე-

ბა ბუნებრივია, რომ იგი მეგზურად გამოადგება, რომ იგი ზუსტ მიმართულებას აჩვენებს. მას ვერც კი წარმოუდგენია, ყალბი, ხანმოკლე, თვითნებური მიდრეკილებანი ბუქსირით თუ მიათრევენ. ვერც კი წარმოუდგენია, თუ ეს მიდრეკილებანი, მას რომ ნამდვილად თ ა ვ ი ს ი ჰგონია, პირიქით, ძალიან უ ც ხ ო ა მისთვის: მან ისინი შემთხვევით, წიგნებსა თუ ცხოვრებაში შეხვედრილი გმირის გაელვნით აკრიბა, სხვისი ტანსაცმელივით მოირგო.

როგორ აირიდებ ამ საფრთხეებს? ძალიან მაშინებს შენი ბედი! შეისმენ ჩემს რჩევებს?

პირველ ყოვლისა, ჩემი სურვილი იქნებოდა მეტისმეტ მოუთმენლობას ნუ გამოიჩენ და ნუ უკუაგდებ შენი მასწავლებლების, შენი ოჯახის, შენი ახლობლების რჩევებს; შენ გგონია, მათ არ ესმით შენი, თუმცა ისინი, ალბათ, უკეთ გიცნობენ, ვიდრე შენ იცნობ საკუთარ თავს. მათი დარიგებები გაღიზიანებს? ალბათ, იმიტომ, რომ როგორღაც გრძნობ, მართალი არიანო...

მაგრამ განსაკუთრებით მინდა, შენ თვითონ დაიცვა თავი საკუთარი თავისაგან! მუდამ გეშინოდეს, არ მოტყუვდე საკუთარ თავში, გარეგნულმა ნიშნებმა არ გაგაბრიყვოს. რადაც უნდა დაგჯდეს, გულწრფელი იყავი, რათა ეს გულწრფელობა ნათელმხედველი და სასარგებლო გახდეს. გაიგე, ეცადე აი ეს გაიგო: შენი წრის ყმაწვილს, — მე მინდა ვთქვა: განათლებულ, ერუდირებულ ყმაწვილს, ჭკვიან, თავისუფლად მოაზროვნე ხალხის წრეში რომ ცხოვრობს, გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა ზ ე ადრე ც ნ ე ბ ა უჩნდება ზოგიერთი რამის, ზოგიერთი გრძნობის შესახებ. ისინი გონებით, წარმოდგენით ეცნობიან ათასნაირ გრძნობას ისე, რომ პირადად უშუალოდ არაფერი გამოუცდიათ. წარმოდგენაც არა აქვთ: ისინი ერთმანეთში ურევენ ც ო დ ნ ა ს და გ ა ნ ც დ ა ს. ჰგონიათ, რაღაც გრძნობას, მოთხოვნილებას გ ა ნ ი ც დ ი ა ნ, სინამდვილეში ი ც ი ა ნ მხოლოდ, რომ ამ გრძნობებსა და მოთხოვნილებას ხალხი განიცდის...

ყური მიგდე! მოწოდება! ავიღოთ ერთი მაგალითი. ათი-თორმეტი წლის ასაკში, ალბათ, გჯეროდა, რომ მოწოდებით მეზღვაური იყავი, რომ შენ ახალ მიწას აღმოაჩენდი, რადგან გატაცებით გიყვარდა სათავგადასავლო ამბები. ამჟამად უკვე საკმაოდ დამჯდარი გონება გაქვს და კიდეც გეცინება ამ გატაცებას რომ გაიხსენებ. ჰოდა, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ასაკშიც ასეთივე ანალოგიური შეცდომები გაქვს ჩასაფრებული. ფრთხილად იყავი, ნუ ენდობი შენს

მიდრეკილებებს. მეტისმეტად სწრაფად ნუ წარმოიდგენ, რომ ხელოვანი ან შემოქმედი ხარ, ან ღრმა სიყვარულის მსხვერპლი გახდი მხოლოდ იმიტომ, რომ ხშირად ყოფილხარ ა ღ ფ რ თ ო ვ ა ნ ე ბ უ ლ ი წიგნებსა თუ ცხოვრებაში აღმოჩენილი პოეტებით, დიდი მოღვაწეებით, მიჯნურებით. მოთმინებით მოძებნე ის, რაც მთავარია შენს ბუნებაში, შეეცადე თანდათანობით აღმოაჩინო შენი ნამდვილი „მე". ეს არაა ადვილი! და ბევრი ძალიან გვიან აღწევს ამას. ზოგი საერთოდ ვერ აღწევს. შენ დრო გაქვს, ნუ ჩქარობ. დიდხანს ივლი ხელების ფათურით, სანამ გაიგებ ვ ი ნ ხ ა რ. სამაგიეროდ, როცა საკუთარ თავს იპოვი, მაშინვე მოიშორე ნათხოვარი ტანსაცმელი! მთლიანად მიიღე საკუთარი თავი, თავისი შესაძლებლობითა და ნაკლოვანებით. შეეცადე განვითარდე ნორმალურად, ჯანსაღად, ყოველგვარი ხრიკების გარეშე და ისე მიაღწიო შენს ნამდვილ დანიშნულებას. რადგან თავისთავის შეცნობა და აღიარება სულაც არ ნიშნავს მოქმედებიდან, სრულყოფისგან ხელის აღებას: პირიქით! ამით შესანიშნავი შესაძლებლობა გეძლევა მიაღწიო შენს მაქსიმუმს, რადგან შენ უკვე სწორი გზით, იმ გზით მიდიხარ, სადაც მცდელობა ნაყოფს იძლევა. რაც შეგიძლია ფართოდ გაშალე შენი შესაძლებლობის საზღვრები! ოღონდ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი საზღვრები და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მიხვდები, თუ როგორია იგი მარცხი უფრო ხშირად იმას მოსდის, ვინც პირველივე ნაბიჯზე ვერ გამოიცნო თავისი ბუნება, შეცდა და სხვის ნაკვალევს დაადგა; ან იმას, ვინც სწორი გზა აირჩია, მაგრამ ვერ შესძლო, ანდა გამბედაობა ვერ ეყო დარჩენილიყო თავისი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს ფარგლებში.

9 აგვისტო

გაზეთები. ლოიდ-ჯორჯის ოპტიმისტური სიტყვა. უდავოდ გადაჭარბებული ოპტიმიზმია. მაგრამ საქმე ასე მოითხოვს. მიუხედავად ყველაფრისა, უკანასკნელი ოცი დღის ამბებმა მოლოდინს გადააჭარბა საფრანგეთის ფრონტზე (რიუმელთან საუბარი პარიზში). ჩანს, გუშინ შეტევა დაწყებულა პიკარდიაში. ამერიკელებიც გამოჩნდნენ ჰორიზონტზე. ფიქრობენ, პერშინგის * გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ საშუალება მისცეს ფოშეს გაასწოროს ფრონტის ხაზი და პარი-

ზის მისადგომები დიდ მანძილზე გაათავისუფლოს: ამას გარდა საანამ ფრანგები და ინგლისელები ძველ პოზიციებს გაამაგრებენ, აძერიკელთა მასიური გადაყვანაც დაიწყება ელზასზე, რათა საზღვარი გადალახონ და გერმანია დაიპყრონ. აი იმ დღეს, როგორც ამბობენ, ომი მოგებული იქნება რაღაც ახალი გაზის გამოგონების წყალობით; მას მხოლოდ მტრის ტერიტორიაზე გაუშვებენ, რადგან იგი ყველაფერს ანადგურებს თურმე, რამდენიმე წლით სპობს ყოველგვარ მცენარეულობას და სხვ. (სუფრასთან საერთო აღტაცებაა. ყველა ეს ბეჩავი გაზით მოწამლული, რომელთაგან უმრავლესობა ვერასოდეს განიკურნება, გახარებულია ახალი ტიპის გაზის გამოგონებით!..)

დარომ ძმის წერილი წაგვიკითხა, თარჯიმნად მუშაობს თურმე ამერიკულ ნაწილში. იწერება, ამერიკელების გულუბრყვილო რწმენა მაცოფებსო. ოფიცრები და ჯარისკაცები დარწმუნებულნი არიან, საკმარისია შეტევაზე გადავიდეთ, გამარჯვება მაშინვე ჩვენ დაგვრჩებაო. იმასაც ამბობენ, ამერიკელებმა გადაწყვიტეს, ტყვეებით ვერ დავიტვირთავთ თავსო და ცინიკურად აცხადებენ, ტყვეების თითოეულ ხუთასკაციან პარტიას ტყვიამფრქვევებით დავხვრეტთო (რაც ამ ველურად მომღიმარე, უბიწოთვალება იდეოლოგებს ხელს არ უშლით, როგორც კი შემთხვევა მიეცემათ იმეორონ, სამართლიანობისა და უფლებებისათვის ვიბრძვითო).

10 აგვისტო.

ხელახლა გამიჩნდა წიგნის კითხვის სურვილი. თითქმის ძალდაუტანებლად ვიკრებ გონებას, განსაკუთრებით ღამით. ამჟამად ვამთავრებ შესანიშნავი შრომის კითხვას, ავტორია ვიღაც დოუსონი („სამედიც. ბიულეტ“, ლონდონი), იპრიტით მოწამვლა სხვა გაზით მოწამვლასთანაა შედარებული. ავტორის დაკვირვება ბევრ შემთხვევაში ჩემსას ემთხვევა. (მეორადი ინფექცია — ქრონიკულში გადასვლის მიდრეკილებით და სხვ.) კინაღამ ავყევი ცდუნებას, წერილი მიმეწერა, უბის წიგნაკის რამდენიმე გვერდი გამეგზავნა მისთვის. მაგრამ მიწერ-მოწერის თავი არა მაქვს, თანაც ვაითუ, ბოლომდე ვერ მივიყვანო განზრახული. თუმცა პირველი რიცხვიდან საგრძნობლად უკეთა ვარ. რა თქმა უნდა, საფუძვლიან გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ ტკივილები შემისუსტდა. დროებითი რემისი-

ის პერიოდი. წინა კვირეებიდან შედარებით, თითქმის ასატანი მდგომარეობა მქონდა. დილაობით ეს დამქანცველი პროცედურები და სულისხუთვის შეტევები (განსაკუთრებით საღამოს, მზის ჩასვლისას) და უძილო ღამეები რომ არა... თუმცა უძილობა არც ისე მტანჯავს, რაკი კითხვა შემიძლია, მაგალითად, ბოლო რამდენიმე ღამე ასევე დღიურის წყალობითაც.

საუზმის წინ, ფანჯრიდან:

ამ პეიზაჟის, ფართოდ გადაჭიმული ამ ბორცვების სიდიადე! ასობით ვიწრო. დამუშავებული ტერასები საფეხურებად ადის ბორცვებისკენ. ამწვანებული ფერდობი, პარალელურად ჩამწკრივებული ქათქათა ქვის დაბალი კედლები. ზემოთ — მოტიტვლებული, პემზასავით ნაცრისფერი ლოდის დიადემა, ადგილ-ადგილ ნაზი, იახამრისა და ნარინჯისფერი ანარეკლებით. ქვემოთ — შორს, სწორედ იქ, სადაც კლდეებს გადახნული მინდვრები ემიჯნება, პატარა სოფელია მთის ფერდობზე: ერთი მუჭა პრიალა ქვიშა შერჩენილა მიწის ნაკვეთებს შორის. ამ წუთში ღრუბლების ჩრდილის მუქი, ფართო ზოლები ნელა მისრიალებენ ამ ხასხასა მწვანე სივრცეზე.

რამდენი კვირა შემიძლია კიდევ ვუყურო ამ სანახაობას?

11

მაზე იმ ტიპის ექიმია, სენ-დიეზის მთავარი ექიმი, დეზაველი რომ იყო: როგორც კი „სუნს აიღებდა“, ავადმყოფი ამქვეყნის აღარ არისო, მაშინვე უარს ამბობდა მის მკურნალობაზე. „კარგ ექიმბაშს ყნოსვა უნდა ჰქონდეს, ზუსტად უნდა იგრძნოს მომენტი, როცა ავადმყოფი ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო აღარაა!“ — ამბობდა ხოლმე ჩვეულებრივ.

ვარ თუ არა მაზესთვის ჯერ კიდევ ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო? ანდა, რამდენი ხნით?

იმის შემდეგ, რაც ლანგლუას აბსცესი დაეწყო, მაზე მის სანახავად არ შესულა.

ეტყობა, სომის შეტევა კარგად გაიშალა. ინგლისელები ვალში

არ დარჩენილან. სანტერის პლატო ისევ ჩვენების ხელშია. პარიზ-ამიენის მთავარი მაგისტრალი გაწმენდილია. ბრძოლები მონდიდიესთანაა (ყველა ეს დასახელება: მონდიდიე, ლასინი, რესონ-სიურმა, რამდენ რამეს მაგონებს ...16 წლიდან!..)

გუარანი ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. ირწმუნება, ამქამად ყოველი იმედი კანონიერიაო. ვეთანხმები (ვფიქრობ, ბევრი გაკვირვებულია. პირველ ყოვლისა, ყველა ჩვენი დიდი მეთაური, სამხედრო და სამოქალაქო, ვისაც ჯერ კიდევ გაზაფხულზე ეგონა, უფსკრულის პირას ვართო! ახლა, ალბათ, მაღლა ასწიეს თავი. ოღონდაც მეტისმეტად მაღლა არ მოუხდეთ თავის აწევა!)

12 აგვისტო, საღამო.

მთელი ნაშუადღევი ჩანაწერების გადაწერას მოვუნდი. დოუსონს უნდა გავუგზავნო.

გაზეთები. ინგლისელები პერონესთან არიან. საცოდავი პერონე! რაღა დარჩა მისგან? (ისე კარგად მახსოვს ევაკუაცია ...14-ში. ჩაბნელებულ ქალაქში აქა-იქ თუ ბჟუტავს ჩირაღდნები, ცხენოსანთა ჯარი უკან იხევს, გაწამებული ხალხი, კოჭლი ჯაგლაგები... მერიის მთელი ქვემო სართული და ტროტუარები საკაცეებითაა სავსე).

13, საღამო.

დღეს უფრო მიჭირს სუნთქვა. დოუსონისთვის გასაგზავნი ჩანაწერები მაინც მოვათავე. გადავიკითხე. კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. შესანიშნავიც. ავადმყოფობის მსვლელობა ისე ნათლად იკითხება, იტყვით, დიაგრამაზეა მოცემულიო. მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. შესაძლოა, ერთადერთიც. ვინ იცის, იქნებ სახელმძღვანელოდ გამოდგეს, კვლევა-ძიების საფუძვლადაც კი გამოდგეს ერთხანს. ცდუნება უნდა დავძლიო, რომ ამ საქმეზე ხელი არ ავიღო. უკანასკნელ შესაძლებლობამდე ვაწარმოო ანალიზი. სიკვდილის შემდეგ მაინც დავტოვო ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი შემთხვევის სრული ისტორია.

არის მომენტები, როცა ეს ფიქრი მამხნევებს. ზოგჯერ კი უსუ-

სურად ვიგულიანებ თავს, იქნებ მცირეოდენი შვება მაინც ვიგრძნო-მეთქი...

ღამის 1 საათი.

მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი. (საინტერესოა შეწყვიტო ფიქრი, რათა აზრთა ასოციაციის მთელი ჯაჭვი გაიბა, ფიქრების კვალს საწინააღმდეგო მიმართულებით მიჰყვე და ამოსავალ წერტილთან მიხვიდე).

ამ საღამოს, ლუდოვიკი სინით შემოვიდა, სამარილის სახურავი ეტყობა, მოშვებული იყო, გადმოვარდა და თეფშზე აწკარუნდა.

იმ წუთში არ მიმიქცევია ყურადღება. მაგრამ მთელი საღამო, პროცედურებზეც კი, პირის დაბანის დროსაც, შენიშვნების გადაწერისას, მამაზე ვფიქრობდი. ძველმა მოგონებებმა თვალწინ ჩამიქროლა: უნივერსიტეტის ქუჩაზე სუფრასთან თავმოყრილი ოჯახის წევრები, უხმოდ სადილობა, მადმუაზელ დე ვეზი, მისი პაწაწინა ხელები მაგიდის კიდეზე, მეზონ-ლაფტში კვირა დღეს საუზმობა, ფართოდ გახსნილი ფანჯრები, მზით გასხივოსნებული ბაღი და სხვ.

რატომ? ახლა უკვე ვიცი. იმიტომ, რომ ფაიფურის თეფშზე აწკარუნებულმა ლითონის სახურავმა (მექანიკურად) მომაგონა მამაჩემის პენსნეს თავისებური წკრიალი: სუფრასთან დაჯდომისას მამა მძიმედ ეშვებოდა სავარძელში და ზონარზე ჩამოკიდებული პენსნე თეფშის კიდეს ხვდებოდა.

მინდა რამდენიმე სიტყვა დავწერო მამაზე... ჟან-პოლისთვის. მამის მხრიდან ვერავინ ვერაფერს ეტყვის მის წინაპარზე.

იგი არავის უყვარდა. არც შვილებს. ძნელი იყო მისი შეყვარება. პირადად მე, მკაცრადაც ვკიცხავდი. განა მუდამ სამართლიანი ვიყავი? დღეს ასე მგონია, თუკი ვერასგზით ვერ შევიყვარე იგი, ამაში ხელს გვიშლიდა რაღაც მორალური ძალის, რაღაც პირქუში სათნოების უკუღმა პირი ან უკეთ, უკიდურესობა. ვერ დავწერ, თითქოს მისი ცხოვრება მოწიწებას იწვევდა. და მაინც, თუკი გარკვეული კუთხით შევხედავთ, მთელი მისი ცხოვრება სიკეთის ქმედობა გახლდათ, ამ სიტყვის მისებური გაგებით. უცნაური ხასიათის გამო ყველა გაურბოდა, ხოლო მისი სათნოება არავის იზიდავდა. ამ სათნო-

ებას იმგვარად ეწეოდა, ხალხი ახლოს არ ეკარებოდა და, ალბათ, მისი უსაძაგლესი ნაკლის შემჩნევისასაც ამაზე მეტად არ აითვალისწუნებდა. მე მგონია, ამას თვითონაც გრძნობდა და საშინლად იტანჯებოდა მარტოობით.

ჟან-პოლ, ერთ დღეს როგორმე მოვიკრებ ძალას და აგიხსნი, როგორი ადამიანი იყო შენი პაპა ტიბო.

14 აგვისტო, დილა.

ისევ ეს ბებერი ყბედი ლუდოვიკი. მან (თავისი უზარმაზარი ხელი ულვაშზე მიიდო და...) თქვა: „მერწმუნეთ, ბატონო ექიმო, ლეიტენანტი დარო პირწავარდნილი **დ ი ს ი მ უ ლ ა ნ ტ ი ა**“.

რა თქმა უნდა, რომ არ დავეთანხმე. ლუდოვიკმა დაიჩემა: „რაკი ვამბობ, ალბათ, კიდეც ვიცი“, და დააზუსტა: როცა დარო ფლიგელში ცხოვრობდა, ლუდოვიკს შეუმჩნევია, სიცხის გაზომვისას „თაღლითობდა“: სანამ თერმომეტრს იღლიაში ჩაიდებდა, თითქმის მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში აქნევდა, ხოლო ჩაწერისას, რამდენიმე გრადუსით მეტს წერდა...

არ დავეთანხმე, თუმცა... ზოგი უცნაურობა მეც შემიმჩნევია; მაგალითად, ინჰალაციის ოთახში. პროცედურების დროს დარო დაუდევრად იქცეოდა. როგორც კი ბარდო ან მაზე ზურგს შეაქცევდა, მაშინვე წამოხტებოდა. საერთოდ, თავს არიდებდა იმ პროცედურებს, რაც თვითონ უნდა შეესრულებინა სხვისი მეთვალყურეობის გარეშე და სხვ. ეს დაუდევრობა მით უფრო იყო უცნაური, რომ დარო სულ ერთთავად წუწუნებდა თავის შერყეულ ჯანმრთელობაზე. ხშირად მეკითხებოდა ჩემს ავადმყოფობაზე, მელაპარაკებოდა თავის „საბოლოოდ გატეხილ ჯანზე“ და სხვ. (დაროს სერიოზული დარღვევები არა აქვს, მაგრამ ბრონქები ცუდ მდგომარეობაშია და უკეთესობაც არ ეტყობა).

საღამოს პირი, ბოსტანში.

მიყვარს აქ შემოსვლა, მერხზე ჩამოჯდომა. კიპარისების ჩრდილოვანი ხეივანი. ლერწმების ღობე-წნული. ჩამწკრივებული კვლები.

ელევატორის ხმაური. პიერისა და ვენსენის წინ და უკან სიარული, სარწყავებით ხელში.

ლუდოვიკის მონაჩმახი ამეკვიატა. თუ ეს მართალია, თუ დარო სიმულანტობს, მერე და რა მოხდა? განა ცუდია?

პასუხი არც ისე ადვილია. გააჩნია, ვისთვის? ლუდოვიკისათვის, ორი ვაჟი ფრონტზე მოუკლეს, ცუდია, ბორიტმოქმედებაც კია, ერთგვარი დეზერტირობაა. მას მიაჩნია, ალბათ, რომ დარო ტრიბუნალზე გადაცემის ღირსია. დარო მამისთვისაც ნამდვილად ცუდია (შორიდან ვიცნობდი... რამდენიმეჯერ ჩამოვიდა შვილის სანახავად. პასტორია ავინიონში. ძველი პურიტანელი პატრიოტია, უმცროს ვაჟს იმდენი უჩიჩინა, მოხალისედ გააგზავნა). ჰო, დაროს მამისთვის უ:ეველად ცუდია. მაგრამ სხვისთვის? ვთქვათ, ბარდოსთვის? აგერ ოთხი თვეა მას მკურნალობს, კიდეც შეუყვარდა. დავუშვათ, რაღაც შეამჩნია, განა ამისთვის მკაცრად დასჯის? თუ თვალებს დახუჭავს? ანდა თვით დარო, თუკი მართლა „თაღლითობს", გრძნობს კი, რომ ეს ცუდია?

ჩემთვის? ამ შეკითხვას ჩემ თავს ვუსვამ. ეს ცუდია? რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, კარგია-მეთქი. ინსტიტუტი სიძულვილი ჰოსპიტლებში თავშეფარებულებისადმი, ყველა იმისადმი, ვინც „ახერხებს" და ვერ ინკურნება. მაგრამ მაინც ვერ გადამიწყვეტია კატეგორიულად ვუპასუხო, ცუდია-მეთქი!

უცნაური ამბავია, მართლაც საინტერესოა ამ საკითხში გარკვევა, კარგია თუ ცუდი?

უპირველესად ჯერ ეს უნდა დადგინდეს: დასაშვებად მიმაჩნია თუ არ მიმაჩნია, რომ დაროს ამ კომედიის გათამაშება შეუძლია. დარო სიმპათიურია. კეთილი, დაკვირვებული, განათლებული და მგონი, ძალიან პატიოსანიც. მე მას პატივს ვცემ, თუნდაც „დისიმულანტი" იყოს. ხშირად უსაუბრია ჩემთან გულახდილად, მამამისზე, თავის ახალგაზრდობაზე, სექსუალური თვალსაზრისით — საშინელ პროტესტანტულ აღზრდაზე; თავის ქორწინებაზეც კი. ერთ დღეს მაგალითად, ისიც მიამბო, მობილიზაციის ღამეს ცოლთან ერთად ლიონში როგორ აღმოჩნდა (ავინიონში ისვენებდნენ და იმ ღამეს წამოსულან... მეორე დილით, გარიჟრაჟზე დარო პოლკში უნდა გამოცხადებულიყო. ძლივს უშოვია ოთახი რომელიღაც მეორეხარისხოვან სასტუმროში. მაგონდება, როგორი ხმით ჰყვებოდა: „ტერეხა შიშით კანკალებდა, რომ არ ატირებულიყო, ბაგე მაგრად მოეკუმა,

მთელი ღამე მის მკლავებში ვქვითინებდი. ის ღამე არასოდეს დამავიწყდება. ტერეზას ხმა ვერ ამოეღო და თავზე ნელა მისვამდა ხელს. მთელი ღამე არტილერიის აღალის ხმა ჯოჯოხეთური გრუხუნი ისმოდა“).

შესაძლოა, დღეს სიმულანტი იყოს. მაგრამ მხდალი არაა. ორმოცი თვე ქვეითთა ნაწილში. ორჯერ დაიჭრა, სამჯერ მოიხსენიეს ბრძანებაში და ბოლოს გაზით მოიწამლა ო-დე-მეზში. ცოლი ომის დაწყებამდე ექვსი თვით ადრე შეურთავს. ბავშვი. ჯანგატეხილი ცოლი. არავითარი ქონება. უბრალო თანამდებობა მარსელის განათლების სამინისტროში. გასულ თებერვალს გაზით მოიწამლა (მსუბუქად), ჯერ ტრუაში მკურნალობდნენ, და მისი ცოლი — ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი დეტალია, — იქვე დასახლებულა; ისევ ერთად იყვნენ მთელი ერთი თვე. შემდეგ აქეთ გამოგზავნეს, ფრონტიდან ასი კილომეტრის დაშორებით. დაუბრუნეს ლურჯი ცა, მზე, დასვენებული ცხოვრება... კარგად წარმომიდგენია, რაც ახლა ხდება მის გულში!... თუკი მართლა გადაწყვიტა, ყოველი ღონე იხმაროს დაავადებული ფილტვების მკურნალობა რომ გაიხანგრძლივოს... ვინ იცის, მშვიდობა იქნებ არც ისე შორსაა! — ამას იგი, პროტესტანულ ოჯახში აღზრდილი სინდისის ქენჯნის გარეშე ვერ ჩაიდენდა. და თუკი საბოლოოდ მაინც ეს გზა აირჩია, — რადაც უნდა დაუჯდეს, საკუთარ ტყავს გაუფრთხილდეს, — თუნდაც რისკი გასწიოს და მკურნალობის თავიდან აცილების წყალობით ჯანმრთელობა გაიუარესოს, — რა იქნება ეს? კ ა რ გ ი? თუ ც უ დ ი?

რა უნდა ვუპასუხო?

არა, თუნდაც ასეთი გადაწყვეტილება მიეღო, ჩემს პატივისცემას მისდამი ამით არაფერი დააკლდება.

უძილობა. უძილობა. ამ სიბნელეში ფიქრები განუწყვეტლივ მეძალება... თავდაცვის რაღაც ინსტინქტი გამუდმებით მეხმარება, როცა კი ეს შესაძლებელია, ყურადღება გადავიტანო საკუთარი თავიდან, „მოჩვენებებიდან“.

დარო. დაროს ამბავი, მაინც სერიოზულია. მე მინდა ვთქვა, სერიოზულია ჩ ე მ თ ვ ი ს, ბევრ პრობლემას აღძრავს ჩ ე მ თ ვ ი ს.

აქვე შევნიშნოთ: პასუხისმგებლობისა აღარ მჯერა.

მჯეროდა კი მისი ოდესმე? დიახ, იმდენად მჯეროდა, რამდენადაც შეიძლება ექიმს სჯეროდეს (ჩვენთვის, ექიმებისათვის, პასუხისმგებლობის საზღვრები არასოდეს ემთხვევა საზოგადოებრივი აზრის მიერ დადგენილ საზღვრებს. მაგონდება ვერნეილში ამტყდარი კამათი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთან, მსროლელი ბატალიონის მთავარი ექიმის მოადგილესთან. ჩვენ, ექიმებმა კარგად ვიცით, რომ ჩვენი საქციელი იმის შედეგია, როგორი ვართ ჩვენ თვითონ და როგორია ჩვენს ირგვლივ მყოფი ხალხი. მემკვიდრეობით მიღებული პასუხისმგებლობა? ჩვენი აღზრდის შედეგად მიღებული პასუხისმგებლობა? მოცემული მაგალითებით გამოწვეული პასუხისმგებლობა? ვითარებით გამოწვეული პასუხისმგებლობა? არა. ეს თავისთავად ცხადია).

მაგრამ მე მუდამ ისე ვიქცეოდი, თითქოს მჯეროდა ს ა კ უ თ ა რ ი პასუხისმგებლობისა. და ჩემში ძლიერიც იყო ღირსებისა და უღირსობის გრძნობა. იქნებ ქრისტიანული აღზრდის ბრალი იყო?

(სხვათა შორის, სუსტი მხარეებიც შეინიშნებოდა: მიდრეკილება მქონდა, შედარებით უპასუხისმგებლობა მეგრძნო ჩადენილი შეცდომების მიმართ, და თან თუკი კარგ საქციელს ჩავიდენდი, ღირსებად ჩამეთვალა საკუთარი თავისთვის...)

ეს ორი რამ საკმაოდ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

(ჟ ა ნ-პ ო ლ ს:

ძალიან ნუ შეგეშინდება ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებისა! მართალია, უხერხულია, მაგრამ მაინც სასარგებლოა. იმ წუთებში, როცა ჩემი გონება გადაულახავ წინააღმდეგობების ტყვეობაში აღმოჩნდებოდა, სწორედ მაშინ ვიგრძნობდი იმ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს თ ა ნ სიახლოვეს, გამუდმებით რომ გვისხლტება ხელიდან.

ბედმა „ხელახლა ცხოვრება“ რომ მარგუნოს, ჩემი სურვილი იქნებოდა, იგი ე ჭ ვ ი ს ნიშნით ყოფილიყო!)

ბიოლოგიური თვალსაზრისი.

ომის პირველ წლებში, ცდუნებას ავყევი, — მართალია, თან ვცოფდებოდი, მაგრამ მაინც ავყევი, — მორალურ და სოციალურ საკითხებზე ბიოლოგიური თვალსაზრისით პრიმიტიულად მეფიქრა. (ამგვარად ვმსჯელობდი: „ადამიანი, სისხლისმსმელი პირუტყვია ერთგვარად და სხვ. გავანეიტრალოთ მისი ვნება უდრეკი სოციალუ-

რი ორგანიზაციით. მისგან კარგს არაფერს უნდა ველოდეთ"). საველე ჩანთით მუდამ თან ვათრევდი ფაბრის * ტომს, კომპიენში რომ გამოვქექე. მომწონდა, როცა ხალხი და საკუთარი თავი შეიარაღებულ, უზარმაზარ მწერად მიმაჩნდა, ბრძოლის, თავდასხმისა და თავდაცვის, დაპყრობისა და ურთიერთშესანსვლისთვის რომაა გაჩენილი და სხვ. გაანჩხლებით ვუმეორებდი ჩემ თავს: „ამ ომმა მაინც აგიხილოს თვალი, შე ბრიყვო! დაინახე ეს ქვეყანა ისეთი, როგორიც არის. სამყარო: ბრმა ძალთა ერთიანობა, ნაკლებად გამძლეთა დაღუპვით რომ იღებს წინასწორობას. ბუნება: სისხლიანი ველი, სადაც ცალკეული პირები, ინსტინქტურად მტრული რასები ერთმანეთს ნთქავენ. არც სიკეთეა, არც ბოროტება. ადამიანისათვის ისევე არაა, როგორც კვერნისა თუ შევარდენისათვის, და ასე შემდეგ..."

დაპრილებით სავსე გადასახვევი პუნქტის სარდაფში როგორღა ვუარვყოფდი, რომ ძალა უფლებაზე იმარჯვებს? (რამდენიმე ზუსტი მოგონება: საღამო კატოში *. შეტევა პერონში, დაბალი კედლის უკან. პირველი დახმარების პუნქტი ნანტეილ-ლე-ოდუენში. მსროლელი პოლკის ორი ახალგაზრდა ჯარისკაცის აგონია საბძელში, ვერდენისა და კალონის გზაზე). მახსოვს, ამ პირუტყვული სამყაროს ნახვის შემდეგ სასოწარკვეთილებისაგან მაგრად დავთვერი.

სიბეცე... მომაკვდინებელ პესიმიზმს, სადაც მე ჩავიძირე უნდა გავეფრთხილებინე, რომ ეს ამბავი სულისშემხუთველ, ბინძურ ორმოში ჩამაგდებდა.

სინათლეს ჩავაქრობ, იქნებ ჩამთვლიმოს.

1 საათი.

ამ ღამით ზედმეტია ძილზე ფიქრი.

ეს კეთილი დარო მიზეზია (თვითონ ამაზე წარმოდგენაც კი არ აქვს) იმისა, რომ აგერ თხუთმეტიოდე საათია „მორალურ პრობლემებში" ისე გავიხლართე, როგორც არასოდეს ჩემს სიცოცხლეში.

კაცმა რომ თქვას, ეს საკითხები არასოდეს დასმულა ჩემს წინაშე. კარგი, ცუდი — ნიადაგსახმარი გამოთქმებია, მოსახერხებელი, რასაც მეც ისევე ვიყენებდი, როგორც სხვა, და არც არავითარ მნიშვნელობას ვაწერდი. მბრძანებლურ ფორმას მოკლებულ ცნებებს წარმოადგენდნენ ჩემთვის. ტრადიციულ ფორმებს ვთანხმდებოდი — ოღონდ სხვისთვის. ვთანხმდებოდი იმ მნიშვნელობით, თუკი, დავუშვათ, რაიმე რევოლუციური ძალაუფლება გაიმარჯვებდა და ამ წესებს მოძველებულად გამოაცხადებდა,—და პატივს დამდებდა და

რჩევას მკითხავდა, — ალბათ, დავარწმუნებდი, ერთბაშად არ დაერღვია ეს სოციალური საფუძველი. ეს წესები სრულიად თვითნებურად მიმაჩნდა, ოღონდ უდავოდ პრაქტიკული მნიშვნელობის მქონედ „სხვების“ მიმართ, ერთმანეთში ურთიერთობის საწარმოებლად. პირადად მე, საკუთარ თავთან ურთიერთობაში არავითარ ანგარიშს არ ვუწევდი მათ.

(მიუხედავად ამისა, ძნელია ვთქვა, რა ფორმაში გამოვლინდებოდა ჩემი ცხოვრებისეული მორალი, თუკი, დავუშვათ, საჭირო იქნებოდა ზუსტი სახელი მიმეცა მისთვის, არც დრო და არც ფანტაზია ამისთვის არ მყოფნიდა. ვფიქრობ, ალბათ, რაიმე ელასტიური ფორმულით დავკმაყოფილდებოდი; მაგალითად, ასე: —ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებისეულ ზრდას ხელს უწყობს და ჩემს აღზრდაზე კეთილად მოქმედებს, კ ა რ გ ი ა; ყველაფერი, რაც ხელს უშლის ჩემი, საკუთარი „მე“-ს გამოვლინებას — ც უ დ ი ა“. ოღონდ გასარკვევია, სახელდობრ რას ვგულისხმობდი სიტყვებში „ცხოვრებისეული“, „საკუთარი „მე“-ს გამოვლინება...“ ამის განსაზღვრაზე უარს ვამბობ).

სიმართლე რომ ვთქვა, ვინც ჩემს ცხოვრებას უკვირდებოდა, — მაგალითად, ჟაკი ან ფილიპი, — ვერ შეამჩნევდა, რომ მე სრულ თავისუფლებას ვაძლევდი საკუთარ თავს. რადგან, როგორც არ უნდა მოვქცეულიყავი, მუდამ, თანაც ანგარიშმიუცემლად, ვიცავდი იმას, რასაც „მორალს“, „პატიოსანი ხალხის მორალს“ უწოდებენ. მიუხედავად ამისა, რამდენჯერმე, — თუმცა რა საჭიროა გადაჭარბება: თხუთმეტი წლის მანძილზე სამჯერ ან ოთხჯერ, — ჩემი კერძო თუ პროფესიული ცხოვრების გადამწყვეტ წუთებში, მე ერთბაშად მოვისაზრებდი, რომ ჩემი თავისუფლება მხოლოდ თეორიული არ იყო. სამჯერ თუ ოთხჯერ ჩემს სიცოცხლეში, უეცრად ავღმოჩნდი იმ სფეროში, სადაც ჩემს მიერ ჩვეულებრივად მიღებულ წესებს გასაქანი არ ჰქონდა; სადაც გონებას ადგილი არ ჰქონდა; სადაც სუფევდა ინტუიცია, იმპულსი. მშვიდი და ლაღი სფერო, უ ზ ე ნ ა ე ს ი ა რ ე უ ლ ო ბ ი ს სფერო, სადაც დიდებულად ვგრძნობდი თავს, მარტოდ მარტო, ძლიერი, დარწმუნებული. დიაღ, დარწმუნებული, რადგან ღრმა შეგრძნება მქონდა, უსაზღვროდ ახლოს ვიყავი... (ძალიან მიჭირს ამ ფრაზის დამთავრება...) ვთქვათ: იმასთან, რაც ღმერთის-

თვის წმინდა ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა იქნებოდა. დიაღ. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც მახსოვს, სამჯერ მაინც განზრახ და მტკიცედ დავარღვიე მორალის ერთხმად აღიარებული კანონები. სინდისის ქენჯნა ერთხელაც არ მიგრძვნია. ახლაც ამასვე ვფიქრობ სრული გულგრილობით, ყოველგვარი სინანულის გარეშე (თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ არავითარი გამოცდილება არა მაქვს სინდისის ქენჯნის საკითხში, თანდაყოლილი მიდრეკილება მაქვს, როგორიც არ უნდა იყოს ჩემი აზრები და საქციელი, იგი სავსებით ბუნებრივ მოვლენად ჩავთვალო. და კანონიერად).

ამ ღამით განსაკუთრებული ხალისით ვწერ. და ნათლად. თუკი ხვალ ეს ძვირად დამიჯდება და ცუდი დღე გამითენდება, მით უარესი.

გადავიკითხე. დიდხანს ვიფიქრე ამაზე და სხვა რამეზეც.

სხვათა შორის, ასეთი კითხვაც დავუსვი ჩემს თავს: ხალხთა უმრავლესობას (რომელთა ცხოვრება, ძირითად, საყოველთაოდ აღიარებული წესების დაურღვევლად მიმდინარეობს) რა აკავებს? მათ შორის ხომ არ არის ისეთი ვინმე, ვინც ერთხელ მაინც არ აჰყვება ცდუნებას და არ ჩაიდენს რაიმე „ამორალურ“ საქციელს?.. რა თქმა უნდა მე გამოვრიცხავ მორწმუნეებს, ხალხს, ღრმა რელიგიური ან ფილოსოფიური რწმენა რომ ეხმარება თავიდან აიცდინონ თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც ი ს მიერ დაგებული მახე. მაგრამ დანარჩენები? დანარჩენებს რა აკავებთ? მოკრძალებულება? ადამიანისადმი მოწიწება თუ მითქმა-მოთქმის შიში? მოსამართლის შიში? კერძო ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი საქციელით გამოწვეული უსიამოვნების შიში? რასაკვირველია, ყოველივე ეს თავის როლს თამაშობს. ეს დაბრკოლებები ძლიერია და შესაძლებელია, გადაულახავიც „ცდუნებულთა“ უმრავლესობისათვის; მაგრამ ასეთი დაბრკოლებები რომ არ არსებულიყო, თანაც სულიერი ხასიათისა, მაშინ დარწმუნებით შეიძლებოდა გვეთქვა, რაკი პიროვნება რელიგიური უღლისგან თავისუფალია, იგი მხოლოდ ჟანდარმის ან ყოველ შემთხვევაში, სკანდალის შიშით ადგია სწორ გზასა. ამის შედეგად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ყოველი არამორწმუნე პიროვნება, თუკი იგი ცდუნების პირისპირ ან ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, როცა დარწმუნებულია არავინ არაფერს გაიგებს და არ დაისჯე-

ბა, მაშინვე აჰყვება ხმას, „ცუდს“ ჩაიდენს და დიდ სიამოვნებასაც იგრძნობს... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ურწმუნოთა შესაკავებლად არ არსებობს „მორალის“ ცნება; და ვინც არავითარ ღვთაებრივ კანონს, არავითარ რელიგიურ თუ ფილოსოფიურ იდეალს არ ემორჩილება, მისთვის არც ნამდვილი მორალური აკრძალვა არსებობს;

წიაღსვლა: გამოდის, მართალია ის, ვინც თანამედროვე მორალურ თვითშეგნებაში (თანაც განასხვაოს: რა უნდა ჩაიდინოს და რა არ უნდა ჩაიდინოს, რა არის კარგი და რა არის ცუდი) ხედავს რელიგიური წარმოშობის მორჩილების გადმონაშთს, რითაც წინა თაობები დიდი ხნის მანძილზე იწრთნობოდნენ, სანამ თანდაყოლილ ხასიათად არ იქცა იგი. მაგრამ ჩემი აზრით, ასეთი მსჯელობა ნიშნავს: დაივიწყო, რომ ღმერთი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის მიერ აღიარებული ჰიპოტეზაა. რადგან ეს განსხვავება კარგსა და ცუდს შორის, ღმერთს, ადამიანის ამ გამოგონებას, არ ჩაუნერგია ადამიანის გონებისათვის: პირიქით, ეს პრინციპი ადამიანმა მიაწერა ღმერთს და ადამიანმა გამოაცხადა იგი ღვთაებრივ აღთქმად. თუკი ეს განსხვავება რელიგიური წარმოშობისაა, ეს იმას ნიშნავს — ერთ მშვენიერ დღეს ადამიანმა თვითონ მიაწერა იგი ღმერთს, მაშასადამე, თვით ადამიანში არსებობდა იგი; და თანაც ფესვები ისე მაგრად ჰქონდა მასში გამდგარი, ადამიანმა მოთხოვნილება იგრძნო, ეს განსხვავება უზენაეს, მარადიულად ურღვევ კანონად გამოეცხადებინა..

როგორი გადაწყვეტილება მივიღოთ?

4 საათი.

ამ ჩემმა წიაღსვლამ საშინლად დამღალა. ორი საათი გაუნძრევლად მეძინა. დასაფასებელია დღიურის შედეგები. და ჩემი ფილოსოფიური წადილის შედეგებიც...

აღარც კი ვიცი, რა დასკვნის გამოტანა მინდოდა.. ჰო, როგორი გადაწყვეტილება მივიღოთ? დიაღ, როგორი? ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს უკვე ნათელი იყო ყველაფერი. მაგრამ მოსაზრებათა ჯაჭვის ხელახლა პოვნას მაინც ვერ შევძლებ.

მორალური შეგნების, მისი ბუნების პრობლემა. რატომაც არა:

სოციალური ჩვევის გადმონაშთი? (იქნებ ჩემებურად ავხსნი უკვე დიდი ხნის წინ ცნობილ აღმოჩენას? რა მნიშვნელობა აქვს? ჩემთვის ხომ ახალია?).

რამდენადაც უკუვაგდებ აზრს, რომ მორალურ შეგნებას რაღაც ღვთაებრივი კანონი უნდა ჰქონდეს წყაროდ, იმდენად სწორად მიმაჩნია ვაღიარო, რომ ეს წყარო მომდინარეობს კაცობრიობის წარსულიდან, იმ ჩვევებიდან, რამაც მათ წარმომშობ პირობებზე დიდხანს იცოცხლა და მემკვიდრეობითაც და ტრადიციულადაც დამკვიდრდა ჩვენში. ეს არის გამოცდილებათა შედეგი, რაც კაცობრიობის ძველმა დაჯგუფებამ შექმნა თავისი კოლექტიური ცხოვრების მოსაწყობად და სოციალური ურთიერთობის მოსაგვარებლად. სახალხო უზრუნველყოფისა და წესრიგის შედეგი. ჩემი აზრით, თავმოყვარეობისათვის საკმაოდ მაცდუნებელია, საკმაოდ მოსაწონია იმის აღიარება, რომ ეს მორალური შეგნება, კ ა რ გ ი ს ა და ც უ დ ი ს ეს განსხვავება (განსხვავების ეს უნარი თითოეულ ჩვენგანში უფრო ადრე არსებობს და ხშირად უაზრო კანონებს გვიკარნახებს; მიუხედავად ამისა, გვაიძულებს უსიტყვოდ დავეგმორჩილოთ; ზოგჯერ, როცა გონება მერყეობს და უკან იხევს, მეგზურობასაც გვიწევს; იგი ბრძენსაც კი შთაუნერგავს ისეთ საქცელს, რასაც გონება უკუაგდებდა) გადმონაშთია ადამიანის მთავარი ინსტინქტისა, ამ სოციალური პირუტყვის ინსტინქტისა; ეს ინსტინქტი ათასი წლის მანძილზე გამჯდარა ჩვენში და მისი წყალობით ადამიანური საზოგადოება სრულყოფისკენ მიაბიჯებს.

15 აგვისტო, ბაღში.

დიდებული ამინდია. საღამოს წირვის ზარები. საზეიმო განწყობა ატყვია ყველაფერს. სიმკვეთრე ამ ცისა, ამ ყვავილთა, ამ ჰორიზონტისა, ზაფხულის დღეების ბრწყინვალე გვირგვინში რომ თრთის. მინდა ავჯანყდე სამყაროს სიმშვენიერის წინააღმდეგ, გავაცამტვერო, კატასტროფას მოვუხმო. არა. მინდა გავიქცე, დავიმალო, საკუთარ თავში კიდევ უფრო მეტად ჩავიკეტო და დავიტანჯო.

სპა *, უზენაესი სამხედრო საბჭო: კაიზერი, არმიის სარდლობა. სამი სტრიქონი შვეიცარულ გაზეთში. საფრანგეთის გაზეთები დუმს. ვინ იცის, იქნებ ისტორიული თარიღია, რასაც მოწაფეები სა-

ხელმძღვანელოებში ამოიკითხავენ მოგვიანებით და რამაც შეიძლება შეცვალოს კიდეც ომის მსვლელობა...

გუარანი ირწმუნება, ბატონ დიპლომატთა შორის ახლა ბევრი იუწყება, ომი ამ ზამთარს დამთავრდებაო.

კომუნიკეში საგულისხმო არაფერია. მოლოდინი ქარიშხლის წინა დახუთულობასავით აწევს გულს მძიმედ.

საღამო, 10 საათი.

ეს-ესაა გადავიკითხე ჩემი წუხანდელი ბოდვა. გაოცებული და უკმაყოფილო ვარ, ამდენი გვერდი რომ დამიჯღაბნია... ჩემ შეზღუდულობას მეტისმეტად ავხადე ნიღაბი... (და თანაც, ადამიანის უბადრუკ ლექსიკონს, როგორც არ უნდა ეცადო, საფუძვლად უდევს გრძნობები და ლოგიკა!)

ქ ა ნ-პ ო ლ ს:

ჩემო პატარა, ავადმყოფის ამ ბოდვის შიხედვით ნუ იმსჯელებ ძია ანტუანზე. ძია ანტუანი მუდამ უხერხულად გრძნობდა თავს, როცა იდეოლოგიის ლაბირინთებში მოხვდებოდა: პირველივე ნაბიჯზე იბნეოდა... როცა ლუი-ლე-გრანის ლიცეუმში ფილოსოფიის ჩასაბარებლად ვემზადებოდი (ერთადერთი საგანი, რომლის ჩასაბარებლად ორჯერ გავედი, სანამ ბაკალავრის ხარისხს მივიღებდი), ზოგჯერ საშინელი წუთები გადამიტანია... მე ვგავდი დათვს, საპნის ბუშტებით ყონგლირება რომ მოუნდომებია!.. ვფიქრობ, სიკვდილის პირისპირაც ასეთივე დავრჩი. და ამქვეყნიდან ისე წავალ, აბსტრაქტულ სპეკულაციურობისადმი ჩემს უუნარობას ვერაფერს მოვუხერხებ!..

საცაა შუაღამე იქნება.

დე ვინის* დ ღ ი ‍ ‍ ‍

რა ხანმოკლეა ცხოვრება, რა ხანმოკლეა ადამიანი; გონება წამდაუწუმ ეჯახება გამოცანას და როგორც კი დააპირებს მის ამოხსნას, მაშინვე ღრმად ეფლობა. და ეს მუდამ გადაუწყვეტელი „რისთვის?“

რისი გულისთვის იცხოვრა ყოველგვარი მორალური დისციპლინისგან თავისუფალმა, ჩემნაირმა ადამიანმა ასე... — შემიძლია ვთქვა, — ასე ს ა მ ა გ ა ლ ი თ ო დ? მე ხომ მახსოვს, რა იყო ჩემთვის თითოეული დღე, რამდენი რამ შევწირე ჩემს ავადმყოფებს, რაოდენ გულისხმიერებას ვაქსოვდი ჩემი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ი ს შესრულებაში?

(დავიფიცე, ისეთ პრობლემებს არ შევეხებოდი, სულ სხვაგვარ უნარს რომ მოითხოვს-მეთქი. სხვათა შორის, იქნებ ეს იყო თავიდან მისი მოშორების საუკეთესო საშუალება?)

რისთვის არსებობს უანგარო გრძნობები, ერთგულება, პროფესიული სინდისი? და სხვ...

რისი გულისთვისაა, რომ სასიკვდილოდ დაკოდილი ხვადი ლომი თავსა სწირავს, ოღონდაც თავისი ლეკვები არ მიატოვოს? რისთვის ახვევს თავის ფურცლებს მიმოზა? რისთვის ხდება ლეიკოციტების ამებური მოძრაობა?.. ან რისთვის ჟანგდება ლითონი? და სხვა.

არაფრისათვის — ესაა და ეს. ასეთი შეკითხვის დასმა იმას ნიშნავს, აღიარო, თითქოს არსებობს „რაღაც“, ნიშნავს — გაიხლართო მეტაფიზიკის ხაფანგში... არა! საჭიროა აღიარო შეცნობადი სამყაროს საზღვრები (ლე დანტეკი * და სხვები). სიბრძნე: უარყავ „რატომ“, დაკმაყოფილდი „როგორ“. („როგორ“ უკვე ბევრს ნიშნავს!) პირველ ყოვლისა, უარყოფა გულუბრყვილო სურვილისა — რომ ყველაფერს თავისი ახსნა აქვს, ყველაფერი ლოგიკურია. მაშასადამე, უარის თქმა სურვილზე — შევიცნო ჩემი თავი, თითქოს მე ჰარმონიულ მთლიანობას წარმოვადგენდე (დიდხანს ასეც მეგონა. ტიბოთა სიამაყე? — უმალ, ანტუანის თვითკმაყოფილება...).

მიუხედავად ამისა, შესაძლებელ პოზიციათა შორის არსებობს ასეთიც: დათანხმდე მორალურ პირობითობას, ოღონდ თავი არ მოიტყუო. შეიძლება გიყვარდეს წესრიგი, გულით გწადდეს ივი, მაგრამ არ უნდა ისწრაფვოდე მორალის პრინციპის დანახვას მასში, არ უნდა დაივიწყო, რომ წესრიგი სხვა არაფერია, თუ არ კოლექტიური ცხოვრების პრაქტიკული აუცილებლობა, საზოგადოებრივი

კეთილდღეობის რეალური პირობა (ვწერ: წესრიგი-მეთქი, რომ არ დავწერო: სიკეთე).

იგრძნო, რომ ეს წესრიგი შენზე ბრძანებლობს, და არ დაივიწყო იმ კანონების არსის გაგება, რასაც ემორჩილები,—გაღიზიანების მარადიული საბაბია! დიდხანს მჯეროდა, დადგება დღე, როცა გამოცანას ამოვხსნი-მეთქი! მაგრამ აგერ, სასიკვდილოდ ვარ უკვე განწირული და აქამდე ვერც საკუთარ თავს გავუგე ბევრი რამ, ვერც ამ ქვეყანას...

მორწმუნე იტყოდა: „ეს ხომ ისეთი ადვილი რამაა!..“ ჩემთვის კი ადვილი სულაც არაა!

საშინლად დავიქანცე, ძილი მაინც არ შემიძლია. უძილობით ტანჯვა სწორედ ესაა: დაღლილი სხეული დასვენებას მოითხოვს, გონება კი გამალებით მუშაობს და ძილს ახლოს არ იკარებს.

უკვე ერთი საათია, წამდაუწუმ ვტრიალებ. აკვიატებული ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს: „ოპტიმისტივით ვცხოვრობდი, უფლება არა მაქვს ეჭვებითა და უარყოფით მოვკვდე!“

ჩემი ოპტიმიზმი. ოპტიმისტურად ვცხოვრობდი. იქნებ, ამას ვერც ვუფიქრდებოდი, მაგრამ დღეს უკვე აშკარაა ჩემთვის. ლაღი ინტუიციის მდგომარეობა, ცხოვრების აქტიური ნდობა, აი ეს მასულდგმულებდა, ფრთებს მასხამდა და ვფიქრობ, მასვე უნდა ვუმადლოდე მეცნიერებასთან ურთიერთობასაც, ჩემი ოპტიმიზმის წყარო და ყოველდღიური საკვები რომ გახლდათ.

მეცნიერება. იგი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალო ცოდნა. იგი ჰარმონიულად ერწყმის სამყაროს — იმ სამყაროს, რომლის კანონებს წინასწარ გრძნობ (და ვინც ამ გზას მისდევს სასწაულს მიადგება, სხვა რელიგიურ სასწაულებზე უფრო ღრმა და უფრო ექსტაზური რომაა!), მეცნიერების წყალობით გრძნობ, რომ ბუნებასთან და მის საიდუმლოებასთან ღრმა კონტაქტში, ჰარმონიაში ხარ.

რელიგიური გრძნობა ხომ არაა? ეს ტერმინი შიშის მომგვრელია; მაგრამ მერე რა?..

ლმობიერება, იმედი, რწმენა. ერთხელ აბატმა ვეკარმა მითხრა, თქვენც არ უარყოფთ თეოლოგიურ სათნოებასო. * შევეკამათე. ლმობიერება და იმედი, კი ბატონო, მაგრამ რწმენისა რა მოგახსენოთ! და მაინც? დღეს რომ იმ აღმაფრენის დაზუსტება მოვინდომო, მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე რომ მქონ-

და, ცხოვრებისადმი დაუოკებელი ნდობის გამოცანის ამოხსნა რომ მოვინდომო, შესაძლებელია რწმენის ცნება ასე შორს აღარ ყოფილიყო იმისგან, რასაც მივიღებდი... რწმენა რისი? თუნდაც ცოცხალი ფორმების უსაზღვროდ და შესაძლებელი ზრდისა. უ ზ ე ნ ა ე ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ი ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს რ წ მ ე ნ ა. განა ეს ნიშნავს შენდაუნებურად „ფინალისტი“ * გახდე? არა უშავს. ყოველ შემთხვევაში, სხვანაირი „ფინალისტობა“ არც მინდა.

16 აგვისტო.

ტემპერატურა.გაძნელებული სუნთქვა, უმალ სტვენითი. რამდენჯერმე ქანგბადიც მოვიშველიე. ლოგინიდან ავდექი, მაგრამ ქვევით არ ჩავსულვარ.

გუარანი შემოვიდა გაზეთებით. კვლავაც სჯერა, ზავს ამ ზამთარს დასდებენო. მარჯვედ და მტკიცედ იცავს თავის აზრს. უცნაური ტიპია. საოცარია, ასეთი დამამშვიდებელი სიტყვები მოისმინო ადამიანისგან, ერთთავად შეურვებული გამომეტყველება რომ არ შორდება სახიდან, რაც, ალბათ, მისი წვრილი, მუდამ ახამხამებული, ახლოს ჩამჯდარი თვალების, გრძელი ცხვირისა და მწვევარივით წაგრძელებული სახის ბრალია. წამდაუწუმ ახველებს და იფურთხება. საოცარია! ანრი IV-ის ლიცეუმში ისტორიის მასწავლებელი იყო... ნუთუ ამ კეთილშობილურმა საქმიანობამ სიხარული არ უნდა მოჰგვაროს? პედაგოგიურ სასწავლებელში გატარებულ სტუდენტურ წლებზე მესაუბრა. ცინიკოსია. კრიტიკით მეტისმეტადაა გატაცებული და ამიტომაც აკლია სამართლიანობა. ზოგჯერ გულწრფელიც არა მგონია. ძალიან ჭკვიანია, ოღონდ მისი გონიერებით მხოლოდ საკუთარ თავს ასიამოვნებს, სხვების მიმართ გულგრილია, დიდსულოვნებაც აკლია. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ გონებამახვილიცაა.

გონებამახვილი? გონებამახვილი ადამიანის ორი ტიპი არსებობს: ზოგი თავის სიტყვაში აქსოვს გონებას (ფილიპი), ზოგიც — ლაპარაკის მანერაში. გუარანი კი ხალხის იმ ჯგუფს ეკუთვნის, ვინც მაშინაც კი ჩანს გონებამახვილი, როცა არაფერ გონებამახვილურს არ ამბობს: ერთგვარი მშევრმეტყველებით, სიტყვის ბოლოზე ხაზის გასმით, თავისებური ინტონაციით, სასაცილო მიმი-

კით, დაუმთავრებელი, ორაზროვანი ნართაულით, თვალების ეშმაკური გამოხედვით, რის წყალობითაც ყოველ წარმოთქმულ სიტყვას გადაკრული მნიშვნელობა ეძლევა. ფილიპის ნათქვამი რომ გაიმეოროს ვინმემ, სულ ერთია, იგი მწარე, მოქნილი, გამქირდავი დარჩება. გუარანის სიტყვების განმეორებას თუ მოინდომებ, ამ ენამაჯვილობიდან თითქმის აღარაფერი შეგრჩება.

17 აგვისტო.

სუნთქვა უფრო და უფრო გაძნელებული მაქვს. გამაშუქეს. სურათი აჩვენებს, რომ დიაფრაგმის ექსკურსი ნულია ღრმად ამოსუნთქვისას. ბარდო სამდღიან შვებულებაშია წასული. ვგრძნობ, ძალიან ავადა ვარ, ძალიან ავად. შეუძლებელია ავადმყოფობის გარდა სხვა რამეზე ვიფიქრო.

18 აგვისტო.

მძიმე დღეებია, უფრო მძიმეა ღამე. ბარდოს აქ არყოფნის დროს მაზემ ახალი პროცედურა ჩამიტარა.

19 აგვისტო.

პროცედურების შემდეგ გაოგნებული ვარ.

20 აგვისტო.

უცნაურია, ამ დილით უკეთ ვგრძნობ თავს. ღამით ნემსი გამიკეთეს და თითქმის ხუთი საათი მეძინა! ბრონქები შესამჩნევად ჩამეწმინდა. გაზეთები წავიკითხე.

საღამოს.

მთელი ნაშუადღევი ვთვლემდი. ჩანს, კრიზისმა გამიარა. მაზე კმაყოფილია.

რაშელზე ფიქრი არ მშორდება. მოგონებათა ეს მოზღვავება ორგანიზმის დაუძლურების ნიშანი ხომ არაა?.. ცოცხალი რომ ვეყავი, მოგონებებს არ ვეძლეოდი. წარსული არარაობა იყო ჩემთვის.

ე ა ნ-პ ო ლ ს:

მორალი. მორალური ცხოვრება. თითოეულმა უნდა შეიგნოს რაში გამოიხატება მისი მოვალეობა, გამოარკვიოს მისი ბუნება, მისი საზღვრები. ცხოვრების გზა პირადი მსჯელობის მიხედვით უნდა აირჩიო, განუწყვეტელი, მუდმივი ძიების დროს. მომთმენი დისციპლინა. შეფარდებითსა და აბსოლუტურს შორის უნდა იტრიალო, შესაძლებლისა და სასურველს შორის, ოღონდ თვალთახედვიდან არ უნდა გამოგრჩეს სინამდვილე, ყური უნდა მიუგდო ჩვენში არსებულ ღ რ მ ა ს ი ბ რ ძ ნ ე ს.

თვალი გეჭიროს საკუთარ „მე"-ზე. შეცდომამ არ უნდა შეგაშინოს. საკუთარი თავიდან განდგომამ არ შეგაშინოს. საკუთარი შეცდომების დანახვა უნდა შეგეძლოს, თუ გსურს წინ იარო თვითშეგნების შუქით განათებულ გზაზე და აღმოაჩინო საკუთარი მოვალეობა.

(ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ საკუთარი თავისადმი გვაქვს მოვალეობა!).

21 აგვისტო, დილა.

გაზეთები. ინგლისელები წინ აღარ მიიწევენ. არც ჩვენ, თუმცა ალაგ-ალაგ მაინც შეიმჩნევა უმნიშვნელო წინსვლა (ვწერ, უმნიშვნელო წინსვლა-მეთქი, რადგან კომუნიკეში ასე იყო). მაგრამ პირადად მე, ვ ხ ე დ ა ვ, რასაც ნიშნავს ეს იმათთვის, ვინც „წინ მიიწევს": აფეთქებისგან ამოთხრილი კრატერი, სანგრიდან სანგარში ხოხვა, საექიმო პუნქტების ავსება...

პროცედურებისთვის წამოვდექი. ვეცდები, იქნებ ქვევით ჩავიდე სასაუზმოდ.

ღამით, მაგიდის ნათურის შუქზე.

იმედი მქონდა, ცოტა ხნით წავიძინებდი (გუშინ საღამოს ტემპერატურა თითქმის ნორმალური იყო: 37,8). მაგრამ მთელი ღა-

მის უძილობა... წამით არ ჩამთვლიმა. აი, უკვე თენდება.
მაინც წყნარი ღამე მქონდა.

22, დილა.

წუხელ ელექტრო დენი გამოირთო, წერა აღარ შემეძლო. მინდა, ჩემს დღიურში ვარსკვლავთცვენის ეს მშვენიერი ღამე აღვწერო.

ისე თბილოდა, დაახლოებით 1 საათზე ლოგინიდან წამოვდექი და ფარდები გადავწიე. საწოლიდან ზაფხულის დიდებულ ცას შევყურებდი. ღამისეულს, ღრმას. ისეთი ცა იყო, იტყოდით, შუშხუნები სკდება, ცეცხლოვანი წვიმა მოდის, ვარსკვლავები წურწურით მიედინება ყოველი მიმართულებითო. მომაგონდა, შეტევა სომთან, მარეოკურის სანგრები... 16 წლის აგვისტოს ღამეები: ვარსკვლავთა გუნდში ინგლისური შუშხუნები შეიჭრნენ და ზღაპრულ ფეიერვერკებად გადაიხლართნენ, ერთმანეთს შეერივნენ.

ერთბაშად თავში გამიელვა (და დარწმუნებული ვარ, ასეცაა), ასტრონომს, თავის წარმოდგენაში შეჩვეული რომ არის საპლანეტთაშორისო სივრცეში ცხოვრებას, სხვაზე მეტად უადვილდება სიკვდილი-მეთქი.

დიდხანს, დიდხანს ვფიქრობდი ამაზე. ცას თვალი ვერ მოვწყვიტე, ამ უსაზღვრო ცას, ჩვენი ტელესკოპების გაუმჯობესების მიხედვით სულ უფრო მეტად რომ გვშორდება. სხვათა შორის, ჭეშმარიტად დამამშვიდებელია ასეთი ფიქრები. ეს უკიდეგანო სივრცე, სადაც ჩვენი მზისდარი ურიცხვი მნათობი ნელ-ნელა მოძრაობს თავის ორბიტაზე, და სადაც მზე — ჩვენ რომ ასეთი ვეებერთელა გვგონია და თუ არ ვცდები, მილიონჯერ უფრო დიდია, ვიდრე დედამიწა, — სხვა ა რ ა ფ ე რ ი ა, სრულიად არაფერი, თუ არ ერთ-ერთი ერთეული სხვა ციურ მირიადთა შორის...

ცის იკანკლედი, მნათობთა, მზეთა მტვერი, რომლის ირგვლივ ასი მილიონი კილომეტრებით ერთმანეთს დაშორებული მილიარდი პლანეტა ტრიალებს! და ჯანღი, საიდანაც სულ მალე მნათობთა ახალ-ახალი გუნდები ამობრწყინდება! ასტრონომთა გამოანგარიშებით დადგინდა, რომ სამყაროს ეს ფუთფუთი მაინც არაფერია, ისინი უმცირეს ადგილს იკავებენ უსაზღვრო სივრცეში, რადიაციე-

ბით, მიზიდულობის ძალის მოქმედებით დაკვალულ, ათრთოლებულ ეთერში. ეს ყველაფერი უცნობია ჩვენთვის, მოგრამ გუმანით ვხვდებით.

ვწერ და წარმოსახვა მერყეობს. სასიამოვნო თავბრუხვევაა. ამ ღამით, პირველად, იქნებ უკანასკნელადაც ერთგვარი სიმშვიდით, ერთგვარი ტრანცენდენტალური გულგრილობით ვფიქრობ სიკვდილზე. შიშს თავი დავაღწიე, თითქმის უცხო გავხდი საკუთარი, ხრწნადი გვამისადმი: უსაზღვროდ პატარა და სავსებით შეუმჩნეველი ნამცეცი ვარ მატერიისა...

სიტყვა მივეცი ჩემს თავს, ყოველ ღამე ცას ვუყურო, რათა ეს სიმშვიდე ხელახლა ვიგრძნო.

ახლა კი დღე მობრძანდა. ახალი დღე.

ნაშუადღევი, ბალი.

მადლიერების გრძნობით გადავშლი ხოლმე ამ დღიურს. აქამდე არასოდეს მიმიჩნევია, რომ იგი ასე კარგად უპასუხებს თავის დანიშნულებას: მომაშოროს მოჩვენებები.

კვლავაც ჯადოშეკრულივით ვარ ამ ღამის დაკვირვებით.

ადამიანური ორგანიზმის შეუღწევობა. ჩვენც ასევე ვმოძრაობთ ერთმანეთის ირგვლივ, არც ვეჯახებით, არც ვუერთდებით ერთმანეთს. თითოეულს თავისი გზა აქვს. თითოეული შეუღწეველ მარტოობას განიცდის, თითოეული თავის ტყავშია. თავისი ცხოვრება რომ გალიოს და გაქრეს. დაბადება და სიკვდილი შეუწყვეტელი რითმით ენაცვლება ერთმანეთს. წამში ერთი დაბადება, წუთში სამოცი დაბადება. ს ა ა თ შ ი ს ა მ ა თ ა ს ზ ე მეტი ახალშობილი; და ამდენივე მკვდარი! ყოველ წელიწადს სამი მილიონი ცოცხალი არსება ადგილს უთმობს სამ მილიონ ახალ სიცოცხლეს. ვინც ადვილად გაიგებს, შეიგნებს, „განახორციელებს“ ამას, განა წინანდებურადვე შესძლებს ეგოცენტრულად აღელდეს თავისი ბედის გამო?

6 საათი.

ფრთებშესხმულივითა ვარ. ლაღად, მსუბუქად ვგრძნობ თავს. ცოცხალი მატერიის ნამცეცი თავისი პ ა რ ც ე ლ ა ც ი ი ს* სინდისი გახდება.

გამახსენდა ჩვენი გაუთავებელი კამათი პარიზში, როცა ზელენგერს თავისი მეგობარი, ჟან როსტანი* მოჰყავდა საღამოობით ჩვენთან...

საოცარი მდგომარეობა აქვს ადამიანს ამ ვეებერთელა სამყაროში. ახლაც ცხადად მესახება ეს პირობები, როგორც მზშინ, როცა როსტანი მკვახე ხმით, მეცნიერის სიფრთხილითა და სიზუსტით, პოეტის ლირიკული მღელვარებითა და ცინცხალი იერსახეებით განსაზღვრავდა ამ პირობებს. სიკვდილის სიახლოვე დღეს განსაკუთრებულ მიმზიდველობას აძლევს ამ აზრებს. სასოებით ვიგონებ მათ. იქნებ სასოწარკვეთილებიდან განმკურნონ?

მეტაფიზიკურ ილუზიებს ინსტინქტურად უარვყოფ. არარაობა არასოდეს წარმომიდგენია ასეთი სიცხადით. ძრწოლით, ინსტინქტური აღშფოთებით ვუახლოვდები მას; მაგრამ სულაც არ ვცდილობ მის უარყოფას, არც შველას ვეძებ უაზრო იმედებში.

უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შეგნებული მაქვს ის სიმცირე, რასაც მე წარმოვადგენ. მართლაც რომ სასწაულია! თითქოს შორიდან ვუთვალთვალებ მოლეკულათა ამ სასწაულებრივ შეერთებას, რაც სულ ცოტა ხნით კიდევ, ჩემი „მე" არის. ასე მგონია, ჩემი არსების სიღრმეში მე ცხადად ვამჩნევ იდუმალ ცვლილებებს, რაც უკვე ოცდაათ წელზე მეტი ხანია იმ მილიარდ უჯრედებს შორის შეუწყვეტლივ ხდება, რისგანაც მე ვარ შექმნილი. ეს შეუცნობელი ქიმიური რეაქციები, ენერგიის ეს გარდაქმნები ჩემდა უნებურად ხდება თავის ქალას ქერქში და ამ წუთშიც აზროვნებისა და წერის უნარის მქონე ცხოველად მაქცევს. ფიქრის უნარი, ნებისყოფა და სხვა, მთელი ეს სულიერი საქმიანობა, ასე ძალიან რომ ვამაყობდი, სხვა არაფერია, თუ არ ჩემგან დამოუკიდებელ რეფლექსთა ნაერთი, სხვა არაფერია, თუ არ ბუნებრივი, წარმავალი ფენომენი, რომლის შესაწყვეტად რამდენიმე წუთით უჯრედების ასფიქციაა საკმარისი.

საღამოს.

ისევ ჩავწექი. გონება-ნათელი, ოდნავ გაბრუებული.

გავნაგრძობ ფიქრს ა დ ა მ ი ა ნ ს ა და ც ხ ო ვ რ ე ბ ა ზ ე... გაოგნებითა და აღტაცებით ვფიქრობ იმ ორგანულ მწკრივზე, რომლის ძირითადი რგოლიც მე ვარ. ჩემს უკან, მილიარდი საუკუ-

ნეების მიღმა ცოცხალი კიბის ყველა საფეხურს ვამჩნევ. დასაბამიდანვე იმ აუხსნელი და შესაძლებელია, შემთხვევითი ქიმიური ასოციაციიდან მოყოლებული, ერთ დღეს რომ სადღაც მოხდა, თბილი ზღვის ფსკერზე ან დედამიწის დანახშირებული ქერქის ქვეშ, და საიდანაც საწყის პროტოპლაზმათა პირველი გამოვლინება წარმოიშვა, დამთავრებული ამ უცნაური და რთული ცხოველით, რომელსაც შეგნების უნარი აქვს, შეუძლია წარმოდგენა იქონიოს წესრიგზე, გონების კანონებზე, სამართალზე... დამთავრებული დეკარტეთი, ვილსონით...

უპირველესად კი, ეს ამაფორიაქებელი და სრულიად კანონიერი აზრი: რომ ცხოვრების სხვა ფორმები, ადამიანზე უფრო სრულყოფილ არსებებისთვის სიცოცხლის მისაცემად -რომაა მოწოდებული, შესაძლებელია ჩანასახშივე დაღუპულიყო რომელიმე კოსმოსური კატაკლიზმის შედეგად. განა სასწაული არაა, რომ ორგანიზმთა ეს ჯაჭვი, რომლის უკანასკნელ რგოლს თანამედროვე ადამიანი წარმოადგენს, შეიძლებოდა საუკუნეების მანძილზე დღემდე გაჭიმულიყო? რომ მან შესძლო გადარჩენილიყო, გადაეტანა ათასნაირი გეოლოგიური ძვრები? მოახერხა, ბუნების ბრმა გაფლანგვის მსხვერპლი არ გამხდარიყო?

მაგრამ სანამ გასტანს ეს სასწაული? როგორი (თავიდან აუცდენელი) დასასრულისკენ მიემართება ჩვენი მოდგმა? ისიც ისევე ხომ არ გაქრება ერთ დღეს, როგორც ტრილობიტები, გოლიათი მორიელები, ყოველგვარი წყალხმელეთა ცხოველები და ქვეწარმავლები გაქრნენ, რომელთა არსებობა ჩვენთვის ნაცნობია? ან იქნებ ბედი გაუღიმებს კაცობრიობას და მიუხედავად ქაოსისა, შესძლებს პლანეტის ქერქზე შეჩერებას და კიდევ კარგა ხანს განვითარებას? სანამდე? იქამდე, სანამ გაციებული და შეჩერებული მზე სითბოსა და სიცოცხლის შესაძლებლობას არ მოაკლებს? და კაცობრიობა რა ახალ წარმატებას მიაღწევს, სანამ საესებით გაქრებოდეს? თავბრუდამხვევი ოცნება...

რა წარმატებებს?

არ შემიძლია დავიჯერო, რომ არსებობს კოსმოსური პლანი, სადაც ადამიანურ ცხოველს განსაკუთრებული როლი მიენიჭება. იმდენჯერ შევჯახებივარ უაზრობას, ბუნების წინააღმდეგობებს, ძნელია დავიჯერო მარადიული ჰარმონია. არც ერთი ღმერთი არასოდეს გამოხმაურებია ადამიანის ძახილს, პასუხი არ გაუცია მის შე-

კითხვებზე. ის, რაც პასუხად მიაჩნიათ, ადამიანის ხმის ექოა და სხვა არაფერი. მისი სამყარო ჩაკეტილია, საკუთარი თავითაა შემოფარგლული. ადამიანისათვის ნებადართულია თავისი მოთხოვნილებით შეეგუოს იმ შემოსაზღვრულ სფეროს, მას რომ საკუთარ სიმცირესთან შედარებით უზარმაზარი ჰგონია, სინამდვილეში კი სამყაროსთან მიმართებით უმცირესია. ბოლოს და ბოლოს, მეცნიერება შეაგნებინებს კი, რომ ამ სფეროთი უნდა დაკმაყოფილდეს? საკუთარი სიმცირის შეგნებისას აღადგენინებს კი წონასწორობას, აპოვნინებს ბედნიერებას? შეუძლებელი არაფერია. მეცნიერებას ჯერ კიდევ ძალუძს ბევრი რამ. მას შეუძლია ასწავლოს ხალხს დასჯერდეს ბუნებით მიკუთვნებულ საზღვრებს, შემთხვევითობას, რამაც მას სიცოცხლე მისცა, დასჯერდეს იმ მცირედს, რასაც ადამიანი წარმოადგენს. მეცნიერებას შეუძლია დიდი ხნით მისცეს ის სიმშვიდე, მე რომ დღეს განვიცდი. მისცეს უნარი მშვიდად დაუკვირდეს არარაობას, რაც სულ მოკლე ხანში მე მელოდება, ყველაფრის მშთანთქავ არარაობას.

23.

გამოღვიძება. ჩვეულებრივზე ოდნავ ხანგრძლივი, უფრო ღრმა ძილი. დასვენებული ვარ. ნახველი რომ არ მახრჩობდეს, თითქმის კარგად ვიგრძნობდი თავს.

გაბრუებულს ჩამეძინა. სასოწარკვეთილს, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ გაბრუებულს. ყველაფერი, რაც კი გულს მიმძიმებს, ამ დილით არაფრად, უმნიშვნელო რამედ ჩავთვალე; არარაობა, სიკვდილის მოახლოება ისეთი თავისებური ხასიათის რწმენად მესახებოდა, აღშფოთებას რომ გამორიცხავს. სულმთლად ფატალიზმი არ იყო, არა: ვგრძნობდი, თვით ავადმყოფობისა და სიკვდილის მეოხებითაც, სამყაროს ბედში ვიღებდი მონაწილეობას.

რა კარგი იქნებოდა, წუხანდელი სიმშვიდე რომ დამიბრუნდებოდეს!

საუზმემდე ვერანდის ქვეშ ვიჯექი. საუბარი. გრამაფონი. გაზეთები.

ნუაიონთან ისევ ბრძოლებია, ასევე მთელ ფრონტზე უაზსა და

ენს შორის. ოცდაოთხ საათში ოთხი კილომეტრით წაიწიეს წინ. დაიკავეს ლასინი. ინგლისელებმა დაიპყრეს ალბერი, ბრე-სიურ-სომი (სწორედ ბრეში დაიღუპა საცოდავი დელაკური, მღვდლის სახლის უკან, სულელურად: ცდომილი ტყვია საპირფარეშოში მოხვდა).

საღამოს.

გუშინწინდელი სიმშვიდის დაბრუნება! ამ საღამოს, სადილობისას, სულის ხუთვის ძლიერი შეტევა მქონდა, ძალიან მაგარი, მეტისმეტად ხანგრძლივი. ამას მოჰყვა უკიდურესი სისუსტე.

26.

გუშინ დილიდან რეტრო-სტერნალური ტკივილები თითქმის არ შემჩერებია, ღამით კიდევ უფრო აუტანელი გახდა. თანაც გულისრევით.

27.

საღამოს შვიდი საათი. ცოტაოდენი რძე მოვსვი. საცაა ჟოზეფი მოვა და მერე დილამდე გაქრება. ველოდები, მის ნაბიჯებს ვაყურადებ. ბევრი საპირო პროცედურა უნდა ჩამიტაროს: ლოგინი გამისწოროს, ბალიშები გააბუოს, ბუზებისგან თავის დასაცავად დოლბანდი გაფინოს, მიქსტურა, საშარდე ჭურჭელი მომიმზადოს, შტორები ჩამოუშვას, საფურთხებელი გარეცხოს, წყლით სავსე ჭიქა, წვეთების ფლაკონი, ღამის ნათურა და ზარი ახლოს დამიდგას... „საღამო მშვიდობისა, ბატონო ექიმო“. — „საღამო მშვიდობისა, ჟოზეფ“. ცხრის ნახევრამდე უნდა დავიცადო, სანამ ღამის მორიგე, ძია ჰექტორი მოვიდოდეს. მას არ უყვარს ლაპარაკი, კარს შემოაღებს და თავს შემოჰყოფს, რაც ნიშნავს: „მოვედი, ფხიზლად ვიქნები. ნურაფრის გეშინიათ!“.

მერე კი მარტოობა, უსაშველოდ გაგრძელებული ღამე.

მხნეობა მღალატობს. თითქოს მთელი სხეული მერღვევა.

საკუთარ თავს, ე. ი. საკუთარ სიკვდილს ვუბრუნდები. თუკი ძველ ნაცნობს მოვიგონებ, მაშინვე გამიელვებს თავში: „არც მან იცის, რომ ჩემი საქმე წასულია". ანდა: „ეს რაღას იტყვის, როცა ჩემს მიცვალებას შეიტყობს?"

28.

ტკივილები თითქოს მიყუჩდება. ვინ იცის, იქნებ ისევე შემიწყდეს, როგორც ამიტყდა?

რენტგენის სურათი არაა სახარბიელო. ფიბროზული ქსოვილების ზრდა მნიშვნელოვნად აჩქარებულა უკანასკნელი გაშუქების შემდეგ, განსაკუთრებით — მარჯვენა ფილტვში.

29 აგვისტო.

ნაკლებად ვიტანჯები. ამ მძიმე ოთხი დღის შემდეგ სული ძლივს მიდგას.

კომუნიკე: ახალი შეტევები (სკარპსა და ველს შორის) გრძელდება. ინგლისელები ნუაიანს უტევენ. ბაპომი დავიბრუნეთ.

ე ა ნ-პ ო ლ ს:

ნამდვილად იქნები ამაყი. ჩვენ ყველანი ასეთები ვართ. შეურიგდი ამას. ძალდაუტანებლად იყავ ამაყი. თავმდაბლობა: პარაზიტული სათნოება დამამცირებელია, (თუმცა ძალიან ხშირად რაღაც უძლურების ინტიმური შეგნებაცაა). არც პატივმოყვარეობაა საჭირო, არც მოკრძალებულობა, თუ გინდა ძლიერი იყო. უნდა იცოდე, რომ ძლიერი ხარ.

ასევე პარაზიტული განდგომილებისადმი მიდრეკილება, დამორჩილების სურვილი, ბრძანების მიღების წყურვილი, დამყოლი ბუნებით სიამაყე და ასე შემდეგ... სისუსტისა და უმოქმედობის ფაქ-

ტორები. თავისუფლების შიში. ისეთი ღირსებები უნდა აირჩიო, რაც აგამაღლებს. უზენაესი ღირსება: ენერგია. სწორედ ენერგია ქმნის სიდიადეს.

სასჯელი: მარტოობა.

30.

ნუაიანი გადაიარეს. მაგრამ რა ფასად დაუჯდათ?

საკვირველია, პრესას რატომ აძლევენ უფლებას გაიმეოროს, ომი დასასრულს უახლოვდებაო. ამერიკა იმიტომ კი არ ჩაება ომში, რომ წმინდა სამხედრო გამარჯვებით, სამხედრო ზავით დაკმაყოფილდეს. ვილსონს სურს პოლიტიკურად მოკვეთოს თავი გერმანიასა და ავსტრიას. რუსეთი გამოგლიჯოს მათ მფარველობას. ასეთი ვითარების დროს შეუძლებელია იმედი ჰქონდეთ, რომ ორივე იმპერია ექვსიოდე თვეში დაიმსხვრევა და ბერლინში, ვენასა და პეტერბურგში მტკიცე რესპუბლიკური წყობილება დამყარდება, რაც საშუალებას მისცემთ წარმატებით აწარმოონ მოლაპარაკება!

ჩემი ფანჯარა. ექვსიოდე მაგრად დაჭიმული ელექტრომავთული ფოტოფირებზე გავლებული ზოლებივით სერავს ცის სწორკუთხედს. ქარიშხლის დროს წვიმის წვრილი, მარგალიტისებური წვეთები მავთულებს ეცემა რამდენიმე სანტიმეტრის ინტერვალით, ერთი და იმავე მიმართულებით, განუწყვეტლივ, მაგრამ ერთხელაც არ ხვდებიან ერთმანეთს. ასეთ წუთებში ვერაფერს ვაკეთებ, სხვას ვერაფერს ვუყურებ...

სექტემბერი

1 სექტემბერი, 13.

ახალი თვე. მოვესწრები კი მის ბოლო დღეებს?

ხელახლა დავიწყე ქვევით ჩასვლა. იქვე ვსაუზმობ.

იმის შემდეგ, რაც წვერის პარსვა შევწყვიტე (ივლისში), პირსაბანზე ჩამოკიდებულ სარკეში ჩახედვა აღარ მიხდება. ახლახან, კანცელარიაში ყოფნისას უცებ თვალი მოვკარი ჩემს სახეს. წამით

შევყოყმანდი, სანამ ამ წვეროსან მომაკვდავში საკუთარ თავს შევიცნობდი. „ცოტაოდენი ასთენციაა!“ — აღიარა ბარდომ. სჯობდა ეთქვა: „კახექსიააო!“

შეუძლებელია რამდენიმე კვირას კიდევ გაგრძელდეს...

ინგლისელებმა კემელის ბორცვი დაიბრუნეს. ჩვენ ჩრდილოეთ არხს ვუტევთ. მტერი ლისის მიმართულებით იხევს.

ღამე, 1 სექტემბერი.

რაშელ. რატომ რაშელი?

რაშელ. მისი წითური წამწამები, ეს ოქროსფერი რკალი მისი გამოხედვის ირგვლივ. და ამ გამოხედვის მოწიფულობა! ხელს მაფარებდა თვალებზე, რომ მისი სიამოვნების მოწმე არ ვყოფილიყავი. მოკრუნჩხული, მძიმე ხელი, ერთბაშად რომ ეკარგებოდა დაძაბულობა, როგორც კი მისი ბაგე, მისი სხეულის ყოველი კუნთი მოეშვებოდა...

2 სექტემბერი

ქარი ამოვარდა. ვერანდაზე მოვიკალათე. ქვევით გუარანი, ვუაზნე და ფელდფებელი სტუდენტურ წლებს იგონებენ (ლათინურ კვარტალს, „ლე სუფლოს“, „ლა ვაშეტს“ — სტუდენტურ კაფეებს, საცეკვაო მოედნებს, ქალებს და სხვ.). ერთხანს ყურს ვუგდებდი, მერე ჰოლში შევედი, გაღიზიანებული, გაბრაზებული, თანაც აღელვებული.

ჟან-პოლ, დროის დაკარგვისა ძალიან ნუ შეგეშინდება.

არა, ეს კი არ მინდოდა მეთქვა შენთვის. პირიქით: დამიჯერე, ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენლად ხანმოკლეა და ძალიან ცოტა დრო გექნება იმისათვის, რომ ბოლომდე გამოავლინო შენი შესაძლებლობანი.

მიუხედავად ამისა, ცოტათი მაინც გაფლანგე შენი სიჭაბუკე, ჩემო ბიჭო. ძია ანტუანი, სულ მალე რომ მოკვდება, აქამდე ნანობს, თავისი ახალგაზრდობის მცირეოდენი ნაწილის უაზროდ დახარჯვა ერთხელაც რომ ვერ მოახერხა...

დღის პირველი შუქი.

ჟან-პოლ, წუხელ სიზმარში გნახე. აქ იყავი, ბაღში და მკერდზე მყავდი მიკრული, ვგრძნობდი შენს მაგარ, დაძაგრულ სხეულს. შენ წააგავდი იმ პატარა, ფესვმაგარ ხეს, რომლის ზრდას ვერაფერი შეაჩერებს. შენ ის სამი წლის ბიჭუნაც იყავი, მუხლებზე რომ მესვა რამდენიმე კვირის წინ; ის მოზარდიც, ოდესღაც მე თვითონ რომ ვიყავი, ექიმიც, მე რომ შემდეგ გავხდი. როცა გავიღვიძე, პირველად გამიელვა ამ ფიქრმა: „ვინ იცის, იქნებ ისიც ექიმი გამოვიდეს-მეთქი?“

მერე სულ ამ აზრს დავტრიალებდი. ახლა კი იმაზე ვფიქრობ, რომ მემკვიდრეობით გიტოვებ ჩემს არქივს, ჩანაწერებს, მრავალი წლის დაკვირვებებს, ძიებას, დაუმთავრებელ ჩანაფიქრს. როცა ოცი წლის გახდები, თუკი ვერაფერს მოუხერხებ, ვინმე ახალბედა ექიმს გადაეცი.

მაგრამ ასე ერთბაშად ვერ დავშორდები ჩემს ოცნებას. ამ ახალგაზრდა ექიმში, ჩემს გამგრძელებელში ამ დილით შენ გხედავ, მინდა შენ დაგინახო...

შუადღე.

მგონი შევცდი, ხორხის ვარჯიში რომ შევწყვიტე და სასუნთქი ვარჯიშებიც შევამცირე. ბოლო ორი კვირის მანძილზე გაუარესება იგრძნობა, ასე რომ, იძულებული ვიყავი ელექტრო-მოწვისთვის მიმემართა.

მთელი დილა ლოგინში ვიწექი.

გაზეთები. „ლეიბორ დეი“*-ში დაბეჭდილი მოწოდება წავიკითხე და ისევ გადავიკითხე. უბრალო და კეთილშობილური ტონი, გონივრული სიტყვები. ვილსონი იმეორებს, რომ ნამდვილი მშვიდობა სულ სხვანაირი უნდა იყოს და რაც მთავარია, გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე ევროპული წონასწორობის ახალი ვარიანტიო. აშკარად ამბობს: „ეს არის გ ა მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ ი ომი“ (ამერიკის ომის * მსგავსი). ნუღარ გავიმეორებთ წინანდელ შეცდომებს, ერთხელ და სამუდამოდ მოვიშოროთ ომის წინანდელი, ევროპის პარადოქსები: მშვიდობიან, მშრომელ ხალხს შეიარაღებით

გააძვრეს ტყავი, თოფს ხელი არ გააშვებინეს. შერიგებული ერების კავშირი. მშვიდობას უშიშროება მოაქვს ძველი კონტინენტისთვის, ძალას ქმნის. მშვიდობა გამარჯვებულთა და დამცირებულთა გარეშე, მშვიდობა, რომელიც რევანშის არავითარ საბაბს არ იტოვებს უკან, არაფერს ისეთს არ იტოვებს უკან, რასაც ერთ დღეს შეუძლია ხელი შეუწყოს ომის სულის აღდგენას.

ვილსონი სწორად აღნიშნავს ასეთი მშვიდობის პირველ პირობას: ავტოკრატული მთავრობის დამხობა. მთავარი მიზანი. ევროპა უშიშრად ვერ იგრძნობს თავს, სანამ ძირფესვიანად არ ამოიგლიჯება გერმანული იმპერიალიზმი, სანამ ავსტრია-გერმანული ბლოკი დემოკრატიულ ევოლუციას არ მოახდენს. სანამ არ მოისპობა ცრუ იდეების ეს მთესველი (ცრუ, იმიტომ, რომ ისინი მთელი კაცობრიობის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება): იმპერიის მისტიკა, ცინიკური აღტყინება ძალის მიმართ, რწმენა გერმანელთა უპირატესობისა სხვა დანარჩენ ერებზე და მათი დამორჩილების უფლებაზე. (კაიზერის მესიანისტური ბოდვები, რომლის თანახმად ყოველი გერმანელი ჯვაროსანია და მისი მისია იქნება გერმანული ჰეგემონიის გაბატონება მსოფლიოზე).

საღამოს.

ნასადილევს გუარანი და ვუაზნე შემოვიდნენ ჩემს სანახავად. გამეხარდა. გერმანიაზე ვისაუბრეთ. გუარანი ირწმუნებოდა, ძალის ეს საბედისწერო მისტიკა მონარქიული რეჟიმის ნაყოფი იმდენად არაა, რამდენადაც რასის განსაკუთრებული ეთნიკური თვისების გამოვლინებაო: უმალ ინსტინქტი, ვიდრე დოქტრინაო. შევკამათდით: გერმანია პრუსია კი არაა და ასე შემდეგ... გუარანი თვითონვე აღიარებს, გერმანიაში ყველა აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ მშვიდობიანი და თავისუფალი ერი შეიქმნასო. რა ვუყოთ მერე თუკი გერმანულ მესიანიზმში რასობრივი ინსტინქტი გამომჟღავნდებაო? აშკარაა, რომ თვითმპყრობელური რეჟიმი ამხნევებს, აძლიერებს, თავის სასარგებლოდ იყენებს მას! თუკი ჩვენ გავიმარჯვებთ, მშვიდობიანი მოლაპარაკების ხასიათზე, დამარცხებულთან ჩვენს ურთიერთობაზე იქნება დამოკიდებული დარჩება თუ მოისპობა ეს ავისმქნელი გერმანია. დემოკრატიული აღზრდა, რომელიც

ვილსონს გერმანელთათვის აქვს გამიზნული, ამ მესიანიზმს უკუაგდებს და სწრაფად დააჩლუნგებს ან სხვა მიზნისკენ წარმართავს, თუკი მშვიდობიანი მოლაპარაკება რევანშის აღების არავითარ საბაბს არ მისცემს გერმანელ ხალხს. ამას თხუთმეტი წელი მაინც დასჭირდება. იმედს არ ვკარგავ. არც შეეცდები თუ ვიფიქრებ, რომ 1930 წლის გერმანია, რესპუბლიკური, პატრიარქალური, მშრომელი და მშვიდობიანი გერმანია ევროპული კავშირის ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური გარანტია გახდება.

ვუაზნემ 1911 წლის ნოემბერი მოიგონა. სწორია. საფრანგეთ-გერმანიის კაიოს * შეთანხმებამ ომი რატომ დააყოვნა? იმიტომ, რომ იგი არ ცვლიდა, არც შეეძლო შეეცვალა გერმანიის პოლიტიკური რეჟიმი. იმიტომ, რომ გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის პოლიტიკა ძველებურად რჩებოდა მათი იმპერატორების, მინისტრებისა და გენერლების პოლიტიკად. ვილსონი ამას მიხვდა. არაფერი არ შეიცვლება. მარტო კაიზერის დამარცხება არაფერს ნიშნავს, თუ ხელუხლებლად დარჩება პრუსიული, ტევტონური სული, იმპერატორული რეჟიმი, ჰეგემონიისადმი მისი მისწრაფება, მისი პანგერმანიზმი. პირველადი მიზეზები უნდა მოისპოს, რათა თვითმპყრობელური რეჟიმი ვეღარასოდეს აღსდგეს. აი, მაშინ იქნება უზრუნველყოფილი მტკიცე მშვიდობა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ევროპის სურვილის საწინააღმდეგოდ, სწორედ მხოლოდ კაიზერის მთავრობამ ჩაშალა ჰაგის კონფერენცია (გუარანმა დაწვრილებითი ცნობები მოგვცა: ერთსულოვნად შეთანხმდნენ შეიარაღების შეზღუდვაზე; დადებულ იქნა ხელშეკრულება — ამ ხელშეკრულების შედეგი აურაცხელი უნდა ყოფილიყო; და აი, ხელისმოწერის წინადღით გერმანიის წარმომადგენელმა ბრძანება მიიღო თავისი მთავრობისაგან, არ დათანხმებულიყო). იმ დღეს იმპერიამ ნიღაბი ჩამოიგლიჯა. არბიტრაჟის პრინციპი რომ მიეღოთ, სხვა სახელმწიფოების მსგავსად გერმანიაც რომ დათანხმებულიყო შეიარაღების შეზღუდვას, 1914 წლის ევროპის მდგომარეობა სულ სხვანაირი იქნებოდა და ომიც თავიდან აგვშორდებოდა ნამდვილად. ეს უნდა გვახსოვდეს. სანამ ევროპის ცენტრში შენარჩუნებული იქნება პანგერმანული ექსპანსიის რეჟიმი, სამოცდაათ მილიონიან ქვეშევრდომთა ბედს რომ განაგებს თვითმპყრობელურად და ამით ნაციონალისტურ ქედმაღლობას რომ აჩაღებს სისტემატურად, ევროპაში მშვიდობა ვერ დამყარდება.

დილიდანვე ჩხვლეტას ვგრძნობ ფერდში ხან ერთ ადგილას, ხან მეორე ადგილას, თანმიმდევრულად, მწვავედ (სხვა მოვლენებთან ერთად).

კომუნიკე იუწყება, პერონი ხელახლა დაუკავებიათ. თუ არ ვცდები, აქამდე სარდლობას არ უხსენებია, აგვისტოში პერონი რომ მტრის ხელში გადავიდა.

მოკლე ბარათი ფილიპისგან. პარიზში ამბობენ, ფოში ერთდროულად სამი მიმართულებით აპირებს შეტევასო: სენ-კანტენში, მდინარე ენზე და ამერიკელებთან ერთად — მეზში. ან როგორც ფილიპი იწერება: „პერსპექტივაში კიდევ ერთი ცემა-ტუეპაა“... ნუთუ საჭიროა ამდენი გვამი, სანამ ვილსონის წინადადებებს მიიღებდნენ?

საღამო.

გუარანმა მინახულა. აღშფოთებულია. მიამბო, სადილობისას კამათი ამტყდარა ვილსონის ახალი მოწოდების გამო. თითქმის ერთხმად აღიარეს თურმე, ერთა ლიგის როლი პირველყოვლისა ისაა, რომ მუდმივი წესდების საშუალებით ომის დამთავრების შემდეგაც შეინარჩუნონ ცივილიზებული სამყაროს კოალიცია გერმანიისა და ავსტრიის წინააღმდეგო. გუარანს მიაჩნია, ეს აზრი, ოფიციალურ საფრანგეთს მტკიცედ რომ აქვს უკვე გამჯდარი ძვალსა და რბილში (პუანკარე და კლემანსოდან მოყოლებული), ასე შეიძლება იყოს ფორმირებულიო: ევროპის მშვიდობიანი უნიფიკაცია შეუძლებელია ერთი „სინე ქვა ნონ* პირობის გარეშე: „ბოშები“ უნდა გაირიცხონ ევროპის კონფედერაციიდან. წყეული რასა. მომავალი ომების საფუარი. სანამ სიცოცხლისუნარიანი გერმანია არსებობს ევროპაში, მშვიდობა შეუძლებელია. მაშასადამე, მეურვეობის ქვეშ უნდა გვყავდეს ეს ქვეყანა, რათა იგი უვნებელი გავხადოთ.

შემზარავია. თუ გუარანი მართალს ამბობს, გამოდის, ეს იქნება ვილსონის ჩანაფიქრის სრული ღალატი. მოაშორო გენერალურ ლიგას ევროპის ერთი მესამედი იმის მომიზეზებით, რომ ეს მესამედი პასუხს აგებს ომისათვის და გამოაცხადო გერმანია ისეთ ქვეყნად,

ნდობის ღირსი რომ არ გახდება არასოდეს, ეს ნიშნავს ჩანასახშივე მოსპო ევროპის იურიდიული ორგანიზაცია, დაკმაყოფილდე ერების ორგანიზაციის კარიკატურით, აღიარო, რომ ოცნებობენ, ევროპა ინგლის-საფრანგეთის ჰეგემონიას დაუმორჩილონ, და ახალი სისხლიანი კონფლიქტების თესლები გააღვივო.

ვილსონი ძლიერ ჭკვიანი, ძლიერ გამოცდილი კაცია და ამ იმპერიალისტურ მახეში არ გაებმება!

5, ხუთშაბათი.

დღეს ფეხზე ვეღარ ვდგები, გადარჩენილ დამახრჩვალს ვგევარ, ძლივს რომ მილასლასებს. კიბეზე ჩასვლას ხუთი წუთი მოვანდომე.

ნელ-ნელა, თანმიმდევრულად ვუახლოვდები სიკვდილს. ღამით მამაჩემის აგონია გავიხსენე. ყმაწვილობისდროინდელ სიმღერას ღიღინებდა:

„სწრაფად, სწრაფად, პაემანზე!"

მამაჩემზე შენიშვნების გაკეთება აღარ უნდა დავაყოვნო, მინდა ქან-პოლს დავუტოვო.

ზოგჯერ, როცა დასასვენებლად ზურგში, დასახლებულ პუნქტებში გაგვაგზავნიდნენ, სადაც სიმშვიდე სუფევდა, სადაც კვლავ გვიდგებოდა ბედნიერი წუთები, გავშოტილიყავით საწოლზე—რამდენჯერ მიოცნებია გულუბრყვილოდ მომავალზე, რამდენჯერ მიფიქრია, რომ აუცილებლად დავიწყებდი სულ სხვანაირ, უკეთეს, უფრო საქმიან, უფრო სასარგებლო ცხოვრებას... რა კარგი პირი უჩანდა ყველაფერს!

მკვდარი, მკვდარი ვიქნები. აკვიატებული აზრი. დაუპატიჟებელ სტუმარივით შემოიჭრა ჩემში. უცხოსავით. პარაზიტივით. წყლულივით.

ყოველივე შეიცვლებოდა, ბედს შეგუება რომ შემეძლოს. მაგრამ მაშინ მეტაფიზიკისთვის უნდა მიმემართა. ეს კი...

საოცარია, არარაობაში დაბრუნება ასეთ წინააღმდეგობას რომ იწვევს. ნეტა რას ვიგრძნობდი, ჯოჯოხეთის არსებობისა რომ მჯეროდეს და დარწმუნებული რომ ვიყო, მარადიული ტანჯვა მელისმეთქი?! არა მგონია, ამაზე უარესი იყოს.

5 სექტემბერი, საღამო.

მაიორმა ჟოზეფის ხელით ჟურნალი გამომიგზავნა, შიგ სანიშნე იდო. გადავშალე დანიშნული ადგილი და წავიკითხე: „ყოველგვარი საბაბი მოიძებნება ომის დასაწყებად, მაგრამ მიზეზი მხოლოდ ერთია: არმია. მოიშორეთ არმია, ამით ომს აიშორებთ. მაგრამ, როგორ უნდა გავაუქმოთ არმია? დესპოტიზმის გაუქმებით". ვიქტორ ჰიუგოს სიტყვიდან ამოღებული ციტატაა. რეიმონს ჟურნალის ველზე მიუწერია — „მშვიდობის კონგრესი, 1869" და ძახილის ნიშანიც დაუსვამს.

ილაზღანდაროს, სანამ არ მოწყინდება. თუკი ორმოცდაათი წლის წინათ უკვე ქადაგებდნენ დესპოტიზმის მოსპობასა და შეიარაღების შეზღუდვას, ეს სულაც არ ნიშნავს თითქოს იმედი უნდა დავკარგოთ, კაცობრიობა ვერასოდეს დააღწევს თავს ამდენ უაზრობასო!

ბოლო დღეებში იმდენი ნახველი მაქვს, რაც არასოდეს მქონია. დაშლილი ქსოვილის რაოდენობაც გაიზარდა (ლორწოვანი გარსი და დიფტერიის ნადები).

6 სექტემბერი.

დღეს დილით ქალბატონ რუას წერილი მივიღე. ყოველ წელიწადს მწერს, შვილის დაღუპვის დღეს.

(ლიუბენი რაღაცით მაგონებს მანუელ რუას).

რა აზრისა იქნებოდა იგი დღეს, ცოცხალი რომ იყოს? მე იგი მუდამ წარმოდგენილი მყავს ხ ე ი ბ რ ა დ (ლიუბენივით), ოღონდ წინანდებურად ბაქიად, ერთი სული ექნებოდა, როდის გამოჯანმრთელდებოდა და ფრონტზე დაბრუნდებოდა.

ჟან-პოლ, სულ იმაზე ვფიქრობ, რა აზრისა იქნები ომზე 1940 წელს, როცა შენ ოცდახუთი წელი შეგისრულდება? რა თქმა უნდა, განახლებულ, მშვიდობიან ევროპაში მოგიწევს ცხოვრება. ნეტავი, შეძლებ კი წარმოიდგინო, რას ნიშნავდა ეს „ნაციონალიზმი"? მისტიური რწმენა იმ ახალგაზრდებისა, ვინც 1914 წლის აგვისტოში შენი ასაკისა, ოცდახუთი წლისა იყო, მომავალი წინა ჰქონდათ და საბრძოლველად წავიდნენ ამაყად, როგორც ჩემი საყვარელი მა-

ნუელ რუა! ნუ იქნები უმართებულო, ცუდად ნუ იმსჯელებ მათზე, ეცადე გაუგო. ამ ბიჭების კეთილშობილებას ავად ნუ მოიხსენიებ, მათ ხომ სიკვდილი არ უნდოდათ? მათ ხომ ვაჟკაცურად შეაგდეს სასწორზე მთელი ცხოვრება, რადგან სამშობლო საფრთხეში ეგულებოდათ?! განა ყველა მათგანი ქარაფშუტა იყო? მანუელ რუას მსგავსად ბევრმა მსხვერპლად გაიღო თავი, რადგან სწამდათ, ამით უკეთეს მომავალს უმზადებდნენ მომავალ თაობას, რომელსაც შენც ეკუთვნი. დიაღ, ასეთი იყო ბევრი მათგანი. მე პირადად ვიცნობდი ზოგს. ძია ანტუანი ამის პასუხისმგებელია.

გაზეთები. სომი გადავლახეთ, გისკარს მივაღწიეთ. სუასონის ჩრდილოეთითაც წავიწიეთ წინ. კუსი დავიბრუნეთ. მოვახერხებთ კი ხელი შევუშალოთ გერმანელებს, რომ ესკოს უკან და სენ-კანტენის არხთან ვეღარ გამაგრდნენ?

7. საღამო.

ჟ ა ნ-პ ო ლ ს:

მომავალზე ვფიქრობ. შენს მომავალზე. იმ „უკეთეს“ მომავალზე, მანუელ რუა და მისი მსგავსნი რომ ოცნებობდნენ. უკეთესზე? იმედი მაქვს, ასეთი მერმისი გექნება. სამაგიეროდ, ქაოსურ ქვეყანას გიტოვებთ მემკვიდრეობით. ძალიან მეშინია, არეულ დროს არ მოგიხდეს ცხოვრებაში ფეხის შედგმა. წინააღმდეგობა, ყოყმანი, ახალი და ძველი ძალების შეჯახება. მაგარი ფილტვები დაგჭირდება, ასეთი მოწამლული ჰაერის შესუნთქვა რომ აიტანო. დაიმახსოვრე! ყველას როდი უწერია დატკბეს ცხოვრების სიხარულით.

საერთოდ, თავს ვიკავებ ყოველგვარი წინასწარმეტყველებისგან. მაგრამ ხვალინდელი ევროპის წარმოდგენა არც ისე ძნელია. საკმარისია დაფიქრება. ეკონომიურად ყველა სახელმწიფო გაღატაკებული იქნება, ხოლო სოციალური სისტემა ყველგან — დარღვეული. მორალურად — კავშირის უეცარი გაწყვეტა წარსულთან, ძველი ღირსების დაცემა და სხვ. აქედან, უეჭველად უდიდესი არეულობა. გარდაქმნის პერიოდი. ზრდის კრიზისი, ციებ-ცხელების შეტევით,

კრუნჩხვებით, აღზევება და დაცემა. ბოლოს წონასწორობა, ოღონდ მაშინვე არა. მტკივნეული მშობიარობა.

ასეთ პირობებში, შენ რა გეშველება, ჟან-პოლ? ძნელი იქნება ამ ამბებში გარკვევა. თითოეული დარწმუნებული იქნება, ჭეშმარიტებას ვფლობო და როგორც ყოველთვის, თითოეული თავის უნივერსალურ წამალს — პანაცეას შესთავაზებს. იქნებ ანარქიის ეპოქა დადგეს? ასე ჰგონია გუარანს. მე — არა. ანარქია თუ იქნება, მხოლოდ გარეგნული და დროებითი. რადგან კაცობრიობა არ მიდის, არ შეიძლება მიდიოდეს ანარქიისკენ. ასეთი აზრი დაუშვებელია. ამის საბუთი ისტორიაა. როგორ გადახვევებსაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, კაცობრიობა მხოლოდ გონიერი ორგანიზაციისკენ გაემართება (ადვილი შესაძლებელია, ეს ომი გადამწყვეტი ნაბიჯი აღმოჩნდეს, ძმობისკენ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ურთიერთგაგებისკენ მაინც. ვილსონის მშვიდობიანი აზრებით ევროპის ჰორიზონტი გაფართოვდება; საკაცობრიო სოლიდარობის, კოლექტიური ცივილიზაციის იდეები შეეცდებიან ნაციონალიზმის იდეების შემცვლელნი გახდნენ, და სხვ.).

ასე იქნება თუ ისე, შენ გრანდიოზული ცვლილებების, ძირფესვიანი გარდაქმნის მოწმე გახდები. და აი, რა მინდა გითხრა: ასე მგონია, მაშინ საზოგადოებრივ აზრს, მის მამოძრავებელ ძალებს თუ იდეებს გადამწყვეტი, წარმოუდგენლად მზარდი გავლენა ექნება. მომავალი სამყარო, ალბათ, ისეთი მოქნილი იქნება, როგორც არასოდეს ყოფილა. პიროვნებას უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება. ღირსეულ ადამიანს შესაძლებლობა მიეცემა უფრო მეტად, ვიდრე წარსულში, ყველას გასაგონად ხმამაღლა თქვას თავისი მოსაზრება. შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის რეკონსტრუქციაში.

გახდე ღირსეული ადამიანი. განავითარო შენში გავლენიანი პიროვნება. თავი აარიდო მოარულ თეორიებს. რა მაცდურია თავი გაითავისუფლო საკუთარი პიროვნების მძიმე ტვირთისგან! რა მაცდურია აჰყვე კოლექტიური ენთუზიაზმის ფართო მოძრაობას! მაცდურია დაიჯერო, რადგან მოსახერხებელია, რადგან მეტად კომფორტაბელურია! შესძლებ კი გაუძლო ცდუნებას?!.. ადვილი არ იქნება. რამდენადაც ბუნდოვნად ეჩვენება ადამიანს გზა, მით უფრო აქვს მიდრეკილება რადაც უნდა დაუჯდეს თავი დააღწიოს ლაბირინთს, მოებღაუჭოს უკვე მზამზარეულ თეორიას, ოღონდაც მან შვება

მოჰგვაროს, გამოსავალი აპოვნინოს. ყოველი მიახლოებითი სარწმუნო პასუხი იმ შეკითხვებზე, რასაც ადამიანი თავის თავს უსვამს და რასაც მარტო თვითონ ვერ გადაწყვეტს, საიმედო თავშესაფრად მიაჩნია: მითუმეტეს თუკი თვლის, რომ უმრავლესობა მოიწონებს. მაგარი საფრთხეა! გაუძელი, უარი თქვი ლოზუნგებზე! ნ ე ბ ა ა რ მ ი ს ც ე ჩ ა გ ი თ რ ი ო ნ! სჯობს დაიტანჯო დაურწმუნებლობით, ვიდრე დათანხმდე პასიურ მორალურ კეთილდღეობას, თეორეტიკოსები რომ სთავაზობენ ყოველ „მონაწილეს"! მარტოკამ აფათურო ხელი სიბნელეში, ვერაფერი სასიამოვნოა; მაგრამ ეს ნაკლები ბოროტებაა. უარესი ისაა, მორჩილებით მიჰყვე მცდარ მოსაზრებას, შენი მეზობლები რომ ისვრიან გამალებით. ფრთხილად! მამაშენის ხსოვნა უნდა გამოგადგეს ამის ნიმუშად! დაე, მისი მ ა რ ტ ო ს უ ლ ი ცხოვრება, მისი მოუსვენარი, მუდამ დაუდგრომელი ფიქრი— საკუთარი თავის წინაშე პატიოსნების, ნამუსიანობის, შინაგანი ძ ა ლ ი ს ა და ღირსების მაგალითი იყოს შენთვის.

ციხკარი. უძილობა, უძილობა...

(როგორც კი ჟან-პოლს მივმართავ; „მქადაგებლის" ტონს ვიღებ რატომღაც. აღარ ვიხმაროთ: „ფრთხილად!" და მისთანანი). გახდე „ღირსეული ადამიანი"!.. ერთი რამ დამავიწყდა: ამის რეცეპტი უნდა მიმეცა.

რეცეპტი? ექიმებს გარდა ღირსეულ ადამიანებს სხვაგან არ შევხვედრივარ. თუმცა მინდა ვიფიქრო, ღირსეული ადამიანის საქციელი, როცა იგი სხვადასხვა ვითარების, სინამდვილის ან სოციალური ცხოვრების მოულოდნელობის პირისპირ აღმოჩნდება, არ უნდა განსხვავდებოდეს ავადმყოფის საწოლთან მდგომი ექიმის საქციელისაგან. მთავარია: მსჯელობის ერთგვარი სიცხადე. განათლება, წიგნიდან შეძენილი ცოდნა იშვიათად თუ გამოდგება მედიცინაში. იმ ახალი პრობლემის გადასაწყვეტად, ცალკეული შემთხვევა რომ დასვამს. ყოველი ავადმყოფობა, — და ამდენად, ყოველი სოციალური კრიზისი, — პირველ, უპრეცენდენტო შემთხვევად წარმოგვიდგება მუდამ; ა რ ა ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ შემთხვევად, რისთვისაც რაღაც ახალი მეთოდები უნდა გამოიგონო. ღირსეული ადამიანი რომ გახდე, მდიდარი წარმოსახვითი უნარია საჭირო.

დილით, გამოღვიძებისთანავე ათიოდე სანტიმეტრის ლორწოს ლეკერტი ამოვახველე. ანალიზისთვის გავუგზავნე ბარდოს.

წუხანდელი ჩანაწერი გადავიკითხე. უცნაურია, დროდადრო კვლავაც შემიძლია თურმე ინტერესი გამოვიჩინო მომავლისადმი, ადამიანებისადმი, ჩემს შემდეგ რომ იარსებებენ. ნუთუ ეს მხოლოდ ჟან-პოლის გულისთვისაა?

როცა დავფიქრდი, მივხვდი, ეს ინტერესი სტიქიური და უფრო მტკიცეა, ვიდრე მეგონა. პირიქით, ჩემი გაოცება გამოწვეულია გონების მუშაობით, საკუთარ თავზე დაკვირვებით. სინამდვილეში, მომავალზე ფიქრი ისევე მუდმივი სულიერი ოპერაციაა ჩემთვის, როგორც წინათ იყო, და სავსებით ბუნებრივიც... საოცარია!

საუზმის წინ.

მომაგონდა პრესის ერთი გამოხმაურება, ფილიპი რომ გააკვირვა (ერთ-ერთი ჩვენი პირველი პროფესიული საუბარი. მე ის-ის იყო მასთან დავიწყე მუშაობა). საკითხი ეხებოდა სიკვდილმისჯილს: გილიოტინასთან რომ მიუყვანიათ, მცველებს ხელიდან დაუსხლტა თურმე და პროკურორისთვის დაუძახნია: „ჩემი წერილი არ დაგავიწყდეთ!“ (ციხეში გაუგია, საყვარელი ღალატობდა თურმე და დასჯის წინ წერილი მიუწერია მოსამართლეებისათვის, სადაც აღიარებდა, კიდევ ერთი დანაშაული მიმიძღვის, რომელიც აქამდე გაუხსნელია და იმ ქალმაც მიიღო აქტიური მონაწილეობაო).

მაშინ ვერაფრით ვერ ავხსენი მისი საქციელი: უკანასკნელ წუთებში ასე ძალიან რაღაზე აინტერესებდა ამქვეყნიური საქმეები?! ფილიპის აზრით, ეს იმის დამამტკიცებელი საბუთი იყო, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის თითქმის შეუძლებელია რეალურად „წარმოიდგინოს“ არარაობა.

ახლა ასე ძალიან აღარ მიკვირს ეს ამბავი

9 სექტემბერი.

პირში საშინელი გემო მაქვს; ეს ზედმეტი ტანჯვა რაღა იყო? კრეოზოტის * იმედი არასოდეს მქონია, იგი კბილის ექიმს მაგონებს და ჭამის მადას მიკარგავს.

დღევანდელი თარიღი, 9 სექტემბერი რომ დავწერე ამ დილით, უცებ მომაგონდა, ორი წელი გავიდა რევილის ამბებიდან.

საღამო.

მთელი დღე რევილზე ვფიქრობდი.

შებინდებისას ჩვენი ჩასვლა. სანიტარული პუნქტის მოწყობა სამრეკლოში. დანგრეული სოფელი. წინადღით ორასი ყუმბარა ჩამოეგდოთ გერმანელებს. კუნაპეტი ღამე და დროდადრო ცაში ატყორცნილი რაკეტები. ბრიგადის გენერლის მოვალეობის შემსრულებელმა პოლკოვნიკმა საკომანდო პუნქტი მოაწყო სახლში, სადაც სამი ჩამონგრეული კედელიღა შერჩენილიყო. ტყეში დადგმული 15 მილიმეტრიანთა გრუხუნი. სახურავის ნანგრევები გუბესთან. წითელი, გაფატრული ბუმბულის საბანი, მეორე დილით მის ახლოს დამჭრეს სწორედ. ნამსხვრევები და გამხმარი ტალახი, აღალების ბორბლებით დაღარული მიწა. ბორცვი სოფლის უკან, ბორცვი, სამრეკლოს ჩამტვრეული ფანჯრებიდან რომ მოჩანდა, ბორცვი, საიდანაც დაჭრილები ჯგუფ-ჯგუფად ჩამოდიოდნენ და ჩვენთან მოდიოდნენ მტვრისგან გადათეთრებული სახეებით, კოჭლობით, მორჩილი, უაზრო გამოხედვით. ახლაც თვალწინ მიდგას ხანძრით გარუჯულ ცაზე გამოკვეთილი ეს ბორცვი, საჩხვლეტი ხიმინჯებით დაფარული, ციკლონი რომ ერთი მიმართულებით მიერეკებოდა თითქოს ქვევით. მარცხნივ, ძველი წისქვილი, ჩამომტვრეული ფრთებით, გატეხილ სათამაშოსავით რომ ეგდო (უცნაურ კმაყოფილებას იწვევს ამის აღწერა. რა საჭიროა? დავიწყებას რომ გადაურჩეს? ვის სჭირდება? დაე, ჟან-პოლმაც იცოდეს, რომ ერთ დილით ძია ანტუანი რევილში...?). სამრეკლოში უამრავი ხალხი შეგროვდა ღამით. კვნესა. ოხვრა. მომაკვდავთა ევაკუირებას ვერ ახერხებდნენ და მკვდრებთან ერთად აწვენდნენ ჩალაზე. საკურთხეველზე ფარანი იდო. ბოთლებში — სანთლები ჩაერჭოთ. თაღის კედლებზე ლანდების ფანტასტიკური ფერხული. თვალწინ მიდგას ორ კასრზე გადებული ფიცრები, სახელდახელოდ მაგიდად რომ ექციათ, ზედ გადაფარებული ზეწრები. მიკვირს, სად მქონდა იმის

დრო ყველაფერს ამას კარგად დავკვირვებოდი და დამემახსოვრებია? რა ენერგიულად ვმუშაობდი! გაბრუებული, ჩემი ხელობით კმაყოფილი, რა გატაცებით ვსაქმიანობდი! სწრაფად უნდა მემოქმედა, თანაც, თავშეკავებით. ყოველი ნერვი გასაოცრად ფხიზლობდა, მთელ სხეულში ნებისყოფის უკიდურეს დაძაბულობას ვგრძნობდი. ამასთანავე ნაღველიც მაწვა გულზე; და თან ავტომატური უგრძნობელობაც მიპყრობდა. მიზანი მაინც მამხნევებდა, საქმე გასაკეთებელი იყო. სჯობდა არაფერი გამეგონა, არაფერი დამენახა, მთელი ყურადღება ჩემს საქმეზე გადამეტანა. და თანაც მემუშავა ზუსტად, მკვირცხლად, აუჩქარებლად. არ უნდა დამეკარგა არც ერთი წუთი, არ უნდა მქონოდა არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, რათა აი, ეს ჭრილობა ასეპტიკური ყოფილიყო, ეს არტერია დროზე გადამეჭირა, ეს გადატეხილობა დროზე გადამეხვია. შემდეგი!

უფრო ბუნდოვნად მახსოვს პატარა ქუჩის მეორე მხარეს მოწყობილი ფარდულები, ჩარდახები, სადაც დაჭრილებს პირდაპირ მიწაზე სდებდნენ საკაცეებით. სამაგიეროდ, ეს ჩიხი კარგად მახსოვს, რადგან მის კედლებს უნდა ავკროდით, ტყვია რომ არ მოგვხვედროდა. ახლაც ყურში მაქვს ტყვიების სუსტი ზუზუნი და ალიზის კედლებზე ასხლეტილი ტყვიების მშრალი ტკაცუნი! ტანდაბალი, წვერგაუპარსავი მაიორის გიჟური გამოხედვა; ცალი ხელი სახვევზე ჰქონდა ჩამოკიდებული, ჯანსაღი ხელი კი წამდაუწუმ მიჰქონდა საფეთქელთან, თითქოს მწერების გუნდს იშორებსო: „აქ იმდენი ბუზია! უამრავი ბუზია!“ (ერთბაშად მომაგონდა ბებერი, წვერაბურძგნული, ჭაღარა მოხალისე, ჩვენს ლაზარეთში რომ მუშაობდა ლონპრე-ლე-კორსენტში, მომაგონდა მისი პირქუში სახე, პარიზის გარეუბნელის აქცენტით რომ ელაპარაკებოდა დაჭრილს საკაციდან გადმოყვანისას: „ჩამობრძანდით, გეთაყვა!“) .

მთელი ღამე ისე ვმუშაობდით, მტრის შემოვლითი შეტევა არც გაგვხსენებია. გარიჟრაჟზე მეკავშირე მოვიდა; მტერს ფლანგიდან დაუკავებია სოფელი, საევაკუაციო სანგრების გავლა სახიფათო იყო, ასევე საშიში იყო მოედნის გადაჭრაც საკომუნიკაციო ეზომდე მისაღწევად, ტყვიების წვიმა დაგაცხრებოდა; წუთითაც არ მიფიქრია საფრთხეში ვიგდებ-მეთქი თავს. მერე დავეცი, წითელი ბუმბულის საბანი... ეს კია, მაშინვე გავიფიქრე: „ფილტვის პერფორაცია... გულში არ მომხვედრია... გ ა დ ა ვ რ ჩ ე ბ ი!“

(აი, რაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედი... იმ დილით ფეხში

ან მკლავში რომ დავჭრილიყავი, დღეს ამ მდგომარეობაში არ ვიქ-ნებოდი: იპრიტის ის წვეთი, რამდენიმე ხნის შემდეგ რომ მოხვდა ჩემს ორგანიზმში, ასეთ რღვევას არ გამოიწვევდა ორივე ფილტვი საღი რომ მქონოდა).

10 სექტემბერი.

ომის გახსენება, მოგონებები ორი დღეა თავიდან არ მშორდება. მინდა ჟან-პოლისთვის ჩავწერო ტიფით დაავადებულთა ამბავი. მე ხომ სწორედ ამიტომ დავრჩი ფრონტზე გაცილებით მეტხანს, ვიდრე ჩემი კოლეგები. 1915 წლის ზამთარში მე ისევ კომპიენის პოლკში ვიყავი, იმ ხანებში ჩრდილოეთის მოწინავე ხაზზე რომ იდგა. მაგრამ ჩვენ, ბატალიონის ექიმებმა, მორიგეობა დავაწესეთ და ორ კვირაში ერთხელ თითოეული ჩვენგანი ზურგში მიდიოდა, ექვსი კილომეტრის დაშორებით, სადაც ოცადგილიანი ლაზარეთი იყო მოწყობილი პატარა ფარდულში. ერთ საღამოს მეც იქ ჩავედი. თვრამეტი ავადმყოფი თაღიან ნახევრად სარდაფში. ყველას მაღა-ლი სიცხე ჰქონდა; უმრავლესობას 40°l.. ლამპის მკრთალ შუქზე გავ-სინჯე. ეჭვი არც მეპარებოდა: თვრამეტივეს ტიფი სჭირდა. ტიფით დაავადებულთა ფრონტზე გაჩერება აკრძალული იყო. ფაქტიურად კი, ბრძანება გვქონდა ტიფის დიაგნოზი არ დაგვესვა. იმავე საღა-მოს უფროსს დავურეკე. განვუცხადე, თვრამეტივე „ყმაწვილს," ჩემი აზრით, კუჭ-ნაწლავის მძიმე დაავადება აქვთ და პარატიფს წააგავს (სიფრთხილე გამოვიჩინე და სიტყვა „ტიფი" არ ვახსენე) და იძულებული ვარ ლაზარეთის ხელმძღვანელობაზე უარი ვთქვა, რადგან ეს უბედურები ხელში ჩამაკვდებიან ამ სარდაფში, თუ ახლავე აქედან არ გავაგზავნით-მეთქი. მეორე დღეს, გათენებისას მანქანა მოვიდა ჩემს წასაყვანად. დივიზიაში მიბარებდნენ. მეთა-ურთა შეტევას მტკიცედ გავუძელი. მეტიც: იმდენი ვქენი, ავადმყო-ფების დაუყოვნებელი ევაკუაციის ნებართვა მივიღე. მაგრამ იმ დღიდან ჩემი ნამსახურობის წიგნაკში ერთგვარი „შენიშვნა" გაჩნდა, რისი წყალობითაც — ისე დავიჭერი, სამსახურეობრივ წარ-მატებაზე ფიქრი ზედმეტი იყო.

აქაურებთან ჩემს ურთიერთობაზე ვფიქრობ. აქაც ისეთივე მჯიდრო სიახლოვე უნდა იყოს ერთმანეთთან, როგორც ფრონტზე. არა. მსგავსი არაფერი ხდება. აქ მხოლოდ ამხანაგური დამოკიდებულებაა და მეტი არაფერი. ფრონტზე კი უბრალო მზარეულიც ძმაა შენი.

იქ გაცნობილი ხალხი მაგონდება. გული მეკუმშება, როცა მათი სახეები მახსენდება: ყველა სამსახურისთვის უვარგისი, ხეიბარი, უგზოუკვლოდ დაკარგულია... სად არიან კარლიე, ბრო, ლამბერი, ყოჩაღი დალენი, იუარი, ლენე, მილატონი? სონე? პატარა ნოპმი? და კიდევ რამდენი? რომელი მათგანი გადაურჩება ამ ომს?

დღეს სულ სხვაგვარად მესახება ომი, ვიდრე ჩვეულებრივად ვფიქრობდი. ამას წინათ დანიელი მეუბნებოდა მეზონში: „ომი უჩვეულო მეგობრობის დამყარების შესაძლებლობაა ადამიანთა შორის...“ (სასტიკი შესაძლებლობა და წამიერი მეგობრობა!). მიუხედავად ამისა, მართალს ამბობდა: ერთგვარი სიბრალული და დიდსულოვნება, ურთიერთსიყვარული არსებობს. საერთო უბედურების დატყდომისას, ყველას უბრალო რეაქცია უჩნდება და თანაც ერთნაირი. სულერთია რა ჩინისა ხართ, ერთნაირი მონები ხართ, ერთნაირად იტანჯებით, ერთნაირი ნაღველით, შიშით, იმედით ცოცხლობთ, ერთნაირ ტალახში ხართ ამოგანგლული, ხშირად ერთნაირი საკვები, ერთნაირი გაზეთი გაქვთ. ტყუილი, სისაძაგლეები, სიბოროტეც უფრო ნაკლებადაა, ვიდრე სხვა დროს. ისე სჭირდებით ერთმანეთს! გიყვართ და ეხმარებით ერთმანეთს! პირადული ანტიპათიებიც ნაკლებადაა, შურს ადგილი არა აქვს (ფრონტზე). ასევე სიძულვილს („ბოშის“ მიმართაც კი არ გრძნობ სიძულვილს, იცი—ისიც იმავე უაზრობის მსხვერპლია).

და ერთი რამაა კიდევ: ომი დაფიქრების ჟამია. როგორც გაუნათლებლებისათვის, ისე განათლებულთათვის. უბრალო, ღრმა დაფიქრება. ზოგი გამონაკლისის გარდა, ყველასათვის ერთნაირი. სიკვდილთან ყოველდღიური პირისპირ შეხვედრა ხომ არ აიძულებს თვით განჭვრეტის უნარმოკლებულსაც კი, ჩაუფიქრდეს თავის მდგომარეობას? (მაგალითი — ჩემი დღიური...) ბატალიონის ყველა ამხანაგს, განურჩევლად ყველას, წავასწარი დაფიქრების წუთებში. დაფიქრება მარტოდმარტო, თავისთავში ჩაკეტი-

ლი, მოთხოვნილებად რომ გექცევა და მალავ. ერთადერთი კუნჭულ, საკუთარ თავს რომ უტოვებ. ამ იძულებით გაუპიროვნებლობაში, პიროვნების ერთადერთი თავშესაფარი — დაფიქრებაა.

რა ნაყოფს მიიღებს ამ დაფიქრებიდან ის, ვინც სიკვდილს გადაურჩება? ალბათ, დიდს არაფერს. ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების გაშმაგებულ სურვილს; ამაო მსხვერპლისადმი, მაღალფარდოვანი სიტყვებისადმი, გმირობისადმი სიძულვილს? თუ, პირიქით, ნოსტალგიას ფრონტის „ღირსებებზე"?

11.

იმდილანდელ ნახველში დაშლილი ქსოვილის არსებობა ჰისტოლოგიურად იქნა დადგენილი. არავითარი დიფტერიის აფსკი: ლორწოვანი გარსის ნაფლეთები.

ცალამო.

მართალი თუ გინდათ, ისევე ხშირად ვფიქრობ ჩემს ცხოვრებაზე, როგორც ჩემს სიკვდილზე. წამდაუწუმ ვუბრუნდები წარსულს. ისევე ვიქექები ჩემს წარსულ ცხოვრებაში, როგორც მეძონძე — ნაგვის ყუთში: რომელიმე ნამსხვრევს წამოვდებ ხოლმე კავს, ვათვალიერებ, ვაკვირდები, შემიძლია შეუსვენებლად ვიფიქრო მასზე.

ცხოვრება ისეთი მცირე რამაა... (არ იფიქროთ, ასე იმიტომ ვაქბობ, რომ ცხოვრება ასე შემიმოკლდა. არა. ეს აზრი მართალია მთელი ცხოვრების მიმართ!) ზებანალური: ხანმოკლე გაელვება დაუსრულებელ ღამეში და სხვ. რა ცოტა რამ იცის მან, ვინც ამ ზოგად სიტყვებს იმეორებს! რა ცოტა რამეს გრძნობს მისი პათოსიდან!

შეუძლებელია საბოლოოდ დააღწიო თავი ამ ფუჭ შეკითხვას: „რა შეიძლება იყოს ცხოვრების მიზანი?" პირადად მე, როცა თვალს გადავავლებ ჩემს წარსულს, ხშირად ვეკითხები თავს: „რა აზრი აქვს ამას?"

არავითარი. აბსოლუტურად არავითარი. ამის აღიარებისას კი,

ერთგვარ უხერხულობას გრძნობ, რადგან ძვალ-რბილში გამჯდარი გაქვს ცხრამეტი საუკუნის ქრისტიანიზმი. რაც უფრო მეტს ფიქრობ, რაც უფრო მეტს იყურები შენს ირგვლივ, საკუთარ თავში, მით უფრო მეტად იმსჭვალები ამ უდაო ჭეშმარიტებით: „ამას არავითარი აზრი არ აქვს!“ მილიონობით ადამიანები ჩნდებიან დედამიწის ზურგზე, რამდენიმე წამს ფუსფუსებენ, შემდეგ იშლებიან და ქრებიან, ახალ მილიონებს უთმობენ ადგილს, ხვალ რომ ასევე მტვრად იქცევიან. ცხოვრებას აზრი არა აქვს. სხვას არაფერს არ აქვს მნიშვნელობა, გარდა ერთი რამისა: ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლებად გავუბედურდეთ ამ წამიერი ცხოვრების მანძილზე...

ეს დასკვნა არც ისე უიმედო, არც ისე გულისმომკვლელია, როგორც პირველი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ. თავი იგრძნო განწმენდილად, სავსებით გათავისუფლებულად ყოველგვარი ილუზიებისაგან, რითაც ადამიანი თავს ინუგეშებს ხოლმე, როცა ცხოვრებაში აუცილებლად სურს რაღაც აზრი დაინახოს, ეს იმას ნიშნავს — სიმშვიდის, სიძლიერის, თავისუფლების ამ შესანიშნავ გრძნობას დაეუფლო. ეს აზრი ერთგვარი ტონუსის მიმცემიც უნდა იყოს, თუკი მის გამოყენებას შესძლებ...

ერთბაშად მომაგონდა კორპუსი „ბ“, ქვედა სართულის დასასვენებელი ოთახი, ყოველ დილით რომ უნდა გამევლო საავადმყოფოდან გამოსვლისას. ოთახი სავსე იყო ბავშვებით, იატაკზე ჩაცუცქულნი კუბურებით თამაშობდნენ. აქ იყვნენ ქრონიკულად დაავადებულნი, ხეიბრები, სნეულები, გამოჯანმრთელებულნი. აქვე იყვნენ გონებაჩლუნგი ბავშვები, დებილები და ძალიან ჭკვიანებიც. ერთი სიტყვით, მთელი მიკროკოსმოსი... ბინოკლის მსხვილი ბოლოთი დანახული კაცობრიობა... ბევრი მათგანი იმით კმაყოფილდებოდა, რომ მის წინ დაყრილ კუბურებს ალალბედზე ურევდა, ხან გადააადგილებდა, სხვადასხვა მხრიდან ატრიალებდა, ზოგი — უფრო გაბედული, პატარა, მოყანყალებული შენობის აგებით ირთობდა თავს. სხვები, უფრო დაკვირვებულნი, ფერების მიხედვით ალაგებდნენ, ამწკრივებდნენ კუბურებს, გეომეტრიულ ფიგურებს ადგენდნენ. ზოგჯერ რომელიმე ნიჭიერი, ჯიუტი, გამოგონების უნარიანი, პატივმოყვარე ბალღი მძიმე ამოცანას კისრულობდა, ათჯერ მაინც ცდილობდა ამაოდ, მაგრამ აგებდა ხიდს, ობელისკს, მაღალ პირამიდას... დასვენება რომ მთავრდებოდა, ყველაფერი ინგრეოდა.

ლინოლიუმზე კუბურების არეულ-დარეული გროვა რჩებოდა მეორე დღის შესვენების მოლოდინში.

საბოლოო ჯამში, ეს ხომ ცხოვრების საკმაოდ მსგავსი სურათია: ყოველი ჩვენგანი მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ თ ა მ ა შ ი ს მ ი ზ ნ ი თ (როგორი საბაბიც არ უნდა მოიგონოს) თავისი კაპრიზისა და უნარის მიხედვით აკოწიწებს ცხოვრების მიერ მოწოდებულ ელემენტებს, სხვადასხვა ფერის კუბურებს, დაბადებისთანავე რომ მოხვდება ხელში. ყველაზე ნიჭიერნი ცდილობენ თავიანთი ცხოვრებისაგან რთული კონსტრუქცია, ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუში შექმნან. საჭიროა ვეცადოთ და მათ შორის მოვხვდეთ, მათ მივბაძოთ, რათა შესვენება რაც შეიძლება თავშესაქცევი გამოგვიდეს...

თითოეულმა თავისი უნარის მიხედვით. თითოეულმა იმ ელემენტით, შემთხვევა რომ ხელში მისცემს. და განა მნიშვნელობა აქვს, ობელისკი ან პირამიდა უკეთესი გამოვა თუ უარესი:

იმავე ღამეს.

ჩემო პატარავ, ვნანობ, რაც წუხელ დავწერე. ამ გვერდებს თუ წაიკითხავ, ალბათ, აღშფოთდები. „მოხუცი კაცის ფიქრებია“, — იტყვი შენ, — „ან მომაკვდავის ფიქრებია...“ უეჭველად ასეა, მართალი ხარ. მეც აღარ ვიცი, რა არის მართალი. იმ შეკითხვაზე, რასაც შენ თავს აუცილებლად დაუსვამ: „რისთვის უნდა იცოცხლო, იმუშაო, გააკეთო ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია?“ — არსებობს მეორე პასუხიც, ნაკლებ ნეგატიურიც.

რისთვის? წარსულისა და მომავლისათვის. მამაშენისა და შენი შვილებისათვის, იმ ჯაჭვისათვის, რომლის რგოლიც შენა ხარ... განვითარება უზრუნველყოფილი უნდა იყოს... სხვას უნდა გადასცე ის, რაც მიიღე, — ოღონდ უნდა გადასცე გაუმჯობესებული, გამდიდრებული.

იქნებ ამაშია ჩვენი არსებობის მიზანი?

მე მხოლოდ საშუალო ადამიანი გახლდით. საშუალო უნარი, ჰარმონიულად შეგუებული იმასთან, რასაც ცხოვრება მოითხოვდა ჩემგან. საშუალო გონება, მეხსიერება, ასიმილაციის უნარი. საშუალო ხასიათი. სხვა დანარჩენი ნიღაბი იყო.

ნაშუადღევს.

ჯანმრთელობა, ბედნიერება: თვალსაფარი. მხოლოდ ავადმყოფობა დაგანახებს ცხადად ყველაფერს (იმისათვის, რომ უკეთ გაუგო შენს თავსა და ხალხს, საუკეთესო პირობები იქნებოდა გ ე ა ვ ა დ მ ყ ო ფ ა და შემდეგ გამოჯანსაღებულიყავი). დიდი სურვილი მაქვს დავწერო: „მუდამ ჯანმრთელი ადამიანი აუცილებლად ბრიყვია“.

მხოლოდ საშუალო ადამიანი ვიყავი. ჭეშმარიტი კულტურის გარეშე. ჩემი კულტურა პროფესიული იყო, ხელობით შემოფარგლული. დიდი ადამიანები, ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ დ ი დ ი ადამიანები, თავიანთი სპეციალობით არ იფარგლებიან. დიდი ექიმები, დიდი ფილოსოფოსები, დიდი მათემატიკოსები, დიდი პოლიტიკოსები მხოლოდ ექიმები, ფილოსოფოსები და სხვ. არ არიან. მათი გონება თავისუფლად ერკვევა სხვა სფეროებშიც, კერძო ცოდნის ფარგლებს სცილდება.

საღამოს.

საკუთარი თავის შესახებ:

მე მხოლოდ იღბლიანი ტიპი ვიყავი. კარიერაც ისეთი შევირჩიე, ადვილად რომ მიმეღწია წარმატებისათვის (რაც თავისთავად პრაქტიკული ჭკუის მანიშნებელია...). მაგრამ ს ა შ უ ა ლ ო ჭკუა, საკმაოდ ფხიზელი, ხელსაყრელი შემთხვევით რომ მესარგებლა.

პატივმოყვარეობით დაბრმავებულმა ვიცხოვრე.

ასე მეგონა, ყველაფერს საკუთარ ჭკუასა და ენერგიას უნდა ვუმადლოდე-მეთქი. ასე მეგონა, ჩემი ბედი თვითონვე გამოვჭედე და ღირსიც ვიყავი წარმატება მქონოდა. წარმომედგინა, რომ არა-

ჩვეულებრივი ტიპი ვიყავი, რაკი ამაში ჩემზე ნაკლებ ნიჭიერი ხალხი დავარწმუნე. შენიღბვა. თვით ფილიპიც კი შევიყვანე შეცდომაში.

მოჩვენება, ილუზია დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. უეჭველია, ცხოვრება უხეშ უიმედობას მიმზადებდა.

მე, ალბათ, მხოლოდ კარგი ექიმი ვიყავი, — ისეთივე, როგორც ათასი სხვა.

13 სექტემბერი.

ამ დილით მოვარდისფერო ნახველი. 11 საათია. ჟოზეფის მოლოდინში ვწევარ, კოტოშები უნდა დამაყაროს.

ჩემი პალატა. საძაგელი, პატარა სამყარო, სადაც ყოველი წვრილმანი იმდენად ნაცნობია, გული მერევა. ამ ვარდისფერ კედელზე არ არსებობს არც ერთი ლურსმანი, ნალურსმნევი ადგილი, ათასჯერ მაინც არ შემეჩერებინოს მზერა! ეს „გერლს“ კვლავ აქ არიან, სარკის თავზე! (ჩემთვის რომ დაეჯერებიათ და აქედან მოეშორებიათ, ალბათ, თვალში დამაკლდებოდა!).

მე კი, ასეთი ენერგიული, დღედაღამ საათობით ვწევარ ამ ლოგინში!

ენერგია. მარტო ენერგიული როდი ვიყავი. ენერგიულობისადმი ფანატიკური, გულუბრყვილო კულტი მქონდა.

(მეტისმეტ უსამართლობას ნუ გამოვიჩენთ ადრინდელი ენერგიულობისადმი. თუკი რამ ვიცი, სწორედ მოქმედების სურვილს უნდა ვუმადლოდე. სინამდვილესთან პირისპირ შეჯახება. მოქმედებამ გამომაწრთნო. თვით ეს ჯოჯოხეთური ომიც მხოლოდ იმიტომ გადავიტანე ასე მედგრად, რომ იგი გამუდმებით მაიძულებდა მემოქმედა).

ნაშუადღევს.

კაცმა რომ თქვას, ქირურგია უნდა ამერჩია. ჩემს ხელობაში დასტაქრის ტემპერამენტს ვაქსოვდი. თუ გინდა კარგი ექიმი გამოხვიდე, მოაზროვნეც უნდა იყო.

ხელახლა ვიხსენებ ჩემს ადრინდელ, დიდებულ ენერგიულობას. ოღონდ მკაცრად. მასში ახლა თვალთმაქცობის მცირე ნაწილს ვამჩნევ, რაღაც ნაწილს (საკუთარი თავისადმი უფრო მეტს, ყოველ შემთხვევაში, იმდენივეს, — ვიდრე სხვის მიმართ).

ჩემი სუსტი ადგილი: გამუდმებული მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა მ ო წ ო ნ ე ბ ი ს ა). (ჟან-პოლ, რომ იცოდე რად მიღირს ამის აღიარება!).

ათასჯერ დავრწმუნებულვარ, რომ მთელი ჩემი შესაძლებლობის გამოსამჟღავნებლად თითქმის აუცილებელი იყო მაყურებელი მყოლოდა. როცა ვგრძნობდი, მიყურებენ-მეთქი, ჩემზე მსჯელობდნენ, აღფრთოვანებული იყვნენ, ეს მუდამ სტიმულს აძლევდა მთელს ჩემს შესაძლებლობას, აღგზნებდა ჩემს გაბედულებას, გადაწყვეტილების მიღების უნარს, ყოვლისშემძლეობის გრძნობას, გადაულახავ აღმაფრენას მატებდა ჩემს ნებისყოფას. (მაგალითები: პერონის ბომბარდირება, — მონმირაის ლაზარეთი, — გაბედული დახმარება ბუა-ბრიულეში, და სხვა). მეორე მაგალითი, ომამდელი: დიაგნოზის დასმაში გაცილებით შორსმჭვრეტელი ვიყავი მუდამ, თერაპიაში — გაცილებით ფხიანი, თუკი ჩემი თანამშრომლების წინაშე ვმუშაობდი საავადმყოფოში, ვიდრე შინ, ჩემს კაბინეტში, პაციენტის პირისპირ).

ახლაღა მივხვდი, რომ ნამდვილი ენერგია ეს კი არაა; ნამდვილ ენერგიას მაყურებელი არ სჭირდება. ჩემსას კი მუდამ სჭირდებოდა ვიღაცის თანდასწრება, თავისი მაქსიმუმის გამოსამჟღავნებლად. რობინზონის კუნძულზე მარტო რომ აღვმოჩენილიყავი, ალბათ, თავს მოვიკლავდი. სამაგიეროდ, პარასკევას გამოჩენა საგმირო საქმეებს ჩამადენინებდა...

ნებისყოფა გამოიმუშავე, ჟან-პოლ! თუ შეგიძლია სურვილები გქონდეს, შეუძლებელი არაფერი იქნება შენთვის.

რეციდივი. რეტრო-სტერნალური ტკივილებიც დამემატა. და რაღაც გაურკვეველი სპაზმები. კუჭში აღარაფერი მიჩერდება. საწოლიდან ვეღარ წამოვდექი.

გუარანმა გაზეთები მომიტანა. შვეიცარიაში, ავსტრია-უნგრეთის(?) ზავის შეთავაზებაზე ლაპარაკობენ, და ასევე რევოლუციურ ყრუ მოძრაობებზე გერმანიაში(?)... ვილსონის მოწოდების წყალობით, დემოკრატიული იდეები ხომ არ შეჭრილა გერმანიაში?

ნაკლებ სარწმუნო ცნობა ამერიკელების წინსვლის შესახებ სენ-მიელის მიმართულებით. სენ-მიელი ხომ გზაა ბრიეს-კენ, მეცის-კენ! სამაგიეროდ, ჩვენ მივიწევთ წინ ჰინდერბურგის ხაზისაკენ*, რომელიც აუღებლად მიაჩნიათ.

10 სექტემბერი.

ოდნავ უკეთა ვარ. ღებინება შემიწყდა. ორი დღის დიეტამ ძალიან დამასუსტა.

კლემანსოს პასუხი ავსტრიის საზავო განზრახვაზე. მეტად არასასიამოვნო პასუხია. კავალერიის ოფიცრის სტილი. უარესიც: პანგერმანისტის სტილი. ამასწინდელი სამხედრო წარმატების შედეგები უკვე იგრძნობა: როგორც კი ერთ-ერთი მოწინააღმდეგე დარწმუნდება თავის უპირატესობაში, მაშინვე ამეღავნებს თავის საიიდუმლო აზრებს, მ უ დ ა მ რ ო მ ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ა. ვილსონს არაერთი შეტევის გაძლება მოუხდება ანტანტის სახელმწიფო მოღვაწეების მხრიდან, თუკი მოკავშირეთა გამარჯვება მხოლოდ ამერიკელთა წყალობით არ მოხდება. ანტანტას შემთხვევა ჰქონდა გულწრფელად გამოეთქვა თავისი სურვილი. მაგრამ ბლეფი არჩია, ისე უპირავს თავი, თითქოს მისი მოთხოვნები მაქსიმალურია, თანაც იმის შიშით, რომ ანგარიშსწორების დროს სხვაგვარად ვერ მოახერხებს დამარცხებულს გამოსწუროს ყველაფერი, რის გამოწურვაც კი შეიძლება. გუარანი ამბობს: „ანტანტას ოდნავი წარმატებაც კი ათრობს!“

17.

რაც უნდათ ის მითხრან, მაგრამ ბრონქოპნევმონიის კერების გავრცელებას მუდამ ფილტვების ინფექციის გართულებულ ფორმად თვლიდნენ.

18.

ბარდომ დაკვირვებით გამსინჯა, შემდეგ სეგრისთან ითათბირა. მარჯვენა გულის მკვეთრად გამოხატული გადახრა, ციანოზითა და ჰიპოტონიით.

რამდენიმე კვირაა უკვე, რაც ამ დიაგნოზს ველოდი. ძველი ანდაზაა: „დაავადებულია ფილტვები, უმკურნალე გულს!“

სანიტრის დამახასიათებელი თვისება: როცა სასწრაფოდ გჭირდება, არასოდეს იქვე ახლოს არაა, სამაგიეროდ, როცა მისი ყოფნა აუტანლად უადგილოა, მუდამ პალატაშია დარჩობილი.

ღამე 19—20.

სიცოცხლე, სიკვდილი, შეუწყვეტელი ჩასახვა და სხვ.

ნაშუადღევს, ვუაზნესთან ერთად შამპანის ფრონტის რუქას ვათვალიერებდი. ერთბაშად მოთეთრო დაბლობი გამახსენდა (თუ არ ვცდები, შალონის ჩრდილო-აღმოსავლეთით), სადაც სასაუზმოდ შევჩერდით; იმ ხანებში, 1917 წლის ივნისში, სხვა პოლკში ვიყავი გამწესებული. ომის დასაწყისიდანვე მიწა ისე ლრმად იყო გადათხრილი, ზედ არაფერი, პრასაც კი არ ამოდიოდა. მიუხედავად ამისა, გაზაფხულდა და აქ, ფრონტიდან შორს, მთელი ეს რაიონი ხელახლა დაეხნათ. იმ ადგილთან, ახლოს, სადაც ჩვენ შევისვენეთ, ჩამკვდარი ცარცის უდაბნოს შუაგულში, პატარა, ამწვანებული კუნძული მოჩანდა. მივუახლოვდი. გერმანელთა სასაფლაო იყო. მიწასთან გასწორებული საფლავები მაღალ ბალახს დაეფარა და ამ ახალ გვამებზე შვრია, მინდვრის ყვავილები უხვად ამოსულიყო; პეპლებიც კი დაფარფატებდნენ.

მეტად ბანალური ამბავია. მაგრამ დღეს ეს მოგონება სულ სხვა-

გვარად მაღელვებს, მთელი საღამო ბუნების ბრმა ძალაზე და მის-თანებზე ვფიქრობდი. ოღონდ ესაა, ჩემს ფიქრებს მაინც ვერავითარი ფორმა ვერ მივეცი.

20 სექტემბერი.

სენ-მიელის ფრონტზე წარმატებაა. წარმატებაა ჰინდენბურგის ხაზზეც. იტალიაშიც, მაკედონიაშიც, ყველგან.

მაგრამ...

მაგრამ რა დანაკარგებით?!

ჯერ სადაა! როგორ გინდა დაფარო შიში, თუკი აშკარად ხედავ მოკავშირეთა პრესის ტონის შეცვლას იმის შემდეგ, რაც ვიგრძენით, რომ მოწინააღმდეგეზე ძლიერი ვართ!? ბალფურმა *, კლემანსომ და ლანსინგმა * რა პრინციპიალობით უკუაგდეს ავსტრიის წინადადება!

გუარანი მოვიდა სანახავად. არა, ასე ადრე არა მგონია დამთავრდეს ომი. ჯერ კიდევ მრავალი თვე, შესაძლოა წლებიც დასჭირდეს გერმანიის რესპუბლიკის შექმნასა და რუსული თიხის გოლიათის მყარ ფეხზე წამოყენებას. რაც უფრო მეტ გამარჯვებას მივაღწევთ, მით უფრო ნაკლებად დავთანხმდებით ზავს, მის გარეშე კი ხანგრძლივი მშვიდობა შეუძლებელია!

გუარანთან ფუჭი და გამაღიზიანებელი კამათი პ რ ო გ რ ე ს ზ ე. მან თქვა: „მაშ, თქვენ პროგრესისა არ გჯერათ?“

როგორ არა, როგორ არა, მჯერა! მაგრამ მერე რა? ა თ ა ს ი წ ე ლ ი მაინც გაივლის, სანამ ადამიანი იმედს გაამართლებდეს.

21.

ქვევით ვისაუზმე.

ლიუბენი, ფაბელი, რეიმონი — როგორი განსხვავებული აზრებიც არ უნდა ჰქონდეთ, ყველანი ერთნაირი სექტანტები არიან (ვუაზნემ მაიორის შესახებ მითხრა: „ვერ დავიჯერებ, რომ მას ტვინის ნატამალი ჰქონდეს. არ გამიკვირდება თუ აღმოჩნდება, მხოლოდ ზურგის ტვინი ჰქონიაო“).

ჟ ა ნ-პ ო ლ ს:

არავითარი ჭეშმარიტება არ არსებობს, დროებითის გარდა.

(ჯერ კიდევ მახსოვს ის დრო, როცა ყველას სჯეროდა, ანტი-სეპტიკით წყდება ყველაფერიო. „მიკრობის მოკვლა". მერე მიხვდნენ, რომ მიკრობთან ერთად ცოცხალ უჯრედებსაც ჰკლავდნენ).

ფრთხილად უნდა იარო, ხელის ფათურით, ბარბაცით! გადამწყვეტი დასკვნა არაფერზე გამოიტანო, რა გზასაც არ უნდა დაადგე, მის ბოლოს, სულერთია, ჩიხი იქნება (ამის უამრავი მაგალითი უხვად მოიპოვება სამედიცინო მეცნიერებაში. რამდენი მინახავს, ერთნაირი ნიქის, ერთნაირად შორსმჭვრეტელი, ჭეშმარიტების ძიებით ერთნაირად გატაცებული ექიმები ერთი და იმავე მოვლენის შესწავლით, ერთნაირი კლინიკური დაკვირვებით, სრულიად განსხვავებულ, ზოგჯერ დიამეტრალურად საწინააღმდეგო დასკვნებამდე მისულან!).

ახალგაზრდობაშივე უნდა განიკურნო თავდაჯერებულობის სენისგან.

22.

ისეთი მწვავე ტკივილები მაქვს ფერდში, საკმარისია ერთ მხარეს ვიწვე, მერე უკვე ვეღარ ვბედავ განძრევას. ბარდო სასწაულებს ჰყვებოდა ეთილის პარა-ამინო-ბენზოლის მალამოზე. აბსოლუტურად არ მოქმედობს.

23 სექტემბერი.

აღარ იციან რა ადგილას გააკეთონ მოწვა. მთელი ტანი ქაფქირივით მაქვს დაცხრილული.

25.

გუშინ ხელახლა დამეწყო ტემპერატურის მერყეობა.

მაინც ვეცადე ქვევით ჩავსულიყავი. მაგრამ კიბეზე ისე დამეხვა თავბრუ, იძულებული გავხდი დავბრუნებულიყავი და დავწექი.

ეს ოთახი, ეს მოვარდისფერო კედლები... თვალებს ვხუჭავ, რომ აღარაფერი დავინახო.

ომამდელ დროზე ვფიქრობ, მაშინდელ ჩემს ცხოვრებაზე, ჩემს ახალგაზრდობაზე. ჩემი ძალის ჭეშმარიტი წყარო, იდუმალი, დაუმაყოფილებელი ნდობა იყო მომავლისადმი. ნდობაზე მეტი: რწმენა. ახლა კი, წყვდიადია იქ, სადაც ჩემი შუქი იდგა. ეს წამებაა, ყოველწუთს რომ იგრძნობა.

გულისრევა. ბარდო ქვევით შეუჩერებიათ, ავადმყოფების სამი ჯგუფი მოუყვანიათ. ამიტომ ნასადილევს მაზე შემოვიდა ჩემთან ორჯერ. ვერ ვიტან მის პირქუშ იერს, ძველი კოლონიალური მეომრის სიფათს. მთელი პალატა, როგორც ყოველთვის, ოფლის სუნით გაიჟღინთა. კინაღამ წამაღებინა.

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი.

ცუდი ღამე მქონდა. გასინჯვისას სუბკრეპიტალური ხრიალის ახალი კერები აღმოაჩინეს.

საღამოს.

ნემსის გაკეთების შემდეგ შვება ვიგრძენი. რამდენი ხნით?

გუარანი შემოვიდა ცოტა ხნით, დამღალა. საფრანგეთ-ამერიკის შეტევა. ინგლის-ბელგიის შეტევა. გერმანელები უკან იხევენ ყველგან. მოკავშირეთა წარმატება ბალკანეთის ფრონტზეც. ბულგარეთი ზავს ითხოვს. გუარანი ამბობს: „ბულგარეთთან ზავი დასასრულის დასაწყისია: ფეხმძიმე ქალი მშობიაობის წინ წყალსა ღვრის...“

გერმანიაში განხეთქილება იგრძნობა. სოციალისტებმა მრავალი კონკრეტული პირობა წამოაყენეს მთავრობაში შესვლის წინ. კანცლერმა თავის სიტყვაში ნართაულად აღიარა ქვეყნის საყოველთაო უკმაყოფილება.

მეტისმეტად კარგი ამბებია. ისე სწრაფად ვითარდება საქმე, შიში მიპყრობს. თურქეთი განადგურებულია. ბულგარეთი და ავსტრია მზად არიან კაპიტულაციისათვის. ყველგან გამარჯვებაა. ზავს

უფსკრულივით დაუღია ხახა. თავბრუდახვევა. მომწიფებულია კი ევროპა ნ ა მ დ ვ ი ლ ი მშვიდობისათვის?

გრასის გრანდ-ოტელში ერთ ამერიკელს ათასი დოლარი დაუდვია ნაძლევად — ერთი ლუიდორის საწინააღმდეგოდ, რომ ომი ქრისთმას * უკვე დამთავრებული იქნებაო.

ბედნიერია, ვისაც შობა გაუთენდება!

27.

სისუსტე მომეძალა. სულის ხუთვა. ორშაბათიდან სრული აფონია. ბარდომ სეგრი მოიყვანა. მთელი საათი მსინჯავდნენ. სეგრი ჩვეულებრივზე უფრო თავაზიანია. შეშფოთდა?

საღამოს.

ნახველის ანალიზი: პნევმოკოკები, მაგრამ უმეტესად სტრეპტოკოკები, უფრო და უფრო უხვად, მიუხედავად სპეციფიკური შრატისა. დამახასიათებული ტოქსიკოინფექცია.

ხვალ — რენტგენი.

28.

საერთო მოწამვლის აშკარა სიმპტომები. ბარდო და მაზე დღეში რამდენჯერმე შემოდიან. ბარდოს გადაუწყვეტია, რენტგენის შემდეგ პუნქცია გამიკეთოს.

რისი შიში აქვს? ჩირქგროვა ხომ არაა პარენქიმაში?

ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი

6 ოქტომბერი.

ერთი კვირა.

ჯერ კიდევ ისე სუსტად ვარ, წერა არ შემიძლია. ძილ-ღვიძილში ვარ. ამ დღიურის დანახვამ მცირეოდენი სიხარული მაინც მომგვარა.

წარმოიდგინეთ, ჩემმა პალატამაც. ჩემმა „გერლს“-მაც.
მაშ, ამჯერადაც დავუძვერით ხელიდან?

7 ოქტომბერი.

ამ ეოთი კვირის მანძილზე დღიურს არ გავკარებივარ. ნელ-ნელა მიბრუნდება ძალ-ღონე. ტემპერატურაც დაეცა, დილით— ნორმალურია, საღამოს 37, 9—38.

ეგონათ, მორჩა ჩემი საქმე! თურმე არა!

ორშაბათს, 30-ში, გრასის კლინიკაში გადამიყვანეს. ნაშუადღევს ოპერაცია გამიკეთა მიკალმა. სეგრი და ბარდო ეხმარებოდნენ. მარჯვენა ფილტვში დიდი ჩირქგროვა. კიდევ კარგი, თავმოყრილი. მეხუთე დღეს მუსკიეში დამაბრუნეს.

29-ში, პუნქციის შემდეგ, რატომ არ მოვიკალი თავი? ვ ე რ მ ო ვ ი ფ ი ქ რ ე. (ნამდვილად ასეა!).

სამშაბათი, 8 ოქტომბერი.

ისე ძალიან აღარა ვგრძნობ სისუსტეს. საოცარია, სულ არ ვნანობ, რომ გადამარჩინეს, ეს ხანმოკლე შესვენება კიდეც მიხარია... ლაჩარივით...

რამდენიმე დღეა გაზეთები არ წამიკითხავს და ამიტომაც ვერ გავრკვეულვარ საქმის ვითარებაში. გერმანული კაბინეტის გადადგომის შესახებ არაფერი ვიცოდი. ეტყობა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ვითარება შეიქმნა იქ. შვეიცარული პრესა ირწმუნება, პრინცი მაქს ბადელის * კანცლერად დანიშვნა ზავზე მოლაპარაკების სურვილით აიხსნებაო.

9 ოქტომბერი.

ვერაფრით დავიკვეხნი. თვითმკვლელობაზე ფიქრს არ ავყოლივარ. ჩემს პალატაში დაბრუნებისას მომაგონდა მხოლოდ. როცა ჩირქგროვის დიაგნოზი შემატყობინეს და ოპერაცია გადაწყდა,

ერთ რამეზე ვფიქრობდი მხოლოდ: „თუ ჩემი გადარჩენა სურთ, ოპერაცია სწრაფად უნდა გამიკეთონ...“

ყველაზე დამამცირებელი აი რაა: სანამ გრასში ვიწექი, სულ იმას ვნანობდი, რაშელის ყელსაბამი როგორ დამრჩა-მეთქი მუსკიეში. კიდეც გადავწყვიტე, მუსკიეში დაბრუნებისთანავე მივცეგ ბარდოს და სიტყვას ჩამოვართმევ... კუბოში ჩამატანეთ-მეთქი!

არ ვიცი, მოვიქცევი თუ არა ასე. მომაკვდავის ახირება. ცდუნებას თუ ავყევი, ძალიან ნუ გამკიცხავ, ჩემო პატარავ, ნუ აითვალისწუნებ ძია ანტუანს. ეს ყელსაბამი ერთი პატარა, უმნიშვნელო ამბის მოსაგონარია, მაგრამ ეს უმნიშვნელო ამბავი, მიუხედავად ყველაფრისა, საუკეთესო იყო ჩემს უმნიშვნელო ცხოვრებაში.

მიკალმა მინახულა.

10.

11 ოქტომბერი, პარასკევი.

დასტაქრის ვიზიტმა ძალიან დამღალა გუშინ. ყველაფერი დაწვრილებით მაცნობა. კარგად ლოკალიზებული, ძალიან მედეგი ფიბროზული ქსოვილით ჩაპარკული დიდი ჩირქგროვა; ჩირქი სქელი, ბლანტე. გამომიტყდა, ფილტვები ძალიან შეშუპებული, სისხლსავსეაო. ბაქტეოროლოგიური ანალიზი: სტრეპტოკოკების კულტურები.

მიკალი დააინტერესა ჩემმა დაავადებამ. შედარებით იშვიათი შემთხვევაა: მთელი წლის მანძილზე იპრიტით მოწამლულ იმ სამოცდაცხრამეტ ავადმყოფს შორის, აქ რომ მკურნალობდნენ, მხოლოდ შვიდს აღმოაჩნდა ჩემსავით მ ა რ ტ ი ვ ი აბსცესი, ოთხს წარმატებით ჩაუტარეს ოპერაცია. სამი კი...

საბედნიეროდ, უფრო იშვიათია რ თ უ ლ ი აბსცესი. ოპერაცია შეუძლებელია. სამოცდაცხრამეტი ავადმყოფიდან მხოლოდ სამი შემთხვევა იყო და სამივე მოკვდა.

მე იღბლიანი გამოვდექი (ეს თავისთავად დაიწერა, ოდნავ რომ

დავფიქრებულიყავი, რა თქმა უნდა არ დავწერდი. მაგრამ რაკი დავწერე, აღარც ამოვშლი. ეტყობა, ჯერ კიდევ ვებღაუჭები სიცოცხლეს, რაკი ტანჯვის გაგრძელებას „იღბალს“ ვუწოდებ).

12 ოქტომბერი.

გუშინ ნაშუადღევს წამოვდექი. საშინლად გავმხდარვარ. 20 სექტემბრიდან 2 კილო და 400 გრ. დამიკლია.

გულიც მღალატობს. დიგატალინი — დღეში ორჯერ. გამუდმებით ვოფლიანდები. უილაჯობა, სისუსტე, მშრალი ხველა, სულის ხუთვა — ყველაფერი ერთად. და თუკი მკითხავენ, როგორა ხარო, ამ დღეებში გულწრფელად მივუგებ ხოლმე: „არა მიშავს...“

13.

შვეიცარული გაზეთები იტყობინებიან ვითომდა სარწმუნო წყაროებიდან, გერმანულმა ახალმა კაბინეტმა ვილსონს წინადადებით მიმართა, მოლაპარაკება წამოიწყეთო. აშკარად გამოთქმული წინადადებაა დაუყოვნებელი ზავის შესახებ. შეიძლება კიდეც ვირწმუნოთ, რადგან კანცლერის ბოლო სიტყვა რაიხსტაგში, ზავის გულწრფელ წინადადებას გამოხატავდა. ჯერ კიდევ გუშინ, როგორი თავხედი იყო გერმანია!

ოღონდაც მოკავშირეებმა ბოროტად არ გამოიყენონ თავიანთი ძალაუფლება! ოღონდაც თავი შეიკავონ ცდუნებისაგან და თავიანთი გამარჯვებით არ გათამამდნენ... უკვე ყველგან იგრძნობა გამარჯვებული ჟოკეის თავგასულობა! დარწმუნებული ვარ, თვით რიუმელსაც გადავიწყებული აქვს, გაზაფხულზე უარესს რომ მოელოდა: დღევანდელ ტრიუმფატორებს შორის რიუმელი ყველაზე პრინციპიალურია, ალბათ!

პირდაპირ შეურაცხმყოფელია ეს სიტყვა-„სიხარული“, ფრანგული გაზეთები რომაა აჭრელებული. „სიხარული“ კი არა „შემსუბუქება!“.. ასე ადვილად როგორ უნდა დაივიწყონ მთელი ის მწუხარება, მძიმე ტვირთად რომ აწევს ევროპას? ვერაფერი, თვით

ომის შეწყვეტაც ვერ შესძლებს დაგვავიწყოს, რომ მწუხარება სუფევს და მუდამ დარჩება.

14 ოქტომბერი ღამე.

ისევ უძილობა. ვგრძნობ, ვნატრობ იმ გამაბრუებულ მდგომარეობას, ინფექციის დროს რომ მქონდა. თავი გამილაყდა, გაოგნება. „მოჩვენებები". ერთადერთი რისი შეგრძნებაც შემრჩა: ძ ა ლ ი ა ნ ვიტანჯები.

მინდოდა ამ დღიურში საკუთარი თავი ამეწერა. ჟან-პოლისთვის. მაგრამ წერა რომ დავიწყე, უკვე აღარ შემეძლო დაფიქრება, თანმიმდევრული მოსაზრება, მუშაობა. კიდევ ერთი განუხორციელებელი ოცნება.

რა მნიშვნელობა აქვს? გულგრილობა ზეთის ლაქასავით მოედო ყველაფერს.

15.

გენერალური შეტევა. გამარჯვებაა ყველგან. ერთდროულად ამოქმედდა ყველა ფრონტი. მას შემდეგ, რაც მშვიდობის საკითხი დაისვა, მოკავშირეთა მთავარსარდლობა გაორკეცებული ძალით მოქმედებს, იტყვით, საბოლოოდ სურთ გული მოიჯერონო, ნადირის უკანასკნელი გამორეკვა...

ოდნავ უკეთა ვარ. წერა კიდეც მესიამოვნება.

ვუაზნემ მინახულა. ბუდას მაგონებს. ბრტყელი სახე; შორიშორ ჩამჯდარი ამობურცული თვალები. ხორცოვანფურცლებიანი ყვავილების (მაგნოლია, კამელია) მსგავსი მძიმე ქუთუთოები; დიდი პირი; სქელი ტუჩები ნელა მოძრაობს ლაპარაკისას. ბრძენის სახე. უყურებ და სიმშვიდე გეუფლება. რაღაც საბედისწერო უშფოთველობა, მეტისმეტად შორეულ-აღმოსავლური.

ამბობს, გენერალურ შტაბში გამეფებული განწყობილების შესახებ ახალი ცნობები მაქვსო. უსიამოვნო ცნობები უნდა იყოს. მას შემდეგ, რაც მთელი იმედები ამერიკულ უთვალავ „რეზერვზე" გადაიტანეს, დანაკარგებს აღარ ითვლიან. ყრუდ გაისმის ზავის სა-

წინააღმდეგო ხმები. უარი თქვან ზავის ყოველ პირობაზე, დაიპყრონ გერმანია, ზავს ბერლინში მოაწერონ ხელი და ასე შემდეგ. ვუაზნე ამბობს: „იმის მაგივრად, რომ ომის დამთავრებაზე იფიქრონ, გამარჯვებაზე ფიქრობენ". და ვილსონისადმი მტრულ განწყობილებას აშკარად ამჟღავნებენ. უკვე კიდეც ირწმუნებიან, „თოთხმეტი პუნქტი" მხოლოდ ვილსონის პირად მოსაზრებას გამოხატავსო; ანტანტა ოფიციალურად არასოდეს ყოფილა სოლიდარული მასთანო, და სხვ. ვუაზნემ მომაგონა, ივლისის თვიდან, პირველი სამხედრო გამარჯვების შემდეგ, პრესა (ცენზურის მეთვალყურეობით) ზოგჯერ კიდევ ლაპარაკობს „ერების ორგანიზაციაზე", მაგრამ „ევროპის შეერთებულ შტატებს აღარ ახსენებსო.

საღამო.

ვუაზნემ „ლუმანიტე"-ს რამდენიმე ნომერი დამიტოვა. გამიკვირდა, ამერიკული მოწოდების შემდეგ ასე უბადრუკად რომ გამოიყურებიან ჩვენი სოციალისტები*. გონებაშეზღუდული მებრძოლის ტონი. ამ ელემენტებისაგან, ამ ხალხისაგან არაფერი დიადი არ შეიძლება შეიქმნეს. ევროპის სოციალისტური პოლიტიკოსები ძველი ქვეყნის ნანგრევთა რიგში უნდა ჩადგნენ. დანარჩენ ხარახურასთან ერთად ნაგვის გროვაზე უნდა გადაისროლონ.

სოციალიზმი. დემოკრატია. ახლა ვფიქრობ, ფილიპი მართალი ხომ არ იყო-მეთქი?ან გამარჯვებული ქვეყნების მთავრობა ხელს ხომ არ აიღებს ამ ოთხი წლის მანძილზე შეძენილ დიქტატორულ ჩვევებისგან-მეთქი? კლემანსოს მიერ წარმოდგენილი იმპერიალიზმი (რესპუბლიკური), ალბათ, ასე ადვილად არ დათმობს პოზიციებს და უკანასკნელ დღემდე იბრძოლებს! შესაძლებელია, მომავალი, ნამდვილი სოციალიზმის კერა ჯერ დამარცხებულ გერმანიაში შეიქმნას. სწორედ იმის გამო, რომ იგი დამარცხებულია.

16.

უკანასკნელი კვირა უკეთა ვგრძნობ თავს.

გუარანმა 27 სექტემბრის მოწოდების ტექსტი მიშოვა. წინა მოწოდებაზე არაფერია დამატებული, მაგრამ მშვიდობის მიზანი

უფრო დაუზუსტებიათ. „ამ ომს ახალი წესწყობილება უნდა მოჰ-ყვეს“, და სხვ. კოლექტიური უშიშროების ერთადერთი გარანტია — საყოველთაო კავშირია. თუკი ეს სიტყვები ასეთ გავლენას ახდენს ჩემზე, „დროებით შეჩერებულ მკვდარზე“, წარმომიდგენია, რას უნდა განიცდიდეს მილიონობით ჯარისკაცი, მილიონობით ცოლი, დედა! შეუძლებელია მსგავსი იმედები ამაოდ აღუძრა ადამიანს! მოკავშირე ქვეყნების მთავრობა გულწრფელად მიემხრობა თუ არა ვილსონის პრინციპებს, ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს: ხალხთა ერთსულოვანი დაწოლა მთავრობაზე ისეთი ძლიერი იქნება, დანიშ-ნულ დროს ევროპის ვერცერთი პოლიტიკური მოღვაწე ვერ გაექ-ცევა მოსალოდნელ ზავს.

ჟან-პოლზე ვფიქრობ. შენზე, ჩემო ბიჭო. უსაზღვრო შვებას მგვრის. სულ მალე ახალი სამყარო შეიქმნება. შენ მოწმე იქნები მისი განმტკიცებისა. შენც ითანამშრომლებ. იყავ ძლიერი, რომ კ ა რ გ ა დ ითანამშრომლო!

ხუთშაბათი, 17

ვილსონის დრაკონული პასუხი გერმანიის პირველ წინადადე-ბაზე. აშკარად მოითხოვს, რომ მოლაპარაკების დაწყებამდე იმპე-რატორული ხელისუფლება დაემხოს, სამხედრო კასტა განიდევნოს, რეჟიმის დემოკრატიზაცია მოხდეს. ეტყობა, ზავის დაყოვნების რისკს არ ერიდება. ეს პრინციპულობა, რასაკვირველია, აუცილე-ბელი იყო. მთავარი მიზნები მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ. საჭიროა არა ნაადრევი ზავი ან კაიზერის კაპიტულაცია, არამედ ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო გ ა ნ ი ა რ ა ღ ე ბ ა და ე ვ რ ო პ ი ს ფ ე დ ე-რ ა ც ი ი ს შექმნა. ეს კი განუხორციელებელია ი მ პ ე რ ა ტ ო-რ უ ლ ი გერმანიისა და ავსტრიის განადგურების გარეშე.

გუარანი იმედგაცრუებულია. მე ვილსონი დავიცავი: გამოცდი-ლი პრაქტიკოსია, იცის სადაა ინფექციის კერა, და სანამ ჭრილობის გადახვევას შეუდგებოდეს, ჩირქოვან მუწუკს ამოკვეთს-მეთქი.

რაც შეეხება ჩემს ჩირქგროვას! ამ კეთილმა გოლიათმა ბარდომ ნათლად ამიხსნა, რომ იპრიტი მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითი მიზეზი გახდა დაჩირქებისა. სინამდვილეში ეს დაჩირქება გაზით დაზიანებულ პარენქიმაზე მოდებული მიკრობებით გ ა მ ო წ ვ ე-ულ ი მეორადი ინფექციის შედეგი ყოფილა.

18 ოქტომბერი.

დღეს ძლივს წავართვი თავი დაღლილობას. გაზეთების მეტს ვერაფერს ვკითხულობ.

რა ტონით ლაპარაკობს მოკავშირეთა პრესა ჩვენს „გამარჯვებებზე!“ ჰიუგო მოგაგონდებათ, ნაპოლეონის ეპოპეის შესახებ რომ გამოვიდა... * ამ ომს (არავითარ ომს) არაფერი საერთო არა აქვს გმირულ ეპოპეასთან. ველური და სასოწარმკვეთი ომია და მეტი არაფერი. იგი ისევე დამთავრდება, როგორც კოშმარი მთავრდება — შიშითა და ცივი ოფლით. ის გმირული საქმეები, რაც მან წარმოშვა, ძრწოლაშია ჩაძირული. ეს საქმეები ტალახსა და სისხლით სავსე ბნელ სანგრებში აღსრულდა. სასოწარკვეთილი მამაცობით აღსრულდა. იმ საზიზღარი საქმისადმი სიძულვილით, რომელიც რადაც უნდა დაჯდომოდათ, ბოლომდე უნდა მიეყვანათ. ომი მხოლოდ საზარელ მოგონებებს მოიტოვებს უკან. ვერც ბუკის ხმა, ვერც აფრიალებული ალმები ვერ შეცვლიან ვერაფერს.

21.

ორი საშინელი დღე. წუხელ ჰუმენოლური ზეთის ტრაქეალური ინექცია გამიკეთეს. მაგრამ ინფილტრატმა და ხორხის ჰიპერსთეზიამ პროცედურა გააძნელა. სამმა კაცმა ძლივს მიაღწია საწადელს. საცოდავი ბარდო ოფლში იღვრებოდა. მთელი საათი მეძინა. დღეს შედარებით უკეთა ვარ.

ოთხშაბათი, 23 ოქტომბერი.

ეტყობა, დიგიტალინის ახალი დოზა ოდნავ უფრო ეფექტურია.

დავუკვირდი, თუკი სრული აფონია არა მაქვს, სამაგიეროდ ენა უფრო ხშირად მებმება. წინათ ეს იშვიათად მემართებოდა და აღელვების ნიშანი იყო. ახლა კი უეჭველად, ფიზიკური დაძაბუნების მაუწყებელია.

გაზეთები. ბელგიელები ოსტენდეში და ბრიუჟში. ინგლისელები — ლილში, დუეში, რუბეში, ტურკუენში. დაუოკებელი შეტევა.

მაგრამ ისე აყოვნებენ ნოტების გაცვლას გერმანიასა და ამერიკას შორის, პირდაპირ სასოწარკვეთილებას იწვევს. მიუხედავად ამისა, ამბობენ, ვილსონმა, წინასწარ პირობად, იმპერიის კონსტიტუციის რეფორმებსა და საყოველთაო კენჭისყრის შემოღებას მიაღწიაო. ცუდი არ იქნებოდა. შემდეგ კაიზერის გადადგომასაც უნდა მიაღწიონ. ხვალ, თუ ექვსი თვის შემდეგ? პრესა წარამარა ირწმუნება, ქვეყნის შიგნით მღელვარებაო. საჭირო არაა თავის მოტყუება: გერმანულმა რევოლუციამ შეიძლება საქმის ვითარება დააჩქაროს, მაგრამ გართულებაც შეუძლია. რადგან ვილსონს, ეტყობა, გადაუწყვეტია, მხოლოდ და მხოლოდ მტკიცე მთავრობასთან აწარმოოს მოლაპარაკება.

24 ოქტომბერი.

არა, სულ არა მშურს, ავადმყოფებმა, ჩვეულებრივ, არაფერი რომ არ იციან. მათი გულუბრყვილო ილუზიებისა ნამდვილად არა მშურს. სისულელეა, როცა ამბობენ, თითქოს ავადმყოფი ექიმი ხედავს რომ კვდება, მაგრამ მაინც არ სჯერა, ფხიზელი გოხება აკლიაო. პირიქით, ჩემი აზრით, სწორედ ეს ფხიზელი გონება დამეხმარა ასე ყოჩაღად თუ მიჭირავს თავი. ალბათ, დასასრულის მოახლოების დროსაც დამეხმარება. ცოდნა წყევლა კი არაა, არამედ ძალაა. მე ვიცი. ვიცი, რაც ჩემს ორგანიზმში ხდება. ჩემს სენს ვ ხ ე დ ა ვ. იგი კიდეც მ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ს. ბარდოს ცდებს თვალს ვადევნებ. ერთი მხრივ, სწორედ ეს ცნობისმოყვარეობა მმატებს ძალას.

მინდა, უკეთ გავერკვე ყველაფერში და ფილიპს მივწერო.

ღამე, 24—25.

დღისით არა მიშავდა (რა უფლება მაქვს მეტი მოვითხოვო!). დღიური მოვიმარჯვე „მოჩვენებების" საწინააღმდეგოდ.

ღამის სამი საათი. ხანგრძლივი უძილობის დროს ერთი ფიქრი ამეკვიატა: ადამიანის სიკვდილი რას მიათრევს თან არარაობაში! პირველად სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო ამ ფიქრმა, მეგონა სწო-

რი იყო. მაგრამ არა. სულაც არაა სწორი. სიკვდილს ძალიან ცოტა რამ მიაქვს არარაობაში, ძალიან ცოტა რამ.

გულდასმით ამომაქვს მოგონებები ჩემი წარსულიდან: ჩადენილი შეცდომები, საიდუმლო თავგადასავლები, წვრილ-წვრილი სამარცხვინო ამბები, და მისთანანი. თითოეული საქციელისთვის ჩემ თავს ვეკითხები: „ჩემთან ერთად ესეც გაქრება სავსებით? ნუთუ ჩემი „მეს“ გარდა მართლა არავითარი კვალი არ დარჩენილა არსად?“ მთელი საათი გაშმაგებით ვცდილობდი ჩემს წარსულში მომეძებნა რაიმე ისეთი, რაიმე განსაკუთრებული საქციელი, რაც მხოლოდ ჩემს შეგნებაში დარჩა და არსად არავითარი კვალი არ დაუტოვებია; არც არავითარი გაგრძელება, არც მატერიალური ან მორალური უმცირესი შედეგი, ფიქრის არავითარი ისეთი მარცვალი, რაც ჩემი სიკვდილის შემდეგ ვინმეს მეხსიერებაში ამოტივტივდებოდა. მიუხედავად ამისა, ყოველი მოგონებისათვის მაინც ვპოულობდი რომელიღაც მოწმეს, ისეთ ვინმეს, ვინც იცოდა ან შეეძლო მიხვედრილიყო, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ჩემი სიკვდილის მერეც გაიხსენებდა, ალბათ, რომ... წამდაუწუმ ვინაცვლებდი გვერდს საწოლში, სინანულის ამ გრძნობამ გამტანჯა, დამცირებულად მიმაჩნდა თავი იმის გამო, რომ თუ ვერაფერს ვიპოვიდი, ვერ გავიხსენებდი, ჩემი მიცვალება დაცინვა იქნებოდა და მეტი არაფერი. თავის დასამშვიდებლად ვერც კი დავიკვეხნიდი, არარაობაში თ ა ნ წ ა ვ ი ღ ე რაღაც ისეთი, რაც მხოლოდ მე მეკუთვნოდა-მეთქი.

და ერთბაშად მომაგონდა! ლაენეკის ჰოსპიტალი *, პატარა ალჟირელი!

როგორც იქნა ჩავიჭირე ეს მოგონება, რომლის ერთადერთი ბატონ-პატრონი, დარწმუნებული ვარ, მე გახლავართ! მისგან არაფერი, არაფერი, აბსოლუტურად არაფერი დარჩება, იმწუთშივე გაქრება, როგორც კი მე შევწყვეტ არსებობას!

ცისკარი. უძილობამ საშინლად მომქანცა და ვერ დავიძინე. წამით წამთვლემს, მაშინვე ხველა ამიტყდება და გამეღვიძება.

მთელი ღამე ამ მოგონება-მოჩვენებას ვებრძოდი... გამტანჯა იმაზე ფიქრმა, ავყოლოდი ცდუნებას და ამ დღიურში ჩამეწერა ჩემი აღსარება, რათა არარაობისათვის გამომეგლიჯა ეს სამწუხარო ამბავი, თუ პირიქით, ეჭვიანობის გრძნობით შეპყრობილს, მარტო

ჩემთვის დამეტოვებინა იგი? ერთი საიდუმლოება მაინც მქონდეს საფლავში ჩასაყოლებლად!

არა, არაფერს დავწერ.

25, ოქტომბერი, შუადღე.

უილაჯობა? ახირებული აზრი? თუ ბოდვა? წუხანდელი ღამის შემდეგ ჩემი დასასრული საიდუმლოებასთან კავშირში მესახება. უკვე ჩემს თავზე, ან ჩემს გაქრობაზე კი აღარ ვფიქრობ, არამედ ლაენეკის ჰოსპიტლის ამბავზე (ჟოზეფი მოვიდა და ზავზე ჩამომიგდო სიტყვა: „სულ მალე, ბატონო ექიმო, დემობილიზებული ვიქნებით". მე ვუპასუხე: „სულ მალე, ჟოზეფ, მე მკვდარი ვიქნები". მიუხედავად ამისა, გულში გავივლე: „სულ მალე პატარა ალჟირელის ამბიდან აღარაფერი დარჩება").

და ერთბაშად თითქოს ჩემი ბედის გამგებელი გავხდი. ამით ჩემს სიკვდილზედაც გავბატონდი თითქოს, რაკი ჩემზეა დამოკიდებული, ჩემს ჩანაწერებზეა, ჩემს აღსარებაზეა დამოკიდებული დავუმალავ თუ არა არარაობას ჩემს საიდუმლოებას.

ნაშუადღევს.

თავი ვერ შევიკავე და გუარანს ველაპარაკე ამის შესახებ. რა თქმა უნდა, გარკვევით არაფერი ვუთხარი. პატარა ალჟირელი ნართაულითაც არ მიხსენებია, არც ლაენეკის ჰოსპიტალი. ზუსტად ისე მოვიქეცი, ბავშვს საიდუმლოს შენახვა რომ აწუხებს და ყველას უყვირის: „რაღაც ვიცი, მაგრამ არ ვიტყვი". გუარანმა უხერხულად, შეშინებულადაც კი შემომხედა. ალბათ, ფიქრობდა, ხომ არ გაგიჟდაო. მე კი ჩემი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების გამო ვტკბებოდი — ალბათ, უკანასკნელად.

საღამოს.

შეეცადე, როგორმე გონება დამესვენებია ფიქრებისაგან და გაზეთები გადავათვალიერე. სამხედრო კასტა გერმანიაშიც ცდილობს მშვიდობიანი მოლაპარაკება ჩაფუშოს. ამბობენ, ლიუდენ-

დორფი * ოპოზიციურ პარტიას მეთაურობს კანცლერის წინააღმდეგ, რომელსაც საჯაროდ ცილი დასწამა ღალატში, რაკი საიდუმლო მოლაპარაკებას აპირებდა ამერიკასთანო. მაგრამ მშვიდობის მოძრაობამ მაინც აჯობა. ლიუდენდორფი იძულებული გახდა გადამდგარიყო. კარგი ნიშანია.

გუარანი შემოვიდა. ბალფურის შემაშფოთებელი სიტყვა. ინგლისელებს მადა აღეძრათ: ახლა გერმანული კოლონიების ხელში ჩაგდება უნდათ! გუარანმა გამახსენა, ერთი წლის წინ ლორდმა რობერ სესილმა * რომ განაცხადა: „ამ ომში ისე ჩავებით, დამპყრობლური იმპერიალისტური მიზანი არავის გვქონია!“ (საქმე ისაა, ისე აღარ გამოდიან იქიდან, როგორც ჩაებნენ!..).

საბედნიეროდ, ვილსონი ადგილზეა. ხალხს უფლება აქვს, თვითონვე განაგოს თავისი ბედი. იმედი მაქვს, ნებას არ მისცემს გამარჯვებულებს, რომ პირუტყვივით გაინაწილონ ერთმანეთში შავკანიანები!

გუარანი და კოლონიალური საკითხი.. ჭკვიანურად განმარტა, რა გამოუსწორებელ შეცდომას ჩაიდენენ მოკავშირეები, თუ ცდუნებას აჰყვებიან და ერთმანეთში გაინაწილებენ გერმანულ კოლონიალურ სამფლობელოებს. ერთადერთი შემთხვევა ეძლევათ, ფართო მასშტაბით გადაისინჯოს კოლონიალური პრობლემები. ეროვნებათა ლიგის კონტროლით შეიქმნას მსოფლიო სიმდიდრის ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი ს ა რ გ ებ ლ ო ბ ი ს ვრცელი სისტემა. მშვიდობის გარანტია!

26.

უეცარი გაუარესება. მთელი დღე სულის ხუთვა.

27.

სულის ხუთვები ახალ ხასიათს იღებს: სპაზმურია. აუტანელი წამება. ხორხი ისე მეკუმშება, თითქოს ვიღაცამ ხელი წამიჭირა ყელში. სულის ხუთვას ახლა დახრჩობის შეგრძნება დაემატა.

მთელი საათი მოვუნდი წიგნაკში ავადმყოფობის მსვლელობის აღწერას. (დარწმუნებული არა ვარ, დიდხანს შევძლებ თუ არა ჩემი ჩანაწერების გაგრძელებას).

28.

დღეს ჭაბუკმა მარიუსმა ამომიტანა გაზეთები. საშინელი გრძნობაა (ეს გადატკეცილი სახე, ეს კრიალა თვალები, ეს სიჭაბუკე... ეს შესანიშნავი გულგრილობა საკუთარი ჯანმრთელობისადმი!). მოხუცებისა და ავადმყოფების გარდა აღარავისი ნახვა არ მინდა. ახლა კი ვხვდები, სიკვდილმისჯილი რატომ მივარდება ხოლმე დასახრჩობად ციხის დარაჯს: თავისუფალი, ჯანსაღი ადამიანის დანახვა აღარ უნდა...

მექანიზმი სულ უფრო და უფრო სწრაფად ირღვევა. შეუძლებელია გონებაც ასევე... თუკი ასეა, ეტყობა ძალიან დამჩლუნგებია, რაკი ვერ ვამჩნევ.

29.

იქნებ ნაკლები სინანული მეგრძნო, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილს რაღაც ისეთი მქონოდა მოსაგონებლად, წიგნებში რომ „დიდ“ სიყვარულს უწოდებენ?

ისევ რაშელზე ვფიქრობ. ოღონდ რაღაც ეგოისტურად, ავადმყოფურად: ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა აქ რომ ყოფილიყო ახლა, მის მკლავებში აღმომხდებოდა სული.

როცა ეს ყელსაბამი პარიზში ვიპოვე, როგორ ავღელდი! როგორ მომინდა მისი ნახვა! მორჩა!

„მიყვარდა“ კი? ყოველ შემთხვევაში, სხვა არავინ. ასე არავინ. არავინ უფრო ძლიერ. მაგრამ არის კი ეს ის, რასაც ყველანი „სიყვარულს“ უწოდებენ?

ხალამოს.

ორი დღეა დიგიტალინი აღარ მოქმედებს. საცაა ბარდო მოვა, ეთერ-ქაფურის ზეთის შეშხაპუნებას ეცდება.

მნახველები.

ყველა აღგზნებულია. რას უმზადებს მათ ეს ცხოვრება? ვინ იცის, მათ შორის იქნებ მე უფრო ბედნიერი ვარ?!

დავიღალე. საკუთარმა თავმა დამღალა. ისე დავიღალე, ნეტა მალე გათავდებოდეს ყველაფერი!

ვამჩნევ, ჩემი დანახვა შიშს იწვევს ყველაში.

უკანასკნელ დღეებში ნამდვილად შევიცვალე. სწრაფად მეღება ბოლო. ეტყობა, იმ კაცის სახე მაქვს, ყელში რომ უჭერენ: შეძრწუნებული სახე... ვიცი, ამაზე საზარელი სანახავი არაფერია.

31 ოქტომბერი.

აქაურ მღვდელს ჩემი ნახვის სურვილი გამოუთქვამს. შაბათს კიდეც მოსულა, მაგრამ ძალიან ცუდად ვიყავი. დღეს შემოვუშვი. დამქანცა. სცადა შეხებოდა საკითხს: „თქვენი ქრისტიანული აღზრდა და სხვ.“. ვუთხარი: რა ჩემი ბრალია, დაბადებიდან ყველაფერში გარკვევის მოთხოვნილება თუ დამყვა და რწმენის უნარი კი არა მქონდა-მეთქი. შემომთავაზა, „საჭირო წიგნებს“ მოგიტანთო. ვუთხარი: „ეკლესია რას უცდის, რატომ ნიღაბს არ ახდის ომს? თქვენი ფრანგი და მათი გერმანელი ეპისკოპოსები დროშებს აკურთხებენ, ტ ე დ ე უ მ-ს* გალობენ და ხოცვა-ჟლეტისთვის მადლობას სწირავენ ღმერთს!“ მისმა პასუხმა (ორთოდოქსალურმა) გამაოგნა: „ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი ომი მოხსნის კაცთა მკვლელობის ქრისტიანულ აკრძალვას“!

ჩვენდაუნებურად თავაზიანი საუბარი გამოგვივიდა. არ იცოდა, როგორ მომდგომოდა. წასვლისას მითხრა: „აბა, კარგად დაფიქრდით! ასეთი ღირსეული ადამიანი ძაღლივით ხომ არ უნდა მოკვდეთ!“ მივუგე: „რა ვქნა, თუკი ძაღლივით ურწმუნო ვარ?!“ უკვე კართან. იყო მისული, მოიხედა და ცნობისმოყვარეობით დამაკვირდა (რისხვა, გაოცება, ნაღველი და როგორც მომეჩვენა, გულთბილობაც იგრძნობოდა): „საკუთარ თავს ცილს რატომ სწამებთ, შ ვ ი ლ ო ჩ ე მ ო?!“

მგონი, აღარ დაბრუნდება.

საღამო.

უ კ ი დ უ რ ე ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, იქნებ კიდეც დავთანხმებულიყავი, თუკი ამით ვინმეს ვასიამოვნებდი. მაგრამ ვისი გულისთვის გამეთამაშა ქრისტიანი მიცვალებულის როლი?

ავსტრია ზავს სთხოვს იტალიას. ეს-ეს არის გუარანი იყო ჩემთან. უნგრეთში დამოუკიდებლობა და რესპუბლიკა გამოცხადდა.

იქნებ მართლაა ზავი?

ნ ო ე მ ბ ე რ ი

1 ნოემბერი, 18, დილა.

ჩემი მიცვალების თვე.

ი მ ე დ ი წართმეულია. ეს კი წყურვილზე მეტად ტანჯავს ადამიანს. მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ ვგრძნობ სიცოცხლის მაჯისცემას ძლიერ. დროდადრო ვ ი ვ ი წ ყ ე ბ. რამდენიმე წუთით ძველებური ანტუანი ვარ, სხვების მსგავსი, გეგმასაც კი ვაწყობ... და უცებ, სუსხიანი სუნთქვა: ისევ ვ ი ც ი.

ცუდი ნიშანია: მაზე იშვიათად შემოდის. როცა შემოვა, ცისა და ბარისას ჰყვება, ოღონდ ჩემზე კრინტს არ ძრავს.

დამენანება კი მაზე და მის, ციხის ზედამხედველივით კვადრატულ თავთან განშორება?

საღამო.

ვერც კი წარმომიდგენია, თუ ამ პალატის ზღურბლს მიღმა ცხოვრება გრძელდება... მარტოობის უფსკრულში უკვე ღრმადა ვარ ჩაძირული. ცოცხალ ადამიანს ამის მიხვედრა არ შეუძლია.

2 ნოემბერი.

საწოლიდან ვეღარ ვდგები. სამი დღეა უკვე, რაც $2^1/_2$ მეტრი, მანძილი, საწოლიდან — სავარძლამდე ვერ გამივლია.

ვერც ვეღარასოდეს გავივლი. ნუთუ ფანჯარასთანაც ვერ დავჯდები ვერასოდეს? ვერც ერთ ფანჯარასთან? ნაღვლიანი კიპაროსები საღამოს ცის ფონზე... ბაღსაც ვერასოდეს ვნახავ? ვერავითარ ბაღს?

დავწერე: ვერც ვ ე რ ა ს ო დ ე ს-მეთქი, მაგრამ ამ სიტყვების ჯოჯოხეთურ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ ვხვდები, როცა წამით გამინათლდება გონება.

ღამით.

როგორ მომეპარება სიკვდილი? ამ კითხვას მერამდენე ღამეა, ღამეში მერამდენჯერ ვაძლევ ჩემს თავს? იმდენი შესაძლებლობაა... — ლარინგალური უეცარი სპაზმი, როგორც პატარა ნეიდარს მოუვიდა? ან ასფიქსია, როგორც ზილბერს? ან იქნებ, გულის ასთენია და სინკოპე, როგორც მონვიელს, როგორც პუარეს?

3, დილა.

როგორ? ყველაზე ცუდი იქნება ასფიქსიით, როგორც ბეჩავ ტრუას.

ამისი მეშინია.

ამას ალარ დავუცდი.

საღამო.

ამ საღამოს ისე ცუდადა ვარ, ბარდო ორჯერ გამოვიძახე. შუაღამისას ისევ მოვა. მაგიდაზე ტრაქეოტომიის მილი დატოვა.

ამბობენ: „სიკვდილი არაფერია, წვალებაა საშინელი!“ მაშ, თუკი შემიძლია თავიდან ავიცდინო იგი, რაღაზედ ვწვალობ? დავუცადო? კეთილი, დავუცდი!

ღამით.

იტალიამ ხელი მოაწერა ზავს ავსტრიასთან და უნგრეთთან.

მღვდელმა ხელახლა დააპირა მოსვლა (უარი შევუთვალე, დაღ-

ლილობა მოვიმიზეზე). ეს უკვე გაფრთხილებაა. ახლოვდება გადაწყვეტილების მიღების დღე.

5.

ყველაფერი, რისი იმედიც გვქონდა, ყველაფერი, რაც გულით გვწადდა, ყველაფერი რისი შესრულებაც ვერ მოვახერხეთ, შენ უნდა განახორციელო, ჩემო ბიჭო!

6 ნოემბერი.

გუარანმა მინახულა. ზავს ელოდებიან. მაგრამ ბრძოლა ყველა ფრონტზე გრძელდება. რატომ?
სრული აფონია. ერთი სიტყვაც ვერ მითქვამს.

ყელი თითქმის არ ფართოვდება. უკანა კრიკო-არიტენოიდური ნერვების დამბლა? ბარდოს გაქვავებული სახე.
მორფიუმი.

8 ნოემბერი, 1918.

გერმანელი უფლებამოსილი წარმომადგენლები ჩვენს ხაზზე გადმოვიდნენ. ეს უკვე დასასრულია.
მაინც მოვესწარი ამ ამბავს.

9 ნოემბერი.

გაუარესება. ტემპერატურის ხელახალი ძლიერი მერყეობა (37,2—39,9). შეშუპება, სისხლჩაქცევები. არავითარი ახალი სიმპტომები, მიუხედავად ამისა — საერთო გამწვავება.
გაშუქება მოვითხოვე (რისთვის?). საჭიროა შემოწმდეს, ახალი კერები ხომ არაა. ახალი ჩირქგროვის შიში მაქვს. ტემპერატურის მერყეობა ღრმა დაჩირქების მომასწავებელია.

10.

გამუდმებული ტკივილები მარჯვენა ფილტვში. მთელი დღე მორფიუმს ვსვამ. ახალი ჩირქგროვა? ბარდოს არ სჯერა. არავითარი პათოგნომური სიმპტომი.

ნახველი ისე უხვი აღარაა.

რევოლუცია ბერლინში *. კაიზერი გაიქცა. სანგრებში, ყველგან, იმედი, სიხარული! მე კი...

11 ნოემბერი.

აუტანელი დღე. აუტანელი წვა ერთსა და იმავე ადგილას — მარჯვენა მხარეს.

რატომ უფრო ადრე არ მივიღე გადაწყვეტილება, როცა ჯერ კიდევ მეყოფოდა ძალა? რას ვუცდი? როგორც კი გავიფიქრებ, დრო მოვიდა-მეთქი, მუდამ...

(არა. ჯერ ერთხელაც არ მითქვამს, დრო დადგა-მეთქი! ვამბობ: „დ რ ო ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა!“ და ვიცდი).

12.

ბარდო სუბკრეპიტული და ლოკალიზებული ხრიალის კერას ამჩნევს სუნთქვის დროს(?).

შუადღე.

გაშუქება. მარჯვენა ფილტვის წვერზე ბნელი ზოლი, მკვეთრი საზღვრების გარეშე. დიაფრაგმა უმოძრაოდაა. გამჭვირვალობის საერთო შემცირება, თუმცა შესქელება არ შეიმჩნევა. ახალი ჩირქგროვა რომ იყოს, სრული დაბნელება იქნებოდა საეჭვო ადგილას, თანაც აშკარად შემოფარგლული. მაშ რაღაა? იმდენად გაურკვეველი ნიშანია, პუნქციას ვერ მიმართავენ. თუკი ახალი ჩირქგროვა არაა, მაშ რაღაა?

ძალიან ლოკალიზებული ფუქტუაციური კერები ერთსა და იმავე ადგილას. აშკარაა, ინფექცია ვრცელდება ყველგან. საშინელი, მყრალი ოფლიანობა.

საღამო.

პ ა ტ ა რ-პ ა ტ ა რ ა ჩირქგროვები? მ რ ა ვ ა ლ ი პატარა ჩირქგროვა?

ცხადია, ბარდოც ამას ფიქრობს.

მაშასადამე, ვერაფერს გახდები! ფილტვის პარენქიმაში მრავალი ჩირქგროვის დროს ოპერაციული ჩარევა შეუძლებელია, ასფიქსია გარდუვალია.

14.

წვა ორივე მხარეს. მარცხენა ფილტვიც შეშუპებულია. ეტყობა, ჩირქგროვები ორივე ფილტვს მოედო.

უკანასკნელი შანსი — ჩირქგროვის ჩხვლეტა ვცადოთ!?

საღამო.

საშინელი აპათია, გულგრილობა, მაგიდის უჯრაში ჟენის წერილი, მეორე — ჟიზისა. ამ საღამოს ისევ მივიღე ჟენის წერილი. არც გამიხსნია. მარტო დამტოვეთ! ვერავის ვეღარაფერს მივცემ!

დე პროფუნდის კლამავი! * მთელი ღამე ვიმეორებდი ამ სიტყვებს, პირველად ჩავწვდი მათ მნიშვნელობას.

15.

იქნებ ვცდებოდი, ასე რომ მეშინოდა. იქნებ არც ისეთი საშინელებაა, როგორც მეგონა. იქნებ ყველაზე სახიფათო უკან მოვი-

ტოვე? დასასრული ისე ხშირად მესახებოდა, უკვე აღარ შემიძლია მასზე ფიქრი. მაგრამ ყველაფერი მზადაა, ყველაფერი აქვეა.

16.

ჩირქგროვის ჩხვლეტა. უშედეგოდ. სცადეს კი? თუ მომაჩვენეს? ორი დღეა ჩანაწერების რვეულში არაფერი ჩამინიშნავს. ძალიან ვწვალობ.

სჯობს მოვათავო. ადვილი არაა, გაიფიქრო: „ხვალ!..", „ამ საღამოს!.."

17.

მორფიუმი. მარტოობა. სიჩუმე. ყოველი საათი უფრო მეტად მაშორებს, მაცალკავებს ყველასგან. ჯერ კიდევ მესმის მათი ხმა. მაგრამ ყურს არ ვუგდებ.

ნახველის ამოღება თითქმის შეუძლებელი გახდა.

როგორ მომეპარება სიკვდილი? ძალიან მინდა ნემსის გაკეთებამდე ნათელი გონება შემრჩეს და ვწერო.

შეგუება? არა. გულგრილობა. უძლურება, აღშფოთებას რომ სპობს. გარდაუვლობასთან შერიგება. ფიზიკური ტანჯვის ატანა.

სიმშვიდე.

მოვათავოთ.

ფეხების შეშუპება. დიდი ხანია დროა... თორემ ვეღარ შევძლებ. ყველაფერი აქვეა, საკმარისია ხელი გავიწოდო, გადავწყვიტო.

მთელი ღამე ვებრძოდი თავს.

დ რ ო ა.

ორშაბათი, 18 ნოემბერი, 1918.

37 წლის, 4 თვის, 9 დღის.

უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე მეგონა.

ე ა ნ-პ ო ლ!

კომენტარები

ეპილოგი

გვ. 11. „ბოშები“ — ფრანგები ასე უწოდებდნენ დაცინვით გერმანელებს: ცენტრები — ცენტრალური იმპერიები.
12. ტიერის კარიკატურა — ტიერს უზარმაზარი თავი და მომცრო, გამხდარი ტანი ჰქონდა.
13. ლამა—მშიშარა ძუძუმწოვარა ცხოველი.
14. ხერხი—მსუბუქი სალტეებითა და ჯოხებით თამაში.
16. „ჯერლ“ — (ინგლ.) მოცეკვავე გოგონები კაფე-შანტანის რევიუში.
21. მარკერტრი — ძვირფასი ხის ავეჯი ინკრუსტაციებით..
39. მარნის ოპერაცია — მარნთან ფრანგებმა უკან დაახევინეს გერმანელებს.
49. „მაქსიმი“—ცნობილი ღამის რესტორანი პარიზში.
53. ვუდროუ ვილსონი (1856—1924)—ამერიკის პრეზიდენტი 1913—21 წლებში.
54. „დიდსულოვანი“ პოლიტიკა—ნაპოლეონ III-ის გაუთავებელმა ომებმა და „დიდსულოვანმა“ პოლიტიკამ დაცემის გზაზე მიიყვანა საფრანგეთი.
„მესიე“ — (ფრანგ.) „უსტარი“.
55. ნამდვილი ლათინელები—ფხიზელი და ცბიერი რომაელი სახელმწიფო მოღვაწენი.
56. ლოენგრინი — რაინდული რომანის ციკლის ერთ-ერთი გმირი.
პოლ დეშანელი (1855—1922)—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.
57. ფერდინანდ ფოში (1851—1929)—საფრანგეთის მარშალი.
59. ბერტა—გერმანული შორსმსროლელი ზარბაზანი კრუპის ქალიშვილის სახელს ატარებდა.
ლუზიტანია — ინგლისური პაკეტბოტი, რომელიც 1915 წ. გერმანელთა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა. დაიღუპა 1200 მგზავრი.
60. ფილიპ პეტენი (1856—1951)—საფრანგეთის მარშალი.
75. „ლეი ტურ დიუ მონდ“—(ფრანგ.) „მსოფლიოს გარშემო“ — ილუსტრირებული ჟურნალი.
76. გუანო—სამხრეთ ამერიკის სანაპიროებსა და კუნძულებზე ფრინველთა სკორესგან შექმნილია სასუქის მთელი მთები.
85. „ლერ გრანდ გერ“ (ფრანგ, „მათი დიდი ომი“) — გაზეთის სახელწოდებაა.
93. სიტი (ინგ.)—ქალაქის სავაჭრო ნაწილი ლონდონში.
100. ლა მადლონი—ჯარისკაცთა საყვარელი მელოდია.
101. ბონას „ქრისტე“—ლეონ ბონას (1833—1922) სურათი ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულებით.
109. ფიატ! (ლათ.)—იყოს ნება შენი!
111. გარო—(სამედიც.)—მოსაჭერი ხელსაწყო.
125. ტომი—ინგლისელი ჯარისკაცის ზედმეტი სახელი.
126. ეკოლ ნორმალ (ფრანგ.)—პედაგოგიური სასწავლებელი პარიზში.

128. სავოიის მკვიდრთა დიალექტში იტალიური სიტყვები ჭარბობს.
140. ემილ აშარ — პარიზის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიის წევრი.
150. 1918 წ. დობროჟას ერთი ნაწილი რუმინეთს გადაეცა, მაგრამ ოთხი დღის შემდეგ ეს ხელშეკრულება გააუქმეს.
151. დევიდ ლოიდ ჯორჯი (1863—1945)—დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი.
152. 89 წლის მისტიკა—1789 წ. რევოლუციური იდეების უსაფუძვლო რწმენაზე დაფუძნებულ მოძრაობად არის წარმოდგენილი.
153. მესიანელი—(სახ.)—ქვეყნის გადაძრენად მოელიხებული; აქ: წიხასწარმეტყველი, არეულობის მაუწყებელი.
178. პიაცა—მდინარე ვენეციასთან.
184. ჯორჯ ვაშინგტონი (1732—1799)—ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პირველი პრეზიდენტი.
185. „ეურნალ დე ლოზან"—(ფრანგ.)—„ლოზანის გაზეთი".
ნანგრევები 304-ე სიმაღლის უკან—პოზიცია ვერდენთან.
186. ად უსუმ პოპული (ლათ.)—ხალხისთვის.
187. პლებისციტი—რეფერენდუმი, სახალხო კენჭისყრა.
წმინდა კავშირი—1815 წ. რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის მიერ დადებული პაქტი. ეს კავშირი 1833 წ. დაიშალა.
188. რედიარდ კიპლინგი (1865—1936) — ინგლისელი მწერალი.
192. ახალი ფრონტი აღმოსავლეთში—1918 წ. იაპონიამ ინტერვენცია წამოიწყო საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.
198. ლუი-ჟან მალვი—საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.
სიქსტ-ბურბონი — ავსტრიელი პრინცი, ბელგიის არმიის ოფიცერი.
ალექსანდრ რიბო (1842—1923)—ფინანსთა მინისტრი I მსოფლიო ომის დროს
212. ჯონ პერშინგი—(1860—1948)—ამერიკელი გენერალი.
221. ეან-ანრი ფაბრი (1823—1918)—ფრანგი ენტომოლოგი.
კატო—ქალაქი საფრანგეთ-ბელგიის საზღვართან.
225. სპა—საკურორტო ქალაქი ბელგიაში.
226. ალფრედ დე ვინი (1797—1863)—ფრანგი რომანტიკოსი.
227. ფელიქს ლე დანტიკ (1869—1917)—ფრანგი ბიოლოგი.
229. ფინალისტი—აქ: ფინალიტეს (სრულყოფის) მიმდევარი.
233. პარცელაცია—დაქუცმაცება, დანაწილება.
234. როსტანი—ფრანგი აკადემიკოსი, ბიოლოგი.
241. „ლეიბორ დეი" (ინგ.)—„მუშათა დღე"—გაზეთის სახელწოდებაა.
ამერიკის ომი—ომი ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ინგლისის წინააღმდეგ.
243. ეოზეფ კაიო (1863—1944)—ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე.
244. სინე ჭვა ნონ (ლათ.)—აუცილებელი.
250. კრეოზოტი—მკვეთრსუნიანი, უფერული ხითხე, ანტისეპტიკური საშუალება.
261. ჰინდენბურგის ხაზი—გერმანელთა მთავარი დაცვის ხაზი საფრანგეთის ტერიტორიაზე. ჰინდენბურგი გერმანელი მარშალი იყო.
263. არტურ ბალფური (1848—1930)—ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი.

Роже Мартен Дю Гар

СЕМЬЯ ТИБО

Роман

Том III

(На грузинском языке)
Издательство «Мерани» пр. Руставели, 42
Тбилиси, 1991

მხატვარი ა. თოდრია
მხატვრული რედაქტორი მ. დედანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორი ე. ურუშაძე

სბ. — 3633

ჩაბარდა წარმოებას 11.02.90 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 2.09.90 წ. ფორმატი 60×84 1/16. ქაღალდი საბეჭდი საწიგნე — საკურნალე. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,74. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 14,17. პირობითი საღებავგატარება 16,97. ტირაჟი 40.000 ეგზ.
შეკვეთა № 1—601
ფასი 4 მან.

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის გამზ. 42. თბილისი 1991.

აიწყო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, თბილისი, მარჯანიშვილის 5.
დაიბეჭდა და აიკინძა, კიევი, დოვჟენკოს ქ. 13. „პოლიგრაფკნიგა".
Печать и переплет на Головном предприятии республиканского производственного объединения «Полиграфкнига» 252057, г. Киев, Довженко, 3